С(Арм) 1
891.54—32
რ 281

სომხურიდან თარგმნა.

არჩილ დავითიანმა.

Раффи

Золотой петушок
(Рассказы)

(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили 5
1964

რ ა ფ ი

(აკოფ მელიქ-აკოფიანი)

„1888 წლის აპრილის დამდეგს რაფი ფილტვების ანთებით გახდა ავად და ლოგინად ჩავარდა. ორი კვირის მერე თითქოს მოიკეთა, ფეხზე წამოდგა. 20 აპრილს მეგობრები ვესტუმრეთ. რაფი აივანზე დაგვიხვდა, თავის საყვარელ ყვავილებს რწყავდა.

— რას შვრებით? — შეეძახეთ, — გაცივდებით.

— არა, მე ჯერ კიდევ რამდენიმე წელი უნდა ვიცოცხლო მტრების ჯიბრზე, — მშვიდად, აუღელვებლად გვიპასუხა რაფიმ და თავისი საქმე განაგრძო.

23 აპრილს ისევ ჩაწვა. ამჯერად მის გამოჯანმრთელებას პირი არ უჩანდა.

24 აპრილს რაფი გარდაიცვალა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქვეყნის ყოველ მხარეს და ფრიად დაამწუხრა თანამემამულენი.

რაფის დასაფლავება საყოველთაო-სახალხო გლოვად გადაიქცა. მანამდე ასეთი რამ არ ახსოვდა სომეხი ერის ისტორიას. რაფი დიდის ამბით მიაბარეს მიწას. ასეთი ხვედრი მხოლოდ არწრუნის ერგო.

ამათი დაკრძალვის შემდეგ სხვა ერების წარმომადგენლები ამბობდნენ:

— სომხები ცუდად იბახავენ თავიანთ მოღვაწეებს, მაგრამ დიდი პატივისცემით კი მარხავენო“.

ასე იგონებს თავისი დიდი წინამორბედის გარდაცვალებას და დაკრძალვას ვამოჩენილი სომეხი მწერალი ალექსანდრე შირვანზადე.

დიახ, საყოველთაო-სახალხო გლოვით მიაბარა სომეხმა ერმა მიწას რაფი და ამით გამოხატა უღრმესი სიყვარული და თაყვანისცემა თავისი დიდი შვილის იმ ღვაწლისადმი, რომელიც მიუძღოდა მშობლიური ხალხის წინაშე.

„ჩვენი დროის სომხების არც ერთს მწერალს არა ჰყავდა იმდენი მკითხველი რამდენიც რაფის“, — სწერდა გლოვის დღეებში ილია ჭავჭავაძის „ივერია“.

რაფი სომხური ლიტერატურის, კერძოდ სომხური პროზის არარატია, მან ძალიან განზე გასწია სომხური პროზის ვიწრო ზღუდეები და ფართო შარაგზაზე ვაიყვანა სომხური მხატვრული სიტყვა.

დიდი მწერალი-რომანისტი რაფი დაიბადა სპარსეთში, სომხებით დასახლებულ საკმაოდ მოზრდილ სოფ. ფაილაჯუკში (სალმასტის პროვინცია), 1837 წელს. მამამისი მელიქ-მირზაბეგი შეძლებული ვაჭარი და სოფლის მამასახლისი იყო. ამ ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ სავაჭრო საქმეების გამო კონსტანტინო-

ბოლიდან, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები და იმართებოდა გაცხოველებული სხა-ბაასი. პატარა აკოფი ყურდაცქვეტილი ესმენდა უცხო ადამიანების მონაყოლ ამბებს სხვადასხვა ქვეყნების შესახებ.

ოჯახის მთელი სიმძიმე -წკა აკოფის დედას — ჯეირან ხანუმს. ფრიად გულკეთილ და სიმპათიურ მანდილოსანს. მას ძალიან უყვარდა თურმე თავისი შვილები და ოჯახიც ეი თავისუფალ დროს პოულობდა, იგავ-არაკებს უყვებოდა.

თორმეტი წლის აკოფი გაზაფხულზე, ვარდობის დღეს, დედამისს სოფლის მღვდელთან მიუყვანია. „ხორცი შენ და ძვლები ჩვენო", — უთქვამს მღვდელისათვის და პატარა აკოფი ნაუბარებია წერა-კითხვის შესასწავლად, რომ „კარგი კაცი" გამოსულიყო.

სოფლის მღვდელთან აკოფს ბევრი არაფერი შეუსწავლია. „მე გასაოცარი ბავშვი ვიყავი, — სწერს თავის მოგონებებში ცნობილი მწერალი, — როცა დედა ან ბებია ზღაპრებს მიამბობდნენ, მაშინვე ვიმახსოვრებდი, აშუღების სიმღერებს უცბად ვსწავლობდი, მაგრამ ამ მასწავლებლის გაკვეთილებისა არაფერი გაგებულა. ასე მეგონა ეიმხერი არ იყო".

მამას, მელიქ-მირზაბეგს, რომელსაც მწერალი ბევრის მნახველ და მცოდნე კაცად ახასიათებს, დროზე აუღია ალღო, რომ მისი შვილი მღვდელთან ვერაფერს ისწავლიდა და თბილისში ჩამოიყვანა გადაუწყვეტია. „აკოფ, ამ ჩვენ ფაილაჯუკია სკოლაში კაცი ვერ გამოხვალ, მოდი წაგიყვან თბილისში, იქ კარგი სკოლებია, ნამდვილ სომხურსაც ისწავლი და რუსულსაც".

აკოფს, რომელსაც ბევრი რამ გაეგონა ოჯახში თბილისზე, თანხმობა განუცხადებია და 1849 წელს აკოფი მამას ჩამოუყვანია ამიერკავკასიის ყველაზე დიდ კულტურულ და სავაჭრო ცენტრში — თბილისში.

თბილისში ჩამოყალიბდა რაფი როგორც მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე და მწერალი. აქ შეუსწავლია რუსული ენა, აქ წაუკითხავს დიდი რუსი მწერლების თხზულებანი, აქვე გასცნობია ბერძნულ-რომაული ლიტერატურის კლასიკოსების — ჰომეროსის, ვერგილიუსის, სოფოკლეს ნაწარმოებებს; ზეპირად დაუსწავლია ბოლო-ი რიგი ხალ ყველაზე დიდი მწერლების პოემებიდან და გატაცებით კითხულობდა თურმე ლიტერატურულ საღამოებზე. გიმნაზიაში უცდია შილერის „ფრიდოლინის" გადმოკეთება, მაგრამ თვითონვე არ მოსწონებია, ხელი აუღია. თარგმნაზე და დაუწყია რომანი „სალბი", რომელშიც მიზნად დაუსახავს სპარსეთში მცხოვრები სომხების ბედუკუღმართი ცხოვრების აღწერა.

თბილისში გატარებული წლები ნაყოფიერი იყო მომავალი მწერლის ფორმირებისათვის, მაგრამ უეცრად გაუარესებულა მელიქ-მირზაბეგის სავაჭრო საქმეები და მამის ნოსტალგიით ჭაბუკი რაფი დაბრუნებულა სპარსეთში, სადაც მამის გარდაცვალების შემდეგ იძულებული გამხდარა ხელი მოეკიდა ვაჭრობისათვის იმ მიზნით, რომ მზრუნველობა გაეწია მრავალრიცხოვანი ოჯახისათვის.

მამის სავაჭრო საქმეების გამო რაფის უმოგზაურია ურმიაში. იქიდან თავრიზში დაბრუნების დროს გადმოუვლია ავარაირის ველი, — ის ისტორიული ადგილი, სადაც საფლავისეული ქვა დარაჯობს გმირულად დაღუპული მთავარსარდლის ვარდან მამიკონიანის სამარადისო სასუფეველს. ამ ველზე 451 წელს სომეხმა ხალხმა გმირულად დაიცვა თავისი ღირსება და დამოუკიდებლობა. ჭაბუკ რაფის გულდასმით მოუსმენია ყამიდან ველის მდუმარებაში გაბმული სიმღერა, რომელსაც ხან ბერი მღეროდა, ხან მარტოდ მავალი მგზავრი, ხანაც მგზავრთა ჯგუფი. ამ მარადიულ სიმღერას, რომელშიც ეშმარიტად ეისახა ვარდანის და მის თანამებრძოლთა უკვდავება, ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოუხ-

ლენია მომავალ მწერალზე. რომ რაფის დაუწერია ლექსი — „უწმინდესი ძელები“.

1857 წელს რაფიმ იმოგზაურა თურქეთის სომხურ ვილაეთებში, ტარონისა და ვასპურაკანის მხარეში. მოგზაურობის დროს ახლოს გასცნობია მშობლიური ხალხის ბედშავ მდგომარეობას და საკუთარი თვალით უნახავს როგორი განუკურნებელი ჭრილობებით იყო გულდასერილი მისი მშობლიური ერი.

თურქეთიდან თავრიზში დაბრუნებული რაფი საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ ვაჭრობა არ იყო მისი მოწოდება, ხელი აუღია ამ საქმეზე და მთლიანად მისცემია სამწერლო მოღვაწეობას.

თავის ცხოვრებაში მომხდარ ამ გარდატეხას მოგვიანებით ასე იგონებდა მწერალი: „უბედურად მიმაჩნდა თავი, რომ დავიბადე მდიდარი და წარჩინებული მშობლების ოჯახში. ახლა კი ბედნიერი ვარ, რომ საბედისწერო პირობებმა დამაშორეს იმ წრეს და გამიყვანეს ისეთ ასპარეზზე, საღაც შემიძლია ვიმუშაო ჩემი ერის ღარიბი ლიტერატურის გამდიდრებისათვის“.

ამ დროიდან იწყებს რაფი ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამწერლო მოღვაწეობას. სკოლიდან დაბრუნებული იგი თავისუფალ დროს მთლიანად ახმარს თვითგანვითარებას და წერას, თვალყურს ადევნებს თანამედროვე საზოგადოების გონებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებას, ეცნობა რუსეთიდან და დასავლეთიდან სპარსეთის სინამდვილეში შემოპრილ ფილოსოფიურ მიმდინარეობებს; საფუძვლიანად სწავლობს ასალ სომხურ ლიტერატურას. დიდი მოელვარებით წაუკითხია ხაჩატურ აბოვიანის რომანი „სომხეთის ჭრილობა“. ამ რომანის გავლენით ხელი აუღია გრაფარზე — სასულიერო-საეკლესიო ენაზე და ახალი სომხური სალიტერატურო ენით დაუწყია წერა. მაგრამ მალე დარწმუნებულა, რომ სპარსეთში ძალიან ეიწრო იყო მისი მოღვაწეობის ასპარეზი, ამიტომ საცხოვრებლად გადმოსულა თბილისში და გარდაცვალებამდე მთელი არსებით მისცემია საზოგადოებრივ-სამწერლო საქმიანობას, თან მუშაობდა გაზეთ „მშაკის“ რედაქციაში, სწერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებს, ისტორიული ხასიათის სტატიებს, სისტემატურად თანამშრომლობდა სომხურ ჟურნალ-გაზეთებში.

რაფი მეტად ნაყოფიერი მწერალი იყო. მართალია სულ 51 წელი იცოცხლა, მაგრამ სომხური ლიტერატურა გაამდიდრა ისეთი ნაწარმოებებით, რომლებიც სომხური ლიტერატურის საგანძურში მარად დარჩებიან როგორც მხატვრული სიტყვის შედევრები. „ხენთი“, „ჯალალედინი“, „ოქროს მამალი“, „ნაპერწკლები“, „სომეხი ქალი და სომეხი ახალგაზრდობა“, „დავით-ბეგი“, „პარეარ ჰაიკაზი“, „ყარიბი მუშელი“, „სამველი“, „ხამსის მელიქები“, „ხაზ-ფუში“, „ჰარამხანა“ და სხვა ნაწარმოებები დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ მომმე სომხეთში, თარგმნილია სხვა ხალხთა ენებზე და დიდ მოწონებას იმსახურებენ.

ამ ნაწარმოებებში მძაფრი მხატვრული ექსპრესიით აისახა წარსული, სომეხი ერის ტკივილები, ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის სულისკვეთება, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო რაფის მთელი შემოქმედებისათვის.

რაფის მოღვაწეობა მოუხდა ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიურ გარემოცვაში,

-როცა, ერთის მხრივ, ირღვეოდა ფეოდალური ეკონომიური ურთიერთობა, მეორეს მხრივ, თანდათან ძლიერდებოდა ახლადფეხადგმული კაპიტალიზმი. აღვირ-მიშვებული ფეოდალების გვერდით გაჩნდნენ ჩარჩ-ვაჭრები, რომლებიც ფეოდა-ლებზე არანაკლებ ავიწროებდნენ მშრომელ ხალხს. სამოქმედო ასპარეზზე მათი გამოჩენით უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა მშრომელი ხალხის ექსპლოატაცია, ძალმომრეობა, ფენებად დაყოფა. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამწვავდა აგ-რეთვე თურქეთის მიწაწყალზე და სპარსეთში მცხოვრებ სომეხთა მდგო-მარეობა. სულთანის ურდოები და სპარსელი ყიზილბაშები ყოველმხრივ ავიწ-როებდნენ იქაურ სომხებს, სდევნიდნენ, აწამებდნენ, აუტანელი გადასახადებით ბეგრავდნენ, ძალმომრეობას იჩენდნენ, ქურთებსა და სომხებს შორის ნაცი-ონალურ შუღლს აღვივებდნენ.

ამ ყოველისმომცველ წყვდიადში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე რაფი და, როგორც დიდმა განმანათლებელმა და პატრიოტმა, ხმა აიმაღლა, ერთის მხრივ, ფეოდალური ჩამორჩენილობის, ბატონყმობის და, მეორე მხრივ, თავგასული, ფულის მოხვეჭის მანიით შეპყრობილი ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ; აგრეთვე — თურქი ასკერებისა და სპარსელი ყიზილბაშების ძალმომრეობის წინააღმდეგ, და თავისი მხატვრული სიტყვის მთელი პათოსით მხურვალედ გამოექომაგა მშრო-მელ ხალხს, განსაკუთრებით გლეხობას, სოციალური უსამართლობის მარწუ-ხებში მოქცეულ ადამიანებს.

თავის მოღვაწეობაში რაფი, რასაკვირველია, თავისუფალი არ იყო ცალკე-ული შეცდომებისაგან, ზოგჯერ ძალიან გამუქებულ ფერებს ხმარობდა ამა თუ იმ მოვლენის დასახატავად. მაგრამ ეს იმდროინდელი აფორიაქებული, აშლილი ცხოვრების ანარეკლად უნდა ჩაითვალოს. იგი იყო მწერალი, რომელსაც ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე, — 1861 წლის რეფორმების მომდევნო პერიოდში, თით-ქმის ყამირის გატეხვა მოუხდა მწერლობაში, ჯერ ისევ თავისი ეპოქის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და, ბუნებრივია, თავისი მსოფლმხედველობით არ შეეძლო იმ იდეოლოგიურ სიმტკიცემდე ამაღლება, რომელიც დამახასიათებლად უნდა ჩაით-ვალოს ეხლანდელი დროისათვის. მიუხედავად ამისა, შავბნელი ეპოქის პირო-ბებში მისი ძლიერი მხატვრული სიტყვა მაინც გაბედული ცდა იყო შავად შე-მორტყმული იდეოლოგიური რკალის გარღვევისა.

პუმანისტი მწერლის შემოქმედებაში „ჰარამხანა“ ერთ-ერთი ძლიერი მამხი-ლებელი მოთხრობაა. ამ ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ მრავალი უსიამოვ-ნება შეხვდა რაფის სპარსეთის მმართველი წრეებისაგან. ამ მოთხრობაში ჭეშ-მარიტი ოსტატის ხელით დახატულია სპარსეთში და საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული ფეოდალური გარყვნილების სიმბოლო — ჰარამხანა. ამ ნაწარმოებში მკითხველის წინაშე ცოცხლდება ათასობით ქალების დამონებისა და აბუჩად აგდების უტყუარი სურათები.

„ხენთის“ სიუჟეტი რუსეთ-თურქეთის ომის (1877—1878 წ.წ.) ფონზე ბშლე-ბა. რომანი იწყება ალაშქმორტყმული ბაიაზეთის შემაძრწუნებელი ეპიზოდის აღწერით. მოხალისე სომხების და თურქების პატარა ჯგუფი გმირულად იცავს ქალაქში დარჩენილი რუსების მცირერიცხოვან რაზმს, რომელიც ვაჟკაცურად იგერიებს თურქების რეგულარული ჯარის, ქურთთა ბანდების და ბაშიბუზუკე-ბის იერიშებს. შემდეგ მწერალი უკან იხევს, მოქმედება გადააქვს რამდენიმე წლით იქით, აგვიწერს ალაშკერტის მაზრის ერთ-ერთი მშვიდობიანი სომხური სოფლის ცხოვრებას და ბოლოს ისევ უბრუნდება ომის პერიოდს.

ერთი გლეხის ოჯახის თავგადასავლის აღწერით რაფი დიდი უშუალობით

ხატავს სულთანის ბანდების მიერ აწიოკებული სომეხი გლეხობის ეკონომიურ და სულიერ ტრაგედიას, თურქეთის სამხედრო-ფეოდალური ჩაგვრის ეღელქვეშ მგმინავი ხალხის ცხოვრებას. ავტორი ღრმა ანალიზს უკეთებს სინამდვილეს და დაასკვნის, რომ იმ ქვეყანას, სადაც ცხოვრობენ სომხები და იმ მიწას, რომელსაც ამუშავებენ სომეხი გლეხები, შეუძლია იმდენი დოვლათის მოცემა, რომ სხვა პოლიტიკურ პირობებში ხალხი ჭეშმარიტად ბედნიერ ცხოვრებას დაიმკვიდრებდაო.

რომანი თავდება ვარდანის სიზმრით, რომელშიც ავტორი თავის გმირთან ერთად ორასი წლის შემდეგდროინდელ სომხეთში გადადის. სიზმარში ჩააქსოვა მწერალმა თავისი უღრმესი რწმენა მშობლიური ხალხისა და მისი ბედნიერი მომავლისადმი, რომელიც ორასი წლის მერე კი არა, ორმოცი წლის შემდეგ დამკვიდრდა ჭაღარა არარატის აღმოსავლეთით, მრავალტანჯულ სომხეთის მიწაწყალზე.

თუ „ხენთში" მწერალმა მხოლოდ ოცნებით წარმოიდგინა თავისი ერის მომავალი, რომანებში — „დავით-ბეგი" და „სამველი" — თავის ხალხს უჩვენა ამ მომავლისაკენ მიმავალი კონკრეტული გზა.

ეს რომანები რაფის შემოქმედების გვირგვინია. მათში მთელი სისადავით ვამოჩნდა მწერლის მხატვრული დიაპაზონი. ამ ნაწარმოებებში რაფიმ უბადლო ოსტატობით დახატა სომეხი ხალხის მხურვალე პატრიოტიზმი, უსაზღვრო ოპტიმიზმი, მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა, ცხოვრებისეული სიბრძნე, გონებაგამჭრიახობა. ორივე ნაწარმოები გამსჭვალულია გმირული სულისკვეთებით და უტყუარი მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა.

„დავით-ბეგის" მოქმედება სწარმოებს მე-18 საუკუნეში, სპარსელი ყიზილბაშების მიერ აწიოკებულ სომხეთში. ხალხს მოთმინების ფიალა ავსებია, სხვა გზა აღარა აქვს, ამბოხება უნდა მოაწყოს. სომეხი ხალხის წარმომადგენლები ეახლებიან საქართველოს მეფეს ვახტანგ VI-ს და სთხოვენ სამშობლოში გამოუშვას თავისი საყვარელი მხედართმთავარი დავით-ბეგი. ქართველთა მეფე მეგობრულ ხელს უწვდის სომეხ ხალხს, დავით-ბეგს აგზავნის სამშობლოში. დავით-ბეგი ეთხოვება თავის საცოლე თამარს და აჯანყებელთა მეთაურ თავად სტეფანოზ შაუშიანთან ერთად სომხეთში ბრუნდება, რომ სათავეში ჩაუდგეს გამათავისუფლებელ ბრძოლას. სომხები მას გადასცემენ ეროვნული გმირის ვარდან მამიკონიანის ხმალს და იწყება შეურიგებელი ბრძოლა სამშობლოს დამპყრობელთა წინააღმდეგ, ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე.

ამ რომანში ეპოქის კოლორიტს ქმნის თვით ის ამბები და სიტუაციები, მთლიანად ერის ის სულის ძვრა, რაც იმ შავბნელი დროისათვის იყო დამახასიათებელი და ტონის მიმცემი.

ნაწარმოებს ბოლომდე გასდევს კეთილშობილური იდეა: სამშობლოს დაცვა მტრებისაგან და ხალხთა მეგობრობის სადიდე. მწერალი მაღლა სწევს სამშობლოს სიყვარულის დროშას და გვეუბნება: სამშობლოს გათავისუფლებისათვის დაწყებული ომი წმინდა ომია, ხოლო მისთვის თავგანწირული მამულიშვილის სიკვდილი — სახელოვანი, უკვდავი სიკვდილი.

„დავით-ბეგი" იმდენად პოპულარული რომანია, რომ სომპეთის კინემატოგრაფისტებმა ამ ნაწარმოების მიხედვით შესანიშნავი კინო-სურათი გადაიღეს, რომელიც დღესაც დიდი წარმატებით სარგებლობს, ხოლო დიდმა სომეხმა კომპოზიტორმა არმენ ტიგრანიანმა მუსიკის ენაზე აამეტყველა მწერლის გმირები ოპერა „დავით-ბეგში".

ასეთივე ოპტიმისტური რომანია „სამველიც". ამ ნაწარმოებში მწერალს

მიზნად დაუსახავს სომეხი ერის ისტორიული ავკარგის აღწერა, — იმის ჩვენება. თუ როგორ ცხოვრობდა სომეხი გლეხი, რა ურთიერთობაში იყო თავის ბატონ-პატრონებთან, რით იკვებებოდა, რას იცვამდა, რა ტკივილები ჰქონდა და რა ახარებდა.

რომანის წინასიტყვაობაში, რომელიც ავტორს წარუმძღვარებია თავისი ნაწარმოებისათვის, რაფი გულისტკივილით წერს: „ჩვენს ისტორიაში თითქმის სულ ჯავიწყებულია ხალხი. ისტორიკოსებს მხედველობიდან გამორჩენიათ, რომ მეფეებისა და თავადაზნაურობის, სასულიერო წოდებისა და სამხედრო ფენის გარდა სომხეთში იყო ხალხიც, რომელიც თავისი ყოფით ცხოვრობდა, ჰქონდა თავისი დღესასწაულები და სანახაობები, გართობა და სულიერ-მორალური მიდრეკილებანი, რომლებიც თავის გამოხატულებას პოულობდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენებში. ჩვენი ხალხის ისტორია არ დაწერილა, არის მხოლოდ ბეჭედთა წიგნი“.

აი ამ ხარვეზის შევსება დაუსახავს მიზნად რაფის „სამველში“. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რომანში ხალხიდან გამოსულ ბევრ გმირს გვაცნობს, ვრცლად აღწერს გლეხკაცობის ცხოვრებას, მწერალმა მაინც ვერ შესძლო თავისი ჩანაფიქრისათვის ბოლომდე ხორცის შესხმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გლეხობის სოციალური მდგომარეობის სურათს იძლევა. რომანში ხალხი მეტწილად სტიქიურად მოქმედებს, მას არა აქვს თავისი დამოუკიდებელი სახე, იგი ცალკეული გმირების ერთგვარ დამატებას წარმოადგენს. სამაგიეროდ, დაუვიწყარი სურათებით არის გაცოცხლებული მე-4 საუკუნის დამლევის სომხეთის ისტორიული წარსული. სომხეთზე სპარსთა და ბიზანტიელთა გაბატონების მიზეზებს მწერალი ხედავს შინა ფეოდალურ აშლილობაში და სამეფო ხელისუფლების დასუსტების ტენდენციებში. ისევე როგორც „დავით-ბეგში“, აქაც მწერალი სომხეთის ხსნას საერთო-სახალხო მოძრაობაში ხედავს.

ამ ნაწარმოებზე მუშაობისას რაფის დაწვრილებით შეუსწავლია ისტორიული წყაროები, დაწყებული სომეხი ისტორიკოსებით — ფავსტოსით, აგათანგელით, ხორენელით, და გათავებული უცხო მემატიანეებით — ქსენოფონტეთი და სტრაბონით. ამათ შრომებზე დაყრდნობით მწერალი ისე ოსტატურად სატავს სურათებს, რომ „სამველში“ ძალუმად იგრძნობა მე-4 საუკუნის სომხეთის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მაჯისცემა. აქ, როგორც სარკეში, ისე ვხედავთ იმ ბედკრულ დრო-ჟამს და კონკრეტული მხატვრული სახეებით აღვიქვამთ სომეხი ერის ყოფის დამახასიათებელ ისტორიულად მნიშვნელოვან, ტიპიურ მოვლენებს.

დიდია რაფის დამსახურება მშობლიური ერის წინაშე. გარდა იმისა, რომ ესოდენ გაამდიდრა სომხური პროზა, სომხური მხატვრული სიტყვა, რაფი არის ახალი სომხური სალიტერატურო ენის უდიდესი ფუძემდებელი. თუ ხაჩატურ აბოვიანმა სათავე დაუდო ახალ სალიტერატურო ენას, რაფიმ პრაქტიკულად ხორცი შეასხა თავისი წინამორბედის მიერ ჩატარებულ რეფორმას. ახალმა სალიტერატურო ენამ რაფის თხზულებებში მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. შეიძლება ითქვას, რომ რაფიმ თანამემამულეები ყველაზე მეტად მიაჩვია მხატვრული ლიტერატურის კითხვას. რაფი იყო სომხური ენის უდიდესი მესაიდუმლე. ის იმდენად იყო დაუფლებული სომხურ მართლმეტყველ-

ლებას და მართლწერას, რომ გარეგნულად უპრეტენზიო და სადა ენობრივი საშუალებებით საოცარ ეფექტს აღწევდა პერსონაჟების დახასიათებისას და სიუჟეტების გაშლის დროს.

რაფიმ სულ ხუთი ათეული წელი იცოცხლა, მაგრამ იმდენად ნაყოფიერი შემოქმედი იყო, რომ თბზულებათა მრავალი ტომი დაგვიტოვა. გასაოცარი იყო მისი შრომისმოყვარეობა. რაფის ტალანტის დიდი თაყვანისმცემელი ა. შრეკერი ამის შესახებ სწერდა: „იმან იცოდა, რომ სამი მეოთხედით ტალანტი შრომისმოყვარეობაა. ის იყო დაუღალავი შემოქმედი, მისი მეამბოხე სული სულიერ სიმშვიდეს მხოლოდ შრომაში პოულობდაო“.

რაფის შემოქმედება თავის ერის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე დაფიქრებული მოღვაწის ანარეკლია, მის ნაწარმოებებში სომეხი ხალხის ნაგრძნობი და ნაფიქრია ჩაქსოვილი, ამიტომაც მიიტანა გულთან სომეხმა ხალხმა ესოდენ ახლოს თავისი დიდი შვილის შემოქმედება და უკვდავების შარაჟანდედით შემოსა მისი სახელი.

როცა რაფის შემოქმედებას თვალს ვავლებთ, გვაგონდება დიდი რუსი განმანათლებლის, ბ. ბელინსკის სიტყვები: „შეუძლებელია არ გიყვარდეს მამული... მხოლოდ საჭიროა, რომ ეს სიყვარული იყოს არა მკვდარი კმაყოფილება იმით, რაც არის, არამედ ცოცხალი სურვილი გაუმჯობესებისა; ერთი სიტყვით, მამულისადმი სიყვარული იმავე დროს უნდა წარმოადგენდეს სიყვარულს კაცობრიობისადმი... გიყვარდეს შენი სამშობლო — ეს ნიშნავს მგზნებარედ გსურდეს ხედავდე მასში კაცობრიობის იდეალის განხორციელებას, და რამდენადაც ძალ-ღონე შეგწევს ხელს უწყობდე მას“.

ამ საკაცობრიო იდეალისაკენ იღწვოდა დღენიადაგ რაფი, მასზე ოცნებაში ჩაფერფლა მისი სიცოცხლე. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ეარდანის შთამაგონებელი სიტყვები „ხენთიდან“:

„რამდენი სიცოცხლეა შენში, რამდენი უბრალოება, — მიმართავს იგი ქალაშვილს, — შენ როდი ხარ დამნაშავე, რომ ნაძარცვს ისე უყურებ, როგორც სამართლიან გზით მოხვეჭილს? ასე გასწავლეს. შენ რომ სხვა პირობებში აღზრდილიყავი, ისეთი მდიდარი ბუნება გაქვს, მთელი კაცობრიობის სამკაული იქნებოდი“.

სხვა პირობებზე, სხვა სამყაროზე, — სამართლიან მომავალზე ოცნებით შეხვდა რაფი თავისი ცხოვრების ფარდის დახურვას და შშობლიური ხალხის წინაშე ვალმოხდილმა, თან წაიღო ეს სანუკვარი ოცნება, რომელმაც ფრთები შეასხა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში „ავროროს“ ზარბაზნების ქუხილის შემდეგ.

სომეხი მწერლებიდან გ. სუნდუკიანის შემდეგ რაფი მეორე მწერალია, რომელიც ქართველმა საზოგადოებრიობამ სიცოცხლეშივე გაიცნო.

იმდროინდელი პერიოდული პრესიდან ყველაზე ფართოდ მწერლის გარდაცვალებას გამოხმაურებია ილია ჭავჭავაძის „ივერია“. ერთ-ერთი წერილი მოკლედ, მაგრამ ღრმააზროვნად იძლევა რაფის მოღვაწეობის დახასიათებას:

„რაფი ხალხის შვილი იყო, ერს ეკუთვნოდა და ამ ერსავე უდგა წინ ფარად. მთელი თავისი სიცოცხლე ამ გამოჩენილმა მწერალმა თავისი ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და შრომაში გაატარა... ჩვენს დროს სომხების არც

ერთს მწერალს არა ჰყვანდა იმდენი მკითხველი, რამდენიც რაფის" („ივერია", 1888 წ. №89).

რაფის დასაფლავების დღეს „ივერიას" ვრცელი წერილი გამოუქვეყნებია. ამ წერილში ნათქვამია:

„დღეს, პარასკევს, თბილისში ასაფლავებენ სომეხთა გამოჩენილ მწერალს რაფეს, რომელიც ანთებით გარდაიცვალა აღდგომა დღეს, შუაღამისას. სომეხთა ლიტერატურამ დაჰკარგა მით ერთი პატიოსანი და ნიჭიერი მწერალი.

განსვენებულს რაფეს, რომლის ნამდვილი სახელი იყო აკოფ-მელიქ-აკოფიანი, დიდი სამსახური მიუძღვის სომეხთა წინაშე თავის სალიტერატურო მოღვაწეობითა. იგი გამოსულია სპარსეთიდამ, აქ, ჩვენს თფილისს შეეკედლა, აქ იღწვოდა თავის საყვარელ ერისათვის, აქვე აიგო თავისი სახსოვარი მშვენიერის ნაწერებითა და აქვე აღსრულდა და დასაფლავდა.

მთელი სომხობა ჰგლოვობს დღეს აგრე უდროოდ აღსრულებულს მწერალსა, რომელმაც არა ერთხელ გამოსთქვა თავის სიცოცხლეში მადლითცხებული ძლიერი სიტყვა და არა ერთხელ შეუნძრია გული თავის თანამემამულეებს უმაღლესის გრძნობისა და აზრისათვის. ამისთანა კაცს ძნელად ივიწყებს ერი, რადგანაც ამისთანა კაცი თავის მადლიან გულში ატარებს თვითონ ერის ჭირსა და ლხინსა". („ივერია", 1888 წ. №88).

რაფის დასაფლავების მესამე დღეს გაზეთში მოთავსებული იყო ვრცელი წერილი სათაურით „დასაფლავება რაფეისა", სადაც ვრცლად არის აღწერილი გამოსვენების პროცესი. „მთელი კუბო განსვენებულისა მთლად გადაფენილი იყო ყვავილებითა და ყვავილების გვირგვინებითა სომხის გაზეთების რედაქციებისაგან და სხვათა შორის „ივერიის" რედაქციისაგანაც", — წერს ერთგან ავტორი და წერილს ასეთი გულთბილი და შთამაგონებელი სიტყვებით ამთავრებს:

„მშვიდობა და განსვენება სულსა შენსა, პატიოსანო მოღვაწევ! გუშინწინდელმა დღემ დაგვიმტკიცა, რომ შენისთანა კაცი სიკვდილითაც არა კვდება, პირიქით, შენ თვითონ სძლიე უძლეველს სიკვდილსა, შენ თვითონ მოაკვდინე სიკვდილი იმიტომ, რომ შენმა ღვაწლმა ხელთუქმნელი სახსოვარი გაიკეთა ყოველი პატიოსანი სომხის გულში და ამ გულში დიდხანს იქნება შენახული შენი სახელი, როგორც მარგალიტი ზღვაში. კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, იტყვის ხოლმე ქართველი კაცი. ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. შენ ეგ ორივე სახელი გქონია და შენმა თანამემამულეებმა იმ თან წასაყოლს სახელს გაატანეს ხელთქმნილი, ხელით გაკეთებული, წარმავალი გვირგვინები, ხოლო მეორე სახელს კი, აქ დასარჩენს, თავიანთ გულში გულითვე დაუწნეს სხვა ხელთუქმნელი გვირგვინი, რომელიც არც მიდის და არც სჭკნება. უკვდავება სხვა რა არის, თუ არა ესა!".

რაფის გარდაცვალების შემდეგ მისი ნაწარმოებებისადმი ინტერესი საქართველოში გაძლიერდა და დაიწყეს რაფის ცალკეულ ნაწარმოებთა თარგმნა. სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევარის სურენ ავჩიანის ცნობით 1894 წელს ცალკე წიგნად გამოსულა რაფის მოთხრობა „უმანკო მსხვერპლი", (თარგმანი ტერ-ეღიშე ტერ-ასტვაცატურიანისა), 1891 წელს „რამდენიმე მოთხრობა" (თარგმანი დავით ტერ-დავთიანცისა, ტფილისი, მ. მ. შარაძის სტამბა, 63 გვერდი, პორტრეტი, ფასი 25 კაპ.) ხოლო 1903 წელს — ცალკე წიგნად — „ხენთი" (თარგმანი ბ. ევანგულოვისა).

„ხენთის" თარგმანს „ივერია" მაშინვე გამოხმაურებია ბიბლიოგრაფიის გან-

ყოფილებაში მოთავსებული წერილით, რომლითაც ავტორი მისალმებია წიგნის გამოსვლას და სხვათა შორის წერს:

„მართლაც, ჩვენთვის დიდი სირცხვილია, რომ ეგეთს მახლობელ მეზობელ ერს, როგორც არის სომხობა, ვერ ვიცნობთ; ვერ ვიცნობთ განსაკუთრებით მის ლიტერატურას, რომელიც არ შეიძლება, ჩვენთვის არ იყოს საინტერესო. გვეპატიება, რომ ევროპის რომელსამე მცირე ერის ლიტერატურას არ ვიცნობდეთ, ან არც გვაინტერესებდეს, მაგრამ სომხების ლიტერატურა კი არამც, თუ უნდა გვაინტერესებდეს და ვიცნობდეთ, არამედ შესწავლილიც უნდა გვქონდეს, როგორც სომხებს ქართული. — ქართველების და სომხების ინტერესები ისეა გადახლართული ერთმანეთში და აუცილებელია ჩვენი ურთიერთობა, რომ ამ მოვლენის უარყოფა ბრმასაც არ ძალუძს“. („ივერია“, 1903 წ. №172, აგვისტოს 13, „ხენთი“. რაფფის ისტორიული რომანი).

რაფი ეკუთვნოდა ისტორიული უკეთესმართობით საბუდარაშლილი სომეხი ხალხის იმ შვილების რიცხვს, რომელნიც უამინდობის სუსხიან დღეებში აქეთ, ქართველთა საამაყო ქალაქ თბილისისაკენ მოილტვოდნენ და აქ, თბილისის ცის ქვეშ უხდებოდათ აღმოცენება, გაფურჩქვნა და დაყვავილება.

თბილისმა მისთვის ჩვეული სტუმართმოყვარეობით შეიკედლა სომეხთა დიდი მწერალი რაფიც, თავისი კალთა გადააფარა და დიდების უკვნობი გვირგვინიც შემოუნახა, რომელიც დღესაც ამშვენებს მის საფლავს ყოფილ ხოჯევანქის სომეხ მწერალთა პანთეონში. უკვდავების ძეგლი კი ხალხმა აუგო ნიშნად იმისა, რომ რაფი არასოდეს არ ღალატობდა თავის ჰუმანურ პოზიციებს, რომლებიც ადამიანისადმი პატივისცემას ქადაგებდნენ.

არჩილ დავითიანი

ოჭროს მამალი

ა

სოფელ ბ-ში თანამემამულეთა ყურადღებას იპყრობდა ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც ის იყო თორმეტი წელი შესრულებოდა. საეკლესიო გალობის მოყვარული გლეხები აღტაცებულნი იყვნენ და მთელი გულისყურით უსმენდნენ, როცა ეს ბიჭი დილადრიან სიმღერით მიერეკებოდა ბატკნებს საძოვარზე.

ყმაწვილს სასელად გალუსტი ერქვა, მაგრამ გლეხები მოკლედ კალოს ეძახდნენ. კარგა ჩასკვნილი ბიჭი იყო, ეტყობოდა, მხარბეჭიანი ჭაბუკი დადგებოდა. კალოს სანდომიანი გამომეტყველება ჰქონდა, მზემოკიდებულ სახეს სწორი ნაკვთები უმშვენებდა, ხოლო ცეცხლოვანი და ველური თვალები მათი პატრონის ფრიად მხიარულ ბუნებას უსვამდნენ ხაზს.

კალო ობოლი იყო. მშობლები ქოლერის დროს დაღუპულიყვნენ და ბედის ანაბარად დაეტოვებინათ ერთადერთი შვილი. ბიძას, კეთილ ავეტს „სულის ცხონების“ მიზნით აეყვანა ბავშვი თავის მზრუნველ-

ლობის ქვეშ. ავეტს გლეხობა „აპერს“[1] უწოდებდა, დიდ პატივს სცემდა. იგი მშვიდი და შრომისმოყვარე კაცი იყო, ხშირად მეზობლებს შორის ატეხილ დავას უცბად დააცხრობდა.

ავეტის ოჯახი დიდი არ იყო. თვითონ, მეუღლე ეღისაბეთი და მცირეწლოვანი ორი ბავშვი — აი მისი ოჯახის შემადგენლობა. როგორც მფარველი და მბრძანებელი, ავეტი ოჯახში თავისი მაღალი ავტორიტეტით დიდ როლს თამაშობდა. საერთოდ ბებრები გულკეთილნი არიან, ასეთი იყო სამოცდაათი წლის მოხუცი, ბებია შუშანიც. იგი საგანგებო ყურადღებით ეპყრობოდა თავის შვილიშვილ კალოს, რომელშიც გარდაცვლილი შვილის ხატებას ხედავდა.

პატარა კალო გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომით ბიძას ეხმარებოდა ოჯახურ საქმეებში, ზამთარში კი მღვდელთან დაიარებოდა და სამღვთო რჯულს კითხულობდა. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, ვითომ კალო დამარცვლით, ასოების ჩათვლით კითხულობდა, ო, არა, მან ბევრი ლოცვა და შარაკინი[2] ზეპირად იცოდა, წიგნი კი მხოლოდ თვალის შესახედად ედო.

სოფლად ბიჭები ძალიან გადატვირთულნი არიან სამუშაოთი, ასე იყო კალოც. მაგრამ სხვებთან შედარებით უფრო თავისუფალი იყო. დილაადრიან ადგებოდა თუ არა, კოკით წყალს მოიტანდა, თონისთვის ფიჩხს მოზიდავდა, ეზო-ყურეს დაგვიდა და ეღისაბეთს ძროხის მოწველაში ხელს წააშველებდა. ამ საქმეებს სხვა ოჯახებში გოგოები ასრულებდნენ, მაგრამ ბიძია ავეტს ქალიშვილები არა ჰყავდა, ბიჭები კი ჯერ პატარები იყვნენ, ამიტომ ეს მოვალეობა კალოს ეკისრებოდა. როცა ოჯახურ საქმეებს მოათავებდა, კალო ერთ ნატეხ პურს გამოიკრავდა, ვეებერთელა კეტს აიღებდა და ბატკნებს გაირეკავდა საძოვარზე. ოჯახში მას ცუდად არ ექცეოდნენ, არასოდეს ხელი არ დაუკარებიათ, ბიჭი მორჩილად უსმენდა უფროსებს და ბეჯითად ასრულებდა მათ ყველა დავალებას.

პატარა მწყემსებს ძალიან უყვარდათ კალო, ისინი თავიანთ ბატკნებს კალოს ბატკნებთან მორეკავდნენ ხოლმე და მერე მდინარე არაქსის სანაპიროებს დაუყვებოდნენ გემრიელი ბალახის საძებნელად. სოფელი ახლოს იყო ამ მდინარესთან.

ამხანაგებს ისე უყვარდათ კალო, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ მოისვამდნენ — კალო მათი გამრთობი იყო, რა სიმღერა გინდა, რა ზღაპარი რომ მან არ იცოდა: ოხუნჯობასა და სალამურზე დაკვრაში ხომ ბადალი არა ჰყავდა. ბოლოს კალომ გულადი ბი-

---

[1] აპერ — ბიძა.

[2] შარაკინი — სომხური საეკლესიო საგალობელი. (მთარგმნ. შენიშვნა).

ჭის სახელიც მოიპოვა — ეს მაშინ მოხდა, როცა ერთ დღეს მდინარე არაქსში ბანაობის დროს, დახრჩობას გადაარჩინა თავისი ერთ-ერთი ამხანაგი. იმ დღეიდან კალო თანასოფლელთა სათაყვანებელი ახალგაზრდა გახდა.

— კალო, აჰა, ჩვენი საუზმე ჭამე. შენ ობოლი ხარ... დედაშ კარაქი, ყველი, ნაღები გამოგვატანა. მოდი ერთად შევექცეთ, — სთავაზობდნენ ბიჭები, როცა შუადღისას სადილად დასხდებოდნენ ხოლმე მოლზე.

ბ

დიდმარხვის ბოლო კვირა იდგა. ამ დროს გლეხებს რაც კი რამ კარგი აბადიათ. მიაქვთ ქალაქში, რომ მდიდრებმა ბრწყინვალე აღდგომა გაითენონ. ერთ დილას ავეტ ბიძაც მამლის ყივილზე წამოდგა. ჭრაქი აანთო, პირი დაიბანა. პირჯვარი გადაისახა და სახედრები დატვირთა. ოჯახს ეძინა. მარტო ელისაბეთი შეელოდა მეუღლეს. ავეტ ბიძას წინა დღეს ქალაქში წასაღებად მოემზადებინა ორი ტიკი ერბო, ერთი საპალნე მსუყე ახალი ყველი, ორი გოდორი კვერცხი და რამდენიმე ქათამი.

ეს დიდი ამბავი აბა როგორ გამორჩებოდა კალოს! როგორც კი ბიძის ფეხის ხმა გაიგონა, თავი წამოყო, თვალები გააჭყიტა და მუდარის კილოზე ითხოვა:

— ძია, მეც წამიყვანე ქალაქში.

— სადა? — ცოტა აღელვებით შეეკითხა ბიძა.

— ქალაქში, — მიუგო კალომ.

საერთოდ ავეტ ბიძა ძალიან დინჯი, თავშეკავებული კაცი იყო, მაგრამ ამ დილას რატომღაც გულმოსული და მოწყენილი ჩანდა. ასეთი ადამიანები სრულიად უმიზეზოდ თავიანთ სიბრაზეს ზოგჯერ უდანაშაულო ადამიანებს გადმოანთხევენ ხოლმე, აი ასეთი უდანაშაულო მსხვერპლი აღმოჩნდა საწყალი კალოც.

— ხმა ჩაიკმინდე, ძაღლის ლეკვო, — მკაცრად დაუღრიალა, — ქალაქში წასვლაღა გაკლდა?..

კალო დადუმდა, თავი ბალიშში ჩარგო და საბნის ქვეშ ჩუმად აქვითინდა. ტირილის ხმაზე გამოეღვიძა ბებია შუშანს, რომელიც შვილისშვილს გვერდით უწვა.

— ბიჭო, რადა ტირი? რა დაგემართა?, — შეეკითხა ბებია.

კალომ ამცნო მიზეზი.

სწორედ ამ დროს ქოხში შემოვიდა ავეტ ბიძა უკანასკნელი ტვირთის გარეთ გასატანად.

— შვილო, ავეტ, საწყალ ბავშვს რად ატირებ? — შეეკითხა დედაბერი. — რაკი უნდა წამოგყვეს, შენც წაიყვანე, გულს რად უტეხავ?

— აბა რა დროს მაგისი ქალაქში წაყვანაა, — უპასუხა ავეტმა ცოტა შერბილებული კილოთი.

— აგერ პეტროსაანთ გიგუიც მიდის, ის ხომ ჩემზე დიდი არ არის?.. — საბნის ქვეშიდან მოისმა კალოს ნამტირალევი ხმა.

— წაიყვანე, შვილო, — დამრიგებლური კილოთი გაუმეორა დედაბერმა. — წაიყვა, დაე ნახოს ქვეყნები, გოგო ხომ არ არის, მუდამ სახლში იჯდეს. ბიჭია, გულით სწადია, რამეს შეისწავლის, თვალს გაახელს.

დედაბრის სიტყვებმა უქმად არ ჩაიარა, მეტადრე, რომ ავეტის ცოლმა — ეღისაბეთმაც თავის მხრივ დაარწმუნა მეუღლე, ბიჭი გზაში საჭირო იქნება, სახედრებს გაუჯავრდებაო.

— მაშ ადექი, წავიდეთ, ნუ იგვიანებ, — ბოლოს უთხრა ავეტ ბიძამ.

სააღდგომოდ სოფლელ ბავშვებს ქალაქში წასვლა ძალიან უხაროდათ. იქ უყიდდნენ ახალ ახალუხს, ქუდს, ქალამნებს, ან სხვა რამეს, რაც მათ სიამოვნებას ჰგვრიდა. კალო პირველად მიდიოდა ქალაქში, ამიტომ იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ბავშვი ჩიტივით წამოხტა ლოგინიდან, ერთ ხანს აქეთ-იქით დაბორიალობდა, თვითონაც არ იცოდა რისთვის, და ბოლოს თავისი გრძელი კეტის ძებნა დაიწყო.

კალოს დიდი მომზადება არ დასჭირვებია, ჩვეულებისამებრ გაუხდელი წვებოდა ლოგინში, მარტო ქალამნების თასმები უნდა შეეკრა და ყველაფერი მზად იყო. მწყემსის ჯოხიც იპოვნა, მერე მიიჭრა ბებიასთან, ყელზე მოეხვია და ჰკითხა:

— ქალაქიდან რა მოგიტანო, ბები?

დედაბერმა არაფერი უპასუხა, შვილიშვილს აკოცა და თვალები ცრემლით აევსო.

სახედრები დატვირთული იდგნენ ეზოში. ეღისაბეთი ჭრაქით ხელში ყარაულობდა, ავეტი გომურში ტრიალებდა. იქედან გამოიყვანა ორი თვის მსუქანი ბატკანი, დააკრა ტვირთს და თავისთვის ჩაილაპარაკა — ამასაც „აღას“ წავუყვანო...

გათენებამდის კარგა დრო იყო დარჩენილი, როცა ქარავანი გზას გაუდგა.

გზაში ავეტ ბიძას სხვა მგზავრებიც შემოუერთდნენ, რომლებსაც ქალაქში გასაყიდი საქონელი მიჰქონდათ. მგზავრთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

წყნარი ამინდი იდგა. ვარსკვლავები ციმციმებდნენ. გაზაფხულის სურნელება ტრიალებდა ჰაერში. რამდენიმე დღის წინათ წვიმისაგან ატალახებული გზები უკვე გამშრალიყო და სახედრები თავისუფლად მიჩაჩაკებდნენ, ტალახიან გუბეებში არ უვარდებოდათ ფეხი. კალო და თანატოლი ბიჭები წინ მიდიოდნენ, სახედრებს მიერეკებოდნენ, უფროსები უკან მოსდევდნენ და ერთმანეთში მუსაიფობდნენ:

— ვნახოთ, რა ფასში გაიყიდება ფქვილი, — თქვა ერთმა გლეხმა.

— ამბობენ, გაძვირდაო, — მიუგო მეორემ.

— ეხლა თუ კარგ ფასში არ გაიყიდა, მაშ როდისღა დაადგება საშველი, — ჩაერია მესამე, — ზამთარი ისე გავიდა, თოვლი თვალით ვერა ვნახეთ, ვაი ჩვენი ბრალი ამ ზაფხულს... ალბათ დასალევი წყალიც კი მოგვენატრება...

— ამ ცოტა ხანში რომ წვიმა არ მოსულიყო, ყანები სულ გაფერანდებოდა. იქნებ ცოტა გამოაკეთოს.

— ეჰ, ერთი წვიმით რა ეშველება, აქლემს წვეთებით ვერ მოუკლავ წყურვილს... ჩვენი ცოდვების ბრალია, ზეცა რომ წვეთს აღარ იმეტებს...

— ეს მღვდლებიც ჯვარსა და სახარებას არ ატარებენ, რომ იქნება ღმერთმა შეგვიბრალოს. — ლაპარაკში ჩაერია სხვა გლეხი და პირჯვარი გადაიწერა.

— მღვდელს რა ენაღვლება, ის დღენიადაგ „ბლაღოჩინთან" დაიარება, ყოველ დღე ახალ-ახალი ბრძანება მოაქვს, — ეს მოგვეცით, ის მოგვეცითო... ამდენი მიცემით სული ამოგვძვრა... აღარ იცი, რომელი დარდი მოინელო... ყოველმხრიდან გთხოვენ... ერთი ეროშის ხეირი კი არავისგანა გვაქვს...

ეს სიტყვები ერთ მორწმუნე გლეხს არ ესიამოვნა და გამოეპასუხა:

— ისე ლაპარაკობთ, რომ ღმერთი გაგვწყრომია, არც თოვლს გვაძლევს და არც წვიმას. მღვდელი, რაც არ უნდა იყოს, ჩვენი სულიერი მამაა, იმისი ლოცვა-კურთხევა გვინახავს.

— ამბობენ — ერბო ძალიან გაძვირებულაო, — საუბარში ჩაერია ერთი სხვა გლეხი. — მარკოს, შენ როგორ გაყიდე?

— ათ მანეთად.

— კვერცხი?

— ასი ერთ მანეთად.

— კარგია.

მთელი ამ საუბრის მანძილზე ავეტი სდუმდა, ბოლოს იმანაც ამოიდგა ენა.

— რაზე იწუხებთ თავს, ძვირად გაყიდით თუ იაფად. სულ ერთი არ არის? სახლში რას წაიღებთ. ჩვენ ქალაქელების ყმებად გავუჩენივართ ღმერთს, წელიწადი თორმეტი თვე წელებზე ფეხებს ვიდგამთ, ვხნავთ, ვთესავთ — სულ იმათთვის. ჩვენ ფქვილს, ჩვენ ერბოს, ყველს ყიდულობენ, ჭამენ, ფულსაც ჯიბეში იქისავენ. ძველი ვალი კი რჩება და რჩება. ყოველთვის ასე დაზურგულები მივდივართ ქალაქში და უკან დაბრუნებულებს სირცხვილით ჩვენი ცოლშვილისათვის სახეში ვერ შეგვიხედია, როცა გვეკითხებიან „ქალაქიდან“ რა მოგვიტანეთო?

ამ სიტყვებმა სევდა მოჰგვარა ყველას და მეხდაცემულებივით დადუმდნენ. გლეხს არაფერი ისე არ სწყინს, არაფერი ისე არ სწყვეტს გულს, როგორც ვალის მოგონება. ავეტ ბიძა სწორედ ამიტომ იყო ცხვირდაშვებული, მოწყენილი, როცა ამ დილით ტვირთს ამზადებდა ქალაქში წასაღებად; კარგად იცოდა, თავისი ნაოფლარი მუქთად მიჰქონდა, რომ მას არაფერი არ დარჩებოდა. კალოს ამხანაგები კი მხიარულად მიერეკებოდნენ სახედრებს, ისინი სულ სხვა რამეზე ბჭობდნენ და მათი მშობლების მიერ მიცემული ვექსელებისა არაფერი გაეგებოდათ.

— საქი, შენ ქალაქი გინახავს? — შეეკითხა კალო, — იქ ბატკნებს სად აძოვებენ?

საქიმ, რომელიც ყველაზე უფროსი იყო და რამდენიმე წელიც ეცხოვრა ქალაქში, უპასუხა:

— ქალაქელებს ცხვრები არა ჰყავთ, არც ბატკნებს ინახავენ.

— მაშ, იმათი ბიჭები, ბატკნებს თუ არა მწყემსავენ, მთელ დღეს რას აკეთებენ? — ისევ შეეკითხა კალო.

— კითხულობენ.

— გაკვეთილი თუ არ იციან, მღვდელი რითი სცემს?

— მღვდელთან არაფერი ესაქმებათ, ისინი სკოლებში დადიან.

— სკოლა რა არის?

საქიმ არ იცოდა რა პასუხი გაეცა და რაღაც მიკიბ-მოკიბა.

— სკოლა სკოლაა.. არ გესმის?

ახლა სხვა ბიჭი შეეკითხა:

— ალბათ ქალაქის ბიჭებს კარგი ქალამნები აცვიათ, არა?

— ისინი ქალამნებს არ იცვამენ, საპოგებსა ხმარობენ, — უპასუხა საქიმ.

— საპოგი რა არის?

— რუსის ქალამანია.

— იქ მაყვალი არის? ზღმარტლი? — შეეკითხა სხვა ბიჭი.

— არა, ტყე ქალაქიდან შორსაა.

— მაშ ქალაქის ბიჭები რასა ჭამენ?

საქიმ აღარ იცოდა, როგორ დაეკმაყოფილებინა თანატოლების ცნობისმოყვარეობა და რამდენადაც შეეძლო, ისეთი ახსნა-განმარტება მისცა ქალაქური ცხოვრების შესახებ, — ქალაქში მაღალი სახლებია, ბაზარი აქვთ, ხარ-კამეჩის ნაცვლად ცხენებს აბამენ. ურმებს (ეტლებს) მარტო ჩასაჯდომად ხმარობენო. ბოლოს დაუმატა. ქალაქის ბიჭები სოფლელებს მასხრად იგდებენ და თუ ხელთ იგდეს, სცემენ კიდეცო.

საქის უკანასკნელი სიტყვები კალოს არ მოეწონა, თავისი დიდი კეტი ჰაერში შემართა და დაიმუქრა:

— უყურეთ ამ კეტს. ისე მაგრა ვდრუზო. რომ სულ „ვაი დედა“ ვაძახებინო.

დ

ქალაქი ე... მდებარეობდა იმ მდინარის პირას, რომელიც სათავეს გელამის ტბიდან იღებდა. იგი იმ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნებოდა. რომელთაც მთლიანად არ ჩამოებერტყათ სპარსული მტვერი. და სადაც სომეხიც თურქია. ხოლო თურქი — ორმაგად თურქი. აქ დედაკაცები ნაწნავებს ინით იღებავენ. მამაკაცები კი ვიწრო შარვლებს იცვამენ და ფეხი ქოშებში აქვთ წაყოფილი.

ქალაქში ჩამოსვლის მეორე დღეს, საღამოთი, ავეტ ბიძა, სოფლიდან ჩამოტანილი სანოვაგის გაყიდვის შემდეგ კომბალზე დაყრდნობილი. ერთი დუქნის კარებთან ატუზულიყო და შიგნით იყურებოდა, შესვლას კი ვერა ბედავდა. ამ დროს ავეტ ბიძა ჰგავდა იმ ადამიანს, რომელიც თავის განაჩენის გამოტანას ელოდა.

იდგა გარინდებული და ელოდა, ელოდა მანამდე, სანამ შეამჩნევდნენ, და დუქანში მიიწვევდნენ. ავეტ ბიძას ფეხებთან, პატრონივით მოწყენილი იდგა აღასათვის სააღდგომო საჩუქრად ჩამოყვანილი ბატკანი. ბატკნის გვერდით მიმჯდარიყო პატარა კალო, ხელი ბატკნისათვის ჩაევლო ფეხში, რომ არსად გაქცეულიყო. კალო მხიარულად იყო. არაფერზე არ ფიქრობდა, გაოცებული იმზირებოდა ირგვლივ და ყველაფერს გულმოდგინედ ათვალიერებდა.

— ბიძია, აღას პატარა ბიჭი ჰყავს? — შეეკითხა იგი.

— არა ჰყავს, — უგულოდ უპასუხა ბიძამ.

— მაშ ამ ბატკანს ვინ უნდა ეთამაშოს?

ავეტ ბიძამ იყუჩა.

ამ დროს გლეხის ყურადღება რაღაც ხმამ მიიპყრო.

— ჰა, ავეტ ბიძა, ჩამოსულხარ?

ამ ხმამ ავეტ ბიძა გამოაფხიზლა, მიიხედა და თვალი შეავლო აღას ერთ-ერთ ნოქარს. გლეხმა უკან-უკან დაიხია და მოწიწებით თავი დაუკრა.

— ალბათ აღას სანახავად მოხვედი? — შეეკითხა ჭაბუკი.

— აბა ისე როგორ გავბრუნდებოდი სოფელში? — უპასუხა ავეტ ბიძამ.

— შენ რო იცი, ის, მოიტანე? — კვლავ შეეკითხა ჭაბუკი და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ცერზე გაუსვა.

ავეტი მაშინვე მიხვდა, ნოქრის თითების მოძრაობა ფულს ეხებოდა და თავის დაქნევით დაუდასტურა — მოვიტანეო.

ჭაბუკი შევიდა დუქანში და რამდენიმე წუთის შემდეგ ავეტი თავისთან იხმო — ორი მსხვერპლი ერთად ელოდებოდა ერთ და იმავე საბედისწერო დასასრულს...

გამოუთქმელი შიშით და მოკრძალებით შევიდა ავეტ ბიძა დუქანში და შორიდანვე მდაბალ თავისდაკვრით მიესალმა დაბალ, ჩასუქებულ თმებშეჭრილ კაცს, რომელიც მაგიდას მისჯდომოდა და რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა.

ავეტ ბიძას მოკრძალებული თავგამოდება შეუმჩნეველი დარჩა, აღა თავისი საქმით იყო გართული. გლეხმა კისერი მოიფხანა და რამდენჯერმე ყრუდ ჩაახველა, რომ თავისი არსებობა ეცნობებინა. აღამ თავი აიღო, ავეტს შეხედა. ავეტი განმეორებით მიესალმა.

აღა ზრდილობიანი კაცი იყო, მეტადრე იმათ მიმართ, ვისთანაც ანგარიშები ჰქონდა. ანგარიშსწორების დროს ფარისევლური ღიმილი არ სცილდებოდა სახიდან, ახლაც. დაინახა თუ არა ავეტი, კუშტ პირსახეზე უჩვეულო ღიმილმა გადაურბინა და დასძინა:

— კეთილი იყოს შენი მოსვლა ავეტ. — მერე შეეკითხა: — როგორა ხარ, და რასა იქ? შვილები, ჯალაბი როგორა გყავს?

— თქვენი ლოცვა-კურთხევით არა გვიჭირს რა, აღა, — უპასუხა გლეხმა. — დაე უფალმა ჩვენ შეგვიმოკლოს სიცოცხლე და თქვენ დაგიმატოთ.

— პირუტყვი, სახნავ-სათესს კაი პირი უჩანს?

— პირუტყვი, მადლობა გამჩენს. კარგადა მყავს. აი ნათესები

კი მთლად გადახმა. გვალვამ მოსპო-გაანადგურა. ჩვენი ცოდვების გამო წელს წვიმა არ გვაღირსა უფალმა. მღვდელს მივაკითხეთ, იმან წიგნში ჩაიხედა და გვითხრა — ზეცა შეუკრავთო...

აღამ გადაწყვიტა ესარგებლა გლეხის ცრუმორწმუნეობით.

— ხომ გეუბნებოდით, ვალს თავის დროზე უნდა გადახდა, თორემ ღმერთი გაგიწყრებათ-მეთქი. მაგრამ ვერაფერი შეგასმინეთ. ნათქვამია — „აიღე — დაუბრუნე", სად გაგონილა — „აიღე და გადაყლაპეო". ავეტ ბიძა, ეს სიტყვები სხვებს ეხება, შენ კაი კაცი ხარ, კარგი კაცი იყო ცხონებული მამაშენიც, მაგრამ ის დაწყეველილი თათოსაანთ გეო ძალზე უსინდისო გამოდგა, აგერ ერთი წელია, ოცი მანეთი წაიღო და აღარც თვითონა ჩანს, არც ვალს იხდის.

— პირშავადაა, აღა, — მიუგო გლეხმა საბრალობელი ხმით, — საწყალი კაცია, იოლად წაიყვანე, წვრილშვილის პატრონია, რა ქნას, არა აქვს, რო ჰქონდეს, უეჭველად მოგიტანდა, სულს დაიხსნიდა.

— მეც ხომ ცოდო ვარ. განა მე ცოლ-შვილი არა მყავს? — გულმოსვლით უპასუხა აღამ.

—ღმერთს შენთვის მოუცია, და კიდევ ბევრს, ბევრს მოგცემს, ის კი ძალზე ღარიბ-ღატაკია.

— არა, ავეტ ბიძა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მაგრამ ამეების არა გესმის რა, — აღამ წყნარად მოუჭრა სიტყვა გლეხს, — ვინც წაიღებს, ყველამ რომ აღარ დამიბრუნოს, მაშინ ხომ მეც თქვენისთანა გავხდები.

— მართალს ბრძანებ, აღა, მაგრამ როგორმე უნდა იოლად წაიყვანო, გლეხი ფულს არ შეეამს, რო ჰქონდეს, უეჭველად მოგიტანს. ჩვენი ბატონ პატრონი შენა ხარ, მაღლა ღმერთსა ვცნობთ, დაბლა შენ... არა ვეამთ, არა ვსვამთ, ბავშვებს პირიდან ლუკმას ვაცლით და შენთან მოგვაქვს, რომ სული არ წავიწყმიდოთ...

აღამ მაგიდაზე დაყრილი ქაღალდების გადასინჯვა დაიწყო, ავეტის ვექსილი მონახა და ერთ-ერთ ნოქარს გადასცა:

— ვიცი, ავეტს ფული ექნება მოტანილი, ერთი ჩაიხედე მის ანგარიშებში.

გლეხი მიხვდა, აღასთან ლაპარაკი დამთავრებული იყო, ნოქარს მიუახლოვდა, უბეში ხელი ჩაიყო და ერთი დასტა ფულები წინ დაუყარა.

ნოქარზე აღას მიერ ვექსილის გადაცემა ერთგვარი გაიძვერობა იყო. ასე იქცევიან ზოგჯერ მონადირეებიც, ნანადირევს ძაღლს მი-

უგდებენ, რომ უფრო კარგად დაგლიჯოს, გაბდღვნას, გაფარჯიშდეს სისხლის სმაში.

ნოქარმა დაითვალა ფულები, ვექსილი შეატრიალ-შემოატრიალა, საანგარიშო ააჩხაკუნა, მერე გლეხს მიუბრუნდა და უთხრა:

— ეს მოტანილი ფული რომ გამოვიდეთ, ორმოცდაათი მანეთიდა დაგრჩება ცალად.

გლეხი გაცბუნდა, აილეწა.

— ჩემი ვალი ორმოცდაათ მანეთზე მეტი არ იყო, — ძლივს ამოილუღლუღა გლეხმა ბოღმიანად, — აბა, დღეს მოტანილი ფულები რა იქნა?

— რაო, პროცენტებს აღარ ანგარიშობ? — მკვახედ უპასუხა ნოქარმა, — დღეს მოტანილი ფული ძლივს ფარავს პროცენტებს.

აღამ შენიშნა, რომ ნოქარი და გლეხი დაობდნენ და ავტორიტეტული კილოთი ჩაერია:

— ავეტ ბიძა, შენ ხომ მეტს არ გამოგართმევ, შვილო, რად აწყენინებ?—გრიქორ. — მიმართა ნოქარს. — პროცენტის ანგარიშში ცოტა რამ აჩუქე ავეტს, ჩვენი კაცია, ნუ აწყენინებ. დუქნიდანაც რითიმე დააჩუქრე. ბავშვების პატრონია, დაე სააღდგომოდ გაახაროს ისინი.

ზედმეტის წართმევა, მოტყუება, დუქნიდან საჩუქრის გაღება, გლეხის თვალების აბმა, — აღას ძველი ჩვეულება, მისი ვაჭრული გაიძვერობის ფანდი იყო. ავეტს აჩუქეს ორი ფერადი ხელსახოცი და რამდენიმე არშინი იაფფასიანი ჩითი. გლეხმა ეს საჩუქრები მიიღო და ლოცვა-კურთხევით მადლობა გადაუხადა.

ნოქარმა ახალი ვექსილი გააფორმა, გლეხს უთხრა, თითი მელანში ჩააწე და ვექსილს ბეჭდის ნაცვლად დაადეო. ავეტმა ნოქრის განკარგულება შეასრულა, მან ეს წესი დიდიხანია კარგად იცოდა.

გარეთ კალოს მარტო ყოფნა მოსწყინდა, წარამარა თავს შეყოფდა დუქანში, შეიხედავდა, მაგრამ ისევ უკან ბრუნდებოდა, ეშინოდა არავინ დამინახოსო. საქმე დამთავრებული იყო, რომ ავეტ ბიძას ახლაღა მოაგონდა ჩამოყვანილი ბატკანი და კალოს გასძახა.

ბატკანი შემოიყვანეს.

— ვაჰ, სააღდგომოდ ბატკანიც ჩამომიყვანე! აი ყოჩაღ, იცოცხლე, — შესძახა აღამ, თვალი შეავლო კალოს და ავეტ ბიძას შეეკითხა: — ვისი ბიჭია?

— თქვენი მონა-მორჩილის, განსვენებული ჩემი ძმის შვილია.

— ეი ბიჭო, დათვის ბელო, ახლოს მოდი ერთი გნახო, — რიხიანად გასძახა აღამ კალოს.

კალოს შერცხვა, აწითლდა, ოფლი წურწურით დასდინდა სახეზე. იმის არსებობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, ასეთი დიდი კაცის ყურადღების საგნად რომ იქცა.

— რამდენი წლისაა? — შეეკითხა აღა ავეტს.

— ახლა გადადგა მეთორმეტეში. — უპასუხა გლეხმა.

— ვინც არ იცის, თხუთმეტი წლისა ეგონება, აი რას ნიშნავს გლეხი... უწესური კვება, უწესური აღზრდა...

აღას კალოთი დაინტერესებას თავისი მიზეზი ჰქონდა; რა ხანია მეუღლე დღენიადაგ ემუდარებოდა ქმარს ერთი სოფლელი ბიჭი მოეყვანა ოჯახში მოსამსახურედ. ქალაქის ბიჭები ეშმაკები არიანო; თანაც ქურდბაცაცები, ისე მარჯვედ იპარავენ, რომ ასავალ-დასავალს ვერ გაუგებს კაციო. სოფლელები კი მიამიტები და ამიტომ უფრო სანდონი არიანო. აღას ამ ბიჭის დანახვაზე გაახსენდა მეუღლის შეგონება და გადაწყვიტა როგორმე ხელიდან გამოეგლიჯა ავეტისათვის კალო.

— იცი რა გითხრა, ავეტ ბიძა, — დინჯად მიმართა აღამ, — ცხონებული შენი ძმა კარგი კაცი იყო, ღმერთმა სულით გაანათლოს, შენც კარგი ხარ, მაგრამ ის მაინც სულ სხვა იყო. მე მინდა ჩემი სულის ცხონებისათვის სიკეთე გავუწიო იმ კარგ კაცს, გესმის, სიკეთე... მინდა მისი შვილი ავიყვანო. შევინახო, გავზარდო, „კაცად“ ვაქციო... დიახ, ჩემსავით კაცად და არა სოფლელ ვირად, ოტროველად...

„კაცი“ აღას ენაზე ნიშნავდა მდიდარ ვაჭარს, ფულიან კაცს, ვისაც ფული არა ჰქონდა, ის კაციც არ იყო.

აღას სიტყვებმა ავეტი ჩააფიქრა, ვერ გადაეწყვიტა რა პასუხი გაეცა და ბევრი ფიქრის შემდეგ მიუგო:

— აბა რა ვთქვა, აღა, შენ იცი, რამდენი ჭკუაც შენ ფეხის ფრჩხილებში გაქვს, იმდენი ჩვენ თავში არა გვაქვს.

— კურთხეულ იყავ, ავეტ, კარგა მიმიხვდი, — დინჯად დასძინა აღამ. — შენ ჭკვიანი კაცი ხარ, ძმისწულს უპატრონოდ არ დატოვებ, იმის ბედნიერებაზე იზრუნებ. თანაც გახსოვდეს, ვიდრე შენი ძმისწული ჩვენთან იქნება, ხშირად უნდა ჩამოხვიდე. ჩვენი სახლის კარები შენთვის მუდამ ღია იქნება, ჭამა-სმა მუქთა გექნება, ერთი სიტყვით, შენც ბედნიერი იქნები და შენი ძმისწულიც.

კალო ყურადღებას არ აქცევდა ამ ლაპარაკს; არ ესმოდა რა ხდებოდა მის თავს. ბიჭის ცნობისმოყვარეობა დაეპყრო დუქნის თაროებზე გამოფენილ ფერად-ფერად საქონელს და სათამაშო-

ებს. განსაკუთრებული ინტერესით შესცქეროდა ბიჭი მუყაოს ცხენს, რომელიც ვიწრო ფიცარნაგზე იყო შემდგარი.

— რა ლამაზი პატარა ცხენია. — უთხრა მან შორიახლო გაჩერებულ პატარა შეგირდს. — ნეტავი რასა ჭამს?

პატარა შეგირდს გაეღიმა გლეხი ბიჭის მიამიტობაზე, ხელით ანიშნა, გაჩუმებულიყო, სირცხვილიაო მაგისი თქმა.

— ეხლა ხომ მიხვდი? — განაგრძო აღამ, — ბიჭი დაგვიტოვე, ვაჭმევ, ვასმევ, შევმოსავ, საკუთარი შვილივით მოვუვლი, როცა გაიზრდება, ჭკუაში ჩავარდება, ჯამაგირსაც დავუნიშნავ.

ავეტს ერთის მხრივ უხაროდა, რომ ბიჭი აღასთან გაბედნიერდებოდა, „კაცი“ გახდებოდა, როგორც აღა ამბობდა, მეორე მხრივ, ენანებოდა, ოჯახის საქმეებში კარგი დამხმარე მოაკლდებოდა. მაგრამ მეორე მოსაზრება რამდენადაც პრაქტიკული და სასარგებლო არ უნდა ყოფილიყო, აღას წინაშე მაინც ვერ გაბედავდა გამომჟღავნებას, ის ხომ მოვალე იყო, „მოვალეს კი ენა მოკლე უნდა ჰქონოდა“...

შეთანხმდნენ. შეთანხმება ქაღალდით არ გაუფორმებიათ. სიტყვიერი პირობა ის იყო, რომ აღა ბიჭს აჭმევდა, ჩააცმევდა და როცა „წესიერი კაცი“ დადგებოდა, ცოტა გასამრჯელოსაც დაუნიშნავდა. ამგვარად, მთელმა იმედებმა შორეულ მომავალში გადაინაცვლა...

კალოს არავინ ეკითხებოდა, თანახმა იყო თუ არა. როცა ბიძამ გამოუცხადა, ამიერიდან აქ დარჩებიო, ბიჭი აიმრიზა და უკმაყოფილოდ უპასუხა:

— მე აქ არ დავრჩები.

ავეტ ბიძა დაუტკბა, ალერსიანად დაუწყო ლაპარაკი, ცდილობდა დაერწმუნებინა, დამაჯერებლად განუმარტა, რომ ქალაქი სოფელს ჯობდა, რომ აღას სახლში კარგად მოუვლიდნენ, რომ თავადაც ხშირად ჩამოვიდოდა სანახავად. ამგვარი სიტყვების მთელი კორიანტელი დააყენა ავეტმა, მაგრამ კალოს დაჯერება მაინც ვერ შესძლო.

— არა, აქ არ დავრჩები, — გაიმეორა კალომ, — მე შენ წამოგყვები.

ბიძა ახლა თხოვნა-მუდარაზე გადავიდა, რამაც საბრალო ბიჭს თვალები ცრემლებით აუვსო. აი სწორედ ეს ცრემლები გახდა დასაწყისი მისი მომავალი უბედურებისა.

კალო თითქმის ძალით გამოგლიჯეს ბიძას და წაიყვანეს აღას სახლში.

გზაში ავეტ ბიძა სულ იმას ფიქრობდა, რა პასუხი გაეცა

ბებია შუშანისთვის, როგორ დაემშვიდებინა იგი; ბებიას ძალიან უყვარდა ობლად დარჩენილი შვილიშვილი და იცოდა, უიმისოდ ინაღვლებდა.

ე

— წაიყვანე ბავშვი და დამიკარგე... — მიახალა ბებია შუშანამ, როცა ავეტისაგან შეიტყო კალოს ამბავი.

ქალაქ ე...ს მიყრუებულ ქუჩაში იდგა ერთსართულიანი სახლი, რომელიც სხვა შენობებისაგან გამოირჩეოდა დახავსებული კედლებით, დაბალი კარებით და ვიწრო ფანჯრებით. იგი საპყრობილეს მოგაგონებდათ. ეს სახლი აგებული იყო ალბათ იმ საუკუნეში, როცა ევროპული არქიტექტურა ამ ქალაქში ჯერ კიდევ არ იყო შემოსული. მეზობელ სახლებს უკვე შეეცვალათ თავიანთი გარეგნობა, ამ ერთსართულიან სახლს კი ისევ ძველი, სპარსული იერი შერჩენოდა. ამ სახლში ვიწრო კარი კარგად მოზრდილ ეზოში გადიოდა, რომელიც ძველისძველი დაფუღუროებული თუთის ხეების ჩრდილით იყო დაფარული. თუთის ხეებს შორის აქა-იქ კაკლის ნახევრად გამხმარი და ჭერმის დაბერებული ხეები იდგა. ვაზი შემოჰხვეოდა ამ მცენარეებს, ასულიყო კენწეროში და თავისი ლამაზი ფოთლებით დაეფარა მათი სიტიტვლე. ეს მცენარეები მართალია ალამაზებდნენ ეზო-ყურეს, მაგრამ ველურობის იერიც დაჰკრავდათ. ეტყობა, კაცის ხელი არასოდეს არ მიჰკარებოდა.

ეზო აქა-იქ იყო ჩახერეული რამდენიმე ჩაშავებული, ნახევრად დანგრეული ქოხით. რომელთა დანიშნულება დღესაც გაურკვეველია. საერთოდ ეს სახლი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს იქ ჩაებუდა სიკერპითა და სიძველისადმი ტრფიალით სახელგანთქმულ ლეგენდურ სულს, რომელიც კრძალავდა სახლის შეკეთებას და უყვარდა უძრავი ნანგრევები, სადაც გამეფებული იქნებოდა სამარისებური დუმილი და ჭოტის კივილი...

აი ამ სახლში ცხოვრობდა ქალაქის ყველაზე მდიდარი კაცი, რომელსაც მთელ მაზრაში „აღას“ ეძახდნენ. ეს იყო პეტროს მასისიანი, რომელსაც მკითხველი უკვე წინა თავებიდან გაეცნო.

პეტროს მასისიანის უყურადღებობა სახლის შეკეთებისადმი მისი სიძუნწით არ უნდა აიხსნას — „აღა“ ძუნწი კაცი არ იყო, — არამედ — ცრუმორწმუნეობით, რომელიც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. იმისი აზრით ყოველ სახლს იქ მობინადრეთა მდგომარეობაზე თავისი საიდუმლო გავლენა აქვს, ესე იგი — სახლის ზებუნებრივი იდუმალება სათავეა მათი კეთილდღეობისა და უბედურე-

ბისა. არის ისეთი სახლები, სადაც შვილები იხოცებიან, პატრონებიც დიდხანს ვერა ცოცხლობენ, სიღარიბე და სიღატაკეა მუდმივი თანამგზავრი, ისე რომ, მდიდარი თუ შევიდა ამ სახლში საცხოვრებლად, მაშინვე გაღარიბდება. და პირიქით, არის სახლები, რომ კეთილი გავლენა აქვთ თავიანთ მობინადრეთა არსებობაზე. მასისიანის სახლი სწორედ ასეთია. ამგვარი სახლების ბედი ჩვეულებრივ დაკავშირებულია რაღაც უხილავი სულიერის არსებობასთან, მეტწილად — გველთან, რომელსაც თავზე ძლივს შესამჩნევი ალმასის გვირგვინი ადგას; მაგრამ პეტროს მასისიანის სახლის ბედის გამრიგე ერთი „ოქროს მამალია“ თავის ოქროს დედალთან ერთად, რომლებიც თავიანთი ოქროსფერი წიწილებით ხშირად უნახავთ მის წინაპართ. ამაზედ მასისიანების ოჯახში არსებობს მითიური გადმოცემა, რაც შთამომავლობიდან შთამომავლობაზე გადადის.

პეტროს მასისიანის მამის დროს „ოქროს მამალი“ გაქრა, რის გამო პეტროსის მამის „ბედმა დაიძინა“, გაღარიბდა, მხოლოდ პეტროსის დროს გამობრწყინდა კვლავ „ოქროს მამლის“ კეთილი გავლენა და ოჯახის ბედიღბალს კეთილდღეობის შუქი მიადგა, — სახლმა „უშველა“, ამიტომ ამ შენობის თვითეული გაცვეთილი ადგური, თვითეული დაფუღუროვებული ხეც კი მისთვის წმიდათა წმიდა სათაყვანებელ საგნად იქცა. საჭირო იყო ამ საგნების პირვანდელ მდგომარეობაში შენახვა: მოვლა-პატრონობა, ხელის ხლება, განძრევა. უსათუოდ შეარყევდა იმის აღთქმათა საიდუმლოებას.

მასისიანი იმ მდიდრებს ეკუთვნოდა, რომლებსაც სპარსულად „ნოვქისიას“ უწოდებდნენ. — ესე იგი, ახალი ქისის მფლობელთ, რაც ნიშნავს სიღარიბიდან გამოსულს და ახალგამდიდრებულს. ასეთი მდიდრები მემკვიდრეობითი ფულის მფლობელთაგან რამდენიმე თვისებით განსხვავდებიან. ესენი, როგორც „უნახავნი“, ყველაფერს, ყოველგვარ ღირსებას ოქრო-ვერცხლით აფასებენ. მათი წარმოდგენით ჭკუა, ცოდნა, პატიოსნება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, იმათი ხვედრია, ვინც ფულს ჰფლობს, მდიდარია.

ესენი ერთგვარი ურჩხულები არიან, რომელნიც თავიანთ საზიზღარ სახეს ნიღბით იფარავენ.

მაგრამ მასისიანი ხსენებულთა რიცხვს არ ეკუთვნოდა. იგი თავისი ქონებით არც იკვეხნიდა, არც ამაყობდა, პირიქით, ძალზე თავაზიანი იყო და ცდილობდა ხალხისათვის არ ეჩვენებინა ის სიმდიდრე, რაც მას გააჩნდა.

— „გარეთ მტერსა სთხრის თვალსაო, შიგნით კი მოყვარესაო“ — „ტკაცატკუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანს“, — „სახე-

ლის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო,“ — აი ასეთი ანდაზებითა ხსნიდა თავის ბედისწერას.

მასისიანი ფულის შესახებაც სხვაგვარად ფიქრობდა.

არავინ არ თავმომწონეობს, — ამბობდა იგი, — მაგალითად. ისეთი სიმდიდრით, რომ ორი თვალი აქვს, ორი ყური, ორი ხელი, და სხვა, ამას ყველა ბუნებრივადა სთვლისო. ასევე ზედმეტია ფულით ქედმაღლობა, იმიტომ, რომ ფულს საარსებო მნიშვნელობა აქვს, ურომლისოდ ადამიანი ვერ იცოცხლებს და მოკლებული იქნებაო მთავარ საქმეს.

მაგრამ ფულის შეძენასა და მის შენახვაზე მასისიანს გარდა „ოქროს მამლისა“, ესე იგი გარდა ბედ-იღბლის რწმენისა, საგულდაგულო კანონებიცა ჰქონდა. იმისი მორალური კრედოს, მთელი მისი მოქმედების მთავარი დევიზის განმსაზღვრელი იყო სომხური ანდაზა: — „ქვეყანა დუმაა, კაცი კი დანა“, თუ შნო გაქვს, ეს მსუქანი ნაჭერი მოთალე და ჭამე, თორემ მშიერი მოკვდები. „მიზანი ამართლებს საშუალებას“ — ამიტომ არავითარ საშუალებას არ უნდა ერიდებოდეო. თვითონ ამ დევიზის ერთგული იყო და მთელი არსებით მოქმედებდა არა ბოროტი განზრახვით, არამედ იმის შეგნებით, რომ ამას სთვლიდა ბუნებრივ მოვლენად. ამიტომ სინდისი მუდამ დამშვიდებული ჰქონდა.

პეტროს მასისიანი ყასბის შვილი იყო. ბავშვობისას მამას სისხლიან საქმეში ეშველებოდა. ყასაბი და ჯალათი ერთმანეთისაგან ბევრით არ განსხვავდებიან. ერთი ადამიანს ჰკლავს, მეორე—საქონელს. მასისიანს იმ დროიდან გაუტლანქდა ხასიათი, პირქუში გახდა, რაც ზოგჯერ ბარბაროსობამდე აღწევდა. მისი სისასტიკე უფრო ხშირად სახლში, ოჯახში მეღავნდებოდა. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა რომელთა შესახებ ხალხში იტყვიან ხოლმე,— „შინ ეშმაკიაო, გარეთ ანგელოზი“. ოჯახში სასტიკი დესპოტი იყო, გარეთ კი — ნამდვილი კრავი. იმის კაცთმოყვარეობას უცხო ადამიანთა გარემოცვაში საზღვარი არ ჰქონდა, მათ წინაშე პირდაპირ მუცელზე ხოხავდა. ერთი სიტყვით, ამ „აღას“ ქვეწარმავლის ყოველნაირი თვისებები ჰქონდა. გველივით ელასტიურად იკლაკნებოდა და იმავე დროს გველივით ნესტარში მალავდა შხამს.

ასეთი თვისებების გამო მასისიანს მიზნად არ დაუსახავს ვინმეს მოტყუება, ფლიდობის გაწევა, არც უფიქრია, თუ რაიმე ბოროტებას სჩადიოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ წუთისოფელში სხვანაირად ვერ მოიქცევი, ამას მოითხოვს ეს ქვეყანა და ამ ჩანაფიქრს ამართლებდა თავისი ჩვეულებრივი დარიგებით — „მოგიხდა სხვა ქალაქში ცხოვრება? ხალხი თუ ცალთვალა არის, შენც

ერთი თვალი ამოითხარე, რომ იმათ დაემსგავსოო.“ — თხელი ჭურ-ჭელიც ადვილად ტყდება, ამბობდა იგი, საჭიროა რბილი, მოქნილი, ელასტიური იყო, ყოველ მხარეს უნდა შეგეძლოს გადაღუნვა, რომ შენი მთლიანობა შეინარჩუნოო. მასისიანში ყალბი, მოგონილი არა-ფერი იყო, ყველაფერი გამომდინარეობდა მტკიცე რწმენიდან. იგი მისდევდა საგნების და ცხოვრების მოთხოვნათა მდინარებას, რამაც მრუდე გზაზე გარიყა. და ამაში დამნაშავე იყო არა თვითონ, არა-მედ მდინარება, რომელმაც თან გაიყოლა...

მასისიანმა თავისი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლა „ჩოდ-რობით“ დაიწყო. ესე იგი, მან მამისეულ ხელობას — ყასბობას თა-ვი მიანება, სოფელ-სოფელ დახეტიალობდა, ყიდულობდა რქოსან პირუტყვს, მოერეკებოდა ქალაქში და ყასბებზე ასაღებდა. ვინც ჩოდრებს იცნობს, იგი დაგვეთანხმება, რომ ჩოდრები თავიანთი ბუნებით, ხასიათით დიდად არ განსხვავდებიან იმ ხალხისაგან, რომ-ლებიც აფრიკის ნაპირებზე სამარცხვინო ვაჭრობას ეწევიან...

მასისიანმა კარგა თანხას გამოჰკრა თუ არა ხელი, უფრო რთული და სარფიანი საქმიანობა წამოიწყო. და სანამ თავის მაზრის ყველა-ზე მდიდარი ადამიანი გახდებოდა, რასაკვირველია, მხარში ედგა „ოქროს მამალი“.

საერთოდ, როგორც დაბალი ფენიდან წარმოშობილ ადამიანთ სჩვევიათ, მასისიანიც მუდამ ცდილობდა თავისი სოციალური გარე-მოს დავიწყებას, — წარსულის დავიწყებას და როგორმე გაკეთილ-შობილებას. მასისიანისათვის მართალია უცხო იყო პატივმოყვარე-ობის გრძნობა, მაგრამ ამ მანკს მაინც გვერდი ვერ აუარა, და ჩემთ-ვის გაუგებარ მოსაზრებათა გამო მოისურვა თავისი გვარის უფრო ბრწყინვალე გვარით შეცვლა. ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, საკმარისი იყო ძველი სომხური დამწერლობის ისტორიული ძეგ-ლების გადასინჯვა. პეტროსი ასეც მოიქცა და იმ ძეგლებში ამო-კითხული „მასისი“ ყველაზე უფრო მოეწონა, ვინაიდან სხვები უკ-ვე დაკავებული აღმოჩნდა.

მარტო მასისიანი როდი მოიქცა ასე. ეხლაც ხშირია ძველი ისტორიული გვარების მითვისება. ასე გაჩნდა ჩვენს დროში არ-შაკუნის, ბაგრატუნის, მამიკონიანის, ამატუნის, პაჰლავუნის, კამსა-რაკანის, აგრეთვე მინდვრების, მთების, მდინარეების სახელებიდან ნაწარმოები გვარები...

დღეს სომხური ისტორიის მემატიანეები რომ მკვდრეთით აღ-სდგნენ, გაუკვირდებათ თუ როგორ მოხდა ძველი ნახარარების საგ-ვარეულო თაობის გამრავლება.

3

მასისიანის ჯალაბი მცირერიცხოვანი იყო. შვილთაგან ამჟამად ოჯახში ცხოვრობდნენ ორი გოგო და ერთი ბიჭი. უფროსმა ქალიშვილმა ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე, მარანში ჩამოიხრჩო თავი. მიზეზი საიდუმლოებით არის მოცული და მისი გამომჟღავნებით არ გვინდა შეურაცხყოფა მივაყენოთ უდანაშაულო მსხვერპლის ხსოვნას...

უფროსი ქალის მომდევნომ დიდხანს უცადა მამას. ბოლოს დაინახა, მამა მის გათხოვებაზე არა ფიქრობდა, მალულად გაჰყვა ნოქარს და სოფლის ეკლესიაში დაიწერა ჯვარი. ქალიშვილის საქციელმა ძალზე გააბოროტა მამა, ბევრი სწყევლა და იქოთქოთა, მაგრამ მალე დავიწყებას მისცა ეს ამბავი, მხოლოდ ხანდახან თუ გაიხსენებდა და დასძენდა: „აი ის საძაგელიო“... იმ დღიდან ქალმა ფეხი ამოიკვეთა, მამის ოჯახში აღარ დაიარებოდა. მხოლოდ ერთიორჯერ მივიდა ფარულად დედის სანახავად, რომელიც ძალიან უყვარდა. ვაჟიშვილმა სტეფანემ გიმნაზია დაამთავრა, მაგრამ უმაღლესში შესვლა მამამ აუკრძალა. მისი აზრით სწავლა მავნე გავლენას ახდენდა, აფუჭებდა ახალგაზრდებს. მამის ოჯახში დაბრუნებული სტეფანე მუდამ გიმნაზიელის ფორმით დაიარებოდა, დღენიადაგ ეხვეწებოდა მამას, უმაღლესში გაეგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ მამა ყურსაც არ იბერტყავდა, იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ შვილს დუქანში ევლო და ვაჭრობას დაუფლებოდა. აქედან ჩაისახა მამა-შვილს შორის უთანხმოება.

მასისიანის ოჯახში დარჩენილი გოგონებიდან უფროსს ერქვა გაიანე, უმცროსს — რიფსიმე; პირველი ათი წლისა იყო, მეორე — შვიდისა.

ამ ორ დაზე ბუნებას თითქოს მთელი თავისი ძალა და უფლებამოსილება გამოეჩინა, ერთი ნამდვილი მზეთუნახავი იყო, მეორე — პირიქით — გონჯი, მახინჯი. არც ხასიათებითა ჰგავდნენ ერთმანეთს. გონჯი, ულამაზო გაიანე ძალზე მშვიდი და თვინიერი იყო, ლამაზი რიფსიმე კი — მეტისმეტად ამაყი და ბოროტი. გაიანე ორივე ფეხით კოჭლი იყო და სიარულის დროს ბატივით ირწეოდა. საერთოდ კოჭლები, მახინჯები ყბედი და ენამწარენი არიან, უყვართ სხვების ცაცინვა და გაკილვა. ისინი თავიანთ ნაკლს ვერა ხედავენ და სხვების განქიქებით ცდილობენ ფონს გასვლას. კეთილი გულის გაიანეც არ იყო თავისუფალი ხსენებული თვისებებისაგან. ამ გოგონების დედას მარიამი ერქვა. არ ვიცი, რაც გინდათ ის უწოდეთ — განგების განაჩენი თუ ბედისწერა, მაგრამ არსებობს რაღაც, რაც შეუღლების დროს საოცრად დასცინის და აბუჩად იგდებს ადამიანებს.

ანა იშვიათია, რომ ლამაზ ქალს ულამაზო ქმარი ჰყავს, ხოლო ლამაზ ვაჟკაცს გონჯი და შეუხედავი ცოლი! ანდა ჭკვიანი ქალის ხვედრი სულელი ქმარია, ხოლო სულელი ქალისა — ჭკვიანი ქმარი? შეხედავ. დაბალ ქალს წარმოსადეგი ქმარი მოჰყვება და პირიქით, ქონდრის კაცს — ტანაშოლტილი ქალი. ამგვარი თამაში თითქოს საგანგებოდ უყვარს ბედიღბალს ცოლქმრობაში. ამ უთანასწორობის მსხვერპლი აღმოჩნდა უბედური მარიამიც. რამდენადაც იმისი მეუღლე პირქუში, შეუხედავი, მკაცრი და აუტანელი იყო, იმდენად მარიამი თავაზიანი, კეთილი და პატიოსანი ქალი გახლდათ. გაიანეს დედის გული გამოჰყვა, რიფსიმე კი ცოტათი მამას წააგავდა, ხოლო სტეფანე არც დედას ჰგავდა, არც მამას.

აი ასეთ ოჯახში მოხვდა კალო, ფრინველივით მხიარული და უდარდელი სოფლელი ბიჭი, ამ ოჯახს დაუკავშირდა ბედიღბალი, აწმყო და მომავალი იმ ყმაწვილისა, რომელიც ჩვენი რომანის მთავარი გმირი გახდება.

კალოს გამოჩენამდე მასისიანების ოჯახს მსახური არა ჰყოლია მეტადრე იმ სამარცხვინო ამბის შემდეგ, როცა მათი ქალიშვილი თვითნებურად ნოქარს გაჰყვა ცოლად. ამ დღიდან მასისიანი ცდილობდა ოჯახში უცხო კაცი არ შეეშვა. ყველაფერს, რაც ოჯახს სჭირდებოდა, თვითონ ყიდულობდა. ქუჩაში ხშირად დაინახავდით მასისიანს, რომელსაც ცხვირსახოცში გამოკრული ხილი, ხორცი. მწვანილი და სხვა სანოვაგე მოჰქონდა სახლში. ზოგჯერ დუქნის შეგირდს გამოატანდა ხოლმე სახლში სურსათ-სანოვაგეს. იგი ვალდებული იყო კარებშივე გადაეცა და უკან დაბრუნებულიყო, შიგნით შესვლის უფლება არა ჰქონდა. მასისიანი სასტიკად იცავდა თავის ოჯახთან უცხო მამაკაცის მიუკარებლობის კანონს. მტკიცედ ილაშქრებდა დიაცთა სქესთან უცხო მამაკაცების გაკარების რაიმე ცდას.

მაგრამ „ხანა-ბიჩაინობა“, ესე იგი, ოჯახში მცირეწლოვანი ბიჭი — მოსამსახურეების ყოლა მიღებული იყო სპარსულ ჰარამხანებში. 12-15 წლის ასაკამდე ეს უმანკო არსებანი დაშვებულნი იყვნენ საქალებოშიც კი. კალო თავის ასაკით სავსებით უფლებამოსილი იყო მსახურად შესულიყო მასისიანების ოჯახში.

პირველ დღეს, დიდმარხვის წითელ პარასკევს, როცა იგი, სოფლელი ბიჭი, პირველად გამოჩნდა ოჯახში, საერთო სიცილი დააყარეს. — ეგ არის ახალი დაქირავებული მოსამსახურე? — დაცინვის კილოთი შეეკითხა მარიამი მეუღლეს და თავიდან ფეხებამდე ახედ-დახედა კალოს, რომელიც შეცბუნებული იდგა და დაბნეული იხედებოდა ირგვლივ.

— რაო, არ მოგწონს? — უპასუხა მეუღლემ, — ხედავ რა ბიჭია,

შვიდი კაცის საქმეს გაართმევს თავს, ისეთი ყოჩაღია, შენ ერთი ამის მხარბეჭსა და მკლავებს შეხედე, ხამიდან[1] გამოყვანილ ხარსა ჰგავს.

აღას უკანასკნელი სიტყვები თავისი თავმოყვარეობის შელახვად ჩათვალა კალომ და უმალვე მიუგო:

— მე ხარი არა ვარ...

ცოლ-ქმარმა გაოცებით გადახედა მას, მაგრამ არაფერი უთხრეს.

აღამ ბრძანა კალო სამზარეულოში გაეყვანათ და პური ეჭმიათ.

— ეტყობა ენაგრძელია... — დასძინა მასისიანმა, — აღზრდა აკლია, უხეშია... ჩანს ოსტატის ხელი არ მოხვედრია... მაგრამ კარგი მუშა კია...

— სამუშაო არ მოაკლდება, — უპასუხა ქალბატონმა. — ნეტავი ქურდი კი არ იყოს.

— ჯერჯერობით ქურდი არ იქნება, კვერცხიდან ახალი გამოჩეკილია, ხელმრუდობას ნელა-ნელა ისწავლის, მერე კი გაიწაფება.

— მე ქურდობის ნებას არ მივცემ, — მიუგო ქალბატონმა.

მასისიანმა თავი გაიქნია და სიცილით უთხრა:

— კი, შენ არ მისცემ, მაგრამ მაინც ისწავლის, — სხვასაც ბევრ რამეს ვუკრძალავთ ჩვენ, მაგრამ ისინი, უმასწავლებლოდ, მაინც სწავლობენ. ბატის ჭუკს ბევრიც რომ დაუშალო წყალს არ გაეკაროო, ის მაინც კვერცხიდან გამოვა თუ არა, მაშინვე წყალში შეცურდება. აბა მითხარი, ცურვა ვინ ასწავლა?

ეს საუბარი მიმდინარეობდა ეზოში, ახლად შეფოთლილ ხის ქვეშ, რომლის ჩრდილში იდგა ფარდაგგადაფარებული ტახტი. იქვე შორიახლო კვალში იჯდა მათი შვილი სტეფანე და გამადიდებელი შუშით რომელიღაც მწერს ჩაჰკირკიტებდა. მამის უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე ისიც ჩაერია ლაპარაკში:

— ბატის ჭუკს ინსტინქტი აქვს და იმიტომ იწყებს წყლისკენ, ადამიანი კი თავისუფალია ისეთი ბრმა ინსტინქტისაგან, რომ უეჭველად იქურდოს. ამ ცუდ ჩვევებს იგი სწავლობს სხვების მიბაძვით ან გაუნათლებლობით, ანდა ცხოვრების სხვადასხვა პირობების გამო.

მამამ ვერაფერი გაუგო შვილის ნათქვამს, მკაცრად შეებღვერა და დაუცაცხანა:

— ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის, ხმა ჩაიკმინდე...

---

[1] ხამიდან გამოყვანა ნიშნავს ბევრი მუშაობით გამხდარი და ჯანდაკლებული პირეტყვის ბოსელში გამოზამთრება-გასუქებას და გაზაფხულზე კვლავ სამუშაოზე გაყვანას.

სოფლად თავისუფალ ცხოვრებას მოჩვეული კალო პირველ დღეებში ვერ შერიგებოდა თავის ხვედრს. უძძიმდა ამხანაგებთან განშორება, ვერ ივიწყებდა თავის ბატკნებს, მაგრამ დროს თავისი გაჰქონდა და ეს სოფლელი „დათვის ბელი“, როგორც პირველ დანახვისთანავე შეარქვა აღამ, თანდათანობით მიეჩვია ქალაქურ ცხოვრებას და მასისიანების ოჯახს. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ კალო ამ ოჯახში აღდგომის დღესასწაულის დღეებში შემოვიდა. ასეთ უქმე დღეებში ძაღლები და კატებიც კი მაძღრად გრძნობენ თავს, არამცთუ ადამიანები, ამიტომ გასაგებია, რომ კალოსაც ოჯახი მსუყედ დახვდა. მაგრამ დღესასწაულიც რომ არ ყოფილიყო და მასისიანების ოჯახს ხელმომჭირნედ ეცხოვრა, სოფლის ცხოვრებასთან შედარებით მაინც მდიდრულად მოეჩვენებოდა.

პირველ ხანებში ბიჭს ალაპარაკებდნენ იმ მიზნით, რომ მასხრად აეგდოთ, ყოველი მისი სიტყვა, მიხრა-მოხრა გაეკილათ, მაგრამ შემდეგ თანდათან შეეცადნენ შალაშინი გაეკრათ, გამოეზარდათ. ამ საქმეში განსაკუთრებით თავგამოდებული იყო ქალბატონი მარიამი.

რამდენიმე დღის შემდეგ კალოს ვეღარ იცნობდით: მთლად გამოცვლილიყო როგორც გარეგნულად, ისე ყოფაქცევით. უზარმაზარი ბოხოხა ფაფახის ნაცვლად თავზე ეხურა სტეფანეს გიმნაზიური ძველი კეპი, ქალამნების მაგიერ ეცვა აღას დიდრონი დაგლეჯილი ჯღანები, რომელთა ტარება ძალზე უძნელდებოდა, ხოლო საკერებლებით აჭრელებულ ახალუხზე — აღას ძველი კაბა, რომლის კალთები ფეხებამდე დასთრევდა. ბიჭმა კალთები მაღლა აიკეცა და წელზე კანაფით დაიმაგრა. ვინც შეხედავდა კალოს, ისეთი შთაბეჭდილება დაებადებოდა, თითქოს მის წინ ორად გაყოფილი ტომარა იდგა.

ერთი სიტყვით, კალო თავიდან ფეხებამდე ქალაქელი ბიჭი იყო. სახელიც კი გამოუცვალეს, კალოს მაგიერ მიქაელი შეარქვეს. მაგრამ ეს ცვლილებები მხოლოდ მის გარეგნობას ეხებოდა, თორემ გულით ისევ ის მხიარული და მიამიტი კალო იყო, სოფლელი ტლანქი ბიჭი, ჯერ ხელუხლებელი ლოდი, რომელიც გათლის შემდეგ მშვენიერი გახდებოდა.

აღდგომის უქმეებმა გაიარა და კალოს მხიარული დღეებიც თან გაჰყვა.

თუმცა ავეტ ბიძას შეჰპირდნენ, რომ პატარა კალო დუქანში ეყოლებოდათ, ვაჭრობას ასწავლიდნენ, „კაცად აქცევდნენ“, მაგრამ ეს დაპირება დაპირებად დარჩა. კალო მასისიანების ოჯახში ტრიალებდა. მცირე სამუშაოებს ცუდად ასრულებდა, ყველაფერი ხელიდან

ევარდებოდა, იმსხვრეოდა, რაზეც გაეკარებოდა, ძირს ცვიოდა. მაგალითად, ერთ ჭიქა ჩაის ისე ვერ მიართმევდა ბატონებს, რომ ნაბევარი არ დაექცია, მაგრამ კასრ წყალს ისე მიიტანდა ადგილზე, რომ წვეთს არ დაღვრიდა. მას წვრილმანების თავი არა ჰქონდა, იგი დაბადებული იყო დიდი საქმეების გასაკეთებლად.

მიქაელის — დღეიდან ჩვენც ასე უნდა ვუწოდოთ მას, — უნიათობა ოდნავადაც არ ანაღვლებდა მასისიანების ოჯახს. დაღვრიდა თუ გატეხავდა, სასჯელი ერთი იყო — ბიჭს მთელ დღეებს მშიერს ინახავდნენ. აღადან მოყოლებული უკანასკნელ ნოქრამდე ყველა მას უცაცხანებდა, „დათვის ბელს“, „სოფლელ ვირს“ და ვინ მოსთვლის კიდევ რას არ ეძახდნენ. თანაც დღე ისე არ გაივლიდა, რომ ცემა-ტყეპით ბეერდები არ აეკრელებინათ. მთელ ოჯახში ბიჭის ერთადერთი ქომაგი მხოლოდ ქალბატონი მარიამი იყო. იგი დანაშაულს აპატიებდა ხოლმე და ყველას ემუდარებოდა აღასთვის არაფერი ეთქვათ, რომ მიქაელი კიდევ არ ეცემა.

მიქაელს სასიამოვნო ხმა ჰქონდა, სოფელში ხშირად გაეგონათ მისი ტკბილი სიმღერები, მაგრამ როგორც კი რკინის გალიაში მოხვდა ეს მხიარული ფრინველი, თითქოს სამუდამოდ დადუმდაო. ხანდახან მიქაელს ისე დარევდა ხელს სასოწარკვეთილება, რომ გარბოდა, ქალაქიდან სოფლისაკენ გასწევდა თავის ამხანაგებთან და საყვარელ ბებიასთან, სადაც მას არავინ არა სცემდა. მაგრამ ქალბატონი მარიამი დროზე აუღებდა ხოლმე ალღოს, შუა გზიდან აბრუნებდა. მიუალერსებდა, ანუგეშებდა და არწმუნებდა დარჩენილიყო.

მასისიანის ოჯახის წევრებიდან გაიანეც კეთილად ეპყრობოდა მიქაელს. თუმცა ზოგჯერ მასხრადაც იგდებდა, მაგრამ ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ თავის ნაწილ ხილს მასაც უზიარებდა. რიფსიმე კი პირდაპირ აუტანელი იყო. ეს ლამაზი, ამაყი გოგონა იმ ზომამდე იყო აღსავსე სიძულვილით სოფლელი ბიჭისადმი, რომ ამ უკანასკნელმა, რიფსიმესაგან შეწუხებულმა, რამდენჯერმე საჩივრით მიმართა ქალბატონ მარიამს. აღას შვილს სტეფანეს ლვიძლი ძმასავით უყვარდა ბიჭი, საკითხავი წიგნიც კი უყიდა, თავისუფალ დროს გვერდზე მოისვამდა ხოლმე და წერა-კითხვას ასწავლიდა. ერთხელ აღამ თვალი მოჰკრა ამას, წიგნი ხელიდან გამოგლიჯა, გვერდზე მოისროლა და შვილს დაუყვირა:

— გინდა, რომ ეგეც შენსავით გააფუჭო...

მიქაელის ერთადერთი ნუგეში და სიხარული იყო ბაზარში საკვაჭროდ ჩამოსულ თანასოფლელებთან შეხვედრა. ერთხელ მეიდნის ახლოს თანასოფლელ ბიჭს. თავის ამხანაგს, მოჰკრა თვალი.

— ა. თუნ. ა. თუნ! — შესძახა და გახარებულმა მიირბინა მასთან. ამხანაგმა ვერ იცნო. მიქაელი კისერზე მოეხვია და კოცნა დაუწყო.

— ღმერთმანი ვერ გიცანი, — უთხრა გლეხის ბიჭმა. — ეგ რას დამსგავსებიხარ კალო? ნამდვილ საფრთხობელასა ჰგავხარ...

— რა ვქნა, თუნი-ჯან, ქალაქში ასე აცმევენ, — უპასუხა მიქაელმა. — სახელიც გამომიცვალეს... კალოს აღარ მეძახიან... შენ ის მიამბე, თუნი-ჯან, ჩვენსა თუ შეივლი ხოლმე, როგორ არის ბებია, ბავშვები? კიჩი გაიზარდა?, პაპიკმა ალბათ ფეხი აიდგა, არა? (ეს ბავშვები იმისი ბიძაშვილები იყვნენ). და პასუხს აღარ მოუცადა, კვლავ შეეკითხა: — შენ რასა იქ. თუნი-ჯან? ისევ ბანაობ მდინარეში? აქ წყალთან ახლოსაც კი არ მიგიშვებენ... ალბათ თიბვა დაიწყო, არა? ნეტა ჩვენს ყანაში ძნებს ვინ აგროვებს?.. მე ბაზარში გამომგზავნეს მწვანილის საყიდლად, პურის ყიდვაც ჩემი საქმეა. ამბობენ, ვაჭრობა უნდა ისწავლოო. (კვლავ სიტყვა ბანზე აიგდო). ჩვენი ტყემლები დამწიფდა?, ჩვენი ძაღლი თუ ნახე? ვინ აძოვებდა ბიძიას ბატკნებს? აქ გული არ მიჩერდება, თუნი-ჯან, არ მომწონს აქაურობა, არ ვიცი, რა გზას დავადგე... ბებიაჩემს უთხარი, კალო ვნახეთქო. ვის ჩამოყევი? როდის მიდიხარ უკან? აქ ძალიან ცუდია, თუნი-ჯან...

მიქაელმა თავისი უცნაური კითხვებით ამხანაგი გამოაშტერა, საწყალმა არ იცოდა. რომელ კითხვაზე დაეცა პასუხი.

— მამას გამოვყე, — მიუგო მან, — ყველი ჩამოვიტანეთ, გავყიდეთ, დღეს უკან ვბრუნდებით.

— ალბათ არაფერი გიჭამია? აჰა ერბოთი გამომცხვარი ქალაქური პური. დილას ხანუმამ (ქალბატონმა) მომცა. შევინახე. აიღე, ჭამე, შენი ყისმათი ყოფილა. ამ სიტყვებზე მიქაელმა ჯიბიდან ამოიღო ნაზუქის ნაჭერი და ამხანაგს გაუწოდა. ბიჭმა გემრიელი პურის კაი მოზრდილი ნაჭერი გამოართვა, ერთიანად ჩაიტენა პირში, და ძლივს წაილუღლუღა:

— რა გემრიელი პურია! ყოველდღე ასეთ პურს ჭამ, კალო?

— ვინ მომაქვავებს ყოველდღე? ესეც ხანუმამ ფარულად მომცა, რომ აღას არ დაენახა, — სევდიანად უპასუხა მიქაელმა. — ნეტავ ცარიელ პურს მაძლევდნენ მაძღრისად, ვაი, რომ ისიც არ ემეტებათ.

მიქაელს თვალები ცრემლით ავსო. მაგრამ თავი შეიკავა, სევდა გულში ჩაიმარხა. სოფლელი ამხანაგი შეეკითხა:

— როდის ჩამოხვალ სოფელში? იცი, კალო-ჯან, ჩვენი ბაღის

დუთმა ნეკვები უკვე დამწიფდა. იმდენსა ვჭამ, იმდენს. რომ... მამა არ მიჯავრდება. შენ წილს შევინახავ. როდის ჩამოხვალ?

— არ მიშვებენ, თუნი-ჯან, — გათანგული ხმით უპასუხა მიქაელმა, — ძალიან მინდა ჩამოსვლა, ბებიაჩემის ნახვა, ჩვენსა დარჩენა. მაგრამ არ მიშვებენ. „ჰა, დათვის ბელო, თქვენი ტყეები არ გავიწყდება?“ — წარამარა მეუბნებიან. როგორ დავივიწყო, თუნი-ჯან, აბა აქ რა არის?.. მარტო სახლები და სახლები... აქაურები სოფლელებს ვირებათა სთვლიან... თუ პირი გააღე, რაიმე თქვი, კარგადაც მიგტყეპავენ...

თუნი რამდენიმე წლით უფროსი იყო მიქაელზე, ამ სიტყვებმა იგი ძალზე ააღელვა, შეებრალა ამხანაგი და გაიფიქრა დახმარება აღმოეჩინა.

— მოდი მე წაგიყვან სოფელში. — უთხრა მან.

— აბა როგორ წამოვიდე? იქაც ბიძაჩემი გამიწყრება, დამსჯის, შეტყვის — რად ჩამოსვედიო? არა. თუნი-ჯან.—ხმას დაუწია მან,— უკეთესია წავიდე, წყალში გადავვარდე და ერთბაშად მოვრჩე...

თუნიმ ანუგეშა, გული გაუმაგრა და პირობა მისცა. სოფელში რომ დაბრუნდებოდა, მივიდოდა ავეტ ბიძასთან და სთხოვდა კალო სოფელში ჩამოეყვანა. მიქაელს ძალზე გაეხარდა, ბავშვური კეთილი გულით უნდოდა თუნისათვის სამაგიერო მიეზღო და დაბარა:

— იცი, თუნი-ჯან, დროზე მოვალ. ჩვენი მარნის კარებქვეშ კოჭები მაქვს ჩამარხული. ასამდის იქნება, წადი, ამოიღე, რამდენიც გინდა, შენ აიღე. დანარჩენი ბიჭებს დაურიგე, მე აღარა ვთამაშობ, თქვენ მაინც ითამაშეთ.

— თომასას არც ერთ ცალს არ მივცემ. — უპასუხა გახარებულმა თუნიმ, — ის კარგი ბიჭი არ არის, იმ დღეს წამეჩხუბა.

— არა, იმასაც მიეცი, ჩვენი ამხანაგია, შერიგდით, — დამრიგებლური კილოთი მიმართა მიქაელმა. — მერე რა, ამხანაგი ამხანაგს წაეჩხუბება კიდეც. შეურიგდება კიდეც. გასულ ღამეს მეც წავეჩხუბე პოღოსას, კომბალი ისე მაგრა ვდრუზე თავში, რომ სისხლი გამოუვიდა.

— პოღოსას წაეჩხუბე?! — გაკვირვებით შეეკითხა თუნი, — პოღოსას აქ რა უნდოდა?

— სიზმარში ვეჩხუბე, თუნი-ჯან, სიზმარში, როცა გამომეღვიძა, ბევრი ვიტირე, მართლა ხომ არ გავუტეხე-მეთქი თავი. მითხარი თუნი-ჯან, ხომ არაფერი შეემთხვა?

— არაფერი. გუშინწინ ერთად ვიყავით, ვისაუბრეთ, მერე ერთად წავედით ჩვენ ბაღში ჭერამის საჭმელად.

ორ პატარა სოფლელ ბიჭს ლაპარაკი თუნის მამამ შეაწყვეტინა, რომელმაც შორიდანვე დაუძახა შვილს.

— ბიჭო, ვის ელაპარაკები? მოდი, მივდივართ.

— თუნი-ჯან, რაკი მიდიხარ, — უთხრა მიქაელმა და კალთაში ჩაავლო ხელი, — ბებიას, ბიძაჩემს, ყველას, ყველას დიდი მოკითხვა გადაეცი. უთხარი კალო ვნახე-თქო.

— ვეტყვი, — უპასუხა თუნიმ და გაშორდა.

მიქაელი დიდხანს იდგა და ამხანაგს მანამდე უყურებდა, ვიდრე არ გაუჩინარდა. მერე უცბად გაახსენდა, რომ ძალზე შეაგვიანდა და სწრაფად მოკურცხლა აღას სახლისაკენ.

თ

სამი წელი გავიდა.

ამ დროის მანძილზე მიქაელის ბედისწერაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. ახლა იგი, სახლის უბრალო მსახური, „დუქნის შეგირდი“ გამხდარიყო. ეს დიდი წარმატება იყო. მაგრამ როგორ მიაღწია ამას?

გასაოცარი ცრურწმენით არიან დაავადებული იმ ფენის ადამიანები, რომელთაც მაპისიანი ეკუთვნოდა. ხშირად მომხდარა, ვინმეს ცხენი[1] უყიდია, ძაღლი, ან კატა მიუყვანია ოჯახში და ამათი ფეხი მოხდენია. საქმე კარგად წასულია. ასეთ პირუტყვს ოჯახიდან აღარ იშორებენ, იგი ხდება სახლის კეთილი ანგელოზი, ოჯახში ბერდება, ინახავენ, სანამ მოკვდება და სახლის მთავარ შესავალთან ასაფლავებენ. ასევე აფასებენ ადამიანების ფეხსაც. ვთქვათ ოჯახში რძალი მოიყვანეს, მის ფეხზე ოჯახი წელში გაიმართა, ასეთ ქალს შეიყვარებენ. ზოგჯერ პირიქით ხდება, — ქალი ცუდი ფეხისა აღმოჩნდება, ოჯახში უბედურებას უბედურება მოსდევს, მდგომარეობა უარესდება, ასეთი ქალის ოჯახში შემოსვლის დღეს წყევლა-კრულვით იხსენიებენ და ყველას ათვალწუნებული ჰყავს... ასევეა ახალშობილებიც: ზოგ ბავშვს კეთილი ფეხი დაჰყვება, ზოგს — ბოროტი. იმაზე, ვისაც სიკეთე მოაქვს, იტყვიან — „დოვლათიანი ფეხი აქვსო“... ეგეც თავისებური „ოქროს მამალია“, რომ თავისი გავლენით კეთილდღეობა მოაქვსო. ჩვენ ერთ მხარეს გადავდებთ ასეთ და მსგავს ცრურწმენათა განხილვას, და მხოლოდ იმას დავ-

[1] როგორც ცხენებს, ისე ძაღლებს, კატებს და სხვა შინაურ ცხოველებს, განსაკუთრებული ნიშნები აქვთ, რითაც გამოიცნობენ მათ ბოროტ თუ კეთილ გავლენას ოჯახის მეპატრონის ბედ-იღბალზე.

ძენთ, რომ იმ დღიდან, რაც მიქაელი მასისიანების ოჯახში შევიდა, მათი საქმე ერთბაშად გამოკეთდა და აღმა წავიდა. რასაკვირველია, ეს მხედველობიდან არ გამორჩა მასისიანისთანა ცრუმორწმუნე ადამიანს, მან სოფლელ ბიჭს კეთილი თვალით დაუწყო ყურება და მალე დუქანშიც გადაიყვანა.

მიქაელი ცხოვრების კიბეზე ერთი საფეხურით ამაღლდა, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. სახლის უბრალო მსახურიდან „დუქნის შეგირდი" გახდა. ის აღარ იყო, რაც ამ ორი წლის წინათ, საგრძნობლად გამოიცვალა, გაირანდა, სოფლური უხეშობა დავიწყებას ძიეცა, გარეგნულადაც დაიხვეწა, სავსე წითელი ლოყები ჩაეფერფლა, სახე დაუნაზდა. უწინდელი მხიარული ელფერი უგემურმა ფერმკრთალობამ შეცვალა და წარსულიდან მხოლოდ ცეცხლოვანი თვალებიღა შემორჩა.

დუქანში შემოსული ყველა მუშტარი იცნობდა მიქაელს. ეს ისეთი ბიჭი არ იყო, რომ ყურადღების გარეშე დარჩენილიყო, რომ გულგრილად ჩაევლოთ მის გვერდით. ყველა რატომღაც ვალდებულად თვლიდა თავს გამოლაპარაკებოდა და იმისი სიტყვა-პასუხიც მოესმინა. მიქაელი ძალზე თავაზიანი ბიჭი იყო: ჯერ პაპიროსი არ ჰქონდა შეპვეული მუშტარს, მას უკვე მზად ჰქონდა ასანთი მოსაკიდებლად, და ცდილობდა რაიმე სამსახური გაეწია. ანდა „როგორც კი ვინმე რამეს იყიდდა, იგი სასწრაფოდ დახლთან გაჩნდებოდა. ქაღალდში შეუხვევდა და ზოგჯერ თვითონვე გაურბენინებდა სახლში.

მაგრამ ხანდახან მიქაელსა და აღას შორის პატარა უთანხმოება მაინც მოხდებოდა ხოლმე. ამის მიზეზი იყო ოსტატისა და შეგირდის ურთიერთგაუგებლობა. ვთქვათ დუქანში შემოვიდა ვინმე ქალბატონი რამდენიმე არშინი ჩითის ან ორიოდე გირვანქა ძაფის საყიდლად. მასისიანი მთელი საათი გაუბამდა საუბარს თითქოს ქალის განსვენებული მეუღლე მისი კარგი მეგობარი იყო და ამიტომ იმ კაცის ხსოვნის პატივსაცემად მაღალხარისხოვან საქონელს სთავაზობდა, თანაც შეღავათიან ფასებში და ა. შ. მერე მიუბრუნდებოდა მიქაელს და რიხიანად მიმართავდა:

— ეი, ბიჭო. იმ კარგი ხარისხისა გამოიტანე.

მიქაელს გამოჰქონდა ყველაზე მაღალი ხარისხის საქონელი. აღა პირქუშად შეუბღვერდა გამოუცდელ ბიჭს და ეტყოდა:

— სულელო, ეს არის კარგი? როდის უნდა მიეჩვიო კარგსა და ავში გარკვევას?

— მაგაზე კარგი არა გვაქვს. აღა. — გულუბრყვილოდ პასუხობდა ბიჭი.

— როგორ თუ არა გვაქვს, ძაღლის ლეკვო? — გაუჯავრდებოდა აღა და თვითონ წავიდოდა საქონლის გამოსატანად.

— ეგ ხომ ცუდია... — შენიშნავდა შეგირდი, როცა აღას გამოტანილ საქონელს დახედავდა:

მაგრამ აღა ყურადღებას აღარ აქცევდა, ზომავდა, თვალს არ აშორებდა ამორჩეულ საქონელს და „მუშტარს“ ასე ისტუმრებდა. მერე კი მიუბრუნდებოდა გამოუცდელ შეგირდს და დაუცაცხანებდა:

— დოყლაპია, როდის უნდა გახდე კაცი? როდის უნდა ისწავლო ვაჭრობა? როცა გეუბნებიან „კარგისა“ მოიტანეო, შენ უნდა ცუდი მოიტანო, გესმის თუ არა?..

— როგორ უნდა მივხვდე? მე ის ვიცი, რომ კარგი — კარგია, ცუდი კი — ცუდი. ცუდია და კარგ საქონელს მშვენივრად ვარჩევ.

— შე სულელო, მუშტარს ჯერ კარგს უჩვენებენ, მერე ცუდს გაატანენ... მიხვდი?

— ეგ მე არ ვიცოდი... — ჩაილაპარაკებდა მიქაელი და დასძენდა.—მერე ადამიანის სული სად გაექცევა ტყუილს. ხომ დაიღუპა...

მაშინ აღა ვრცელ სახარებას წაუკითხავდა ხოლმე ვაჭრობის საიდუმლოებაზე.

II

მასისიანის სავაჭრო დუქანი და მთელი იმისი კომერციული საქმიანობა საკმაოდ საყურადღებოა აღებ-მიცემობის განსაკუთრებული ნიშნების გამო. დუქანი ერთ დიდ ბეღელს წარმოადგენდა საქონლის მრავალნაირი ასორტიმენტით. აქ ყველაფერს ნახავდით დაწყებული მანუფაქტურით, ქსოვილებით, საგალანტერიო საქონლით, რკინეულობით, ტყავის ფეხსაცმელებით, ნავთით, ჩაი-შაქრით და გათავებული ბავშვების სათამაშოებით. აქვე იყიდებოდა სალიანის დოში, თევზეული, მოსკოვური ტკბილეული და სხვა. სავაჭრო სავსე იყო ევროპული ყოველგვარი სასმელებითა და ადგილობრივი ღვინო-არაყით. ერთი სიტყვით, მასისიანის დუქანს ჩიტის რძეღა აკლდა. მზარეულს აქ შეეძლო შეეძინა კვერცხი და ბურღული, ხოლო ყოველ დედაკაცს — თმებისთვის საცხები და საუკეთესო სუნამოები. აქვე იყიდებოდა ავადმყოფისთვის ქინაქინი და პიტნის წვეთები. ეს ყველაფერი დომხალივით ისე იყო ერთმანეთში არეული, რომ მთელ მაზრაში მასისიანის სავაჭრო უბადაღე-

ბული ჰქონდათ — რა მასისიანის დუქანივით გაქვს არეულ-დარეულიო.

თვითონ მასისიანი გაუნათლებელი კაცი იყო.

წერა-კითხვა ეშმაკივით სძულდა, სავაჭროში არავითარი ანგარიშწარმოება არ არსებობდა. „აღებ-მიცემობა“ აღას პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდა, ესე იგი, ერთი ხელით აიღეო, მეორეთი — მიეციო. ასე ესმოდა მასისიანს ვაჭრობის თავი და ბოლო. „ნისიას“ იგი არ სცნობდა, რაიმე ანგარიშის შენახვა არა სჩვეოდა, მთელი ანგარიშიანობა მოთავსებული ჰქონდა თავში. საოცარი მეხსიერების პატრონი იყო. წვრილად იცოდა რა და რა საქონელი ჰქონდა, რამდენი. სად ეწყო, რამდენი გაყიდა. რამდენი დარჩა: ზეპირად იცოდა ფასები, გაყიდვის დროს რამდენი რჩებოდა მოგება. ერთი სიტყვით, ნამდვილ საბუღალტრო დავთარს წარმოადგენდა იმისი თავი. წერა-კითხვა მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა. როცა მოვალეების ვექსილზე ხელი უნდა მოეწერა. ხელისმოწერა ამისათვის შეასწავლეს და დიდი ვაივაგლახით აბერხებდა. ყოველგვარ საბუთებს აღა ინახავდა ერთ კარგა მოზრდილ ყუთში, იქ ერთმანეთში იყო არეული მოვალეების სხვადასხვა ქაღალდები. მიუხედავად ამისა, ეს წერა-კითხვის უცოდინარი კაცი სათითაოდ იცნობდა რომელი ვექსილი. ან ხელწერილი ვის ეკუთვნოდა. და როდესაც რომელიმე მოვალე გამოჩნდებოდა, მასისიანი სახელდახელოდ იპოვიდა იმის ხელწერილს, თუ ვექსილს. ზუსტად ეტყოდა თანხას, პროცენტებს. თარიღს და სხვა. მარტო ახლებს კი არა, ათი წლის წინათ დაწერილი საბუთების მონახვაც არ უჭირდა და კაპიკობით უანგარიშებდა მთელ თანხას. გარდა ამისა. თავის თავგადასავალს ისე სწორად და დაწვრილებით გიამბობდათ, რომ პირდაპირ სახტად დარჩებოდით: ჩინჩინათ მოგიყვებოდათ სად რა შეემთხვა. როდის, რა დღეს, რომელ საათზე, ვის თანდასწრებით. რა საუბარი ჰქონდათ, რით დასრულდა და სხვა. მეხსიერება ზებუნებრივი ჰქონდა. ამიტომაც ანგარიშწარმოება მას არ ესაჭიროებოდა. საქმარისი იყო, სავაჭროში რაიმე საქონელი გამოლეულიყო, ან ვინმეს ხელმრუდობა ჩაედინა, რომ მასისიანი მაშინვე შეიტყობდა და საჭირო ზომებს მიიღებდა. ამ თავისებურებებთან ერთად აღა ძალზე ფხიზელი და ფრთხილი იყო. ცისკრისას დარეკავდნენ თუ არა, იგი უკვე ჩაცმული იყო და გასასვლელად ემზადებოდა. სახლიდან გამოსული პირველად ეკლესიისაკენ გასწევდა. იქ იმდენ ხანს დაჰყოფდა, ვიდრე ლოცვა არ დამთავრდებოდა. ეკლესიიდან პირდაპირ ბაზარს მიაშურებდა, ამ დროს მიქაელი კალათით ხელში მოედანზე ელოდებოდა აღას. ბატონი ჯერ მოედანს დაათვალიერებდა. გლეხების ჩა-

ზოტანილ სანოვაგის ფასებს გაიგებდა. მასისიანი ყველა გლეხს იცნობდა გვარით, სახელით, მამის სახელით. წარმოიდგინეთ გლეხის ბავშვების და ჯალაბობის სახელებიც კი იცოდა. ბაზარში ჩავლისას ყოველ მათგანს მიაკითხავდა, ჯანმრთელობას, ოჯახის მდგომარეობას გამოჰკითხავდა, მოსავალს როგორი პირი უჩანსო, გაესაუბრებოდა, ხომ არაფერი გაწუხებსო და ა. შ. ერთი სიტყვით, მეგობრულად გამოელაპარაკებოდა. გლეხებს უხაროდათ, რომ ესოდენ დიდი კაცი, აღა ასე კეთილ ურთიერთობაში იყო მათთან.

მაგრამ მხოლოდ დათვმა იცოდა, თუ რატომ დასტრიალებდა თაფლის სკას. საკმარისი იყო, აღას ვინმე „ხამი" გლეხი ჩაეგდო ხელში, რომ იმდენს ელაპარაკებოდა, იმდენ ტყუილსა და მართალს ეტყოდა, მოაგონებდა „ცხონებულ" მამა-პაპას, ათასნაირ დაპირებებს მისცემდა, სანამ ჩამოტანილ ქათამს, თევზს, ერბო-კარაქს, ყველს, ან სხვა სანოვაგეს იაფად არ ჩაიგდებდა ხელში. მასისიანი ოჯახისათვის საჭირო სანოვაგეს თავად ყიდულობდა, სხვას არავის ენდობოდა. „უცხოს" ხელით მხოლოდ ნარი უნდა გლიჯოო. — ეს იყო მისი საყვარელი ანდაზა. მეიდანში საქმის დამთავრების შემდეგ საათობით დაბორიალობდა ბაყლების და მეპურეების დუქნებთან, მერე კარგა დაზურგავდა მიქაელს და გაისტუმრებდა სახლში.

თავის სავაჭრო დუქანში მისვლისას მასისიანი ვიდრე კარს გაიღებდა, სანთლით დალუქულ კლიტეებს კარგა გასინჯავდა, შემდეგ გასაღებებს გადასცემდა ერთ-ერთ შეგირდს, გააღებინებდა და შეივიდოდნენ შიგნით. ზღურბლზე „გადააბიჯებდა თუ არა, მასისიანი რამდენიმეჯერ პირჯვარს გადაისახავდა. ამ ხნის განმავლობაში მიქაელს სანოვაგე უკვე მიტანილი ჰქონდა სახლში და უკან მობრუნებული, ატუზული იდგა ხოლმე დუქანთან. როგორც კი გაიღებოდა სავაჭრო, იგი მორწყავდა, ცოცხს დასტაცებდა ხელს, დაგვიდა, საქონელს მტვერს გადასწმენდდა და ნოქრებს ეხმარებოდა მილაგებ-მოლაგებაში. მასისიანი გამოცდილი ვაჭარი იყო, იგი ნოქრებს სათანადო განკარგულებას აძლევდა, საქონელი ისე უნდა დააწყოთ ყაფაზებზე, რომ მუშტარს ახლად მიღებული ეგონოსო. ეს არც თუ იოლი საქმე იყო, ამიტომ ნოქრები კარგა ხანს ჩალიჩობდნენ საქონლის დალაგებაში. ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა მასისიანს — ღუქნის ფანჯრებს არასოდეს არ აწმენდინებდა; იმისი აზრით — „რაც უფრო სიბნელე იქნება შიგნით, მუშტარს საქონელი მით უფრო მოეწონებაო"...

ეს სამუშაო ყოველდღე მეორდებოდა თავიდან ბოლომდე. მასისიანს პირმართალ, უაღრესად სიმართლის მოყვარე ადამიანად მოჰქონდა თავი, მეტადრე მაშინ, როცა საქმის დაჭერა უხდებოდა

მოვალეებთან. მაგრამ როცა მარტოდმარტო რჩებოდა, მუდამ გასაკიცხ თვისებებს ამჟღავნებდა.

ზამთრის სუსხიან დღეებში (აღა დუქანში ცეცხლს არ ანთებდა) და ზაფხულის პაპანაქებაში მასისიანი დილიდან საღამომდე დუქანში ტრიალებდა. არავითარ შემთხვევაში არ მოშორდებოდა. მასისიანი საშინლად ეჭვიანი კაცი იყო, არავის ენდობოდა, მათ შორის არც მეუღლეს და არც შვილებს — ყველას ქურდებად სთვლიდა. იმისი აზრით მხოლოდ გლეხები არ იყვნენ ქურდები. და ამას მასისიანი იმით ხსნიდა, რომ ბნელი და ტუტუცები არიანო. ვისაც კი ჭკუა აქვს, ის უეჭველად ქურდიაო. ამის გამო იგი დუქნიდან ფეხს არ იცვლიდა, გაფაციცებით აკვირდებოდა თვალს ეაჭრობას. საქონელი რომ გაიყიდებოდა, ფულს თვითონ ღებულობდა და დახლში ყრიდა. მასისიანის სალარო მოგაგონებდათ ეკლესიების კარებზე ჩამოკიდებულ დალუქულ და მაგრად დაკეტილ ყუთს, რომელსაც ზევიდან ნაპვრეტი ჰქონდა ფულის ჩასაყრელად. ამ სალაროს ხსნიდა ხოლმე შაბათობით, საღამოს, შემოსულ თანხას დაითვლიდა და გაყიდულ საქონლის რაოდენობასთან აჯამებდა. მთელი კვირის განმავლობაში არავის არც ერთ კაპიკს არ მისცემდა, მარტო შაბათ საღამოს გაიღებდა გასამრჯელოს.

მასისიანს ვაჭრობის ბედიღბალზე საკუთარი, ფანატიკური შეხედულებები ჰქონდა. მაგალითად, ორშაბათობით ერთ კაპიკსაც კი არავის მისცემდა. მისი აზრით და ღრმა რწმენით, თუ ორშაბათს ფულს გასცემდა, ეს მთელ კვირას დაებედებოდა, მოგებას ვერა ნახავდა, შემოსავალი აღარ ექნებოდა.

როგორც ვთქვით, მასისიანი მთელ დღეს დუქანში ტრიალებდა და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა მუშტარს. ხანდახან, ისიც ზაფხულის პაპანაქება დღეებში, სკამზე დახვავებულ მასისიანს ჩასთვლემდა ხოლმე. მაგრამ ისე ეშმაკურად, რომ ვერავინ შეატყობდა ეძინა თუ ფხიზლობდა, რადგან თითქოს ძილშიც გრძნობდა რა ხდებოდა დუქანში და თუ შეგირდები დროულად არ შეეგებებოდნენ მუშტარს, ის მაშინვე თვალს გაახელდა და დაუცაცხანებდა: „ეი, ლაჯებო, დაბრმავდით თუ რა არი, ვერა ხედავთ, მუშტარი იცდის?“

მაგრამ ერთხელ ერთმა შემთხვევამ მასისიანი ისე გატეხა, რომ თავისი სიფხიზლის მიუხედავად, თავი მოტყუებულად და დამარცხებულად იგრძნო. ახლობელი მოკეთე გარდაეცვალა, ვალდებული იყო დაკრძალვას დასწრებოდა (ეკლესიური წესების უტყუარი შემსრულებელი იყო). იქიდან ძალიან დაღლილ-დაქანცული დაბრუნდა დუქანში, მიქაელის გარდა ყველა შეგირდები თავიანთ საქმეზე წასულიყვნენ. მიქაელს უბრძანა, ყურადღება მიექცია დუქ-

ნისათვის. თვითონ კი თავის ადგილზე დაჯდა. საშინელი სიცხე იდგა. ეტყობოდა საუკეთესო მეგობრის დაკარგვას და მეორე მხრივ დაქანცულობას ძალზე დაესუსტებინა იგი, ამასთანავე, როგორც ჩანდა, ცხონებულის სულის შესანდობარი რამდენიმე ჭიქა მეტი მოსულოდა, ამის გამო, დაჯდა თუ არა, მაშინვე ღრმად ჩაეძინა. სწორედ ამ დროს ერთმა კოხტად გამოწყობილმა ახალგაზრდამ ფრთხილად აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და აღას თავს წაადგა. ფეხის ხმაზე აღას გამოეღვიძა.

— იყიდეთ ეს ნივთი. — მიმართა უცნობმა, — უბიდან ოქროს საათი ამოიღო და აღას გაუწოდა. — რასაც მომცემთ, მომეცით, ფული ძალიან მჭირდება. მეუღლე მყავს ავად. ექიმთან მივიჩქარი.

მასისიანმა გულდასმით შეათვალიერა უცხო კაცი. მერე საათი გასინჯა და მიუგო:

— ორმოცდაათ მანეთზე მეტი არა ღირს.

— მომეცით ფული. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, მაგრამ მერწმუნეთ, მოსკოვში ოთხმოც მანეთადა მაქვს ნაყიდი, — სხაპასხუპით მიაყარა უცნობმა.

მასისიანმა ორმოცდაათი მანეთი ჩაუთვალა. უცნობი უმალვე გაუჩინარდა.

მიქაელმა, რომელიც გულდასმით ადევნებდა თვალ-ყურს ამ ვაჭრობას, უცნობის წასვლის შემდეგ აღას მიმართა:

— ეს კაცი ერთი საათის წინ დუქანში შემოვიდა, საათებს შეავლო თვალი. აქედან შეხედა, იქიდან შეხედა, მაგრამ არ იყიდა. ბოლოს თქვა. ფასების გაგება მინდოდა, საათი მაქვს გასაყიდიო და წავიდა.

— წაიღო ხუთი თუმანი... — წამოიძახა მასისიანმა.

— როგორ თუ წაიღო? — გაკვირვებით შეეკითხა მიქაელი.

— თვალი გამოგთხარა და ისე წაიღო, — გაბრაზებით უპასუხა აღამ, — ეგ საათი ჩვენია.

— მაშ მოიპარა, ღმერთო ჩემო, ასე კოხტად გამოწყობილი კაცი ქურდია?

— ჰო. ეგრე ჩაცმული კაცი ჩაიდენს ქურდობას, მაგნაირები იპარავენ და არა შენისთანა სულელები... — უპასუხა გულმოსულმა აღამ. — რა ყოჩაღი ბიჭია! — თავისთვის ჩაილაპარაკა მასისიანმა,— შაქრად შეგერგოს დედის რძე, ეშმაკს არ შეეძლო ჩემი გაცურება. შენ კი მომატყუე, ათას მანეთს მივცემდი, ხელში რომ ჩამივარდეს და ჩემთან მოისურვოს სამსახური.

მერე ისევ მიქაელს მიუბრუნდა.

— ხედავ. ლეკვო? ამას ჰქვია ყოჩაღი ბიჭი. თვალიდან ბეწვს. ისე აცლის. რომ კაცი ბაიბურში არ არის. ხედავ?..

მიქაელმა არაფერი უპასუხა.

Ჩ

მასისიანის უძველესი სახლ-კარი არაფრით განსხვავდებოდა მისი დუქნისაგან. როგორც ერთგან, ისე მეორეგან შეინიშნებოდა ქაოსი, არეულ-დარეულობა, აქაც და იქაც ყველაფერი აშმორებული, დაჟანგებული და გაცვეთილი იყო.

მასისიანის სახლი ნახევრად დანგრეული კოშკის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ფეგონებოდათ, აქაური მცხოვრებლები აყრილან და გადახვეწილანო, ხოლო მათი ხელით ნაკეთები, უპატრონოდ მიტოვებული, დროის მსახვრალ ხელს გაუპარტახებიაო. ამ კოშკში (რაც ნაწილობრივ დანგრევას გადარჩენოდა) ზოგიერთი შენობაღა იდგა, — სათონეს, სადაც ინახავდნენ სურსათ-სანოვაგეს. სამზარეულოდ და პურის საცხობად იყენებდნენ, ხოლო მარანს. — ღვინის ქვევრების. ხილეულისა და სხვადასხვა მწნილეულის სათავსოდ. გარდა ამისა, მასისიანებს კიდევ სამი ოთახი ეჭირათ, რომელთაგან ერთი სასტუმროს და აღას საწოლისა და კაბინეტის მოვალეობას ასრულებდა, მეორეში — ცხოვრობდა ქალბატონი თავისი ქალიშვილებით, მესამეში კი — მათი შვილი — სტეფანე. სამივე ოთახი ერთ სართულზე იყო მოთავსებული და მიწური იატაკი ჰქონდა. ერდოებიც მიწური სახურავით იყო გაწყობილი, რომელსაც ბალახი და ბუჩქები მოსდებოდა. ოთახების სამივე კარი ეზოში გადიოდა. დაბალ და ვიწრო ფანჯრებს გისოსები ჰქონდა აკრული. ოთახებში სინათლე კარებიდან უფრო შედიოდა, ვიდრე ფანჯრებიდან. ეს ფანჯრები, სპარსი დურგლების გამოგონებული — ზაფხულობით ფარღალალა იყო, ზამთრობით კი ქაღალდებს აკრავდნენ, ეს ქაღალდები — ძველი წერილები — აღას მოჰქონდა დუქნიდან. ასეთი „მინები“ მხოლოდ სიცივეს აკავებდა, სინათლეს კი გზას უხშობდა, ამიტომ ოთახებში ბნელოდა. შენობა გარედან შელესილი იყო ბზენარევი ტალახით, შიგნიდან კი — გაჯით. კედლები შიგადაშიგ გაყვითლებული იყო, აქა-იქ — გაშავებულიც და თითქმის ერთიანად დაეკარგათ პირვანდელი სითეთრე. ზოგან გაჯი ჩამონგრეულიყო და აგურები გაეშიშვლებინა. ოთახებს ჭერზე ლამფა არა ჰქონდა აკრული და გაყვითლებული თაგხეები მოჩანდა. იატაკზე არც ფიცარი ეგო, არც აგური, პირდაპირ აყალო

შიწა იყო დატკეპნილი. როგორც სოფლის ქოხებში იციან. ოთახებში ვერ ნახავდით ევროპულ დგამ-ავეჯს — სკამს, მაგიდას, ან სავარძელს. კედლების გასწვრივ იატაკიდან ერთი არშინი სიმაღლის და არშინნახევარი სიგანის ტახტი იდგა, რომელზეც გადაფარებული იყო ფარდაგები, ამ ფარდაგებზე ეწყო ლეიბები და მუთაქები, მასპინძლებიც და სტუმრებიც ფეხმოკეცილი ისხდნენ ხოლმე ამ ლეიბებზე.

მარანის, სათონისა და ამ სამი ოთახის გარდა დანარჩენი შენობები ყველა მინვრეულ-მონგრეული გამოიყურებოდა. გომურის ჭერი ჩანგრეული იყო, თავხეების ერთი ბოლო იატაკს დაბჯენოდა, მეორე კი კედელს მიყრდნობოდა. გომური კარგა ხანია უქმად იდგა. იგი მაშინ სჭირდებოდათ, როცა აღას მამა ყასბობდა და აქ საქონელს ინახავდა. ერთი სიტყვით, აღას ეზო ნანგრევების გროვას წარმოადგენდა. ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს აქაურობას ასი წლის მანძილზე ხელოსანი არ გაკარებოდა. აი ამ ნანგრევების ქაოსში ცხოვრობდა მთელ მაზრაში განთქმული მდიდარი კაცი— მასისიანი, ხოლო „ოქროს მამალი“ თავისი თვალწარმტაცი უძლეველობით აქ ოქროს მთებს დგამდა...

უმნიშვნელო გამოცოცხლება ეტყობოდა ბაღჩას. იგი კარგა მოზრდილი იყო. თუმცა ყველა სასეირნო ბილიკები და ადგილები დაეფარა ველურ მცენარეებს, უძველესი ხეები მაინც ებრძოდნენ სიკვდილს და თითქოს ამბობდნენ: „ჩვენ კვლავაც ვიცოცხლებთ და ადამიანის ხელის შეხება სულაც არ გვენატრებაო...“

ამ პირქუშ და უდაბნოდქცეულ ნანგრევებში მასისიანების ცხოვრება სავსებით შეეფერებოდა იქაურ გარემოს. ამ ადამიანთა ყოფა-ცხოვრება ისევე ერთფეროვანი იყო, ისევე უცვლელი და უშინაარსო, როგორც იმ ნაგებობათა არსებობა, რომელთაც ხელოსნის ხელი არ მიჰკარებოდა. ქვეყანა წინ მიდიოდა, ბევრი რამ იცვლებოდა, ახალ ელფერს იღებდა, მაგრამ მასისიანის სახლის ჭერქვეშ დამკვიდრებულ ცხოვრებას არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. ნანგრევების მარადიული უძრაობის გვერდით გამეფებულიყო აქ მობინადრეთა გაქვავებული, მკვდარი, უძრაობით დაღდასმული ცხოვრება. მასისიანს იგივე შეხედულება ჰქონდა ცხოვრებაზე, რასაც თავის სახლ-კარზე ფიქრობდა: — რაც ძველია, ის საამოა, ნარნარი, მტრის ავ თვალს არ დაენახვება, მაშასადამე უნდა დარჩეს უცვლელად, რა ბედენაა თუ გაცვეთილია, ან დამპალი. მას აზრად არ მოსდიოდა იმ კარების გამოცვლა, რომლითაც იმის მამა, პაპა, პაპის პაპა სარგებლობდნენ, — ასევე არ ღალატობდა იმ ჩვეულებებს, რომლითაც მის წინაპრებს ეცხოვრათ.

მასისიანის მთელი ოჯახი წააგავდა ერთიანარ რთულ მანქანას, რომლის მთავარი მამოძრავებელი ღერძი თვითონ აღა იყო. საითკენაც ის შეტრიალდებოდა, ყველას იმ მიმართულებით შემოატრიალებდა ხოლმე. ვაი იმას, ვინც უკან ჩამორჩებოდა, წინააღმდეგობას გაუწევდა... სხვებისათვის იგი იყო ცხოვრების მისაბაძი სურათი, დანარჩენები ვალდებული იყვნენ იმის მაგალითს მიჰყოლოდნენ; — უნდა ეჭამათ ის, რაც აღას მოსწონდა, უნდა ესაუბრათ ისე, როგორც იგი ლაპარაკობდა, უნდა დაეძინათ მაშინ, როცა მასისიანი იძინებდა, უნდა ამდგარიყვნენ მაშინ, როცა იგი ადგებოდა, მოკლედ — იმისი გემოვნება, ყველას გემოვნება იყო, იმისი ჭკუა, ყველას ჭკუა...

ყოველ დილით, როცა ბაზარში მიდიოდა სანოვაგისათვის, ყიდულობდა იმას, რაც თვითონ უყვარდა, აკეთებინებდა ისეთ კერძებს, რანაირიც თვითონ მოსწონდა. თუ ოჯახის წევრთაგან ვინმეს შეეზიზღებოდა აღას ახირებული საჭმელები და მადა დაეკარგებოდა, მასისიანი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ხანდახან მთელ კვირას ხაშს, ტოლმას, ან ქუფთას აკეთებინებდა ხოლმე. თუ ვინიცობაა ვინმე საყვედურს გამოსთქვამდა — „გვეყო, ამდენი ნიორის ჭამა... დავიხოცენით ხაშის ჭამითო...“ აღა, ჩვეულებრივ, მშვიდად უპასუხებდა: „მე რატომ არა ვკვდებიო“... იგი ყველაფერს თავისი „მეს“ კარნახით აკეთებდა.—რაც იმის „მეს“ არ აწყენდა, მაშასადამე სხვასაც არავითარ ზიანს არ მიაყენებდა, რაც იმისი „მესთვის“ იყო კარგი და სასიამოვნო, სხვებისთვისაც კარგი და სასიამოვნო უნდა ყოფილიყო. აჰა, ასეთი გახლავთ ეგოიზმის ნამდვილი სურათი, რომელიც როცა ძალმომრეობას შეეზრდება, საშინელებად იქცევა. მასისიანი ამ სურათის ტიპიური განსახიერება იყო.

მასისიანის მეურნეობაში ყველა მამა-პაპური ადათ-წესები შემონახული იყო, თავისი უძველესი კოლორიტით. იმის სუფრაზე ჯერ არც დანა იყო და არც ჩანგალი, იგი დანით პურის დაჭრას ცოდვად თვლიდა. საჭმელს ხელით ჭამდნენ, მხოლოდ წვნიანს შეექცეოდნენ კოვზით. აღა მუდამ მარტო სადილობდა, თუ სტუმრები არა ჰყავდა. მაგრამ სტუმრები იშვიათად ილოდა მის სახლში. სტუმრების დაპატიჟებაში ძუნწი არ იყო, იმისი სიტყვით, „პურმარილი ბევრ კარგ საქმეს აკეთებსო“... — საქმე ის იყო, რომ სტუმრებსაც ისეთივე კერძებით უმასპინძლდებოდა, როგორიც თვითონ უყვარდა. მასისიანის სახლში ყოველდღე იხარშებოდა ხაში და ქუფთა. თბილისიდან დაბრუნებული სტეფანე ყოველდღე მამასთან სადილობდა, მაგრამ როცა აღამ შეიძულა შვილი, იმ დღიდან ხელი აიღო და ისიც დედასთან და დებთან სჭამდა, ცალკე ოთახ-

შ. ცოლ-ქმარის ცალ-ცალკე პურობის ეს აზიური ადათი ნანატრი ბედნიერება იყო ყველა სიამოვნებას მოკლებული ამ ოჯახისათვის. ზოგჯერ ქალბატონი მარიამი თავისი შვილების ხვეწნა-მუდარას შეიწყნარებდა და მათ საყვარელ კერძებს აკეთებდა აღასაგან მალულად. მაგრამ როგორც კი გამჟღავნდებოდა ეს „ქურდობა“, მაშინ საწყალი დედაკაცის ხვედრი იყო უანგარიშო ლანძღვა-გინება და შეურაცხყოფა.

დიდი ღვთის მოწყალება იყო, რომ აღა. ოჯახის ურჩხული, მთელ დღეს სახლში არ ტრიალებდა. დილაადრიანად მიდიოდა ეკლესიაში, იქიდან დუქანში და იქ რჩებოდა მზის ჩასვლამდე, მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდა შინ. აღას სახლში არყოფნის დროს ოჯახის წევრები სურვილისამებრ ისვენებდნენ, მხიარულობდნენ. მათი მხიარულების საზღვრები იყო სახლის ოთხი კედელი და ბაღჩა. ამ ბაღჩის შუა გულში პატარა ტბა იყო, მაღალი ხეებით გარშემორტყმული, რომელთაც ფართოდ გაეშალათ ტოტები და სასიამოვნო სიგრილეს აყენებდნენ ირგვლივ. ზაფხულის თაკარა სიცხეში, როცა ოჯახურ საქმეებს მოათავებდა, აქ ისვენებდა ხოლმე მარიამი თავისი შვილებით. გაიანე და რიფსიმე ხეების ჩრდილში გაშლილ ნოხზე ერთად ისხდნენ და თავიანთი პაწაწინა თითებით ან ხელსაქმით იქცევდნენ თავს, ან ჩურჩულ-კურკურობდნენ, ანდა პურის ნამცეცებს უყრიდნენ გუბურაში თევზებს და ისე ერთობოდნენ. დედა უყურებდა მათ და ხარობდა. აქვე ისვენებდა ხოლმე სტეფანეც, როცა კერძო გაკვეთილების მიცემით დაღლილ-დაქანცული შინ ბრუნდებოდა.

აღმოსავლეთის ცხელ ქვეყნებში, რომელთაც უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ქალაქი ე..., ეზოში წყალი და ფართო კარ-მიდამო დიდი ნეტარებაა კარჩაკეტილი ოჯახისათვის, რომელიც მოწყვეტილია ყოველგვარ გართობას. მასისიანის ოჯახის სიდუხჭირეს ნაწილობრივ ამსუბუქებდა ფართო ეზო, ბაღჩა და გუბურა. ესენი რომ არა, ნესტიანი, ჰაერსა და მზის შუქს მოკლებული ვიწრო ოთახები მთლიანად სულს შეუხუთავდნენ და დააავადებდნენ აქ ბინადართ. წლის სამ დროს, გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას აქ ატარებდნენ დილიდან საღამომდე. ამ ხეების ჩრდილში სადილობდნენ, სტუმრებს აქ იღებდნენ, აქვე მეცადინეობდნენ და აქვე იძინებდნენ განსაკუთრებულ „ქეთირებში“[1]. ხეებთან, ბალახებთან, ყვავილებთან და ფრინველებთან დღენიადაგ სიახლოვე ადამიანს აზიარებდა იმ ნეტარ ცხოვრებას, რომელიც უფრო ახლოა ბუნებასთან.

---

[1] ქეთირი — ყუთის მსგავსი, ბოძებზე შემდგარი საწოლია, ამაში იძინებდნენ, რომ კოლოს და სხვა მავნე მწერებს არ შეეწუხებინათ.

ლ

სიცხე-პაპანაქება იდგა, ივლისის თაკარა მზე ძალუმად იკბინებოდა. დიასახლის მარიამს ტბის ნაპირას გაეწყო სუფრა და სტეფანეს მოსვლას ელოდებოდა, რომ ერთად ესადილათ. სტეფანეს დაბრუნების დრომ გაიარა, გაიარა კიდევ ერთმა საათმა, ორმა, სამმა, სტეფანე არა ჩანდა. გოგოებს მოთმინება აღარ ეყოთ, ისადილეს და ბაღში გაიქცნენ სათამაშოდ. დედას კი ლუკმა არ ჩაეშვა პირში და მოუთმენლად ელოდა შვილს.

ბოლოს გამოჩნდა იგი, დღესაც, როგორც ყოველთვის, მდუმარე და დაღვრემილი. სტეფანემ ხმა არავის გასცა, გადასჭრა ეზო და ხის ქვეშ დაგებულ ნოხზე დაწვა. დედა სათონეში სადილს უთბობდა. გაიანე და რიფსიმე ბალახებზე ისხდნენ და თოჯინებს ახალ შეკერილ კაბებს აცმევდნენ: ხვალ, კვირა დღეს, გოგოები უნდა სწვეოდნენ და მათთან ერთად „ქორწილი“ გადაეხადათ. სტეფანეს ყურადღება მიიპყრო პატარა დების ბეჯითმა შრომამ.

— რიფსიმე, მოდი ჩემთან, — დაუძახა მან.

— რა გინდა, რა უნდა მითხრა? არა მცალია, საქმე მაქვს, — მიუგო პატარა რიფსიმემ.

— მოდი, გეუბნები.

პატარა გოგონამ მიირბინა ძმასთან და მკერდზე დაეცა.

— მე მეთამაშე, რიფსიმე.

— შენ როგორ გეთამაშო, თოჯინა არა გყავს!

— შემახტი, თმები დამწიე, ერთი სიტყვით, რაც გინდა, ის მიყავი, რიფსიმე.

— მერე არა მცემ?

— არა.

პატარა რიფსიმემ გადაიკისკისა და ძმას გაშორდა. არის წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როცა იგი გულმოსულია და ბავშვური გართობით ცდილობს ბოღმის გაქარვებას. ამჟამად ჭაბუკი სტეფანე სწორედ ამ მდგომარეობაში იყო. ის უფრო მოხერხებულად დაწვა ნოხზე გულაღმა და ზევით მიაპყრო მზერა, თითქოს ფოთლების შრიალში უნდა ამოიცნოსო თავისი მომავალი ბედისწერა. ამ გამხდარ, მელანქოლიურ ყმაწვილს მშვენიერი მიმზიდველი სახე ჰქონდა, მაგრამ თავის ასაკთან შედარებით უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. თვრამეტი წლისა იყო სტეფანე, ეს ის ქარიშხლიანი ასაკია, როცა ბავშვური ცეცხლი აბრიალებას იწყებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის იმდენად ცივი იყო, ისეთი დაბნეული, მდუმარე და მუნჯი, რომ შეხედავდით თუ არა, მაშინვე გაიფიქრებდით, რაღაც

იდუმალი ტკივილი უღრღნისო გულ-მუცელს. ხოლო თუ მოხდებოდა და ზოგჯერ დაავიწყდებოდა თავისთავი, მეტადრე — როცა კარგ ამხანაგებში ან საზოგადოებაში აღმოჩნდებოდა, იგი ძალზე მხიარული, ენაწყლიანი, ცოცხალი იყო და მხურვალე ბავშვური ცეცხლით ბრწყინავდა ხოლმე.

სხვადასხვა წიგნების წაკითხვით სტეფანე მალე მოექცა მაცთუნებელი იდეების ტყვეობაში, იმ იდეების, რომლებიც ერთბაშად ეუფლებიან ბავშვების ოცნებას, ენერგიას და ყმაწვილკაცებს აქცევენ ერთგვარ უგუნურ არსებებად. ეს არსებები ხელს იღებენ ბეჯით, ურყევ შრომაზე, ხელს იღებენ საფუძვლიანი ცოდნის დაუფლებაზე, მეცნიერების რომელიმე დარგის ღრმად შესწავლაზე და ოცნებით ფრთებგამოსხმულნი ბრმად, ანგარიშმიუცემლად მიისწრაფვიან რაიმე დიდი საქმის ჩასადენად. ეს ერთგვარი ავადმყოფობაა, ბავშვების წინსვლას რომ აბრკოლებს, და მათგან ქარაფშუტა მოლაყბეთა მთელ საზოგადოებას ამზადებს. ეს მოლაყბენი, იმის ნაცვლად რომ შეიგნონ თავიანთი მოუმზადებლობა, სიძულვილით და ათვალწუნებით უყურებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. იერიშები მიაქვთ მათზე, უკმაყოფილონი არიან, ისინი არ გვაფასებენო, საყვედურობენ, მათ ჩვენი არაფერი გაეგებათ და ამის გამო ვერ ვაკეთებთ იმას, რაც უფრო კარგიაო და სასარგებლო... უნდა ითქვას, რომ სტეფანე ნაწილობრივ თავისუფალი იყო ამ სენისაგან. საზოგადოებასთან მას არასოდეს ურთიერთობა არა ჰქონდა, მაშასადამე, მისდამი არც სიძულვილი და არც სიყვარული არ ეცოდინებოდა. სტეფანეს თავისი ანგარიშები მხოლოდ ოჯახთან ჰქონდა,— იმ კერასთან, სადაც აღიზარდა, რომლის მრავალი სიმწარე საკუთარ თავზე გამოეცადა. მას მხოლოდ მჩაგვრელი და შემავიწროებელი ოჯახი სძულდა, მაგრამ ჯერ კიდევ არა გაეგებოდა რა იმისა, რომ ოჯახი ერთი რგოლი იყო საზოგადოებრივი ორგანიზმის მთლიანი ჯაჭვისა, და რომ ოჯახის ცუდი თვისებები მთელ საზოგადოებაზე ვრცელდებოდა.

მონობის ატანა, თითქმის უმტკივნეულოდაც, შეიძლება მანამდე, ვიდრე ადამიანს არ უგემია და არ იცის, — რა არის თავისუფლება. ასევეა ოჯახშიც. აქ გაბატონებული ძალმომრეობა საცნაური არ ხდება დაჩაგრულ წევრთა თვალში, როცა უფრო უკეთესი და უფრო საამური ცხოვრება მათთვის უცნობია. მამის ოჯახში სტეფანემ ისე გაატარა თავისი უმწეო ბავშვობის დღეები, რომ არასოდეს არ უგრძვნია იმ აუტანელი ჩაგვრის სუსხი, ის აშმორებული ატმოსფერო, რომლითაც გარემოცული იყო ყრმობის წლებში. მაგრამ როცა მოსწყდა მშობლიურ ოჯახს, სხვა ქალაქს გაემგზავრა, სკოლაში შე-

ვიდა, გონება გაეხსნა, მაშინ ცხადლივ დაინახა თუ რა წრეში აეხილა თვალი, და მთელი წარსული, მწარე და საშინელი, ერთბაშად ლოდივით დააწვა გულზე. ეს ერთგვარი შემაძრწუნებელი რევოლუციაა ადამიანის სულში მომხდარი და იგი მთვრალი კაცის იმ მდგომარეობას ჰგავს, როცა თავის სხეულის იარებს უკვე გამოფხიზლებული დაინახავს და მაშინღა გრძნობს ტკივილებს. იგივე დაემართა სტეფანესაც. როცა გათვითცნობიერებულს თვალები აეხილა, მაშინ მეხსიერებამ, მდიდარ და რთულ პანორამასავით, მორიგეობით გადაუშალა წარსული ცხოვრების დაფარული სურათები— ერთიერთმანეთზე უფრო მოღუშული და შავი საღებავებით დახატული. ამ სურათებმა სტეფანეს გულში გაუღვიძეს მოტყუებული ადამიანის მწარე სიძულვილი, საშინელი შურისძიების გრძნობამდე ამაღლებული. მწარედ იგონებდა, როგორ მოატყუეს, როგორ ისარგებლეს მისი შეუგნებლობით, დაჩაგრეს, შეავიწროვეს და არ მისცეს ის, რაც საკირო იყო, რისი ღირსიც იყო.

დესპოტი მამის მიმართ სიძულვილი სტეფანეს მით უფრო უმძაფრდებოდა, რომ ჰყავდა დედა, მუდამ კეთილი გრძნობით გამსჭვალული შვილისადმი, დედაშვილური ტკბილი სიყვარულით მომადლებული, მაგრამ ისიც ისეთივე ცუდ პირობებში მყოფი, ისეთივე უბედური და დესპოტიზმის მსხვერპლი, როგორც თვითონ იყო. სტეფანე ნათლად ხედავდა, რომ მამის დესპოტიზმის მსხვერპლნი იყვნენ აგრეთვე მისი უმანკო დები, რომლებსაც არასოდეს უგრძვნიათ მამის ალერსი და მოფერება. ამ ნაზ ბავშვებს ერთხელაც არ შეუნიშნავთ მამის პირისახეზე ღიმილი, პირიქით, მამა მუდამ ცივი, მოღუშული, უხეში და სასტიკი იყო მათ მიმართ. ბავშვებს მამისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე ეშმაკისა და ცოფიანი მგლისა.

სტეფანე ისევ ნოხზე იწვა, თვალებგაშტერებული ხეებს შეჰცქეროდა, გაიანე და რიფსიმე კვლავ თამაშობდნენ, რომ სათონიდან გამოსული მარიამი შვილთან მივიდა და უთხრა:

— იქნებ რაიმე გეჭამა?

— მეძინება დედი, ძალიან დაღლილი ვარ, — გულგრილად უპასუხა შვილმა.

— ავად ხომ არა ხარ? სახეზე ძალიან გამოცვლილი ჩანხარ, — შეეკითხა შეშინებული დედა, გვერდზე მიუჯდა და თვალს არ აშორებდა შვილს.

— არა, დედი, ავად არა ვარ, თავი დამანებეთ, მინდა დავისვენო.

— რატომ არაფერს არა სჭამ?

— ვისადილე.

სტეფანემ უამბო, პეტერბურგში მიმავალ ამხანაგის გასაცი-

ლებლად ვიყავიო, უნივერსიტეტში აპირებს შესვლასო. ნაცნობ-მეგობრებმა ბაღში სადილი მოუწყეს, მეც დავესწარი, კარგი დრო გაატარეს, ბევრი იმხიარულეს, იმღერეს, დალიეს, სხვა გიჟმაჟობაც ჩაიდინეს.

— ქეიფის შემდეგ ასე დაღვრემილი როდი არიან, — ღიმილით დასძინა დედამ.

— ხდება ხოლმე... ამ ამხანაგმა ჩემს მერე ერთი წლით გვიან დაამთავრა გიმნაზია, ის უკვე მიდის სწავლის გასაგრძელებლად, მე კი ჯერ ისევ აქა-ვარ.

უკანასკნელი სიტყვების მოსმენაზე ბაგეზე შეეყინა დედას წუთიერი ღიმილი.

— კმარა, შვილო, თავიდან მოიშორე მაგაზე ფიქრი, რაც გისწავლია, ისიც საკმარისია, — უთხრა მარიამმა.

შვილმა არაფერი უპასუხა, ისევ ხეებს უყურებდა და ყურს უგდებდა ყრუ შრიალს, რომელსაც ფოთლების დინჯი მოძრაობა გამოსცემდა.

დედა ჩააგონებდა, რომ სწავლა იმათ სჭირდებათ, ვინც ექიმი, ჩინოვნიკი უნდა გამოვიდეს, ანდა სამსახურში აპირებს შესვლასო, ერთი ლუკმა პურისა, ან ფულის მოსაგებადო, მაგრამ შენ, შვილო, მადლობა ღმერთს, მაგაზე ფიქრი არ შეგაწუხებს. მამაშენი მთელ ქალაქში განთქმული ვაჭარია, პირველი მდიდარი, მაშ რაღა ძალა გადგას მიატოვო სახლი, კარი, დედა, დები, ნათესავ-მეგობრები და საწვალებლად წახვიდე, რა არის ყველა წიგნები შევისწავლოო.

— გეყოფა, დედი, — უკმაყოფილოდ მიუგო შვილმა, — მე ძალა არ შემწევს შეგასმინო, რომ სწავლას, ცოდნას მარტო ჩინოვნიკობისათვის, ან ფულის მოგების მიზნით როდი ეუფლებიან. ვერც იმაში დაგარწმუნებ, რომ არის მიზნები, რომლებიც ათასჯერ მაღლა დგანან ფულზეც და ჩინოვნიკობაზეც. ხოლო რაც შეეხება მამაჩემის სიმდიდრეს, გთხოვ მაგაზე სიტყვა აღარ დასძრა ჩემთან.

— აბა მაშ ვისთვისაა? სთქვი, ვისთვისაა? შენს მეტი ვაჟიშვილი არა გვყავს, მაშ ვის უნდა დარჩეს ამდენი ფული?

სტეფანე, რომელიც არასდროს მკაცრად არ შელაპარაკებია დედას, ახლა გაბოროტებული უსმენდა მის დარიგებას. სახის ფერი წარამარა ეცვლებოდა, ტუჩები უთრთოდა, თვალებში უკიდურესი აღშფოთების დურდო ჩასდგომოდა.

— მიმიფურთხებია იმ სიმდიდრისათვის, რომელზედაც შენ მელაპარაკები, დედი, — ღრმა უკმაყოფილების კილოთი მიუგო შვილმა, — მე იგი არ მესაჭიროება, ცოდვიანია, საუკუნო წყევლაკრულვით არის ეგ სიმდიდრე დაღდასმული, მაგის თვითეულ კაპიკ-

ში ათასობით ადამიანის ცრემლი და სისხლია. ასეთი სიმდიდრე საზიზღარია.

და აქვე დაუმატა, რომ თავად, ჯერ კიდევ გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლემ, ხელი აიღო მამის დახმარებაზე, მაგრამ თუ მანამდე ღებულობდა ფულს, ეს იმიტომ, რომ ბავშვი იყო, არ ესმოდა, თანაც კარგად არ იცნობდა მამას. შემდეგ კი თავისი შრომით ცხოვრობდა, ორმოცდაათ კაპიკად აძლევდა გაკვეთილებს და ისე ირჩენდა თავს. რომ ამიერიდან ასევე განაგრძობს, სანამ მთლიანად დაამთავრებს სწავლას.

— მაშ, შენ კიდევ აპირებ სწავლას? — ნაღვლიანად წამოიძახა ღედამ.

— უნდა წავიდე, და რაც შეიძლება მალე. თქვენთვის რომ ყური არ დამეგდო, დები რომ არ მომნატრებოდნენ, მე აქ მომსვლელი არც ვიყავი.

თვალცრემლიანმა დედამ უთხრა, რომ იგი სრულიადაც არა ფიქრობდა წინააღმდეგობა გაეწია „თვალის ჩინივით საყვარელი შვილისათვის". მარტო იმას გემუდარები, შენი ხილვის ბედნიერებას ნუ მომაკლებ, ჩემო ტკბილო სტეფანე. მერე დედამ ღრმა იარებით დასერილი გული გადაუხსნა, შიგ ჩაახედა შვილი და სევდიანად დასძინა, რომ დედამისიც უბედური ქალი იყო, ძალიან უბედური, რომ მთელ თავის სიცოცხლეში ერთ ბედნიერ, მხიარულ ღღეს არ შესწრებოდა, მუდამ სიკვდილსა ნატრობდა, ღღე-ღამ ამაზე ოცნებობდა. და თუ ბავშვებს არ გავუმჟღავნე და ვერ შევასრულე ნატვრა, იმიტომ, რომ არ მინდოდა თქვენ, ბავშვები, უპატრონოდ მიგეტოვებინეთ; ვიცოდი, მამა თავს არ შეიწუხებდა თქვენზე ზრუნვით. მთელი იმედები შენზე მქონდა დამყარებული და თუ შენც მიმატოვე, მაშინ ამ მწარე ტანჯვა-ვაებას ვეღარ გადავიტანო.

შვილმა დედის სიტყვებში ღრმა გულისტკივილი და საშინელი სიმართლე ამოიკითხა, მაგრამ სანუგეშებლად ვერაფერი უთხრა. და მხოლოდ სინანული იგრძნო, რომ დედის ახალი მწუხარების მიზეზი თვითონ გახდა.

დედამ დაუმატა, რომ მამის გარდაქმნა უკვე გვიანი იყო, ის რაც არის, ასეთივე დარჩებაო, მხოლოდ შენ თუ ჭკუა-გონებას მოიკრებ და შეეცდები მამასთან საერთო ენა გამოძებნო, შეურიგდები, ეს ფრიად სასარგებლო იქნებაო. მამას ცუდი გული არა აქვს, მას შენ უყვარხარ, მაგრამ თავის სიყვარულს არ გიმჟღავნებს, სხვებთან ფარულად გაქებს, ძალზე მოსწონხარო. ასე რომ იქცევა, ამის მიზეზი იმისი თავმოყვარეობაა, მას ვერ აუტანია, რომ შვილი მისი წინააღ-

მდეგია და შენგან მოითხოვს მორჩილებას. ვიმეორებ, იგი ფარულად სხვებთან გაქებს, ისევე, როგორც თავის საქონელს უქებს მუშტარს, თუმცა დარწმუნებულია იმ საქონლის უვარგისობაში. მე რასაკვირველია, არ მომწონს მისი საქციელი, მაგრამ უღონო ვარ, ვიცი, ვერას გავაწყობ მასთან. გემუდარები თავი გაანებო იმას, რაც მამაშენს არ მოსწონს. მაგალითად, იგი ძალიან ბრაზდება, რომ შენ გაკვეთილებს აძლევ, და ისეთი ადამიანების ოჯახებში დაიარები, რომლებზეც უფრო მდიდარი და შეძლებული ნოქრები თვითონა ჰყავს, შენი ასეთი საქციელი „ძალზე საწყენია მამისათვის“.. რას იტყვიანო ვინც დაინახავს? გარდა მაგისა, მამა ბრაზდება იმის გამოც, რომ შენ თეატრში რაღაც „ოინბაზობას“ სჩადიხარ. არც ეს არის საკადრისი მამაშენისათვის, რატომ ივიწყებსო, რომ იგი აღას შვილია და აღასავით უნდა იქცეოდესო! ყველა კაცს როდი უნდა დაელაპარაკოსო, ყველა კაცს როდი უნდა მისცესო სალამი და ყველა კაცის ოჯახში როდი უნდა შევიდესო. თავი მუდამ მძიმედ უნდა ეჭიროსო, რომ მნახველმა სთქვას — რა შნოიანი შვილი ჰყავსო მასისიანს...

— ეგ ყველაფერი ფუჭი სიტყვებია,.— უპასუხა შვილმა, ხოლო რაც შეეხება გაკვეთილების მიცემას, ასე იმიტომ ვიქცევი, რომ რამდენიმე მანეთი ვიშოვო სამგზავროდ. ის წარმოდგენა კი, ამ დღეებში რომ ჩავატარეთ და მეც ვმონაწილეობდი, იმ სტუდენტის სასარგებლოდ იყო, რომელიც დღეს გავისტუმრეთ.

დედამ რომ გაიგო, შვილი გაკვეთილებს იმიტომ აძლევს, სამგზავრო ფული აიღოსო, უფრო დასევდიანდა და თვალცრემლიანი კვლავ შეეკითხა:

— მაშ, აუცილებლად უნდა წახვიდე?..

— აუცილებლად.

მ

პეტროს მასისიანი ძალიან თავისებური კაცი იყო, იგი ეკუთვნოდა დიდთავა „ხოჯების“ იმ თაობას, რომელიც სპარსეთის ბატონობის დროს გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ვაჭრობაში, პატივისცემით სარგებლობდნენ არა იმისათვის, რომ მართალი და ერთგული ადამიანები იყვნენ, არამედ იმის გამო, რომ კაპიტალისტები იყვნენ და იცოდნენ კაპიტალის ბრუნვისას გამოსადეგი ყველა ხელსაყრელი ფანდები. მასისიანი ხსენებული თაობის ისეთი შთამომავალი იყო, რომელიც, სპარსეთის ბატონობიდან გამოსვლის შემდეგ, ახალმა კულტურამ ვერ გადახარშა, ვერ გამოასწორა. წარმო-

იდგინეთ, ტანსაცმელსაც კი ძველს, მოდიდან გამოსულს იცვამდა, ისეთს როგორსაც სპარსელების ბატონობის დროს იცვამდნენ სომეხი „ხოჯები“—მუხლებამდე ჩაშვებულ კაბას, ახალუხს, ლურჯი ფერის ქსოვილისაგან შეკერილ განიერ შარვალს და ქოშებს. თავზე ეხურა ბუხრის შავი ტყავის ოთხკუთხედი ბრტყელი ქუდი, რომლის მსგავსს დღევანდლამდე სოფლის მღვდლები ატარებენ. წლის ყველა დროს ერთნაირი ტანისამოსი ეცვა. ერთი ხელი ტანისამოსის მეტი არ გააჩნდა, ამ სამოსზე ხელს აიღებდა ხოლმე მაშინ, როცა ძალზე დაძველდებოდა, თუმცა ახალი ტანისამოსი არავის უნახავს მასისიანის ტანზე.

პეტროს მასისიანი შუატანის კაცი იყო, ჩასუქებული, ბურთივით მრგვალი, მუცელგამოვარდნილი, თავი ისე ადგა მოკლე კისერზე, გეგონებოდათ აგერ-აგერ მოსწყდება და ტანს უკან გადაუვარდებაო. მის სახეს არ სცილდებოდა მხეცური გამომეტყველება. ძირს დაშვებული გაპარსული ლოყები მუცელივით გამობერვოდა, გაიძვერა თვალები წარბებში ჰქონდა ჩამალული, დიდი თავი — მუდამ გაპარსული, სახის ფერით მონღოლს ჰგავდა. მუქი სიყვითლე დაჰკრავდა აკრეთვე ყურებსა და თვალის გუგების თეთრ არშიაზე.

პეტროს მასისიანი გარდა იმისა, რომ ფართო სავაჭრო წამოწყებას თაოსნობდა, მთელ მაზრაში განთქმული მევახშეც იყო. მაგრამ სხვა მევახშეებიდან იმით განსხვავდებოდა, რომ დიდ თანხას არავის ასესხებდა, იგი გასასესხებლად მხოლოდ ხუთი მანეთიდან ას მანეთამდე იმეტებდა. განსაკუთრებით ენდობოდა გლეხებს. ამიტომ იმის მოვალეთა რიცხვი უთვალავი იყო. მასისიანს პატარა თანხის გაცემა უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა; სარგებელსაც მეტს იღებდა და დაკარგვითაც დიდად არ იზარალებდა. აღას აზრით, ყველაზე სანდონი გლეხები იყვნენ, — ისინი გაუნათლებელი ხალხია და სხვის ფულის შეჭმას ჩვეული არ არიანო. აღა გლეხებს „მეწველ ძროხებს“ უწოდებდა და სარგებელსაც, რომელსაც მევახშეობაში იღებდა „რძეს“ უძახდა.

ვინმე ფულის სასესხებლად რომ მივიდოდა, მასისიანი დაწვრილებით გამოიძიებდა ამ გლეხის ვინაობას: სადაური იყო, ვისი შვილი, ჰყავდა თუ არა მშობლები, და-ძმები, ერთად ცხოვრობდნენ თუ გაყრილები იყვნენ, გაიგებდა თვითეული მათგანის სახელს, აგრეთვე რა ქონება გააჩნდათ, სად ცხოვრობდნენ ეს ნათესავები, რა ხელობის ხალხი იყო, რაში ეზარალათ და რაში მოგება ენახათ. ბოლოს გლეხს შეეკითხებოდა, თუ რისთვის სჭირდებოდა ფული. თუ გლეხი, ვთქვათ, ეტყოდა, მინდა ხარი ვიყიდოო, მაშინ მასისიანი დაუწყებდა დაწვრილებით გამოკითხვას: ხარი ავად რომ

გახდეს. რით უნდა უწამლო, მწვანე იონჯას რომ მიაძღეს და მუცელი გაებეროს, როგორ უმკურნალო, ან „თურქული“ თუ გაუჩნდა რა წამალს იხმარო და სხვა და სხვა.

მისი რაიმე ფანდებით მოტყუება, ან ტყუილის თქმით სესხის გამოძალვა შეუძლებელი იყო, რაგინდ გამოცდილი და ეშმაკი კაცი ყოფილიყო, იმდენ კითხვებს დააყრიდა, რომ რომელიმე კითხვის პასუხში უსათუოდ დაიჭერდა ტყუილში და ჩაჭრიდა ხოლმე.

ერთ საღამოს აღას სახლში ესტუმრა უცხო კაცი. მას ჭაღარა თმა და დანაოჭებული პირისახე ჰქონდა, გაცვეთილი, მაგრამ სუფთა ტანსაცმელი ეცვა. სტუმარმა აღას სესხად სთხოვა გარკვეული თანხა — ბამბის სავაჭროში უნდა შევიტანო, რომ წილი ჩავიდოო. ეს ერთ-ერთი იმ კაცთაგანი იყო, ვისაც ვაჭრობაში მუდამ ცუდად მისდის საქმე, ვერ შერიგებია უსამართლობას, უწესობას და მუდამ მოტყუებული რჩება. როცა ცხოვრებაში ხალხთა ურთიერთობა წაბილწულია და ასპარეზი გაიძვერობას და მოტყუებას აქვს დაპყრობილი, მაშინ ზნეობრივად უმწიკვლო ჭკუა-გონება ჰკარგავს თავის ძალასა და დანიშნულებას. ასეთი ადამიანები ბედს ემდურიან, თუმცა იმავე დროს იმედს არ იწყვეტენ; ღრმად სწამთ, რომ ოდესმე გამდიდრდებიან, — ყველა საქმეს ჰკიდებენ ხელს, ყველგან სინჯავენ ნიადაგს, მაგრამ ოხერი ბედი მაინც არ უღიმით...

ეს ბატონი მასისიანს სახლში ეწვია; სავაჭრო დაწესებულებაში უხერხულად ჩათვალა მასთან დიდხანს ლაპარაკი. აღა ყოველთვის ზრდილობიანად ექცეოდა ასეთ სტუმრებს, მეტადრე — ფულის სასესხებლად მოსულთ.

მასისიანი მარტოდმარტო იჯდა ტახტზე, ვიწრო ფანჯრის პირდაპირ, რომ სიცხისაგან ცოტა გაგრილებულიყო. გვერდზე დიდი ჭურჭლით ყინულიანი წყალი ედგა, რომელსაც ხშირ-ხშირად მიირთმევდა. ჩაის დალევის ჩვეულება არა ჰქონდა, სახლის დანარჩენი წევრები ჩაის ან მალულად სვამდნენ, ანდა მაშინ, როცა პატივსაცემი სტუმარი ეყოლებოდათ. მასისიანი ფარატინა ნოხის ნაგლეჯზე იჯდა ნახევრად ტიტველი, მარტო ახალუხის ამარა, რომ ლის ღილები გახსნილი ჰქონდა და ბალნით დაფარული გულ-მკერდი უჩანდა. შარვალი და წინდებიც გაეხადა, კოჭებამდე მთლად შიშველი იყო. თავზე დიდი ტყავის ბოხოხა ქუდი ეხურა, რომელსაც არასოდეს იშორებდა — ეკლესიაშიც კი. უცხო კაცი რომ ესტუმრა, ოთახში ბნელოდა. მასისიანმა მხოლოდ მაშინღა უბრძანა აენთოთ ლამპა.

უცხომ ასეთ სასაცილო მდგომარეობაში რომ მიასწრო აღას,

შეეცადა გაემართლებინა მასპინძლის უზრდელობა და ამინდზე ჩამოაგდო საუბარი.

— ამ სიცხე-პაპანაქებისაგან სული ეხუთება ადამიანს, ნიავი ოდნავადაც არ უბერავს, თქვენ შესანიშნავად მოქცეულხართ, ასე იქნება სძლიოთ სიცხეს.

— ეჰ, შვილო (მასისიანი ყველას „შვილოს“ ეძახდა, რა ასაკისაც არ უნდა ყოფილიყო იგი), მადლობა უფალს, რომ ასე დაუწესებია, თორემ ზაფხულის სიცხე თუ არ ვიგემეთ, გაზაფხულის სიამოვნებას ვერ ვიგრძნობდით, ზამთრის სუსხის ფასი რომ არ ეიცოდეთ, შემოდგომის პატივს ვერ გავიგებდით. გამჩენს ყველაფერი ზომიერად დაუწესებია, კარგიც და ავიც, ბოროტიც და კეთილიც, ღამის წყვდიადს დღის სინათლე დაუპირისპირა, გარდა ამისა, ერთი ღარიბად გაუჩენია, მეორე მდიდრად, სიღარიბე რომ არ ყოფილიყო, ფულის ყადრს ვერ გავიგებდით.

მასისიანს რაზედაც არ უნდა დაეწყო მსჯელობა, ბოლოს ფულზე საუბრით ამთავრებდა. ფულის ხსენებაზე სტუმარი შეწუხდა, მაგრამ ისე საჭიროებდა ფულს, რომ თავისი თხოვნა გაანდო. მასისიანმა გვერდი აუარა რჩევა-დარიგების მიცემას, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და საქმიანი საუბარი გაუბა:

— შენ გინდა ბამბით ვაჭრობა დაიწყო? (ჰო, ის არავის თქვენობით არ ელაპარაკებოდა, ყველას შენობით მიმართავდა ხოლმე). ერთი მითხარი, რა იცი მაგ ვაჭრობის შესახებ?

სტუმარმა უამბო, რომ ბამბით ვაჭრობას ძალიან კარგად იცნობდა, ამერიკის ომის დროს (მონების განთავისუფლების გამო) დიდი თანხა მოეგო ბამბაში, მაგრამ მერე დაეკარგა, ახლა კი ერთხელ კიდევ მინდა ბედი ვცადო ამ საქმეშიო.

— ვაჭრობა ბედის საქმე როდია, ჭკუის საქმეა, — უპასუხა მასისიანმა დიდი საქმოსნის კილოზე. — შენ მხოლოდ ეს მითხარი, ჩემი ფულები როგორ უნდა დაატრიალო?

უცხო კაცმა დაწვრილებით განუმარტა, რომ ამ საქმეში კარგა დახელოვნებული იყო, რომ აღას მიერ მიცემულ ფულებს უბრალოდ არ გაფლანგავდა, დიდ მოგებას მიიღებდა. ბოლოს დაუმატა: ქალაქ ე...ს მაზრის ყველა სოფლები მებამბეობას მისდევენო, სოფლებში არიან წვრილი ვაჭრები, რომლებიც ბამბას ყიდულობენო. ესენი თავის მხრივ ბამბას ასყიდებენ უფრო შეძლებულთ. აი სწორედ ამათგან შევისყიდი, იოლი საქმეა, ჩამოვიტან ქალაქში და დიდ ვაჭარს მივყიდი. ამგვარად, მე გავხდები შუაკაცი სოფლის წვრილ „ჩარჩებსა“ და კაპიტალისტებს შორის, ერთი

წლის განმავლობაში იმ თანხას რამდენიმეჯერ დავატრიალებ და კარგა დიდ თანხად ვაქცევო.

— ვხედავ, ვაჭრობისა არაფერი გესმის, — უთხრა მასისიანმა და უცხო პირს დაწვრილებით აუხსნა საქმის ვითარება.

თუ გლეხკაცისაგან „ჩარჩები“ ყიდულობენ, ხოლო მათგან შენ გინდა შეიძინო, ეს უკვე ყიდვა-გაყიდვაა და ხეირს ვერა ნახავ, ვინაიდან მატყუარა „ჩარჩები“ თვითონ გამოსწოვენ ხოლმე „წვენს“ და მხოლოდ ჩენჩოსღა უტოვებენ სხვებს. ვისაც სურს ბამბით ვაჭრობაში სარგებლობა ნახოს, ის უშუალოდ თვითონ უნდა დაუკავშირდეს ბამბის მწარმოებელ გლეხებს და მან უნდა გააკეთოს ის საქმე, რასაც „ჩარჩი“ აკეთებსო.

— ძალზე მოსაბეზრებელი და თანაც ძნელი საქმეა, სულელ და შეუგნებელ გლეხთან ვაჭრობა, — მიუგო სტუმარმა.

— შენ საოცრად მიამიტი კაცი სჩანხარ, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ცოტა ჭკუაც გაკლია, — მიუგო გულმოსულმა აღამ,— შე საბრალო, მოგება სწორედ იმ სულელი და „შეუგნებელი“ გლეხის კისრიდან უნდა ამოიღო, თორემ ეშმაკ „ჩარჩში“ რა ხეირსა ნახავ?

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა ეშმაკს მასისიანის გამოთქმაში სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: ეშმაკში იგი გულისსმობდა ჭკვიან, ბრძენ, გაიძვერა და დიდი გამოცდილების მქონე კაცს. მისი აზრით, ვისაც ეშმაკური ჭკუა არ გააჩნდა, ის სულელი და არაფრის მაქნისი იყო.

მასისიანს ჩვეულებად ჰქონდა დიდხანს ელაპარაკნა, და თუ ვინმეს ფულის მიცემაზე უარს ეუბნებოდა, ამის ნაცვლად „კეთილ რჩევა-დარიგებას“ მაინც არ აკლებდა. უცხო ბატონს გააცნო ბამბით ვაჭრობის სარფიანი ფანდები. ისიც უამბო, რომ იგი ასეთ საქმეში ნაღდ ფულს არ დაბანდებდა, არამედ დუქნიდან მიჰყიდდა ისეთ საქონელს, რაც გლეხებს ესაჭიროებათ, მაგალითად, იაფფასიან ჩითებს, ტილოებს, წვრილმან საქონელს, ქალების სამკაულებს და სხვა. ასეთი საქონლის გასაღება ხელსაყრელიც არის და მომგებიანიც, ვიდრე ნაღდი ფულის დაბანდება ბამბაში. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ფხიზლად მოქმედება, „გლეხობის ხასიათის“ შესწავლა, მათი ყოფა-ცხოვრების გაცნობა და გლეხობის მოთხოვნილებათა გაგება. გლეხს ფული არ აქვს, იგი მუდამ „ნისიად“ ვაჭრობს. მაგრამ ამაში საშიში არაფერია, რა საქონელსაც მოგთხოვს, დაუზარებლად მიეცი, იგი სულს არ წაიწყმედს, ვალს გადაიხდის, სხვის ფულს არ შეჭამს. გახსოვდეს, გლეხი ვალის გადახდისას „ნაღდ“ ფულს ვერ გაიღებს, მას ფული არ

გააჩნია. ფულის ნაცვლად თავის ნაოფლარ მოსავალს შემოგთავაზებს. მაგალითად, თუ გლეხი ბამბის მეურნეობას ეწევა, ვალში ბამბას მოგცემს. აქედან იწყება ვაჭრობა და ვაჭრის ჭკუაზეა დამოკიდებული (ესე იგი ეშმაკობაზე), მაგალითად, ჩითი რა ფასში უნდა მიაჩეჩოს გლეხს და იმის საფასურში რამდენი გირვანქა, ან ფუთი ბამბა მიიღოს მოსავლის დროს. ასეთ ვაჭრობაში ორნაირად მოგებული დარჩები — მოგების ერთ ნაწილს ჩითი მოგცემს, რომელსაც გლეხი უფულობის გამო შეიძენს მეტ ფასებში, ხოლო მეორე ნაწილს — ბამბიდან, რომელიც ჯერჯერობით ნედლი პროდუქტია და გლეხი იძულებულია ძალიან იაფ ფასებში გაიღოს. ბამბა, როცა იგი ახლად არის დათესილი, გლეხის თვალში დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. გლეხი ჰყიდის თავისი შრომის ნაყოფს, ესე იგი იმას, რაც უნდა შემდეგში მიიღოს. აი სწორედ ამ დროს გმართებს ეშმაკობა, უნდა ისარგებლო შემთხვევით და მისი შრომა იაფად შეაფასო, მეტადრე მაშინ, თუ გლეხი ფულის ან სხვა საარსებო საჭიროებისათვის ყიდის თავის მოსავალს.

უცნობმა დიდხანს უსმინა აღას, ლაპარაკში ხელი არ შეუშლია და როცა დაამთავრა, ბოლოს უთხრა:

— თქვენი ნაამბობი ვაჭრობის ისეთი ფორმაა, რომელსაც „ჩარჩები“ იყენებენ აღებ-მიცემობაში.

— ჰო, ეგ სულერთია, მოგება სწორედ მაგაშია. იცი, სხვა რამესაც გეტყვი! დიდი განსხვავებაა ქვისა და რკინის საწონებს შორის, ამ საქმეშიც დაოსტატებული უნდა იყოს ადამიანი. სოფლებში რკინის საწონების ნაცვლად ქვებს ხმარობენ, უბრალო ქვებს. შენც უნდა გქონდეს შენი გირვანქიანი ქვა, ეგ შეიძლება უბრალო აგურის ნატეხიც იყოს, რასაკვირველია, ცოტა მძიმე ვიდრე რკინის გირვანქიანია. გლეხი მაინცადამაინც ძალიან არ არის დაინტერესებული, შენი გირვანქიანი ქვა მეტს იწონის თუ ნაკლებს. ეთქვათ, შენი აგურის ნატეხი გირვანქის ნაცვლად ერთი მეოთხედით მეტს იწონის და ხმარობ გირვანქიანის მაგიერ, მაშინ ერთ ფუთში 10 გირვანქით მეტ ბამბას მიიწონი. გესმის თუ არა? ახლა თავად იანგარიშე, რამდენიმე ათას ფუთ ბამბაში რამდენი გირვანქა მუქთად დაგრჩება.

— ეგ ხომ... ეგ ხომ...

— რა გინდა სთქვა? — ის ხომ არა, რომ ეს ქურდობაა, უსამართლობაა, მოტყუებაა? ეგ გინდა სთქვა, არა? მაგრამ აქ რა მოსატანია ქურდობა, როცა ბამბის შემსყიდველები ყველანი ასე იქ-

ცევიან? თუ შენც ასე არ მოიქცევი, მათ მეტოქეობას ვერ გაუწევ და გაკოტრდები.

უცნობი დადუმდა.

— გლეხი, — განაგრძო აღამ, — ძალზე კეთილი ადამიანია, იმას ერთი კარგი ჩვეულება აქვს, რომელიც ამბობს: — „მყიდველის თვალი გამყიდველის ხელშიაო“, და მუდამ მეტს აძლევს თავის პროდუქტს, ვიდრე საჭიროა. მაშასადამე, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ იმისი კეთილი გულით?

— ეგ კარგი, მაგრამ...

— მაგრამ რა, არ უნდა მოვატყუოთ? ეგ გინდა სთქვა? — სიცილით შეაწყვეტინა აღამ, — ასეთია ახლანდელი „ადათი“, შენ სსვანაირ ვაჭრობას ვერ შექმნი.

ვიდრე მასისიანი უცნობ კაცს ესაუბრებოდა ვაჭრობის „ეშმაკურ ფანდებზე“, ქალბატონ მარიამის ოთახში, რომელიც აღას ოთახის გვერდით იყო, ძალზე მოწყენილობა სუფევდა. პატარა გაიანე ძალიან ავად იყო. გოგონას რამდენიმე წლის წინათ დაეწყო ხველება, ახლა კი ჭლექით დაავადების აშკარა ნიშნები ჰქონდა. ავადმყოფის სარეცელს შემოსვეოდნენ დედა, ძმა, და. მამამ იცოდა შვილის სახიფათო ავადმყოფობის ამბავი, მაგრამ ბაზრიდან დაბრუნებულმა არ მოინახულა ავადმყოფი, იმ უცხო კაცს დაუწყო ლოდინი, რომელსაც ახლა ესაუბრებოდა.

— ავადმყოფის ასე გაჩერება ყოვლად შეუძლებელია, — თქვა სტეფანემ.

— რა ვქნათ? — შეეკითხა შეშფოთებული დედა.

— საჩქაროდ ექიმს უნდა გამოვუძახოთ, — უპასუხა შვილმა.

— შენ რა, არ იცი მამაშენის ხასიათი?..

— ვიცი... მაგრამ ასე ხომ მოკვდება, მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე მანეთი არ გაიღოს ექიმისათვის...

საქმე ფულში როდია.

— მაშ რაში?

დედამ არაფერი უპასუხა, თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა და აქვითინდა.

— მე ახლავე დავბრუნდები, მამას ვთხოვ, რომ აუცილებლად მოიწვიოს ექიმი, — აღშფოთებით წამოიძახა სტეფანემ.

დედამ ხელი წაავლო და უთხრა:

— თუ ღმერთი გწამს, შენ ნუ ჩაერევი, სჯობს მე მივიდე. რომ გამიბრაზდეს კიდეც, ხმას არ ამოვიღებ, შენ კი ვერ მოითმენ და ვინ იცის, რა უსიამოვნებას გადაეყრები.

ქალბატონი მარიამი მეუღლის ოთახში გავიდა, გაიონეს მდგო-

მარეობა უამბო და სთხოვა, საჩქაროდ მოეწვია ექიმი. აღა გაბრაზდა.

— რა საჭიროა ექიმი, — დააკვესა მან, — თუ ღმერთის განაჩენია, რომ მაგ ავადმყოფობით მოკვდეს, მაშინ ათასი ექიმიც ვერას უშველის, მაგრამ თუ იმისი „აჯალი“ (ბედისწერა) არ შესრულებულა, მთიდანაც რომ დააგორო, მაინც არ მოკვდება. ექიმი რა საჭიროა?

ცოლი ბევრს ეხვეწა, ემუდარა, საჭიროაო ექიმის მოწვევა, ქვეყანა სულელი როდია, ავადმყოფობის დროს ექიმს რომ იწვევენო, მაგრამ აღა მაინც ვერ დაარწმუნა. უცნობმა კაცმაც, რომელიც გულდასმით უსმენდა მათ ლაპარაკს, ურჩია ექიმი მოეწვია. აღამ მაინც არ დაიჯერა, იმის რჩევასაც ყურადღება არ მიაქცია და ცოლს მიმართა:

— თუ ექიმი გინდა, მაგ ავადმყოფობის ექიმი მე ვარ. წადი, რამდენიმე თავი ხახვი შეწვი, ზედ მარილი მოაყარე, მიეცი ავადმყოფს, ჭამოს, გულ-მკერდს დაულბობს და აღარ დაახველებს. როგორ არ იცი, მე როცა მახველებს, ამით ვირჩენ ხოლმე თავს.

— შენი ხველება სხვაა, იმისი სხვა, — უპასუხა ცოლმა.

— ვაჰ, ეს ვინა ყოფილა! მე მასწავლი დედაკაცო? როგორ თუ სხვაა! ხველება — ხველებაა, ხველებით კაცი არ მოკვდება, აგერ მე ოც წელზე მეტია მახველებს, რატომ არა ვკვდები?

ისევ „მე“, ისევ საკუთარი „მეს“ კარნახით უყურებდა აღა თავისი ქალიშვილის ავადმყოფობას. თუ ხველა იმის „მეს“ არ ავნებს და თვითონ შემწვარი ხახვით იკურნება, მაშასადამე, ქალიშვილსაც არგებს, რა უფლება აქვთ სხვა წამლები მოითხოვონ? თვითონ თუ ხველებამ არ მოკლა, მაშასადამე, ქალიშვილსაც უფლება არა აქვს მოკვდეს...

მარიამმა კარგად იცოდა, რა თავკერძა კაცი იყო მეუღლე, ლაპარაკი შეწყვიტა, თავი გაარიდა და დამწუხრებული გამოვიდა. აქ მან შეიტყო, — სტეფანე უკვე წასულიყო ექიმის მოსაყვანად და საწყალი დედაკაცი ახლა იმის ფიქრში იყო, რომ ქალიშვილის სიკვდილი ისეთ აურზაურს არ გამოიწვევდა ოჯახში, როგორსაც ექიმის მოყვანის გამო მამა-შვილს შორის ატეხილი ჩხუბი:

ცოლის წასვლის შემდეგ მასისიანი ისევ დამშვიდდა, თითქოს არაფერი მომხდარაო, ჩვეულებრივი, გულგრილი გამომეტყველება მიიღო, უცნობ კაცს მიუბრუნდა და საუბარი განაგრძო:

— მართალი უთქვამთ, „ქალს თმა გრძელი აქვს და ჭკუა მოკლეო“, კაცი ვერაფერს შეაგნებინებს მაგათ.

უცნობმა კრინტი არ დასძრა.

— ეშმაკივით შემოძვრა, საუბარი შეგვაწყვეტინა, — თქვა ალამ. — რაზე ვლაპარაკობდით?

— თქვენ ლაპარაკობდით, 1¼ გირვანქა წონის აგურის ნატეხი როგორ უნდა გამოვიყენოთ ერთი გირვანქა ბამბის ყიდვისას.

— ჰო, მართალია, ახლა ერთ ამბავს მოგიყვები.

და ალამ მოუთხრო ერთ დროს როგორ ეწეოდა აბრეშუმით გაჭრობას ნუხის, კახის და საერთოდ ლეკეთის მხარეებში. ხალხი იმდენად მიამიტი, ტუტუცი და დაუდევარი იყო, — ყვებოდა მასისიანი, — რომ წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ წონა-ზომაზე. მაშინ კარგი მოსავლიანი წელი იყო, სწორედ იმ ხანებში ჩავუყარე საძირკველი ჩემს სიმდიდრეს. ხალხს ცხვარსავით ჭკუა-გონება ჰქონდა, მაგრამ ახლა... ახლა კი ყველა „გაეშმაკებულია“.. სოფელ-სოფელ დავდიოდით აბრეშუმის შესაგროვებლად, იმ დროს აბრეშუმი იმდენივე ღირდა, რასაც ახლა ბამბა ფასობს. ჩვენი სასწორი გვქონდა, მუდამ თან დავათრევდით — სოფელში სასწორის შოვნა ძნელი იყო. სასწორი ძალიან უბრალოდ იყო გაწყობილი, ხის უღელი ჰქონდა, ბზით დაწნული თასები, რომლებიც ტყავის თასმებით ეკიდა უღელზე. მაგრამ ერთი ისეთი საიდუმლოება ჰქონდა, რომ ოთხ გირვანქა აბრეშუმს ორ გირვანქად მიიწონიდი. ამ საიდუმლოებას ჰმალავდა სასწორის ენა, რითაც გვეჭირა სასწორი და ვწონიდით. ენა ისე იყო მოწყობილი უღელთან, რომ თუ ხელს ქვისაკენ გადახრიდი, აბრეშუმი შედარებით მსუბუქი აღმოჩნდებოდა, ხოლო თუ აბრეშუმისაკენ, აბრეშუმი წონაში მატულობდა. მაშასადამე, სასწორის ხმარება მყიდველის სურვილზე იყო დამოკიდებული და მოგების საიდუმლოებაც მის ხელთ იყო. ეჰ, ის სასწორი კარგი სასწორი იყო, ერთი აგულისელი სომეხი დღენიადაგ მემუდარებოდა, მომყიდეო, ხუთასი მანეთი მაძლია, წარმოიდგინე, ათას მანეთსაც არ დაზოგავდა, რომ ხელში ჩაეგდო, მაგრამ არ გავყიდე, ვერ შეველიე ასეთ ძვირფას განძს, დღევანდლამდე ვინახავ და კვლავაც შევინახავ, როგორც წმინდა საუნჯეს, იმიტომ, რომ მისგან ბევრი ხეირი მინახავს...

მასისიანმა დაამთავრა თავისი ჯადოსნური სასწორის ისტორია და გადავიდა იმ ქვების აღწერაზე, რომლებსაც საწონებად ხმარობდნენ მაშინ. სასწორის დადგენილი საწონები ჯერ კიდევ არ არსებობდაო, — ყვებოდა იგი, — რუსული ოცი ცალი ვერცხლის მანეთიანის წონა ერთ საზომ ერთეულად ითვლებოდაო. თვითონ მასისიანი საგანგებოდ არჩევდა ეკატერინეს დროინდელ სქელ მანეთიანებს და წონის საზომად იმ ფულს ხმარობდა... მაშინ ბარაქიანი მოსავლის წლები იყო... — განაგრძო მასისიანმა, — ერთი

ზოკი თურმე მარჯვენა ფეხსა ხმარობდა წოხის საზომად: ფეხს დადგამდა სასწორის თასზე და რაც ძალა ჰქონდა მაგრად აჭერდა, მეორე თასზე აბრეშუმი იდო. ჩემი ფეხი 5 გირვანქას იწონისო,— ამბობდა თურმე, მაგრამ ფეხს რომ მაგრა დააჭერდა, 5 გირვანქის ნაცვლად 10 გირვანქა აბრეშუმს მიიწონიდა ხოლმეო... ზოკებმა სწორედ მაშინ შეიძინეს დიდძალი ქონება... ეჰ, სად არის ის დრო, რა დრო იყო.. წავიდა... უკან აღარ დაბრუნდება... ვისაც ჭკუა ჰქონდა, იმ დროს გამდიდრდა.. ვინც უჭკუო იყო დარჩა მშიერ-მწყურვალი...

მასისიანი ამას ისე უბრალოდ ჰყვებოდა, თითქოს ჩვეულებრივ რამეზე ლაპარაკობსო. იგი ნეტარებით იგონებდა წარსულს, იმ დროს, როცა ადამიანები გულუბრყვილო და მიამიტები იყვენენ და ადვილად შეიძლებოდა მათი მოტყუება...

უცნობმა ბატონმა დიდხანს უსმინა თავის ქნევით, ბოლოს მო-ბეზრდა მისი ლაყბობა, ფეხზე წამოდგა და თქვა:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ...

იგი წავიდა. მასისიანმა უკან მიადევნა:

„ვირისთავო“...

„ავაზაკო“... გაიმეორა გუნებაში უცნობმა და ქუჩაში ჩამდგარ წყვდიადში გაუჩინარდა.

6

„შინ უკეთესია ძაღლი იყო, ვიდრე უმცროსი“. ყველა მასზედ მბრძანებლობს, ყველაფერს იმას აკეთებინებენ, დიდი თუ პატარა, ქალბატონი თუ აღა, მსახური თუ მოახლე — ყველა მას აძლევს დავალებას.

იმ დღიდან, რაც დუქნის შეგირდი გახდა, მიქაელი ერთი საფე-ხურით ამაღლდა ცხოვრების კიბეზე, მაგრამ მუშაობა უფრო მო-ემატა. საწყალ ბიჭს წამით მოსვენება არა ჰქონდა. ახლა იგი სახ-ლსაც ემსახურებოდა და დუქანსაც. მზის ამოსვლამდე უნდა ამ-დგარიყო, სამოვარი დაედგა, ყველას ფეხსაცმელები გაეწმინდა, ეზო-ყურე დაეგავა, მოერწყო. ყველაზე ძნელი ეზოს დაგვა იყო, მოუკირწყლავი ეზო მტვრის ბუდე იყო, ისეთი ბორიალი ავარ-დებოდა, რომ ბიჭი თავიდან ფეხებამდე მტვერში ამოიგლაგნებო-და ხოლმე.

მიუხედავად ამდენი საქმიანობისა, მიქაელი მაინც დროს პო-ულობდა, აიღებდა თავის პატარა სახელმძღვანელოს, მიჯდებოდა სადმე კუნჭულში და ჩუმად კითხულობდა გაკვეთილს. ყმაწვილს

დიდი სურვილი ჰქონდა დაუფლებოდა სწავლა-განათლებას, თითქოს ინსტინქტით გრძნობდა, რომ იგი ერთ დროს გამოადგებოდა, ამიტომ სწავლობდა, თავისუფალ დროს არ იშურებდა. მასისიანი სასტიკი მოძულე იყო წიგნის მოყვარულებისა, ეს სიძულვილი უფრო გაუმძაფრდა, როცა გიმნაზიიდან დაბრუნდა სტეფანე და შვილში დაინახა თავისი მოწინააღმდეგე, რომელთან საერთო ენის გამონახვას და მშვიდობიან ცხოვრებას პირი არ უჩანდა.

მიქაელი მეტ წილად ღამღამობით მეცადინეობდა, როცა ყველას ეძინა და აღარავინ შეუშლიდა ხელს.იგი ცხოვრობდა შეშის შესანახ მიწურში, რომელსაც ამჟამად გადასაყრელი ხარახურის შესანახად იყენებდნენ. აქ გროვად ეყარა ისეთი ნივთები, რომლებიც კარგა ხანია გამოსული იყო ხმარებიდან: სხვადასხვა ჯურის ჭურჭელი, დაჟანგული ლურსმები, რკინის ნაჭრები, დამტვრეული ბარები, თოხები, კბილებმოცვეთილი ხერხები, დამტვრეული კოკები, ქილა-ქოთნები, დაგლეჯილი ძველი ფეხსაცმელები, ფოსტლები, თოკის ნაჭრები, დამტვრეული ბამბის საჩეჩი. ასეთ და სხვა უვარგის ხარახურას სქლად ედო მტვერი და ობი მოსდებოდა.

ეს ნახევრად ბნელი და უჰაერო მიწური უფრო საქათმეს წააგავდა, რომელსაც ერთი ისეთი ვიწრო და დაბალი შესასვლელი ჰქონდა, რომ თუ წელში არ მოიღუნებოდი, შიგ ვერ შეხვიდოდი. მიუხედავად ამისა, მიქაელი მაინც კმაყოფილი იყო თავისი ბინით, რადგან მარტო ცხოვრობდა და არავინ აწუხებდა. მან ერთ კუთხეში მიუჩინა ადგილი ხარახურას, ნესტიან მიწაზე ჭილობი გაშალა და იმაზე წვებოდა ხოლმე. ლეიბის მაგივრობას ორკეცად დაგებული ჭილობი უწევდა, რომლისგანაც გვერდები სტკიოდა, სასთუმლად თავის ტანისამოსს ხმარობდა, დააგუნდავებდა და იმაზე მისდებდა თავს, საბნად კი აღას ძველი ქურქი ჰქონდა, რომელიც მიწურში დიდხანს გდებისაგან ისე იყო გაქუცული, რომ ბეწვი ერთიანად გასცვივნოდა. აი ამ უბადრუკ ლოგინში წვებოდა იგი, და მთელი დღის მუშაობით მოქანცული ღრმად და მშვიდად იძინებდა.

ერთხელ, გვიან ღამით, როცა წყვდიადში ჩაფლული მასისიანის სახლი უდაბნოსავით გარინდებულიყო, ღრმა სიჩუმეს მისცემოდა და მხოლოდ მიქაელის მიწურიდან გამოსული პატარა სინათლე ბეუტავდა, ბაღში ვიღაცამ ფრთხილად გაიარა. მიქაელის ბინას მიუახლოვდა, მიწაზე იქიდან გამოსული სინათლის ზოლი შეამჩნია, წამით გაჩერდა, მერე თავი დაღუნა და შიგნით შეავიდა. მიქაელი ჭილობზე იწვა, თავი ხელებზე ედო და ისე გატაცებული

დასჩერებოდა წიგნს, რომ მიწურში შემოსული ვერცკი შენიშნა. იგი ნახევრად ძილ-ბურანში იყო.

— ჰეი... ჰეი... ბატკნები აქეთ გამორეკე, აქეთ.. — შეჰყვირა მიქაელმა ძილ-ღვიძილში.

— საცოდავი ბიჭი, თავის ბატკნებს მაინც არ ივიწყებს, — თქვა შიგნით შესულმა ჭაბუკმა.

ეს ჭაბუკი სტეფანე იყო.

სტეფანე ჩვეულებისამებრ მოსულიყო, რომ დავალება გამოეკითხა და ახალი მიეცა. გულკეთილმა ჭაბუკმა ირგვლივ მიმოიხედა, დასაჯდომ ადგილს დაუწყო ძებნა, მაგრამ როცა ვერ მონახა, ბამბის საჩეჩი გადააბრუნა და ზედ ჩამოჯდა. მიქაელი კვლავ უძრავად იწვა. ჭაბუკმა ნელა წაჰკრა ხელი, რომ გაეღვიძებინა.

— დამარტყი, დამარტყი... კიდეც რომ მომკლა, მაინც არაფერს ვიტყვი, — წამოიძახა მიქაელმა.

— სიზმარში აბოდებს, ნეტა რა შეემთხვა საწყალ ბიჭს? — ჩაილაპარაკა სტეფანემ და გაღვიძება დაუწყო, — მე ვარ, მიქაელ, ბაიღვიძე...

მიქაელმა თავი ასწია და წამოჯდა.

— შენ ისევ არაფერი დაგიხურავს, ათასჯერ მითქვამს, ავად გახდები-მეთქი,—მოწყალების კილოთი უთხრა სტეფანემ, როცა დაინახა მიქაელი ჭილობზე იწვა და არაფერი ეხურა.

— ოჰ, ნეტა ერთი ავად გავხდე... და მოვკვდე... — საბრალობელად წაიბუტბუტა პატარა მსახურმა და მწარედ აქვითინდა.

— რა იყო, რა დაგემართა, რადა ტირი? — მიქაელის დამშვიდებას ცდილობდა სტეფანე.

მიქაელი მოუყვა — იმ დღეს როგორ შეუბრალებლად ეცემა აღას, უჩვენა სხეულზე ჯოხის დარტყმისაგან დალურჯებული ადგილები, მერე ჩააგდეს სარდაფში, იქაც ურტყეს კეტი, იმდენი ურტყეს, სანამ გული შეუღონდა, ბოლოს, აღარაფერსა გრძნობდა თურმე. უნდოდათ ღამითაც იმ ბნელ სარდაფში დაეტოვებინათ, მაგრამ უფროს ნოქარს, ბევრი თხოვნა-მუდარის შემდეგ, აღას ნებართვით, ამოეყვანა სარდაფიდან. — არა,. არა მე დანაშაული არ მიმიძღვის მე მართალი ვარ, — დაამთავრა მოყოლა ბიჭმა.

— უსულგულო!.. — წამოიყვირა ჭაბუკმა და სიბრალულით დაუწყო დალურჯებული ადგილების სინჯვა სხეულზე, მერე, ძალზე აღშფოთებული შეეკითხა, — ასე უღმერთოდ რად გაწამა, რას გერჩოდა?

მიქაელმა უთხრა, აღამ-ბევრჯერ გამაფრთხილა, სახლში რაც

ხდება, ყველაფერი მაცნობეო, ამბავი მომიტანეო, — რას აკეთებენ, რასა ჭამენ, ვინ მოდის, ქალბატონი ვის ელაპარაკება, სტეფანე სად დაიარება და სხვა. მე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ აღასთან ენა არ მიმქონდა. როცა აღა სხვა შეგირდებისაგან გაიგებდა, სასტიკად მიბრაზდებოდა და მტუქსავდა: „შე ძაღლის ლეკვო, რატომ ამბავი არ მოგაქვსო“... იმ დღეს ქალბატონმა ერთი მანეთი მომცა და მითხრა: „მიქაელ, გაიქეცი ბაზარში, ცოტა მსხალი, ვაშლი და ჭერამი იყიდე, ეფრემ აღას ცოლი მოდის ჩვენსაო“. მე წავედი ქალბატონის დავალების შესასრულებლად. ერთ-ერთ შეგირდს ეს ამბავი აღასათვის ეცნობებინა, მე კი უარი ვუთხარი, ტყუილია-მეთქი. აი ამისთვის მცემა.

— რატომ?

— მე ვიცოდი, — უპასუხა მიქაელმა, — აღა მოვიდოდა სასლში და ხანუმს წაეჩხუბებოდა. ვიფიქრე, უკეთესია, მე მცემოს, ვიდრე ხანუმს აწყენინოს-მეთქი.

— მაშ, შენ ხანუმი გიყვარს?

— მიყვარს, ის არა მცემს, აღა კი წარამარა მირტყამს... მე აქ არ დავრჩები, გავიქცევი, წავალ, გადავიკარგები, კმარა, რაც მცემა.

ჭაბუკი ცდილობდა დაემშვიდებინა მიქაელი, არიგებდა, ასეთი საქმე აღარ ჩაედინა. მერე უთხრა, მე კარგად ვიცი შენი მდგომარეობა, აგრეთვე, ვიცნობ მამაჩემსაც, იგი დაუნდობელი კაცია, მაგრამ გაქცევით მიზანს ვერ მიაღწევ, გიპოვნიან, უკან დაგაბრუნებენ და ამის შემდეგ უფრო სასტიკად მოგეპყრობიან, როგორც არაერთხელ მომხდარაო. შემდეგ განუმარტა, რომ იგი ერთგვარი მონა იყო, ერთგვარი გირაო იმ ფულში, რაც მის ბიძას აღასი ემართა. პირველყოვლისა საჭიროა ბიძის ვალი გადაიხადო და ამის შემდეგ შენი განთავისუფლების საქმეც გაადვილდებაო. ბოლოს უთხრა: ნუ გეშინია, ჩემო მიქაელ, მე მალე საშუალება მექნება დავეხმარო ბიძაშენს, თან იმასაც ვფიქრობ, შენ რომ განთავისუფლდე, რა საქმეს მოჰკიდო ხელი. თუ ყოფელში დაბრუნება აღარ გენდომება, მაშინ ისევ აქ უნდა მოეწყო, სწავლა-განათლება მიიღო, დარწმუნებული ვარ, შენგან დიდი კაცი დადგებაო.

გულთბილი ჭაბუკის რჩევა-დარიგება უაღრესად უანგარო იყო, კეთილი გრძნობით ნაკარნახევი, კაცთმოყვარული, მაგრამ მიქაელი იმ წუთებში ისე იტანჯებოდა მიყენებული მწარე ტკივილებისაგან, ისე ჰქონდა დაკარგული გონივრული განსჯის უნარი, რომ ამ რჩევა-დარიგებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია მასზე.

— არა, — თქვა მან, — რაც უნდა დამემართოს, მაინც გავიქ-ცევი, ჩვენ სოფელში აღარ წავალ, რომ უკან არ დამაბრუნონ, სადმე სხვაგან ვადავიკარგები...

სტეფანე ჩააფიქრა პატარა მიქაელის სასოწარკვეთილებამ. იცოდა რა გაბედული და გულადი იყო და დაეჭვდა — ვაი თუ საწყალმა ბიჭმა მართლა თავს რაიმე უბედურება დაიტეხოსო. ჭაბუკმა არ იცოდა რა ელონა, როგორ დახმარებოდა მიქაელს. ორივე ერთნაირი ბედისანი იყვნენ, თუმცა ერთი შვილი იყო, მე-ორე კი — მსახური; ორივეს კარგად ესმოდა ერთმანეთის მდგო-მარეობა, მაგრამ შვილი მსახურზე უფრო უბედური იყო, სტეფა-ნე როგორც განათლებული, უფრო მეტად ეჩვნობდა ძალმომრე-ობის უხეშობას, ბიჭს კი, ცემისაგან დალურჯებული ადგილები მოურჩებოდა თუ არა, გულიც დაუამდებოდა.

სტეფანე დიდხანს იჯდა დამტვრეულ საჩეჩელზე, არიგებდა, ანუგეშებდა საცოდავ მიქაელს, უყვარდა ბიჭი, ბევრ კარგ თვისებას ხედავდა და ეშინოდა, ვაითუ ამ მოწამლულ ატმოსფე-როში მოხვედრილმა ყმაწვილმა დაჰკარგოს დადებითი თვისებები და გათუქდესო. სტეფანე მხურვალედ ელაპარაკებოდა, ცდილობდა დაერწმუნებინა მიქაელი, თავიდან ამოეღო სისულელეები, ყური ეგდო მისთვის, ეუბნებოდა, მე მინდა ბევრი რამ შეგასწავლო და კარგი ადამიანი გამოგიყვანოო. მხოლოდ მოთმინება გმართებსო, დრომდე უნდა გაუძლო და რაც მთავარია — ენერგიულად იმუ-შაოო. ზეთის ჭრაქის მკრთალ სინათლეზე სტეფანეს სახეს მშვენი-ერთი იერი დაჰკრავდა. იგი ხალისიანად ლაპარაკობდა. ხშირად გრძელ თმას ისწორებდა, რომელიც ფართო შუბლზე ეფინებოდა.

დიდი განათლებული ჭაბუკი იყო სტეფანე. ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული, ამის გამო მის გონებაში ადრე გაიდგა ფესვი ამხანაგო-ბის იმ უწმინდესმა იდეამ, რომელიც ადამიანის გულს უნეტარესი გრძნობით ავსებს — შეიყვარე, ხელი გაუწოდე ყველა დაჩაგ-რულს, დამწუხრებულს, ცხოვრებისაგან გათელილს და უკუაგდე ყოველნაირი ძალმომრეობა და უხეშობა. შინ დაბრუნებულმა ჭა-ბუკმა აქ, მამის სახლში, საკუთარი თვალით ნახა მრავალი უხამსო-ბა და უსამართლობა — დედის განუწყვეტელი ცრემლი და გო-დება, დების დაბეჩავება, არაადამიანური მოპყრობა მამისა, რომე-ლიც მთელ ოჯახს სიბნელეში ინახავდა, მისი წყალობით მშობ-ლიური კერა ჯოჯოხეთს ჰგავდა, ასეთივე ატმოსფერო სუფევდა დუქანშიც. თუ ოჯახი ჯოჯოხეთს ჰგავდა, დუქანი — ავაზაკთა ბუ-ნაგს წარმოადგენდა. საკვირველიც კი იყო, რომ თვითონ ქურდი თავის განათლებულ შვილს ქურდად თვლიდა, დუქანში არ აჭაჭა-

ნებდა. ეს კაცი, ქურდებისა და ავაზაკების ესოდენი პატივისმცემელი, ეჭვის თვალით უყურებდა საკუთარ შვილს, რომელიც შორს იდგა ბნელი საქმეებიდან. ეს რაღაც აუხსნელი წინააღმდეგობა იყო. მისი აზრით, ქურდობა, მოტყუება ფასაკიცხი არ იქნებოდა, თუ შვილი სხვას მოპარავდა, მაგრამ როცა მამის ფულებს ხარჯავდა და არ ცდილობდა ამ დანახარჯის ორმაგად შეესებას — ამას ქურდობად თვლიდა.

გულკეთილმა ჭაბუკმა დაამთავრა მიქაელის ჭკუის დარიგება, ურჩია ცარიელ ჭილობზე არ დაწვე, ავად გახდებიო, და ბოლოს შეპირდა, ხვალ ექიმთან წაგიყვან შეშუპებული ადგილების სამკურნალოდ.

— არა, არ მინდა, — ამოიკვნესა მიქაელმა, — აღა გაიგებს, ერთ ორომტრიალს ასტეხს, მაშინდელივით, გაიანეს რომ მოჰგვარეთ ექიმი.

მიქაელის შიში ნაწილობრივ სწორი იყო, აღამ ერთი აურზაურიატეხა დილით რომ შეიტყო, გაიანეს თვის ექიმი მოუყვანიათო. უფრო მეტიც, მეორე დილით კაცი გაუგზავნა ექიმს და შეუთვალა, ამიერიდან არ გაბედო ჩემს ოჯახში გაჭაჭანებაო.

— ეგ არაფერია, — უპასუხა სტეფანემ, — ისე მოვაგვარებ, რომ იმან არ გაიგოს, ახლა კი საწოლი უნდა მოგიწყო.

სტეფანე ბევრს იქექებოდა ხარახურაში, იპოვა კარების ორი ფიცარი, გამოათრია, ისინი ბამბის საჩეჩზე და ფანჯრის რაფაზე გადო და საწოლი მზად იყო.

— დღეიდან მაგ ფიცრებზე დაწვები, — უთხრა მიქაელს.

— აღამ რომ მნახოს? — იკითხა შეშინებულმა მიქაელმა. — მიბრძანა, ხელი არაფერს ახლოო.

— დილდილობით ისევ თავის ადგილზე დადე. პით კი ასე დააწყე და დაწექი ხოლმე, გაიგე?.. აბა, ღამე მშვიდობისა.

სტეფანე წავიდა.

ოთ

გაიარა სამმა წელმა.

მიქაელს უკვე ტანი აეყარა, მშვენიერი ყმაწვილი ბიჭი დამდგარიყო. მაგრამ იმის ცხოვრებაში ოდნავი ცვლილება არ შეინიშნებოდა. თითქმის ხუთი წელი იყო, რაც მასისიანების ოჯახსა და ღუქანს ემსახურებოდა, ყველაზე საუკეთესო ნოქრად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, მაგრამ არც ერთ კაპიკ ფასამრჯელოს არა ღებულობდა, მიუხედავად იმისა, რომ აღა ავეტ ბიძას შეპპირდა, სავაჭროში

გადავიყვან თუ არა, ჯამაგირს დავუნიშნავო. მიქაელს ჯერჯერობით მოუმზადებლად თვლიდნენ ბევრ რამეში, მან ვერ შეისწავლა როგორ უნდა გაეგო, რა იყო „კარგი“ და რა — „ცუდი“. ვაჭრებს თავიანთი ქაჯური ენა აქვთ, როგორც ავაზაკებს — ეგრეთწოდებული არგოს ენა.

ვაჭრობის საიდუმლოებით მოცული თაღლითობის შესწავლაში, — ვაჭრული არგოს გაგებაში, მიქაელი ძალზე უმწეო და უშნო აღმოჩნდა. მან ჯერაც არ იცოდა, მაგალითად, არშინი როგორ უნდა ეტრიალებინა ხელში. რომ ათი არშინი ნაჭერი თერთმეტ არშინად აეზომა. იმან არც ის იცოდა, საწონი ქვები როგორი ეშმაკური ფანდებით უნდა ეხმარა. ამის გამო იყო, რომ აღა მუდამ ჰკიცხავდა მას და უკიჟინებდა: „სულელი ხარ, შენგან კაცი არ დადგებაო“... როგორ ფიქრობთ, მიქაელმა ეს ოინები არ იცოდა? თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამეების ცოდნაში სხვა ნოქრებს გააცურებდა კიდეც, მაგრამ განგებ არ აკეთებდა, იმისი აზრით ეს „ბნელი, უზნეო და სამარცხვინო საქციელი“ იყო, იშკილბაზობად თვლიდა და სძულდა. ბუნებით სუფთა, გაურყვნელ სოფლელ ბიჭს, როცა ბედისწერამ შეახვედრა სტეფანესთანა კეთილშობილ ჭაბუკს, იმისი გავლენის ქვეშ მოაქცია, უფრო დაეწმინდა ბუნება, განათლდა, უანგარო გახდა. განათლებულმა შვილმა სიბნელის მოციქული მამის ზნე-ჩვეულებები დათრგუნა.

სტეფანე ახლა მოსკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მიქაელს არასოდეს არ დაავიწყდება ის სევდიანი ღამე, როცა მეორე დილით ჭაბუკი უნდა გამგზავრებულიყო. იგი საუკეთესო მეგობარს კარგავდა, რომელსაც არა ერთხელ ენუგეშებინა მიქაელი მძიმე წუთებში და ბევრი სანუკვარი აზრი ჩაეგონებინა.

მიქაელი იჯდა თავის უბადრუკ მიწურში, ძილი არ ეკიდებოდა, ელოდა სტეფანეს მოსვლას, რომ საბოლოოდ ერთხელ კიდევ გასაუბრებოდა. უეცრად კარი გაიღო და პატარა ყუთით ხელში შემოვიდა სტეფანე. მან დინჯად გახსნა ყუთი. ამოალაგა წიგნები და მიქაელს [illegible] ერა —შენ ისე გაიწაფე კითხვაში, რომ ამ წიგნებსაც იოლად გადაიკითხავ და ყველაფერს მიხვდებიო. მიქაელმა სიხარულით მიიღო საჩუქარი, მაშინვე გადაშალა, ღამღამობით ამოიღებდა და გატაცებით კითხულობდა ხოლმე, თუმცა ზოგიერთი ადგილები გაუგებარი იყო მისთვის.

მასისიანის დუქნის მსახურთაგან მარტო მიქაელი იმყოფებოდა უცხოობაში, სხვებს ქალაქში ან მშობლები ჰყავდათ ან ნათესავები და ღამღამობით შინ მიდიოდნენ. ამათ მხოლოდ დუქანში ჰქონდათ

საქმე. მასისიანის სახლთან არაფერი ესაქმებოდათ, ამიტომ მასისიანის ოჯახის მომსახურება მთლიანად მიქაელს აწვა კისერზე. ამჟამად იგი საკმაოდ მოზრდილი იყო, ეთაკილებოდა, სწყინდა ზოგიერთი შეუფერებელი საქმის შესრულება. ქალბატონმა მარიამმა არა ერთხელ მიმართა მეუღლეს, რომ ახალი მსახური დაექირავებინა და მიქაელი გაეთავისუფლებინა საოჯახო სამსახურისაგან, მაგრამ აღა აინუნშიც არ აგდებდა მის თხოვნას. — მე მაგისი სახეთქი მუქთი პური არა მაქვს! ჯანიც გავარდნია, დაე სახლშიც იმუშაოს და დუქანშიცო...

ეს „მუქთი" პური მიქაელს ძალიან ძვირად უჯდებოდა. მძიმე შრომის უღელში გაბმულ მიქაელს აგერ ხუთი წელიწადი უსრულდებოდა მასისიანების ოჯახში ყოფნისა, მაგრამ ამ ხუთი წლის მანძილზე ჯერ არც ერთი გროში არ მიეცათ. უფრო მეტიც, ჯერ მისთვის ახალი ტანსაცმელიც კი არ შეეკერათ. ბიჭს აცმევდნენ ძველმანებს, იმას, რასაც ქალბატონი მარიამი გადაუკეთებდა და ტანზე მოარგებდა. მიქაელს დუქანში აღებული „შაგირდანისაგან"[1] ხუთი წლის მანძილზე მცირე თანხა მოეგროვებინა, ასე ოც მანეთამდე, და ამ ფულით ერთი ხელი ტანსაცმელი შეეძინა, მაგრამ იგი დღემდე არ ჩაეცვა. ეშინოდა აღას თვალი არ მოეკრა, საიდუმლოდ ინახავდა, როცა სააღდგომოდ სოფელში წავალ, მაშინ ჩავიცვამო.

საერთოდ მასისიანს უყვარდა, როცა იმის ნოქრებს ცუდად ეცვათ. ტანსაცმელი სიტიტვლის დასაფარავადაა და არა სილამაზისთვისო — ამბობდა იგი. ის ნოქარი, რომელიც ცუდად იყო ჩაცმული, აღას მოსწონდა, იმას უფრო ენდობოდა: „ფულის ყადრი იცისო" — ხშირად იტყოდა ხოლმე იგი. ჩაცმა-დახურვასაც თავისი პირადი „მეს" კარნახით აფასებდა — რაკი თვითონ არ მოსწონდა ახალი მოდის მიხედვით გამოპრანჭვა, სხვებსაც აუგად უთვლიდა. უამრავი ქონების პატრონი იყო აღა, მაგრამ ტანსაცმლის ფორმა არასოდეს არ გამოუცვლია, ისევე. როგორც ტყავს არ იცვლიდა. მასისიანის გემოვნება კარგად იცოდნენ ნოქრებმა და ცდილობდნენ უყოყმანოდ შეგუებოდნენ. როცა სხვა ქალაქებში მიდიოდნენ, კოხტად გამოეწყობოდნენ ხოლმე, ოქროს ძეწკვით ეკიდათ ოქროს საათი, ეტლებით დასეირნობდნენ, მაგრამ აღასთან რომ ცხადდებოდნენ, ერთიანად გამოიცვლებოდნენ ხოლმე, ძველმანებში გამოეწყობოდნენ, ფეხებზე ქოშებს ჩაიცვამდნენ, საწყალი კაცის ნიღაბს აიფარებდნენ და ისე წარუდგებოდნენ აღას. რა ექნათ! ასეთი ხასიათი ჰქონდა მასისიანს — სხვაგან რაც გინდა

[1] „შაგირდანი" ეწოდება იმ პატარა საჩუქარს — რამდენიმე კაპიკს — რომელსაც ვაჭრის შეგირდები ღებულობდნენ.

ჩაიდინე, მხოლოდ იმას ისე დაენახვე, როგორც მოსწონს. მასისიანის ცხოვრებაში ყველაფერი თანმიმდევრობითა და ერთიმეორისადმი დაქვემდებარებული კანონებით მიმდინარეობდა, იგი როგორც არა ცვლიდა თავის სახლის ნაგებობათა ფორმას, თავის ოჯახის არსებობის ფორმას, თავის დუქანში ვაჭრობის ფორმას, — ისევე არ იცვლიდა თავისი ტანისამოსის ფორმასაც. ეს მარადიული უძრაობის ტიპიური ნიშანი იყო. თუ ერთი კაცი, შემდეგ ხალხი, ბოლოს მთლიანად ერი ხშირად იცვლის ტანსაცმლის მოდას, ასევე მალე იცვლება მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებიც.

მიქაელის ახალი ტანსაცმლის არსებობა დიდი საიდუმლოებით იყო მოცული, მაგრამ ოჯახში მაინც ბევრმა იცოდა, მათ შორის — ქალბატონმა, აგრეთვე მისმა ორმა ქალიშვილმა, — გაიანემ და რიფსიმემ.

ეს ორი უმანკო არსებაც ამჟამად საგრძნობლად გამოცვლილიყო. გაიანეს აღარ ახველებდა, ჯანსაღად გრძნობდა თავს, მაგრამ ჟამთა სვლას რამდენადაც დაემახინჯებინა გარეგნულად, იმდენადვე გაელამაზებინა სულიერად. რიფსიმეს კი პირიქით მოქცეოდა—გამშვენიერებულ ქალიშვილს მედიდურობა და გამქირდავი თვისებები შერჩენოდა. საერთოდ ამ სენითაა დაავადებული ყველა ლამაზმანი. მიქაელი ოჯახის ყველა წევრს უყვარდა, გარდა რიფსიმესი. იგი ისევ გულგრილი იყო ამ სოფლელი „დათვის ბელის“ მიმართ. რიფსიმე ახლაც სიამოვნებით ჰყვებოდა ხოლმე სასაცილო ამბებს მათ ოჯახში ამ გაუთლელი, მიამიტი და ტლანქი ბიჭის პირველ გამოჩენაზე. მაგრამ რიფსიმე თავის კანში იწვოდა, თითქმის სწყინდა კიდეც, როცა მიქაელი იმის ქილიკაობას არაფრად აგდებდა და დუმილით პასუხობდა.

ოჯახის ქალიშვილის სიყვარული მსახურისადმი ზოგჯერ ქილიკაობით იწყება ხოლმე. დაცინვა, სიძულვილი და გაქირდვა, ეს ერთგვარი გამოწვევაა, როცა სითამამე არ ჰყოფნით პირდაპირ სათქმელად: „მიყვარხარ“, ან „მომწონხარო“. მიქაელი ამ დროისათვის იმდენად მიხვედრილი და მომწიფებული იყო, რომ რიფსიმეს ეშმაკობას ალღო აუღო, ამიტომ აინუნში არ აგდებდა იმის ოხუნჯობას, რისთვისაც რიფსიმე ამ სიტყვებით უმასპინძლდებოდა: „რას იბერები?.. თუ გინდა ახლავე მოგიტან შენს ქალამნებს, დღემდე ვინახავ...“ — და მაშინვე გაიქცეოდა იმ ჯღანების მოსატანად, რომლებითაც მიქაელმა პირველად შემოდგა ფეხი მათ ოჯახში. ეს ძალიან მწარე დაცინვა იყო მიქაელის წარსულზე და არანაკლებ უსაფუძვლო არგუმენტი ჭაბუკის ამპარტავნობის გასატეხად.

ვარდობის დღესასწაული იყო. ქუჩებში ბავშვები ერთმანეთს წუწავდნენ. ანცობდნენ, ყვიროდნენ. მეზობელი გოგონები ბაღში მღეროდნენ, „ბედზე მარჩიელობდნენ“, „ჯან გიულუმის“ სიმღერით ერთობოდნენ. ყველგან მხიარულება და სადღესასწაულო ზარზეიმი იდგა. ამ საერთო დროს ტარებაში მხოლოდ მასისიანების ოჯახი წარმოადგენდა გამონაკლისს. აქ არაფერი გამოცვლილიყო, ისევ ძველებურად, ერთფეროვნულად მიმდინარეობდა ცხოვრება. სადილობის შემდეგ დები — გაიანე და რიფსიმე ბაღში დასეირნობდნენ, ჩვეულებრივ, შინაურ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ქალბატონი მარიამი კი თავის ოთახში ვიღაცა ქალს ესაუბრებოდა, რომლის შვილი ვალის გადაუხდელობისათვის აღას განკარგულებით დაიპატიმრებინათ. თვალცრემლიანი ქალი მარიამს ემუდარებოდა, მიშუამდგომლე მეუღლის წინაშე, რომ შვილი გამითავისუფლონ. თორემ „ბიჭი ნამეტანი ჯეელია, გამოუცდელი, ციხის პირობებს ვერ აიტანს, სევდისაგან მომიკვდებაო“. თან დასძენდა, აღა ჩემს შვილს იმ ვალზე ედავება, რომელიც ჩემს მეუღლეს ჰქონდა აღებული. ბოლოს დაუმატა: ის კაცი ისე გამოესალმა წუთისოფელს, რომ არაფერი დაუტოვებია და ამჟამად ოჯახი შიმშილისაგან სულსა ღაფავს. საცოდავი დედაკაცი ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, ცრემლად იღვრებოდა. ქალბატონი მარიამიც სწუხდა, მაგრამ უმწეობისა და უუფლებობის გამო ვერაფრით ანუგეშა საცოდავი დედაკაცი და სინანულით გამოუცხადა, მე მეუღლის საქმეებში ჩარევას ვერ გავბედავ, უკეთესია თავად მოაკითხო აღას. როცა სახლში იქნებაო.

მიქაილმა ისარგებლა უქმე დღით და ნაცნობებს გაუარა. სეირნობიდან მხიარულ გუნებაზე დაბრუნდა შინ და ბაღში გოგონებს თვალი მოჰკრა თუ არა, იქით გასწია. ორივე და გუბურასთან იდგა. გაიანე პორის ნამცეცებს უყრიდა თევზებს, რიფსიმე კი შიშველ ხელებს წყალში აჭყაპუნებდა.

— რით უნდა აიხსნას, რომ თქვენ „ჯან-გიულუმის“ სამღერლად არ წასულხართ? — შეეკითხა მიქაელი და გოგონებს მიუახლოვდა: — ჯვარის მადლმა, კარგად არ მოქცეულხართ. უჰ, რამდენი გოგოები იყვნენ შეგროვილი ჩვენს მეზობელ სარხოშაანთ ბაღჩაში! „ბედზე მარჩიელობდნენ“. მე და რამდენიმე ბიჭი მივედით, მაგრამ იმ ეშმაკებმა არ შეგვიშვეს...

— მამამ ნება არ დაგვრთო, — სევდიანი ხმით უპასუხა გაიანემ.

რიფსიმემ შენიშნა, რომ მიქაელი და გაიანე ლაპარაკით გაერთნენ, მას ყურადღებას არ აქცევდნენ, — გაბრაზდა, პირში წყალი ჩაიგუბა, მიეჭრა და მიქაელს შეასხა.

მიქაელი შეცბა. რიფსიმე შორიახლო იდგა და იცინოდა — „აგრე მოგიხდება, კარგა ხანია არ გიბანავიაო“, გაიანე კი მიქაელს ამშვიდებდა და დასველებული ტანსაცმლის შემშრალებაში ეხმარებოდა.

— არაფერია, ვარდობაა, ასეთ დღეს არა ბრაზდებიან.

— არა, მე იმიტომ რომ ჩავიდინე ეს, რომ ვარდობაა, — თქვა რიფსიმემ ისე, რომ სიცილი არ შეუწყვეტია, — განგებ გავწუწე მიქაელი, რომ წავიდეს და თავისი ახალი ტანისამოსი ჩაიცვას, დღეს ხომ დიდი დღესასწაულია...

მიქაელს შერცხვა, უადგილოდ რომ გული მოუვიდა, რიფსიმესკენ მიბრუნდა და შეეკითხა:

— შენ საიდან იცი რომ მე ახალი ტანისამოსი მაქვს?

— ვიცი... ვიცი, ისიც ვიცი, სადა გაქვს შენახული, გინდა წავიდე და გამოვიტანო?

რიფსიმემ აღარ მოუცადა მიქაელის დასტურს და იმის ბინისაკენ გაიქცა. მიქაელი დაედევნა, უნდოდა გოგონა გაეჩერებინა და განზრახვაზე ხელი აეღებინებინა, რომ საიდუმლოდ შენახული ტანსაცმლის ამბავი არ გახმაურებულიყო. გაიანე კოჭლობით მისდევდა დას და უძახდა უკან დაბრუნდიო. მაგრამ ამასობაში რიფსიმეს უკვე შეეღწია მიქაელის ბინაში და იქაურობას აქოთებდა, — მიქაელის ახალ ტანსაცმელს ეძებდა.

მიქაელმა ხელები დაუჭირა რიფსიმეს, არ უშვებდა ძებნა განეგრძო, მაგრამ რიფსიმე შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა ერთ ხანს ისინი გაწევ-გამოწევაში იყვნენ, ძიძგილაობდნენ, მათი ხელები ერთმანეთს ეხებოდა, რამდენჯერმე თავებიც კი მიადეს ერთიმეორეს. ამ სიახლოვემ რაღაც იდუმალი ერუანტელივით დაუარა ორივეს და აუფორიაქა მთვლემარე ნაზი გრძნობები.

— რად გინდა, რომ ახალი ტანსაცმელი ჩავიცვა? — შეეკითხა მიქაელი, რომელსაც ხელი გაეშვა გოგონასათვის — დაე როგორც უნდა, ისე მოიქცესო.

— ახალ ტანსაცმელში შენ კარგი ხარ, ძალიან კარგი... — მიუგო პატარა გოგონამ ოდნავ გასაგონი ხმით, რომელშიაც აფორიაქებული გულისცემა ძალუმად იგრძნობოდა.

— თუ ასეა, შენი ხათრით ჩავიცვამ, — უმანკო ღიმილით უპასუხა მიქაელმა.

— მაშ, ჩაიცვი, მე მივდივარ.

რიფსიმე ალმურმოდებული გამოვიდა მიქაელის ბინიდან, თვალები ეწვოდა ღრმა, გამოუცნობი სიხარულისაგან.

უფროს დას რიფსიმეს დანახვაზე გული რაღაც იდუმალმა და

ავბედითმა გრძნობამ გაუკენწლა, ისეთმა, როგორც სჩვევიათ უფრო სრულწლოვან და გამოცდილ გოგონებს, როცა თავისზე უმცროსებს უწესო საქციელს შეამჩნევენ ხოლმე, მაგრამ გაიანეს ფრიად დადებითი შეხედულება ჰქონდა მიქაელზე, ის ალალმართალ ყმაწვილად მიაჩნდა, და რაკი მიქაელი ბავშვობიდანვე მათ ოჯახში იზრდებოდა, დაახლოებული იყო ამ კერასთან, რიფსიმესა და მიქაელის დღევანდელი ურთიერთობაც და-ძმურ ანცობად ჩათვალა, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში მაინც დარჩა შურისმაგვარი ბუნდოვანი გრძნობა, რომელმაც სული შეუშფოთა გაიანეს და ჩააფიქრა — ბიჭს რად უხაროდა რიფსიმესთან ლაპარაკი? როგორ მოხდა, რომ ისე მალე აუსრულა თხოვნა და ჩაიცვა ახალი ტანსაცმელი? მას ხომ აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ სააღდგომოდ ჩაიცვამდა სოფელში?

რამდენადაც რიფსიმე ენაგატლეკილი და ქარაფშუტა იყო, იმდენად გაიანე — გულჩათხრობილი და მუნჯი. თავის ასაკთან შედარებით ადრე დაბერებული გეგონებოდათ. იქნებ იმაზე ფიქრმა აიძულა ჩაკეტილიყო თავის თავში, რომ სხეულის ბუნებრივი ნაკლის გამო ქვეყანა ძალიან მცირე ყურადღებას აქცევდა! ასეთი გოგონები მუდამ გესლიანები არიან ხოლმე და მძულვარებით უყურებენ გარემომცველ სამყაროს. მაგრამ გაიანე გამონაკლისს წარმოადგენდა. იგი ძალზე კეთილი, შემწყნარებელი გულისა იყო და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა მიქაელს, რომლის ბედისწერაში თავის ხვედრს სჭვრეტდა. მაგიდაზე ან სხვაგან რომ ხილს მისცემდნენ, გოგონა თავის ულუფის ერთ ნაწილს გადასდებდა და იტყოდა: „ესეც მიქაელისთვისო“. დედა, ძმა და რიფსიმე ერთმანეთს გადახედავდნენ და გაეღიმებოდათ ხოლმე. ოჯახის წევრებს სასაცილოდ არა ყოფნიდათ გაიანეს გულისხმიერება თბილი და უბედური ბიჭის მიმართ.

— თავის დანიშნულს არ ივიწყებს, — დასძენდა რიფსიმე.

— შეყვარებულია, — ამბობდა სტეფანე.

— მე გაიანეს საქმრო უნდა წავართვა, — დაუმატებდა რიფსიმე.

გაიანე გაჩუმებული უსმენდა, ხოლო როცა გადაამეტებდნენ, თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— მე მოლოზნად უნდა აღვიკვეცო, — ამბობდა იგი, — საქმროს არ დავეძებ, დაე რიფსიმემ გაიხაროს...

— მოლოზნად რად მიდიხარ? — ჩაერეოდა სტეფანე, — უკეთესი არ არის, მიქაელს მისთხოვდე, წახვიდეთ სოფელში, ხნათ, თესოთ, ძროხა, ქათმები შეინახოთ...

— შენც დამცინი, სტეფანე? თუ ასეა, მე ამიერიდან მიქაელს აღარ დაველაპარაკები, — ამბობდა გაიანე და თვალცრემლიანი გაშორდებოდა იქაურობას.

ქალბატონი მარიამი ყურს უგდებდა შვილების ჩხუბს, იცინოდა, — დამშვიდდი, გაიანე, რადა ბრაზობ? მიქაელი ჩვენი ოჯახის შვილია, უცხო როდია.

ოთხ კედელში გამომწყვდეულ გოგონებს სხვა ბიჭი რომ არ ენახათ ბუნებრივია სალაპარაკო საგნად ოჯახში აღზრდილი მსახური გაეხადათ. მასისიანების ოჯახში ნათქვამი ეს სიტყვები მიქაელის ყურამდე აღწევდა, ამიტომ იგი თავს არიდებდა გოგონებთან შეხვედრას. თუმცა ოდნავი ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ხუმრობა სავსებით უმანკო და გულუბრყვილო გულთა გამოძახილი იყო, მაგრამ სოფლურ მორცხვობას, რომელიც მიქაელს ჯერ ისევ ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, თავისი გაჰქონდა.

3

ერთხელ მასისიანმა თავისი მოსკოველი საქმეთა მმართველისაგან წერილი მიიღო, რომლითაც ხელქვეითი აცნობებდა — ავადმყოფობის გამო საქმეებს მარტო ვერ ვართმევ თავს და დამხმარედ ვინმე გამომიგზავნეო. ამ წერილმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია ნოქრებში, ყოველ მათგანს სურდა მოსკოვს გამგზავრება, მაგრამ არც ერთი არ აღმოჩნდა შესაფერი. იქ წამსვლელს, გარდა სომხური ენისა, როგორც წერილში ეწერა რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვაც უნდა სცოდნოდა. მასისიანის ხელქვეითებში ამ პირობებს ვერც ერთი ნოქარი ვერ აკმაყოფილებდა. რის გამო აღა დიდ გასაჭირში ჩავარდა; არ იცოდა, სად მოეძებნა ასეთი კაცი.

ერთ საღამოს ამაზე ფიქრით გატანჯული აღა სახლში დაბრუნდა, მაგრამ მაშინვე არ შევიდა ოთახში, გარეთ, კაკლის ხის ქვეშ ჩამოჯდა სამფეხა სკამზე — ცოტას დავისვენებო, და მოწყურებულმა ცივი წყალი მოითხოვა გულის გასაგრილებლად. მიქაელმა მყისვე შეასრულა აღას ბრძანება, წყალი მოართვა და შორიახლოს დადგა ახალი ბრძანების მოლოდინში.

— ხანუმს დამიძახე აქ მოვიდეს, — მიუბრუნდა აღა მიქაელს.

რამდენიმე წუთმა გაიარა, ქალბატონი მარიამი გამოცხადდა მეუღლესთან და მიქაელივით ფეხზე გაჩერებული, ელოდა ბრძანებას. აღამ ანიშნა, დაჯექიო. ქალბატონი გვერდით მოუჯდა მეუღლეს. აღამ მოსკოვიდან მიღებული წერილის შინაარსი გააცნო, მას უნდოდა, თავისი ჯალაბის აზრი გაეგო იმაზე, თუ ვინ გამოდგე-

ბოდა მოსკოვში გასაგზავნად. ქალბატონი მარიამი სახტად დარჩა; არ იცოდა, რითი აეხსნა აღას ასეთი დაახლოება მასთან, ამ კაცთან ცხოვრების მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა აღა თავის მეუღლეს ეთათბირებოდა, ისიც ისეთ სერიოზულ საკითხზე, რაზედაც ქალს წარმოდგენაც არა ჰქონდა.

— ეგ თქვენს სურვილზეა, — უპასუხა მარიამმა, — ვისაც ღირსად სცნობთ, ის მიავლინეთ.

მათ ლაპარაკს მიქაელი შორიდან უგდებდა ყურს და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა. ბოლოს გაბედულად მიუახლოვდა და პირდაპირ განუცხადა:

— მე გამგზავნეთ, აღა.

აღამ შეუბღვირა, უნდოდა გაბრაზებოდა, მაგრამ გაკვირვებისაგან თავისდაუნებურად გაეცინა.

— შენ ქვეყნისა რა გესმის რომ იქ გაგაგზავნო, ძაღლის ლეკვო?

— მე სომხურიც ვიცი და რუსულიც, როგორც წერა-კითხვა, ისე ლაპარაკი, — თავმომწონედ მიუგო მიქაელმა.

— შენ?.. როდის ისწავლე?

— ვისწავლე... ჩემით ვისწავლე... — ისეთ დამაჯერებელ კილოზე უპასუხა მიქაელმა, რომ თავად ეშინოდა მასწავლებლის — სტეფანეს — სახელი არ წამომცდესო.

ცოლ-ქმარი გაოცებული დარჩა. მასისიანების ოჯახში აზრად არავის მოსვლია თუ მიქაელმა წერა-კითხვა იცოდა. ამის გაგონებაზე ქალბატონს თავში გაუელვა მიქაელის ოჯახიდან დროებით მოშორების იმ აზრმა, რაც დიდი ხანია აწუხებდა, იმის შიშით — ვაითუ იგივე განმეორდეს მიქაელსა და რიფსიმეს შორის, რაც სონას და ერთ ნოქარს შორის მოხდაო, რომლებმაც ერთმანეთი შეიყვარეს, სოფელში წავიდნენ და იქ ჯვარი დაიწერესო.

— სხვას ვიღას ეძებ? — თქვა ქალბატონმა, — მიქაელზე უკეთესს ვერავის იპოვი. გაგზავნე, დაე „კაცი“ გახდეს, ჩვენი გაზრდილი ბიჭია.

— რუსული წიგნი გაქვს? — შეეკითხა აღა.

— მაქვს.

— აბა წადი. მოიტანე, წაიკითხე, ვნახო.

მიქაელი სწრაფად გაიქცა თავის ბინისაკენ. სიხარულისაგან ვიწრო და დაბალ კარში შესვლისას დაავიწყდა თავის დახრა და შუბლით მიეხეთქა ჩარჩოს. მაგრამ ყურადღება არ მიაქცია ტკივილს და მიწურში შეძვრა. ფაციფუცით გახსნა ის ყუთი, რომელიც წიგნებით სავსე საჩუქრად მოუტანა სტეფანემ, ამოიღო რუსული წიგნი და გამოიქცა. თან გულში იმეორებდა სტეფანეს სიტყვებს:

„იკითხე, მიქაელ, იკითხე, ერთ დროს გამოგადგებაო“. — აღსრულდა მისი სიტყვები, — ფიქრობდა იგი და სიხარულისაგან კანკალებდა; სულით და გულით ეწადა მოსკოვში წასვლა, თავის საყვარელ ადამიანთან, სტეფანესთან ერთხელ კიდევ შეხვედრა.

მიქაელმა რუსული წიგნი მოურბენინა აღას და შეშინებულ მოწაფესავით აიტუზა აღას წინაშე.

— აბა, წაიკითხე, ვნახო.

მიქაელმა სწორი გამოთქმით სხაპასხუპით დაიწყო კითხვა. აღა გულდასმით უსმენდა, თუმცა არც ერთი სიტყვა არ გაეგებოდა.

— აბა, ეხლა დაწერე.

— რა დავწერო?

— დაწერე, ვითომ მოსკოვში ნოქარს სწერ: „ამჯერად გამოგზავნილი 200 ბარდანა ბამბის ერთი ნაწილი ხალასი ამერიკული თესლისაა, დანარჩენი შერეულია ადგილობრივ ბამბასთან, ბოლო ბარდანებს ცალკე ნიშნები აქვთ, რათა მუშტარს რომ აჩვენებ, იცნო და ამერიკული ბამბის ალაგას გაასაღო“. აბა, ახლა წაიკითხე.

მიქაელმა წაიკითხა.

— დაწერე „ცალკე ნიშნები აქვთ“?

— დავწერე, „ცალკე ნიშნები აქვთ“... — კვლავ გაიმეორა მიქაელმა და თავის მხრივ შენიშნა: — ერთიც ვნახოთ, მუშტარმა „ცალკე ნიშნებიანი“ ბარდანა გაასხვევინა, მერე?..

— ხმა, კრინტი, ლეკვო, ჩემი მოსკოველი მმართველი შენსავით სულელი არ არის, ის მიხვდება, თუ როგორ უნდა მოაჭახრაკოს საქმე... — თქვა აღამ სიბრაზით და ცოლს მიუბრუნდა.

— მეუბნები გაგზავნეო, აბა, როგორ გავგზავნო, მე ვიცნობ მაგ ვირისთავს, მაგისაგან „კაცი“ არ გამოვა.

მაგრამ ნამდვილად არც ერთი გრამი ბამბა არ იყო გაგზავნილი, არც ამერიკული და არც ადგილობრივი თესლისა. „განსაკუთრებული ნიშნებით“ აღნიშნული ბარდანებიც მოგონილი იყო, და საქმეთა მმართველის გაფრთხილებაც — მდარე ხარისხის ბამბა ამერიკულ ბამბად გაასაღეო — შეთხზული. აღა აწერინებდა იმას, რასაც საკუთარი წარმოსახვა კარნახობდა, მოსკოვის ბირჟაზე ახალი ოინბაზობის გათამაშების მიზნით.

მიქაელს ძალიან სანანურად დაურჩა თავისი გაუფრთხილებელი შენიშვნა, ქალბატონი მარიამიც უკმაყოფილო იყო მისი დაუფიქრებლობით; ბიჭის სიტყვამ გააღიზიანა და უნდობლობის გრძნობით აღავსო აღა, რომელიც უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა ყველა იმ თაღლითობაში, რაც იმის კომერციულ ინტერესებს ესადაგებოდა.

ქალბატონი ფიქრს მიეცა, რომ რაიმე ელონ.

— არა უშავს. — თქვა მან, — ჯერ ბავშვია, წავა, ნახავს, ისწავლის.

— რას ამბობ, ქალო, ამდენ ხანს თუ ვერ ისწავლა, ამის შემდეგ რაღას შეისწავლის?

მიქაელი იდგა და მსჯავრდადებულივით უსმენდა მათ საუბარს.

ამ დროს მათ ეახლათ ერთი ჩიხაქუდიანი კაცი, შავ ახალუხში გამოწყობილი, რომელზედაც ნაცრისფერი გრძელი, განიერქობა-მოვლებული გაცვეთილი სერთუკი ეცვა; თეთრწინდებიანი ფეხები ქოშებში წაედგა — ეს წინდები ისე იყო გაყვითლებული, ტალახში ამოსვრილი გეგონებოდათ. სტუმარს ხელში ეჭირა თავისი ხელით გათლილი მახვილი ჯოხი.

— სიმონ იაგორიჩი მოვიდა! — ერთხმად წამოიძახეს მასპინძლებმა, როცა მსხვილი ჯოხის ბაკუნით შემოსული მოხუცი დაინახეს.

ეს აღას ადვოკატი იყო, პოლიციის ძველი ჩინოვნიკი, რომელიც ხელაღებული ლოთობისათვის სამსახურიდან გამოეგდოთ. იგი მოსულიყო იმ დედაკაცის საქმეზე, რომლის შვილი აღას ვალის გადაუხდელობის გამო იყო დაპატიმრებული.

— რა კარგ დროს მოხვედი, სიმონ იაგორიჩ, შენ გელოდი, — უთხრა აღამ.

— არ შემეძლო არ მოვსულიყავი, იმ თავხედმა დედაკაცმა (სიტყვა დაპატიმრებულის დედას ეხება) ზაჰლა წაიღო. — მიუგო სტუმარმა და აღას გვერდით მოუჯდა.

ის ძალიან დაღლილი ჩანდა და მტვერში იყო ამოგანგლული. თავიდან ჩიხაქუდი მოიხადა, მკლავით მოიწმინდა შუბლზე ოფლი, ჯიბიდან ბურნუთის კოლოფი ამოიღო, გაბერილი ცხვირის ნესტოებით ერთი მწიკვი „ენფია“ შეისრუტა, მერე სული მოითქვა, ნასიამოვნებმა ბურნუთის კოლოფი თავაზიანად გაუწოდა აღას და დაუმატა:

— მოსწიე, კარგია, ღმერთის გამოგზავნილია, დღეს წავართვი ერთს, სასამართლოში საქმე გავუჩარხე...

აღამ აინუნში არ ჩააგდო სტუმრის თავაზიანობა და შეეკითხა:

— შენ ისა სთქვი, იმ უსირცხვილოს საქმისა რა ჰქენი?

— არ მოსწევ? გეუბნები, კარგია-მეთქი, სტამბოლის ბურნუთია, ღმერთმა გამომიგზავნა, რა ხანია დავეძებდი.

— ეჰ, კარგ გუნებაზე ხარ, სიმონ იაგორიჩ. შენ ის მითხარი, რა ჰქენი იმ უსირცხვილოს საქმისა? — ცოტა ხმამაღლა გაუმეორა აღამ.

— შე კაი კაცო, რაღასა ბრაზობ? — უპასუხა ვექილმა და გა-

ხეული ცხვირსახოცით ჩამოიბერტყა ცხვირპირიდან ბურნუთის-ფრად შეყვითლებული მტვერი.

— მოდი და აბეთ კაცს ელაპარაკე, — თავის ქნევით წარმოთქვა ალამ:

— მე რას ვეკითხები, ის რასაც მპასუხობს. სთქვი, იმ ქალთან საქმე. როგორ დაამთავრე?

— როგორ უნდა დამემთავრებინა? ღღინი გავაცალე, რაც ჰქონდა და არა ჰქონდა, ყველაფერი გავაყიდინე.

ალას პირისახე გაუბრწყინდა რაღაც ფარული სიხარულისაგან.

— ფულები? — შეეკითხა იგი.

— ფულები მოგიტანე.

ადვოკატმა ჯიბიდან ამოიღო ძველ ჩვარში გამოკრული ქაღალ-დის ფულები და დაუთვლელად, აკანკალებული ხელით გადასცა ალას.

— ეი, ბიჭო, მიქაელ, ერთი ჭიქა არაყი მოართვი სიმონ იაგორიჩს, იმ დიდი სასმისით, გესმის? — უბრძანა ალამ და ფულების და-თვლას შეუდგა.

— შე მაძაცხონებულო, ცოტა ადრე ვეღარ უბრძანე, არ იცი, რომ სიმონ იაგორიჩს უზაჰრუმალოდ სიცოცხლე არ შეუძლია? — დასძინა ადვოკატმა თან მოულოდნელად მოელოდა სიცოცხლის მომნიჭებელ სასმელს.

მაგრამ მიქაელმა მეორე შეცდომაც დაუშვა, რის გამოც ალას რისხვა დაიმსახურა. ალამ რომ უბრძანა „დიდი“ სასმისით მოუტა-ნეო არაყი, სიტყვა „დიდი“ მიქაელს „პატარად“ უნდა გაეგო, ისე, როგორც დუქანში იყო მიღებული სიტყვა „კარგის“ ხმარება „უვარგისის“ გაგებით. მიქაელმა ზუსტად შეასრულა ბრძანება, დი-დი ჭიქით მოიტანა არაყი და სიმონ იაგორიჩს მიართვა. ეს არაყი კი არა, სუფთა სპირტი იყო, მაგრამ ადვოკატმა ერთი ყლუპით გა-დაკრა.

— უჰ, გული გამიგრილდა, დიდხანს იცოცხლე, — დააყოლა ადვოკატმა და ცარიელი ჭიქა მიქაელს გადასცა.

მაგრამ ალამ თვალების გადაბრიალებით, მიქაელი უკვე მიახვე-დრა შეცდომას, რის გამო ბიჭს საბოლოოდ დაეკარგა მოსკოვს გამგზავრების იმედი.

ქალბატონი მარიამი კი სულ სხვა მწარე ფიქრს მისცემოდა. ფულების დანახვაზე დარწმუნდა, რომ იმ დარბეული ოჯახი-დან იყო გამოტანილი, რომლის შვილი ციხეში იჯდა, ხო-ლო პატიმრის დედა ამ რამდენიმე დღის წინათ მას ემუდარებო-და ალას წყალობით შვილის ციხიდან გათავისუფლებას. მაშასადამე,

უკვე განადგურებული იყო საწყალი ოჯახი, სამუდამოდ გაპარტახებული, სიღატაკეში ჩაფლული.

— გმადლობთ, სიმონ იაგორიჩ, — უთხრა აღამ, ერთი წითელი თუმნიანი გამოაძრო ფულის დასტას და ადვოკატს გაუწოდა. — ესეც შენ, ფეშქაშად, ფულების განაღდებისათვის.

სიმონ იაგორიჩმა მადლობა გადაუხადა და „ფეშქაში“ ისეთი მოკრძალებით ჩამოართვა, რომ ცოტა გაწყდა ხელზე არ აკოცა აღას. ასეთ შემთხვევაში აღა ხელგაშლილი იყო. ისევე, როგორც მონადირეები, ნანადირევი ხორციდან ნაწილს რომ მიუგდებენ ხოლმე ძაღლებს.

მაგრამ მიქაელის საკითხი ჯერჯერობით ისევ გადაუწყვეტელი იყო. ქალბატონმა მარიამმა რომ დაინახა, — ადვოკატის მოტანილმა ფულებმა ყარგ გუნებაზე დააყენა აღა, მომენტით ისარგებლა და მიქაელის მოსკოვში გაგზავნაზე ჩამოაგდო სიტყვა.

— წაიკითხეთ, სიმონ იაგორიჩ, როგორ არის დაწერილი ეს წერილი? — უთხრა მან და ადვოკატს მიქაელის მიერ რამდენიმე წუთის წინ დაწერილი წერილი გადასცა.

ადვოკატმა უბიდან ამოიღო უზარმაზარი სათვალე, ზორბა ცხვირზე მოირგო და ისე ზარზეიმით დაიწყო წერილის კითხვა, თითქოს სიტყვას ამბობსო. „ამჯერად გამოგზავნილი 200 ბარდანა ბამბის ერთი ნაწილი“... და სხვა.

— სწერია „განსაკუთრებული ნიშნები“ აქვსო? — შეეკითხა აღა, როცა ადვოკატმა კითხვა დაამთავრა.

— როგორ არა, სწერია: „ბოლო ბარდანებს განსაკუთრებული ნიშნები აქვსო“... და „განსაკუთრებული ნიშნებისათვის“ ქვეშ ხაზიც გაუსვამ — უპასუხა ადვოკატმა.

— მოგწონს?

— ვინ დაწერა?

— ჩვენმა მიქაელმა.

— სული წამიწყდეს თუ ჩემს დაწერილს არა სჯობდეს, — მიუგო ადვოკატმა და ხელი მიიდო გულზე:—მე 22 წელი პოლიციაში ვარ მწერლად ნამსახური, 15 წელი სოფელ თ...ს მამასახლისთან ვმუშაობდი კანტორაში, მაგრამ ჩემი დაწერილი მაგის ნაწერთან გროშიც არა ღირს...

ადვოკატის მიერ მიქაელის გაზვიადებული ქება ნაწილობრივ იმითი უნდა აიხსნას, რომ მიქაელმა რამდენიმე წუთის წინ დიდი ჭიქით დაალევინა არაყი და ადვოკატმა ამით მადლობა გადაუხადა მსახურს გაწეული სამსახურისათვის. მიუხედავად ამისა, სიმონ იაგორიჩის შეფასებამ, როგორც მცოდნე კაცის სიტყვამ, კეთილად

იმოქმედა აღაზე და ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა მიქაელი გაეგზავნა მოსკოვს.

სამი დღის შემდეგ, დილაადრიან, მასისიანების კარებთან სამგზავრო ურემი იცდიდა. გამოვიდა მიქაელი, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, მას გამოყვნენ ქალბატონი მარიამი და აღა. მიქაელ ჯერ ქალბატონ მარიამთან მივიდა, ხელზე ეამბორა და დედური ლოცვა-კურთხევა მიიღო, მერე აღას წარუდგა, იმასაც ხელზე ემთხვია, მისგანაც მოისმინა მამური „კეთილი დარიგებები", როგორიც არა ერთხელ გაეგონა და სახეგაბრწყინებული შეხტა ურემზე. ურემი დაიძრა. როცა მასისიანების სახლს მარჯვენა მხრიდან ჩაუარა, უეცრად ზევიდან ყვავილების თაიგული დაეცა მის წინ. მიქაელმა უკან მიიხედა, სახლის ერდოზე გაიანე და რიფსიმე იდგნენ და თავებს ქნევით ემშვიდობებოდნენ. მიქაელის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ერთი რამ დარჩა მისთვის გაუგებარი — იმ ორ ქალიშვილთაგან რომელმა ესროლა თაიგული, და ამაზე ფიქრმა ჭაბუკის ტანჯვას დაუდო სათავე...

ა

დაახლოებით ერთ წელს გაევლო იმ დღიდან, რაც მიქაელი მოსკოვისაკენ მიმავალ გზას დაადგა. კვირა დღე იყო. მოსკოვის ერთ ყრუ, მივარდნილ ქუჩაზე, ძველ სახლში, სადაც ავეჯით გაწყობილ ოთახებს აქირავებდნენ, საწერ მაგიდას უჯდა გამხდარი, ფერმკრთალი ჭაბუკი და მუშაობდა. დიდი ხნის გათენებული იყო, მაგრამ მას ეტყობოდა ჯერ არც პირი დაებანა და არც გრძელი თმა დაევარცხნა, რომელიც კისრამდე სცემდა. ხალათის ნაცვლად ზამთრის ძველი პალტო წამოეხურა, ხოლო ფოსტლების ნაცვლად კალოშებში ედგა ფეხი. მოღრუბლული დღე იყო, ციოდა, ქარისაგან ათამაშებული თოვლის ფანტელები ფანჯრის გაყინულ მინებს ეხეთქებოდნენ, სევდისმომგვრელ უსიამოვნო ხმას გამოსცემდნენ. ოთახში ღუმელი არ ენთო, მაგრამ ჭაბუკი სიცივეს არ გრძნობდა და თავგამოდებით განაგრძობდა მუშაობას. დროდადრო თავის პატარა ჩიბუხს ექაჩებოდა, თითქოს ამით სურდა გაყინული სხეულის ოდნავ გათბობა. კარგა მოზრდილ საწერ მაგიდაზე გაფანტული იყო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, ქაღალდები, რვეულები, წიგნები. ერთგან ერთი პეშვი თამბაქო ეყარა. გარდა ამისა, მაგიდაზე ელაგა ფერადფერადი, მტვერითა და სითხით სავსე სხვადასხვა ზომის პატარა შუშები, აგრეთვე, რამდენიმე ქიმიური და ფიზიკური ხელსაწყო, ნახშირის მსხვილი ნატეხები, ალბათ ცდების ჩასატარებლად, და ადამიანის თავის ქალა.

ეს მაგიდა, ზედ უწესრიგოდ გაფანტული ნივთებით, ფაუსტის საწერ მაგიდას წააგავდა.

ოთახი თითქმის ცარიელი იყო: რამდენიმე სკამი, საწოლი, ლაჰპა, წიგნების თარო, აი მთელი მოწყობილობა. აქ ცხოვრობდა ე... მაზრის პირველი მდიდრის შვილი, ღარიბი სტუდენტი — სტეფანე მასისიანი.

კარებზე კაკუნი გაისმა, შემოვიდა მსახური.

— ერთი ბატონი თქვენა გკითხულობთ.

— სთხოვეთ, — ცივად მიუგო ჭაბუკმა და თავისი საქმე განაგრძო. ოთახში შეეოვიდა კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა და შეხედა თუ არა სტუდენტს სახტად დარჩა. სტუდენტმა თავი აიღო და სტუმარს არანაკლებ გაკვირვებული მიაჩერდა.

— ოჰო, შენა ხარ, მიქაელ? როგორ გამოცვლილხარ, ძლივს გიცანი. — შესძახა მოსულს და გულში ჩაიკრა.

მიქაელს ხმა ჩაუწყდა, ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოეხერხებინა.

— საიდან სადაო?.. შენა და. მოსკოვში?.. როგორ გაჩნდი აქ?— ეკითხებოდა სტუდენტი და ხელს არ უშვებდა მიქაელს. აბა, ახლა დავსხდეთ და მიამბე.

ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ. მიქაელმა უამბო, რომ მოსკოვში მივლინებული იყო აღას მიერ საქმეთა მმართველის დამბმარედ, რომელიც ავადმყოფობის გამო საქმეებს სათანადოდ ვერ უძღვებოდა. დაახლოებით ერთ წელზე მეტია მოსკოვში ვიმყოფებიო, ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ დავპირე შენთან მოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, აღას მკაცრად გაეფრთხილებინა მმართველი, რომ ჩვენ არ შეეხვედროდით ერთმანეთს — ჩემი შვილი მსახურს სწორ გზას ააცდენს და „გამიფუჭებსო". მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ მმართველი გარდაიცვალა და იმის დაკრძალვისთანავე შენსკენ გამოვწიეო.

— ძალიან ცუდი კაცი იყო, — დაუმატა მიქაელმა, — ერთი წუთით არ მიშორებდა თვალიდან.

— მე არ ვიცნობდი იმ არამზადას, — მძულვარების კილოთი უპასუხა სტეფანემ, — შენ ის მითხარი, ახლა რას აკეთებ აქ?

მიქაელმა აცნობა, რომ ამჟამად გარდაცვლილი მმართველის მოვალეობას ასრულებდა. ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს ძველ მმართველს მიეწერა აღასთვის, რომ მასზე დაკისრებულ საქმეს მე გავუძღვებოდი და თვითონ შვებულება ეთხოვა — დროებით ჩამოვალ სამშობლოში, ჯანმრთელობას აღვიდგენ, მოსკოვის ჰაერმა მაენოო, მაგრამ აღას ნება არ დაერთო და მანამდე იწვალა, ვიდრე სული განუტევაო.

— ამ ახალ ამბებში ყველაზე კარგი ის არის, — თქვა სტეფანემ, რომ შენ აქ დარჩები და მე კვლავ საშუალება მომეცემა შენთან ვიმეცადინო. წიგნების სიყვარული ხომ არ გაგინელდა?

— არა, სტეფანე, — უპასუხა მოწაფესავით დარცხვენილმა მიქაელმა, — მე ვკითხულობდი, დღენიადაგ ვკითხულობდი შენს მოცემულ წიგნებს.

მიქაელს უკვირდა, რომ დედ-მამაზე, დებზე, საერთოდ მშობ-

ლიურ ოჯახზე სტეფანე არაფერს ეკითხებოდა და მათი მდგომარეობა არ აინტერესებდა.

— სახლიდან წერილებს ღებულობ? — შეეკითხა იგი.

— არა და არც მინდა, — ცივად მიუგო სტეფანემ: — რა იქნება ახალი? ყველაფერი ალბათ ისეა, როგორც დავტოვე. ასე არ არის?

— ასეა. არც შენა სწერ?

— არა ვწერ.

მაგრამ წერილების მიწერ-მოწერაზე უფრო მიქაელს სტეფანეს ღარიბულ ცხოვრებაზე ფიქრი აწუხებდა. იგი აშკარად ხედავდა მის უმწეო მდგომარეობას. გარდა ამისა, სტეფანეს, ეტყობოდა, ჯანმრთელობაც შერყეული ჰქონდა, ახალგაზრდობის მჩქეფარე ასაკის მიუხედავად ნამდვილ ჩონჩხს დამსგავსებოდა, — ჩანდა მძიმე შრომას, განუწყვეტელ მუშაობას ძალ-ღონე წაერთმია, გამოეფიტა. ოთახი, სადაც ცხოვრობდა, არა თბებოდა, თანაც ძალზე ნესტიანი იყო, ნამდვილ სამარეს მოგაგონებდათ. ესეც ხელს უწყობდა იმისი ჯანმრთელობის გაუარესებას. საშინელია სტუდენტის მდგომარეობა, როცა სწავლის დროს სიღარიბესთან ბრძოლა უხდება. იგი იძულებულია საუკეთესო დრო, რომელიც სპეციალური საგნების შესწავლას უნდა მოახმაროს, კერძო სამუშაოს შესწიროს, რათა ფული იშოვოს, რომ მშიერი არ მოკვდეს. მიქაელს არ შეეძლო ეს არ შეენიშნა, ამიტომ მეგობრულად შეეკითხა:

— რითი ცხოვრობთ?

— როგორ თუ რითი? საქმეს რა დალევს, რითაც შეიძლება იარსებო? გაკვეთილებს ვაძლევ, ვთარგმნი, ვთანამშრომლობ ერთ გაზეთში.

მიქაელი ამჟამად იმდენად განვითარებული იყო, რომ მაშინვე მიხვდა, მისი მეგობარი მეორეხარისხოვანი საქმიანობით რა დიდ ზიანს აყენებდა თავის სწავლა-განათლებას. ასეთი პირობები ხომ ხელს შეუშლიდა ცოდნის დაუფლებაში და ცუდ გავლენას იქონიებდა ჭაბუკის ჯანმრთელობაზეც! არა, საჭირო იყო სერიოზულად ეფიქრა სტეფანეს დასვენებაზე, მისი ჯანმრთელობის აღდგენაზე. ამ მიზნით მიქაელმა სტეფანეს სთხოვა ყოველთვიურად მისგან მიეღო გარკვეული თანხა.

— ეგ შეუძლებელია, — უპასუხა სტეფანემ.

— რატომ? — გაკვირვებით შეეკითხა მიქაელი.

— მე მეტი ფული არა მჭირდება. გარდა ამისა, მამაჩემი წინააღმდეგი იქნება, რომ იმისი ფულები შვილს მისცენ. მაგრამ, ვთქვათ, ეგ საქმე ფარულად მოახერხე, ბოლოს ხომ მიხვდება (შეუძლებელია, არ მიხვდეს), აბა, წარმოიდგინე, რა სასჯელი მოგელის.

— ჩემი ფულებიდან მოგცემ, ახლა მე ხელფასს ვღებულობ, რაც სულაც არ მჭირდება.

— მომავალში დაგჭირდება.

მიქაელი ბევრს ეხვეწა-ემუდარა სტეფანეს ფული მიეღო, თან დასძენდა, ძალიან დავალებული ვარ შენგან, მინდა მცირე სამსახური გაგიწიო მეგობრობისათვის, თუ არ მიიღებ საწყენად დამრჩება. ისიც უთხრა, რაკი ისე არ გინდა, როცა სწავლას დაამთავრებ და ფული გექნება, მაშინ დამიბრუნეო.

სტეფანე საექიმო ფაკულტეტზე სწავლობდა, იცოდა კარგი მომავალი მოელოდა, ერთ დღეს შესაძლებლობა ექნებოდა მიღებული თანხის დაბრუნებისა, ამიტომ ახლა მიქაელის ქველმოქმედება დროულ დახმარებად ჩათვალა, მეორეხარისხოვან საქმიანობაზე ხელს აიღებდა, მთელ დროს ცოდნის შეძენას მოახმარდა. მაგრამ თან შიშობდა, მიქაელი რაიმე განსაცდელში არ ჩაეგდო, მით უმეტეს, რომ აწ გარდაცვლილი მმართველი მამამისს გაფრთხილებული ჰყოლოდა, მიქაელი ჩემს შვილს არ გააკაროო.

— ძნელია, მიქაელ, ძალიან ძნელია, — უთხრა მან.

— არავითარი სიძნელე არ არსებობს, ჩემს ჯამაგირს, როგორც მინდა, ისე მოვიხმარ!

— საქმეც ეგ არის, რომ როგორც გინდა ისე ვერ მოიხმარ. ნუთუ მამაჩემს არ იცნობ? შენ საკუთრება არაფერი გაგაჩნია, თვითონ შენც კი მას ეკუთვნი, რადგან იმისი ხელქვეითი ხარ.

ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ გულითადი მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ და ფულის საკითხი ღიად დარჩა.

— შენ ხომ კიდევ მოხვალ ჩემთან, ჰა? — შეეკითხა სტეფანე, როცა ემშვიდობებოდა. — მე ახალ წიგნებს მოგცემ წასაკითხად.

— მოვალ და ხშირხშირადაც მოვალ.

მიქაელი მართალია პირდებოდა სტეფანეს თავისი ჯამაგირის მიცემას, რადგან სულით და გულით უნდოდა დახმარებოდა, მაგრამ ავიწყდებოდა, რაოდენ ძნელი იყო ამის შესრულება — აღა მიქაელს ჯამაგირს ხელზე კი არ აძლევდა, არამედ თავისთან უნახავდა, ჩემთან შენი ფული უფრო გაიზრდებაო.

„შვილო, — წერდა მას მასისიანი, — ჯამაგირი რომ გამოგიგზავნო. დახარჯავ. ტყუილ-უბრალოდ გაათუჭებ, გაანიავებ. დარჩეს ჩემთან, მე შეგინახავ. თანხას გავზრდი შენთვის და ერთ დღეს სარგებლით ჩაგაბარებო“. ეხლა მიქაელს არავითარი საბაბით არ შეეძლო მოეთხოვა ჯამაგირი. მათ შორის არც მოსკოვში ცხოვრების საბაბით — რაც მას მოსკოვში საცხოვრებლად ეხარჯებოდა, მიქაელი მასისიანის სავაჭრო სახლიდან იღებდა უკლებლივ.

აღმოსავლეთში ვაჭრობას და ვაჭარს საზოგადოება პატივს სცემდა. აღმოსავლეთის ხალხთა რომანებსა და ლეგენდებში „ხოჯების“ სახელები თითქმის სამართლიანი და კეთილი ხალიფების საპატიო სახელების გვერდით არის მოხსენებული. საფიქრებელია, რომ სომხებსაც — აზიელ ვაჭრებს — ექნებოდათ ის კეთილშობილური თვისებები, როგორიც ჰქონდათ მათთან მოვაჭრე სხვა ერებს, — სპარსელებს, ასირიელებს, არაბებს.

და მართლაც, სომეხ ვაჭრებს დღემდე შემოუნახავთ ზოგიერთი ის ლამაზი ჩვეა, რომლებსაც ჯერაც არ დაუკარგავთ თავიანთი მამაპაპური ფორმა. ერთი იმ ჩვევათაგანია ვაჭართან მომუშავე ნოქრის შვილად აყვანა. ვთქვათ, უღარიბესი ოჯახიდან გამოსულმა, ან სავსებით ობოლმა ბიჭმა მუშაობა დაიწყო რომელიმე ვაჭართან, აღამ თუ შეამჩნია, რომ ბიჭი ფხიზელია, ეშმაკი, შნოიანი, თავაზიანი და მომავლის მქონე, ასეთ ბიჭზე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს. ვაჭარი ამ ბიჭს ჯამაგირს უნიშნავს, მაგრამ ფულს ხელზე არ აძლევს, თვითონ ინახავს, ბრუნვაში უშვებს ამ თანხას, აგებინებს, სანამ ნოქარი ვაჭრობაში გავარჯიშდება, დახელოვნდება და აღას დახმარებით თავისთვის ცალკე სავაჭროს გახსნის. მაშინ აღა ერთბაშად აძლევს ჯამაგირის ანგარიშში დაგროვილ თანხას სარგებლით და თავისი ხელქვეითის კაპიტალს ერთგულად გაწეული სამსახურისათვის ცოტა რამესაც უმატებს. ამრიგად, ნოქარს უგროვდება კარგა მოზრდილი თანხა, რითაც საკუთარ ვაჭრობას იწყებს. გარდა ამისა, იგი თავისი კეთილისმყოფელისაგან კრედიტსაც ღებულობს, რასაც ვაჭრობის გაფართოებას ახმარს. ასეთი ნოქრები აღას შვილობილებად ითვლებიან. აღას თავის დიდებად და პატივად მიაჩნია ასეთი „კაცის“ გამოზრდა. ამ „კაცს“ აღა „ჭრაქს“ უწოდებს, რომელიც ღარიბი ოჯახის წყვდიადში დაანთო. და ყოველი აღა რაც მეტ „ჭრაქს“ გამოზრდიდა, მით უფრო პატივდებული იყო თავისი ამქრის თვალში.

მაგრამ მასისიანი უფრო პრაქტიკული სარგებლობის თვალით უყურებდა ასეთ ადათ-წესებს. ისიც უნახავდა ნოქრებს ჯამაგირს მთლიანად, ან ნაწილობრივად იმ პირობით, რომ მომავალში სარგებლით დაუბრუნებდა ცალკე სავაჭროს გასახსნელად. მაგრამ ამას იმ მიზნით სჩადიოდა, რომ ნოქრის სადავე მუდამ ხელში სჭეროდა. ხელქვეითის ჯამაგირის შენახვას მასისიანი უყურებდა როგორც თავისებურ გირაოს, რომელიც უფლებას ანიჭებდა — ნოქარი მორჩილებაში ჰყოლოდა, ეს იყო თავდება, რომ ამ უკანასკნელს აღასათვის არ ეღალატა. იმიტომ, რომ თუ ვინიცობაა ნოქარს ორგულობას, ხელმრუდობას შეამჩნევდა, აღა სამსახურიდანაც გააგდებდა და

წლების. განმავლობაში შემონახულ ჯამაგირსაც, როგორც ჯარიმას, დაუკავებდა. ასეც ხდებოდა ხოლმე, რომ სულ ტყუილ-უბრალოდ უდანაშაულო ადამიანს ორგულობას, ხელმრუდობას დასწამებდა, გააგდებდა და მის მთელ თანხასაც მიითვისებდა. ამით აიხსნება მასისიანის სავაჭროში ნოქრების ხშირი დენადობა.

სტეფანესაგან შინ დაბრუნებულმა მიქაელმა მაშინვე მისწერა აღას — ნება დაერთო ყოველთვიურად აეღო კუთვნილი ჯამაგირი — მინდა ლატარიის ბილეთები შევიძინო და ბედი ვცადოო. მაგრამ ამაზე აღასგან უარი მიიღო. ამასთანავე აღა აცნობებდა, ეგ „სისულელეაო", შენი ბედის გამომკვერი მე ვარ, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და ჩემგან ელოდეო ბედნიერებას. თუ ჩემს რჩევა-დარიგებას დაუჯერებ, წესიერ „კაცად" გაგხდიო. ამ პასუხმა ისე შეაშფოთა მიქაელი, რომ მზად იყო მიეწერა, სამუშაოს მივატოვებ თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებო. მაგრამ ასეთი ნაბიჯი არ გადადგა. მიქაელი ზედმიწევნით კარგად იცნობდა მასისიანს, არ ენდობოდა იმის დაპირებებს, მაგრამ იმისგან წასვლას მაინც არ აპირებდა, იმიტომ კი არა, რომ თავის ფულებზე უარს ეტყოდა, არამედ ერთი განსაკუთრებული მიზეზით, რომელიც მას მასისიანის ოჯახთან და იმის საქმეებთან აკავშირებდა. ეს იყო ყვავილების ის თაიგული, რომელიც მას მოსკოვისაკენ გამომგზავრების დროს ესროლეს და დღემდე არ ავიწყდებოდა...

ბ

მიქაელი ცხოვრობდა მოსკოვის ბირჟის მახლობლად ღარიბი გერმანელის ოჯახში. აქ მას ერთი პატარა ოთახი ეჭირა და სახლის პატრონის ოჯახში იკვებებოდა. პატარა, კოხტა ბინა, უბრალო და მუდამ სუფთად მოვლილი ავეჯით, საესებით ესადაგებოდა მიქაელის თავაზიან ხასიათს. ამ ბინაში იგი თავისუფლად და მშვიდად გრძობდა თავს, და ზოგჯერ, ფანჯარასთან მჯდარი, ისე გაკვირვებული გასცქეროდა ქუჩაში გამვლელ აჭრელებულ ხალხს, მაღალ შენობებს, — გეგონებოდათ ჯადოსნურ ქვეყანაში იმყოფება და იქიდან უმზერსო მისთვის ახალ და უცხო სამყაროს. ასეთ წუთებში ხშირად სამშობლო მოაგონდებოდა, გონებით გადათრინდებოდა შორეულ მდინარე არაქსის ნაპირებზე და — ხელში მწყემსური კომბლით, ქალამნებჩაცმული, უზარმაზარი ფაფახით თავზე — ბატკნებს მიდენიდა ცვრიანი ბალახით დაფარული საძოვრებისაკენ. რა დიდი განსხვავება იყო წარსულსა და აწმყოს შორის, მწყემს კალოსა და მოსკოვის ბირჟის გმირ მიქაელს შორის.

ერთ საღამოს მიქაელს სტეფანე ესტუმრა, თან მოიტანა დიდი შეკვრა წიგნებისა, მაგიდაზე დადო და თვითონ სავარძელში ჩაესვენა. ძალზე დაღლილი ჩანდა, მაგრამ ფერმკრთალი სახე სიხარულისაგან უბრწყინავდა.

მიქაელმა უამბო, თუ რა პასუხი მიიღო აღასაგან თავისი ჯამაგირის შესახებ.

— მე სხვა პასუხს არც მოველოდი, — სიძულვილით უპასუხა სტეფანემ, — ეგ არაფერია, მოდი გაჩვენო, რა წიგნები მოგიტანე.

მიქაელი მივიდა მაგიდასთან და მოწაფის ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა წიგნებს.

— ამ წიგნით, — აჩვენებდა სტეფანე და ფურცლავდა წიგნს, — შენ გაეცნობი ფინანსიურ და საბანკო წარმოებას, ამ მეორე წიგნით — ნაირნაირ ნედლეულს, რომელიც დასამუშავებლად იგზავნება სხვადასხვა ქვეყნებში, იმ მესამე წიგნით — ფაბრიკა-ქარხნებს და საერთოდ ხელოსნური წარმოების ფორმებს. მეოთხე წიგნი კი მშვენიერი რომანია. იკითხე ხოლმე, როცა ზემოთ ჩამოთვლილი წიგნების შესწავლით დაიქანცო. ეს რომანი სულიერად აგამაღლებს და გემოვნებას გაგინვითარებს.

გახარებული მიქაელი სათითაოდ იღებდა წიგნებს, გადაათვალიერებდა და ისევ მაგიდაზე დებდა.

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, — განაგრძო სტეფანემ, — მე უკვე ნებართვა ავიღე, რომ თავისუფალ მსმენელად ჩაგრიცხონ აქაურ კომერციულ სკოლაში. კვირაში ორჯერ დრო გექნება?

— კვირაში ორჯერ? — გაიმეორა მიქაელმა და დაფიქრდა, — როგორ არა, დროს გამოვნახავ.

— ძალიან კარგი, მაშ ხვალ დილაადრიან გამოგიელი და წაგიყვან სკოლის დირექტორთან.

იგი წამოდგა.

— ნახვამდის, დილის რვა საათზე აქ ვიქნები.

— სად მიიჩქარები? მოიცადე ცოტა ხანს, ახლავე ჩაის შემოგვიტანენ, — შეიხვეწა მიქაელი.

— არა, არ შემიძლია, სხვებსაც უნდა გავუარო.

სტეფანე წავიდა.

„რა კეთილი ადამიანია, — გაიფიქრა მიქაელმა სტეფანეს წასვლის შემდეგ, — მაგრამ რამდენადაც კეთილია იმდენადვე ამაყია. არა. მე იმის კეთილ სამსახურს უგასამრჯელოდ არ უნდა ვღებულობდე — ჩვენი ორივეს მდგომარეობა ხომ ძალიან წააგავს ერთმანეთს: ის ღარიბია უფულობის გამო, მე კი — უსწავლელობის გამო. ამიტომ ერთიმეორის ნატვრა-ოცნება უნდა შევავსოთ. თუ

სტეფანემ ჩემს შეთავაზებულ დახმარებაზე უარი თქვა, ამით იგი ძალზე მაწყენინებს და მეც იძულებული ვიქნები, ხელი ვკრა იმ მზრუნველობას, რასაც იგი ჩემს მიმართ იჩენს.“ მაგრამ როგორ უნდა დახმარებოდა სტეფანეს? ამ კითხვამ დიდ საგონებელში ჩააგდო მიქაელი. მას ნამარდობა არ უნდოდა ჩაედინა, თორემ წელიწადში, საერთო თანხიდან, ოთხას-ხუთას მანეთს ისე მისცემდა სტეფანეს და ანგარიშებში ისე გაატარებდა, რომ მასისიანს ძილშიც არ დაესიზმრებოდა.

მიქაელს არ უნდოდა ამ უკეთურობის ჩადენა, თავისი საკუთარი ფულით სურდა დახმარებოდა, მაგრამ ის ხელზე არ გააჩნდა. იმისი ჯამაგირი, ისევე როგორც მიქაელის პიროვნება, აღას უნდოდა შუკში სჭეროდა და ხელიდან არ გაეშვა.

„მე მაგ ტუტუც მოხუცს უნდა დავუმტკიცო, რომ იმისი მოცემული ჯამაგირი არა მჭირდება და სხვა გზითაც შემიძლია ფული შოვიგო,“—გაიფიქრა მან, საწერ მაგიდას მიუჯდა და წერილის წერას შეუდგა.

მიქაელს მოსკოვის ბირჟაზე ისეთი სახელი ჰქონდა მოპოვებული და იმოდენა ნდობა—მოხვეჭილი, რომ ბევრი ვაჭარი, ვისაც მოსკოვში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავდა, ეხვეწებოდა კომერციული გარიგებით შეესრულებინა სხვადასხვა დავალებები. მიქაელი ფიქრობდა, რომ ამ გარიგებით მას დიდი თანხის ხელში ჩაგდება შეეძლო, მაგრამ საიდუმლოდ არ უნდოდა გადაედგა ეს ნაბიჯი, ამიტომ აღას მისწერა.

ამ წერილის შინაარსს, მის სტილს მცირე კვალიც აღარ აჩნდა შშიშარა მსახურის მოკრძალებულობისა და თავმდაბლობისა. ის იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი კაცის სიტყვა. მიქაელი აღას წერდა: ყველა კუთხიდან მეხვეწებიანო სხვადასხვა კომერციული დავალებების შესრულებას ერთდროული ანაზღაურების წესით. ეს, რასაკვირველია, არავითარ ზიანს არ მიაყენებს შენს ვაჭრობას და ოდნავ ვერ შეანელებსო საქმის წინსვლას. რაც შეეხება გასამრჯელოს, ნაწილს ჯამაგირის სახით ავიღებ, დანარჩენს კი შევიტან მასისიანების საერთო შემოსავალში, მოგების სახით. წერილი თავდებოდა გაფრთხილებით — თუ ვინიცობაა აღა არ დაეთანხმებოდა ამ წინადადებას, მაშინ მიქაელი იძულებული გახდებოდა უარი ეთქვა მასისიანთან მუშაობაზე და მთლიანად გადასულიყო საკომისიო საქმიანობაზე.

მასისიანს ძალიან არ ესიამოვნა წერილის მედიდური ტონი, პირველი შემთხვევა იყო, რომ ხელქვეითი — ნოქარი, თავისი მონა, ასეთი გაბედული წერილის მოწერას უბედავდა. მაგრამ რაღა ძა-

ლა გაარჩევდა. როცა საქმე ჩიბში იყო მომწყვდეული?.. „მე ვიცოდი, რომ ის საძაგელი გარყვნიდა მიქაელს“,—ბრდღვინავდა აღა და გამრყვნელში თავის შვილს სტეფანეს გულისხმობდა, რომელიც, ძველი საქმეთა მწარმოებლის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვარაუდით, ალბათ მიქაელს დაუახლოვდაო ფულის გამოძალვის მიზნით. მაგრამ სიბრაზემ ცოტა გადაუარა, როცა სერიოზულად დაუფიქრდა წერილის შინაარსს. მასისიანი ისეთი კაცი იყო, რომ თუ წინ მოგება ეგულებოდა, ყოველნაირ შეურაცხყოფას ადვილად და მალე ივიწყებდა. როცა აღა დარწმუნდა, რომ მოგებული თანხის ნაწილს მიქაელი იმის მოგებაში ჩარიცხავდა, იფიქრა, რათ დავკარგო ეს მოგებაო. მაგრამ,აღა მაინც განაწყენებული დარჩა — არ მოეწონა, რომ ფულის ნაწილს თვითონ მიქაელი ჩაჯიბავდა და ფულის პატრონი გახდებოდა. — სწორედ ეს არ უნდოდა მასისიანს, იგი მუდამ წინააღმდეგი იყო, რომ მისი ხელქვეითნი ფულის პატრონები გამხდარიყვნენ, მასისიანს ღარიბ-ღატაკი ნოქრები უყვარდა, ამ სიღარიბეში ხედავდა მათი მორჩილებისა და მონობის საყრდენებს. აღამ არ იცოდა ეს ორი წვერი როგორ გამოენასკვა, — თვითონაც ხელი აეღო მოგებაზე, რომ მიქაელიც ისევ ღარიბად დარჩენილიყო, თუ პირიქით — მოგება მიეღო და მიქაელიც ფულიანი კაცი გამხდარიყო. თავდაპირველად გადაწყვიტა ხელი აეღო მოგებაზე, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო: მიქაელი წერდა, — თუ ვინიცობაა არ დაეთანხმები ჩემს წინადადებას, მაშინ მზადა ვარ თავი მივანებო შენს საქმეს და იქ გადავალ, სადაც ჩემთვის ხელსაყრელი იქნებაო. მიქაელისთანა ნოქრის დაკარგვა ძნელი იყო აღასათვის. ვერავინ ვერ დაიკავებდა მის ადგილს. ამიტომ მასისიანი იძულებული გახდა თანხმობა მიეცა, მაგრამ გუნებაში გაიფიქრა. სხვანაირად დაესაჯა იგი...

რამდენადაც მკაცრი იყო მიქაელის წერილი, იმდენად ლმობიერი — აღას ბარათი. მასისიანი ატყობინებდა, რომ მამასავით მიხარიაო შენი წინსვლა და გისურვებ წარმატებას ორივეს საბედნიეროდ. წერილი მთავრდებოდა თავისი ქება-დიდებით, რომ „იმისი მომზადებული“ მოწაფე ბოლოს „კაცი“ გახდა, და ერთ რჩევას აძლევდა — მიქაელი კარგს იზამს თუ ეასამრჯელოს მეორე ნაწილსაც მასისიანის მოგების ფონდში შეიტანს, რომ სარგებლით გაზრდილი თანხა ჯამაგირთან ერთად მიიღოს და სავაჭრო სახლი გახსნასო.

—ვეღარ მომატყუებ, — ღიმილით წარმოთქვა მიქაელმა, როცა აღას წერილის სტრიქონები წაიკითხა, — უკვე კარგად გიცნობ...

მიქაელს საქმეები მოემატა. ახლა მასისიანის გარდა სხვა ვაჭრების დავალებებსაც ასრულებდა, კვირაში ორჯერ კომერციულ სკო-

ლაში გაკვეთილებს ისმენდა და ხანდახან ფაბრიკა-ქარხნების დასათვალიერებლადაც მიდიოდა წარმოების ორგანიზაციის გაცნობის მიზნით. შინაც დროს კითხვასა და მეცადინეობაში ატარებდა, ამიტომ დასასვენებლად მცირე დროღა რჩებოდა. ეს ყველაფერი იმდენად უცხოდ და უჩვეულოდ მოეჩვენათ ადგილობრივ შურიან ვაჭრებს, რომ მიქაელი ყბად აიღეს და ჭორაობა დაიწყეს. ზოგიერთმა მათგანმა საგანგებოდ წერილებიც კი გაუგზავნა აღას, შენი ნოქარი „ცდომილებათა მორევში“ ჩაეფლოო, მაგრამ აღამ ამ დამბეზღებლების ბოდვას ყურადღება არ მიაქცია, მეტადრე ახალი წლის დასაწყისში წარმოდგენილი საერთო საანგარიშო დავთარის გასინჯვის შემდეგ, სადაც ნახა მსხვილი ციფრი — 5000 მანეთი, რომელიც მასისიანების შემოსავალში მიქაელს კომერციული გარიგებით მიღებული თანხებიდან შეეტანა. მიქაელი აღასაგან წელიწადში 1000 მანეთ ჯამაგირს ღებულობდა და ყველა საქმის შესრულების შემდეგ 5000 მანეთ მოგებას აძლევდა. ამის შემდეგ აბა რატომ არ უნდა ყოფილიყო კმაყოფილი აღა? მით უფრო, რომ მიქაელზე ძალდატანებისა და ზემოქმედების უნარი აღარ შესწევდა, სულ ერთი იყო, ვერაფერს გააწყობდა — მიქაელს უკვე აღასაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა მოეპოვებინა.

მოსკოვში ყველა კუთხიდან იყვნენ ჩასული სომეხი ვაჭრები: — აშტარხანიდან, ახალ-ნახჭევანიდან, თბილისიდან, ყარაბაღიდან, ერევნიდან, აგულისიდან, წარმოიდგინეთ — თავრიზიდანაც კი. ამათ დღის ყველა დროს შეხვდებოდით ბირჟის წინ, დაკეტილიც რომ ყოფილიყო მაშინაც კი. ფანატიკოსი ბრაჰმანივით არ შორდებოდა სომეხი ვაჭარი ამ კომერციულ ტაძარს და განსაკუთრებით სიამოვნებდა, ტაძრის დაკეტილ კარებს რომ უმზერდა. მიუხედავად ამისა, მიქაელს ჩვევად არა ჰქონდა შუადღის შემდეგ აქ გამოჩენა, რასაც სომეხი ვაჭრები იმის ამპარტავნობას მიაწერდნენ. საერთოდ მიქაელი გაურბოდა ამ მოლაყბე და ქარაფშუტა საზოგადოებას, რომელიც ვიწრო ვაჭრულ ნაჭუჭში ჩაკეტილი, გართული იყო უკბილო ჭორაობით, ქილიკაობით, სხვების გაკიცხვით, და მათზე საზიზღარი ცილისწამების გავრცელებით. სომეხ ვაჭარს იმდენი შნო და უნარი არ შესწევს, რომ საქმის დროს საქმე აკეთოს, დასვენების დროს დაისვენოს, ხოლო თავისუფალ დროს რაიმე შეისწავლოს. გარდა თავისი ვაჭრობისა მას სხვა არაფერი აინტერესებს. გარდა თავის სომხური ვიწრო წრისა იგი უცხო საზოგადოებას არა სცნობს. აი ეს არის მიზეზი, რომ იგი მუდამ ცალმხრივია, უხეში, უსწავლელი, და სადაც უნდა წავიდეს, იქიდან სამშობლოში ბრუნდება ისეთივე

სულისკვეთებით, ისეთივე ბუნებით, ისეთივე გულით, როგორიც იყო სამშობლოს გარეთ გასვლისას.

როგორც სხვაგან, ისე მოსკოვში თავმოყრილ ერთი მხარის სომეხ ვაჭრებს სძულდათ არა მარტო უცხოელი ვაჭრები, არამედ — თავიანთი ქვეყნის ზოგიერთი კუთხის, ან ქალაქის ვაჭრებიც კი. მაგალითად: ყარაბაღელს ეჯავრებოდა ზოკი, ზოკს — თბილისელი. ქალაქის ვაჭრებიც აბუჩად იგდებდნენ ერთიმეორეს. მაგალითად, ერთ აშტრახანელ სომეხს მეორე აშტრახანელი ვერ აეტანა. ისინი არაფერს იშურებდნენ, ოღონდ თავიანთი ამხანაგებისათვის რაიმე ზიანი მიეყენებინათ. ხშირად მზად იყვნენ თვითონ 20 კაპიკი ეზარალათ, ოღონდ სხვებს 10 კაპიკის ზარალი ენახათ. იოტისოდენა გულწრფელობა არ არსებობდა მათ შორის, ისინი ერთმანეთს ატყუებდნენ, აბეზღებდნენ, პირმოთნეობდნენ. უშინაარსო ცხოვრებას, უსაქმურობას, ისინი გადაექცია ერთმანეთის გამჭირდავ მოლაყბეებად.

ვთქვათ, მიხვედით ბირჟასთან, აქ თქვენ ნახავთ სომეხი ვაჭრების ერთ ჯგუფს, ამათგან ზოგს ევროპული ტანსაცმელი აცვია, ზოგსაც — აზიური, ისინი ხმამაღლა ლაპარაკობენ, იცინიან, ხარხარებენ, არავის ანგარიშს არ უწევენ, ფიქრად არ მოსდით, რომ ასე მოქცევა მოედანზე დაუშვებელია. ისინი ერთმანეთს უამბობენ ათასნაირ ანეგდოტებს ან სხვადასხვა შემთხვევებს და აშკარად ავლენენ თავიანთ სადაურობას.

— „ცით? ერთხელ, „ბზობა დღეს“ ეკლესიაში წავედით, — ჰყვება ერთი გაიძვერა, ელამი ზოკი, — როცა ლოცვა დამთავრდა, ეკლესიის ეზოში გამოვედით და ქალებს დავუწყეთ ცქერა. ერთიც ვნახოთ, ზოკები ყარაბაღელ ბატონ ნ...ს შემოეხვივნენ, ხელი ჩამოართვეს და ერთხმად შესძახეს: „უქმე დღე მოგვილოციაო“. ყარაბაღელი გაოცებით შეეკითხა, — რის უქმე, რა უქმე! ამ დღეს ჩემთან რა ხელი აქვსო? — როგორ თუ რა ხელი? — მიუგო ერთმა ზოკმა, — ამ დღეს ხომ იესო ქრისტე ვირზე იჯდა და ისე შევიდა იერუსალიმში?“

ყველამ სიცილ-ხარხარი ატეხა ზოკის სულელურ ოხუნჯობაზე, თურმე ყარაბაღელებს ზედმეტ სახელად „ვირებს“ ეძახიან და რაკი ქრისტე ვირზე მჯდარი შევიდა იერუსალიმში, მაშასადამე, თქვენი დღესასწაულიც არისო.

— სცდებით, — გამოეპასუხა გულნაწყენი ყარაბაღელი, — ეგ სახელი ცილისწამებით შეგვარქვეს ჩვენ; სომხებში ყველაზე ჭკვიანი ყარაბაღის ხალხია. მართალია, ისინი ზოკებივით ეშმაკები არ

არიან. მაგრამ ზოგჯერ ეშმაკი ორივე ფეხით ვარდება ხაფანგში. აბა ყური დამიგდეთ, ერთი ზოკის ამბავს მოგიყვებით.

— ჭვიამბე, გვიამბე, — შესძახეს აქეთ-იქიდან.

—ერთხელ ერთი ზოკი ერთ რუსს 100 ბარდანა ბამბას ასყიდებდა, — დაიწყო ყარაბაღელმა, — მუშტარს რომ აჩვენებდა საქონელს, ზოკმა რამდენიმე ბარდანა გახსნა, რომლებშიც, რასაკვირველია, კარგი ხარისხის ბამბა ეყარა. მეორე ზოკმა, ჩვეულებისამებრ, დააბეზღა ამხანაგი, მუშტარს გაუმხილა, ყველა ბარდანაში ასეთი ბამბა როდი ყრიაო. მუშტარი იძულებული გახდა ბარდნები შეემოწმებინა. ღმერთო ჩემო, რას იტყვით, რომ არ ეყარა იმ ბარდანებში—გაცვეთილი ცოცხები, ხის დამტვრეული კოვზები, ძველი ქოშები, ფალასები, ერთ ბარდანაში სახედრის ძველი თაქალთო ჩაედოთ. რუსმა ეს რომ დაინახა, ვეღარ მოითმინა, მიუბრუნდა ზოკს და უთხრა: „ეგ ალბათ მამათქვენის პალტოაო"... ზოკმა გაუწითლებლად მიუგო: Мая атец большой кухни син (უნდოდა ეთქვა, მამაჩემი დიდი ოჯახის შვილიაო), если он ешак бл, мне такой товар не бл. (ესე იგი—ის რომ ვირი ყოფილიყო, მე ამდენი საქონელი არ მექნებოდაო).

ყარაბაღელის ნაამბობზე ზოკებმა ყურები ჩამოყარეს, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ, — ამბობდნენ, ჩვენი თანამემამულის საქციელი ჭკვიანურიაო, მართალია ვირის თაქალთო არაფერი ღირს, მაგრამ რუსი რომ მოეტყუებინა და ბამბის ნაცვლად შეეჩეჩებინა. კარგ მოგებას ნახავდაო, თანაც დაუძენდნენ, რომ ზედმეტი სახელი „ვირი" ყარაბაღელებზე ზედგამოჭრილიაო, და დამამტკიცებელ საბუთად შემდეგ ანეგდოტებს მოჰყვნენ.

— ერთხელ, დიდი სეტყვის დროს, — დაიწყო ერთმა ზოკმა, — ყარაბაღში გლეხებმა თავი მოიყარეს და თქვეს, ჩვენი ყანები ხომ იღუპება და იღუპება, მოდით მამასახლისის ყანა მაინც გადავარჩინოთო. ყველანი შებრუნებულან სახლებში, გამოუტანიათ ზოგს ფალასი, ზოგს ფარდაგი, საბნები, ნაბდები და მამასახლისის ყანისაკენ გაქცეულან. შესეულ ხალხს თავთავები ერთიანად გადაუთელია, მიწასთან გაუსწორებია. განა ეს ვირობა არ არის? — შეეკითხა ზოკი ყარაბაღელს.

— მაგრამ, ის რაღად გავიწყდებათ, — შეეპასუხა ყარაბაღელი, — რომ ზოკი ყველს ქილაში ჩადებს, პურს გარედან უსვამს, ისე შიექცევა და ჰგონია, ყველსა და პურს ვჭამო? ერთხელ შვილი მამასთან მივიდა. დუქნის კარები დაკეტილი დაუხვდა. ბავშვმა ლური აუსვა კარებს და ჭამა დაიწყო. ამ დროს მამამ მიესწრო. „რასა შვრები", — შეეკითხა მამა. — „ყველსა

ვჭამო“. — მიუგო შვილმა, „შე არამზადა, ჩემს მოსვლამდე ვერ მოითმინე? ალბათ ყველს ერთიანად მოუთავე ხელიო“, უსაყვედურა და შვილს ცემა დაუწყო.

შემდეგ მოჰყვნენ იმ ზღაპარს, რომელშიც მოთხრობილია გლეხების მიერ „ყაურმის“ დათესვის ამბავი. გლეხებს დაეთესათ „ყაურმა“ იმ ვარაუდით, რომ თავთავების მაგივრად ცხვრების ყანას მომკიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ გასასინჯად რომ მისულიყვნენ, ენახათ ყაურმას ჭიანჭველა დახვეოდა. ამის დანახვაზე გლეხები სიხარულით ცას სწევიან თურმე. — პატარები რომ ამდენია, როცა გაიზრდებიან, მაშინ ხომ მთელი ფარა ცხვარი გვეყოლებაო.

უეცრად საუბარში ერთი აშტრახანელი ჩაერია.

— შინ ხმას ნუ იღებ, — ეაჩუმება დაუწყეს მას, — აშტრახანელი რომ ალაპარაკდება, მაშინვე აურ-ზაური ატყდებაო, „პრაშენია“ დაწერილი უდევს ყბებშიო. ერთხელ ერთმა აშტრახანელმა ფულით სავსე კონვერტი იპოვა: „თფუ, — თქვა მან, — საჩხუბარი ფურცლები მეგონაო“.

ახალ-ნახჭევანელი აშტრახანელს გამოესარჩლა.

—თქვენ ორივე, ერთი ღვიძლი მამის შვილები ხართ,—გააჩუმეს ისიც, — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აშტრახანელი მთლად გარუსებულია, ხოლო ახალ-ნახჭევანელი ჯერ არც რუსი და არც თათარიაო. პაექრობაში ახლა თბილისელი ჩაერია.

მასაც ბურთი ჩასჩარეს პირში და ასეთ ამბავს მოჰყვნენ: ერთ თბილისელს კონსტანტინოპოლში წითელი ლობიოს ჭამა მოუნდაო. ამხანაგებმა გამასხრების მიზნით, თეთრი ლობიო იყიდეს, წითლად შეღებეს და ისე მიართვესო. ლობიომ ადუღებულ წყალში საღებავი დაკარგა. მეორე დღეს თბილისელმა თავის ცოლს მისწერა: „აქაური წითელი ლობიო ძალზე ცუდია, ჩაადგამ თუ არა, უმალვე თეთრდებაო“.

ასეთი სულელური ოხუნჯობით ერთობოდნენ სომეხი ვაჭრები როცა შუადღის შემდეგ შეგროვდებოდნენ ხოლმე ბირჟასთან, ასეთ უშინაარსო ლაქლაქში ჰკლავდნენ დროს. ერთადერთი კაცი, რომელიც არა ჩანდა მათ შორის, მიქაელი იყო.

დ

მოსკოვში მყოფ სომეხ ვაჭრებს შორს უჭირავთ თავი სომეხი სტუდენტებისაგან, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია ამ ქალაქში. ამათგან მეგობრებსა და ნათესავებსაც კი ახლოს არ იკარებენ. ვაჭრები სიძულვილით უყურებენ სტუდენტების მხიარულს და დარ-

დიმანდულ საზოგადოებას — ისინი ბევრჯერ სესხულობენ ფულს და აღარ აბრუნებენო. ამ ვაჭრებში მხოლოდ მიქაელი იყო გამონაკლისი, რომელიც სტეფანეს საშუალებით იცნობდა სტუდენტებს და მათთან ურთიერთობაც ჰქონდა. თუ იქ, სოფელში, მიქაელის ბიძას — ავეტას ჰქონდა გავარდნილი სახელი და გლეხობა პატივს სცემდა — „ძია ავეტას“ ეძახდა, აქ, მოსკოვში, ასეთივე პატივისცემით სარგებლობდა მიქაელი სტუდენტებში და მასაც „ძია მიქაელს“ ეძახდნენ. როცა საჭირო იყო საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენის ჩატარება, ანდა ღარიბი, ან ავადმყოფ სტუდენტისთვის ფულის შეგროვება, — სტუდენტები მაშინვე მიქაელს გაიხსენებდნენ — მივმართოთ „ძიას“, ის ვაჭრებს რაღაცას წაგლეჯავსო.

ერთ საღამოს მიქაელის პატარა ოთახი უჩვეულოდ გამოცოცხლდა, აქ თავი მოეყარა რამდენიმე ახალგაზრდა ვაჭარს, თამბაქოს ეწაჩებოდნენ და საუბრობდნენ. ლამპის მკრთალი შუქი ძლივს ანათებდა პატარა ოთახს, სადაც ბურუსივით დაცურავდა კვამლი და სამოვრისაგან ავარდნილი ორთქლი. სამოვარი მაგიდაზე იდგა და თუხთუხებდა. მიქაელი ფინჯნებში ასხამდა ჩაის და სტუმრებს სთავაზობდა.

—რაც გინდა თქვი, შენთან მუდამ მოწყენილობაა, — უსაყვედურა ერთ-ერთმა სტუმარმა მიქაელს.

— რათა? — ღიმილით შეეკითხა მასპინძელი.

— იმიტომ რომ არც ბანქოა, არც ნარდი, ერთი სიტყვით, ვერაფრით შეუქცევია თავი კაცს.

— ითამაშეთ, ვინ დაგიშალათ?

— როგორ ვითამაშოთ, როცა შენ თავს არიდებ?

— მეც ვითამაშებ.

— მხოლოდ ფულზე. ჩვენ უფულოდ არა ვთამაშობთ.

— ისიც დიდ თანხაზე, — ჩაერია სტუმართაგან სხვა.

— რაღა მაინცდამაინც დიდ თანხაზე უნდა ვითამაშოთ, თუ თავის შექცევა გვინდა? — მიუგო მიქაელმა.

— რას მიქვია თავის შექცევა? — წყენით დასძინა პირველმა, — ჩვენთან ყოველ ღამე ათასებზე თამაშობენ...

კარები გაიღო, — ლაპარაკი შეწყდა, ერთმა ჭაბუკმა, რომელიც ზღურბლზე გაჩერდა, თავის ამხანაგებს გასძახა:

— შემოდით, აქ ბევრნი არიან... ძლივს ვიპოვეთ... — ოთახში შემოვიდა სამი სტუდენტი, ერთმა მათგანმა მაგიდაზე დადო ქაღალდის ფურცელი და მიქაელის სტუმრებს აღტაცებით მიმართა:—ბატონებო, ვაგროვებთ შეწირულებას ისეთი კეთილი საქმისათვის, რისთვისაც არც ერთი სომეხი, რომლის გულშიც დარჩე-

ნილა გრძნობის ერთი წვეთი მაინც ოსმალეთში მცხოვრები ჩვენი ძმების, მათი საშინელი ტანჯვა-ვაების მიმართ, არ დაზოგავს თავის დახმარებას, ამიტომ გთხოვთ, გაიღოთ მოწყალება და ხელი მოაწეროთ მაგ ქაღალდს.

თითქოს თავზე ცივი წყალი გადაასხესო, ისეთ ხასიათზე დადგნენ ვაჭრები.

— ოჰ, ზაჰლა წაიღეს თავიანთი ხელის მოწერებით... — თქვა ერთმა მათგანმა და პირი იბრუნა.

— სად ჩვენ!.. სად ოსმალეთი! — ზიზღით ჩაილაპარაკა მეორემ, — ჩვენ ჩვენი ბავშვებისთვის ვერ გაგვიწევია პატრონობა.

— ხელის მოწერა რაღად გინდათ? — იკითხა ერთმა და ეჭვის თვალით გადახედა ქაღალდს.

სტუდენტები სახტად დარჩნენ.

— თქვენთვის სულ ერთია რისთვისაა საჭირო, — მიუგო ერთმა სტუდენტმა გაბოროტებული ხმით, — რაკი ასე ცივად მიიღეთ ჩვენი წინადადება, მგონი ამის ცოდნაც ზედმეტია.

მიქაელი დუმდა — მისთვის სტუმრების გულგრილობა გასაგები იყო. სტუდენტები წავიდნენ. მიქაელი გასაცილებლად გაჰყვა.

— აჰა, ესეც ჩვენი ფულიანი ხალხი! — ჩვენი მატერიალური ძლიერების ბურჯები!

— რა იმედი შეიძლება ჰქონდეს კაცს მაგ უგულო მკვდარი სულებისა?... — თქვა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

— ფუ, ეშმაკმა შეგაჩვენოთ...

ამასობაში კიბეს მიაღწიეს, რომლითაც ქვემოთ უნდა ჩასულიყვნენ, მთავარ შემოსასვლელთან. მიქაელი შეეკითხა:

— რა მიზნით ტარდება ხელისმოწერა?

სტუდენტები დაიბნენ, ისინი შინაგანმა მღელვარებამ მოიცვა. წამიერი მდუმარების შემდეგ ერთმა მათგანმა უპასუხა:

— ეგ საიდუმლოებაა... მაგრამ თქვენ არ დაგიმალავთ... ჩვენი კაცი ხართ, ალბათ იცით, რომ კ. პოლისის საპატრიარქოს ერთი წარმომადგენელი ამჟამად პეტერბურგში იმყოფება, მეორე კი ლონდონშია, ოსმალეთის სომხების საკითხი ბეწვზე ჰკიდია. უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენ გადავწყვიტეთ ერთი ახალგაზრდა მივავლინოთ საზღვარგარეთ იქაურ პრესაში პროპაგანდის გასაწევად.

— მიქაელს სახე გაუბრწყინდა.

— ეგ ძალიან კარგი აზრია, — თქვა მან, — ვის აგზავნით?

— თქვენს მეგობარს, ბატონ სტეფანე. მასისიანს.

— მიკვირს, რომ ამის შესახებ ჩემთან კრინტი არ დაუძრავს.

— ძალზე გულჩათხრობილი კაცია. იმას უხდოდა, როცა წავიდოდა მაშინ გაგეგოთ.

— ეგ სულ ერთია, — ჩაილაპარაკა მიქაელმა, — გადაეცით სტეფანეს ჩემთან შემოიაროს, მის გასამგზავრებელ ხარჯებს მე ვკისრულობ.

სტუდენტებმა ხელი ჩამოართვეს მიქაელს და წავიდნენ. მიქაელი დაბრუნდა სტუმრებთან. არაფერი უთქვამს, მაგრამ როცა დაინახა, რომ ისინი კვლავ განაგრძობდნენ სტუდენტების გაკიცხვას და მათი წამოწყების აბუჩად აგდებას, ძალიან ეწყინა.

— ჩანს, ჯიბის სახარჯო შემოლევიათ, — თქვა ერთმა.

— თვითონ შიმშილისაგან ლამის სული გასძვრეთ და სხვებისათვის ეწევიან დარდს, — დასძინა მეორემ.

— მოსვენება აღარა გვაქვს მაგ მათხოვრებისაგან, — დაუმატა მესამემ, — ამასწინათაც მოიტანეს რაღაც ქაღალდი — გაიღეთ მოწყალება ალაშკერტელი ლტოლვილების სასარგებლოდო. ამის გაგონებაზე ჰოპოპები მომივიდა და შევუტიე: „ტო, მომშორდით, თქვენი... ალაშკერტელებისაც“...

მიქაელს მოთმინების ფიალა აევსო.

— საწ გაგონილა ეროვნული საქმის ასე აბუჩად აგდება! — გაბოროტებული ხმით მიახალა მიქაელმა, — ერის ყოველი წევრი უნდა შეძლებისდაგვარად ეხმარებოდეს საზოგადოებას. ჩვენ ფულიანი ხალხი ვართ, მაშასადამე, ფულით უნდა დავეხმაროთ, იმათ (სტუდენტებს) ჭკუა და ცოდნა აქვთ, ისინი სიტყვით უნდა დაგვეხმარონ, ვინც გულადია, იმან მუშტი უნდა გაიღოს — ყოველი სომეხი თუ ასე თავს გამოიდებს მაშინ ოსმალეთის სომხობა თავისუფლად ამოისუნთქავს...

— კარგი, კარგი, — სიტყვა შეაწყვეტინა ერთმა სტუმართაგანმა, — მოეშვი, თუ ღმერთი გწამს, მაგ ეროვნულ საქმეებს, უკეთესია ჩვენს საქმეზე ვიფიქროთ. მოიტათ ბანქო.

— მე, მართალი რომ გითხრათ, ბანქოს თამაშის ხასიათზე აღარა ვარ, — უპასუხა მიქაელმა.

— შენი სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ადექით და წადითო. ჩვენ აქ ქადაგების მოსასმენად როდი მოვსულვართ, — ჩაილაპარაკა ერთმა სტუმართაგანმა და წამოდგა.

— თუ ჩემმა სახლმა მოგაწყინათ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ, ძალით არავის გაჩერებთ.

სტუმრები უკმაყოფილონი წავიდნენ. მიქაელთან დარჩა მხოლოდ ორი ახალგაზრდა ვაჭარი. არც ამათ გაეგებოდათ ბევრი არაფერი, მაგრამ ძველი პატრიარქალური მორიდებულობისა და მოკრძალ-

ების ვაჟი უფროსეობა ყიბაალიდეგ ბეის ამოლეთა ვეო გაიედეს და ჩუმად ისხდნენ. როცა მიქაელთან მარტო დარჩნენ, ენა გაეხსნათ.

— რა უგულო, გულცივი ხალხია, — დაიწყო ერთმა, — რაშიც სარგებლობას ვერა ხედავენ, არაფერი აინტერესებთ. ერი, მშობლიური ხალხი და საერთოდ კაცობრიობა მათთვის არარაობაა, თუ რაიმე გამორჩენას ვერა ხედავენ. ეგენი ყველას და ყველაფერს ცაკრული თვალით უყურებენ.

ბოლმით სავსე მიქაელი, რომელიც სავარძელზე გადაწოლილიყო, გულმოსული წამოხტა და გულფიცხად მიუგო:

— ნეტავი იმდენი მაინც ესმოდეთ, რომ წესიერი ვაჭრებივით მოიქცნენ. გარწმუნებთ, ეგეც არ ესმით. ძველი თაობის ვაჭარი უკეთესად უძღვებოდა საქმეს, ვიდრე ახალი, რომელიც ძველისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რო მამაპაპური აზიური ფაფახის ნაცვლად ევროპული შლიაპა დაუხურავს იმ თავზე, რომელსაც ევროპიელობისა არაფერი აცხია. მართალია, ძველი თაობა უვიცი იყო, ძალიან ვიწრო წარმოდგენა ჰქონდა ვაჭრობაზე, მაგრამ ასეთი თავხედი მაინც არ იყო, რომ თავისზე უფრო გამოცდილ ერებთან ევაჭრა. ის არჩევდა ისეთ უვიც და გამოუცდელ ხალხებს, რომლებსაც ადვილად მოატყუებდა. ახალ თაობას კი ეს სიფრთხილეც არ გააჩნია და მიუხედავად უვიცობისა, ვაჭრობას ეწევა გამოცდილ და განათლებულ ერებთან, (ნეტავი რითი შეუძლიათ მეტოქეობის გაწევა!) რის გამო მუდამ ტყუვდება და ზარალს ზარალზე განიცდის. ავიწყდება, რომ მას საქმე აქვს ევროპიელთან, რომლის ეშმაკობას არ იცნობს და წინასწარ არაფერი გაუგონია მასზე.

მიქაელის მსჯელობა მკაცრი ეჩვენათ ახალგაზრდა ვაჭრებს და ერთ-ერთმა მათგანმა დასძინა:

— ყველა მასეთი არ არის, არიან გამონაკლისები...

— გამონაკლისები ძალზე უმნიშვნელოა. თუ სომხებს ჯერ კიდევ შემორჩენიათ სიმდიდრე, ეგ მეტ წილად მამა-პაპების მოგებული ქონებაა, შვილებს კი მამების დატოვებული სიმდიდრის მოვლა-პატრონობა არ შეუძლიათ. მე სათითაოდ ჩამოგითვლით, ამ რამდენიმე წლის განმავლობაში რამდენი სავაჭრო სახლი გაკოტრდა, და ეს პროცესი უფრო მალე და სწრაფად ხდებოდა, როცა შვილები უფრო განათლებულ ხალხთან ეწეოდნენ ვაჭრობას. მაგალითად, თითქმის განადგურდნენ ის სომეხი ვაჭრები, რომლებმაც ვაჭრობა დაიწყეს მარსელსა და მანჩესტერთან, მხოლოდ რუსეთში გააქვთ თავი ასე თუ ისე, და, შეიძლება თამამად ითქვას, მოგებასაც ილე-

ბენ, რადგან რუსი ვაჭრის შეგნებულობის დონე სომეხი ვაჭრისას ბევრად არ აღემატება და ზოგჯერ დაბალიც არის.

მიქაელის მოსაუბრენი ღრმა ფიქრებს მისცემოდნენ, მათ პირველად ეჩმოდათ ასეთი ახალი აზრები.

— საერთოდ ჩვენ გვაკლია ის, რასაც ვაჭრობის მცოდნეობა ეწოდება, — განაგრძო მიქაელმა. — ჩვენში რაიმე საავაჭრო წამოწყება წინასწარ დაგეგმილი და გააზრებული როდია, არამედ ერთიმეორის წაბაძვით ეწევიან ვაჭრობას. მაგალითად, ვთქვათ, ერთი ბამბასა ყიდულობს, მაშინ მეორენიც ყიდულობენ ბამბას ყოველგვარი წინასწარი ანგარიშიანობის გარეშე. ანდა, ერთი იწყებს აბრეშუმის შესყიდვას, მალე ვაჭრების უმრავლესობაც აბრეშუმით იწყებს ვაჭრობას. ამ ბატონებს თუ შეეკითხებით, რათა ყიდულობთ, სად აპირებთ გაგზავნასო, ისინი ასეთ პასუხს მოგცემენ „კირაკოსა და მარკოსი რაკი ყიდულობენ, ჩვენც უნდა ვიყიდოთ, იმათზე ნაკლები რითა ვართო?“

— ეგ კი მართალია.

— ერთი რამ, რაც მამებისგან მემკვიდრეობით მიიღეს და ცხოვრებაში ატარებენ — ეს მოტყუებაა. ვაჭრობა უფრო მაშინ ეცემა, როცა მოტყუება მთავარი პირობა ხდება. ამჟამად როგორც ევროპის, ისე რუსეთის ბაზრებზე ჩვენი ქვეყნის საქონელს სახელი აქვს გატეხილი, რადგან ბამბაში, მატყლში და თქვენ წარმოიდგინეთ აბრეშუმშიც კი, რას იტყვი, რომ არ ურევენ. ამიტომ არავინ აღარ გვენდობა. ჩვენს საქონელს შეუმოწმებლად აღარავინ ყიდულობს, ევროპისას კი — ერთი პატარა ნიმუშის გასინჯვის შემდეგ, მთელ შეკრულ ცალებს ყიდულობენ და მთელი საქონელი ისეთივე ხარისხისაა, როგორსაც უჩვენებენ.

მიქაელი დიდხანს ლაპარაკობდა ვაჭრული თაღლითობის ფანდებზე და ამზეურებდა მახინჯ მხარეებს, რომლებითაც დაავადებული იყვნენ სომეხი ვაჭრები ამჟამად, თან დასძენდა, რომ სომეხი ვაჭრებისათვის დამახასიათებელი სიბინძურე მთელ სომეხ ერზე ვრცელდებაო, იმიტომ, რომ, უცხო ერი ჩვენს ხალხს ამ ვაჭრების სახით ეცნობა და რამდენიმე არამზადას გამო სახელი უტყდება მთელ ერს, რომლის დიდი უმრავლესობა საქებური ზნე-ჩვეულების მიმდევარი კეთილი ხალხი—ხელოსნები და გლეხები არიანო.

— ახლა თქვენ თვითონ მიხვდით, რა სიკეთეს უნდა მოელოდეს კაცი მაგ გახრწნილი, გათახსირებული ვაჭრების საზოგადოებისაგან, რომლისთვის არავითარი სიწმინდე არ არსებობს! — დაუმატა მან, — აი სწორედ ამიტომ გვიკვირს და ჩვენს გულისწყრომას იწვევს, რო-

ცა ვხედავთ სომეხი ვაჭრების უსულგულობას ოსმალეთში მაჰმადიანთა უღელქვეშ მგმინავ თანამოძმეთა ტანჯვა-წამების მიმართ.

შუაღამე კაი ხნის გადასული იყო, როცა ორი სტუმარიც წავიდა და მიქაელი მარტო დარჩა. უნდოდა მაშინვე დაწოლილიყო, დავიძინებო, მაგრამ ვერ მოახერხა, იდუმალმა სულიერმა შფოთვამ აიტანა, მოსვენებას არ აძლევდა. თავის პატარა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. ამ წუთებში მისი გონება სტეფანეზე ფიქრით იყო გართული. ამ მგზნებარე და გულჩათხრობილ ჭაბუკს დიდი საპასუხისმგებლო საქმე უკისრია, რისთვისაც მიქაელი, რასაკვირველია, ემადლიერება, მაგრამ, რატომ დაუმალა მას? რაშია საქმე? ნუთუ არ ენდობა? ნუთუ მიქაელი ღირსი არ არის იმისი მეგობრობისა? „არა, არა, ის მხოლოდ ამაყია, მეტისმეტად ამაყი! ამიტომ გაურბის დამხმარე ხელს, ისევე, როგორც გაურბიან ხოლმე გველს... მაგრამ ნუთუ ჩემს მიმართაც ისეთია?! თუ ასეა — საწყენია“...

ე

ის ბინა, სადაც ცხოვრობდა მიქაელი, ორი ოთახისაგან შესდგებოდა, თავისი სათავსოებით. ერთ ოთახში ცხოვრობდა ღარიბი გერმანელის ოჯახი, მეორეში კი—მიქაელი. ამ ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ ოჯახზე მზრუნველობა განსვენებულის ქვრივს დასწოლოდა. დედას მხარში ედგა შრომისმოყვარე გოგონა იდა. ამათ, გარდა თავის თავზე ფიქრისა, უნდა ერჩინათ აგრეთვე ორი პატარა ბავშვი. ოჯახის მამა პროფესიით მკერავი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ სახელოსნოს მთელი ქონება ვალებში გაიყიდა. ამჟამად იდა ვიღაც ფრანგის მაღაზიიდან იღებდა შეკვეთებს და დედასთან ერთად კერავდა. მიქაელი, როგორც მდგმური, დიდ დახმარებას უწევდა ამ ოჯახს, რისთვისაც დედა-შვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მიქაელს, კვებასა და მომსახურებას არ აკლებდნენ.

ერთ დილას მიქაელი საწერ მაგიდას მისჯდომოდა, სასწრაფო წერილებსა წერდა ფოსტაში გასაგზავნად, იდამ ყავა შემოუტანა, დაუდგა პატარა მრგვალ მაგიდაზე და შეეკითხა:

— თქვენ მალე წახვალთ?

— რად მეკითხებით?

— მინდოდა თქვენი ოთახი დამელაგებინა. მერე დრო არ მექნება.

— კიდევ ხუთი-ექვსი წერილი უნდა დავწერო, — უპასუხა მიქაელმა და წერა განაგრძო, — გააკეთეთ რაც გსურთ.

— ვაი თუ ხელი შეგეშალოთ მუშაობაში.

— არა, პირიქით...

იდა მაღალი, მოხდენილი ქალიშვილი იყო, მსხვილი წაბლისფერი ნაწნავები და მიმზიდველი სანდომიანი პირისახე ჰქონდა, იმის ლურჯ თვალებში ციური სილამაზე, ეშხი და მშვენიერება გამოკრთოდა. ამ დილას იგი ჩვეულებრივზე უფრო მხიარულ გუნებაგანწყობაზე იყო და მიუხედავად იმისა, რომ, მიქაელი თავაუღებლად მუშაობდა, ხშირად აწყვეტინებდა სხვადასხვა კითხვების მიცემით.

— ოჰ, როგორი დაუდევარი ხართ, არაფერი არ არის თავის ადგილზე, ყველაფერი იატაკზეა მიმოფანტული, — ლაპარაკობდა ლამაზი ქალიშვილი და თან სწმენდდა და წესრიგში მოჰყავდა ოთახი.

— ალბათ ბევრ დროს გართმევთ ჩემი ოთახის დალაგება, იდა, ამიერიდან ვეცდები მეტად დავიცვა სისუფთავე, — ღიმილით უპასუხა მიქაელმა.

— არა, მე დროს დაკარგვის გამო როდი ვწუხვარ, მინდა თქვენს ოთახში მუდამ სისუფთავე და წესრიგი სუფევდეს, — მიუგო ქალიშვილმა და სახეზე ვარდისფერმა გადაკრა.

— თქვენ ძალზე კეთილი ხართ, იდა.

ქალიშვილმა დაამთავრა სამუშაო, მიუახლოვდა მიქაელს, მხარზე ხელი დაადო და ოდნავ თავდახრილმა, ყურადღებით გააყოლა თვალი სტრიქონებს საფოსტო ქაღალდზე, რომელზედაც წრიპინი გაჰქონდა მიქაელის კალამს.

— როგორი მიბრეცილ-მობრეცილი ასოებია, — თქვა მან, ადგილზე შეირხა და ლამაზი თავი დახარა მაგიდაზე დადებულ ერთ-ერთ დამთავრებულ წერილზე, — ყოველდღე რამდენ წერილსა წერთ?

— ზოგჯერ ათს და ზოგჯერ მეტსაც.

— და მაგის გამო მთელი ღამე არ გძინავთ?

— თქვენ რა იცით?

— ვიცი... ხშირად შემინიშნავს — თქვენს ოთახში სინათლე ანთია და ფეხის ხმაც მსმენია. მეც ძალიან ცოტა მძინავს...

მიქაელმა არაფერი უპასუხა. ქალიშვილმა, თითქოს თავს იმართლებსო თავის გულუბრყვილო შენიშვნის გამო, ერთ-ერთი წერილი აიღო და თქვა:

— ვერაფერს ვარჩევ, არც ერთი ერის ასოებს არა ჰგავს, მაგრამ ლამაზია. დიდი სიამოვნებით შევისწავლიდი თქვენს ენას და ასოებს, თქვენ რომ წერთ.

—თქვენ რაში გამოგადგებათ?

— ვინ იცის, იქნება ერთ დღეს გამომადგეს... — უპასუხა ქა-

ლიშვილმა და გაღიძებული გავარდა ოთახიდან, უკან აღარ მოუხედია, თითქოს შერცხვაო თავისი სიტყვებისა და დამნაშავესავით შეეცადა მალე განშორებოდა.

მიქაელმა რამდენიმე წუთით შეწყვიტა წერა, გამოუცნობმა სულიერმა მოუსვენრობამ აიტანა იგი. „საბრალო გოგონა“... გაიფიქრა იდუმალი გულისწუხილით, „მე რით შემიძლია გაგიქარვო გულის დარდი“... მიქაელს კარგა ხანია შენიშნული ჰქონდა, რომ იდა ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს, ღამეებს უძილოდ ატარებდა; როცა თვითონ მუშაობდა ოთახში, ხშირად ფანჯრიდან უყურებდა, ეძინა თუ არა მდგმურს? მიქაელი ყველაფერ ამას მიაწერდა ლამაზი გოგონას ცნობისმოყვარეობას — მას ერთნაირად აინტერესებს როგორც ჩემი ცხოვრება, ისე დედის კარადაში ჩაკეტილი ნივთებიო — ფიქრობდა მიქაელი, მაგრამ დღეს რომ ქალიშვილმა თავის გულის საიდუმლო გასცა, ამას მიქაელი სულ არ მოელოდა. ქალიშვილს თურმე მიქაელის მშობლიური ენისა და ასოების შესწავლა სდომებია იმ მიზნით, რომ „იქნება ერთ დღეს გამომადგესო“... იდა არა ხუმრობდა, მას ძალიან ფხიზელი ჭკუა-გონება ჰქონდა. ის ფიქრობდა სომხური ენისა და დამწერლობის შესწავლას ერთი სომეხი ვაჟის შეყვარების მიზნით. მერე და, ვინ იყო ის სომეხი? მიქაელი, დიახ, იდას მიქაელი უყვარდა. მაგრამ რა პასუხი უნდა გაეცა იდასთვის იმას, — მიქაელს?.. აი ფიქრი, რომელმაც სათავე დაუდო მიქაელის ტანჯვას.

მიქაელი თავის გულში ეძებდა და ვერ პოულობდა მასზე შეყვარებული ამ მშვენიერი ქალიშვილის საპასუხო საზიარო გრძნობას, იგი მხოლოდ პატივსა სცემდა მას, როგორც შრომისმოყვარე და პატიოსან ქალიშვილს, რომელსაც ზურგზე წამოუკიდია გაუბედურებულ ოჯახზე მზრუნველობის ტვირთი: დიახ, მიქაელს შეეძლო მხოლოდ ასე მოპყრობოდა ამ ქალიშვილს, არც მეტი და არც ნაკლები. მაგრამ იქნებ შეჰყვარებოდა კიდეც? საეჭვოა.

მიქაელს თვითონაც არ გაუგია, როგორ დაამთავრა წერილების წერა, საჩქაროდ ჩააწყო კონვერტებში, დაბეჭდა და ის იყო ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ მოულოდნელად სტეფანე ესტუმრა. იგი ჩვეულებისამებრ ცივად მიესალმა მიქაელს, ხელი ჩამოართვა და სავარძელში მოთავსდა.

— მე შენთან ფრიად საჭირო საქმის გამო მოვედი, — მილეული ხმით უთხრა მან.

— ვიცი, — უპასუხა მიქაელმა, — ჩემთვის უკვე ცნობილია ყველაფერი. შენ ჩემგან მიიღებ იმდენს, რამდენიც დაგჭირდება, საზღვარგარეთ მოგზაურობისათვის.

— ეგ არა, — წყნარად მიუგო სტეფანემ, — წაიკითხე ეს დეპეშა.

მიქაელმა წაიკითხა დეპეშა, რომელიც ოც სტრიქონზე მეტს შეიცავდა და გაფითრდა. დეპეშა სტეფანეს სახელზე გამოეგზავნათ და ასეთი შინაარსისა იყო: „უეცარი დამბლით გარდაიცვალა მამაშენი. იჩქარე, სასწრაფოდ ჩამოდი. იმისი საქმეები ძალიან არეულია. დიდად დაზარალდება ჩვენი ოჯახი, თუ დროზე არ მოუსწარი. მიქაელისაგან ჩაიბარე ანგარიშები და მოსკოვის კომერციული სახლი გააუქმეთ“... და სხვა. ხელს აწერს „მარიამი“.

მიქაელი გაშრა. მას სტეფანეზე უკეთ ესმოდა ამ უბედურების საშინელი შედეგები.

— მე, რასაკვირველია, მზადა ვარ ახლავე ჩაგაბარო ყველა ანგარიშები, რომლებიც ხელთა მაქვს. ეცადე, აქ დიდხანს არ დაბანდდე, — უთხრა მან — გამოაღო მაგიდის უჯრა და ამოიღო უზარმაზარი დავთრები.

— მე საზღვარგარეთ წასასვლელად ვემზადები, — მისთვის დამახასიათებელი გულგრილობით უპასუხა სტეფანემ, — იქ უფრო დიდი საქმე მიხმობს, ვიდრე მამაჩემის საქმეებია.

— მეც ვიზიარებ შენს არჩევანს, — ჩაილაპარაკა მიქაელმა, — მაგრამ იფიქრე, ამით ხომ შენ საბოლოოდ გააუბედურებ დედას, და ბოლოს შენ თავს. დეპეშის აზრი სავსებით ნათელია — თქვენი ქონება დაღუპვის საფრთხის წინაშეა. მე გაცილებით უკეთ ვიცი თუ ცხონებული მამაშენი როგორ აწარმოებდა თავის საქმეებს, მას ყველა ანგარიშები თავში ჰქონდა და თან წაიღო საიქიოს. ახლა ყველაფერი ავაზაკი ნოქრების ხელთ არის, და რაკი ასეა, შედეგები აშკარად ნათელია...

— ეგ ავაზაკები თვითონ მოამზადა თავისთვის, — ზიზღით დასძინა სტეფანემ. — „ნიაღვრის მოტანილს, ისევ ნიაღვარი წაიღებსო“... სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

მიქაელმა არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. მისთვის ცნობილი იყო სტეფანეს ჭირვეულობის ამბავი, მაგრამ ამავე დროს, იმ ზარალსაც ხედავდა, რაც იმისი სიკერპით მოელოდა მასისიანების ოჯახს. მიქაელი შეეცადა, როგორმე დაერწმუნებინა მეგობარი, რომ დედის თხოვნა შეესრულებინა, დედის, რომელიც საბრალობელი ხმით ემუდარებოდა შვილს — დაბრუნდი და ოჯახს მოხედეო.

— განა უკეთესი არ იქნება, — უთხრა მან. — დროებით გადადო საზღვარგარეთ გამგზავრება, სანამ მოაწესრიგებ მამაშენის საქმეებს?

— შეუძლებელია.

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— მეც სწორედ მაგის გასარკვევად ვარ შენთან მოსული, მიქაელ, გამიგონე, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ დედა თავისთან მიხმობს იმ დროს, როცა ათასი დედები მეძახიან, თურქეთიდან ხელგამოშვერილი, და შველას თხოულობენ. მე უნდა წავიდე საზღვარგარეთ, მთელი ევროპა უნდა შემოვიარო და რაც შემიძლია გავაკეთო. რაც შეეხება მამაჩემის საქმეს, ასეთ კრიტიკულ მომენტში, შენს გარდა კარგი და ერთგული მეგობარი სხვა არავინა მყავს. მთელ იმედებს შენზე ვამყარებ, იმას, რის გაკეთებაც მე ალბათ გამიძნელდება, შენ იოლად გაართმევ თავს. ჩემგან მიიღებ სათანადო საბუთს ნდობით აღჭურვილი პირისა და დაუყოვნებლივ გაემგზავრები. თანახმა ხარ?

მიქაელმა დაინახა, — სხვა გამოსავალი არ იყო, თავისი მეგობრის მემკვიდრეობა შეიძლება მთლიანად განადგურებულიყო არასანდო ნოქრების ხელში და წინადადება მიიღო.

— მაშასადამე, დროს ნულარ დავკარგავთ, — თქვა გახარებულმა სტეფანემ, — ახლავე წავიდეთ ნოტარიუსთან, მე სათანადო საბუთებს ჩაგაბარებ.

იმავე დღეს, საღამოს, მიქაელი უკვე წასასვლელად ემზადებოდა, სამგზავრო ჩემოდანში ბარგს ალაგებდა. მაგრამ იმაზე ფიქრი, თუ როგორ გაემეღავნებინა იდასთვის მოულოდნელი წასვლის ამბავი, საგრძნობლად აწუხებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ საცოდავ ქალიშვილზე მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ამბავი. მიქაელსაც ეძნელებოდა ამ კარგი და კეთილი ოჯახის მიტოვება, ასე ტკბილად რომ შეეწყო და საუკეთესო წუთები გაეტარებინა. მაგრამ რად იგვიანებდა იდა? ამ დროს ხომ მას ჩაი შემოჰქონდა, ახლა სად იყო?

იდას ნაცვლად დედამ მოაკითხა:

— სად იყავით? — შეეკითხა იგი და თვალი შეავლო გახსნილ ჩემოდანს, — დღეს სადილად დიდხანს გელოდით.

— საქმეები მქონდა, — უპასუხა მიქაელმა, — იდა სად არის, რომ არა ჩანს?

— ცოტა გუნებაზე ვერ არის რაღაც,—სევდიანად მიუგო დედაბერმა. — დილიდანვე თავის ტკივილს უჩიოდა, პირში არაფერი ჩაუშვია. ახლაც წევს, ღმერთო ჩემო, რა გვეშველება, ის რომ ავად გახდეს.

და დედაბერს დანაოჭებულ სახეზე ჩაშრეტილ თვალებში ცრემ-

ლი გამოუკრთა. მიქაელს გული დასწყვიტა დედაბერის სიტყვებმა და გაიფიქრა ექიმის მოსაყვანად გაქცეულიყო.

— თქვენ კი, მგონი ემზადებით, ბატონო მიქაელ, ალბათ სადმე აპირებთ წასვლას?—შეეკითხა დედაბერი, ცოტა რომ დამშვიდდა.

— დიახ, დედი, ვემზადები ჩემს სამშობლოში გასამგზავრებლად.

— როდის?

საბრალო დედაბერი ადგილზე გაქვავდა.

— სამწუხაროა, დიდად სამწუხარო, — აკანკალებული ხმით წარმოთქვა დედაბერმა, — ჩვენთვის ადვილი არ იქნება თქვენთან განშორება. ისე შეგეჩვიეთ, როგორც ღვიძლ შვილს. ახლა კი, მიდიხართ...

— ვინ იცის, იქნებ მალე ისევ დავბრუნდე. — ანუგეშებდა მიქაელი.

— ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს, შვილო, წადი, გაახარე მშობლები.

დედაბერმა არ იცოდა, რომ მიქაელს მშობლები არა ჰყავდა, რომ იგი ბავშვობიდანვე ობლად იყო დარჩენილი.

— იდას რა ეშველება, დედი? — შეეკითხა მიქაელი, — იქნებ ძალიან ავად არის და ექიმია საჭირო.

— ღმერთმა უწყის, შვილო. არაფერს ამბობს, ასეთი ჩვეულება აქვს. ვხედავ, რომ ფერი დაკარგა, შემოდგომის ფოთოლივით გაყვითლდა, მაგრამ თავის სატკივარს არ მიმხელს, ყოველთვის ფეხის ავადმყოფობას იმიზეზებს, თანაც მუშაობას თავს არ ანებებს.

— შეიძლება ვინახულო?

— რატომაც არა, წავიდეთ.

მიქაელი და დედაბერი შევიდნენ ოთახში, სადაც პატარა ქალიშვილი გაუხდელი იწვა ფარდებშემოვლებულ სარეცელზე. დედამ ფარდა გადასწია თუ არა, ლამპის სინათლემ გავარვარებული სახე გაუნათა ქალიშვილს, რომელსაც თვალები იდუმალი ცეცხლის ალით წამონთებოდა.

— რა დაგემართა, იდა? — შეეკითხა მიქაელი, რომელიც მთელი სხეულით აეტანა შიშის ჟრუანტელს.

— არაფერი, — მისუსტებული ხმით უპასუხა ქალიშვილმა, — ცოტა სიცხესა ვგრძნობ და თავმაც კვლავ დამიწყო ტკივილი. მაგრამ არა უშავს, გაივლის, ასე ხშირად მემართება ხოლმე.

და ქალიშვილმა ბალიშზე ისე მიდო თავი, თითქოს ამით ანიშნა, დამეხსენით, უკეთესია თუ მარტო დამტოვებთო. დედამ ხელი გაუშვა ფარდას და საწოლს მოსცილდა.

—იგი მძიმე ავადმყოფია,—მიმართა მიქაელმა შეძრწუნებულ დედას.—მე ახლავე წავალ, ექიმს მოვიყვან. ერთსა გთხოვთ, ნუ ეტყვით, რომ მე დილაზე მივემგზავრები, — დაუმატა მან.

— ვიცი... ყველაფერი ვიცი... — ფარდის უკნიდან მოისმა ავადმყოფის მისუსტებული ხმა, რასაც სევდიანი ქვითინი მოჰყვა.

მიქაელს არ გაუგონია ქალიშვილის ქვითინი, ექიმის მოსაყვანად იყო უკვე წასული. დედაბერი მიუახლოვდა თავის ქალიშვილს და დამშვიდება დაუწყო.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ექიმი მოვიდა. მან განაცხადა, რომ ქალიშვილის ავადმყოფობა საშიში არ იყო, უბრალოდ სიცხე აქვს და მალე გაუვლისო. მხოლოდ ურჩია — მოუვლელად არ დატოვოთ, თორემ შეიძლება გაურთულდესო. შემდეგ წამლები გამოუწერა, რჩევა-დარიგება მისცა და წავიდა.

მიქაელმა რეცეპტები აიღო და აფთიაქში გაიქცა, სახლში სხვა არავინ იყო, ეს საქმე რომ შეესრულებინა.

მთელი ღამე ავადმყოფი ბოდავდა, სიცხე აწუხებდა, გათენებისას ცოტა ჩაეძინა, დამშვიდდა. დედა და მიქაელი დილამდე ავადმყოფის სარეცელს არ მოშორებიან.

— ახლა წადით ბატონო, ჩაეძინა, — ძლივს ამოთქვა დედაბერმა, —მადლობელი ვარ, შვილო, ამ სიკეთისათვის. წადით, მოემზადეთ, თქვენ გზაზე დგეხართ.

თავის ოთახში დაბრუნებულმა მიქაელმა აღელვებით დაიწყო ბოლთის ცემა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ასეთ მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში პირველად ჩავარდა. ორი ურთიერთ საწინააღმდეგო გრძნობა იბრძოდა მის არსებაში. ერთ მხარეზე იყო უახლოესი მეგობრის — სტეფანეს მიერ დაკისრებული დავალება — მასისიანების ბედ-იღბალზე ზრუნვა, აწ განსვენებული აღას არეულ-დარეული საქმეების მოგვარება, უზრუნველყოფა, მეორე მხარეს — ერთი უნაზესი არსება, ამჟამად ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი, რომლის უპატრონოდ მიტოვება ასევე დიდი დანაშაული იქნებოდა.

როგორ უნდა შეერიგებინა ეს ორი გრძნობა — მეგობრისადმი სიყვარული და ქალისადმი სიყვარული, — რომლისთვის უნდა მიეცა უპირატესობა? მაგრამ ნუთუ მიქაელს უყვარდა იგი? აგერ ხუთი წელი შესრულდა, რაც ამ ოჯახში ცხოვრობდა, ამ ხნის მანძილზე მიქაელს ერთხელაც გულში არ გაუტარებია ქალიშვილის მიმართ რაიმე გრძნობა, არც ამ უკანასკნელს დაუძრავს კრინტი. მხოლოდ იმ წუთიდან, როცა ქალიშვილის ავადმყოფობის ამბავი გაიგო და სამშობლოში დაბრუნებაზე საუბრისას ფარდის უკან

სიცხიანი იდა აქვითინდა, — მიქაელს იდუმალმა გრძნობამ დარია-ხელი. მაგრამ რა იყო ეს იდუმალი გრძნობა — სიყვარული, მაცდური ვნება, თუ სიბრალული რომელსაც საზოგადოდ ყველა დაჩაგრულთა მიმართ იჩენდა, — მიქაელისათვის საიდუმლოებას წარმოადგენდა, იგი უძლური აღმოჩნდა იმ ამოცანის ამოხსნაში, რომელსაც გრძნობათა ქაოსს უწოდებენ. ამ ბნელი ამოცანის ამოხსნის გამოცდილება მას არ გააჩნდა.

ის ღამე მიქაელმა უძილოდ გაატარა, მოუსვენრად დადიოდა ოთახში და მძიმე ფიქრები სტანჯავდნენ, სანამ ეკლესიის ზარები ცისკრისას დარეკავდნენ. ზარების ხმამ გამოაფხიზლა მიქაელი. ღამეს შეუმჩნეველად გაევლო. ფანჯრიდან შემოჭრილ სინათლეზე მან უეცრად თვალი შეავლო სამგზავროდ გამზადებულ ჩემოდანს, ამ უსულო და უტყვმა საგანმა ერთბაშად თითქოს ენა ამოიდგა და საუბარი გაუბა იმ გარდუვალ თემაზე, რომელსაც მიქაელი ვერსად გაექცეოდა. ეს ჩემოდანი ხომ ის ნივთი იყო, რომელიც მასისიანების ოჯახიდან მიქაელის წამოსვლისას ეტლზე იდო! ამის გახსენებაზე მიქაელს მოაგონდა ყვავილების ის თაიგულიც, რომელიც გოგონებმა აღას სახლის ერდოდან გადმოისროლეს ურემში... და ამავე წუთს მიქაელს თვალწინ დაუდგა გაიანეს და რიფსიმეს ნაზი სახეები...

მაგრამ ამავე დროს ქუჩიდან მოისმა ეტლის გრიალი და რამდენიმე წუთის შემდეგ მიქაელის ოთახის ზღურბლზე მეეტლე გამოჩნდა.

— ბატონო, — თავის დაკვრით უთხრა მეეტლემ, — თქვენ მიბრძანეთ დილაადრიან მოვსულიყავი, მაპატიეთ, ცოტა რომ შემაგვიანდა.

— კარგი, აიღე ჩემოდანი, გაიტანე და მომიცადე. მეც ბევრს აღარ დავიგვიანებ, — უთხრა მიქაელმა წუთიერი დაფიქრების შემდეგ.

ეს ის მეეტლე იყო, რომელიც გუშინ საღამოს ექიმის მოსაყვანად დაიქირავა და შემდეგ გააფრთხილა: დილაადრიან მოდი და რკინიგზის სადგურზე წამიყვანეო.

გადამწყვეტი წუთები ახლოვდებოდა. მიქაელი წამით შეირხა, მერე საწერ მაგიდას მიუჯდა, ქაღალდი აიღო და შემდეგი სტრიქონები დაწერა.

„მშვიდობით, იდა. კეთილად დარჩენას გისურვებთ. მიიღეთ ეს მცირე საჩუქარი, ნიშნად ძმური სიყვარულისა. იგი გამოგადგებათ იმ სანატრელ დროს, როცა შეუღგებით თქვენი ბედისა და მომავლის მოწესრიგებას...“

მიქაელმა ხელი მოაწერა, ქაღალდის ფულების სქელი დასტა ჩადო კონვერტში, დაბეჭდა და გავიდა მეორე ოთახში, სადაც ავადმყოფი იწვა. იდას საწოლთან დედაბერი იჯდა.

— მე გამოსამშვიდობებლად მოვედი, ქალბატონო.

— უკვე მიდიხართ? — აღელვებული ხმით გამოეპასუხა დედაბერი. — თუ გინდათ, გავაღვიძებ იდას.

— ნუ შეაწუხებთ, ვაითუ ავნოს ავადმყოფს.

— აჰ, როგორ დაღონდება, როცა გაიღვიძებს და ნახავს, რომ თქვენ უკვე წასულხართ.

— იდა ძალიან გულკეთილია, მაპატიებს უზრდელ საქციელს. — თქვა მიქაელმა, ხელი ჩაიყო უბეში, ამოიღო სქელი კონვერტი და უთხრა: — გთხოვთ ეს წერილი გადასცეთ მას.

მიქაელი უკანასკნელად მიუახლოვდა ავადმყოფს. მას ისევ ეძინა. არაფერი ისეთი მშვენიერი, წარმტაცი, და მომაჯადოებელი არ იქნებოდა, როგორც ეს ნაზი, კეკლუცი არსება, ახლა რომ ლოგინში იწვა და ეძინა. მსხვილ დიდრონ ნაწნავებს ნახევრად დაეფარა ქალიშვილის ფერმკთალი სახე, ხოლო ნაზი, ნახევრად ღია ბაგენი თითქოს უტკბილეს სიტყვებს ჩურჩულებდნენ.. ავადმყოფს შიშველი ხელი საბნიდან ამოეყო, უძრავად ედო, თითქოს იმიტომ, რომ ჩამოერთმია მიქაელისათვის, გამომშვიდობების ნიშნად, უკანასკნელად, მეგობრულად. მიქაელმა ფრთხილად აიღო ეს ბროლივით თეთრი ხელი, ტუჩებზე მიიდო, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ავადმყოფის ნაზ სახეს და გაშორდა.

დედაბერმა კარებამდე მიაცილა და ლოცვა-კურთხევით გზა დაულოცა.

ამავე დილით ერთი ჭაბუკიც მიემგზავრებოდა მოსკოვიდან. იგი ინგლისში მიდიოდა. ჭაბუკს სტუდენტების მთელი ჯგუფი აცილებდა. მათ გადაჰკოცნეს იგი და უსურვეს: „წადი, სამშობლოს შვილო, დაე ვარდანისა და ნერსესის სულმა გაგიწიოს მფარველობა და გზა გაგინათოს...“

3

პეტროს მასისიანის უეცარმა სიკვდილმა მძიმედ იმოქმედა იმის უბედურ ოჯახზე. ქალბატონი მარიამი გარინდებული იყო, არ იცოდა რა გზას დასდგომოდა. ოჯახს არც ერთი გულშემატკივარი მეგობარი არა ჰყავდა. განსვენებული ჯიუტი, ეგოისტი ადამიანი იყო. სიცოცხლეში ახლოს არავინ ეკარებოდა, ყველა გან-გან უვლიდა, ხოლო იმის გარდაცვალების შემდეგ ერთი კაციც არ გამოჩნდა,

რომ ვაჭრობის საქმეებში გამოუცდელი მემკვიდრეებისათვის კეთილი დარიგება მიეცა ოხრად დარჩენილი ქონების მოვლა-პატრონობაზე. მართალია, ქალბატონი მარიამი ჭკვიანი და მიხვედრილი ქალი იყო, მაგრამ მეუღლის სისასტიკეს ისე დაებეჩავებინა, რომ იმდენი ხნის ერთად ცხოვრების მანძილზე ოთხ კედელში იყო ჩაკეტილი და თავისი მეუღლის საქმეებისა არაფერი გაეგებოდა. მასისიანი ნამდვილი ურჩხულივით იყო გაბატონებული თავის ქონებაზე, ყველაფერს თვითონ განაგებდა, სხვებს ახლოს არ იკარებდა, არავის არ სცნობდა, მისთვის ცოლი და შვილებიც კი უცხონი იყვნენ. და როცა გარდაიცვალა ეს დესპოტი, მის ქონებაზე გაბატონდნენ უცხო ადამიანები, — ისინი, ვისი ხელითაც მასისიანი თავის ბნელ საქმეებს ატრიალებდა, ისინი, ვინც აღას გაწვრთნილნი და გავარჯიშებულნი იყვნენ ქურდობასა და მოტყუებაში.

მასისიანის ოჯახს ერთადერთ მეგობრად შერჩენოდა სიმონ იაგორიჩი. აღას სიკვდილის შემდეგ ამ პოლიციელი ავაზაკის წინაშე ფართო ასპარეზი გადაიშალა. თუ წინათ, როგორც აღას ადვოკატი, იმის საქმეებს უძღვებოდა სასამართლოებში, ახლა ქალბატონ მარიამს მთავარ მრჩევლად მოვლინებოდა.

ერთ საღამოს შავებში გამოწყობილ ქალბატონ მარიამს და იმის ორ ქალიშვილს — გაიანეს და რიფსიმეს თავი მოეყარათ თავიანთ ოთახში. სიმონ იაგორიჩი ლამპასთან იჯდა, დიდი სათვალე წამოედო მოზრდილ ცხვირზე და რაღაც ქაღალდი ეჭირა, რომელსაც ხან თვალებთან მიიტანდა, ხან შორს დაიჭერდა, ხან კი მუხლზე დაიდებდა, გასინჯავდა და ღრმა ფიქრებს მიეცემოდა. ამ დროს იგი ჰგავდა სიძველეთა იმ მკვლევარს, რომელიც ჟამთავითარებაში გაცვეთილ დამწერლობის ძეგლთან მდუმარედ მჯდარი ძნელად ამოსაკითხ იეროგლიფებს არჩევდა. ეს ქაღალდი — დეპეშა იყო. ქალბატონი მარიამი და ქალიშვილები მოუთმენლად ელოდებოდნენ სიმონ იაგორიჩის ახსნა-განმარტებას, ვინაიდან ამ დეპეშის სტრიქონებში იმალებოდა მათი ავ-კარგი.

დეპეშის შინაარსი მარტივი იყო და რამდენიმე სტრიქონს შეიცავდა: „ჩამოსვლა არ შემიძლია, მიქაელი გამოვამგზავრე, ის მოაწესრიგებს ყველა საქმეებს, როგორც საჭიროა“. ხელს აწერდა — „სტეფანე მასისიანი“.

დეპეშის ცივმა, და ლაკონიურმა შინაარსმა ვერ დააკმაყოფილა ქალბატონი მარიამის ცნობისმოყვარეობა. პირიქით, ამ რამდენიმე უსულგულო სიტყვამ: „ჩამოსვლა არ შემიძლია,“ რომელსაც შვილი სწერდა, უფრო ააფორიაქა მშობელი. რატომ არ შეუძლია, რა დაემართა? — აი კითხვები, რომლებიც სტანჯავდნენ დედას და სხვა

რომ ვერაფერი მოიფიქრა, შვილის ჩამოუსვლელობა ავადმყოფობას მიაწერა, თორემ როგორ არ ჩამოვიდოდა, დედის ვედრებას როგორ არ შეისმენდაო.

— ოჰ, ნეტა რა შეემთხვა, — მწუხარებით მოთქვამდა დედა, — ჩემი სტეფანე გულკეთილია, მარტო არ დამტოვებდა, ოჰ, ღმერთო ჩემო, გამაგებინე რა შეემთხვა?

სიმონ იაგორიჩი ამშვიდებდა:

— შე დალოცვილო, ალბათ რამე შეემთხვა, არ შეუძლია ჩამოსვლა.

გაიანე და რიფსიმეც სწუხდნენ ძმის ჩამოუსვლელობას, მაგრამ თან გულში უხაროდათ, რომ ერთხელ კიდევ ინახულებდნენ მიქაელს. ამ რამდენიმე წლის მანძილზე იმდენი რამე გაეგონათ მასზე. რომ მიქაელი ერთგვარ მითიურ არსებად ჰყავდათ წარმოდგენილი.

სიმონ იაგორიჩის აღელვებას საზღვარი არა ჰქონდა. ის დარწმუნებული იყო, რომ თუ სტეფანე არ ჩამოვიდოდა, მთავარ რწმუნებულად იმას დანიშნავდნენ. ახლა კი გეგმები ეფუშებოდა. სიმონ იაგორიჩს გამოუცდელ და გულგრილ სტეფანესთან საქმის დაჭერა უფრო ხელს აძლევდა, ვიდრე დახელოვნებულ მიქაელთან, რომლის „ეშმაკობაზე“ კარგა ხანია ყური ჰქონდა მოკრული. ამ ბებერ მგელს გუნებაში გადაწყვეტილი ჰქონდა დიდი ულუფა მიეღო განსვენებულის ქონებიდან, რომელსაც ყველა თავისკენ ითრევდა.

მან ფიქრის თვალი მოავლო განსვენებულის ხსოვნას და მიქაელისადმი თავისი მძულვარების შსამი ასე გადმოანთხია:

— ნათელი დაგადგეს, პეტროს აღა, — ამოიოხრა სიმონ იაგორიჩმა და პირჯვარი გამოისახა, — მარტო შენ იცოდი რა კაცი იყო სიმონ იაგორიჩი და აფასებდი... ყოველ საქმეზე მასთან ბჭობდი, თამასუქებს ანდობდი და ეუბნებოდი: სიმონ იაგორიჩ, როგორც ჭკუამ გაგიჭრას, ისე მოიქეციო. მეც ერთგულად გემსახურებოდი, ორიოდე დღეში თამასუქებს ვანაღდებდი, ფულებს გაბარებდი... ეჰ, ახლა კი სახეში შემოხედვაც არ უნდათ... ერთმა ღმერთმა უწყის, რამდენი ტანჯვა-წამება გადამხდენია ამ ოჯახის კეთილდღეობისათვის...

— სიმონ იაგორიჩ, შენ ისევ ჩვენი ხარ, — უპასუხა ქალბატონმა მარიამმა გასამხნევებლად. — შენ ისევ შენს ადგილზე დარჩები და ყველა საქმე შენი რჩევა-დარიგებით იწარმოებს.

მოხუცმა ადვოკატმა მეტისმეტად გულუბრყვილო კაცის ნიღაბი აიფარა სახეზე და საბრალობელი ხმით მიუგო:

— ღმერთია მოწამე, რომ გული მტკივა. მე ჩემი დრო მოვჭამე.

დღეს თუ ხვალ შეიძლება მოვკვდე კიდეც. ფული და მიწა ახლა ჩემთვის სულერთია. იმ ქვეყნად რა უნდა წავიღო, ერთი სუდარის მეტი?.. მაგრამ გული მაინც მეწვის, მაგათთვის მეწვის (მიუთითა გაიანე-რიფსიმეზე), მაგათთვის ვმუშაობ... სტეფანე ვაჟია, როგორც იქნება, თავს გაიტანს, მაგრამ ეგენი ქალები არიან...

ქალბატონი მარიამი გაოგნებული უსმენდა ამ ბებერ ქოსატ-ყუილას ლაპარაკს და ვერ მიმხვდარიყო მის ჩანაფიქრს.

— ეხლა რომ იმ ცხონებულმა თვალი გაახილოს, საფლავიდან ამოიხედოს და ეს ყველაფერი დაინახოს, საბრალო კაცს ბოღმისა-გან გული გაუსკდება. ღმერთო ჩემო, ვის ანდობენ იმისი საქმე-ების წარმოებას, — ერთ ძუძუმწოვარა ბიჭს, რომელსაც თეთრი და შავი ვერ გაურჩევია... (მიქაელი ჰყავდა მხედველობაში). მე სიმონ იაგორიჩი ვარ, მთელი ქალაქი მიცნობს, 22 წელი პოლიციაში ვმწერლობდი, 15 წელი... მამასახლისთან ვიყავი, თმები გამი-თეთრდა სასამართლოებში სიარულით, ყველა „ზაკონები“ მამაო ჩვენოსავით ვიცი, მაგრამ მე აღარაფრად მაგდებენ...

როგორც ყველა გაიძვერა ადამიანებს სჩვევიათ, სიმონ იაგო-რიჩსაც უყვარდა გულისნადების, „უკანასკნელი აზრის“ ენის ქვეშ ამოდება, დაფარვა. ქალბატონი მარიამი ამჩნევდა, რომ იაგორიჩს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ან ვერ ბედავდა, ანდა განგებ დუმ-და, რომ ქალბატონი თვითონ მიმხვდარიყო და შეეთავაზებინა:

— რა გინდათ, სიმონ იაგორიჩ? — შეეკითხა ქალბატონი, რო-მელსაც აევსო მოთმინების ფიალა.

მოხუცმა ერთი მწიკვი ბურნუთი შეისუნთქა ცხვირის ნესტოებ-ში, გამხნევდა, გული მოეცა, ზედიზედ ჩაახველა და ისევ თავისი ფიქრების განმარტებას შეუდგა.

— იცით რა, ქალბატონო? ამ დეპეშით სტეფანე იტყობინება, რომ თავის ადგილზე მიქაელს გზავნის, მამის საქმეების მოსაგვარებ-ლად. მას მიქაელისთვის მიუცია ერთი დოკუმენტი, რომელსაც „დავერნოსტი“ ჰქვია. მაგრამ ასეთი საბუთის მიცემის უფლება მთელი ოჯახის სახელით მას არა ჰქონდა. მხოლოდ თავის მხრივ შეეძლო ასეთი დოკუმენტის მიცემა, და ასეც იქნება. ახლა თქვენ თქვენი და ქალიშვილების სახელით, ასეთი საბუთი მე უნდა მომ-ცეთ, მაშინ ნახავთ სიმონ იაგორიჩი რაებს გააკეთებს თქვენთვის და როგორ მოაშახრაკებს ყველა საქმეს...

ქალბატონი მარიამი ფიქრებს მიეცა და მცირე ხნის დუმილის შემდეგ მიუგო:

— ვნახოთ... მიქაელი ჩამოვიდეს, მოვიფიქრებთ...

— არა, თქვენ არ გესმით, ქალბატონო, იფიქრეთ, კარგა იფიქ-

რეთ, — სიტყვა გააწყვეტინა მოხუცმა მატყუარამ, — იქ, ქუჩაში, თქვენი მეუღლის დუქნებს „ლუქი ადევთ“, თქვენ კი შინ არხეინად ზიხართ. კაცია საჭირო, რომ ყველაფერ ამას ყურადღება მიაქციოს... გესმით?..

განსვენებული აღას დუქნების დალუქვა, მისი მემკვიდრეების გამოჩენამდე, მთავრობის კანონიერი მოქმედება იყო. მაგრამ სიმონ იაგორიჩმა ამას ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა, რომ ცხოვრებაში გამოუსვლელ მარიამს შიში ჩაუნერგა გულში. ქალბატონ მარიამს ეგონა დუქანი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დაელუქათ, როცა, „ტორგში“ უნდა გაეყიდათ ვალის გასასტუმრებლად, ანდა, როცა მთელი საქონელით და ინვენტარით ჩამორთმევას უპირებდნენ. ამის მოგონებაზე მარიამმა ბრმად ირწმუნა სიმონ იაგორიჩის სიტყვები, შეკრთა და მტკიცედ დაუჭირა მხარი სიმონ იაგორიჩის წინადადებას.—საჩქაროდ კაცი უნდა ვიშოვოთ, რომელიც ყველაფერს კანონიერ ყურადღებას მიაქცევსო. ასეთი კაცი თვითონ სიმონ იაგორიჩი გახლდათ.

— რა ქაღალდია საჭირო, სიმონ იაგორიჩ? — შეეკითხა იგი.

— მაგის „ზაკონი“ მე ვიცი, ჩემი საქმეა, — თავმომწონედ უპასუხა მან,—დილაზე ნოტარიუსთან წავიდეთ, იქ შევადგენთ და მოვრჩებით საქმეს.

— მერე დუქნებზე ლუქს ახსნი, არა?

— ერთ დღეში ავახსნევინებ, თქვენ ჯერ კიდევ სიმონ იაგორიჩს არ იცნობთ.

ქალბატონი დაეთანხმა საჭირო ქაღალდის მიცემაზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ „მის ბავშვებს საარსებო პური არ შემოკლებოდათ“. სიმონ იაგორიჩი წამოდგა. სახეზე თვითკმაყოფილების ღიმილი უთამაშებდა, წასვლა დააპირა:

მე ხვალ დილით მოვალ და ნოტარიუსთან წაგიყვანთ.

— მოითმინეთ, სიმონ იაგორიჩ, — შეაჩერა ქალბატონმა მარიამმა, — არაფერი დაგილევიათ.

— ჰა, მოიტანეთ, თქვე დალოცვილნო, პირი გავისველო, იმდენი ვილაპარაკე, რომ ყელი გამიშრა.

— რიფსიმე, — მიმართა ქალბატონმა ქალიშვილს, — სიმონ იაგორიჩს ერთი ჭიქა არაყი მოართვი.

რიფსიმემ შეასრულა დედის ბრძანება. ძველმა პოლიციელმა, ლოთმა, გადაჰკრა საყვარელი სასმელი, დალოცა იქაურობა და წავიდა.

გარეთ თვალშეუდგამი წყვდიადი იდგა, ისე ბნელოდა თვალში თითი რომ ეკრათ, ვერ დაინახავდა. სიბნელეში სიმონ იაგორიჩს

რამდენიმე კაცი გადაუდგა, რომლებიც თითქოს მას ელოდებოდნენ. მათ შორის ასეთი იდუმალი საუბარი გაიბა.

— პოლიციას რომ თვალში ჩავუვარდეთ, მაშინვე დავიღუპებით...

— მაშინვე გაგვამხელენ...

— ჯობდა დუქნის უკანა კარებიც დაელუქათ, როგორც დანარჩენები...

— იმ კარს აღარაფერი მნიშვნელობა აღარ აქვს... ყველაფერი დამთავრებულია...

— წადით და მშვიდად იყავით. — მიუგო სიმონ იაგორიჩმა მოსაუბრეებს. — მე, რაც საჭიროა, ყველაფერი მოვაწესრიგე...

კაცების ჯგუფი, ბოროტი ზრახვებით გულსავსე, ღამის წყვდიადში გაუჩინარდა. ისინი განსვენებულ აღას ნოქრები იყვნენ...

სიმონ იაგორიჩის წასვლის შემდეგ ქალბატონ მარიამს ესტუმრნენ მეზობლის ქალები. რომლებიც ნუგეშის საცემად მოსულიყვნენ. ამათში ერთი ხანდაზმული იყო, მეორე — ახალგაზრდა. ჩვეულებრივი ლაპარაკის შემდეგ, რაც საერთოდ მიღებულია მგლოვიარე ადამიანების ნუგეშის საცემად, ერთმა სტუმართაგანმა — ხანდაზმულმა დედაკაცმა — ქალბატონ მარიამს ასე მიმართა:

—ერთი გვითხარი, როგორ მოხდა ეგ სამწუხარო ამბავი?

დედაბრის შეკითხვა ეხებოდა განსვენებულ აღას სიკვდილს. ქალბატონი მარიამი, თუმცა ასჯერ ეამბნა მეუღლის სასწაულებრივი სიკვდილის ამბავი, იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა სტუმრების ცნობისმოყვარეობა.

— შუაღამე კაი ხნის გადასული იყო... — დაიწყო მარიამმა, — გაიანეს და რიფსიმეს ეძინათ, აღას ოთახშიც ბნელოდა, იმასაც ეძინა. მხოლოდ მე მეღვიძა, თითქოს რაღაც გრძნობა მოსვენებას არ მაძლევდა, გულზე მწიწკნიდა. მამლების პირველი ყივილის მერეც ძილი არ მომეკარა, ისევ ლამპასთან ვიჯექი და აღას წინდებს ვაკერებდი. უეცრად იმის ოთახიდან რაღაც ყრუ ხმაური მომესმა. ხმაური რამდენჯერმე განმეორდა. გულმა ცახცახი დამიწყო, მაშინვე იმის ოთახს მივაშურე და რას ვხედავ!.. საცოდავი, თავის ლოგინიდან ტახტზე გადასულიყო, საცვლების ამარა ეგდო და საშინლად ბორგავდა, მე რომ დამინახა, წამოიწია, დაჯდა. შევხედე სახეში — შიშის ზარმა ამიტაცა, ერთიანად შეცვლოდა, სიკვდილის ფერი დასდებოდა, თვალები კი ცეცხლივით უელვარებდა.

— ჩვენი სახლი დაინგრა!.. — წამოიძახა საბრალო ხმით და თავში წაიშინა ხელები.

— რა დაგემართა? — შიშით შევეკითხე, მივუახლოვდი, ხე-

ლები დავუჭირე, თავში იცემდა, თმებს იგლეჯდა. ვიფიქრე, ალბათ, გაგიჟდა-მეთქი. იმისი მოძრაობისა და ლაპარაკის შემყურე, დავრწმუნდი, რომ იგი თავის ჭკუაზე აღარ იყო. მაგრამ მალე დამშვიდდა და ისევ ორიოდე წუთის წინ ნათქვამი სიტყვები გაიმეორა:

— ჩვენი სახლი დაინგრა... დავიღუპეთ... — ეს რომ თქვა, თვალებზე ხელი მიიფარა და ტირილი დაიწყო.

— რა ამბავია, რა დაგემართა? — ისევ შევეკითხე მე.

— მეტი რაღა უნდა დამემართოს — „ოქროს მამალი" მოკვდა... — მიპასუხა ღრმა მწუხარებით გათანგულმა.

— როგორ თუ მოკვდა?

— მოკვდა... ჩემი თვალით დავინახე.

მე კვლავ ჩემს აზრს დავუბრუნდი, ჭკუაზე უნდა იყოს შეშლილი-მეთქი. ამ უკანასკნელ ხანს ასეთ სისულელეს ხშირად იმეორებდა ხოლმე. როგორც იქნა, ცოტა დავამშვიდე, და ვთხოვე, დაწვრილებით ეამბნა — სად ენახა „ოქროს მამალი"? ან როდის შესწრებოდა მის სიკვდილს.

მან მიამბო: ვნახეო „ოქროს მამალი", თავისი ოქროს დედლით და ოქროს წიწილებით გამომეცხადაო. წიწილები დარბოდნენ ჩვენს ბაღში, წივწივებდნენ და ანცობდნენ. უცბად ჰაერში რამდენიმე ქორი გამოჩნდა. საბრალო დედალ-მამალი დიდხანს თავგანწირულად ებრძოდნენ ქორებს, თავიანთი წიწილები რომ გადაერჩინათ, მაგრამ ვერ შესძლეს. ქორებმა წიწილები გაიტაცეს, ხოლო ოქროს დედალი და „ოქროს მამალი" ნაფლეთებად აქციეს, გაფრინდნენ და ცაში გაუჩინარდნენ.

— შენ, ალბათ, სიზმარი ნახე, — ვუპასუხე და შევეცადე მენუგეშებინა.

— სიზმარი?.. რა სიზმარი?.. ჩემი თვალითა ვნახე... „ოქროს შამლის" ერთი ბუმბულიც კი აქა მაქვს.. ჰა, აბა შეხედე როგორი სისხლიანია... ბუმბულს ჯერაც არ შეშრობია სისხლი...

და ხელი ჩემსკენ გამოიშვირა, თითქოს მიჩვენებდა იმ ოქროს ბუმბულს, „ოქროს მამალს" რომ დაეტოვა. მაგრამ იმის ხელში ვერაფერი დავინახე. იმავე წამს კვლავ საშინელი ბორგვა აუტყდა, ისევ აფორიაქდა... ორიოდე წუთს იწვალა, მერე ერთბაშად დამშვიდდა. მოულოდნელად ისევ მთელი სხეულით აცახცახდა, პირისახე დაებრიცა, თვალები მილულა, „ჩვენი ოჯახი დაინგრაო"... წამოიყვირა, ხმა ჩაუწყდა და კაცი გათავდა...

ქალბატონ მარიამის ნაამბობმა შიშის ზარი დასცა მსმენელებს, გაიანე და რიფსიმე ტიროდნენ, სტუმრებსაც მოერიათ ცრემლი.

— რა იყო ეგ „ოქროს მამალი“? — შეეკითხა ერთი მათგანი.

— ის ჩვენი ოჯახის ბედი იყო, ჩვენი მთელი სიმდიდრის ავანჩავანი, — უპასუხა ქალბატონმა მარიამმა.

ქალბატონი განსვენებულ აღაზე ნაკლებ ცრუმორწმუნე როდი გახლდათ. საერთოდ, მასისიანების ოჯახის ყველა წევრს სწამდა „ოქროს მამლის“ კეთილი გავლენა, გარდა სტეფანესი.

— ეგ მართალია, — ქალბატონ მარიამს კვერი დაუკრა ხანში შესულმა დედაკაცმა,—ყოველი ოჯახის ბედი ერთ რაღაცაზე ტრიალებს, თუ ის გამოეშალა, ბედნიერებაც გაქრება ხოლმე. მე ვიცნობ ერთ ჩვენებურ კაცს. იმაზე ამბობდნენ, ოჯახში გველი ჰყავსო. ის კაცი ყოველ ღამე გველის სოროსთან ნივრის ნაქურჩალს ყრიდა თურმე და დილით რომ მივიდოდა სოროსთან, ნაქურჩალის ნაცვლად ბაჯაღლო ოქროები ხვდებოდა. ერთხელ ოჯახის ერთ სულელ წევრს გველის წიწილისათვის კუდი მოეჭრა, გველი გაბრაზებულიყო და იმ დღიდან ამ ოჯახს გასცლოდა. აბა ოქროს ვიღა მიაშავებდა მათ და ოჯახიც თავითფეხებამდე გაღარიბდა.

ქალბატონი მარიამი და სტუმრები დიდხანს საუბრობდნენ ამგვარ ცრუმორწმუნეობაზე და ღამეც შეუმჩნევლად ილეოდა. ბოლოს ისევ აღას საიდუმლოებით მოცულ სიკვდილს დაუბრუნდნენ.

— მაგრამ რა სთქვა ექიმმა, როცა მეორე დღეს მიცვალებულის შესამოწმებლად მოვიდა? — იკითხა ერთ-ერთმა სტუმარმა.

— იმან გვითხრა, — დამბლა დასცემიაო. — მიუგო ქალბატონმა მარიამმა.

— აი მიწა კი დავაყარე. იმათ რა ჭირი გაეგებათ. ქაა ასეთი საქმეებისა?..

ზ

ხუთი წლის შემდეგ მიქაელი ისევ დაბრუნდა მასისიანების ოჯახში. ეს ხუთი წელი მან გაატარა მოსკოვში, ყოველ წელს ესწრებოდა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობას, რამდენიმეჯერ იმოგზაურა მარსელში, იქიდან ბევრი ევროპული ქალაქი შემოიარა.

მიქაელის გამოჩენას მასისიანების ოჯახში ამჯერადაც ისეთივე ცნობისმოყვარეობით შეხვდნენ, როგორც მაშინ, როცა სოფლიდან ჩამოსულმა, პირველად შემოდგა ფეხი მათ სახლში. სოფლიდან ჩამოსული მიქაელი უხეში და გაუთლელი იყო, იმისი ყოველი სიტყვა და მიხრა-მოხრა სიცილ-ხარხარს იწვევდა აქაურებში, — ახლა კი — ევროპული ქალაქებიდან დაბრუნებული — სრულებით გამოცვლილიყო, ნამდვილი ახალი კაცი იყო, კულტურული, გა-

რანდული და გაკოხტავებული, ახლა იმის ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს, გულისყურით და მოკრძალებით ხვდებოდნენ.

ამ ხუთი წლის მანძილზე მასისიანების ოჯახში ბევრი რამ შეცვლილიყო. ისევე როგორც ფერი იცვალა მიქაელმა. ქალბატონი მარიამი შესამჩნევად დაბერებულიყო, მზრუნველობას და სევდა-მწუხარებას ერთიანად მოეტეხა და გაეცვითა იგი. გაიანე ახლა ჰგავდა დედათა მონასტერში -აღკვეცილ მომნანიებელს, რომელსაც მხოლოდ კრიალოსანი და შავი ტანსაცმელიღა აკლდა. რიფსიმე კი. პირიქით, უფრო გამშვენიერებულიყო, გამაღლებულიყო, სილამაზე და ეშხი მომატებოდა. რიფსიმეს ხასიათიც გამოსცვლოდა —სიჯიუტის ადგილი მის არსებაში სინაზესა და გულისხმიერებას დაეკავებინა. იგი ახლა იმ ბედნიერ ასაკში იყო, როცა ქალიშვილის გულში სიყვარული იღვიძებს, როცა საზიარო სიყვარულისაკენ ძალუმად მიილტვის ადამიანი.

მხოლოდ სახლ-კარის გარეგნობაში არ შეცვლილიყო არაფერი, ისევ ძველებურად გამოიყურებოდა. მარტო აღა აკლდა.

ერთი კვირა იყო გასული, რაც მიქაელი ქალაქ ე...ში ჩამოვიდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში იგი თითქმის შეუმჩნევლად ცხოვრობდა მასისიანების ოჯახში. დილიდან საღამომდე განსვენებულ აღას საქმეებს ეცნობოდა. დილაადრიან გადიოდა სახლიდან, მთელ დღეს დადიოდა სხვადასხვა დაწესებულებებში, სავაჭროებში. ბრუნდებოდა გვიან. დაღლილ-დაქანცული და ზოგჯერ ისე გაბოროტებული, რომ ხმის გაცემაც კი არ შეიძლებოდა. ამჟამად მიქაელი იმ ოთახში ცხოვრობდა, სადაც წინათ სტეფანე იმყოფებოდა. ყოველთვის, როცა კი მიქაელი შინ დაბრუნდებოდა, ქალბატონი მარიამი მიაკითხავდა და შეეკითხებოდა: — რა გააკეთე?

— ჯერ ვერაფერი... — ჩვეულებრივ უპასუხებდა ხოლმე მიქაელი.

ერთ ღამეს ვრცელი ბარათი მისწერა სტეფანეს.

„მამათქვენის საქმეები ისე აწეწილ-დაწეწილი დამიხვდა, როგორც ვვარაუდობდი; დუქნები თითქმის დაცარიელებულია, ის საქონელი, რომელიც ცოტა თუ ბევრად დიდ ღირებულებას წარმოადგენდა, გატაცებულია. იცით ვისი ხელით? — მამათქვენის „ერთგული“ ნოქრების ხელით. მამათქვენის უეცარმა სიკვდილმა ჩანს ხელ-ფეხი გაუხსნა იმ ავაზაკებს — სისრულეში მოეყვანათ თავიანთი გულის წადილი, რაშიც დახმარება გაუწევია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს.

„მე არავის ბრალს არა ვდებ“, „ჭკვიანი კაცი მოიპარავს“, —

ასე მეუბნებოდა ხოლმე განსვენებული აღა და ქურდობას იგი ცხოვრების მთავარ საშუალებად თვლიდა. თუ განსვენებულის შეხედულებათა გზას მივყვებით, აშკარაა, რომ მან თავისი ხელქვეითებისაგან ნამდვილი ქურდების ბრბო მოამზადა, გაწვრთნილი და გამოჯაგული ქურდების ბრბო. საცოდავი, ვერა გრძნობდა, რომ იმ მახვილს, რომელსაც სხვებისათვის ლესავდა, ერთ მშვენიერ დღეს მასაც მოუღერებდნენ.

მე მრავალ დაბრკოლებას წავაწყდი. ვიდრე შევძლებდი მამათქვენის არეულ-დარეული საქმეების მოწესრიგებას. ყველაფერი ისეა ერთმანეთში გადახლართული, აწეწილ-დაწეწილი, იდუმალებით მოცული, რომ ალბათ ბევრი კვანძის ბოლომდე გამოხსნა კიდევ გამიჭირდება. ამასთან, იმასაც დავსძენ, რომ ბევრი არამზადა სისხლის სამართალში უნდა მიეცეს ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო და შეიძლება ციმბირშიაც ამოყონ თავი, რაც, რასაკვირველია, არც თქვენთვის არის სასიამოვნო და არც ჩემთვის.

ერთ-ერთი ასეთი არამზადა, თქვენ წარმოიდგინეთ, მამათქვენის ადვოკატია, რომელიც აღას ჰყავდა დაქირავებული (თქვენ ამ საზიზღარს არ იცნობთ). ეს კაცი, როგორც ამბობენ, ყველა ხვრელებშია გამოვლილი, პირწავარდნილი „ჩათუქესანია"[1] რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება გაუტარებია ისეთ დაწესებულებებში, სადაც თაღლითობის, ავაზაკობის და საძაგელი ბნელი საქმეების გარდა არაფერს აკეთებენ. იმ ატმოსფეროში და ისეთ ხალხთან ადამიანი რაგინდ წესიერი იყოს, ნაინც გაფუჭდება. ეს კაცი, მამათქვენის ადვოკატი, უმოწყალოდ ძარცვავდა აღას მოვალეებს. აღას სიკვდილის შემდეგ, როგორც ჩანს, დედათქვენი შეუშინებია, ამ უკანასკნელს თავისი მიამიტობის გამო, თავისი და თქვენი დების რწმუნებით ეს გაიძვერა მეურვის უფლებით აღუჭურვია — ცხვრის ფარა მგლისთვის ჩაუბარებია. ამის შემდეგ ამ ავაზაკს თავის გარშემო შემოუკრებია ნოქრები და საშინელ ბოროტმოქმედებებს აწყობდა მამათქვენის ქონების მიმართ.

მცირეოდენი წარმოდგენა რომ იქონიოთ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ, რამდენიმე ფაქტს მოვიყვან: ურიცხვი ადამიანების ხელში ყალბი თამასუქები აღმოჩნდა, ვითომდა მამათქვენის მიერ გაცემული, — განსვენებული მოვალედ სთვლის თავს გადაუხადოს დიდძალი თანხები სხვადასხვა პირთ. მე დანამდვილებით ვიცი, საწყალ მამათქვენს ფულის საჭიროება არა ჰქონდა და არავისგან არ ისესხებდა ფულს. მაშ საიდან ამოტივტივდნენ ეს

[1] ჩათუქესანი — ავაზა ;ი.

თამასუქები? ეგ ყველაფერი ნოქრების ოინებია, რომლებმაც იცოდნენ მამათქვენის ხელის მოწერა. აღა ერთი უსწავლელი კაცი იყო, თავისი ხელისმოწერის მეტი არაფერი იცოდა და ასეთ ხელისმოწერის მიმგვანება ადვილი საქმე იყო. ყალბი თამასუქების პატრონებს სარჩელი აღუძრავთ სასამართლოში, იქ კი ამ ყალბ თამასუქებს ამტკიცებს დედათქვენის რწმუნებული და თქვენი დების მეურვე, ქურდი, ავაზაკი და თაღლითი სიმონ იაგორიჩი.

ამ ყალბი დოკუმენტების შემოწმება და მათი გაბათილება რამდენადაც ძნელია, იმდენად ადვილია, მხოლოდ როგორც ზევით აღვნიშნე, ამ საქმეებთან დაკავშირებულია დიდი სისხლის სამართლის დანაშაულებანი, რომელიც ბევრის დაღუპვის მიზეზი გახდება. ასეთი ნაბიჯის გადადგმა თქვენი დასტურის გარეშე არ შემიძლია, ამიტომ ველოდები სათანადო განკარგულებას.

მე არ დამვიწყებია თქვენი სიტყვები, მოსკოვში რომ მითხარით: „ნიაღვრის მოტანილს ნიაღვარი წაიღებსო“... ასეც მომხდარა. განსვენებულს თავისი სიმდიდრე ისეთ მორღვეულ და მერყევ საფუძველზე დაუტოვებია, რომ სხვანაირი შედეგი არც იყო მოსალოდნელი — მისი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი უნდა მოსპობილიყო, ყველაფერი ჰაერში უნდა გამსკდარიყო... დედათქვენს ხელთ არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა, რაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აღას სიმდიდრეზე მემკვიდრეობის უფლებას მიანიჭებდა, ამიტომ თავისი გამოუცდელობით და უვიცობით ყველაფერი მხეცების ხახაში ჩაუყრია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დამნაშავე არ არის. განა აღა სიცოცხლის დროს ცოლს სთხოვდა თავის მეგობრად და დამხმარედ? არა. აღას იგი ოთხ კედელში ჰყავდა გამომწყვდეული და არაფერს უზიარებდა თუ რას საქმიანობდა, რას აკეთებდა გარეთ. ასეთ პირობებში ცხადზე უცხადესია, რომ აღას გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი უცხო პირებს ჩაუვარდებოდათ ხელში და ასეც მომხდარა. მამათქვენს თავისი დაღუპვა თვითონვე მოუმზადებია... წარმოიდგინეთ, წესიერი და კანონიერი საანგარიშო დავთრებიც კი აღარ არის დარჩენილი და რაც ყოფილა, ისიც გამქრალა“...

შემდეგ მიქაელი აღწერს აღას სიკვდილს, ამ უკანასკნელის ზმანებებს „ოქროს მამალზე“ და ბოლოს—ბედნიერებისა და სიმდიდრის ამ უხილავი მფარველის ერთადერთი ოქროს ბუმბულის იდუმალ ამბავს.

და ადარებს რა ამ ზმანებების სიზმარისეულ ალეგორიას სინამდვილესთან, წერილის ავტორი უმატებს: — ამრიგად, თუ „ოქროს მამლისაგან“ მამათქვენს ხელში შერჩა მხოლოდ ერთი ბუმ-

ბული... ასევე „ოქროს მამლის“ მიერ ბოძებულ სიმდიდრიდან აღას მემკვიდრეებს მხოლოდ პატარა ნაწილი დარჩათ... მაგრამ, რა იყო სინამდვილეში ის „ოქროს მამალი“, რომელიც ბატონობდა თქვენი ოჯახის ბედნიერებაზე, და თითქოს მისი კეთილი გავლენით გამარჯვებას აღწევდა მამათქვენი ვაჭრობაში? — სხვა არაფერი, თუ არა სიცრუე, მოტყუება, გაიძვერობა, თაღლითობა, უპატიოსნობა და გულამაზრზენი ეშმაკური ფანდები, რომლებიც ერთ პიროვნებაში ხორცშესხმულნი იდუმალი სულის სახიერებით მეფობდნენ საქმეებზე... მოკვდა დახელოვნებული საქმოსანი და მასთან ერთად მოკვდა „ოქროს მამალიც“... მე ასე ვხსნი თქვენი შთამომავლობის ძველი ლეგენდის აზრს. დაე ცრუმორწმუნეებმა სხვანაირად იფიქრონ“.

წერილის ბოლოს მიქაელი სტეფანეს აცნობებდა დედის და დების ამბავს. განსაკუთრებით ვრცლად და დაწვრილებით აღწერდა რიფსიმეს სილამაზეს, იმ დადებით თვისებებს, რაც ქალიშვილს ამ ხუთი წლის მანძილზე შეჰმატებოდა.

ის იყო, წერილი უნდა დაელუქა, რომ ქალბატონი მარიამი ეახლა. იგი დაღონებული შევიდა მიქაელთან და გვერდით მოუჯდა.

— მისწერე სტეფანეს, რომ მალე ჩამოვიდეს, არ დაიგვიანოს? — შეეკითხა იგი.

— ჩემი მიწერა ზედმეტია, იგი ჩამოვა, როცა თავის საქმეებს დაამთავრებს, — უპასუხა მიქაელმა.

— ოჰ, ნეტა როგორი იქნება ჩვენი ბოლო, ვიდრე ის ჩამოვა?..

— ჩემის აზრით, ძალიან კარგი. თქვენთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე თვითონ სტეფანეა. სხვა რაღა გინდათ? ასეთი შვილის ყოლა დიდი ბედნიერებაა.

— მე მწამს თქვენი სიტყვები, — უპასუხა ქალბატონმა, ცოტა არ იყოს გამხნევებულმა, — მერჩივნა ღარიბი ვყოფილიყავი, ლუკმა პურის ნატრული, ოღონდ ის გვერდით მყოლოდა... მეშინია იმის უნახავად არ განვუტევო სული...

— ნახავთ, მალე ნახავთ, ქალბატონო, ის მალე შეგისრულებთ ნატვრას.

— ჩვენზე რა მისწერეთ?...

— ბევრი რამ დავწერე... ყველაფერი მივწერე...

— მისწერეთ, რომ „ოქროს მამალი“ მოკვდა?

— მივწერე...

— ოჰ, ეგ რა უბედურება დაგვატყდა... — ღრმად ამოიოხრა ქალბატონმა და ცხვირსახოცი მიიდო თვალებზე.

— მაგრამ სტეფანე თქვენ ახალ ბედნიერებას, ახალ „ოქროს მამალს“ შეგიქმნით, რომელიც ის არ იქნება, რაც წინათ იყო... — უპასუხა მიქაელმა.

ქალბატონი გახარებული გავიდა გარეთ.

იმ დღიდან, რაც ჩამოვიდა მიქაელი, გაიანეს და რიფსიმეს იგი ახლოს ერთხელაც არ ენახათ და არც დალაპარაკებოდნენ. ისინი მხოლოდ შორიდან უმზერდნენ და როგორც კი მიქაელი ახლოს მოვიდოდა, უმალვე გარბოდნენ, თავიანთ ოთახში იმალებოდნენ. მიქაელს ქალიშვილების საქციელი არ აკვირვებდა, მან კარგად იცოდა თავისი ქვეყნის ზნე-ჩვეულებანი. წლების მანძილზე ერთად შეზრდილნი ახლა ისე უცხოობდნენ ერთმანეთს, გეგონებოდათ პირველად ხვდებიანო. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხუთი წლის მანძილზე მიქაელი გაზრდილ-დავაჟკაცებულიყო, ქალიშვილებს კი იმ ასაკისათვის მიეღწიათ, როცა უცხო ვაჟკაცთან მათი შეხვედრა აღარ შეიძლებოდა, უხერხული იყო. მარიამს სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა მიქაელის ჩამოსვლის პირველ დღესვე ქალიშვილებს უთხრა:

— იცით რა? თუმცა მიქაელს ძმის ალაგი უჭირავს, მაგრამ ახლა თქვენ დიდრონი გოგოები ხართ, თქვენს ასაკში სირცხვილია დიდ ბიჭთან ლაპარაკი.

ორივე და დედის დარიგებას კარგა ხანს ასრულებდა, მაგრამ ერთ დღეს მათ შორის ისეთი საუბარი გაიმართა, რაც პროტესტს უფრო ჰგავდა.

— იცი, გაიანე? დღეს მიქაელი შინ მოდიოდა, მე ჭიშკართან ვიდექი, კარები დააკაკუნა, გავუღე, მან ღიმილით მითხრა: „გამარჯობა რიფსიმეო“, არაფერი ვუპასუხე. მიქაელმა თავი დაღუნა და თავისი ოთახისაკენ წავიდა. მე ძალიან შემრცხვა, ძალიან... ვინ იცის, ახლა რას ფიქრობს? ალბათ ამბობს — ეს ქალიშვილი მთლად სულელი ყოფილაო.

— არ იტყვის, — გულგრილად უპასუხა გაიანემ, — იმან ჩვენი ქვეყნის ადათ-წესები კარგად იცის.

— ადათ-წესები რა შუაშია? — ცოტა გულმოსულმა უპასუხა რიფსიმემ, — განა მიქაელი ჩვენთვის უცხოა? რატომ არ შეიძლება დაველაპარაკოთ?

— უცხო არ არის, დაო, მაგრამ სხვები რას იტყვიან?

— რა უნდა სთქვან? ვის რა საქმე აქვს, ჩვენს სახლში აღზრდილ ბიჭს რომ დაველაპარაკოთ?

გაიანემ რიფსიმეს მიქაელთან იმდღევანდელი შეხვედრის გამო მღელვარება შეატყო, და დამრიგებლური კილოთი მიმართა:

—მართალია, ჩვენს სახლში ვისაც გვინდა, იმას დაველაპარაკებით, არავისი საქმე არ არის, მაგრამ ქვეყანას მოსდებენ.

— მოსდონ, მერე რა?

— მაშინ ჩვენ სახელი გაგვიტყდება, ათასგვარ ჭორებს შეთხზავენ ჩვენზე.

— ჭორები რომელია? მიქაელი ხომ ძმად გვერგება!

— ჰო, ასეა. მაგრამ მანც სხვა დედამამის შვილია.

— მართალი რომ გითხრა, გაიანე, მე ძალიან მინდა მიქაელს დაველაპარაკო. ხედავ, რა ლაზათიანი ბიჭი გამხდარა?

— ვხედავ... — იდუმალი ხმით მიუგო გაიანემ.

— ჩემის აზრით, ტოლი არა ჰყავს ჩვენს ქალაქში...

— არა ჰყავს...

ამ ლაპარაკზე დედამ შემოუსწრო და ქალიშვილები უმალვე გაჩუმდნენ.

თ

ზამთარმა გაიარა, გაიარა გაზაფხულმაც. ექვსი თვე შესრულდა, რაც აღა გარდაიცვალა. კვირა დღე იყო. მასისიანების ოჯახს ამ დღიდან სამგლოვიარო ტანსაცმელი უნდა გაეხადა და ჩვეულებრივი ჩაეცვა. მიქაელისათვის კი ეს კვირა დღე მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ გაიანე და რიფსიმე პირველად ჩაიცვამდნენ იმ ტანსაცმელს, რომელიც მიქაელმა მოსკოვში შეაკერინა და საჩუქრად ჩამოუტანა მათ.

დილაადრიან უამრავმა დედაკაცებმა მოიყარეს თავი მასისიანების ოჯახში ამ წესზე დასასწრებად. ქალებმა ჭირისუფლებს შავები გამოუცვალეს, მერე ეკლესიაში წაიყვანეს, იქიდან კი საფლავზე გავიდნენ აღასათვის პანაშვიდის გადასახდელად. სასაფლაოდან მასისიანების ბაღისაკენ გამოსწიეს. სადაც აღას მოსაგონარი სუფრა იყო გაშლილი. გაიანეს და რიფსიმეს ახალი ტანსაცმელი შეენოდათ. ამდენ ქალებში მამაკაცები არ ერევნენ. გარდა მიქაელისა, ისიც შორი-ახლო მოსდევდა. ქალების გუნდს ახლოს არ ეკარებოდა.

ბაღში რომ შევიდნენ, სტუმრები ტოტებით გადახურულ ტალაეერში შეგროვდნენ. ჭერმის დიდრონი ხეების ჩრდილქვეშ. ქალბატონი მარიამი საჭმელების გაკეთების თადარიგს შეუდგა, მას ეხმარებოდნენ ხანდაზმული დედაკაცები, ქალიშვილებმა კი ბაღში სასეირნოდ და ხილის საჭმელად გასწიეს. გაიანე და რიფსიმე რამდენი-

მე ამხანაგით გამოეყვნენ ქალების ჯგუფს და სულ სხვა მიმართულებით წავიდნენ სასეირნოდ.

მიქაელი მეტისმეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არავინ არ ეკარებოდა გარდა მოხუცებული დედაკაცებისა. ქალიშვილებს და ახალგაზრდა პატარძლებს მამაკაცთან ლაპარაკის უფლება არა ჰქონდათ. მიქაელი გაეცალა იქაურობას. ბაღის კუთხეში დარაჯი დაინახა და მასთან მივიდა.

— გამარჯობა, ხაჩო.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, აღა.

— წელს ხილის მოსავალს კაი პირი არ უჩანს, არა, ხაჩო?

— ჩვენი ცოდვებისაგან ყურძნის მოსავალიც ცოტაა, აღა, — უკმაყოფილოდ უპასუხა მებაღემ.

— რა არის მიზეზი?

— ვინ იცის? ერთმა ღმერთმა იცის... მაგრამ ჩემი მოკლე ჭკუით იმას ვიტყვი, რომ რაც პეტროს აღა გარდაიცვალა, ღვთის დოვლათმა და ბარაქამ ამ ბაღში იკლო. წინათ რო გენახათ ეს ბაღი, ნამდვილ სამოთხეს წაგავდა, ნაყოფით ხეებს ტოტები ისე ჰქონდა დამძიმებული, სარები რომ არ შეგვეყენებინა, იმტვრეოდა. ვენახის მოსავალს ხომ სათვალავი არა ჰქონდა. მომსვლელ-წამსვლელი ჭამდა, თან მიჰქონდა, მაინც, ას ქვევრ ღვინოს ვაყენებდით. ეხლა რაღა დარჩა?..

— ჩემის აზრით კი, — უპასუხა მიქაელმა, — ხილის მოუსავლიანობის მიზეზი ის არის, რომ წელს ხეებქვეშ მიწა არ გაგიფხვიერებია, ხაჩო, ვენახსაც სარეველა ბალახი მოსდებია, არ გაგიმარგლია. აბა სხვა რა მიზეზია?

— შენ, ალბათ, არ გაგიგია იმ უბედურების ამბავი?

— რა უბედურების?

— „ოქროს მამალი“ რომ მოკვდა...

— ვიცი...

— ახლა ხომ მიხვდი? იმისაგან არის. „ოქროს მამალი“ რომ მოკვდა, იმ დღიდან ყველაფერი აირდაირია, აღარც ხე იძლევა ნაყოფს და არც ვაზი ყურძენს, ეს სეტყვაო, ეს მატლიო და ყველაფერი მოისპო.

მიქაელმა არაფერი უპასუხა.

— ოც წელზე მეტია ამ ბაღში ვმუშაობ, — განაგრძო მოხუცმა მებაღემ, — ყველა ხე საკუთარი შვილივით მიყვარს, აი ამ თითებით მომივლია, მიპატრონებია და გამიზრდია ისინი (დაკოჟრებულ თითებს უჩვენებს), მაგრამ ახლა, მართალი გითხრა, გული ავიყა-

რე, თვალში არაფერი მომდის, მეტადრე იმ დღიდან, როცა ჩემმა ყურებმა გაიგონა ის სამწუხარო ამბავი...

— რა ამბავი.

— ამბობენ, ეს ბაღი ვალში უნდა გაიყიდოსო. ეს ამბავი დანასავით მომხვდა გულზე. გაგონილა? განსვენებულ აღას იმოდენა ქონება ჰქონდა, არაქსში რომ ჩაეყარათ, მდინარეს დააგუბებდა. რა იქნა? სად გაქრა, რომ ახლა ბაღსაც ჰყიდიან?

— არ გაიყიდება, ხაჩო, ნუ დარდობ, — ანუგეშა მიქაელმა.

— ახ, ხაჩო აღარ იცოცხლებს, ეს ბაღი რომ გაიყიდოს, — მიუგო მოხუცმა მებაღემ ოხვრით და დაკოჟრებული ხელით ცრემლი მოიწმინდა თვალებზე.

ხაჩოს მწუხარება უსაფუძვლო როდი იყო, ბაღზე უკვე ყადაღა იყო დადებული, ვალში უნდა გაყიდულიყო, მაგრამ საქმეში მიქაელის ჩარევის გამო რამდენიმე თვით გადაედოთ.

მიქაელმა, რომელიც არა ნაკლებ იყო ამ ამბით შეწუხებული, ორიოდე სანუგეშებელი სიტყვა უთხრა მოხუც მებაღეს და გაშორდა.

მიუხედავად ამისა, ბაღში ყველაფერი მშვიდად სუნთქავდა და საამური სანახავი იყო. ერთი ფოთოლიც კი არ ირხეოდა. მზის ოქროსფერი სხივების ნაკადი უხვად ეფინებოდა ხეებს, მაგრამ ხშირი ფოთლების ტევრში სიცხე ვერ ატანდა. ფოთლებით შემოსილი მცენარეების ქვეშ საამური სიგრილე და მაცოცხლებელი ჰაერი იდგა. ფრინველთა გუნდები ტოტიდან ტოტზე დაფრინავდნენ და საამური ტკბილი გალობით იქაურობას აყრუებდნენ. მაგრამ გაღვიძებული ბუნების ეს მომხიბვლელი სურათი მიქაელზე მაინცდამაინც დიდ გავლენას არ ახდენდა. იგი გზადაბნეულივით დაეხეტებოდა გულჩათხრობილი, მარტოდმარტო მიაბიჯებდა ხეებს შორის გაწოლილ ბილიკზე და მშვიდად შესცქეროდა ცოცხალი მცენარეების კედელს, რომელიც ბილიკს გასდევდა.

შორიდან თვალი მოჰკრა ქალიშვილების ჯგუფს. გოგონები ტყის ფერიებივით დაჰქროდნენ ხეებს შუა, კისკისებდნენ, მხიარულობდნენ. მიქაელი მეორე მხარეს წავიდა, რომ მათ არ დაენახათ. ქალიშვილების გუნდს ორი გოგონა გამოეყო და ნელ-ნელა შორიახლო ჩაუარეს. ისინი სამყურა ბალახებში ოთხ ფოთლიანს ეძებდნენ. ამათგან ერთი რიფსიმე იყო, მეორე უცნობი ქალიშვილი.

— რად გინდა, ასე გაფაციცებით რომ დაეძებ? — შეეკითხა რიფსიმეს მეგობარი.

— ოჰ, ნეტავი მაპოვნინა... — მიუგო რიფსიმემ და თავისი ნაზი ხელებით ძებნა განაგრძო.

— რად გინდა-მეთქი, რაში გჭირდება?

— ჩემი ბედის გამოცდა მინდა.

უცნობმა გოგონამ, რომელსაც სახეზე ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა, ყრუ მიმანიშნებელ კილოზე უთხრა:

— შენ შენს ბედს უკვე მიღწეული ხარ... რაღა გინდა?..

— არა, ნაზანი, ტყუილს ამბობენ, — უპასუხა ალმურმოღებულმა რიფსიმემ.

— ტყუილი რომელია? მთელი ქალაქი ლაპარაკობს...

— რას ამბობენ?

— ამბობენ, მასისიანების სახლში. — რა ჰქვიან სახელი? — ჰო, მიქაელს რიფსიმე უყვარსო.

— არ ვიცი, ნაზანი, ღმერთმანი არ ვიცი.

— მაგრამ შენ თუ გიყვარს?

— მე...

„მეს“ პასუხი მიქაელმა ვერ გაიგო. გოგონებმა ჩაიარეს. მაგრამ მათმა საუბარმა ღრმა კვალი დააჩნია მიქაელის სულს. განსვენებული აღას საქმეებით და იმის გაუბედურებულ ოჯახზე მზრუნველობით მიქაელი ისე იყო გართული, რომ დღემდე ფიქრადაც არ მოსვლია თავის გულს ამაზე მოლაპარაკებოდა. დღევანდლამდე იგი ერთხელაც არ დაინტერესებულიყო რიფსიმეთი, ერთხელაც არ შეეხედა, როგორც ამბობენ, მუშტრის თვალით. დღეს მიქაელმა პირველად დაინახა იგი, პირველად შეავლო თვალი როგორც საჭირო იყო და მერე რა? რიფსიმე მთელი თავისი სილამაზით წარმოუდგა და სიკეკლუცით მოაჯადოვა კიდეც.

შუადღე გადაცილებული იყო უკვე, სადილობის დრო დადგა. ყოველი კუთხიდან დედაკაცები და ქალები ფარდულთან მოგროვდნენ, სადაც სუფრა იყო გაშლილი. მიქაელი თავის ორ ნაცნობს ელოდებოდა, რომლებიც შეჰპირდნენ — გამოგივლით ბაღში და ერთად ვისადილოთო. ისინიც გამოჩნდნენ. მიქაელი წავიდა მათ შესახვედრად. ესენი ჩინოვნიკები იყვნენ, რომლებიც სასამართლოში მუშაობდნენ.

— ჩვენ ალბათ დავაგვიანეთ, არა? — სთქვა ერთმა მათგანმა და ხელი მაგრად ჩამოართვა მიქაელს.

— ბევრიც არ დაგიგვიანიათ, დედაკაცები ეს არის ახლა დასხდნენ. — უპასუხა მიქაელმა და ხელი გაიშვირა ფარდულისკენ.

— ოჰო, რამდენი ხალხი შეგროვილა! — თქვა ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა, — მაშ ჩვენ მათთან ერთად არ უნდა ვისადილოთ?

— კარგი იქნებოდა, მაგრამ იქ აბა ვინ მიგვიშვებს, — დასძინა მიქაელმა და დაღვრემილი პირისახის ნაკვთები აუთრთოლდა.

— გთხოვთ ამიხსნათ, სად გაგონილა, რომ ჩვენ ცალკე ვისადილოთ, იმათ ცალკე.

— მე თუ მკითხავთ, ვერაფერი სიამოვნების მომგვრელია ჩვენი ქალების საზოგადოებაში ყოფნა. აბა, რაზე უნდა ელაპარაკო? ვერც შენ გაუგებ იმათ და ვერც ისინი გაგიგებენ შენ, პირში წყალჩაგუბებული უნდა ისხდეთ და უყუროთ ერთმანეთს. ჩვენ რომ მათში გავერიოთ, უფრო ხელს შევუშლით დროსტარებაში.

ამ საუბრით მიქაელმა სტუმრები მიიყვანა დიდი მსხლის ქვეშ. მათთვის ცალკე გაშლილ სუფრასთან, რომელსაც მოხუცი მებაღე ემსახურებოდა.

სუფრაზე მეტწილად საუბრობდნენ მასისიანის სიკვდილზე, „ოქროს მამალზე“. სიმონ იაგორიჩის თაოსნობით აღას ნოქრების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე. ერთი სიტყვით, საუბრობდნენ იმაზე, რაც იმ ხანებში ყველას პირზე ეკერა.

— გაიგე, მიქაელ? — მიმართა ერთმა მოხელემ. — დღეს ოთხივე დააპატიმრეს, ეხლა ციხეში სხედან... — ეს ეხებოდა სიმონ იაგორიჩსა და მასისიანის სამ ნოქარს.

— უკვე გვიან არის... — ცივად მიუგო მიქაელმა. — ამაზე იტყვიან — „ქორწილის შემდეგ მუსიკაო“. გაძარცული საქონლის მეტი ნაწილი გაუნადგურებიათ.

— იმათ ციმბირი არ ასცდებათ.

— მერე, მაგაში რა ხეირია? იმათი გაციმბირება მასისიანის შვილებს კუჭს ვერ გაუძღობს.

— დღემდე გაოცებას ვარ, სად გაგონილა ასეთი ავაზაკობის ჩადენა.

— გასაოცარი სწორედ ის არის, რომ ეგ ავაზაკები ბოლო დრომდე მსახურობდნენ... — მწარე სინანულით უპასუხა გაბოროტებულმა მიქაელმა. — მე იმას როდი ვწუხვარ, რომ მაგ ავაზაკებმა მასისიანის ფულები გაქურდეს, ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ თამასუქებით სავსე ყუთიც მოიპარეს და ჩალის ფასად მასისიანის მოვალეებს ჩააბარეს. მაგრამ ესეც არ იკმარეს, განსვენებულის ხელმოწერას მიამგვანეს, ყალბი თამასუქები შეთხზეს და დაქირავებულ პირებს გადასცეს. ეს საშინელი სისხლის სამართლის საქმეა, წესიერი გამოძიების შემდეგ ბევრი რამ გამომჟღავნდება და შეიძლება ისეთი ადამიანებიც ჩავარდნენ, რომლებზე ეჭვიც არა გვქონია...

— მერე და, მაგ არამზადებმა იმდენი ფული რა უყვეს?

— ხომ გაგიგიათ — „ქურდი ქურდსა ჰპარავდა, ღმერთი ცაში იცინოდაო“. ქურდებმა ფულებიც თავიანთნაირ ქურდებს ტაუნაწილეს, ისეთებს, რომლებიც მათ იცავდნენ... მასისიანის ოჯახის დანგრევით ათი-ოცი ქურდის ოჯახი აშენდა...

— მაშასადამე, ეგ ოჯახი საბოლოოდ გაღატაკდა?

— ჯერ არ ვიცით... — მიუგო მიქაელმა.

ნასადილევს მიქაელის სტუმრებმა მდინარეში, რომელიც მასისიანის კარ-მიდამოს გვერდით ჩაუდიოდა. ბანაობა მოინდომეს. მიქაელი ბანაობის გუნებაზე არ იყო, მაგრამ ზრდილობისათვის უარი ვერ ჰკადრა და ისიც გაჰყვა. ამ დროს დედაკაცებსაც დაემთავრებინათ პურობა, აშლილიყვნენ და ბაღში დასეირნობდნენ.

მდინარის ნაპირს რომ მიაღწიეს, მიქაელი ამხანაგებს ჩამოშორდა, დიდი კაკლის ხის ქვეშ ბალახებზე მიწვა და ჩაფიქრებული გასცქეროდა მდინარის აქაფებულ ტალღებს. რომლებიც გამეტებით ეხეთქებოდნენ კლდიან ნაპირებს და უკუქცეულნი ხმაურით განაგრძობდნენ თავიანთ გზას.

ამ მდინარის შემყურე მიქაელს მოაგონდა არაქსის ნაპირები, სადაც გაეტარებინა ბავშვობის დაუვიწყარი დღეები, თვალწინ დაუდგნენ თავისი ამხანაგები, საყვარელი და გულკეთილი მეგობრები, რომელთა შორის ყველაზე ბედნიერად გრძნობდა თავს. მერე გააცხენდა ბებია შუშანა, ავეტ ბიძა, ისინი უკვე დიდი ხანია საფლავში განისვენებდნენ... მიქაელის მეხსიერებაში ბავშვობის ეს დღეები სიზმარივით იცვლებოდა, ისევე, როგორც ამ მდინარის აქოჩრილი ტალღები. მჩქეფარე ცხოვრებას რომ ჰგავდნენ.

ბაღის ეს ნაწილი შემოღობილი არ იყო, უშუალოდ მდინარე ესაზღვრებოდა და ხეები მდინარის ნაპირს გასდევდნენ. უეცრად ბაღში საზარელი ხმაური და ქალების- წივილ-კივილი გაისმა. მიქაელი ელვის სისწრაფით წამოხტა და იქით გაიქცა, საიდანაც წივილ-კივილი ისმოდა. ხმაურის ადგილზე მისული მიქაელი ასეთი სურათის მოწმე გახდა: რამდენიმე გულშეღონებული ქალიშვილი შიშისაგან ჩირგვებს ამოფარებოდა... რიფსიმე მიწაზე ეგდო ერთ ვეებერთელა აბურძგვნილი ძაღლის თათებშუა მოქცეული. მიქაელი მარჯვედ მიიჭრა ვენახთან, ვაზის ერთი სარი მოგლიჯა, ძაღლს უკნიდან მიეპარა და თავში ისე მაგრად დასცხო, რომ მეორე დარტყმაზე ძაღლი უსულოდ დაეცა მიწაზე...

ქალიშვილი უვნებლად გადარჩა. მხოლოდ მარჯვენა მკლავზე ეტყობოდა უმნიშვნელო ნაფხაჭნები, საიდანაც სისხლი სდიოდა და წითელ ზოლებს სტოვებდა გოგონას საზაფხულო ტანსაცმელზე.

მიქაელს კარგად ესმოდა თუ რა ხიფათი მოსდევდა ცოფიანი ძაღლის ნაკბენს, მაშინვე მკლავებზე დაისვენა გულშეღონებული ქალიშვილი და დედას მიუყვანა. საცოდავ მარიამს გული შეუღონდა, შვილი ამ მდგომარეობაში რომ იხილა. ამ ამბავმა სტუმრებს გული დასწყვიტა და შეძრწუნებულნი გაიფანტნენ სახლებში. რიფსიმე ცხენზე დაასვენეს და მაშინვე წაიყვანეს ექიმთან.

0

რიფსიმეს ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა. ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და დაასკვნა, რომ ჭრილობა ძაღლის ნაკბენი კი არა, მხოლოდ გაკაწრული იყო. რიფსიმე ერთ კვირაში გამოკეთდა, ფეხზე წამოდგა. მართალია თავს ძალიან სუსტად გრძნობდა, სახეც გაფითრებული ჰქონდა, მაგრამ თვალები უჩვეულო, თითქოს მოხეტიალე ცეცხლით უბრწყინავდა.

მკლავზე წყლული რიფსიმეს მალე მოურჩა, სამაგიეროდ უმანკო გულში გასჩენოდა ახალი ჭრილობა, რომელიც ასტღიკის შვილის მახვილ ისარს დაეტოვებინა.

იმ დღემდე რიფსიმეს უმანკო გული დაუკოდავი იყო. ახლა კი რაღაც უცნობი, იდუმალი გრძნობა სტანჯავდა, რის ამოხსნაც ქალიშვილს არ შეეძლო. იგი ყოველთვის დაღონებული იყო, მუდამ სდუმდა, სულ იმას ცდილობდა ამხანაგებს გაქცეოდა, — მარტოობა სწყუროდა, რომ ტირილით დაესიებინა ლამაზი შავი თვალები.

ქალბატონ მარიამს არ გამოჰპარვია თავისი საყვარელი ქალიშვილის ასეთი უეცარი ცვლილება: „რა დაგემართა შვილო“? — ეკითხებოდა იგი, — „არაფერი“... — ჩვეულებრივ პასუხობდა რიფსიმე.

დები უფრო ახლოა არიან და ხშირად თავიანთ გულის დარდებს გაანდობენ ხოლმე ერთიმეორეს. ის საიდუმლოება, რის გაგებაც დედამ ვერ შესძლო, უფროსმა დამ გაიანემ ამოხსნა.

— რა გემართება, რიფსიმე, შემოდგომის ფოთოლივით რომ გაყვითლდი, — შეეკითხა გაიანე, როცა ისინი ერთ დღეს განმარტოებული ისხდნენ ბაღში.

— მეც არ ვიცი, ჩემო დაო, — უპასუხა რიფსიმემ და თავი დახარა.

— არა, რაღაც ამბავია შენს თავს, არ მეუბნები. უთუოდ რაღაც გაწუხებს...

რიფსიმემ არაფერი უპასუხა, ისევ თავჩაღუნული იჯდა და თითებით ბალახს წიწკნიდა, რომ როგორმე აბობოქრებული გული დაეწყნარებინა.

— რაკი შენ არ მეუბნები, ნუ იფიქრებ, რომ მე არაფერი ვიცი, — თქვა ჯაიანემ ხუმრობის კილოზე, — თუ გინდა თვითონ გეტყვი?

— რას მეტყვი?

— შენი ტანჯვის მიზეზს.

— არ მინდა, ნურაფერს მეტყვი, — უპასუხა რიფსიმემ, წამოდგა და წასვლა დააპირა.

— დაჯექი, ნუ მიდიხარ, — ხელი ხელში ჩაავლო გაიანემ.

რიფსიმე ისევ გვერდით მოუჯდა დას. გაიანემ განაგრძო:

— რიფსიმე, ჩემო დაო, რადა გრცხვენია? რად მიმალავ შენს გულისტკივილს? მე ყველაფერი ვიცი, შენ შეყვარებული ხარ...

რიფსიმე კვლავ სდუმდა, მხოლოდ ეს იყო, რომ ფერმკრთალ სახეზე ოდნავ სიწითლემ გადაურბინა და თვალები ისე გაუბრწყინდა, რომ გაიანემ მაშინვე ამოიცნო თავისი დის გულის ნადები. მან აღარაფერი უთხრა რიფსიმეს, მოეხვია, გულში ჩაიკრა და მხურვალედ გადაკოცნა. მის მკერდში თავჩარგულ რიფსიმეს კი ქვითინი წასკდა.

ცოტა რომ დამშვიდდა, ლაპარაკი დაიწყო.

— ჩემო დაო, ღმერთმანი მეც არ ვიცი, მიყვარს თუ არა? მაგრამ იმ დღიდან, ცოფიანი ძაღლი რომ მომმვარდა და კინაღამ დამგლიჯა, სწორედ იმ დღიდან მშვიდად ვეღარ ვგრძნობ თავს. ცხადად თუ სიზმრად სულ თვალწინ მიდგას... მუდამ მასთან ვსაუბრობ...

— სინამდვილეში კი არ ელაპარაკები.— ღიმილით შენიშნა უფროსმა დამ.

— ფიქრებში ველაპარაკები... — უპასუხა რიფსიმემ, — როცა შევხვდები ხოლმე, მინდა ხმა გავცე, რაიმე ვუთხრა, მაგრამ ენა არ პემორჩილება — არ ვიცი, რაზე ჩამოვუგდო საუბარი... ასე მგონია, რომ ისიც გამორბის, და ეგ უფრო მტანჯავს... ალბათ ამჩნევ, რომ ბ უკანასკნელ დღეებში ძალიან გვიან ბრუნდება შინ და მოვა თუ არა, მაშინვე თავის ოთახში ჩაიკეტება ხოლმე. დილდილობით ხომ ვერასოდეს ვერ დალანდავ...

დების საუბარი მიქაელს შეეხებოდა. ქალიშვილებმა კარგა ხანა ილაპარაკეს. ამასობაში დღემ ნელ-ნელა აიკრიბა კალთები და ხეებით დაბურულ ბაღში ბინდბუნდი ჩამოწვა, — დაღამდა. ეს იყო ხაფხულის ერთ-ერთი ისეთი საღამო, რომელიც მთელი დღის საშინელი სიცხით შეწუხებულ ადამიანებს საამო სიგრილეს მოჰგვრის ხოლმე. მიუხედავად სიბნელისა, დები ისევ ისხდნენ ბაღში და საუბრობდნენ. ისინი საუბრით ისე იყვნენ გართულნი, რომ არ შეუნიშნავთ ერთი ადამიანი, რომელიც მათ ლაპარაკს ყურს უგდებდა...

ბოლოს გაიანე წამოდგა და რიფსიმეს უთხრა:

— შევიდეთ სახლში, დაო.

— ჯერ ადრეა, ჯდომით დავიღალეთ, მოდი ცოტა გავისეირნოთ.

გაიანემ და რიფსიმემ ხეტიალი დაიწყეს მთვარის ვერცხლისფერ სხივებით განათებულ ბაღში. ის უცნობი კი, დების საუბარს ყურს რომ უგდებდა, მოწყდა თავის ადგილს და სწრაფი ნაბიჯით გასწია ქალბატონი მარიამის ოთახისაკენ.

ეს უცნობი მასპინძლის ოჯახიდან განდევნილი ქალიშვილი იყო. იგი წლების მანძილზე არ ეკარებოდა მშობლიურ კერას და პირველად მაშინ გამოჩნდა ამ კარ-მიდამოში, როცა განსვენებულ მამას უკანასკნელად ეთხოვებოდა, ხოლო მეორედ — რიფსიმეს ავადმყოფობის ამბავი რომ შეიტყო. ეს იყო ის უბედური შვილი, რომელსაც აღა, მისთვის ჩვეული გულგრილობით, ზედმეტი სახელით — „ის საზიზღარიო“ — მოიგონებდა ხოლმე... იგი ქალბატონ მარიამის უფროსი ქალიშვილი გახლდათ, სახელად ნუნე. მოწიფული ქალიშვილი რომ შეიქნა და გათხოვების დრო დაუდგა, ნუნე ოცნებობდა ტკბილი ოჯახის მოწყობაზე, მაგრამ აღა ყურსაც არ იბერტყავდა. მაშინ ქალიშვილმა შეიყვარა მამის ერთ-ერთი ნოქარი, სახლიდან გაიქცა და მას მისთხოვდა.

ეს ამ ნუნემ მარიამს დაწვრილებით უამბო გაიანეს და რიფსიმეს ლაპარაკის შინაარსი, რაც ბაღში მოისმინა.

— მეც ვამჩნევდი მაგას... — თქვა დედამ, როცა ნუნემ დაამთავრა ლაპარაკი, — მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ერთი ნათელია, რიფსიმე შეყვარებულია, — თქვა ნუნემ, ახლოს მიუჯდა დედას და ხმადაბლა უთხრა, — ახლა საჭიროა ისიც შევიტყოთ — მიქაელსაც უყვარს იგი, თუ არა?

— როგორ უნდა შევიტყოთ? — ჰკითხა დედამ, — მიქაელი ძალიან გულჩახვეული ბიჭია. იმისგან ძნელია რაიმეს გაგება.

— სიყვარულის დამალვა არ შეიძლება. ის თვითონ იჩენს თავს. კაცი რაც უნდა გულჩათხრობილი იყოს, სიყვარულს მაინც ვერ მოერევა, ადრე თუ გვიან თავის თავს გასცემს. ეს საქმე უთუოდ უნდა მოვაგვაროთ...

ამ რამდენიმე წუთში ქალბატონ მარიამს გატანჯული სახე ხან სიხარულით გაუცისკროვნდებოდა ხოლმე, ხან სევდა-ნაღველით მოეჭუფრებოდა. ამ ცვლილებებს მარიამის სახე აშკარად ამჟღავნებდა, რადგან ქალბატონს გული ფოთოლივით უცახცახებდა,

— ნუთუ შეიძლება ამის მოგვარება? — შეეკითხა დედა, ისე, რომ თავისი სიტყვებისა თავადაც არა სჯეროდა. — მე, ჩემო ნუნე, მართალი რომ გითხრა, გაოცებული ვარ. ვერ მომიფიქრებია, რა გზას დავადგე... ოჰ, ღმერთო ჩემო, რა იქნება მაგ გოგოს ბოლო, თავის საწადელს რომ ვერ მიაღწიოს!..

— შენ არხეინად იყავი, დედი, ისინი თავიანთ საწადელს მიაღწევენ, — დაიმედა ნუნემ უფრო გამოცდილი და საქმისმცოდნე ქალის კილოზე, — ოღონდ თაკიანთ ნებაზე უნდა მიუშვათ, მაშინ „წყალი თავის გზას იპოვნის“...

— ძნელია, — ორგოფულად მიუგო დედამ, — ძალიან ძნელია. ეხლა მიქაელს მოსვენებას არ აძლევენ. ყოველი მხრიდან სთავაზობენ ქალებს. მერე რა ქალებს! მდიდარი ოჯახებიდან გამოსულებს. ჩვენ კი რაღა გაგვაჩნია?.. სხვა საქმეა, აღა რომ ყოფილიყო ცოცხალი, ან უწინდელი შეძლება გვქონოდა...—და უბედურ დედაკაცს ამის თქმაზე თვალები ცრემლებით აევსო. ნუნემ გამხნევება დაუწყო დედას:

— არა მგონია,—უთხრა მან,—რომ მიქაელმა ფულის გამო თავი აარიდოს. რიფსიმე იმისთვის ყველაზე დიდი განძია.

— ეჰ, შვილო, მთელი ქვეყანა ფულს შეჰყურებს. აი, ხომ ხედავ, ეხლა ჩვენ ყურადღებას აღარავინ გვაქცევს, წინათ კი... წინათ კი დიდ პატივისცემად მიაჩნდათ, თუ დაველაპარაკებოდით, თუ ვინმეს ღირსად გავხდიდით.

— ეგ მართალია, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, დედა, რომ მიქაელი ფულით არ მოტყუვდება, ის, როგორც ამბობენ, ბევრი ფულის პატრონია.

— ზედმეტი ქონება ვის გადაუყრია, ფულით ვინ გამძღარა. რომ ის გაძღეს?

— ასეა თუ ისე, მე იმედი მაქვს, რომ ეს საქმე გაიჩარხება, — უპასუხა ნუნემ, — სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდეთ...

— ვნახოთ... — უიმედოდ თქვა დედამ — ვნახოთ, ღმერთი როგორ მოგვიმართავს ხელს.

უეცრად ოთახში მხიარული კისკისით შემოცვივდნენ დები და მარიამმა და მისმა უფროსმა ქალმა ლაპარაკი შეწყვიტეს.

ამ დროს მიქაელი მარტო იჯდა თავის ოთახში. მაგიდაზე გახსნილი წერილი იყო. აიღო და ერთხელ კიდევ გადაიკითხა. ეს რამდენიმე თვის წინათ თავის მიერ გაგზავნილ წერილზე სტეფანესაგან მიღებული პასუხი იყო.

— ყველა სტრიქონი იმის დიდსულოვნებაზე მეტყველებს, — თავისთავს ელაპარაკებოდა მიქაელი, — ამ წერილში სტეფანე ისევ ისეთი მკაცრი, მიუკარებელი და ზვიადი სტეფანეა, როგორიც წინათ იყო. მე დაწვრილებით შევატყობინე მამის სიკვდილის ამბავი, ვაცნობე აგრეთვე იმის დატოვებული სიმდიდრის განიავების მთელი საიდუმლოება, ის კი აი რა პასუხს მაძლევს: „მე, როგორც ექიმი, მამიჩემის სიმდიდრეს ექიმის თვალით ვუყურებ: როცა ავადმყოფის სხეულზე რაიმე სიმსივნე გაჩნდება, მე ვუცდი, რომ თვითონ გასკ-

დეს და ჩირქი გამოვიდეს. მაგრამ თუ ეს არ მოხდა, მაშინ ჩავერევი ბოლმე ჩემი ნესტარით... დაგროვილი სიდამპლე ორგანიზმს მოშხამავს და შედეგი სახიფათოა. მამაჩემის სიმდიდრეც ასეთი დიდი, ყოველგვარი ჩირქოვანი სიდამპლით სავსე სიმსივნე იყო. იმისმა ნოქრებმა, მართალია ბოროტი განზრახვით, მაინც ერთგვარი ექიმის როლი შეასრულეს, — უჩხვლიტეს ამ სიმსივნეს და მასში დაგროვილი სიდამპლე გარეთ გამოიტანეს... ავადმყოფმა ტკივილს ვერ გაუძლო — მოკვდა... მაგრამ იმისი შთამომავლები გამოჯანსაღდნენ“. . რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ისევ ნოქრების შესახებ ლაპარაკობს და მწერს: „თავი გაანებეთ. თუ ღმერთი გწამთ, მაგ საცოდავებს. ისინი დამნაშავენი არ არიან, ეგენი მამიჩემის ყველაზე კარგი მოწაფეები აღმოჩნდნენ, რომელთაც სამაგალითოდ შეუთვისებიათ იმისგან მიცემული გაკვეთილები... ვინ შეასწავლა მათ ქურდობა?.. მე მებრალებიან ეგ საბრალო არსებანი... თქვენც შეიბრალეთ ეგენი...“

კარები გაიღო და ოთახში რიფსიმე შემოვიდა.

— ჰმ, რა მოხდა?

— ვახშამი მზადაა. დედაჩემმა დაგიბარათ, გთხოვთ მობრძანდეთო, — უპასუხა ქალიშვილმა ენის ბორძიკით.

— ოჰო, რა ზრდილობიანად ლაპარაკობ, რიფსიმე? სად და როდის შეისწავლე? — მიქაელი წამოდგა ადგილიდან, ქალიშვილთან მივიდა და მისი ხელები თავის ხელებში მოაქცია.

რიფსიმე ჭარხალივით გაწითლდა და პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა.

— ხუმრობა იქით იყოს რიფსიმე, მე კვლავ გაფრთხილებ, რომ თავს კარგად არ უვლი. შენ ჯერ მთლიანად გამოჯანმრთელებული არა ხარ. შეიძლება ისევ ავად გახდე, თუ წუხანდელივით ისეირნებ ბაღში, სადაც ნესტია, მეტადრე უკანასკნელი წვიმების შემდეგ.

— შენ მნახე, იქ რომ ვსეირნობდი? — შეეკითხა ქალიშვილი და მიქაელს სახეში მიაჩერდა.

— გნახე, გაიანეც შენთან იყო, ჯერ ისხედით, მერე წამოდექით და სეირნობა დაიწყეთ.

— მაშ ალბათ ჩვენს ლაპარაკსაც მოჰკრავდი ყურს?.. — შეეკითხა ოდნავ გაღიმებული რიფსიმე.

— არა, არაფერი გამიგია. ჩვეულებად არა მაქვს ჯელი ქალიშვილების საიდუმლო ლაპარაკს ყური დავუგდო, ეგ ნუნეს საქმეა...

— მართლა? — შეჰკივლა ქალიშვილმა. — მაშ, ის გვისმენდა?.. რა ეშმაკი ქალი ყოფილა!..

მიქაელმა, როგორც იტყვიან, „სუნი აიღო“, — იგი თავისი სატრფოს ნაკვალევზე შეხვდა ნუნეს. ბაღში სასეირნოდ გასულმა ჯერ

დები შეამჩნია. რომლებიც ხის ქვეშ ისხდნენ და ტკბილად მუსაიფობდნენ. მერე კი — ერთ დიდ ხის უკან ამოფარებული ნუნეც. იგი ყურს უგდებდა დების ლაპარაკს. ნუნეს საქციელმა ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა მიქაელს. მიქაელმა გაიფიქრა, ნუნე ასე საეჭვოდ არ დაზვერავდა თავის დებს, რაიმე სერიოზული მიზეზი რომ არა ჰქონდესო. რიფსიმეს გაოცებამ და აწითლებამ მიქაელი უფრო ღრმად დაარწმუნა თავის ვარაუდში.

— ხომ გითხარი. რომ ყველაფერი ვიცი-მეთქი?.. — მიმართა მიქაელმა ქალიშვილს.

— არაფერიც არ იცი, — სიცილით უპასუხა რიფსიმემ, — შენ გინდა, მე მათქმევინო...

— რა უნდა გათქმევინო?

— ის, თუ რას ვლაპარაკობდით მე და გაიანე... მაგრამ მე არ გეტყვი, რაც გინდა ბევრი მეხვეწო, მაინც არ გეტყვი...

— შენ არ მეტყვი, მაგრამ გაიანე მეტყვის, ის ძალიან კეთილია.

— მაშ მე ბოროტი ვარ?

— შენ, შენი ნათქვამი ხარ.

— კარგი, კარგი, წავიდეთ, იქ გელოდებიან, — მიუგო ქალიშვილმა, ხელი ჩაავლო მიქაელს და თითქმის ძალით გაიყვანა.

ეხლანდელი რიფსიმე ამ ცოტა ხნის წინანდელი მორცხვი, მშიშარა რიფსიმე როდი იყო, არამედ ისევ ის პატარა, მზიარული და სიცოცხლით სავსე გოგონა, რომელმაც ხუთი-ექვსი წლის წინათ ვარდობის დღეს წყლით გაწუწა მიქაელი და აიძულა ახალი ტანისამოსი ჩაეცვა. ამჟამად რიფსიმეს წინაშე იდგა ახალ ტანსაცმელში კოხტად და გემოვნებით გამოწყობილი მიქაელი, წესიერი, დარბაისელი, ფრიად განათლებული ჰაბუკი. მიქაელმა სიამოვნებით მიიღო ქალიშვილის მიწვევა და ერთად შევიდნენ ქალბატონ მარიამის ოთახში, სადაც ყველანი მაგიდას შემოსხდომოდნენ ვახშმის მოლოდინში.

ბაღში მომხდარი შემთხვევის შემდეგ მასისიანების ურთიერთობა მიქაელთან არსებითად შეიცვალა, იმ დღიდან იგი ამ ოჯახის ნამდვილი წევრის უფლებით სარგებლობდა. ქალბატონი მარიამი ხშირად ეტყოდა ხოლმე: — ეხლა მე ორი ვაჟიშვილი მყავს, ერთი შენ, ჩემო მიქაელ, მეორე — ჩემი სტეფანე. გაიანე, რიფსიმე და ნუნე თავისუფლად შედიოდნენ მიქაელის ოთახში, უსუფთავებდნენ, წესრიგში მოჰყავდათ და ხშირად ლაპარაკსაც გაუბამდნენ ხოლმე. სადილსა და ვახშამს ერთად სჭამდნენ, ზოგჯერ ჩაიზეც ერთად იყვნენ, თუ მიქაელი თავის ოთახში რაიმე სასწრაფო საქმით არ იყო დაკავებული. საღამოობით მიქაელი ქალიშვილებთან ერთად სეირნობდა ბაღში და საამოდ ესაუბრებოდა. მიქაელი მეტ წილად თავისი მოგზაურობის

შთაბეჭდილებებს ჰყვებოდა, ევროპასა და მოსკოვში გატარებული წლების ამბებს. იმ საღამოს კი, როცა რიფსიმემ ვახშამზე გაიყვანა, განსაკუთრებული ლაპარაკი არა ჰქონიათ, მიქაელმა მასისიანების ოჯახს სტეფანეს წერილის შინაარსიდან ზოგიერთი რამ აცნობა და ამით დამთავრდა ვახშმობა.

მასისიანის ოჯახზე დატეხილმა უბედურებამ და მთელი ქონების რამდენიმე დღეში განიავებამ მაინც ისეთი გამანადგურებელი და დუხჭირი გავლენა არ მოახდინა გაუბედურებულ ოჯახზე, როგორც მოსალოდნელი იყო. ცხოვრება ისევ თავის კალაპოტში მიედინებოდა, არაფერი არ გამოცვლილიყო და შეიძლება ითქვას — უფრო მშვიდობიანი იერი დაჰკრავდა. და მართლაც. რა დაკარგა ამ უბედურმა ოჯახმა? რა მოაკლდა მას? — არაფერი...

მასისიანის სიმდიდრე მისი ოჯახისთვის ისეთივე წარმოსახვითი იყო. როგორც „ოქროს მამლის“ არსებობა და მეტი არაფერი. ოჯახმა მხოლოდ იცოდა. რომ სიმდიდრე ჰქონდათ. ახლა კი გაიგეს, რომ ის სიმდიდრე აღარ იყო. მასისიანის სიმდიდრე ერთი კაცის კომერციული ასპარეზობის სამკაული იყო, ამ სიმდიდრის სიტკბო ოჯახის წევრებამდე არ აღწევდა. ოჯახი განზე იდგა ყოველგვარი სიამოვნებისაგან. და რაკი ამ სიმდიდრეზე ხელი არ უწვდებოდა, აშკარაა, დაკლებასაც ვერ იგრძნობდა. ფაქტიურად იმოდენა ქონება ერთი კაცის საკუთრებას შეადგენდა და მოკვდა თუ არა ის ერთი კაცი, სიმდიდრეც თან გაიყოლა; ეს კაცი აღა იყო...

მაგრამ იყო ერთი მიზეზი. რაშიაც მასისიანების ოჯახი ნუგეშს პოულობდა. მიქაელის ტკბილმა მოპყრობამ, იმისმა უანგარო თავდადებამ, მხურვალე თანაგრძნობამ და სიყვარულმა ამ ოჯახს მთლიანად დაავიწყა ყოველგვარი უბედურება. ის რაც დაკარგეს, მიქაელში ჰპოვეს ხელახლა.

ვის შეუძლია იმის უარყოფა თუ რაოდენ დიდი ბედნიერება მოაქვს ოჯახში სიყვარულს, თავისუფლებას, ურთიერთ გაგებას, მეტადრე მაშინ როცა ეს სიკეთენი ტირანის ბატონობით მოწამლული ატმოსფეროს შემდეგ მკვიდრდებიან! მასისიანის ოჯახს ბრწყინვალე დღე გაუთენდა იმ სუსხიანი ქარიშხლის შემდეგ, აღას დროს რომ ტრიალებდა. მასისიანის დაჩაგრულ - დატანჯულმა, ათეული წლების მანძილზე ბედნიერი დღის უნახავმა ოჯახმა, უეცრად ახალ ცხოვრებაში შედგა ფეხი, როცა მიქაელმა აქ ადამიანური არსებობის სითბო და სინათლე შეიტანა. ის ოჯახი, სადაც ქალი — მოწყვეტილი გარეშე ცხოვრებისაგან — უფლებააყრილი იყო თავის ოჯახურ ვიწრო ფარგლებშიც და მამაკაცთან უბრალო გასაუბრების ნებაც კი არა ჰქონდა—ახლა ტკბებოდა იმ ადამიანური სიამტკბილო-

ბით. რაც მას მეგობრულმა თანაარსებობამ მიანიჭა. ის ახლა ხვდებოდა იმ ჭეშმარიტებას, რომ ბედნიერება და სიკეთე მხოლოდ ფულით როდი განისაზღვრება, ფულით, რომლის ჟანგისგან შხამი გროვდება, არამედ სხვა სიკეთითაც, და როცა ეს სიკეთე აკლდება ოჯახს,— ჯოჯოხეთად იქცევა იგი. აღას სიცოცხლეში ეს ოჯახი ნამდვილ ჯოჯოხეთს წაგავდა, მიქაელმა კი ამ ჯოჯოხეთში შეიტანა ის ცხოველმყოფელი ძალა, რომელმაც ჯოჯოხეთი სამოთხედ აქცია,—ეს იყო სიყვარული.

ზაფხულმა გაიარა, დადგა ზამთარი. წელიწადის ეს ორი დრო თავიანთი განსხვავებული თვისებებით — სიცივით და სითბოთი — თითქოს ერთნაირ ბუნებრივ გავლენას ახდენდნენ როგორც ადამიანებზე. ისე საერთოდ ყველა სხეულებზე. ყველა მოსწავლემ იცის, რომ სითბისგან სხეულები ფართოვდებიან, სიცივისაგან — იკუმშებიან და ერთად გროვდებიან. იგივე ემართებათ ადამიანებსაც თბილ და ცივ პირობებში. ზაფხული თავისი სითბოთი ადამიანებს აშორებს ერთმანეთისაგან. ხოლო ზამთარი ააბლოვებს, ერთად უყრის თავს და უფრო მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან. ზამთარში ადამიანთა მეგობრული თანაცხოვრება უფრო სრულყოფილი ხდება. ასევე ხდება ოჯახშიც. სიცივე ადამიანებს აიძულებს შინ იყვნენ, ჩაიკეტონ ოთახ კედელს შუა და უფრო ახლო გაიცნონ ერთმანეთი. მჭიდრო ურთიერთობა და ერთგვარი სიახლოვე მყარდება მათ შორის. და თუ უსულო საგნების შეხებით და მიკარებით ცეცხლი ჩნდება, ასევე სულიერ არსებათა მჭიდრო ურთიერთობის წიაღში იბადება ერთგვარი სიმხურვალე, რომელსაც სიყვარულს უწოდებენ. ამით უნდა აიხსნას, რომ ქალბატონი მარიამის ოთახი, რომელიც მისაღებ ოთახად გადაკეთდა, ხშირად გამოცოცხლდებოდა ხოლმე მხიარული ლაპარაკით, აქ იკრიბებოდნენ იმისი ქალიშვილები, მიქაელი და ზოგჯერ სხვებიც.

ამჟამად ნუნე მშობლიურ ოჯახში იმყოფებოდა. აქვე იყვნენ სოფლიდან ჩამოყვანილი იმისი ორი შვილი, პატარა ნარგიზი და როსტომი. აქვე იყო ორი სხვა ბავშვიც — მარგარიტი და ავეტისი, — ავეტ ბიძას შვილები.

მიქაელის ბიძა კარგა ხანია მოშორებოდა ამ წუთისოფელს, დედა კი, როგორც საერთოდ მიღებულია სოფლად, გათხოვილიყო. ამ ობლებს მიქაელი უწევდა მზრუნველობას ისევე, როგორც ბიძამ გაუწია პატრონობა ობლად დარჩენილ მიქაელს.

ათმა წელმა ისე გაიარა, რომ მასისიანების კარ-მიდამოში ბავშვის ხმა არ გაეგონათ, ახლა კი ამ ბავშვების ჟივილ-ხივილმა კვლავ გა-

მოაცოცხლა ოჯახი. მართლაც რომ უბავშვო სახლი ნამდვილ უდაბნოს ჰგავს, სადაც მცენარეც არა ხარობს.

მხოლოდ ერთი მოკეთე აკლდა ამ ოჯახს, ეს სტეფანე იყო, ისიც აქ რომ ყოფილიყო, ოჯახი მართლა ბედნიერი იქნებოდა. უკანასკნელი წერილიდან ჩანდა, რომ სტეფანე ჯერ კიდევ კარგა ხანს დაჰყოფდა საზღვარგარეთ.

განსვენებული აღას აწეწილ-დაწეწილი საქმეები, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ფითქმის მოგვარდა. მიქაელმა დატაცებულ-მოპარულ ქონებაზე ხელი აიღო... „საფლავიდან მიცვალებულს უკან აღარ იღებენო“, ამბობდა იგი და ზედმეტად სთვლიდა დაკარგულის უკან დევნას. მიქაელმა გადაწყვიტა, რომ ვაჭრობიდან უფრო მეტ სარგებლობას ნახავდა, ვიდრე იმ ავაზაკების სასამართლოებში დევნით. მან ერთი მთავარი საქმე გააკეთა, გაანთავისუფლებინა მასისიანების ოჯახი ყალბი თამასუქების პატრონების მიერ შევიწროებისაგან, რომელთაც უძრავი ქონება უნდოდათ წაერთმიათ. ამათგან ზოგს დაუმტკიცა თამასუქის სიყალბე, ზოგი კი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. აღას ქონებიდან პატარა თანხა შემორჩენოდა მიქაელს, ამ ფულით მან ყადაღა ახსნა მამულ-დედულს და გაუბედურებული ოჯახი საშუალო შემოსავლით უზრუნველყო: ეს შემოსავალი იოლად წაიყვანდა მათ.

დღემდე მიქაელს თავის თავი არ გახსენებია, იგი თავის თავს ვერ ამჩნევდა ისევე, როგორც ის ადამიანი, რომელიც საერთო იდეალებით გატაცებული, მხოლოდ საზოგადო ინტერესებისათვის მოქმედებს და დავიწყებია თავისი პირადი მოთხოვნილებები და სურვილები. მიქაელს თავისი ბედისწერა მასისიანების ოჯახის ბედ-იღბალთან გადაეანასკვა და ამის გამო თავისი თავგანწირვა სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა. „მეც უნდა გავიზიარო ამ ოჯახის უბედურება მანამდე,—ფიქრობდა იგი,—სანამ მთლიანად არ აღვადგენ ამ კერის ბედნიერებას“. აქეთკენ მას მოუხმობდა მოვალეობის ის წმინდა გრძნობა, რომელსაც, ამ ოჯახში აღზრდილი, აქაური ჰაერით დავაჟკაცებული, ამათი პურით გამოკვებილი ჭაბუკის გულში გაედგა ფესვი. მართალია მწარე იყო ეს ლუკმა პური, დიდი ტანჯვა-ვაება გადახდა თავს... მაგრამ ვინ იყო დამნაშავე?!. — კაცი, რომელიც ეხლა აღარ არის... იმის გარდა ამ ბიჭს ყველა პატრონობდა, ყველას უყვარდა, ყველა მზრუნველობას უწევდა. იმ მზრუნველობამ და სიყვარულმა დაავიწყებინა შავბნელი წარსული და თბილი გრძნობა გაუღვივა გულში ამ ოჯახის მიმართ...

მაგრამ, გარდა ამისა, იყო ერთი გარემოებაც, რაც მიქაელს ამ ოჯახთან კიდევ უფრო აკავშირებდა — ამ ბოლო დროს სულ უფრო

ღრმად გრძნობდა რიფსიმესადმი სიყვარულს, უიმისოდ სიცოცხლე ვეღარ წარმოედგინა, ეს ქალიშვილი თავისი ბედნიერების შუქურად მიაჩნდა. ასეთივე სიყვარულს კითხულობდა იგი უმანკო ქალიშვილის თვალებშიც. მიუხედავად ამისა, სიტყვით ჯერ არაფერი თქმულიყო მათ შორის ამ თემაზე, მხოლოდ გასაუბრების დროს ჩაუკრავდნენ სიტყვას, ჩუმად იღიმებოდნენ, თვალებით ანიშნებდნენ, წარბების ოდუმალი აწევა-დაწევით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ერთი სიტყვით, რიფსიმე ჭეშმარიტი სომეხი ქალივით უმჟღავნებდა თავისი გულის პასუხს — მოკრძალებული დუმილით, უსიტყვოდ.

მიქაელი, მართალია კულტურული ადამიანი იყო, მაგრამ წარსული ცხოვრებიდან მასში იმდენი რამ იყო დარჩენილი, რომ ძველ ცრურწმენებს და შამაპაპურ ადათ-წესებს მაინც ვერ გადაუხვევდა. ხოლო რიფსიმეს ოდნავ ეჭვიც კი არ შეჰპარვია, რომ უსათუოდ დედას უნდა მოლაპარაკებოდა თავისი სიყვარულის თაობაზე.

ერთ დილას რიფსიმემ მიქაელს მიაკითხა. გარეთ ციოდა, ქალიშვილს ლოყები ვარდისფრად შეფაკლოდა.

— წუხელის ამბობდი, პერანგებზე ღილები ამწყდაო, მომეცი წავიღო, დავაკერო, — თქვა კარებში გაჩერებულმა რიფსიმემ.

— ოჰ, რა უცნაური ხარ, რიფსიმე,—უთხრა მიქაელმა და მიუახლოვდა, — დილით ვისმეს რომ ესტუმრებიან, ჯერ სალამს აძლევენ, მერე მივლენ ხელს ჩამოართმევენ, შემდეგ ჯანმრთელობას გამოჰკითხავენ. ხაამო სიტყვებს ეტყვიან, გაუღიმებენ, და ბოლოს მოსვლის მიზეზს აუხსნიან.

— მე ეგენი არ ვიცი, მოვედი პერანგების წასაღებად, — მიუგო ქალიშვილმა და უფრო წამოეწითლდა სახე.

— ვხუმრობ, რიფსიმე, ასე სჯობია, უფრო თავაზიანია და უბრალო. მე ძალიან მიყვარს უბრალოება, — უთხრა მიქაელმა და ორივე ხელი დაუჭირა. — რა მზრუნველი ყოფილხარ, რიფსიმე, მე წუხელის რომ ვთქვი, პერანგებზე ღილები ამწყვეტია-მეთქი, მეგონა, დილამდე დაგავიწყდებოდა.

— მე გულმავიწყი არა ვარ...

მიქაელმა პერანგები გადმოიღო, ქალიშვილს გადასცა და უთხრა:

— მე კი მინდა რომ აქ დაჯდე, ჩემს ოთახში დააკერო.

— რატომ? ალბათ გგონია, შეეშლება ღილებს თავის ადგილზე ვერ დააკერებს და მე ვასწავლიო, არა?

— არა. მე ვიცი, რომ შენ შნოიანი გოგონა ხარ. რატომღაც მინდა, აქ იჯდე და ჩემს თვალწინ ხელსაქმობდე.

ქალიშვილმა საკერავი აიღო და ხმისამოუღებლად ჩამოჯდა ფანჯარასთან.

— მაგრამ გთხოვ, ხელი არ შემიშალო, — თქვა და საქმეს შეუდგა.

— არა, ხელს არ შეგიშლი, მხოლოდ აქაურ-იქაურ ამბებს მოგიყვები, გაგართობ, რომ არ მოიწყინო.

— ალბათ ისევ შენი მოგზაურობიდან.

— ჩემი ამბები არ გსიამოვნებს?

— მსიამოვნებს, მაგრამ...

— რა მაგრამ?..

— ძალიან არ მიტაცებს.

მიქაელი საგონებელში ჩავარდა.

— მაშ რა გინდა? — შეეკითხა იგი, — გინდა ზღაპარს გიამბობ?

— ზღაპრებს მოხუცებული დედაკაცები ჰყვებიან.

— გიამბობ, ევროპაში ქალიშვილები როგორ თხოვდებიან. გინდა?

— მიამბე.

— იქაური ქალები ჩვენი ქალებივით მორცხვნი არ არიან, მამაკაცებს არ გაურბიან და ვინც უყვართ, იმას თავიანთ გულის ნადებს არ უმალავენ. იქაური ქალი თავისუფალია, შეყვარებულ ვაჟთან ლაპარაკობს, ცეკვავს და სხვადასხვა გასართობ ადგილებში მისდევს.

— მერე და იმათი დედები რას ეუბნებიან? არ უშლიან? — შეაწყვეტინა ლაპარაკი ქალიშვილმა.

— არ უშლიან, დედებმა იციან. რომ მათი ქალები საკმაოდ განათლებულნი არიან, ისინი სისულელეებს არ ჩაიდენენ, ამიტომ ნებას აძლევენ ვაჟებთან გავლისა, რომ ქალიშვილებმა კარგად გაიცნონ თავიანთი მოწონებული ვაჟების ხასიათი, ბუნება, იმისი ზნე-ჩვეულებები, ჭკუა-გონება, ცოდნა. პროფესია. ეს ყველაფერი იმიტომაა საჭირო, რომ არჩევანში არ შეცდნენ, ერთი სიტყვით — ღირსეული და შესაფერისი მეუღლეა თუ არა ვაჟი, ქალიშვილის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შესძლებს თუ არა? როცა ქალიშვილი ჰაბუკში აღმოაჩენს მისთვის სასურველ ადამიანს, ის მხოლოდ მაშინ უზიარებს თავის სიყვარულს — ცოლ-ქმრობა ძალზე მძიმე უღელია და თუ ქალი მოტყუვდა, მთელ თავის სიცოცხლეში უბედურზე უბედური იქნება...

— ალბათ ასეთივე გამოცდებს უტარებენ ვაჟები ქალებს? — იდუმალ კილოზე შეეკითხა რიფსიმე.

— რასაკვირველია.

— ეგ კარგია...

— მე ჩემი სათქმელი დავამთავრე, რიფსიმე. ახლა შენ მიამბე. აქაური ქალები როგორ ირჩევენ სასიძოს.

— შენ ხომ იცი...

— დამავიწყდა, კარგად არ მახსოვს.

პატარა ქალიშვილმა დიდი შინაგანი მღელვარებით მიუგო:

— აქაურ ქალებს ვაეთან არ უშვებენ, თუ ვინმე ჩაუვარდა გულში, ეს ხიყვარული მალულად უნდა ატაროს, უფლება არა აქვს გამოამჟღავნოს... თქვენ წარმოიდგინეთ იმასთანაც კი, ვინც უყვარს...

— როგორც შენ... — მიუგო მიქაელმა და რიფსიმეს აცახცახებული ხელები გულზე მიიკრა.

ქალიშვილმა არაფერი უპასუხა, მშვენიერი თვალები მსხვილი მარცვლის ოდენა ცრემლებით ავსებოდა.

— წამიყვანე, მეც წამიყვანე იქ, სადაც ქალები თავისუფალნი არიან... — უთხრა ქალიშვილმა და თან ძლივს იკავებდა თავს შინაგანი მღელვარებისაგან.

— წაგიყვან, რიფსიმე, როცა ჩემი მეუღლე გახდები, — უპასუხა მიქაელმა მღელვარებით, — თქვი, თანახმა ხარ?

— დიახ... — ყრუდ აღმოხდა ქალიშვილს.

მიქაელმა სცადა მოხვეოდა, მაგრამ ქალიშვილმა საკერავი მიატოვა და სწრაფად გავარდა ოთახიდან.

მიქაელი ადგილზე გაქვავებული დარჩა.

— საშინელი ქალია, — კარგა ხნის შემდეგ წამოიძახა გაცბუნებულმა მიქაელმა, — ყოველ ნაბიჯზე ძველი ადათი იჩენს თავს... ერთი მოხვევნა, ერთი კოცნა, ერთი მოფერებაც კი ცოდვად მიაჩნია, ვიდრე მღვდელი ჯვრისწერის ლოცვას არ წაუკითხავს.

იმავე დღეს, საღამო ხანს, როცა მზე ჩაესვენა და გარეთ აცივდა, მიქაელი თავის ოთახში დაღვრემილი იჯდა და ფიქრებს მისცემოდა. თან ახლად შელერებული ულვაშის ბოლოს იკვნეტდა, თითქოს ის უშლისო თავისი გულის დარდების გამჟღავნებას. იქვე, ოთახში, ნუნე ღუმელს მისჯდომოდა, შეშებს ასწორებდა, სინედლის გამო რომ უსიამოვნოდ ქშუტუნებდნენ.

— ცეცხლი ოხრავს... — თქვა ნუნემ ცრუმორწმუნე ქალის თვითდაჯერებით, — კარგი ნიშანი არ არის...

— რატომ?.. — შეეკითხა მიქაელი, რომელიც თითქოს ეხლა გამოფხიზლდაო.

— არ ვიცი, ასე ამბობენ, როცა ცეცხლი სევდიანად ქშუტუნებს, იტყვიან — ტირისო, — უპასუხა ცეცხლზე მიფიცხებულმა ნუნემ.

— ყველა ნედლი საგანი, რომელშიც დარჩენილია ხიცოცხლის ნიშანი, ცეცხლთან მიახლოებისას ასე სევდიანად ატირდება ხოლმე... — შენიშნა მიქაელმა.

— შენი გულივით, არა!.. — იდუმალი ღიმილით თქვა ნუნემ.

— და აგრეთვე შენი დის — რიფსიმეს გულივით... — გაიმეორა მიქაელმა.

— ხუმრობა იქით იყოს, დედაჩემს რად წაეჩხუბე? — შეეკითხა ნუნე, მიქაელთან მივიდა და გვერდით მიუჯდა.

— არ გვიჩხუბნია, მაგრამ ცხარე ბჭობა კი გვქონდა. რაო, დედა-შენი ნაწყენია ჩემზე?

— არა... მაგრამ ცოტათი გული გაუტეხია...

— თავად შენ განსაჯე, ნუნე. ნუთუ შეიძლება ადამიანი ესოდენ ცრურწმენისა იყოს? ჩვენი კამათი დაიწყო იქიდან, რომ მე დედა-თქვენს გამოვუცხადე, რიფსიმე მიყვარს-მეთქი, ხელზე ვემთხვიე და რიფსიმეს ხელი ვთხოვე. მას გაეხარდა, ძალიან გაეხარდა, წამოდგა, შუბლზე მაკოცა და დაგვლოცა. მერე ქორწინებაზე ჩამოვარდა სიტ-ყვა. ამაზე მან სთქვა, რამდენიმე თვე უნდა მოიცადო. სანამ აღას სიკვდილის წლისთავი შესრულდება, თორემ ხალხი ათასნაირ ჭორ-ებს გაავრცელებს — ჯერ მიცვალებულს წელიც არ შესრულებია და ქორწილს მართავენო, და სხვა ასეთები. აი ამაზე შეეკამათეთ ერთმანეთს.

— სად მიიჩქარი?

— შენც დედაშენის ჭკუა ექონია, ნუნე. თქვენ არ გესმით ჩემი მიზნები, მე ისევ მოსკოვში უნდა დავბრუნდე. აქ რომ კიდევ რამდე-ნიმე თვე დავყო, კლიენტებს დავკარგავ. ვისთვისაც სხვადასხვა კო-მერციული საქმეები მაქვს გაჩარხული. ამით მე დიდ ზარალს ვნახავ, გესმის თუ არა? გარდა ამისა, რიფსიმეც თან უნდა წავიყვანო, დაე ნახოს ქვეყნები; ცოტა ხალხში გამოვიდეს. რამე შეისწავლოს, კულ-ტურას ეზიაროს. რიფსიმე ძალიან კარგი ქალიშვილია, ჭკვიანი, მაგ-რამ სანიმუშო ცოლი რომ იყოს, ჯერ ბევრი რამე აკლია.

— ეგ ყველაფერი უთხარი დედაჩემს?

— როგორ არ ვუთხარი, მაგრამ ის სულ ერთსა და იმავეს გაიძა-ხის: „ქალიშვილი რომ მომაშორო, დარდისაგან ვერ ვიცოცხლებო“. და სხვა ასეთ სიტყვებს. მე ვერ გამიგია. ნუთუ ის უფრო კარგი იქ-ნება, ჯვარი დავიწერო, მივატოვო და წლობით დავყო უცხო ქვეყ-ნებში, როგორც ჩვენი ვაჭრები სჩადიან? ნეტა რა აზრისაა რიფსი-მე, ძალიან მინდა გავიგო. მაგრამ მთელმა დღემ ისე ჩაიარა, რომ თვალი ვერსად მოვკარი.

— დღეს რიფსიმე ძალიან გულმოკლულია, განუწყვეტლივ ცხა-რე ცრემლებს აფრქვევს.

— საბრალო ქალი.

მიქაელის სიტყვებმა თითქოს განუახლეს ძველი ჭრილობები ნუ-ნეს და მან რიხიანად უპასუხა:

— ასეა, საყვარელო მიქაელ, მშობლების ცრუმორწმუნეობა ხშირად შვილების უბედურების მიზეზი ხდება. ჩვენი ოჯახი თითქოს დაწყევლილია. იმისი შვილები არასოდეს ბედნიერები არ იქნებიან. ჩემმა უფროსმა დამ თავი ჩამოიხრჩო... ოჰ, რა ლამაზი და კეთილი იყო! იმისი საყვარელი შემაძრწუნებელი იდუმალებით არის მოცული... ჩემი ამბავი თქვენ უკვე იცით, განა მე დამნაშავე ვარ, რომ ახლა მთელი ქვეყანა მკიცხავს, ცუდ ქალად მთვლიან? დედაჩემი კეთილი ქალია მაგრამ რას იზამ, თუ ისე იქცევა, როგორც უსწავლია და უნახია.

საწყალი ქალი მიქაელს თანაუგრძნობდა და თან გულში დაგროვილ ბოღმას ანთხევდა. ცრუმორწმუნეობის ბნელ ატმოსფეროში მოქცეულს იმდენი ტანჯვა-ვაება გადაეტანა ცხოვრებაში, რომ გეგონებოდათ მოძველებული ადათ-წესების მახვილი მხოლოდ მის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. როცა ნუნემ ყველაფერი უამბო, მიქაელს, ამ სიტყვებით მიმართა:

— შენ არხეინად იყავი, ძვირფასო მიქაელ. მე შევალ დედაჩემთან და ყველაფერს ისე მოვაგვარებ, როგორც შენს გულს უნდა. ჩვენ, ყველა დებს, თუ უბედურება გვერგო წილად... დაე რიფსიმე მაინც იყოს ბედნიერი.

ერთი კვირის შემდეგ ქალაქ ე...ს ერთ-ერთ ეკლესიაში ჯვრისწერა იყო გაჩაღებული. რიფსიმე და მიქაელი სახეგაბრწყინებული იდგნენ საკურთხევლის წინ. ხალხი ცოტა ცსწრებოდა. ჯვრისწერა დამთავრდა. ეკლესიაში შეკრებილნი ნეფე-დედოფალთან სათითაოდ მიდიოდნენ და ულოცავდნენ. შემდეგ ყველანი გამოვიდნენ ეკლესიიდან, ეტლებში ჩასხდნენ და მასისიანების სახლისკენ გასწიეს.

იმავე საღამოს მიქაელმა სტეფანესგან ასეთი დეპეშა მიიღო: „გილოცავ ბედნიერებას, მამიჩემის დანგრეული ოჯახი შენი წყალობით კვლავ ფეხზე წამოდგა, ამიერიდან შენ იქნები ამ ოჯახის ნამდვილი „ოქროს მამალი“...



თათოსები

ა.

განთიადს ის იყო სიწითლე შეეპარა.

შემოდგომის მშვენიერი დილა იყო. თბილისში გერმანელთა-ახალშენის იქით, დიდ შარაგზაზე ერთიმეორის მიყოლებით ეტლები ჩამწკრივებულიყო. მათ შორიახლო ცალკე იდგა სამგზავროდ გამზადებული ეტლი.

მამა, დედა, და-ძმა და ნათესავ-მოკეთეები ჭაბუკ მიშას აცილებდნენ, რომელიც აქაური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სატახტო ქალაქში მიემგზავრებოდა უმაღლესი განათლების მისაღებად. ყველას მხიარული სახე ჰქონდა, ჭიქას ჭიქაზე სცლიდნენ და ყოველი მათგანი მგზავრს ბედნიერებას და გამარჯვებას უსურვებდა.

— ცოტა დაუჩქარეთ, აღა, — აჩქარებდა მეეტლე, რომელსაც რამდენიმე ჭიქა გადაეკრა და სახე შეჟინჟღილებული ჰქონდა.

ჭაბუკი ყველას რიგრიგობით გადაეხვია, გადაკოცნა და ის იყო ეტლში ჩასაჯდომად ემზადებოდა, რომ მამა მიუახლოვდა და მშობლიური გულთბილობით უკანასკნელად დაარიგა:

— მიშა-ჯან, ეცადე კარგად ისწავლო, რომ კაცი გახდე...

ჭაბუკმა ისე ბავშვური თავდაჯერებულობით გაიღიმა, თითქოს ამბობდა, სწავლაში თავს არ შევირცხვენო, და დედას მიუახლოვდა.

— ყელსახვევი კარგად შემოიხვიე, შვილო, ყაბალახი არ გადაგძვრეს, არ გაცივდე, მიშა-ჯან, — აკანკალებული ხმით უთხრა დედამ და ცრემლები დაეკიდა ლოყებზე.

— მიშა-ჯან, არ დაგავიწყდეს, იცოდე, ხშირად მოიწერე წერილი, — ეუბნებოდა ლამაზი ქალიშვილი.

— კარგი „იგრუსკებიც" მომიტანე, — აბარებდა პატარა ძმა. მიშა მხოლოდ თავის ქნევით და ბავშვური უმანკო ღიმილით უპასუხებდა. გული საამოდ უძგერდა, მომავლის იმედებითა და ოცნებებით აღფრთოვანებულს.

ბოლოს და ბოლოს ახალგაზრდა ეტლში მოთავსდა. მას გვერდით მოუჯდა ერთი სქელი სომეხი ვაჭარი, რომელიც თავის საქმეების გამო მოსკოვს მიემგზავრებოდა. ეტლი დაიძრა.

— მშვიდობით იყავით, დედი-ჯან, მამი-ჯან, მშვიდობით ელენ-ჯან, ნიკო-ჯან... — გადმოსძახა ახალგაზრდამ.

ეტლი უკვე კარგა შორს იყო, მაგრამ დედა მაინც უკან მისძახოდა: — ოსეფ, ოსეფ, მუყაითად მოექეცი ჩემს მიშას, ძილის დროს დაახურე, არ გამიცივდეს... მიშა-ჯან, ყელსახვევი მაგრად მოიხვიე...

სქელმა ვაჭარმა თავი დაუქნია. ცოტაც და — ეტლი მტვრის ღრუბელში გაუჩინარდა...

ბ

სამმა წელმა გაიარა.

გაზაფხულის გრილი და საამური დილა იყო.

მოსკოვში, ტვერის ქუჩაზე, შაბლუკინის სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში საათმა თორმეტჯერ ჩამორეკა. საწოლზე ახალგაზრდა იწვა, დაღლილი და დაბინდული პირისახე ჰქონდა, გეგონებოდათ მთელი ღამე არ უძინია და ახლა ცდილობსო ამ ხარვეზის შევსებას. მაგიდაზე სამოვარი შიშინებდა და რუსი ქალიშვილი — თოვლივით თეთრი, ძალზე ნაზი, სახეფერმკრთალი, ქერათმიანი, კრიალა ლურჯ თვალებიანი — ჩაის სამზადისში იყო. ხანდახან გულთბილად გადახედავდა ხოლმე მძინარე ჭაბუკს და კვლავ თავის საქმეს განაგრძობდა. ისე დინჯად და ფრთხილად იქცეოდა, როგორც მსუბუქი ფრთებით მოფარფატე ანგელოზი. ახლად ათქვირებული მკერდის მხურვალე სუნთქვასაც კი იკავებდა, რომ არ გაეღვიძებინა მძინარე ჭაბუკი.

ოთახში უწესრიგოდ იდგა რამდენიმე სკამი. ფანჯრის გასწვრივ

საწერ მაგიდაზე რვეულები ეწყო. რვეულები გაყვითლებული იყო და დამტვერილი. ეტყობოდა, სტუდენტს კარგა ხანია ხელი არ ეხლო მათთვის. აქვე იყო დობროლიუბოვის, ტურგენევის, ჩერნიშევსკისა და სხვა რუსი ავტორების რომანების ტომეულები, რომელთა ზოგიერთი ფურცელი ჯერაც გაუკრელი იყო. საწერ მაგიდაზე იდგა სამელნე, რომელშიც მელანი დიდი ხანია ამოშშრალიყო. შიგ საბრალო ბუზების გამხმარი ჩონჩხები მოჩანდა. გაუფრთხილებლობის გამო ისინი შავ სითხეში ჩამხრჩვალიყვნენ, და მელნის ამოშრობის შემდეგ სამელნე უბედური ბუზების სამარედ გადაქცეულიყო. საწერ მაგიდაზე ეგდო დაფლეთილი ალბომი. ალბომში მოთავსებული გოეთეს, შილერის, შექსპირის და სხვა დიდი ადამიანების პორტრეტების გვერდით თქვენ ნახავდით ლამაზი გოგონების, გამოჩენილი არტისტი ქალების, სქელლოყება მკერავი ქალიშვილების სურათებს, ესე იგი, იმათ, ვისაც ბედნიერება ჰქონოდა ამ ბინაზე მოხვედრისა. სულ ბოლოს ჩაკრული იყო ნატაშას სურათი, იმ ნატაშასი, რომელიც ამჟამად ჭაბუკის ოთახში დიასახლისის მოვალეობას ასრულებდა.

გარდა ზემოხსენებული საგნებისა, საწერ მაგიდაზე ეგდო კაბა, რომელიც ამ ქალიშვილს ეკუთვნოდა, ხოლო ფანჯრის რაფაზე იდო სიმებდაწყვეტილი ვიოლინო. აი ასეთი იყო ამ ღარიბი და იმავე დროს ნახევრად პოეტური ოთახის მოწყობილობა.

ეს იმ სტუდენტის ბინა იყო, რომელიც სამი წლის წინათ მშობლებმა დიდი ლოცვა-კურთხევით და ბევრზე ბევრი კეთილი სურვილებით გაისტუმრეს მოსკოვისაკენ.

მიქაელ ბაქოსიანი — ასე ერქვა ამ ახალგაზრდას, რომელიც მოსკოვში ჩასული, პირველ წელს საცხოვრებლად სამსახურიდან გამოსული პროფესორის ბინაზე მოეწყო იმ მიზნით, რომ მასთან მოემზადებოდა და რაიმე პროფესიას დაეუფლებოდა. ბატონი პროფესორი, ძალზე გულკეთილი მოხუცი, თავისუფალ დროს სიამოვნებით ამეცადინებდა მას. ბატონი მიქაელ ბაქოსიანი აქ დაუახლოვდა მოხუცი პროფესორის ქალიშვილს, რომელიც მეტისმეტად სიმპათიურად იყო განწყობილი შავთვალება და შავთმიანი ახალგაზრდისადმი. მაგრამ ქალ-ვაჟის სიყვარული იმით დამთავრდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბაქოსიანმა მიატოვა პროფესორის ბინა და საწყალ ქალიშვილს გულში დაუტოვა მწარე ნაღველი იმისა, რომ კავკასიელები ყველანი მასავით უსულგულონი არიან...

ბაქოსიანი უმაღლესში შევიდა. იქ გაიჩინა სომეხი ამხანაგები, რომლებმაც შეიყვარეს იგი იმიტომ, რომ მდიდარი იყო, მამისაგან

ბლომად მოსდიოდა ფული, და თავის ამხანაგებს უმასპინძლდებოდა რომის პუნშით და ფრანგული ძეხვებით.

ნატაშას, როგორც ჩანდა, ეჩქარებოდა, მოუთმენლობა ეტყობოდა. ბაქოსიანს ისევ ეძინა, ქალიშვილი ვერა ბედავდა გაღვიძებას, იცოდა, მთელი ღამე არ დაეძინა. მეტი მოცდა კი აღარ შეეძლო, სამუშაოდ წასვლა ეჩქარებოდა თავის მადამთან.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა გამოუმშვიდობებლად წასულიყო. ფეხაკრეფით მივიდა კართან, შეჩერდა, ჩაფიქრდა, მერე რაღაც მოაგონდა, უკან გამობრუნდა. ფეხის თითებზე შემდგარი მიუახლოვდა საწოლს. ნაზი ტუჩებით შეეხო ჭაბუკის ლოყებს და ხმაამოუღებლივ გამობრუნდა, რომ კარისკენ წასულიყო, მაგრამ სულიერად აღელვებული, უეცრად პატარა მაგიდას დაეჯახა, რომელიც საწოლის მახლობლად იდგა, და გადააყირავა. ამ გაუფრთხილებლობამ ჭაბუკი გამოაღვიძა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— აჰ, მაპატიეთ, მიხაილ არტემიჩ, მე დავარღვიე თქვენი სიმშვიდე, — უპასუხა აწითლებულმა ნატაშამ, მიუახლოვდა, საწოლის წინ დაიჩოქა და დამნაშავე მოწაფესავით ბოდიში მოუხადა.

ბაქოსიანი ზანტად გაიზმორა. დამძიმებულ თავს გაშიშვლებული ნიდაყვი შეუყენა და ამღვრეული, ჩამქრალი თვალებით ქალიშვილს მიაშტერდა.

— შენ წასვლას აპირებდი? — შეეკითხა.

— აჰ, მიხაილ არტემიჩ, — საამო ხმით უპასუხა ქალიშვილმა, — ძალზე დავაგვიანე, უკვე თორმეტი საათია, კარგად იცით, რა ავია მადამი...

— ცოტა ხანსაც მოიცადე.

— არა, მიხაილ არტემიჩ, მადამი გამიბრაზდება...

— ეშმაკსაც წაუღია შენი მადამი... — უკმეხად უპასუხა ჭაბუკმა და თავი ისევ ბალიშზე მიდო.

— შენ ხომ იცი, მიხაილ არტემიჩ, რა ბოროტი ქალია... ორი-სამი წუთით რომ დავიგვიანო, იმასაც დამიქვითავს ხოლმე... — თქვა ქალიშვილმა და თავისი ვარდისფერი თითებით მიქაელს სტუდენტური გრძელი თმები ალერსით გადაუწია განიერი შუბლიდან.

— ვიცი... ნატაშა... ვიცი... — აკანკალებული ხმით დასძინა ჭაბუკმა, — ვიცი, რომ მაგ დაწყევლილ ნემსს ვერ შეელევი. მაგრამ შენ არ იცი, რომ ჩემი სურვილია ყოველთვის ჩემთან იყო. მინდა მუდამ შენ გიყურო, შენით გავიხარო.

— მერე და, მარტო როდის გტოვებ? — წარმოთქვა ქალიშვილმა

და გულწრფელმა ღიმილმა ,გადაურბინა ალმურმოდებულ ლოყებზე.

— არა, ეგ არ კმარა. მე მინდა ერთი წამითაც არ მტოვებდე მარტო.

— მერე, მაღაზია?.. — გაუბედავად მიუგო ქალიშვილმა. — რა მოვუხერხო?

— გაანებე თავი, თუ მე გიყვარვარ.

— მიყვარხარ... — შესძახა ქალიშვილმა და პატარა კოხტა თავი ჭაბუკს გადაღელილ ეკერდზე დაადო.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ნატაშამ პატარა, შროშანებით დამშვენებული ჭილის ქუდი დაიხურა, ქოლგა აიღო და პეპელასავით მსუბუქად გამოვიდა ბაქოსიანის ოთახიდან იმ პირობით, რომ დღეს საბოლოოდ გაუსწორებდა ანგარიშებს თავის „მადამს“.

3

მამის ოჯახიდან წამოსვლის სამი წლის მანძილზე ბაქოსიანი შესამჩნევად გამოცვლილიყო. სავსე წითურ ლოყებზე სიყვითლე გადაკროდა, მოელვარე ცეცხლოვან თვალებში ბინდი ჩასდგომოდა, ხოლო ოდესღაც ნორჩ და ცოცხალ სახეს სევდიანი, ჩამქრალი და ავადმყოფური გამომეტყველება მიეღო. მაგრამ შრომას როდი გაეცვითა იგი ესოდენ, ოჰ, არა — თვეში ერთხელ არ ესწრებოდა ლექციებს, შინ ხომ სულ არ მეცადინეობდა, ამ მდგომარეობამდე იგი მიეყვანა მამისგან გამოგზავნილ ფულებს და დედაქალაქის ცხოვრების ქარიშხალს, ერთ წამს მოსვენებას რომ არ აძლევდა მას...

როცა წავიდა ნატაშა, რომელსაც ნატალია პავლოვნას ეძახდნენ, ბაქოსიანის მეზობელ ოთახში გაიღვიძა კიდევ ერთმა სომეხმა სტუდენტმა. მასაც ღამე უძილოდ გაეტარებინა და დილით გვიანობამდე ეძინა. გამხდარი იყო, ტანდაბალი, თვალებჩასისხლიანებული. პერანგზე საზაფხულო პალტო წამოიხურა, მივიდა სავარძელთან, ზარმაცად ჩამოჯდა, ორი თითი თვალებზე მიიდო და ღრმა ფიქრებში წავიდა. ეს სტუდენტი გრიგორ კაპიკიანი გახლდათ, ფრიად ნიჭიერი ფიზიკოსი, მაგრამ ძალზე ზარმაცი. ამ ვაებატონს წუხელ ბანკოში წაეგო უკანასკნელი სარჩო-საბადებელი და დილით შაქრის ფულიც არა ჰქონდა.

— აჰ, ეშმაკმა წაიღოს... — ხანდახან აღმოხდებოდა ხოლმე ოხვრა იმედგაცრუებულ გრიგორს.

ოთახში შემოვიდა სხვა ახალგაზრდა. ესეც სომეხი სტუდენტი

იყო, ტანმაღალი, შავგვრემანი, თმახუჭუჭა, მხიარული სახე და გაბრწყინებული თვალები ჰქონდა.

ეს ახალგაზრდა სამველ ლაბლაბოვი გახლდათ.

— გრიშა, ჩაი გაქვს? — იკითხა ისე, რომ არც მისალმებია.

— არაფერი არა მაქვს, — მიუგო კაპიკიანმა. — შენა?

— ჩემ ჯიბეშიც თაგვები ბაღდადურს ცეკვავენ, — უპასუხა ლაბლაბოვმა ხელების ფშვნეტით და მარჯვენა ფეხის ქუსლზე შემოტრიალდა.

— წავიდეთ ბაქოსიანთან, იქ მუცლებს გავიძღობთ.

— წავიდეთ, — გაიმეორა კაპიკიანმა და ზანტად წამოდგა.

გრიგორმა პირსახოცი დაასველა, მოთენთილი პირისახე გაიგრილა (ეს იყო იმისი პირისბანა), თმები თითებით გადაივარცხნა და ისევ ისე, — ღამის პერანგზე პალტოწამოსხმულმა, ლაბლაბოვთან ერთად, მიქაელ ბაქოსიანს მიაკითხა. იქ სხვა სომეხი სტუდენტებიც დახვდნენ — რაფაელ ჯამალიანცი, ცოცხალი და მხიარული ახალგაზრდა, რომელიც ქერა თმებით და თეთრი პირისახით ევროპელს უფრო ჰგავდა; ეზიკიანი, რომელსაც დაძმარებული პირისახე და ცხვირსა და შუბლზე წითელი მუწუკები ჰქონდა; ნულიანი, ტანდაბალი, თაგვივით წვრილთვალება ახალგაზრდა და სხვები.

— მშივრებს უკვე თავი მოუყრიათ, — თქვა ლაბლაბოვმა ოხუნჯობით და ამჯერად ორჯერ შემოტრიალდა მარჯვენა ფეხის ქუსლზე. მერე ოთახში გაიარ-გამოიარა, თითქოს რაღაცას ეძებსო. სკამები დაკავებული იყო და მიქაელ ბაქოსიანის ლოგინზე ჩამოჯდა.

კაპიკიანმა არაფერი თქვა, ოდნავ გაიღიმა, ამხანაგებს ხელი ჩამოართვა და ჯამალიანცს მოუჯდა გვერდით.

— ბიჭებო, რითი გაგიმასპინძლდეთ? — მიმართა ბაქოსიანმა ამხანაგებს.

— რაიმე ისეთით, რაც გუნებაზე მოგვიყვანს და გულს გაგვიგრილებს... — მიაძახეს ყოველი კუთხიდან. — ძალზე მოთენთილი ვართ, ცოტა უნდა მოვღონიერდეთ.

ამ ჩვეულებრივი სიტყვების მნიშვნელობა დიდი ხანია იცოდა ბაქოსიანმა — ზარი დარეკა და შემოსულ მსახურს უბრძანა საუზმედ მოეტანა არაყი, ძეხვი, ყველი და პური.

ჩაის ჭიქები კი ნატაშას გაემზადებინა და სამოვრის გვერდით მაგიდაზე გაემწკრივებინა.

ყველა მათგანი თვითონვე ისხამდა ჩაის და ფაციფუცით სვამდა. მალე მაგიდაზე გაჩნდა გუნებაზე მომყვანი და გულის გამაგრილებელი სითხე — არაყი თავისი სანოვაგით.

სტუდენტებმა დაიწყეს ჭამა-სმა. არაყის ბოთლი მესამედ გაიგ-

ზავნა სამიკიტნოში. პაპიროსის კვამლისაგან პატარა ოთახი ისე გაივსო, რომ ერთმანეთს ძლივს არჩევდნენ. როცა არაყმა შეახურა ისინი, მხურვალე კამათი წამოიწყეს. ყველა ალაპარაკდა, ერთმანეთს არ აცლიდნენ, ერთიმეორის პასუხს არ უსმენდნენ. და ოთახი ისე აირდაირია, რომ ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა. მხოლოდ ბაქოსიანი არ იღებდა ხმას, მდუმარედ იჯდა და თავის ნატაშაზე ფიქრობდა. ორი სტუდენტი ორ მსახიობ ქალზე კამათობდა, რომლებსაც მაშინ მოსკოვში დიდი ფურორი მოეხდინათ. ლაბლაბოვი აქებდა ლებედევას, როგორც მშვენიერ მოცეკვავეს და პოეტური აღმაფრენით დაჯილდოებულ ხელოვანს, ეზიკიანი კი, პირიქით, პოზნიაკოვას ასხამდა ხოტბას, დიდი ტალანტის მქონე დრამატიულ აქტრისას უწოდებდა მას.

მიუხედავად იმისა, რომ მოცეკვავე ქალიშვილსა და დრამატიულ აქტრისას შორის პარალელის გავლება და მათი ერთმანეთთან შედარება არ შეიძლებოდა — კამათი მაინც დიდხანს გაგრძელდა. პაექრობა ალბათ კიდევ კარგა ხანს გასტანდა, რომ კამათში ერთი დაფიქრებული სახის სტუდენტი არ ჩარეულიყო, რომელიც ოფენბახის თაყვანისმცემლად ითვლებოდა. იგი ბაქოსიანის საბარგო ყუთზე იჯდა.

— ბატონებო, მე მაგ მსახიობებში რაიმე მხატვრული გემოვნება ვერ დავინახე. ლებედევა მხოლოდ იმითია კარგი, რომ საკმაო წვივები და პატარა ლამაზი ფეხები აქვს, ხოლო პოზნიაკოვას — შეაანიშნავი მხრები და ანტიკური გულმკერდი, რაც ღირსია კანოვას საჭრეთელისა.

ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ.

ათარიანის შენიშვნამ, ასე ერქვა იმ ბატონს, ისე გააბოროტა ლაბლაბოვი და ეზიკიანი, რომ ერთხმად შეუტიეს:

— ტუტუცი ხარ, არაფერი გესმის... შენ სცოდავ ხელოვნების სიწმინდის წინაშე.

— ეგ ჩემი აზრია, — ცივად მიუგო ათარიანმა, თითი ცხვირზე მიიდო, თვალები ჭერს მიაპყრო და განაგრძო ფიქრი ოფენბახზე.

კამათი უფრო ღრმა საკითხებზე გადაიტანეს. კაპიკიანი იცავდა სამოქალაქო ქორწინების იდეას. ბაქოსიანმა მის წინააღმდეგ გაილაშქრა, გამოიყენა ფურიეს მოძღვრება, უარჰყო ქორწინება, და დედათა სქესის სრული თავისუფლება მოითხოვა, ამის მაგალითები ჩერნიშევსკის ნაწერებიდან მოიყვანა.

სცენაზე ლებედევას ცეკვა-თამაშის შესახებ წამოწყებული პაექრობა ჩვენმა ფილოსოფოსებმა იმაზე მსჯელობით დაამთავრეს, თუ სად აჯობებდა სადილობა — ბარსოვის, სარატოვის, ყირიმის თუ

ერმიტაჟის სასტუმროში. „ერმიტაჟი“ უფრო არისტოკრატიულიაო, იფიქრეს, და ბოლოს გადაწყვიტეს სასტუმრო „ყირიმში“ წასულიყვნენ, იქ ლამაზი გოგონებიც ბევრიაო...

უკვე სამი საათი იყო.

დ

ღამით „თათოსები“, ხუმრობით ასე უწოდებდნენ ისინი თავიანთ ჯგუფს, კვლავ შეიკრიბნენ ბაქოსიანთან. ჩაის შემდეგ, პაპიროსი რომ გააბოლეს, ისევ წამოიწყეს აქაურ-იქაური ამბების მოყოლა. საუბარი მშვიდად წარიმართა და სერიოზული კამათი არ ყოფილა.

მაგრამ უეცრად წამოდგა ეზიკიანი, „დუმილის პროფესორი“, ასე ეძახდნენ მას, რადგან ჰორების გარდა სხვა არაფერზე არ შეეძლო ლაპარაკი — და განაცხადა, მე მაქვსო დღეს სათქმელი. ყველამ ყურადღება მას მიაქცია, მოუთმენლად ელოდებოდნენ, თუ რა სისულელეს იტყოდა.

— ბატონებო, — პათოსით წარმოთქვა მან, — კაცობრიობის განათლების და მისი პროგრესის ისტორია გვასწავლის, რომ ვერც ერთი საზოგადო დაწესებულება თავის ნამდვილ მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ამ დაწესებულების ორგანიზაცია კანონის ფარგლებში არ ჩამოყალიბდა. ვხელმძღვანელობ რა ამ ჭეშმარიტებით, მე პატივი მაქვს ჩვენს დღევანდელ თავყრილობაზე აღვძრა ერთი საკითხი, რომელიც უკავშირდება ჩვენი „ძმობის“ შემდგომ არსებობას, მის ინტერესებს და მომავალ წინსვლას (საერთო ტაში, მან განაგრძო) — „თათოსიანობა“ ყოფილა და არის ჩვენი „ძმობის“, მაპატიეთ რომ ასე ეუწოდებ, მიზანი. დღემდე ეს „ძმობა“ მხოლოდ ზნეობრივ კავშირზე იყო დამყარებული. ცხადზე ცხადია და უტყუარი ის ფაქტი, თუ რაოდენ მტკიცე და რაოდენ დაურღვეველი იყო ეს კავშირი. ამის დასამტკიცებლად იმის მოგონებაც კმარა, რომ „ძმობამ“ დღითი დღე ფართო ხასიათი მიიღო და კეთილი საქმის (ეს სიტყვები განსაკუთრებული მახვილით წარმოსთქვა) მიმდევართა რაოდენობა თანდათანობით გამრავლდა (კვლავ ტაში). მან განაგრძო: — დროა, ბატონებო, „ძმობამ“ ხორცი შეისხას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, იგი ჩამოვაყალიბოთ და ოფიციალური ფორმა მივცეთ. თუ კრება ნებას მომცემს, მე წავიკითხავ ჩემს მიერ შემუშავებულ პროგრამას.

გაისმა საერთო სიცილ-ხარხარი.

— გთხოვთ, გთხოვთ, — შესძახეს ყოველი კუთხიდან.

ეზიკიანმა, აუღელვებლად, დინჯად ამოიღო უბის ჯიბიდან ქა-

ლალდი, ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა, და კითხვა დაიწყო (ქალალდს სათაურად დიდი ასოებით ეწერა „თათოსიანობა“).

§ 1. ძმობის მიზანია ყოველგვარი ღონისძიება მიიღოს მხიარულად და ზარზეიმით დროსტარებისათვის.

§ II. ძმობა შესდგება ა) თავმჯდომარისაგან, ბ) მისი თანაშემწისაგან, გ) მდივნისაგან, დ) საპატიო და მუდმივი წევრებისაგან.

§ III. ყველა სტუდენტს, თუ უნდა საპატიო და მუდმივი წევრი იყოს ძმობისა, უნდა ჰქონდეს შემდეგი თვისებები: ა) უყვარდეს ის სასმელები, რომელნიც დიდ ბახუსს უბოძებია კაცობრიობისათვის საკეთილდღეოდ. ბ) უყვარდეს ბანქოს თამაში რომელიც თავის თავში შეიცავს როგორც მატერიალურ, ისე მორალურ საწყისებს. გ) უყვარდეს ქალები, მამაკაცთა ბედნიერების ერთადერთი წყარო.

§ IV. ძმობის კრებები ჩატარდეს ყოველ ღამე.

— მეოთხე პარაგრაფს შენიშვნის სახით დაემატება შემდეგი, — განაგრძო ეზიკიანმა, — კრებების ჩატარება შეწყდება მხოლოდ ორი თვით, გამოცდების წინ, როცა წევრები გართული არიან საგნების მომზადებით და არ შეუძლიათ თავიანთი თავი კეთილ საქმეს შესწირონ.

ეზიკიანმა წაიკითხა აგრეთვე რამდენიმე სტატია, რომლებშიც ლაპარაკი იყო „ძმობის“ გამგეობის, მისი წევრების უფლება-მოვალეობაზე და სხვა... ბოლოს იგი დაჯდა.

საერთო დუმილი ჩამოვარდა. ყველა საქმიანად დაფიქრებულიყო. ბოლოს სიჩუმე ბაქოსიანმა დაარღვია. მან სიტყვა ითხოვა, წამოდგა და თქვა:

— მე მთელი გულით ვიწონებ პროგრამას, რომელიც ეხლა იქნა წაკითხული, მაგრამ ნებას ვაძლევ ჩემს თავს ერთი კერძო შენიშვნა გავაკეთო — პროგრამაში, მართალია, ჩამოთვლილია, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს სტუდენტს, საპატიო წევრის ღირსება რომ დაიმსახუროს, მაგრამ თავმჯდომარის ვალდებულებებზე და თვისებების შესახებ კი არაფერია ნათქვამი.

ბაქოსიანის შემდეგ სიტყვა მოითხოვა ლაბლაბოვმა. მან უყოყმანოდ მოიწონა ბაქოსიანის შენიშვნა და დაუმატა:

— ჩემის აზრით, ბატონებო, თავმჯდომარედ შეიძლება იყოს ის პირი, ვინც შეუსვენებლივ ერთ ბოთლ არაყს გამოსცლის.

ლაბლაბოვის წინადადებას მართალია საერთო სიცილით გამოეხმაურნენ, მაგრამ უარყოფილი იქნა ბაქოსიანის მიერ.

— ბატონი ლაბლაბოვის აზრი, — თქვა მან, — როგორც კერძო ხასიათისა — საერთო ყურადღების ღირსი არ შეიძლება იყოს. ჩემის აზრით, ბატონებო, „კეთილი საქმის“ წარმატებისათვის ისეთი

თავმჯდომარე უნდა ავირჩიოთ, რომელიც ყველაზე უფრო ტუტუცი და ბოთე იქნება.

ყველამ ტაში დაუკრა.

— მაშასადამე, ბატონო ეზიკიან, მეორე თავის პირველ პარაგრაფს შენიშვნის სახით დაურთეთ ბატონ ბაქოსიანის წინადადება.

მან უბის ჯიბიდან ფანქარი ამოიღო და წერას შეუდგა.

ათარიანი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ბაქოსიანის ლოგინზე იყო წამოწოლილი და ალბათ ისევ ოფენბახზე ფიქრობდა — ლაპარაკში ჩაერია:

— ბატონებო, მე დიდი პატივისცემით ვეპყრობი ბატონი ბაქოსიანის მიერ გამოთქმულ აზრს, მაგრამ მაინც ზედმეტად მიმაჩნია ასეთი შენიშვნის დამატება, იმიტომ რომ აქ მყოფთაგანი არც ერთი გამონაკლისს არ შეადგენს...

— მაშასადამე, თქვენ გინდათ სთქვათ, რომ ყველანი ტუტუცები და ბოთეები არიან და თავმჯდომარედ ყველა გამოდგება? — გაისმა ხმები აქეთ-იქიდან.

ათარიანმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. მაგრამ მას დაუსტვინეს.

ეზიკიანმა დაამთავრა წერა და კრების მონაწილეებს მიუბრუნდა:

— ბატონებო, ჩემის აზრით საკითხი საკმარისად ნათელია, ეხლა შეიძლება პირდაპირ არჩევნებზე გადავიდეთ.

— დიახ, — დაუდასტურა ყველამ.

— მაშასადამე, პირველად კენჭი ვუყაროთ თავმჯდომარეს, ვინც ხმას აძლევს, ხელი ასწიოს.

სამი კანდიდატი იქნა დასახელებული, ერთი — იგივე ეზიკიანი, მეორე — ლაბლაბოვი, მესამე — ნულიანი. ხმის უმრავლესობა მიიღო ეზიკიანმა. ლაბლაბოვი არჩეულ იქნა თავმჯდომარის მოადგილედ, ნულიანი — მდივნად, დანარჩენები — დარჩნენ საპატიო და მუდმივ წევრებად.

— შეუძლიათ იყვნენ აგრეთვე ნებაყოფლობით წევრებიც, — წარმოთქვა ერთ-ერთმა თათოსთაგანმა, — ამის შემდეგ ასე ვუწოდებთ მათ.

— ეგ გამგეობის საქმეა. — უპასუხა ეზიკიანმა, რომელმაც თავისი უფლებები ხელში აიღო. — ნებაყოფლობითი წევრობის მსურველებმა, ესე იგი იმათ, რომელთაც ხანდახან სურთ კრებაზე დასწრება, წინდაწინ უნდა მიმართონ თავმჯდომარეს და ნებართვა სთხოვონ. ეს აზრი ჩაწერილია მეათე თავში, — დასძინა მან მკაცრი და სერიოზული ტონით.

ყველა დაეთანხმა.

— მაშასადამე, ეხლა შეგვიძლია პირველი ოფიციალური კრება ჩავატაროთ, — თქვა თავმჯდომარემ.

იმავე წამს თათოსებმა თითო-თითო ჭიქა არაყი გადაჰკრეს, შემდეგ ყოველმა მათგანმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა „ძმობის“ და „კეთილი საქმის“ მარადიულობის შესახებ და ბოლოს ბანქოს თამაშის პირველი ოფიციალური სხდომა გახსნეს.

თამაშის დროს ისინი ცხარედ ეკამათებოდნენ ერთმანეთს ანგარიშების გამო, მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე წარამარა მოუწოდებდა წესრიგისაკენ.

ღამის ორ საათზე დაამთავრეს ბანქოს თამაში. ნახევარ საათს კვლავ კამათობდნენ მოგება-წაგებაზე. ბოლოს თვითონ თავმჯდომარე ჩაერია და მოაწესრიგა ანგარიშები, ვის რამდენი ჰქონდა წაგებული, ან რამდენი მოგებული.

— ბატონებო, ახლა სალაშქროდ გავწიოთ! — მხედართმთავარივით შესძახა თავმჯდომარემ.

—სალაშქროდ! — გაიმეორეს დანარჩენებმა და გარეთ გავიდნენ.

ამ დროს ვიღაც გლეხს სანოვაგით დატვირთული ურემი მიჰყავდა. ამის დანახვაზე ლაბლაბოვს სულელურმა აზრმა გაურბინა თავში, საწყალ გლეხთან გახუმრების გუნებაზე დადგა. თავისი შლიაპა ხელჯოხს ჩამოაცვა, დაკუზული მიუახლოვდა ურემს, საშინლად დაიღრიალა და გადახტა. ხარები დაფრთხნენ, ურემი გადაბრუნდა, გლეხი გაბრაზდა.

— რა ამბავია?.. — ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა გლეხმა.

— ხარებს გაეთამაშნენ... ბატონები კი არიან...

თათოსებმა პასუხი არ გასცეს, გადაიხარხარეს და გაშორდნენ. მაგრამ გლეხი მაინც ბურტყუნებდა, წყევლა-კრულვით იხსენიებდა მათ.

ბაქოსიანი, რომელიც თავის ოთახში დარჩა, ძალზე მოუსვენრად გრძნობდა თავს.

რატომღაც გულმოსული იყო და ხელების ფშვნეტით დადიოდა ოთახში. სიბრაზემ მაშინ გაუარა, როცა კარებში ნატაშას ლამაზი თავი გამოჩნდა.

— მე მადამთან ყოველგვარი საქმე დავამთავრე, — მიახარა ღიმილით და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ბაქოსიანს.

— ეგ კარგია!.. — უპასუხა ბაქოსიანმა და ქალს მოეხვია.

ე.

აპრილის თვე იყო. თათოსებს კრიზისი დაუდგათ, მალე გამოცდები დაიწყებოდა. ბანქოს თამაშის ოფიციალური სხდომები გადაიდო.

ასე იყო თუ ისე, ამჟამად უნდა დაეწყოთ მზადება. ჩვენი სტუდენტები თავთავის პაწაწინა ოთახებში ჩაიკეტნენ და მეცადინეობას შეუდგნენ. დღე და ღამ თავაუღებლივ, ძალ-ღონის დაუზოგავად კითხულობდნენ, სწერდნენ — მეცადინეობდნენ. ყველას თვალები ჩაუღამდა, სახე გაუფითრდა, დასუსტდა, ნაავადმყოფარს დაემსგავსა, თითქოს ახლა ამდგარიყვნენ ლოგინიდან, ძლივს მილასლასებდნენ უნივერსიტეტში წლიური ნამუშევრის ჩასაბარებლად. რამდენიმეს ბედმა გაუღიმა, გამოცდები ჩააბარა, ზოგნი კი ჩაიჭრნენ (ბაქოსიანიც ამათ რიცხვში მოსვდა). მაისის დამლევს ამ ტანჯვისაგან განთავისუფლდნენ.

არდადეგები დაიწყო. ამიერიდან უნდა დაესვენათ, დაკარგული ძალ-ღონე აღედგინათ, „ძმობის“ საქმე წინ წაეყვანათ...

ბაქოსიანმა თავის ნატაშასთან ერთად მოსკოვი დატოვა და ზაფხულის გასატარებლად სოფელ სოკოლნიკში გადავიდა. აქ ერთი პატარა სუფთა, მზიანი ოთახი დაიქირავა, რომლის ფანჯრები მშვენიერ ბაღს გადასცქერიოდა. ნატაშა ამ ახალი ბინით ძალზე გახარებული იყო და მთელი დღე მოუნდა ოთახის წესრიგში მოყვანას.

საღამოს ჩაის მაგიდა ბაღში გააწყო, რომელსაც ბუჩქნარის ღობე ერტყა. მზე ის იყო ჩადიოდა, ხეების ფოთლებს ლაპლაპი გაჰქონდათ ჩამავალი მზის სხივებზე. ჰაერში ფიქვის საამო სუნი იდგა.

ბაქოსიანი მხართეძოზე წამოწოლილიყო მერხზე და გულდამშვიდებული გატაცებით უმზერდა ნატაშას. ქალიშვილი, ასევე გულდამშვიდებული და პირმცინარე, ჩაის ასხამდა ჭიქებში.

— აი, აქ კი კარგია!.. — აღფრთოვანებით თქვა ნატაშამ და სახეზე ბავშვურმა ღიმილმა გადაურბინა.

— შენ ასე გგონია? — შეეკითხა ბაქოსიანი და აღტაცებული მზერა სტყორცნა ქალიშვილს, რომელსაც ამ წუთებში ჩამავალი მზის სხივებისაგან უფრო გაბრწყინებოდა სახე.

— დიახ, ძალიან კარგია... — გაიმეორა ნატაშამ და უცბად სახე მოეღრუბლა. — აქაურობამ ჩვენი სოფელი გამახსენა, ჩემი სახლკარი და ყველაფერი, რაც იქ დავტოვე...

უკანასკნელი სიტყვები ქალიშვილმა ისე სევდიანად წარმოთქვა, რომ ბაქოსიანის ყურადღება მიიპყრო.

— მაინც რა დატოვე იქ?

— ყველაფერი... — უპასუხა ქალიშვილმა იმავე სევდიანი ხმით, — ჩემი მშობლების... ნათესავების საფლავები... ყველაფერი... დიახ, ყველაფერი...

ბაქოსიანმა დღემდე არ იცოდა ქალიშვილის ვინაობა. მისმა სევდიანმა კილომ ინტერესი გაუღვიძა გაეგო, საიდან იყო ჩამოსული და შეეკითხა:

— როგორ მოხვდი მოსკოვში, ნატაშა პავლოვნა?

— ოჰ, ნუ მკითხავთ მაგას, მიხეილ არტემიჩ, გთხოვთ, ნუ მკითხავთ...

მაგრამ ბაქოსიანი არ მოეშვა და კვლავ შეეხვეწა, რომ ყველაფერი ეამბნა. ქალიშვილმა ხათრი ვეღარ გაუტეხა და მოკლედ მოუთხრო თავისი წარსული. იგი ერთადერთი შვილი აღმოჩნდა სამსახურიდან დათხოვნილი ნადვორნი სოვეტნიკისა. მამამისს სახელმწიფო ფულები გაეფლანგა და თავის პატარა მამულში დასახლებულიყო № მაზრაში. იქ ბოღმით გულისავსე ჩინოვნიკს არყის სმისა და ბანქოს თამაშისათვის მიუყვია ხელი, მთელი ქონება წაუგია და ისე ჩასულა საფლავში. ქალიშვილის დედასაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, გარდაცვლილა და ნატაშა უპატრონო ობლად დარჩენილა. ერთ შორეულ ნათესავს ჩამოუყვანია მოსკოვში სასწავლებლად. მაგრამ სიღარიბის გამო სასწავლებელში ვერ მოწყობილა და უმნიშვნელო ხელფასით მადამთან დაუწყია მუშაობა მკერავად.

ამ ამბის მოყოლისას ნატაშას ლამაზი თვალები ცრემლებით აევსო. წამწამები დახარა და გაჩუმდა. ბაქოსიანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ნაზი, სევდით დაბინდული სახის დანახვამ.

— მაშასადამე, შენს სხეულში აზნაურის სისხლი სჩქეფს... — თქვა მან.

ქალიშვილმა არაფერი უპასუხა. ღრმად ამოიოხრა მხოლოდ.

— ნუ მოიწყენ. ძვირფასო, — გაამხნევა ბაქოსიანმა, — ვინც სამშობლოში დაკარგე, ყველას მაგიერობას მე გაგიწევ.

— ძალიან კეთილი ხარ, მიხაილ არტემიჩ, შენ გიყვარვარ, — მიუგო ცოტა იმედმიცემულმა ქალიშვილმა.

სწორედ ამ დროს ღობის იქით სტვენითა და ხელში ჯოხის ტრიალით ჩაიარა ერთმა მაღალმა, გამხდარმა ახალგაზრდამ, რომელსაც წვეტიანი ცხვირი და მიწავაშლას ფერი თმები ჰქონდა. წვრილი ნაცრისფერი თვალები ძალზე მოუსვენრად დაუხტოდნენ ოდნავ შესამჩნევ წამწამებს შუა.

— მედვედოვსკი, მედვედოვსკი, — შესძახა ბაქოსიანმა თავის უნივერსიტეტის ამხანაგს.

ეს ახალგაზრდა რუსი იყო, წარმოშობით გლეხი. ხმა რომ მოესმა, შემობრუნდა, ბაქოსიანი დაინახა და ბაღისაკენ გამოექანა.

იგი ხშირად ესესხებოდა ხოლმე ფულს ბაქოსიანს, მაგრამ ვალის გადახდა არ უყვარდა; მას კერძო საკუთრების იდეის მოწინააღმდეგედ მოჰქონდა თავი. საერთოდ ასე მსჯელობდნენ ყველა ის სტუდენტები, ვისაც ჯიბესავით ჰქონდათ თავი ცარიელი.

ნატაშამ სტუმარს რომ თვალი მოჰკრა, იქაურობას გაშორდა.

— აჰ, თქვენ აქა ხართ, არ ვიცოდი — უთხრა მედვედოვსკიმ ხელის ჩამორთმევის დროს. — ვინ არის ის ლამაზმანი, — და ხელით ანიშნა ნატაშაზე, რომელსაც ბაღიდან გასვლა ჯერ ვერ მოესწრო.

— ჩემი მსაბური ქალია... — შეშფოთებულმა უპასუხა ბაქოსიანმა. — რატომ არა ჯდებით? ალბათ, სადმე იჩქარით, — სიტყვა ბანზე აუგდო ბაქოსიანმა.

მედვედოვსკიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს უკანასკნელი სიტყვები არ გაეგონოს, და კვლავ ნატაშაზე გადაუკრა:

— დიახ, კარგი არჩევანია... ცუდი საქონელი არ არის...

— ჩაის ხომ არ მიირთმევთ? — შეეკითხა ბაქოსიანი.

— არა. მეჩქარება.

— საით?

— კოჩეროვებთან.

— ალბათ რაღაცა გიზიდავთ იქით?

მედვედოვსკიმ გარშემო შემოუარა ბაქოსიანის მერხს, ისე რომ თვითონაც არ იცოდა რისთვის, და წინ გაუჩერდა.

— ახ, რომ იცოდეთ, რა მშვენიერი ქალიშვილი ჰყავთ იმათ, მიხაილ არტემიჩ! ერთი სიტყვით — თაფლი და კარაქია... რა ლამაზი თვალები, რა პატარა ფეხები, რა ნაზი თითები, რომელი ერთი ვთქვა!

მედვედოვსკის ჩვეულებად ჰქონდა საალერსო სიტყვების მისუსტებული ხმით წარმოთქმა.

— იმისი სახის გამომეტყველებას კი, — კვლავ განაგრძო ახალგაზრდამ, — რაღაც ისეთი იდუმალი მომჯადოებელი ძალა აქვს, ისეთი მიმზიდველი, რომ პირდაპირ აგიყებს მნახველს...

— ალბათ, შენც გაუგიებიხარ, რაღაც ნიშნებს გამჩნევ. არა? — ღიმილით დასძინა ბაქოსიანმა.

— მე როდი ვხუმრობ, მიხაილ არტემიჩ, იმის ნახვის ბედნიერება რომ მოგეცეთ — სავსებით დამეთანხმებით.

— მართლა? — თითქმის აბუჩად აგდების კილოთი შეეკითხა ბაქოსიანი.

— პატიოსნებას გეფიცებით, — იმავე აღფრთოვანებით განაგრძო მედვედოვსკიმ. — აჰ, იმისი პატარა გული ნამდვილი სამოთხეა, ზღვა სიკეთით აქვს გული სავსე...

მართალია მედვედოვსკის ხანდახან უყვარდა ტყუილების ლაპარაკი, მაგრამ ბაქოსიანს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ იმის ნალაპარაკევში იოტისოდენა სიმართლე იქნებოდა.

— თუ გინდა, გაგაცნობ. მოხუცი შამა ჰყავს, მაიორია, წმინდა ანას ორდენით დაჯილდოებული, სულით-გულით ნამდვილი ჩინოვნიკია. ბანქოს თამაშიც უყვარს და მაგარი სასმელებიც. თურქულ ჩიბუხს ეწევა, დიდი აღტაცებით მოჰყვება ხოლმე ლაპარაკს 56 წლის და ყირიმის შესახებ, სადაც მარჯვენა მკლავში დაჭრილა. ეგ არის მისი ერთადერთი დიდება. თუ თავს მოაჩვენებ ისე, რომ გულდასმით უსმენ, მოყოლას არასოდეს არ შეწყვეტს. იგი დაქორწინებულა ქალზე კი არა, — მის ქონებაზე, ამიტომ ცოლით უდგას სული და მისი მონა-მორჩილია. ხოლო ცოლი, ბებერი „ძუ ლომია", მთელი თავისი სიცოცხლე საზღვარგარეთ გაუტარებია და ახლაც ისევ ბადენსა და როპეტკაზე ლაპარაკობს. ძალიან თავმოყვარე და თავმომწონე ქალია, და თუ კომპლიმენტებს ეტყვი, მის სილამაზეს შეაქებ, პირდაპირ აღტაცებაში მოდის.

— მაგრამ ქალიშვილი? — უფრო დაინტერესებით შეეკითხა ბაქოსიანი.

— ქალიშვილი კი ზედმიწევნით მიუწვდომელი არსებაა, ვერ გამოიცნობ თუ რა უდევს გულში. მუდამ აგზნებულია, მაგრამ მდუმარე, ძალიან იშვიათად იღიმება, და ერიდება თავისი გრძნობების გადმოცემას. უფრო ამჯობინებს თვითონ უსმენდეს სხვების ლაპარაკს. უყვარს მოსმენა, როცა უცნაურ და არაჩვეულებრივ ამბებს ჰყვებიან. რატომღაც სიამოვნებს, რომ გონება მუდამ გაღიზიანებული ჰქონდეს. ამიტომ მეც ხშირად ვროშავ ხოლმე იქ ამერიკის წითელკანიანებზე, ესპანეთის ინკვიზიტორებზე, ვენეციის მიწისქვეშა დილეგების და ალპებში მოგზაურობის შესახებ... ერთმა ეშმაკმა უწყის, რამდენი უბადრუკი ამბები მიროშია...

ბაქოსიანი ყურადღებით უსმენდა. ბოლოს შეეკითხა:

— მართლა, ლამაზია?

მედვედოვსკიმ კვლავ გაიმეორა სიტყვა „მშვენიერი". — მე ეხლაც იქ მივდივარ. ნახვამდის. შევეცდები თქვენც დაგაახლოვოთ ამ ოჯახთან. კეთილი ადამიანები არიან. შეიძლება კაცი გაერთოს.

თქვა მედვედოვსკიმ და თავის გზას გაუდგა.

ბაქოსიანზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მედვედოვსკის სიტყვებმა და იდუმალი სურვილი აღუძრა დაახლოვებოდა იმ ოჯახს, ენახა — „რა ფრინველი“ იყო ის გოგონა, როგორც თვითონ უწოდებდა. მან ლერწმის ჯოხი აიღო ხელში, გამოვიდა ბაღიდან და სოფლის მიდამოებში დაიწყო ხეტიალი. ნატაშამ კი ჩაის ჭურჭლის ალაგება დაიწყო.

მზე უკვე ჩავიდა, მაგრამ დასი ჯერ ისევ ყვითელ-წითლად ღვიოდა. ცის თაღზე მიკრული გამჭვირვალე ღრუბლები ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა.

რამდენიმე წუთში მედვედოვსკი მივიდა დიდ, მაგრამ მშვენიერ სადარბაზო კართან. მას მიეგება საზაფხულო მსუბუქ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ქალი — კოჩეროვები — დედა და ქალიშვილი.

— ო, რა დიდხანს გვაცდევინეთ, ნიკოლაი პეტროვიჩ, — ღიმილით უთხრა ქალიშვილმა ყმაწვილ კაცს ოდნავი საყვედურის კილოზე.

— მაპატიეთ, სოფია ივანოვნა (ასე ერქვა ქალიშვილს) — მაპატიეთ, რომ ასე მოხდა.

მედვედოვსკი შეჰპირებოდა, რომ საღამოს ერთად წავიდოდნენ სასეირნოდ.

— იგი ყოველთვის სტუმის ხოლმე, — გამკიცხავი ტონით დაუმატა ქალიშვილის დედამ შინაურულად.

— მაპატიეთ, მარია ვასილევნა, — მიუბრუნდა ჭაბუკი ქალიშვილის დედას, — ერთ ამხანაგთან შევიარე და აქ იმიტომ დამაგვიანდა.

მათ განაგრძეს გზა.

ვინ არის დამნაშავე

ცასა შინა ვარსკვლავები, ვარსკვლავები
კიაფობენ,
წუთიერი ბრწყინვალებით ციურ სივრცეს
მიაპობენ.
მხოლოდ წუთით ელვარებენ, კაშკაშებენ
სიდიადით,
მერე უცებ ჩაქრებიან — იფარება ცა
წყვდიადით.

ა

ივლისის თვე იყო.

ქალაქ თ.... ში ნაშუადღევის პაპანაქება სიცხე იდგა, ქუჩებში არავინ ჩანდა. მდიდრები თავიანთ ბედნიერ სასახლეებში ნებივრობდნენ. ვაჭრებს ნოყიერი სადილისა და ღვინის სმის შემდეგ დუქნის კუნჭულებში მისძინებოდათ ქუჩების სიჩუმეს მხოლოდ კინტო არღვევდა. ხილით სავსე თაბახი თავზე შეედგა და ერთფეროვნად გაპყვიროდა — „ვიშნიი, ჩერეშნიი, აბა კარგი ჩერეშნიი“...

ქალაქის ერთ-ერთ ცარიელ ქუჩაზე გრიალით ჩაიარა სამგზავრო ეტლმა. და ერთ კარგა მოზრდილ შენობასთან გაჩერდა. ეტლიდან მაშინვე გადმოხტა მაღალი ჭაბუკი, გზის მტვერით გაშავებული, კართან მიიჭრა და მოუთმენლად დაიწყო ზარის რეკვა. კარები გაიღო. ახალგაზრდა შევიდა. კიბეზე ყმაწვილ კაცს შემოეგება გამხდარი დედაკაცი და ყელზე მოეხვია: „აჰ, მიშა“, — წამოიძახა და მკერდზე მიადო თავი.

ეს დედაკაცი შვილის ნატვრაში წლების მანძილზე დატანჯული მარიამი იყო, ხოლო ახალგაზრდა კაცი — მარიამის შვილი — მიქაელ ბაქოსიანი.

8.

მარიამი, როგორც იყო, ცოტა გონს მოეგო, შვილის დახმარებით სადარბაზო ოთახში შევიდა.

აქ თავი მოიყარეს ჭაბუკის დებმა, უმცროსმა ძმამ, სახლის მსახურთ. ყველა გახარებული იყო. მიქაელი ყველას მიესალმა, მოეხვია, გულში ჩაიკრა, იგი ბედნიერად გრძნობდა თავს მშობლიური სახლის ჭერქვეშ.

საცოდავი დედა გვერდიდან არ იშორებდა შვილს, წარამარა კოცნიდა, ეხვეოდა, ხან ტიროდა, ხან იცინოდა, ერთი სიტყვით, სიხარულისაგან არ იცოდა რა ექნა.

— როგორ გაზრდილხარ, ბიჭო? — ეუბნებოდა დედური გრძნობით გულაჩუყებული და სიყვარულით აღსავსე თვალებით სიამოვნებით უმზერდა შვილს.

— მატყობ, დედი? — ღიმილით შეეკითხა შვილი.

— როცა გერმანიაში გაემგზავრე, მაშინ სულ ყმაწვილი იყავი, ახლა კი დავაჟკაცებულხარ, წვერ-ულვაშიც ამოგსვლია.

— ასეა დედი, ასაკი სცვლის ადამიანს.

— ასაკი!.. — გაიმეორა მარიამმა და ამოიოხრა. — რვა წელია არ მინახავხარ... მერე იცი, შვილო, ამ რვა წლის განმავლობაში რამდენი ტანჯვა გადამხდა... — და მარიამს დამჭკნარ სახეზე ცრემლებმ ჩამოუგორდა.

— ამიერიდან ნუგეში და პატრონობა არ მოგაკლდება, დედაჩემო, — გაამხნევა შვილმა და მოეხვია.

როცა დამშვიდდნენ, სიყვარულის ჟინი მოიკლეს, რაც ასე ძალუმად იჩენს ხოლმე თავს დიდი ხნის უნახავ დედა-შვილს შორის, ახალგაზრდამ ხელპირი დაიბანა და გზის მტვერი მოიშორა.

გ.

ოჯახის წევრების მხიარულმა ხმაურმა და სიცილმა მეზობელ ოთახში ჩაძინებული არტემ პავლიჩი, მიქაელის მამაც გამოაღვიძა. იგი ფაციფუცით წამოხტა და სადარბაზო ოთახს მიაშურა, ხაიდანაც მოესმა შვილის ჩამოსვლით ატეხილი ხმაური.

მოხუცი მამაც სიხარულისაგან ცას ეწია. როცა ამანაც იჯერა გული შვილის ალერსით და დამშვიდდა, გამოკითხვა დაუწყო:

— დაამთავრე, მიშა?

— დავამთავრე, მამაჩემო.

— ბევრი რამე ისწავლე?

— რაც შემეძლო, ვისწავლე...

შვილის თავაზიანმა პასუხმა არ დააკმაყოფილა მამა, კვლავ შეეკითხა.

— ყველაფერი ისწავლე, მიშა?

ახალგაზრდას სახეზე მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა.

—განა შეიძლება ყველაფრის შესწავლა, მამაჩემო?

უკანასკნელი სიტყვები გულზე მოხვდა მამას, თითქოს თავმოყვარეობა შეულახეს. იგი დარწმუნებული იყო, შვილმა ყველაფერი ისწავლა, აღარაფერი იყო დარჩენილი, რომ მას არ სცოდნოდა. შვილმა ალღო აუღო მდგომარეობას და რომ გაეფანტა მისი გულისწუხილი, განუცხადა, სწავლული დოქტორის ხარისხი მივიღეო.

— ეგ ერთი კარგი საქმე გაგიკეთებია, შვილო, — გამხიარულდა მამა, — რომ „დოხტური“ გამხდარხარ. ამიერიდან აქაურ დოხტურების მუნათიდან ამოვალთ. ეგ შეჩვენებულები სანამ წითელ თუმნიანს არ დაინახავენ, ავადმყოფს ახლოს არ ეკარებიან. თანაც შენი ეტლით უნდა წაიყვანო...

მაგრამ არტემ პავლიჩი მწარედ ტყუვდებოდა — იმის შვილს ექიმობა კი არ ესწავლა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გამხდარიყო და გერმანული უნივერსიტეტის დიპლომი ჰქონდა.

დ.

ახალგაზრდა ბაქოსიანი ტანმაღალი იყო, ჰქონდა ხშირი შავი თმა, შავგვრემანი სახე და ცოცხალი ცეცხლოვანი თვალები. იმისი მიხრა-მოხრა, სახის ნაკვთები გაბედული სტუდენტის ენერგიულ ბუნებას მოწმობდა.

ერთი-ორი დღის შემდეგ, როცა მგზავრობით დაღლილმა მიქაელმა ცოტა დაისვენა, დაიწყო ნაცნობებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან სტუმრად მისვლა.

— ძალიან კარგად მოქცეულხარ, რომ კანონები შეგისწავლია, — უთხრა ერთმა ჭაღარა თმიანმა მოხუცმა გენერალმა. — მალე სამსახურში შეხვალ, ჯამაგირი და ჩინი გექნება... ფართო ასპარეზზე გახვალ... მერე კი ერთი კარგი საცოლეც გამოჩნდება მსუქანი მზითვით...

— ვნახოთ... — უპასუხა ახალგაზრდამ: — ჯერ არ ეფიქრობ მაგაზე. — დაუმატა და ორიოდე წუთში ჩვეულებრივი საუბრით დაამთავრა თავისი პირველი ვიზიტი.

— დიდხანს იცოცხლე, შვილო, — დალოცა მდიდარმა ვაჭარმა ბატონმა ფოღასერიანცმა. — მამაშენი უკვე დაბერდა, აღარაფერში ვარგა, კაი დროს მოუსწარი, ეცადე დაეხმარო ფოდრათების აღებაში, ვაჭრობაში, საერთოდ ყველაფერში... კანონები კარგად იცი, ადვოკატის ფულის მიცემა აღარ დაგჭირდება... ო, ეგ ადვოკატები! ღმერთმანი, კაცს პირდაპირ ტყავს აძრობენ, ტყავსა...

„ამისი ქადაგებაც მოვისმინე“, — გუნებაში გაიცინა ბაქოსიანმა, ორიოდე სიტყვით გამოკითხა შინაურების ავ-კარგი და ბატონ ფოღასერიანცს გამოემშვიდობა.

ამ დღეს კიდევ ერთი დარბაზობა მოელოდა, ქალბატონ შნორჰაბაშხის უნდა სწვეოდა.

სალონის ქალბატონი, რომელსაც ბაქოსიანების ოჯახთან შორეული ნათესაობა აკავშირებდა, — ფრიად აღტაცებული შეხვდა სტუმარს. ძალიან შინაურულად მიიღო იგი, თუმცა, უნდა ითქვას, ისევ. პატარა მიშად სთვლიდა მას.

საუბარი მეტწილად ეხებოდა გერმანიას და შვეიცარიას და იქ მოსწავლე ქალებსა და ქალიშვილებს. საბოლოოდ ქალბატონმა, რომელსაც ჯერ კიდევ შემონახული ჰქონდა თავისი უწინდელი სილამაზის დამჭკნარი ვარდები, განაცხადა, მეც მიზნად მაქვს ციურიხში წასვლაო.

— სასწავლებლად აპირებთ წასვლას? — ღიმილით შეეკითხა ბაქოსიანი.

— არა, მიშა, აქაური ცხოვრება მომბეზრდა. საშინელი სიცარიელე სუფევს ჩვენს ქალაქში, წავალ, ცოტა ხანს მაინც დავისვენებ იქ.

— დიახ, ცუდი როდია, დაქანცულმა იქ დაისვენოს... — ირონიულად მოუჭრა სიტყვა ბაქოსიანმა ქალბატონს.

— არა, მიშა, ისე მინდა, ცოტა ხანს ციურიხში დავყო.

— რა გაეწყობა, რაკი გნებავთ... მიბრძანდით...

— შენ მუდამ იცინი, მიშა, — ხელი მოკიდა ახალგაზრდას სია-

მოვნებისაგან გულდამტკბარმა ქალბატონმა შნორჰაბაშხმა და დასძინა. — ისევ ისეთი ოხუნჯი ხარ, როგორც წინათ.

— არა, ანა კირილოვნა, მე ახლა ძალზე თავაზიანი ვარ.

— რა საცოლე ბიჭი ხარ, მიშა! არც ერთი ხუთასთუმნიანი ქალიშვილი უკან არ დაიხევს! — ჩაუკრა ქალბატონმა, რომელსაც ჯერ ისევ ხელში ეჭირა ზიშას ხელი.

— მე საფულეებზე დაქორწინება არა მაქვს ფიქრად... ისე კი არაფერი აზრი არა აქვს აქაური ქალიშვილების შერთვას.

— ეს როგორ?

— როგორ და ისე, რომ, ისინი თავით ფეხამდე მოკლებულნი არიან ზრდილობას.

— არა, მიშა, აქ კარგი ქალიშვილებიც არიან.

— ალბათ ისინი, თავიანთ მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც რომ არ იციან, არა?

— ეგ დიდი ნაკლი როდია! ისიც კმარა, რომ სწავლა აქვთ მიღებული.

— მერწმუნეთ, ანა კირილოვნა, ეგ ნასწავლები ლამაზ ვაშლებსა ჰგვანან, გარედან ლამაზები არიან, საამო სუნი დაჰკრავთ, მაგრამ შიგნით დამპალი გული აქვთ...

ასეთი ლაპარაკი ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდა, მერე ბაქოსიანი გამოემშვიდობა ქალბატონს და წასასვლელად გაემზადა. ქალბატონი ანა კირილოვნა შეეხვეწა სადილად დარჩენილიყო, მაგრამ მიქაელმა უარი უთხრა.

ე

ამ საღამოს ბაქოსიანს სანახავად უმაღლესი განათლების მქონე რამდენიმე დიდი თანამდებობის პირი და სატახტო ქალაქის სტუდენტები ესტუმრნენ — ადვოკატები, ექიმები, ბუნებისმეტყველნი და ისტორიკოსები.

ბაქოსიანმა თავაზიანად მიიღო ისინი. უბრალო საუბრიდან ნელ-ნელა გადავიდნენ უფრო სერიოზულ, მნიშვნელოვან საკითხებზე.

შეეხნენ ამავე ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გაზეთებს და სწავლამიღებული ახალგაზრდობის ცხოვრებას.

— ჩვენი ახალგაზრდობა, ბატონებო, არაფერს აკეთებს, — თქვა ბაქოსიანმა მეგობრული გულახდილობით.

— რა უნდა გააკეთოს, როცა მისი მოქმედების არე ასე შეზღუდულია? — მიუგო ახალგაზრდა ისტორიკოსმა.

— ზარმაცები თავის მართლების მიზეზს ყოველთვის გამონახავენ ხოლმე, — სიცილით უპასუხა ბაქოსიანმა.

— შენ, ჩემო ძმაო, ჯერ ისევ საზღვარგარეთული ქარი გიქრის თავში, რამდენიმე დღე რომ გაივლის, მერე სულ სხვაგვარად ამღერდები, — ჩაერია ხუჭუჭთმიანი ბუნებისმეტყველი.

— მითხარით გეთაყვა, რის გაკეთება შეიძლება აქ? — შეეკითხა იურისტი სერიოზულ კილოზე.

— აი, მაგალითად, ჩვენ დღევანდლამდე ერთი სანიმუშო გაზეთიც კი არა გვაქვს, — მიუგო ბაქოსიანმა.

— ვთქვათ გვაქვს ასეთი გაზეთი, მერე და, ჩვენში გაზეთს ვინა კითხულობს? — შეეკითხა ექიმი.

— აი სწორედ იმიტომ, რომ გაზეთებს არა კითხულობენ, — შეაწყვეტინა ბაქოსიანმა, — ისეთი პერიოდული გაზეთი უნდა გამოუშვათ, სრულიად ახალი სულით და ახალი მიმართულებით, რომ გააღიზიანოს, მიიზიდოს მკითხველი, აღუძრას ინტერესი და ბოლოს მიაჩვიოს კითხვას.

— ეგ ყველაფერი ილუზიებია, — წამოიძახა ექიმმა. — ჩვენი მკითხველი საზოგადოება, ესე იგი მოსახლეობის მაღალი და ნასწავლი ფენა, სომხურ გაზეთს სრულებითაც არ საჭიროებს.

კამათმა უფრო ცხარე ხასიათი მიიღო, როცა ბაქოსიანმა განაცხადა: — მე სავსებით წინააღმდეგი ვარ თქვენი აზრისა, ბატონო უფროსო ექიმო. დაე თქვენი მაღალი და ნასწავლი საზოგადოება ნუ წაიკითხავს. ეს დიდი ბედენა როდია... მაგრამ თქვენ გავიწყდებათ ერთი რამ, რომ ჩვენა გვყავს უფრო დიდი საზოგადოება, უფრო მრავალრიცხოვანი, უფრო ცხოველმყოფელი, — ეს საზოგადოება თვით ხალხია, ბოგანო ხალხი, აი ამ ხალხისათვის უნდა ვიმოქმედოთ.

ახალგაზრდა ისტორიკოსმა, რომელიც გულდასმით უსმენდა. საყვედურით დასძინა:

— ეჰ, ჩვენც ბევრი ვწერეთ, პერიოდულ გაზეთებშიც და ჟურნალებშიც, მაგრამ რა გამოვიდა? — ეს შენი ბოგანო ხალხი ისევ ისეთი დარჩა, რაც იყო.

ასეთმა პასუხმა ბაქოსიანი განაცვიფრა...

— თუ თქვენმა ნაწერებმა საზოგადოებას სარგებლობა არ მოუტანა — ჩემის აზრით მაგის მიზეზი ის არის, რომ ისინი ხალხის საჭირბოროტო საკითხებს და ტკივილებს არ პასუხობდნენ. გაზე-

თის მთავარი ამოცანა კი სწორედ ეს არის. მაგრამ როცა პერიოდული ჟურნალ-გაზეთები ქადაგებენ ძველ სქოლასტიკურ აზრებს, არაბულ ზღაპრებს მოუთხრობენ, სამღვდელოებას გუნდრუკს უკმევენ და იმავე დროს მკითხველი საზოგადოების სიმპათიას მოითხოვენ — ეს ყოვლად შეუძლებელი საქმეა.

— ჩვენი ხალხი რელიგიური ერია, მხოლოდ ასეთი ნაწერებით შეიძლება მათი მიზიდვა და კითხვისადმი სიყვარულის ჩანერგვა. სხვა საშუალება არ არსებობს, — უპასუხა ისტორიკოსმა.

— აი, სწორედ მანდ სცდებით, — მაშინვე გამოეპასუხა ბაქოსიანი. — იმის ნაცვლად, რომ ხალხი ლიტერატურულ აზრებს აზიაროთ, თქვენ ისევ იმას ცდილობთ. საშუალო საუკუნეების ფილოსოფიური შხამით მოწამლოთ.

— მაშ რაზე უნდა გვეწერა?

— მე უკვე ვთქვი — პრესა ხალხის მოთხოვნილებების ყოველდღიური მღაღადებელი უნდა იყოს-მეთქი. აი რაზე უნდა დაგეწერათ მაგალითად: წერილობით თუ პრაქტიკულად უნდა დაარწმუნოთ ვაჭრები, რომ შექმნან ამხანაგობები და წესიერი სავაჭრო სახლები. ხელოსნებს უნდა უქადაგოთ, რომ მათ სახელოსნო სასწავლებლები გახსნან. გლეხებს უნდა შეაგნებინოთ დააარსონ საკოოფლო და სესხის ამხანაგობები. აი, ამ საკითხებს უნდა აშუქებდნენ ჟურნალ-გაზეთები.

— ასეთი ქადაგებანი ბევრჯერ გვსმენია. ეგ ყველაფერი სიზმარია, ჩვენში მაგისთანების გაკეთება შეუძლებელია. — თქვეს ბაქოსიანის სტუმრებმა და დამცინავი ღიმილით განშორდნენ იქაურობას.

„საცოდავები“... — გაიფიქრა ბაქოსიანმა მათი წასვლის შემდეგ.

3

კვირა დღე იყო.

არტემ პავლიჩმა დილაადრიან შაქრის ნატეხით ერთი ჭიქა ჩაი დალია და მეიდნისაკენ გასწია სადილისთვის თევზეულის და სხვა სურსათ-სანოვაგის საყიდლად, რომ მერე ეკლესიაში წასულიყო წირვის მოსასმენად.

არტემ პავლიჩი უკვე სამოცი წლისა იყო, გაბერილმუცლიანი. დიდთავა და კაი სქელქისიანი ვაჭარი. ქალაქში მარტო სიმდიდრით როდი იყო განთქმული, გამოცდილი და ჭკვიანი კაცის სახელიც ჰქონდა გავარდნილი იგი ჰფლობდა კარგა მოზრდილ, მშვენიერ

სამსართულიან სახლს. სავაჭრო დუქნებს, სახნავ-სათეს მინდვრებს, და სამ ფერად მედალს, რომლებიც უქმე დღეებში მკერდზე ეკეთა.

მისი მეუღლე, ქალბატონი მარიამი, გამოირჩეოდა კეთილი და სათნო ხასიათით. იგი ნამდვილი ღვთის ბატკანი იყო, დაჯილდოებული დედური გულისხმიერებით, სინაზით და იშვიათი შრომისმოყვარეობით.

ამ დღეს ჭაბუკი ბაქოსიანი ადრე ადგა და სახლიდან წასასვლელად მოემზადა.

— კიდევ „ვიზიტზე" მიდიხარ, მიშა? — შეეკითხა დედა.

— დიახ, დედაჩემო, მივდივარ... — მიუგო შვილმა იდუმალი ხმით.

— როცა „ვიზიტებზე" მიდიხარ, ფრაკი ჩაიცვი ხოლმე, შვილო.

— ასეც არა უშავს.

— სირცხვილია, რას იტყვიან?

— ის ხალხი, ვისთანაც დღეს ვაპირებ წასვლას, ისე თავაზიანი და კეთილია, რომ უფრაკოდაც მიმიღებს.

რამდენიმე საათის შემდეგ ბაქოსიანი ერთ ვიწრო და ტალახიან ქუჩაზე მიდიოდა. მან გაიარა ქალაქის ის ნაწილი, სადაც ყოველგვარ სიბინძურეს, ნაგავსა ყრიდნენ და ერთ ნახევრად დანგრეულ სახლთან გაჩერდა.

ბაქოსიანი შევიდა ამ სახლში და ასეთი სურათი წარმოუდგა:

მუშების ერთ ნაწილს პერანგები გაეხადათ და ფრჩხილებით ხოცავდნენ სისხლის წწოველ მკბენარებს, მეორენი ცივ მიწაზე ისხდნენ და ჩამონგრეულ კედელთან საუბრობდნენ, მესამენი — თვალცრემლიანი იგონებდნენ უპატრონოდ მიტოვებულ ცოლ-შვილს, მშობლიურ მხარეს, მწარედ ოხრავდნენ და სევდიან ბაიათებს მღეროდნენ...

ბაქოსიანი სახტად დარჩა, როცა მის დანახვაზე ეს ძონძებში გახვეული ადამიანები უმალვე წამოიშალნენ და თავიანთ გამჭვარტლულ-გაშავებულ ბუნაგებში მიიმალნენ.

იგი ერთ ასეთ ბუნაგში შევიდა. კარებშივე ცხვირში ეცა ნესტიანი ჰაერი, როგორც საქონლის სადგომში იცის ხოლმე.

— რათ გაიქეცით, რისთვის მომერიდეთ? — შეეკითხა იგი ერთ ნანდაზმულ მუშას, რომელიც განუწყვეტლივ თავს უკრავდა, ესალმებოდა.

საცოდავ მოხუცს ენა ჩაუვარდა.

მისმა ამხანაგებმა საბრალობელი ხმით ჰკადრეს:

— აღა. შენს მუხლებს ვენაცვალეთ, ღმერთსა ვფიცავთ, ჩვეს ყველას ბილეთები გვაქვს...

ბაქოსიანმა ვერ გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა.

— მე თქვენთან ბილეთების გასასინჯად არ მოვსულვარ, — მიუგო მან.

— რა ვიცით, ჩვენ ეგრე გვეგონა, აღა-ჯან. ერთი ჩინოვნიკი ყოველ დღე მოდის... ბილეთსა გვთხოვს. ჩვენც ვუჩვენებთ ხოლნე — ეს ერთი ძველია, მეორე დახეულია, მესამე ფალშივია, ამისთვის მკაცრად დაგსჯითო, გვემუქრება. ჩვენც გვეშინია, ფულს ვაძლევთ, რომ არ გაგვაციმბიროს...

— საბრალონი... — მწარედ ამოიოხრა ბაქოსიანმა. — თქვენი ბილეთები ყალბი ხომ არ არის? — შეეკითხა იგი.

— არა, აღა-ჯან, ნამდვილია, როგორც ცაში მზე, თუ გინდათ, გიჩვენებთ, — უპასუხა ყველამ ერთხმად.

— საჭირო არ არის, მხოლოდ თქვენ იმ ჩინოვნიკის სახელი და გვარი გამიგეთ. ის გატყუებთ, რომ ფული გამოგძალოთ, თუ კიდევ მოვიდეს — არაფერი მისცეთ. არ დაგავიწყდეთ, გამიგეთ იმისი ვინაობა და მითხარით.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, შვილო, ერთი გვიშველე რაღე, გაგვათავისუფლე. შენი ჭირიმე. — ემუდარებოდნენ მეშები ბაქოსიანს.

ამ დროს ბაქოსიანს მწარე ოხვრა-კვნესა შემოესმა, მაშინვე ბნელი კუთხისკენ გაიხედა, საიდანაც ხმა მოდიოდა. იქ, ცივ ფილაქანზე იწვა ერთი ახალგაზრდა. იგი ბრგე, მხარბეჭიანი ჭაბუკი ჩანდა, მაგრამ მთლად ჩონჩხად ქცეულიყო, თავქვეშ ფალანი ამოედო ბალიშის ნაცვლად, ხოლო საბნის მაგიერ ძველი დაგლეჯილი პალტო ეფარა.

ბაქოსიანი რამდენიმე წუთს გაშტერებული დასცქეროდა მძიმე ავადმყოფს, მერე თავისთვის წაიბურტყუნა: — „ეს ჯერ კიდევ იცოცხლებსო“, და დაღვრემილი, ხმაამოუღებლივ განშორდა იქაურობას.

მალე სახლთან გაჩერდა ეტლი. ეტლით მოსულმა უცხო პირებმა ავადმყოფი ეტლში მოათავსეს და ერთ ოჯახში წაიყვანეს, რომელსაც დავალებული ჰქონდა ღარიბ-ღატაკ ავადმყოფებზე მზრუნველობა.

ბაქოსიანი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა მთავარი ქუჩით. უეცრად ნაცნობი ხმა მოესმა. ვიღაც უძახდა. უკან მიიხედა. იცნო თავისი ნაცნობი ექიმი ბარაკიანცი.

— აა, სტეფან დანილიჩ, კარგია შეგხვდით, — უთხრა ახალგაზრდამ და ხელი მაგრად ჩამოართვა, — მე ამ წუთას ექიმთან მივდიოდი. გთხოვთ საჩქაროდ ამა და ამ უბანში, ამა და ამ ქუჩაზე ბა-

ტონ ა...ს სახლში მიხვიდეთ, იქ ნახავთ ავადმყოფს, გასინჯეთ და უმკურნალეთ. აი მიიღეთ პირველი ნახვის გასამრჯელო. სხვა დროსაც ნაღდად მიიღებთ.

— ახლავე, — მიუგო ექიმმა, ვერცხლის ფული გამოართვა და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ბაქოსიანმა შეაჩერა.

— მითხარით, თავისუფალი დრო თუ გექნებათ. რომ კვირაში ორჯერ ერთ დიდ სახლში გაიაროთ ხოლმე?

— დიახ, — უპასუხა ექიმმა.

— მაშინ კეთილ ინებეთ და ამ საღამოს, შვიდ საათზე შემომიარეთ, მოვილაპარაკოთ.

— ძალიან კარგი, — უთხრა ექიმმა და განშორდა.

ბაქოსიანი კარგა მოგვიანებით დაბრუნდა სახლში, სადილობის დრო უკვე გადასული იყო.

— აქამდის სადა ხარ, შვილო? მუდამ გვაცდევინებ, — უსაყვედურა დედამ.

— მეგობართან ვიყავი... მართალია, დამაგვიანდა, — მიუგო შვილმა, — მაგრამ თქვენ უჩემოდაც შეგეძლოთ გესადილათ.

— უშენოდ ლუკმა არ გადამცდება, შვილო!

— ეგ მეტისმეტი სიყვარულია, დედაჩემო, — უთხრა შვილმა, მოეხვია და ასე შევიდნენ სასადილო ოთახში, სადაც ნაირ-ნაირი საჭმელებით იყო გაწყობილი მაგიდა. შვილი დედის გვერდით დაჯდა, ხოლო არტემ პავლიჩი — ბავშვებში.

— ეგ რა ჩვეულება გაქვთ, მამი, ბავშვებს სომხურად არ ელაპარაკებით? — უთხრა ახალგაზრდამ.

— სომხური ენა რაში გამოადგებათ, შვილო? ანდა ახლა სომხურად ვიღა ლაპარაკობს? — მიუგო არტემ პავლიჩმა.

— ყველა ბავშვმა ჯერ უნდა მშობლიური ენა შეისწავლოს, მერე კი უცხო ენას უფრო ადვილად დაეუფლება. ამას მოითხოვს თანამედროვე პედაგოგიკა.

— ვთქვათ, ჩვენ სომხურად ველაპარაკეთ ბავშვებს, — ჩაერია ქალბატონი მარიამი, — უცხო ენას მსახურთაგან ხომ ვერ შეისწავლიან!..

არტემ პავლიჩს ამ საკითხზე საუბარი სულ არ სიამოვნებდა და სიტყვა სიძვირეზე ჩამოაგდო.

— გაძნელდა ცხოვრება, ყველაფერს ცეცხლი უკიდია, — უკმაყოფილოდ დუდუნებდა იგი, — დღეს წირვა-ლოცვასაც კი გავცდი, მეიდანში იმდენი ვიწანწალე, სანამ რის ვაი-ვაგლახით კარგი თევზი და ღორი ვიშოვე. ისიც მერე რა ძვირად! აი, ღმერთმა დასწყევლოს...

— თქვენ რომ ასე ემდურით ცხოვრებას, მაშ იმ საცოდავმა ღარიბ-ღატაკებმა რაღა უნდა ქნან, მამი? — ჰკითხა ახალგაზრდამ.

— ისინი უთევზოთაც იოლად წავლენ, შვილო, მაგრამ ჩვენი საქმეა ძნელი, ჩვენი საქმე...

— მშრალი პური ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ?

— მშრალი პურის შოვნა ადვილია, შვილო! ჩვენი საქმეა ძნელი, ყაბლუფლავისთვის ისე პირი ვერ დაგვიკარებია თუ აღჯანაბათი არ მივატანეთ.

— ჩვენ მუდამ ყაბლუფლავს შევექცევით, სრა-სასახლეებში ვცხოვრობთ, იმ საწყლებს კი ღამის გასათევი კუთხეც არ გააჩნიათ და მშრალი პური ენატრებათ. რატომ ამაზედაც არ უნდა ვიფიქროთ?

არტემ პავლიჩს რაღაც უკმაყოფილების იერმა გადაურბინა სახეზე.

— რატომ! — ყრუდ გაიმეორა მან. — შენ ხომ დიდი ნაჯითხი ხარ, რატომ ისიც არ ისწავლე თუ რატომ? — იმიტომ, რომ ღმერთს საწყალი საწყლად გაუჩენია, მდიდარი — მდიდრად: ჩვენთვის ფლავი მოუცია, იმათთვის — ცარიელი პური. ფლავიც და ცარიელი პურიც იმის ხელში იყო, ვენაცვალე იმის დიდებას და მადლს, ვისაც უნდოდა იმას მისცემდა, ხელს ვინ დაუჭერდა...

და არტემ პავლიჩმა გულმოდგინედ გადაისახა პირჯვარი.

„ეგეც ჩვენი ეგოისტების მოძღვრებაა“... — გუნებაში გაურბინა ახალგაზრდას და საღილის მაგიდას რომ უნდა გასცლოდა, უთხრა მამას:

— თქვენ გავიწყდებათ, რომ ღმერთმა მდიდრებს დაავალა — ღარიბ-ღატაკნი შეიწყნარეთო!

მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვები არტემ პავლიჩს თითქმის არ გაუგონია.

ზ

ბაქოსიანი უკვე გაერია ქალაქის წარჩინებულ და უბრალო ხალხის სხვადასხვა შეკრებულობაში.

ქალბატონ ნასიროვას „ვეჩერი“ ჰქონდა.

ქალაქში განთქმული მდიდარი ვაჭარი ნასიროვი ორმოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა, და თავის ერთადერთ ლამაზ ქალიშვილ ნატოს დიდძალი სიმდიდრე დაუტოვა. ნატომ ადგილობრივი ქალთა სკოლა დაამთავრა და ახლა ეს და დედამისი ხელგაშლილად ცხოვრობენენ, როგორც უბრალო ხალხი ამბობს „თაფლში და კარაქში ბა-

ნაობდნენ". ამ ოჯახის ყოველდღიური გართობა იყო „ვეჩერები", „პიკნიკები", ბალ-მასკარადები, თეატრები, „კრუჟოკები" და სხვა.

მდიდრულ დარბაზს ათასფრად გაჰქონდა ჩახჩახი. გრძელ მაგიდას შემოსხდომოდნენ ქალები, ქალიშვილები, მამაკაცები და ლოტოს თამაშობდნენ.

დარბაზის შეზობლად პატარ-პატარა ოთახებში მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად ბანქოს თამაშით იქცევდნენ თავს. ერთ კუთხეში ლამაზი ნატო თავისი ნაზი თითებით პიანინოს უკრავდა და მსმენელები აღტაცებაში მოჰყავდა.

კარგა ჩასუქებული, აბრეშუმ-ატლასებში გამოწყობილი ქალბატონი კი შეუჩერებლივ აქეთ-იქით დარბოდა, სტუმრებს იღებდა, ტკბილად ესაუბრებოდა, ზოგს უცინოდა, ზოგსაც თავისი ქალიშვილის განათლებასა და ცოდნას უქებდა.

დარბაზის ერთ კუთხეში რამდენიმე ქალიშვილს მოეყარა თავი და ერთმანეთში საუბრობდნენ.

— შენ ნამდვილად იცი, ანიჩკა, რომ ის ამ საღამოს მოვა? — რუსულად შეეკითხა სოფიო თავის გვერდით მჯდომ ქერათმიან ქალიშვილს.

— ვიცი, ნატომ მითხრა, დედამისს ისიც დაუპატიჟნია, — რუსულადვე უპასუხა ანიჩკამ და დაუმატა: — ახ, სოფი, რა შშვენიერი ვაჟკაცია, რომ იცოდე...

— შეყვარებული ხომ არ ხარ, ანიჩკა? — სიცილით შეეკითხა მათ კვერდით მჯდომი შავგვრემანი ქალიშვილი — ბარსამიანთ ოლღა.

— არა, ოლია, მე მხოლოდ იმისი ლაზათიანი ჩაცმა-დახურვა, ზრდილობიანი ყოფა-ქცევა და საამო ლაპარაკი მომწონს.

— სადა ნახე? — ჰკითხა სოფიომ.

— რამდენიმე დღის წინ ფარასირიანცების ბალზე იყო მოწვეული, ქალიშვილები გიჟდებოდნენ იმისთვის, მაგრამ არავისთან არ უცეკვია.

— ეჰ, ძალიან უცნაური კაცი სჩანს, — ჩაერია შავგვრემანი

— არ მესმის, რა უნდა იყოს იმ კაცში სასიამოვნო?.. ის ხომ სულ სომხურად ლაპარაკობს, ხოლო ვისაც ეს ენა არ ესმის, მათთან გერმანულ და ფრანგულ ენებზე ფილოსოფოსობს...

— არა, მარია, — სიტყვა მოუჭრა ანიჩკამ, — იმან რუსულიც კარგად იცის.

სწორედ ამ წუთებში დიასახლისი სახეგაღიმებული მიეგება ერთ სტუმარს.

— აგერ ისიც, აგერ ისიც, — ნაზმა ჩურჩულმა გადაუარა ქალიშვილების ჯგუფს.

ნატომ პიანინოს დაკვრას თავი მიანება და წამოდგა. დანარჩენმა ქალიშვილებმაც საუბარი შეწყვიტეს, წამოიშალნენ და პეპლებივით მოეფრინენ დარბაზს.

თ

დიასახლისმა სტუმარს თავისი ქალიშვილი გააცნო — ესეც ჩემი გოგონა, ნატალია ოსიპოვნა! — მერე ჭაბუკზე გადაიტანა მზერა — ბატონი მიქაელ ბაქოსიანი, — თქვა მან და შემდეგ სტუმრებს წარუდგინა სათითაოდ.

დარბაზში შეკრებილთა შორის ბაქოსიანს ერთადერთი ნაცნობი აღმოუჩნდა. ეს იყო მისი შორეული ნათესავი ქალბატონი შნორჰაბაშხი, ამ ქალაქის ბალ-საღამოების სულისჩამდგმელი.

— კარგია, შენც გამოჩნდი, მიშა, — თქვა მან და მბიარულად მიეგება ბაქოსიანს.

— ნუთუ ჩემი დანახვა ასე გესიამოვნათ? — ღიმილით შეეკითხა ახალგაზრდა.

— დიახ, ასეა! მაშ ნათესაობას რაღა ფასი აქვს?

უკანასკნელი სიტყვები ქალბატონმა ისე ხმამაღლა წამოიძახა, რომ ბევრმა გაიგონა და მიხვდა, ქალბატონი ამაყობდა სტუმართან ნათესაობით.

— მაშინ ვეცდები ხშირად გნახოთ ხოლმე, — უპასუხა ბაქოსიანმა, თუმცა თვითონაც არა სჯეროდა თავისი ნათქვამისა.

— დიდი მადლობელი ვიქნები, — მიუგო ქალბატონმა შნორჰაბაშხმა, მიუახლოვდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა: — დიასახლისის ქალიშვილს კარგად დააკვირდი... რა მსუქანი ნაჭერია... — და სიცილით გაშორდა ბაქოსიანს.

ნატომ მოკრძალებით გაუყარა ხელი ახალგაზრდას და დარბაზში სეირნობა დაიწყო მასთან ერთად. ბაქოსიანმა ცალი თვალი გადაავლო ბანქოს მოთამაშეებს და გაიფიქრა: „აი ჩვენი ქალაქის მთელი გართობა“.

მათ გაიარეს დარბაზი და ერთ პატარა ოთახს რომ მიუახლოვდნენ, ქალიშვილმა სტუმარი იქ შეიპატიჟა. ოთახში საპატიო სტუმრების ერთი ჯგუფი ბანქოს თამაშით იქცევდა თავს.

ისინი შორიახლო გაჩერდნენ. ბაქოსიანი სკამზე ჩამოჯდა და ისე უმზერდა აზარტში შესულ მოთამაშეებს.

— თქვენ რა თამაში უფრო გიტაცებთ? — შეეკითხა ნატო ფრანგულად.

— მე საუბედურო არავითარი თამაშის ნიჭი არა მაქვს, — ხუმრობის კილოზე უპასუხა ბაქოსიანმა.

— მაშ რითი გაგართოთ?

— განა თქვენ საკმარისი არა ხართ, თუ იმდენად კეთილი იქნებით, რომ ინებებთ სტუმარი გაართოთ.

ქალიშვილი აწითლდა და ბაქოსიანს გვერდით მიუჯდა. საუბარი ჩამოვარდა საზღვარგარეთის შესახებ. ბაქოსიანმა ბევრი რამ უამბო, შვეიცარიაში ქალიშვილების სწავლა-განათლებაზე, სტამბოლსა და სმირნაში მცხოვრები სომეხი ქალიშვილების ზრდილობიან ყოფაქცევაზე. საუბრის დამთავრების შემდეგ ნატომ ჰკითხა:

— გთხოვთ მიპასუხოთ, რა აზრისა ხართ ჩვენს ქალაქზე და აქაურ ცხოვრებაზე?

— როგორც იქ, უცხოეთში, ისე აქ მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია, — უპასუხა ბაქოსიანმა.

— ჩვენ რა დამნაშავე ვართ, თუ მშობლიური ენა არ შეგვასწავლეს? — აღგზნებით უპასუხა ნატომ. — ოჯახში მშობლები გვიკრძალავდნენ — „ეხლა სომხურად ლაპარაკი მოდაში არ არისო", გვეუბნებოდნენ...

— დიახ, ასე იქცევიან ჩვენი მშობლები თავიანთ შვილებს... — დაამთავრა ბაქოსიანმა და სახე მოეღუშა.

ქალიშვილმა შეამჩნია, რომ მისმა სიტყვებმა უსიამოვნოდ იმოქმედა სტუმარზე და საუბრის თემა შეცვალა.

— რა საქმიანობას ეწევით ამჟამად?

— ჩემი საქმიანობა ისეთი წვრილმანია, რომ თავისუფლად შეიძლება ითქვას, არაფერს, — მიუგო ბაქოსიანმა.

— მე ყური მოვჭარი, გაზეთის გამოშვება უნდაო. რა ენაზე?

— რასაკვირველია, სომხურ ენაზე.

— გაზეთი სომხურ ენაზე?.. — წამოიძახა ქალიშვილმა და თავისი ლამაზი პირისახე რაღაც დამცინავად დაღმიჭა.

ი

შემდეგ კვირა დღეს ბაქოსიანი კვლავ ესტუმრა ჩვენთვის უკვე ნაცნობი მუშების საერთო საცხოვრებელს. ამ დღეს მუშებს თავი აღარ გაურიდებიათ მიქაელისათვის, პირიქით, როგორც თავიანთი ერთგული მეგობარი, ისე მიიღეს.

მუშებმა ბაქოსიანს უამბეს, ის ბოროტი ჩინოვნიკი აღარ დაიარება, სამაგიეროდ ხშირად მოდისო ექიმი, სახელად სტეფანე ბარაკიანცი. მისი დახმარებით ჩვენს ბინებში სისუფთავეს მეტი ყურადღება მიექცა, არავისგან ფულს არ იღებს და ყოველგვარ საექიმო დახმარებას სულ უფასოდ გვიწევსო, რისთვისაც ჩვენ, მუშები, ძალიან მადლობელნი ვართ და ლოცვა-კურთხევას ვუგზავნით იმ ადამიანს, რომელმაც ეს ყველაფერი მოაწყო.

ბაქოსიანი ფიცრებისგან ახლად შეკრულ ტახტზე ჩამოჯდა და მუშებსაც ანიშნა დამსხდარიყვნენ.

— გთხოვთ მითხრათ, სადაურები ხართ, რომელი ქვეყნიდან? — შეეკითხა იგი.

— ეჰ, აღა-ჯან, აქ, ჩვენთან, მილეთის ხალხია შეკრებილი, — უპასუხა ერთმა ხანდაზმულმა მუშამ. — აქ ნახავთ ოსმალეთის ვილაეთებიდან — მუშიდან, ბაიაზეთიდან, ვანიდან, არზრუმიდან და თქვენ წარმოიდგინეთ, ადანიდანაც კი. სპარსეთიდან — ხოიდან, სალმასტიდან, ურმიიდან, მარაღიდან, მუჟუმბარიდან და ისპაჰანიდანაც კი, კავკასიიდან — ძველი ნახჭევანიდან, ერევნიდან, აგულისიდან და სხვა.

— რა მიზეზით მიატოვეთ თქვენი სამშობლო? რატომ იქ არ ცხოვრობთ?

— შენი სულის ჭირიმე, აღა-ჯან, — გამოეპასუხა ერთი თმაჭაღარა სალმასტელი მუშა, — ვინ მიატოვებს თავის სამშობლოს, ოჯახს, ცოლ-შვილს და უცხო მხარეში გადაიხვეწება?! ასეთი კაცი განა ადამიანია?.. ჩვენ ყველას ერთი დარდი გვაწუხებს, ყველას ერთი სატკივარი გვაქვს და ის გვაწანწალებს... თურქების ქვეშევრდომი ვართ, აღა-ჯან, იქ ყველა ხარკს გვთხოვს, ყველა ჩვენა გვძარცვავს. შვილებს გვტაცებენ, მიჰყავთ. რომ გაათათრონ... ასეთი უბედურება ათასია, რომელი ერთი ვთქვათ... ჩვენს ქვეყანაში ურჯულოები ბატონობენ, თუ რამე ვიშოვეთ — გვართმევენ. ჩვენც, საუბედუროდ, ქვეყნებში დავეხეტებით, რომ ერთი ორი გროში ვიშოვოთ, წავიღოთ. რომ ჩვენი შვილები დავაპუროთ...

მოხუცმა დაამთავრა თავისი სიტყვა, ჩამქრალი თვალებიდან ცრემლი წასკდა და თეთრ წვერზე წვეთებად დაეკიდა.

ამ სიტყვებმა ბაქოსიანზე ღრმა კვალი დატოვა, გული აუტოკდა... აუჩუყდა. თვალები ცრემლით აევსო. მაგრამ თავი შეიკავა და შეეკითხა:

— აქ რა საქმეს ეწევით?

— დილაადრიან კურტანს ზურგზე მოვიგდებთ, მეიდანში ვტრიალებთ და კისერგადაგდებული ველოდებით, იქნება ვინმეს ტვირთის გადატანაში მივეხმაროთ, ცოტა ფული ვიშოვოთ, — უპასუხეს მუშებმა.

— თქვენ ყველა მხოლოდ ამ საქმეს მისდევთ?

— არა, ჩვენში არიან ისეთებიც, რომლებიც გზების შეკეთებაზე მუშაობენ, ანდა სახლების მშენებლობაზე. მაგრამ ფოდრადჩიკი უღვთოდ ძარცვავს მათ, „ვიზარალეო", — გამოუცხადებს ხოლმე და ნამუშევრიდან უჭრის. ჩვენთან ყველაზე ბედნიერები ისინი არ-

იან. ვინც ქარვასლებში ოდაბაშების თანამდებობაზე მუშაობენ, ან კიდევ ფაბრიკა-ქარხნებში არიან მოწყობილი.

— გარდა კვირა დღისა, სხვა თავისუფალი დღე არა გაქვთ?

— არა, აღა-ჯან, მარტო კვირა და უქმე დღეებში არა ვმუშაობთ.

— კეთილი, ერთი ვითხარით, აი ამ დღეებში თქვენთან ვინმე რომ მოვიდეს და რაიმე საკითხზე საუბარი ჩაგიტაროთ, მოუსმენთ?

— ქაროზის სათქმელად?

— ჰო, ამეკარი რამ.

— რატომ არ მოვუსმენთ? კვირა დღეებში აშული მოდის, ჩვენთვის მღერის, ზღაპრებს გვიამბობს, იმას ფულსაც ვაჩუქებთ ხოლმე.

— მაშ ასე, მომავალ კვირას მე მოვალ ქაროზის სათქმელად, თქვენი ფული კი საჭირო არ იქნება, — დაამთავრა ბაქოსიანმა და წავიდა.

მუშები სახტად დარჩნენ. მღვდელი არ არის და რა ქაროზის მთქმელია ეგ კაცი!

Კ

ამავე დღეს არტემ პავლიჩმა შვილი თავის ოთახში მიიხმო. იქ ერთი ქართველი თავადი იჯდა, რომელსაც წითელი ხავერდის ახალუხი და უქრო-მკედით მოქარგული კაბა ეცვა, წელზე კი შეეერცხლილი ხანჯალი ეკიდა.

ახალგაზრდამ ზრდილობიანად დაუკრა თავი.

— ჩემი შვილია, მიხაილ არტემიჩი.

— კნიაზი ჭიანშველიძე. — გააცნო მას არტემ პავლიჩმა.

ახალგაზრდა დაჯდა.

— მიშა, იცი რა საქმეზე დაგიძახე? — თქვა არტემ პავლიჩმა იმ ენაზე, რომელიც თავადსაც ესმოდა, — კნიაზი ჩემი ძველი მეგობარია, წესიერი კაცი, ღმერთია მოწამე, ცხონებული მამამისი უფრო კარგი კაცი იყო — ღმერთმა სულით გაანათლოს — იმისი ოჯახი მთელ კახეთში განთქმული იყო.

მიქაელი მოუთმენლად ელოდა, თუ მამამისი თავის მლიქვნელურ სიტყვას როგორ დაამთავრებდა.

— კნიაზიც, — განაგრძო არტემ პავლიჩმა, — ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, — ძალიან დიდი კაცია კახეთში. მაგრამ ჯერ ჯეელია (ეჰ, ერთ დროს ჩვენც ხომ ჯეელები ვიყავით...) წარსულ ღამეს კლუბში ბანქო უთამაშია, რამდენიმე ათასი წაუგია (რა ვუყოო, ჯეელობაში ასეთი რამეები ჩვენც ბევრი მოგვსვლია...), ეხლა ფუ-

ლი სჭირდება, მოსულა, მეუბნება, არტემ პავლიჩ, შენს მეტი მეგობარი არა მყავს, ამ გაჭირვების დროს ხელი უნდა გამიმართო. რამდენიმე ათასი მანეთი მომცეო. ვეუბნები, მიშას მზემ, ფული არა მაქვს-მეთქი, არა სჯერა, · მეუბნება, არტემ პავლიჩ, საცა არ იყოს, სადმე უნდა მიშოვნო და მომცეო. ეხლა როგორ მოვიქცეთ. მიშა-ჯან, ჩვენი კნიაზია, როგორც არ უნდა იყოს — სხვისგან უნდა ვიშოვოთ, მას მივცეთ, შენ ხომ იცი, მე ეხლა ფული არა მაქვს.

— მე არაფერი არ ვიცი... — მიუგო ბაქოსიანმა.

— აი, იმ კოლოფში, მიშა, — სიტყვის დასრულება არ დააცალა შვილს არტემ პავლიჩმა. — კნიაზს დასაგირავებლად ძვირფასი ნივთები მოუტანია, მიდი ნახე.

ახალგაზრდა წამოდგა, მაგიდაზე დადგმული პატარა კოლოფი გახსნა, სადაც ოქრო-ალმასით მოჭედილი ქალის ძვირფასი სამაჯურები, გულქანდა, მანიაკები, მედალიონი და სხვა ნივთები ეწყო.

— ეკენი, მიშა, კნეინა ნინუშკასია. ვიცი. სხვა კაცს არ ენდობა, მაგრამ კნიაზი კარგად მიცნობს. იცის არტემ პავლიჩი ვარ, არავის ნამარდობას არ გავუწევ....

— ბოლოს, რა გინდა ჩემგან? — შეეკითხა მოთმინებიდან გამოსული შვილი.

— ჰო, იმის თქმა მინდოდა, მიშა. ქაღალდი აიღე, ჯერ 3000 მანეთის თამასუქი დაწერე. ხუთი თვის ვადით, მერე ერთი პირობის ქაღალდიც გაამზადე. კნიაზის მოტანილი ნივთები თითო-თითოდ ჩამოთვალე და მიაწერე: თუ ხუთ თვეში ფული არ მოიტანა, კნიაზი ვალდებულია, გარდა მაგ 3000 მანეთისა, 500 მანეთი ჯარიმა გადაიხადოს ჩემ სასარგებლოდ. ხოლო მე უფლება მაქვს დაგირავებული ნივთები გავყიდო და ჩემი ფული გავინაღდო.

— იცით, კნიაზო, — მიმართა არტემმა თავადს, — მე ერთი ალალმართალი კაცი ვარ. ჩემი ყველა საქმე სამართლიანია, სჯობია ამ თავითვე გითხრა, რომ თქვენც ანგარიში დაიჭიროთ: მე 2500 მანეთს ნაღდად მოგცემთ. თუმანში რომ ორი აბაზი გადამიხადოთ. თვეში 100 მანეთ სარგებელს მომცემს. ხუთ თვეში კი 500 მანეთს შეადგენს, ამიტომ ვეუბნები, რომ თამასუქი 3000 მანეთისა დაწეროს. მამიჩემის სულის განათლებამ. ასე იაფად ჯერ არ გამისესხებია ფული. მაგრამ რას ვიზამ. მეგობარი კაცი ხარ, ხათრს ვერ გიტეხავ...

— რასაკვირველია, არტემ პავლიჩ, ჩვენი მეგობრობა ერთი დღისთვის ხომ არ გვინდა, — მიუგო თავადმა და პირობაზე თანხმობა განაცხადა.

— აბა, აიღე, დაწერე, — მიმართა შვილს არტემ პავლიჩმა.

— მე ასეთ პირობას ვერ დავწერ, — სომხურად უპასუხა ახალგაზრდამ, რომ თავადი არ მიძხვდარიყო.

— რატომ? — თვალების ბრიალით შეეკითხა შამა.

— იმიტომ, რომ ჯერ ერთი — მაგ კაცს კანონით უფლება არა აქვს თავისი ცოლის საკუთრება დააგირავოს, მეორეც — დიდი უკანონობაა ხუთ პროცენტზე მეტი სარგებლის აღება.

არტემ პავლიჩს სიბრაზისაგან ცეცხლივით წამოენთო თვალები.

— მაშ, გასწი, გამეცალე, რომ ეგ კაცი არაფერს მიხვდეს.

შვილი გაშორდა.

„ეგ კანონები მე კარგად ვიცი, — გუნებაში თქვა მოხუცმა მევახშემ, — ამ პირობის ქაღალდზე ცოლის ხელმოწერაც არ არის ძნელი საქმე“.

— იცით, კნიაზ, — შვილის წასვლის შემდეგ მიმართა არტემ პავლიჩმა თავის მსხვერპლს. — ჩემი მიშა „ზაგრანიციდან“ წამოსვლის დროს გზაში ავად გამხდარა, ეხლაც სიცხიანია, „მამი, ვერ დავწერ, ხელები მიკანკალებსო,“ — მითხრა, გავუშვი. ცოტა ხანს მომითმინე, ეხლავე ჩემ მწერალს გამოვიძახებ. ის დაწერს. დღეს კვირაა, ისვენებს.

— ძალიან კარგი, დავიცდი, — უთხრა თავადმა.

ლ

ერთ საღამოს შინ დაბრუნებულ ბაქოსიანს ქალბატონი შნორჰაბაშხი დაუხვდა. მას გვერდით უსხდნენ არტემ პავლიჩი, ქალბატონი მარიამი და ჩაის მიირთმევდნენ.

ქალბატონი შნორჰაბაშხი ლაპარაკობდა, იცინოდა, ოხუნჯობდა, სხვადასხვა ოჯახებში მომხდარ საინტერესო შემთხვევებს ჰყვებოდა.

მიქაელის დანახვაზე ყველას სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

— გამიშვით, მე ვეტყვი, რა! — წამოიძახა ქალბატონმა შნორჰაბაშხმა.

— არა, მე, — შეაწყვეტინა ქალბატონმა მარიამმა.

— ვა, მე კი ვერ ვეტყვი? — ჩაერია არტემ პავლიჩი.

— რა გინდათ მითხრათ? — თქვა ახალგაზრდამ და ხელი ჩამოართვა მათ.

— გვინდა დაგნიშნოთ, — ყველას მოასწრო ქალბატონმა შნორჰაბაშხმა.

— ეგ კარგი საქმეა, — ღიმილით მიუგო ახალგაზრდამ.

— ჰაი-ჰაი, რომ ცუდი საქმე არ არის!.. — მხიარულად შეეხ-ზიანა არტემ პავლიჩი.

ქალბატონი მარიამი აღფრთოვანებული იყო.

— მიშა, რომ იცოდე ვისზე, სიხარულისაგან სულ მაღლა-მაღლა იფრენ, — ისევ ყველას დაასწრო ქალბატონმა შნორჰაბაშხმა.

— თქვი, ვისზე? ნუ გეშინია, არ ვიფრენ, — მშვიდად უპასუხა ბაქოსიანმა.

— იჰი, ეგრე ადვილად გინდა გაიგო? რას მომცემ, რომ გითხრა?

— რასაც გინდა იმას მოგცემ, ოღონდაც ნუ იტყვი.

— ერთი ამას დამიხედეთ, კიდევაც რომ ინაზება! — სიცილით მიუბრუნდა ქალბატონი შნორჰაბაშხი არტემ პავლიჩს.

— უნდა გაინაზოს, მა რა! — გაიმეორა არტემ პავლიჩმა და შვილს ამაყად გადახედა.

— ხუმრობა იქით იყოს, — განაგრძო ქალბატონმა შნორჰაბაშხ-მა და ისევ ახალგაზრდას მიუბრუნდა, — მიშა, ჩვენ გვინდა ნასირ-ოვიანთ ნატოზე დაგნიშნოთ. რა გოგოა! ლამაზი, ჭკვიანი, ნასწავ-ლი, შნოიანი, ერთი სიტყვით, მოდნი გოგოა რაღა.

მიქაელი ჩუმად უსმენდა.

— ახლა ფულებს არ იკითხავ, ანა კირილოვნა, ფულებს! — ჩა-ერია არტემ პავლიჩი. — მამის ერთა შვილია, იმოდენა სახლ-კარი, იმდენი ქონება და სიმდიდრე სულ იმას ეკუთვნის.

— ერთი სიტყვით, სწორედ ჩემი მიშიკოს შესაფერისი გოგოა, — ხმა მისცა ქალბატონმა მარიამმა.

— შეიძლება ეგ ყველაფერი მართალია... მაგრამ მე ჯერ ცოლის შერთვას არ ვაპირებ, — გულგრილად თქვა ბაქოსიანმა.

— ჩვენი ქალაქის ბიჭებივით როცა თმები გაგითეთრდება, კბილ-ები ჩამოგცვივა, მაშინ გინდა დაქორწინდე? — უსაყვედურა ქალ-ბატონმა შნორჰაბაშხმა.

— არა, მაგრამ ახლა ისე ბუნდოვანია ჩემი მდგომარეობა. რომ ცოლის შერთვაზე ფიქრი ჩემთვის ნაადრევია.

არტემ პავლიჩმა გაკვირვებით მიმოიხედა.

— ვა, სხვა რაღა გინდა, ჰა? — დაიწყო მან, — სიმდიდრე გინ-და — აქვს, ნასწავლი გინდა — არის, სილამაზე გინდა — ლამაზია. ამისთანა ქალი ჰალვა ხომ არ არის, როცა გინდა ბაზარში იყიდო!

— არ გედავებით, მაგრამ, ვიმეორებ, მე ჯერ ცოლის შერთვაზე არა ვფიქრობ.

— მაშ, რაზე ფიქრობ? გვითხარით, რომ ვიცოდეთ. ჩვენ ქალაქ-ში რაც შესახედავი ბიჭები არიან, ყველას ნატოზე უჭირავს თვალი. მაგრამ არ აძლევენ, შენთვის შეინახა თავი, იმიტომ, რომ ცხონებუ-

ლი მამამისი და მე კარგი მეგობრები ვიყავით. შენ ჯერ ზაგრანიცაში იყავი, როცა ჩვენ ერთმანეთს სიტყვა მივეცით, მძახლები გავხდით. მერე ის ღმერთმა იმ ქვეყანას წაიყვანა, მე აქ დამტოვა, მაშ ჩვენი სიტყვა უნდა გავტეხოთ, ჩვენი აღთქმა არ უნდა შევასრულოთ? გაგონილა ის მშვენიერი გოგონა და იმდენი დოვლათი სხვის ხელში ჩავარდეს?

— მიკვირს, მამა, თქვენი მსჯელობა. განა ის კი გაგონილა, რომ ქორწინებას ფულისა და ქონების თვალით ვუყურეთ! თქვენ თუ გიფიქრიათ, რომ შეიძლება ნატომ მე არ შემიყვაროს ანდა მე არ შემიყვარდეს იგი?

— ვა. შენი ცოლი რომ გახდება, შეგიყვარებს, მა რა ჯანდაბა იქნება!

— მაგ საკითხის გადაწყვეტა ასე იოლი არ არის, მე კი, კვლავ ვიმეორებ, ცოლის შერთვას ჯერჯერობით არ ვაპირებ, — მიუგო ბაქოსიანმა. მერე ქალბატონ შნორჰაბაშს მიუბრუნდა და უთხრა:

— მაპატიეთ, რომ გტოვებთ. ჩემს ოთახში საქმე მაქვს, ამაღამ რამდენიმე სტუმარი უნდა მივიღო.

— ეი ჭკუის კოლოფი... — შვილის წასვლის შემდეგ გაკვირვებით წამოიძახა არტემ პავლიჩმა.

მ

რამდენიმე თვემ გაიარა.

ბაქოსიანთან იკრიბებოდა ღარიბი სტუდენტების, მოხეტიალე არტისტების, ცხოვრების სიდუხჭირისგან დატანჯული და განწირული ახალგაზრდების ჯგუფი და პატარა კრებები იმართებოდა.

— „ესე წმინდა ქვაი, რამეთუ გამთლელი მისი შეურაცხჰყვეს. არს ფუძე ამა კუთხისა“, — უთქვამს კაცობრიობის დიდს შემოქმედს, — დასძინა ბაქოსიანმა ერთ-ერთ კრებაზე.

— თქვენ, ბატონებო, საზოგადოებისაგან განკიცხულო ადამიანებო, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, რადგან თქვენში არის ძალა და ღონე, თქვენშია — სიცოცხლე, თქვენშია დაცული ხალხური ადათ-ჩვეულები.

კრება გულდასმით უსმენდა.

— მე ვფიქრობ, — განაგრძო ბაქოსიანმა, — შევადგინო რედაქცია ახალი პერიოდული გაზეთის გამოსაცემად, ვინაიდან ადგილობრივი გაზეთების მიმართულება მცდარად მიმაჩნია.

— რა სახელწოდება ექნება თქვენს გაზეთს? — იკითხეს კრების დამსწრეებმა.

— მისი სახელი იქნება „გრეჰიკი“[1]. ამ გაზეთმა უნდა გაამთრახოს ყველა ისინი, ვინც ხელს უშლიან მუშების კეთილდღეობას, მშრომელთა ფენის წინსვლას.

— მშვენიერი აზრია, — გაისმა ხმები აქეთ-იქიდან, — მშრომელთა ფენა დიდ სიდუხჭირეს, ტანჯვა-წამებას და ექსპლოატაციას განიცდის.

— მე უკვე რამდენიმე კვირაა ქალაქის მუშებს ლექციებს ვუკითხავ ფილოსოფიაში, იმ მიზნით, რომ ინდივიდუმის პრინციპების საფუძველზე შევაგნებინო თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

— ეგ უსათუოდ საჭიროა. მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯებიც უნდა გადაიდგას მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, — წარმოთქვა ერთმა.

— გეთანხმებით, — უპასუხა ბაქოსიანმა. — ამ მიზნით გავაცანი „ურთიერთდახმარების ამხანაგობის“ წესდება.

— გთხოვთ აგვისხნათ მაგ ამხანაგობის მიზანი.

— ამხანაგობის თვითეულ წევრს თავისი ნაშრომის განსაზღვრული ნაწილი შეაქვს ამხანაგობის სალაროში. იქ კარგა მოზრდილი თანხა რომ შეგროვდება, ამხანაგობა მიიღებს ჯილდოს. ეს შესაძლებლობას აძლევს მუშებს თვითონ აიღონ იჯარით სამუშაოები, აღარ მოექცნენ კერძო მოიჯარადრეების ხელში, აღარ გახდნენ მონები იმ ლიპიანი მოიჯარადრეებისა. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ პატარ-პატარა ფაბრიკა-ქარხნების შექმნა და კეთილად ცხოვრება.

— დიახ, ეგ მართლაც რომ გააუმჯობესებს მუშების მდგომარეობას, მეტადრე მაშინ, თუ ხელთ ექნებათ საწარმოო საშუალებები.

— მე დილაზე თხოვნით მივმართავ მთავარ სამმართველოს და იმედი მაქვს მალე მივიღებ ბრძანებას.

კრება კმაყოფილი დარჩა.

6

ეს კრებები, რომლებიც კვირაში ერთხელ იმართებოდა, რამდენადაც სიამოვნებასა ჰგვრიდა ბაქოსიანს, იმდენად აღიზიანებდა და ნერვებს უშლიდა არტემ პავლიჩს.

ამის გამო ერთ დღეს მან თავის მეუღლეს უთხრა:

— ნეტა რა იქნება მაგ დავიდარაბის ბოლო?

— რა დავიდარაბის? — გაკვირვებით შეეკითხა მარიამი.

— აი, იმათი, რომ მოდიან, მიდიან, ჭამენ, სვამენ...

— ვისი?

[1] „გრეჰიკი“ — ხეშეში.

— არ იცი? — აი იმ მშიერი მოთრეულების, შენი ბიჭის ახალ მეგობრებად რომ მოაქვთ თავი.

— არაფერია, ჯეელი ბიჭები არიან, ერთად იკრიბებიან, საუბრობენ, ლაპარაკობენ, დროს ატარებენ.

— არა, ერთი გამაგებინე, ვინ არიან? ვისი შვილები არიან, თავზე რომ მასხდებიან?

— ნეტავი რა გადარდებს ერთი, თუ შენ შვილს ისინი მოსწონს?

— ვაჰ, ჩემი სახლი აბანოა, ვისაც მოეპრიანება შემოვიდეს?

— მომეშვი ერთი, შენი თავი არა მაქვს, — უკმაყოფილოდ უპასუხა ქალბატონმა მარიამმა და მეუღლეს თავი გაარიდა.

ამ დროს მისმა შვილმა კარი შემოაღო. არტემ პავლიჩი მოიღრუბლა.

— სად იყავი, მიშა? — შეეკითხა იგი.

— განცხადება შევიტანე, რომ გაზეთის გამოშვების ნებართვა მომცენ, — მხიარულად უპასუხა ახალგაზრდამ.

არტემ პავლიჩმა წარბები შეიჭმუხნა.

— აი, გაფრთხილებ, მაგ საქმეებზე ხელი აიღე. ჭკუა-გონება მოიკრიფე, გაზეთებში სისულელეების ჯღაბნა შენ ხელს არ მოგცემს, გროშსაც ვერ გამორჩები.

— მე ჩემი გამორჩენა არ მაინტერესებს, მამა.

— რაო, გამორჩენა არ მაინტერესებსო! მაშ რისთვის გაგგზავნე ზაგრანიცაში? რისთვის დაგახარჯე ათასები?

— ჰო, რისთვის? — წყნარად შეეკითხა ახალგაზრდა.

— იმისთვის გასწავლე, რომ დამეხმარო, — ხმას აუწია არტემ პავლიჩმა.

— მე მზადა ვარ შენც გამოგადგე და იმ საქმესაც, რომელსაც მე ვემსახურები.

— შენ, შენ მე გამომადგე! — უფრო ხმამაღლა გაიმეორა მამამ. — ერთი პატარა საქმე გთხოვე, ქართველი თავადისთვის თამასუქი დამიწერე-მეთქი, იმ საქმიდან ხუთასი მანეთი მოგება მრჩებოდა და ის არ შემისრულე, „ეგ სინიდისის საწინააღმდეგო საქმეაო, მე ვერ დავწერო“... და სხვა რამეში გამომადგები! — აბა ერთი წადი, შენი სწავლით და სინიდისით აბაზი მოიგე, შავი ფული ოჯახში შემოიტანე, თვალით დამანახვე, მაშინ გეტყვი, კაცი ყოფილხარ და ჭკუა გქონებია-მეთქი...

ახალგაზრდა გულგრილად უსმენდა.

— მე სავსებით გეთანხმებით, რომ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც მორალური და ზნეობრივი გახრწნის უმაღლეს დონეზეა მისული, სინდისით ცხოვრება შეუძლებელია.

უკანასკნელი სიტყვები შხამიანი ისარივით მოხვდა არტემ პავლიჩის გულს. მევახშე აიქოჩრა, მაგრამ თავი შეიკავა და შვილს, რაც შეეძლო, მშვიდად მიუგო:

— მე მამასავით გარიგებ, შვილო, მაგ გაზეთებს, კრებებს, სასწავლებლებს თავი გაანებე, ეგენი შენი საქმე არ არის. ის ვიღაც ბიჭ-ბუჭები გარეკე, მათში ხეირს ვერ ნახავ, ეგენი შენს ფულებს დასტრიალებენ, უნდათ წაგგლიჯონ რამე. ნატო შეირთე, იმას კარგი ნათესავები ჰყავს, სულ დიდკაცები არიან, ჩინოვნიკები, შენ დაგეხმარებიან, სამსახურს მოგცემენ, ფული გექნება, სწავლა გაქვს, ენები იცი, სამსახურში წინ წახვალ, დღითი-დღე ამაღლდები და ერთ დღეს გენერალი გახდები.

— თქვენ მაიძულებთ შევირთო ის ქალი, რომელსაც სხვა უყვარს.

— ვინ უყვარს?

— ექიმი ბარაკიანი.

— ვინ ბარაკიანი? ის მშიერი ექიმი? აბა იმას ქალს ვინ მისცემს?

— მისცემენ თუ არ მისცემენ, ეგ სხვა საქმეა, მაგრამ მათ ერთმანეთი რომ უყვართ — ეს ფაქტია.

— შენ წარამარა მაგ სიყვარულს წამოედები ხოლმე. მოდი სიტყვა მომეცი და მაგ საქმეს დღესვე მოვაგვარებ.

— მე სხვისი უბედურების მიზეზი არასოდეს არ გავხდები.

— მაშ არ გინდა, ჰა?

— არა.

— მე ბევრი ლათაიების თავი არა მაქვს. საბოლოოდ გიცხადებ, თუ ჩემს სიტყვას არ შეასრულებ, შვილად აღარ ჩაგთვლი და იძულებული ვიქნები მემკვიდრეობის უფლებები აგყარო.

— მამაჩემო, — დინჯად მიუგო ახალგაზრდამ, — კანონით უფლება არა გაქვთ მემკვიდრეობის უფლებები ამყაროთ, ეგ უფლებები თქვენს ხელში როდია. ასეც რომ არა, თქვენი არაფერი არ მინდა, ყველაფერს გიტოვებთ. მაგრამ კვლავ გიმეორებთ, არასოდეს არ მივიღებ თქვენს წინადადებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სინდისს, პატიოსნებას და სისპეტაკეს.

— მაშ ამიერიდან ჩემი შვილი არა ხარ, — სიბრაზისაგან დაიღრიალა არტემ პავლიჩმა.

— მშვიდობით, მამაჩემო, რაკი გსურთ ჩემში ჩაახშოთ ყველა წმინდა გრძნობა, თქვენთან საქმის დაჭერა მე ხელს არ მაძლევს...

Მ.

იანვრის თვე იყო.

წყვდიადში იყო გახვეული ქვეყანა. სუსხიანი ქარი ჰქროდა და თოვლის ფანტელებს ჰფანტავდა ირგვლივ.

ქალაქის ერთი მიყრუებული უბნის პატარა, ნესტიან ოთახში ჭრაქი ბეუტავდა.

საწერ მაგიდას, რომელიც ამ ღარიბი ოთახის მთელ ავეჯს შეადგენდა, მისჯდომოდა ერთი ახალგაზრდა.

იგი წერდა.

რვეულის სათაური იყო: „წესდება მუშების ურთიერთდამხმარე ამხანაგობისა“.

ეს პატარა ოთახი, რომელშიც ცხოვრობდა ახალგაზრდა, ერთი ღარიბი აზნაურის ქვრივს ეკუთვნოდა. მამას თავისი ერთადერთი ქალიშვილისათვის ეს დაეტოვებინა სამემკვიდროდ. ამ ოთახის ქირით ცხოვრობდნენ დედა და შვილი.

ახალგაზრდა მიქაელ ბაქოსიანი გახლდათ. იგი ამ პატარა ოთახში ცხოვრობდა, გარიგებისამებრ სადილსაც დიასახლისი უმზადებდა.

უცბად კარები გაიღო და შემოვიდა ახალგაზრდა ქალიშვილი. მან დაპობილი შეშა შემოიტანა, ფრთხილად მიუახლოვდა ღუმელს, შეუკეთა.

ახალგაზრდა ისე იყო გართული მუშაობით, რომ ქალიშვილი არ შეუმჩნევია. მაგრამ როცა ღუმელში ცეცხლი აგიზგიზდა და მოწყენილი ოთახი განათდა, ახალგაზრდა გამოფხიზლდა, მაშინღა შეამჩნია გოგონა, „აჰ, მანიშაკ“, — წამოიძახა და ფეხზე წამოხტა.

— როგორ მიხვდი, რომ თითები სიცივისაგან სულ გამეყინა და კალმის დაჭერა უკვე მიჭირდა?

— მივხვდი... — ნაზად უპასუხა ქალიშვილმა.

— მაშ ცოტა ადრე რატომ არ დაანთებინეთ?

— მსახურს დედა ჩამოუვიდა სოფლიდან, მის სანახავად წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა.

— მერე?

— თავად მე მინდოდა ამენთო...

— მერე?

— მაგრამ მეშინოდა, დედა არ გამიჯავრდეს-მეთქი.

— გწყინს, აქ შემოსვლას რომ გიკრძალავენ?

— დიახ..

— მერე?

— მანამდე ვიცდიდი, სანამ დედაჩემი დაიძინებდა.

ახალგაზრდას გაეღიმა.

— შენ კეთილი ხარ, მანიშაკ.

ქალიშვილი აწითლდა და სიტყვა ბანზე რომ აეგდო, თქვა:

— შენ სულ წერ, მიქაელ.

— დიახ, ვწერ... ჩვენ ახლა მელანი და კალამიღა დაგვრჩა...

— გახსოვს, დამპირდი სომხეთის ისტორიის გაკვეთილებს მოგცემო.

— მე მუდამ მზადა ვარ, როცა კი მოისურვებ.

— ძალიან მოხარული ვიქნები.

— მაშ მოდი ამაღამიდან დავიწყოთ, — ღიმილით უთხრა ახალგაზრდამ.

— არა, გვიანაა, ღამის ორი საათია უკვე.

— მაშ წადი, მოისვენე, ჩემო ანგელოზო, მეც ბევრი საქმე მაქვს.

ქალიშვილმა თავისი ნაზი, ლამაზი თვალების მზერა სტყორცნა ახალგაზრდას — „ღამე მშვიდობისა“ უთხრა და გავიდა.

„აი ჯერ მოუმწიფებელი და გულუბრყვილო არსება, მისგან შეიძლება საუკეთესო ადამიანი დადგეს“, — გაიფიქრა ბაქოსიანმა ქალიშვილის წასვლის შემდეგ.

3

გულჩვილი, კეთილი და სათნო დედის, ქალბატონ მარიამის თვალს, ღვიძლი შვილის ოჯახიდან წასვლის შემდეგ ცრემლი არ შეშრობია.

— სხვის ოჯახში ჩვენმა შვილმა როდემდის უნდა იცხოვროს? — უთხრა ერთხელ მეუღლეს.

— მოვა, მარიამ, ნუ ჩქარობ, თავის ფეხით მოვა, — იდუმალი ხმით უპასუხა არტემ პავლიჩმა. — იმის თავში ჯერ ზაგრანიცული თხები დახტიან, როცა იმათგან განთავისუფლდება, მაშინ მოვა კიდეც, ნუ გეჩქარება. დაე ცოტა ხანს გადამთიელივით იხეტიალოს, მოიქანცოს, კუჭი გაუხმეს, ფერი იცვალოს, მაშინ მოჭკვიანდება და კაცი დადგება...

— რაებს როშავ, კაცო?!. მთელი ქალაქი იმის ჭკუას აქებს, შენ კი ამბობ, გონება მოიკრიფოსო? რაო, განა სულელია?

— სულელი არ არის, მარიამ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ასავალ-დასავალი არ იცის. აბა მომისმინე, ახლავე დაგიმტკიცო როგორი გამოუცდელია.

ქალბატონ მარიამს გული ატკინა მეუღლის სიტყვებმა და სევდა მოჰგვარა.

— ის, — ვანაგრძო არტემ პავლიჩმა, — რაღაც სკოლებში გაკ-

ევთილებს აძლევს, უნდა, რომ მოსწავლეებმა რამე ისწავლონ, ჭკვიანი ადამიანები გამოვიდნენ. მაგრამ ეგ საცოდავი იმდენს არა ფიქრობს, ყველამ რომ ისწავლოს, გათვითცნობიერებული გახდეს, მაშინ თვითონ როგორღა უნდა იცხოვროს, — იმის ათშაურიან საქონელს მანეთად ვინღა იყიდის? ეხლა თუ ყიდულობენ ეს იმიტომ, რომ ხალხი ბნელია, რასაც ვეუბნებით, სჯერათ.

ქალბატონ მარიამს უნდოდა შეკამათებოდა, მაგრამ არტემ პავლიჩმა არ დააცალა:

— მოიცა, მათქმევინე. შენ ბიჭს უნდა მუშებისთვის ფული შეაგროვოს, კრედიტი მისცეს, რომ იმათაც ჩვენსავით ფოდრათების აღება დაიწყონ, ზავოდები გახსნან. კეთილი, ვთქვათ, მუშაც აღა გახდა, მაშინ, ერთი მითხარი, ჩვენი ნაგვის გოდორს ვინღა გაიტანს გადასაყრელად! ეხლა შენ გეკითხები, მარიამ, ასეთ ადამიანს ჭკვიანს ეტყვიან?

— აბა მე რა ვიცი? — უპასუხა მარიამმა, — იქნება ზაგრანიცაში ეგრე ასწავლეს.

— მერწმუნე, მარიამ, სისულელეა მაგისთანა რამეებზე ფიქრი. ღვთის მიერ დაწესებულ კანონებს კაცი ვერ დაარღვევს. ღმერთს ცხენი გაუჩენია, რომ ჩვენი ტვირთი ზიდოს, ძაღლი — რომ ჩვენ სახლ-კარს უპატრონოს, ცხვარი — რომ ჩვენ ვიკვებოთ, ისეც მუშები გააჩინა, რომ ჩვენი ნაგავი გაიტანონ, გადაყარონ, სახლები აგვიშენონ, ჩვენი მიწები მოხნან, ერთი სიტყვით, ჩვენ გვემსახურონ.

ქალბატონი მარიამი მოუთმენლად უსმენდა.

— ჩემი მიშა ჭკვიანია, მე არ შემიძლია იმას უჭკუო ვუწოდო, — ჩაილაპარაკა მან.

— ამბობ, ბიჭი ჭკვიანიაო, — განაგრძო არტემ პავლიჩმა. — ჭკუა რომ ჰქონდეს — ნატოსთანა გოგონას, მზითვში რომ მთელი „ხაზინა“ მოსდევს, არ ითხოვდა? ამბობს იმას სხვა უყვარსო. სიყვარული რას მიქვია? ქალიშვილი ვისი ცოლიც გახდება, იმისი საქონელია. აბა მითხარი, მარიამ, მე რომ შენ გითხოვე, გიყვარდი?

— მაშინ მე სიყვარული რა იყო, არც ვიცოდი.

— შენს პირს შაქარი, ჩვენმა მშობლებმა დაგვაქორწინეს, ეხლა ხომ ვცხოვრობთ? ისინიც ჩვენსავით იქნებიან.

— კარგი, ახლა მაგ ლაპარაკს მოეშვი, ისა თქვი, შენი შვილი სახლში არ უნდა მოიყვანო? — მოუთმენლად შეეკითხა ქალბატონი მარიამი.

— ნუ გეჩქარება, აკი გითხარი, თავის ფეხით მოვა-მეთქი. დაე ცოტაც გაწვალდეს, თხები რომ თავიდან გამოუხტებიან, მაშინ თვითონ მოვა, — გულგრილად გაიმეორა არტემ პავლიჩმა.

მეუღლის გულგრილობამ ქალბატონ მარიამს უფრო მეტად ატკი-ნა გული.

— შენ ჯიგარი არა გაქვს, მე ეგ კარგად ვიცი, — უთხრა მარიამმა და ცრემლები მოიწმინდა, — ჩემი შვილის გარეშე ცხოვრება არ შემიძლიან, ამიტომ მე თვითონ მოვიყვან.

— ამბობენ, ქალს მოკლე ჭკუა აქვსო — ტყუილად როდია ნათქვა-მი, — დამცინავ კილოზე დასძინა არტემ პავლიჩმა. —ძალიან კარგი, თუ სიტყვას მომცემს, ნატოს შეირთავს, — მოვიდეს, ჩემი თვალის ჩინივით შევიყვარებ.

ქალბატონმა მარიამმა ყური არ ათხოვა მეუღლეს და განერიდა

Თ.

ქალბატონმა მარიამმა, მიუხედავად მეუღლის გაჯიუტებისა, ოჯახის მღვდელი ტერ-კირაკოზა მოიწვია და სთხოვა მიქაელთან წასულიყო. დაარწმუნე მოვიდეს და მამას შეურიგდესო, — დააბარა მარიამმა.

მთელ ქალაქში ისე კარგად არავინ იცის, ვინ სად სცხოვრობს, როგორც მღვდელმა. ორიოდე საათს იხეტიალა ტერ-კირაკოზამ და ქალაქის მივარდნილ უბანში მიაგნო მიქაელს.

— ეგრე არ არის, ბატონო მიქაელ, ქვეყნის წესი, — უთხრა ტერ-ტერამ კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ. — მოხუცების და მშობლების წინაშე მუდამ თავმდაბალი უნდა იყო. წმინდა სახარება ამბობს: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“.

— ეგ ძალიან კარგი სიტყვაა, მამაო, მაგრამ წმინდა სახარება მგონი იმასაც ამბობს, მშობლებმა შვილებს დევნა არ დაუწყონო თავიანთი რწმენისათვის, — უპასუხა ბაქოსიანმა.

— მაინც მორჩილება გმართებს, შვილო, ის მამაა, შენ კი — შვილი, ის მოხუცია, ქვეყანა უნახავს, შენ კი ჯერ ჯეელი ხარ, იმდენი გამოცდილება არა გაქვს.

— რას ნიშნავს, მამაო, გამოცდილება არა მაქვს? განა ჭკუა და მეცნიერება თმების ფერით განისაზღვრება?..

— დაე ეგრე იყოს!.. არაკი ამბობს: „ვისაც ბევრი უცხოვრია, იმან ბევრიც იცისო“...

— კეთილი, გთხოვთ მითხრათ, რა არის თქვენი წადილი?

— ის, რომ მოდი ერთად წავიდეთ, მამაშენს ხელზე ემთხვიე და ორივეს შეგარიგებთ.

— მამაჩემთან მე არავითარი მტრობა არა მაქვს, როგორც მამას ისევ პატივსა ვცემ, მაგრამ ჩვენი შერიგება არასოდეს აღარ მოხდება:

ის მოითხოვს, ბრმად მივდიო იმის მაგალითს, გავხდე იმის ცხოვრების გამგრძელებელი, ესე იგი, ვიფიქრო ისე, როგორც ის ფიქრობს, ვიმოქმედო ისე, როგორც ის მოქმედობს, ერთი სიტყვით, უნდა იმისი ტყუპის ცალი გავხდე.

— არ არის სწორი, ბატონო მიქაელ, მამაშენი ჭკვიანი კაცია, არც იმდენად შეუგნებელი, როგორც შენ ფიქრობ. მხოლოდ ცოტა შენი საქციელი არ მოსწონს.

— რა საქციელი?

— მაგალითად, აი, სკოლებში და საეკვო ადგილებში უფასო მეცადინეობის ჩატარება, მუშებთან ლექციების კითხვა და მათზე ზრუნვა...

მღვდლის უკანასკნელი სიტყვებით აღშფოთებულმა მიქაელმა მიუგო:

— მაკვირვებს, მამაო, იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდის ასეთი საქციელი მოგეწონოთ, პირიქით, თქვენ ექომაგებით მოხუცების აზრს, და ფიქრად არ მოგდით, რომ ის, რასაც მე ვაკეთებ, თქვენს მოვალეობაში შედის. ხომ გახსოვთ იესო ქრისტე რას ეუბნებოდა მღვდლებსა და ფარისეველებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ხალხში მეცნიერების გავრცელებას: „ვაი თქვენ მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ დაჰხშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქვენ შე არა ხვალთ და სხვათა შემავალთა უტევებთ არა შესვლად“. იცით მამაო, იგი როგორ ზრუნავდა ხალხის დაბეჩავებული, დათრგუნული და დამონებული ფენების მდგომარეობის გამოსასწორებლად. იგი ამბობდა: „მოვედით ჩემგან ყველა მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ“.

მღვდელი ერთ ადგილზე გაქვავდა, როცა დარწმუნდა, იურისტმადოქტორმა სახარება იცოდა.

— ჩვენი სარწმუნოება, — განაგრძო ბაქოსიანმა, — არ ქადაგებს კასტებად დაყოფას, თითქოს ერთი შობილი იყოს მამა ბრაჰმის თავიდან, ხოლო მეორე კი — იმის ფეხებიდან. ჩვენ სარწმუნოებაში ნამდვილი თავისუფლება სუფევს. და თქვენი სახარებაც იმასვე ქადაგებს, რომ ქრისტეს ეკლესიაში მოჯამაგირე თუ აზატი, ჩაგრული თუ სკვითი — ყველა ერთია. მაშასადამე, მამაო, შევეცადოთ ყველამ ერთად შევუმშრალოთ მშრომელებს ცრემლები, გზააცდენილებმა დაე თაყვანი სცენ თავიანთ ოქროს კერპებს, ჩვენ კი ჩამოვშორდეთ მაგ საძაგელ ფენას, რომელიც ასე სძულდა თვით იესო ქრისტეს...

მღვდელი მიხვდა, მამის სახელით ბაქოსიანს ვერ მოათვინიერებდა და ახლა დედაზე დაუწყო ლაპარაკი.

— დედაშენი დღენიადაგ ტირის, ცრემლებს აფრქვევს, ამბობს:

„მოვიდეს, ნასიროვიანთ ნატოზე დავნიშნავთო“. ნატოს დედაც ყოველდღე შუაკაცსა გზავნის, იძახის, ჩემს ნატოს მიქაელის გარდა სხვას არ მივათხოვებო: აბა, შვილო, ასეთი გოგო მთელ ქალაქში არ მოიპოვება, სხვა რაღა გინდა, ასეთ ლამაზ, მდიდარ ქალიშვილს თხოულობენ შენთვის, მიდი შვილო, ეშმაკს შეაფურთხე და შეირთე.

— ქორწინება ისეთი წმინდა რამეა, რომ მშობლების ჩარევა ზედმეტია. მშობლების ძალდატანება მხოლოდ გააღრმავებს შეუღლებულთა შორის უკმაყოფილებას.

მღვდელმა დაინახა, უძლური იყო ბაქოსიანის მოთვინიერებაში, დაღონდა, იმედი გაუცრუვდა და წამოვიდა. გზაში ფიქრობდა იმ დაკარგულ ფულებზე, რომელიც უნდა ჩაეჯიბა, თუ მიქაელის და ნატოს ქორწინება შედგებოდა.

ქალაქის მთავარმა სამმართველომ ბაქოსიანს გაზეთის გამოშვების ნება არ დართო. მუშებისათვის ლექციების წაკითხვა აუკრძალეს, ხოლო კრებებს ეკვის თვალით უყურებდნენ.

ამ წარუმატებლობამ, ხელმოკლე ცხოვრებამ და სიძნელეებმა სულიერად და ფიზიკურად გატეხეს მიქაელი. იგი თანდათან სუსტდებოდა.

ბაქოსიანის ერთადერთ საარსებო წყაროს შეადგენდა მცირე ხელფასი, რასაც ღებულობდა ერთი პატარა სტამბის მფლობელისგან, და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული წერილების ჰონორარი.

ახალგაზრდა ბაქოსიანს დიდი ხანია აწუხებდა ავისმომასწავებელი ხველა, ამ ბოლო დროს ხველა უფრო მოეძალა და მალე ლოგინად ჩააგდო.

მშობლებმა შვილის ავადმყოფობის შესახებ არაფერი იცოდნენ, მშვენიერი მანიშაკი, რომელსაც გულში ჰქონდა უმწიკვლო სიყვარული მიქაელისადმი, გულმოდგინებით უვლიდა მას.

იგი დღენიადაგ დაღვრემილი, სევდით გათანგული იჯდა ავადმყოფის საწოლთან და ფერმკრთალ სახეზე ცრემლების ღვარი ჩამოსდიოდა.

ავადმყოფი სიცხისაგან იწვოდა. განუწყვეტლივ ბოდავდა, თავის საქმიანობას, სამუშაოს იგონებდა...

გამოცხადდა ექიმი.

ჩვენ მკითხველს უნდა მოვაგონოთ, ექიმი ბატონი ბაქოსიანის მეგობარი ბარაკიანცი იყო, ერთი ღარიბი კაცი, რომელიც ნატოზე იყო შეყვარებული.

— ბატონო ექიმო, დღეს რა მდგომარეობაშია ავადმყოფი? — შეეკითხა ქალიშვილი, როცა ექიმმა წასვლა დააპირა.

— არა უშავს რა, ტვინის ანთება აქვს, თქვენ უწამლეთ ისე, როგორც დაგარიგეთ, იმედი მაქვს, მალე გაუვლის, — უპასუხა ექიმმა.

— ავადმყოფობა საშიში ხომ არ არის, ექიმო?

— მერწმუნეთ, არაფერია, მალე განიკურნება.

ექიმი წავიდა.

— აჰ, ღმერთო ჩემო... — ამოიოხრა ქალიშვილმა და ავადმყოფის გულმკერდში ისე ჩარგო თავი, თითქოს თავისი სუნთქვით უნდა სიცოცხლე მიანიჭოსო...

ს

ახალგაზრდა ცოტა მომჯობინდა. ერთ დღეს წერილი მიიღო, რომელმაც ძალიან შეაშფოთა იგი.

— იცი, მანიშაკ, მინდა მალე გამოვჯანსაღდე, — უთხრა მის საწოლთან ჩამომჯდარ ქალიშვილს.

— მეც ძალიან მეჩქარება... — მიამიტად უპასუხა ქალიშვილმა.

— შენ სულ სხვას ფიქრობ, მე კი — სხვას.

— დაე ასე იყოს... მხოლოდ ძალიან კი მიხარია, რომ დღეს უკეთ გამოიყურები.

— უმანკო ბატკანო, — წამოიძახა ავადმყოფმა და ნეტარებით გადახედა მას.

მოვიდნენ ამხანაგები. ქალიშვილი გავიდა.

ბაქოსიანის გამოჯანმრთელებამ ფრიად გაახარა მისი მეგობრები.

— ჩვენი სიცოცხლე, — თქვა მიქაელმა, — ფუჭია, დღესა ვართ, ხვალ შეიძლება აღარ ვიყოთ. ამიტომ, ბატონებო, მოდით სიცოცხლე შევწიროთ იმ საქმეს, რომელსაც ჩვენ სულით და გულით ვეტრფით.

— ჩვენი მიზანი და სურვილიც ეგ არის სწორედ — უპასუხეს მათ.

— ცარიელ მიზანს ან სურვილს, მეგობრებო, ფასი არა აქვს, თუ იგი ცხოვრებაში არ ტარდება, ხორცს არ ისხამს. მარტო სურვილი უბრალო სიზმარია — ილუზია.

— აბა რა უნდა ვქნათ, როცა ჩვენს საზოგადოებრიობაში ფეხისმოსაკიდებელი არა გვაქვს? — შეეკითხა ერთი.

— იქ. სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება გახრწნილია, მოქმედი ადამიანი თავის ძალ-ღონეს უნდა დაეყრდნოს და სხვისი მოლოდინი არ ჰქონდეს. მოხუცებს ჩვენ ვერ გამოვასწორებთ, იმათ მსოლოდ სამარე გაასწორებს. ჩვენი განათლებული ახალგაზრდობაც წამხდარია, ჩვენთვის იგი დაკარგულია. დარჩა ერთადერთი ძალა,

რომელიც ცოცხლობს, ახალია და სპეტაკი, იგი ხალხშია, დიახ, ხალხში, — ჩვენ მას უნდა დავეყრდნოთ და გამოვიყენოთ.

ბაქოსიანი ფიზიკურ სისუსტესა გრძნობდა, მაგრამ ამ დღეს მაინც განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ისე გატაცებით, თითქოს ეს საუბარი უკანასკნელი იყო მისთვის და მომავალში აღარ დასცალდებოდა.

ტ

გაიარა რამდენიმე დღემ.

ბნელი ღამე იყო.

ქალაქის ბოლოს საცხოვრებელი ბინების მოშორებით ორი ადამიანი იდგა.

— გშორდები, მანიშაკ, შორი და სახიფათო გზა მაქვს წინ, — თქვა ბაქოსიანმა და ხელი მოკიდა ქალიშვილს. — იქნებ ერთმანეთის ნახვა აღარ გვეღირსოს, მაგრამ, მერწმუნე, მანიშაკ, სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მექნება, არასოდეს დაგივიწყებ.

ქალიშვილს დღემდე ვერ გაებედნა თავისი გულის ნადების განდობა. მაგრამ განშორების უკანასკნელმა წუთებმა უმანკო ბაგე გაუხსნეს; და საიდუმლო ათქმევინეს:

— მიქაელ, ნუთუ არ გებრალები რომ მარტოდ მტოვებ?..

— ძალზე ვწუხვარ, რომ გშორდები, მაგრამ არ შემიძლია....

— მითხარი, ის მაინც მითხარი, რომ გიყვარვარ.

ამ სიტყვების თქმაზე ქალიშვილმა უფრო დაიმორცხვა, აღარ იცოდა რა ექნა, ცდილობდა მიქაელს არ დაენახა მისი ავარვარებული პირისახე და თავი ჩარგო არანაკლებ აღელვებული ჭაბუკის გულმკერდში

— მომისმინე, მანიშაკ, ჩემთვის ძნელია მაგის თქმა, მე სხვა სიყვარული მიხმობს თავისკენ... — თქვა ბაქოსიანმა წუთიერი მღელვარების შემდეგ.

ქალიშვილს შეეშინდა.

— მაშ მე დავიღუპე... — ამოიოხრა მან და მთელი ტანით აეკრა ახალგაზრდას.

სულიერმა მღელვარებამ რამდენიმე წუთს გასტანა.

— ჩემს სამშობლოში ომია, მანიშაკ, — აღგზნებით წამოიძახა ახალგაზრდამ, — ჩემი ერი — ჩემი საყვარელი ერი — მიხმობს... უნდა წავიდე...

ქალიშვილი გამოფხიზლდა.

— წადი, მიქაელ, შემწედ გყავდეს სომეხი ერის ღმერთი, დაე მან

გაგიწიოს მფარველობა, — მხნედ უპასუხა ქალიშვილმა, — წადი, ითმე, მე ვილოცებ შენთვის.

ბაქოსიანი უკანასკნელად მოეხვია ქალიშვილს, ეამბორა მის ნაზ ბაგეს, განერიდა, ეტლში ჩაჯდა და ღამის წყვდიადში გაუჩინარდა.

18... წელი იყო.

ზეითუნის მთები ცეცხლის ალში იყო გახვეული. თურქების ალყაში იყო მოქცეული. მამაცთა ჯგუფს სათავეში ედგა ერთი ჭაბუკი. გახურებულ ბრძოლაში ბორცვზე შემდგარი, ქარაფში ჩასაფრებულმა ჯარისკაცმა ამოიღო ნიშანში. თოფმა იგრიალა, ჭაბუკს პირდაპირ გულში მოხვდა ტყვია და ძირს დასცა.

ჰორიზონტზე ჩამოწოლილ წყვდიადში ვარსკვლავი გამოკრთა...

ტყვიის მსხვერპლი მიქაელ ბაქოსიანი იყო.

ქალაქ თ...ს გორაკებს ძველებური მონასტრის დინჯი ღვთაებრივი ზარის ხმა მოეფინა. ყმაწვილი ქალი, მთლად შავებში გამოწყობილი, ტაძრისაკენ მიდიოდა. იგი ეკლესიის ერთ კუთხეში განმარტოვდა, ქვის იატაკზე დაიჩოქა და ფერმკრთალი ბაგეებით ლოცვა დაიწყო. ქალწულის უმანკო მხურვალე გულით იგი თვალცრემლიანი ეევედრებოდა ზენაარს...

ეს ქალიშვილი მანიშაკი იყო.

მაგრამ რა ბედი ეწიათ არტემ პავლიჩს და მის მეუღლეს?

შვილის უეცარმა გაუჩინარებამ მოსვენება დაუკარგა გულქვა მოხუცს, — სიმშვიდე ვეღარ იპოვა, იტანჯებოდა, დიახ, იტანჯებოდა მის გულში გვიან გაღვიძებული სინანულნარევი სიბრალულისაგან...

შვილის სიკვდილმა კი დამბლა დასცა მას. მოხუცი გაგიჟდა.

ქალბატონი მარიამი გულმოკლული, გაუბედურებული და დასევდიანებული, დღენიადაგ უვლიდა ავადმყოფ მეუღლეს და სულ თვალწინ ედგა საყვარელი მიქაელი...

ვინ იყო დამნაშავე?

სასაკლაო

ა.

1872 წლის დეკემბერი იდგა. ღამის წყვდიადში გახვეული ქალაქი თ... ღრმა ძილს მისცემოდა და ძალუმად ხვრინავდა. მხოლოდ ერთ მიყრუებულ უბანში, პატარა, უბრალო ოთახში ენთო ჭრაქი, რომლის შორიახლო უბადრუკ საწოლზე იწვა ფერდაკარგული და თვალებჩამქრალი ჭაბუკი; იგი მძიმედ კვნესოდა, ჩანდა, ძლიერ იტანჯებოდა ავადმყოფობისაგან.

გვერდით უჯდა დაღვრემილი ახალგაზრდა, რომელიც პატრონობას უწევდა მას.

ესენი უცხოეთში გადახვეწილი ორი მოსიყვარულე ძმა იყო, რომლებიც აქ შორეული აზიის მიყრუებული მხარიდან მოსულიყვნენ. უფროსი ძმა დაუღალავად შრომობდა, სამშობლოში დატოვებულ მშობლებსაც პატრონობდა და იმავე დროს უმცროსი ძმის სწავლა-განათლებაზეც ზრუნავდა, რომელიც იმავე ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში სწავლობდა, მაგრამ დღეს მძიმე ავადმყოფობას საარეცელზე მიეკრა და გულსაკლავად აკვნესებდა.

ჭაბუკმა ოდნავ გაახილა თვალები, გონს მოვიდა, ძმას გადახედა და შეეკითხა:

— რომელი საათია?

— ორი, — უპასუხა უფროსმა ძმამ.

— ჯერ არ დაგიძინია?.. წადი, დაიძინე, ძმაო! შენც რომ ავად გახდე, ვინ არის ჩვენი პატრონი?..

— არ მეძინება. შენ ისა თქვი, თავს როგორა გრძნობ?

— კარგად... წადი, დაიძინე.

ჭაბუკი წამოდგა, ტახტთან მივიდა, გაუხდელად წამოწვა. ხელი თავქვეშ ამოიდო და სცადა დაეძინა, მაგრამ უბედური ხალხის ერთადერთი ნუგეში ძილი — ახლოსაც არ ეკარებოდა. გული უკვნესოდა, მწარე ფიქრები აწუხებდნენ... ეს ფიქრები ძმას დასტრიალებდა, მოსვენებას არ აძლევდა ძმის გმინვა-კვნესა, იმ საცოდავი ყმაწვილისა, რომელიც მშობლიურ კერას და მზრუნველობას მოშორებული აქ, უცხოეთში იტანჯებოდა.

ბ

დილით ჭაბუკი დიდხანს ელოდა ექიმს, მაგრამ იგი არ ჩანდა. მისი მოსვლის დრო მიიწურა, ჭაბუკი წამოდგა და ექიმთან წასასვლელად მოემზადა. უმცროსმა ძმამ შეაჩერა და უთხრა:

— მაგიდის უჯრაში რამდენიმე ათეული მანეთია. ეგ დანაზოგია იმ ფულიდან, რომელსაც შენ მაძლევდი ხოლმე სახარჯოდ. მოვაგროვე, ვინახავდი, მინდოდა საახალწლოდ ახალი ტანსაცმელი შემეძინა, მაგრამ ალბათ ვეღარ ვეღირსები... აიღე ეგ ფულები, გამოგადგება...

უფროსმა ძმამ მაგიდას გულგრილად ჩაუარა და სევდით გათანგული გავიდა გარეთ. ექიმი დღეს ალბათ იმიტომ არ მოვიდა, წინა დღის ვიზიტის გასამრჯელო რომ დავუგვიანეო, ფიქრობდა იგი და თან გაფაციცებით ეძებდა ექიმს. ბევრი ძებნის შემდეგ სხვა ავადმყოფთან იპოვა, ათი მანეთი მისცა და სთხოვა დღესაც გაესინჯა ავადმყოფი.

იმასთან ერთად სხვა ექიმიც მოიწვია.

ორმა ექიმმა გულდასმით გასინჯა ავადმყოფი, მერე ბჭობა გამართეს და ბოლოს უფროს ძმას ურჩიეს, ავადმყოფი საავადმყოფოში მოათავსე, ამისი მკურნალობა ბინაზე არ შეიძლებაო.

— კეთილი, მაგრამ შეიძლება იმედი ვიქონიო, რომ საავადმყოფოში ჩემს ძმას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ? — შეეკითხა ახალგაზრდა ექიმებს.

— უეჭველად, უეჭველად, — მიუგეს ექიმებმა ერთხმად, — ჩვენი ქალაქის საავადმყოფოში საუკეთესო პირობებია.

— როგორ უნდა მოვიქცე, რომ ძმა საავადმყოფოში დავაწვინო?

— ქალაქის პოლიციას უნდა მიმართოთ, იქ მიწერილობას მოგცემენ, რომლის საფუძველზე საავადმყოფო მიიღებს ავადმყოფს. მხოლოდ იცოდეთ, წინასწარ ერთი თვის ვერცხლის ნაღდად გადახდა მოგიწევთ, — უთხრეს ექიმებმა და წავიდნენ.

8

სანამ უფროსი ძმა მოწმობის ასაღებად დარბოდა, ავადმყოფს მიაკითხა იტალიელმა ჭაბუკმა, რომლის მშობლების სახლშიც ცხოვრობდნენ ძმები.

— დედაჩემმა ბულიონი გამოგიგზავნა, — უთხრა იტალიელმა და ბულიონით სავსე ჯამი მაგიდაზე დადგა, — შეხვრიპე, ძალიან სასარგებლოა, ჯან-ღონეს მოგიმატებს. რამდენი ხანია არაფერი გიჭამია.

იტალიელის დედა, მუსიკოსის მეუღლე, ძალიან გულისხმიერი და ჭკვიანი ქალი ჩანდა, ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ყურადღებას არ აკლებდა ავადმყოფს, ეცოდებოდა უცხო მხარეში გადმოხვეწილი ყმაწვილი.

მაგრამ ავადმყოფმა უარი თქვა ბულიონის დალევაზე.

— მადლობელი ვარ, — უთხრა, — დედათქვენი მეტისმეტად გულკეთილია. არასოდეს არ მივიწყებს... იმას კარგად ესმის, რომ მე დედა აქ არა მყავს...

— ცოტა მაინც დალიე, გესიამოვნება, — ძალას ატანდა იტალიელი.

— არ შემიძლია, რიკო, შენ მხოლოდ ის მითხარი, რა სთქვეს ექიმებმა?

— ურჩიეს საავადმყოფოში მოათავსეო.

ამ სიტყვის გაგონებაზე ავადმყოფი შიშმა აიტანა.

— საავადმყოფოში უფრო მალე გამოჯანსაღდები, — გამხნევება დაუწყო ჭაბუკმა იტალიელმა.

— არა. რიკო, ვიცი, იქიდან აღარ დავბრუნდები... ჩემი ამხანაგი წაიყვანეს საავადმყოფოში, ისიც ჩემსავით უპატრონო, ეული ბიჭი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა იმისი საწყალი მამა და მკვდარი შვილიც კი ვეღარ იპოვა...

— როგორ თუ ვერ იპოვა?

— ამბობენ, იქ მკვდრებს სჩეხავენ და ვინ იცის, სადა ყრიან...

— თუ გეშინია — ნუ წახვალ.

— ძალიან მეშინია, რიკო, მაგრამ მაინც წავალ... ჩემი ძმა დავტანჯე... ღამეები არა სძინავს, მეშინია, ისიც ავად არ გახდეს...

ცამეტ დეკემბერს ახალგაზრდა საავადმყოფოში დააწვინეს.

დ.

საავადმყოფოში იმავე ღამეს ავადმყოფი წარამარა დგებოდა თავისი საწოლიდან. დასუსტებული ორგანიზმი სასაქმებელი ზეთის მიღების შემდეგ უფრო დაუძლურდა და ავადმყოფს ისე გამოელია ძალღონე, რომ ბოლოს თავის საწოლამდე ვეღარ მიაღწია და გზაში დაეცა. დიდხანს ეგდო საბრალო ყმაწვილი ცივ იატაკზე და ვინ იცის, რამდენ ხანს ეგდებოდა, რომ თავის მეზობელს არ აეყენებინა უპატრონოდ მიტოვებული და საწოლამდე არ მიეყვანა. ავადმყოფი, ცოტა გონს რომ მოვიდა, მეზობელს შეეკითხა:

— ნუთუ აქ მოსამსახურეები არა ჰყავთ?

— როგორ არა. ერთი ლოთბაზარები არიან შეგროვილი, ალბათ ახლა მთვრალები ყრიან სადმე და ხვრინავენ.

— ექიმებმა ჩემს ძმას უთხრეს, საავადმყოფოში კარგი პირობებიაო...

— თავად ხედავ, ავადმყოფები ავადმყოფებს შველიან...

ყმაწვილი გაჩუმდა და აღარაფერი თქვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეული ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა. მან თავისი მეზობელი გააღვიძა, რომლის სახელიც უკვე იცოდა.

— მარტიროს, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს.

— რა გიშველო, ძმაო? მეც შენისთანა ავადმყოფი ვარ, — მიუგო მარტიროსმა.

— ვიცი... შველას არა გთხოვ, მხოლოდ მომისმინე, რაღაც მინდა გითხრა...

— სთქვი.

— მე ამ ქალაქში გადმოხვეწილი ვარ, ძმის გარდა არავინ მყავს. ვიცი, დილაზე მოვა, მაგრამ მე ვეღარ დაველაპარაკები... მკვდარი ვიქნები... გადაეცი, ჩემი სიკვდილის ამბავი დედაჩემს არ მისწეროს, ძალიან ვუყვარვარ დედას, ბევრს იტირებს... უთხარი ჩემ ძმას, სასწავლებელში მყავს ერთი ამხანაგი, გვარად ნ...იანი, იმას ჩემი რამდენიმე წიგნი აქვს, ერთი ფრანგული, ერთი რუსული და ერთიც

სომსური. უთხარი, ის წიგნები მას დაუტოვოს, ჩვენ ხშირად ერთად გვიმეცადინია... შემდეგ ეტყვი, მეწვრილმანე ხეჩოსი ოცი კაპიკი მართებია, ქაღალდი უყიდია-თქო და გთხოვა ის ვალი გაისტუმრეო.

ასეთი და ამგვარი წვრილმანი სათხოვარის წარმოთქმით ავადმყოფმა დაასრულა ანდერძი და მცირე ხნის შემდეგ სამუდამოდ დახუჭა თვალები...

ე.

მეორე დილას, როცა მიცვალებულის გვამს ანატომიის კაბინეტში ჩეხავდნენ, უფროსი ძმა საავადმყოფოს ჭიშკართან იდგა. მან კარისკაცს მიაკითხა, ავადმყოფის სახელი და გვარი უთხრა და სთხოვა დაეშვათ ავადმყოფი ძმის სანახავად.

— ბოდიში, ბატონო, არ შეიძლება, დღეს ავადმყოფების ნახვა ნებადართული არ არის,—ოფიციალური კილოთი გამოუცხადა კარისკაცმა.

— ეს რა სასჯელია! — გაბოროტებით მიუგო ახალგაზრდამ, — მაშ ავადმყოფ ძმას დღეს ვერა ვნახავ?

— ვერა, ბატონო, კვირამდე უნდა მოიცადოთ, — უპასუხა კარისკაცმა.

— კვირამდის სამი დღეა, ორიოდე სიტყვით მაინც მაცნობეთ იმისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

კარისკაცი ექიმის თანაშემწესთან მივიდა, რაღაცაზე მოელაპარაკა, შემდეგ გამობრუნდა და ახალგაზრდას გამოუცხადა, შენი ძმა დღეს თავს კარგადა გრძნობსო.

იმედმიცემული ახალგაზრდა სახლში დაბრუნდა და მოუთმენლად ელოდებოდა კვირა დღეს.

* * *

დადგა ნანატრი კვირაც.

ახალგაზრდა მხიარულად ემზადებოდა ძმის სანახავად. დილიდანვე კარგ ხასიათზე იყო, გული არაფერს ცუდს არ უგრძნობდა. კარგა რომ გათენდა, დაიქირავა ეტლი, გვერდით მოისვა იტალიელი რიკო და გასწია საავადმყოფოსაკენ. გზად საშაქარლამოში შეიარეს, იყიდეს ტკბილეული, ნამცხვარი და გზა განაგრძეს.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი საავადმყოფოს ჭიშკართან იყვნენ. კარისკაცმა შესვლაზე უარი არ უთხრა, მაგრამ თუ რომელ ოთახში იმყოფებოდა ავადმყოფი, ამის შესახებ რატომღაც არაფერი იცოდა. მოსულებმა საავადმყოფოს გამგეს მიაკითხეს. გამგემ დავთარი გადმოიღო, ბევრი ეძება, მაგრამ რომელ პალატაში იწვა ავადმყოფი, ვერც იმან გამოარკვია.

უფროსი ძმა მღელვარებამ მოიცვა; უმცროსი ძმის ადგილსამყოფელი რომ არავინ იცოდა, ამან სერიოზულად ჩააფიქრა.

— მაშ, თქვენ არ იცით. რომელ ოთახშია ჩემი ძმა? — ბოლოს შეეკითხა იგი გამგეს.

— განა ადვილი საქმეა? აქ იმდენი ავადმყოფებია, რომ... — მთქნარებით უპასუხა გამგემ.

ახალგაზრდამ მოთმინება დაკარგა.

— ეს რა საშინელი მმართველობა გქონიათ აქ?.. — წამოიძახა მან.

— გამგემ ექიმების თანაშემწეები მოიხმო და მათი დახმარებით სცადა დაედგინა ავადმყოფის ადგილსამყოფელი.

— რომელ ავადმყოფს კითხულობთ, ბატონო? — გამოელაპარაკა ერთი გამხდარი ფერშალი მოსულთ.

— ჩემ ძმას, ა... მ...იანს — გაბოროტებული ხმით უპასუხა ახალგაზრდამ.

— ჰოო, ა...მ...იანის ნახვა გსურთ? — გაიმეორა ფერშალმა შუამავლის კილოზე, — კეთილი, წავიდეთ, ბატონო, მე გაჩვენებთ მას.

ახალგაზრდა ცოტა დამშვიდდა და გახარებული გაჰყვა ფერშალს. ფერშალი წინ მიდიოდა, უკან კი ისინი მისდევდნენ. გაიარეს დერეფანი და ნესტიან, ცივ ტალანში გავიდნენ. იქ საშინელი მოწაკვდინებელი და გულშემზარავი სუნი იდგა. უფროს ძმას ისევ შიში ჩაუდგა გულში. ბოლოს ფერშალმა ისინი შეიყვანა ერთ ჯურღმულში, სადაც ერთიმეორის გვერდით რამდენიმე კუბო იდგა.

ახალგაზრდა შეძრწუნდა.

— ეძებეთ, ბატონო, ამათში იპოვით თქვენს ძმას, — ჯოჯოხეთური გულგრილობით უთხრა ფერშალმა.

ახალგაზრდა უხმოდ დაემხო ერთი ლამაზი მიცვალებულის გვამზე, რომელიც ქირურგის დანით ისე იყო დამახინჯებული, როგორც მოცელილი მთის შროშანი...

— აქ სასაკლაო ყოფილა და არა საავადმყოფო... — ამოიოხრა საცოდავმა და ხმა ჩაუწყდა.

— მადლობა უთხარი უფალს, ბატონო, — წარმოთქვა სიკვდილის სამეფოს მოციქულმა, — კიდევ რამდენიმე წუთს რომ დაგეგვიანათ, მიცვალებულსაც ვეღარ იპოვიდით, მაგრამ მე საგანგებოდ შევინახე იმ მოსაზრებით, რომ იგი დიდი ვინმე უნდა ყოფილიყო... ალბათ, ბატონო, თქვენ რამეს მიბოძებთ არაყის დასალევად...

ახალგაზრდას ეს სიტყვები არ გაუგონია. იგი გულშეღონებული ეგდო ძმის გვამზე...

ზედსიძე

ა

გაზაფხულის თბილი საღამო იყო. მზის უკანასკნელი სხივები ოქროსფრად მოჰფენოდა ყაზბეგის თოვლით დაფარულ მწვერვალს. სამლოცველოების ზარები საამური გუგუნით მწუხრის ლოცვაზე უხმობდნენ კეთილმორწმუნე ქრისტიანებს. თეთრ წამოსასხამებში გახვეული ავლაბრელი დედაკაცები წირვაზე მიეშურებოდნენ.

სწორედ ამ დროს დურგალიანთ შუშანი მკლავებდაკაპიწებული და კაბის კალთებაკეცილი, სარეცხის ტაშტით ხელში გამოვიდა პატარა ქოხიდან, გაიხედ-გამოიხედა, და როცა დარწმუნდა ქუჩაში არავინ ჩანდა, სარეცხის საპნიანი წყალი გადაღვარა. საპნიანი წყალი მტვრის ბურთებად იქცა და მიწამ შეიწოვა.

ქუჩის ბოლოს გამოჩნდა დედაბერი მაქთაღი, ხელში რამდენიმე სანთელი ეჭირა. წინ მიუძღოდა ორი შვილიშვილი, რომლებსაც ხელში თითო სანთელი ეჭირათ.

— ასე ფაციფუცით საით მიეშურები, მაქთაღ-ჯან? — შეეკითხა შუშანი და სარეცხის ტაშტი მიწაზე დადგა.

— ფეთხაინში მივდივარ, შუშან-ჯან, შეგეწიოს მისი მადლი, მინდა ვემთხვიო, — გულთბილად დაილოცა მაქთაღი.

— ნეტავი შენ, მაქთაღ-ჯან, მოგიცლია ფეთხაინში სასიარულოდ! მე აგერ კარის წინ წმინდა მინასის ეკლესიაში ვერ შევსულვარ.

შუშანის უკანასკნელი სიტყვები მაქთაღს ჭკუაში არ დაუჯდა და გაკვირვებით შეეკითხა: — რათა ქაა... განა კვირაძალის ლოცვას ადამიანი დააკლდება?

— ეჰ, რას იზამ, მაქთაღ-ჯან, სიღარიბე ძნელი ყოფილა, ძნელი, — მიუგო შუშანმა და ამოიოხრა — დღეს დილიდან საღამომდე სარეცხის რეცხვისაგან თითები დამიბუქდა. ჩემი ნატო კი დაუთოებას ჯერაც ვერ მორჩენილა.

ნატოს სახელის გაგონებაზე მაქთაღს თავში ახალმა ფიქრმა გაუელვა. მან საუბრის თემა შესცვალა.

— ეი, ქაა, რა კარგად მომაგონე, ერთი მითხარი, თუ ღმერთი იწამს, ვინ არის ის ჯეელი ყმაწვილი, მალმალე რომ მოდის ხოლმე თქვენსა?

შუშანი ცოტა არ იყოს დაიბნა.

— უცხო ადამიანია, მაქთაღ-ჯან, ისე მოდის რაღა! ხან სარეცხი მოაქვს, ხან დასაკერებელი, ზოგჯერ ისე, სალაპარაკოდ.

— ვინ არის? სადაურია?

— ყარაბაღელია, მაქთაღ-ჯან, დიდი კაცის შვილია. თვითონ ამბობს, მამაჩემი მელიქიაო[1], ბევრი ფული, ბაღი. ბაღჩა, ბევრი მამულ-დედული აქვსო.

ამ სიტყვების გაგონებაზე მაქთაღი სახტად დარჩა.

— კარგი და, — დასძინა მან. — თუ ასეთი კაცის შვილია, მაშინ ამ ქალაქში უსაქმოდ რათ დაეთრევა?

— აბა რა გითხრა, მაქთაღ-ჯან! თვითონ ამბობს, მამასთან ჩხუბი მომივიდა და თქვენთან ჩამოვედიო. მამა კი წამდაუწუმ სწერს: ჩემო შვილო, უცხო ქვეყანაში ყოფნა გეყოფა, მოდი, შენს სახლკარს მოეპატრონეო, მაგრამ ეს მაინც არ მიდის.

— მაშ აქ რა უნდა აკეთოს?

— აქ მაღაზიის გახსნას აპირებს, სულ თავანკარა საქონელით უნდა ვივაჭროო.

— მერე ფული აქვს?

— ეხლა არა აქვს, მაგრამ ამბობს. იმდენ ხანს მოვიცდი, სანამ მამა მომიკვდება, მერე წავალო, იმის მამულს, ქონებას მივყიდ-მოვყიდი და ფულად ვაქცევო.

---

[1] მელიქი — თავადი.

მაქთაღმა წარბები შეიჭმუხნა და ჩაიქირქილა: — ეგ კარგი საქმეა, შუშან-ჯან, მაშ ილოცე, რომ მამამისმა მალე ფეხები გაჭიმოს.

— როგორ თუ ვილოცო? — აღშფოთებით შეეკითხა შუშანი.

— აბა რა, ღმერთს შეევედრე, რომ მურაზი მალე შეგისრულოს.

შუშანი უკმაყოფილოდ აიმრიზა — რა მურაზი, რაებს ამბობ, მაქთაღ? — უთხრა და პირი იბრუნა.

— განა არ ვიცი, რომ გინდა შენი ნატო იმ ბიჭს მიათხოვო და ზედსიძე[1] შეიყვანო ოჯახში.

მაქთაღმა გზა განაგრძო, თან თავისთვის ლაპარაკობდა: — მე ძიკლოანთ მაქთაღს მეძახიან. არ იცი, რომ ჩიტებს მაქთაღთან ამბავი მოაქვთ?!

შუშანს აღარაფერი უთქვამს და სახლში შევიდა.

ბ

ფიცრით შემოღობილ ერთ პატარა ეზოში ოროთახიანი სახლი იდგა. ეს ბინა ქირით ჰქონდა აღებული შუშანის ოჯახს.

ეზოს ერთ კუთხეში დურგალი მუშაობდა. ხელში შალაშინი ეჭირა და ფიცარს რანდავდა, ზოგჯერ ლურსმნებს აჭედებდა, ხანაც ფიცრებს ასწორებდა.

ამ კაცს თმები თოვლივით გასთეთრებოდა, ერთი შეხედვით, სამოც წელს მისცემდი, მაგრამ ფიზიკურად ჯერ ისევ ჯანმრთელი იყო და მხნედ გამოიყურებოდა. მისი დაღარული სახე, სევდიანი გამომეტყველება სავსებით ესადაგებოდა იმის უხეშ ხელობას: იგი მეკუბოე იყო. ეს კაცი შუშანის მეუღლე გახლდათ, ოსტატი გრიქორა — ასე ეძახდნენ. მის გვერდით მუშიდან[2] გადმოხვეწილი მებარგულე იდგა და კუბოს დამთავრებას აჩქარებდა.

— მალე, პაპა, მორჩი ჰა, მალე, თორემ ათი კაპიკი დამეკარგება, — წარამარა უმეორებდა მეკურტნე თავის ჟარგონზე.

— ჰეი, თომას-აღა, შენ რომ არ მომკვდარიყავი, მუშელ მეკურტნეს ათ კაპიკს ვინ მიაოხრებდა...—წამოიძახა დურგალმა და განაგრძო თავისი საქმე.

— ღმერთმა შეიწყალოს მისი სული! — თქვა მუშამ.

— დაე ღვთის მოწყალებამ კურდღელივით გადაურბინოს საფლავზე, — შეაწყვეტინა ოსტატმა გრიქორამ.

---

[1] ზედსიძე — ის სიძეა, რომელიც ცოლის შერთვის შემდეგ ქალის ოჯახში რჩება.

[2] მუში — ერთ-ერთი ვილაეთის სახელწოდებაა ოსმალეთში.

— რატომ? განა თომას-აღა კაი კაცი არ იყო?

— კარგი იმით იყო, რომ მალე მოკვდა. მელა მაშინ ფასობს, როცა ჩაძაღლდება.

— თომას-აღაც ასეთი კაცი იყო? — შეეკითხა მუშელი.

— ჰო, ეს კვირა ბედნიერად გავატარე, სულ ასეთი კაცებისთვის ვაკეთებ კუბოებს: ერთი მათგანი ეკლესიის ხაზინადარი იყო, მეორე — მოიჯარადრე, მესამე — მევახშე. ვერ წარმოიდგენ, რა მხიარულად მუშაობს ჩემი შალაშინი, როცა ასეთებისთვის ვაკეთებ კუბოს.

— თუ გარდაცვალებული კარგი კაცია?

— მაშინ კი გული მტკივა. ამ ცოტა ხნის წინათ ერთი კუბო გავაკეთე სკოლის მოსწავლისათვის.

მოხუცი დურგლის ყურადღება მწუხარე სიმღერამ მიიპყრო, რომელიც მეზობელი ოთახიდან მოისმა:

ვინ რა იცის თუ რა მწარე
დარდი მაქვს,
ეკალ-ბარდში გახვეული
ვარდი მაქვს...

ეს ნატოს ხმა იყო. დურგლის ქალიშვილისა, რომელიც აუთოებდა და თან მღეროდა.

— ნატო, ნატო, — გასძახა მოხუცმა.

— რა არის, მამი? — მოისმა ნატოს ნაზი ხმა.

— აქ მოდი.

— ამ წუთას, მამი, ერთი პერანგიღა დამრჩა დასაუთოებელი.

მალე სახლის ზღურბლზე გამოჩნდა ტანწერწეტა ქალიშვილი, რომელსაც შავი თვალები, გიშერივით თმა და ვარდისფერი ლოყები ჰქონდა. იგი იმ ასაკში იყო, როცა ქალწულის გულში გაზაფხულივით ნაზად იწყებს გაფურჩქვნას უმანკოება.

— მოდი, კუბოს თავსახური ხავერდით მორთე და ყვავილები გაუკეთე. ეგ შენი საქმეა, — უთხრა მამამ თავის ქალიშვილს.

— ეჰ, მიწა დავაყარე მაგის პატრონს, ყვავილები რა ჯანდაბად უნდა! — უკმაყოფილოდ დასძინა ნატომ.

— ასე დაგვიბარეს, შვილო.

— მამი, მე ვარდებს მხოლოდ ჯეელის კუბოებს გავუკეთებ-ხოლმე.

— ეგ დიდება და პატივი მდიდრების ხვედრია, შვილო, ისინი ჩვენსავით საწყლებს იმიტომ ჩაგრავენ, რომ ცოცხლებმა თუ მკვდრებმა არაფერი დაიკლონ...

— აი მეხი დავაყარე იმათ! ასე რათ იქცევიან?

— მაგ ვარდებით იმ ქვეყანაში ეშმაკებს უნდა ასიამოვნონ.

— საიქიოს ეშმაკები ვარდებს რომ დაინახავენ, ალბათ გაუხარდებათ, არა მამი?—შეეკითხა ნატო და სიამოვნებით გადახედა თავის ნამუშევარს.

— ფუჭი საქმეა, შვილო, ჯოჯოხეთში ვარდებიანად დასწვავენ, — უპასუხა მამამ.

— ვის დასწვავენ?.. — წამოიძახა შეშინებულმა ნატომ.

— იმას, ვისაც ეს მდიდრული კუბო არამი ფულით აქვს ნაყიდი! ასეთ კუბოებს ადამიანებთან ერთად სწვავენ,—დაამთავრა მოხუცმა.

— თუ ალალი ფულით არის გაკეთებული, მაშინ რას უშვრებიან?

— კარგი, გაჩუმდი, შვილო, გეყოფა, ასე ბევრი რომ ერთბაშად გაიგო, მალე დაბერდები, — მიუგო მამამ და თავისი საქმე განაგრძო.

ნატო გაჩუმდა, პატარა ჩაქუჩი მოიმარჯვა და ისიც თავის საქმიანობით გაერთო.

8

კვირა დღე იყო. მზე ალერსიანად აფრქვევდა სხივებს შუშანის სახლის ჩამტვრეულ მინებს. დილის ნიავი საამურად ქროდა და სასიამოვნო სიგრილით ავსებდა ქალაქს.

სადღესასწაულოდ მორთული მოწიფული ქალიშვილები თავიანთ სახლის ზღურბლზე ყელყელაობდნენ და თან ქუჩაში გამვლელ-გამომვლელებს ათვალიერებდნენ. მაგრამ ქუჩაში თუ ყმაწვილი კაცი გამოჩნდებოდა, მაშინვე მიიმალებოდნენ ხოლმე. გოგონების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა მორთვა-მოკაზმვა, სარკის წინ იდგნენ, თმებს ივარცხნიდნენ, სახეს ილამაზებდნენ. ერთგან ქალიშვილების გუნდი ეზო-ყურეში გამოფენილიყო, მეორეგან სახლების ერდოებზე, დაირა-ნაღარას ტაშს აყოლებდნენ და ცეკვით ერთობოდნენ. ქალაქის ყველა კუთხეში სამხიარულო ხმები ირხეოდა. მხოლოდ ნატო იყო გამონაკლისი, პატარა ოთახში იჯდა მარტოდ-მარტო, მოწყენილი, დაღვრემილი.

სწორედ ამ დროს ეკლესიიდან დაბრუნდა ნატოს დედა შუშანი. ქალიშვილს სეფისკვერის[1] პატარა ნაჭერი მისცა და უთხრა:

— უი, თვალი დამიდგეს, ჯერ არ გამოგიცვლია ტანისამოსი?

— ეჰ, რათ ჩავიცვა!..—მიუგო ქალიშვილმა და პირი იბრუნა.

---

[1] სეფისკვერი — დიდებული პური, კვერი. ეკლესიაში შესაწირავი პური, „რომელსა ზედაცა აღესრულების საღვთო ლიტურღია“.

— ისევ იტირე, თვალები დაგწითლებია.

— არა, არ მიტირია, თავი მტკივა.

— როგორ თუ არ მიტირიაო, — თვალები ცრემლიანი გაქვს. რად მატყუებ?

— არ ვიცი... — მოწყენით აღმოხდა ქალიშვილს.

— კიდევ მოგიარა ხუშტურმა?

ნატომ არაფერი უპასუხა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— მოდი მოსასხამი ჩამომართვი, — დაუძახა დედამ.

ნატომ ჩამოართვა, დაკეცა, შეინახა და დედას ჩაი დაუსხა. შუშანი ფანჯარასთან აბლოს პატარა ტახტზე ჩამოჯდა.

— ჯუმშუდ-ბეგი დღეს არ მოსულა? — შეეკითხა იგი.

ასე ეძახდნენ ყარაბაღელ სასიძოს.

ნატომ კითხვას თავი აარიდა და შეეკითხა:

— დედი, მაგ ვაჟმა როდემდის უნდა იაროს ჩვენთან?

— აი მიწამ გიყოს პირი, შე ტუტუცო შენა.—უპასუხა შუშანმა დამცინავი ღიმილით, — ვითომ არც გიხარია იმისი მოსვლა...

— გასახარებელი რა.მაქვს, დედი!.. მეზობლების ყბაში ჩავვარდი... საღეჭი კევი გავხდი.

— თვალიც გამოსჭყლეტიათ, — გაბრაზებით უპასუხა შუშანმა.

მათ ლაპარაკს ოსტატმა გრიქორმა შემოუსწრო.

— დედაკაცო, მართალს ამბობ. მაგრამ საქმე საქმეს არ ჰგავს, როცა მეზობლების საჭორაოდ ხდება. ისინი განა დამნაშავენი არიან?..

შუშანი უფრო გაწიწმატდა და მეუღლეს ლაპარაკი არ დააცალა.

— კაცო, ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის, ჩიტი ძლივს კაკანათში გაება, შენ კი გინდა გაუშვა?..

— დედი, — ჩაერია ნატო და თან ცრემლებს იწმენდდა, — შენ, როგორც გატყობ, ყელი გინდა გამომჭრა... — თქვა და პასუხს აღარ დაელოდა, ოთახიდან გავიდა.

— ჩემი სულის მზემ. ნატო მართალს ამბობს, — წარმოთქვა ოსტატმა გრიქორმა ქალიშვილის გასვლის შემდეგ. — ჯერ ვაჟს ქალი არ დაუნიშნავს, სად გაგონილა იმისი ოჯახში შემოშვება! მითხარი, ქალაქის ნამუსი ამას აიტანს?

— შენც მართალი ხარ, — გრიქორ, — სიტყვა მოუჭრა შუშანმა, — ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს ეხლანდელი ადათი... აბა რა წყალს მივცე თავი?.. გოგო მომწიფდა, თვრამეტი წლისა გახდა, გათხოვების დრო აქვს. ჩვენ ღარიბები ვართ, მაგ შალაშინით პურის ფულს ძლივს შოულობ. მეც. ხედავ.როგორ ვიტან-

ჯები. მაგრამ ამ თვის სახლის ქირა ვერ გადამიხდია. სახლის პატრონი დღენიადაგ მაწუხებს, ჩვენ განა შვილისთვის ფულისა და მზითვის მომზადება შეგვიძლია, რომ შესაფერი ვაჟი გამოვუძებნოთ? უმზითოდ და უფულოდ კი ჩვენ ქალაქში ქალს ვერ გაათხოვებ. აი, დასწყევლოს ღმერთმა ეს ადათი... ეხლა ძლივს უცხო ადამიანი ჩაგვიგდია, ჩვენი აქაური ადათი არ იცის, ნატო მოსწონს, ლამაზი გოგონაა, მე უფულოდაც სიამოვნებით შევირთავო. ეხლა შენა თქვი კაცო, შეიძლება ასეთი ვაჟი ხელიდან გავუშვათ?

მაგრამ შუშანის ასეთმა გრძელმა მონოლოგმაც ვერ დაამშვიდა მისი მეუღლე. მან ყურადღებით მოუსმინა ბოლომდე და მიუგო:

— რაცა თქვი, მართალია, შუშან! კეთილი და პატიოსანი, მაშინ ერთი მითხარი, მაგან ცოლი რით უნდა არჩინოს? რომ გაიძახი, მუქთა სასიძო მიშოვიაო, იცი, რომ მაგას ჯიბე თავზე უფრო ცარიელი აქვს?

— რას ამბობ, ქა, ეგ ხომ მდიდრის შვილია, აი მალე მამა მოუკვდება, მთელი სიმდიდრე და დოვლათი მაგას დარჩება, — გულდაჯერებით უპასუხა შუშანმა.

— ვაჰ, ერთიც ვნახოთ, მალე არ მოკვდა ის კაცი!

— არ მოკვდა და ბიჭი ჩვენ შევინახოთ, ზედსიძედ მოვიყვანოთ.

— აი, ეგ კი კარგია... — დაცინვით თქვა ოსტატმა გრიქორმა.

— თუ ცუდი გამოდგეს, მე დამდე ბრალი, — მიუგო ცოლმა, — შენ უბრალო იყავი.

— თუ ვაჟმა არ დანიშნა ჩემი ქალიშვილი, ისე ოჯახში არ შემოვიყვან...

— აი მანდ დადექ! მეც ეგ მინდა, კაცო, ჰოდა, არ მაცლი, საქმე მოვაგვარო.

— კარგი, მე ამ საქმეზე ხელები დამიბანია, ქალების ვაჭრობაში არ ვერევი, თავი არა მაქვს, — თქვა ოსტატმა გრიქორმა, სახლიდან გავიდა და კაცების ჯგუფში გაერია, რომლებიც კედლის ძირას მიმსხდარიყვნენ, მზეს ეფიცხებოდნენ და საუბრობდნენ.

დ

ოთახიდან გამოსული ნატო ეზოში ხის ქვეშ პატარა სკამზე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და დიდხანს იჯდა ასე დამწუხრებული. მოვიდა მისი თანატოლი ნინუცი, მეზობელ ქეთოს ქალიშვილი და გვერდით მიუჯდა.

— რას მომცემ, რომ გითხრა, ვისზე ფიქრობდი? — უთხრა სიცილით ნინუცომ.

— ეჰ, ნინუცი, ნეტავი შენ, დარდი არა გაქვს და ასე არხეინად იცინი, — გამოელაპარაკა ნატო და თავი აიღო.

— მე არა მაქვს დარდი? დარდი მე მაქვს, თორემ შენ რა გიშავს!

— რატომ?

— გიგოლოს შენ უყვარხარ.

— მერე რა, რომ ვუყვარვარ?.. — ცივად უპასუხა ნატომ.

— სხვა რაღა გინდა? სულელო, ისეთ ჯეელ ლამაზ ვაჟს ქალი უყვარდეს, იმას რაღა დარდი ექნება?..

— მაშ არ ექნება?..

— იჰ, მეხი კი დაგაყარე მაგ ტუტუც თავზე... თვითონაც არ იცი რას როშავ! — მიახალა ნინუცომ და ქოქოლა მიაყარა.

ნატო ცოტა ხანს დუმდა, მერე უპასუხა.

— შენ ფული თქვი, ფული, სულელო, ეხლა შეყვარებას რა ფასი აქვს?.. ათასმა ქალმა და ვაჟმა რომ ერთმანეთი შეიყვარონ, ისინი ისე ჩამოხმებიან, ისე დაიხოცებიან და თავიანთ სიყვარულს სამარეში ისე ჩაიტანენ რომ მათ ბედნიერებაზე ფიქრი არავის თავში არ მოუვა, თუ ფულმა თავისი საქმე არ გააკეთა.

— აი ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ადათი, — გულჯავრიანად თქვა ნინუცომ.

ნატომ არაფერი უპასუხა, გაფითრებულ სახეზე მღელვარება დაეტყო.

— ერთი ის მითხარი, ნატო-ჯან, გიგოლისაც ფული უნდა? — შეეკითხა ნინუცი და თანაგრძნობით ჩახედა თვალებში.

— გიგოლის ვინ უყურებს? — სევდიანად მიუგო ნატომ, — საქმეს მისი მშობლები სწყვეტენ.

— ვაჟს თუ უნდა, ქაჯან, მშობლები რაღას ეჩრებიან?

— ფულს ითხოვენ, გაიგე?

მეგობარ ქალიშვილებს შორის კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ორივე თავთავის საფიქრალს მისცემოდა. ეს ფიქრი გათხოვება იყო, მაგრამ არც ერთს ფული არა ჰქონდა (სამწუხარო მდგომარეობაა, როცა ქორწინების ჯაჭვი ოქრო-ვერცხლით უნდა გამოიკვეროს...).

— იმ ყარაბაღელს რაღა უნდა, თქვენსა რომ დადის, — დაარღვია დუმილი ნინუცომ.

— ეჰ, მეხი იმასაც დავაყარე... — ზიზღით უპასუხა ნატომ.

— ვინ არის?

— რა ვიცი? ერთი ჩათუქესანი ვინმეა.

— ამბობენ, დედაშენს სდომებია იმას მიგათხოვოს, მართალია?

— ჰო.

— მერე, შენ რას ფიქრობ?

— მე ვინ რას მეკითხება?..

— როგორ მისთხოვდები? გიგოლის თავს დაანებებ?

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, დარდებს ნუღარ ამიშლი.

ნინუციმ ნატოს თვალებში ცრემლები შეამჩნია და გაჩუმდა. ერთხანს ჩუმად შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— კარგი, ნუ ტირი, ღმერთი მოწყალეა, — ხელი მოკიდა ნატოს, — ადე, ადე გადავიდეთ საბედაანთა, იქ გოგონები არიან, მხიარულობენ. ცეკვავენ.

— ეჰ, ნეტა რა მეცეკვება მე უბედურს... — უთხრა ნატომ და უკან დაიხია.

— გოგო, რამ გაგაგიჟა? რას გავხარ! ამ კვირა ღღეს არც ტანისამოსი გამოგიცვლია. არც თმა დაგივარცხნია, ვინ იცის, იქნებ პირიც არ დაგიბანია, — სიცილით დაუმატა ნინუციმ.

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს.

მაგრამ ნინუცი არ ეშვებოდა, თითქმის ძალით უნდოდა წაეყვანა, რომ შუშანის არ შეეშალა ხელი; დედა თავისთან უხმობდა ქალიშვილს. ნატომ ამხანაგი მიატოვა და დედისკენ გასწია. „საწყალი ნატო“,—თავისთვის ჩაილაპარაკა ნინუციმ და საბედაანთ სახლისაკენ გაეშურა თანატოლებთან დროს გასატარებლად.

ე

ნინუცი ნატოს ერთ-ერთი გულითადი ამხანაგი იყო, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, საუბრობდნენ, გულის დარდებს იქარვებდნენ. ისინი ერთმანეთს არაფერს უმალავდნენ.

იმავე ღღეს, საღამოხანს ნინუცი თავიანთი სახლის ერდოზე იდგა, რომელიც ნატოანთ სახლის გვერდით იყო, და ქუჩაში იყურებოდა. როცა მოსწყინდა მარტოდ დგომა, ნინუცი შუშანიანთ სახლის ერდოზე გადავიდა და ბაღჩაში გადაიხედა, სადაც ამ დროს ნატო ყვავილებსა რწყავდა.

— ნატო, ნატო! — დაუძახა.

ნატომ აიხედა, იცნო ნინუცი, რა იყოო — შეეკითხა.

— დედაშენი სახლშია?

— არა, სახლში არ არის.

— მაშ ვინ არის თქვენსა?

— არავინ.

— აქ მოდი, საქმე მაქვს.

— რა საქმე გაქვს, მანდედან მითხარი.

— აქედან ვერ გეტყვი. ზემოთ ამოდი.

ნატო ავიდა.

მზის სხივები ჯვრებით დამშვენებულ ეკლესიების გუმბათებს ეალერსებოდნენ. სახლების ერდოებზე მწვანედ ბიბინებდა ბალახი. ალაგ-ალაგ ერდოებზე პატარა ციკნები და თხები სძოვდნენ. ზოგან დღის სიცხისაგან შეწუხებული ოჯახიც ამოსულიყო, ბალახებზე მოეკალათნათ, საღამოს ჩაის მიირთმევდნენ და ქალაქის მშვენიერი ხედით ტკბებოდნენ.

ნატომ თვალი გადაავლო მათ თვალწინ გადაშლილ სანახაობას და ამხანაგს უთხრა:

— აბა, შეხე, ნინუცი, ერდოები რა კარგად ამწვანებულან, თითქოს ხავერდი გაუფენიათო.

— ჰო, ნატო, ძალიან ლამაზია. ჩვენს ერდოებზე დასვენებას არაფერი სჯობს. ზოგნი ეტლებით მუშტაიდს მიდიან და იქა ღრეობენ. ჩვენ კი ამგვარ სიხარულს ეს ამწვანებული ერდოები გვინიშნებენ.

— აბა, შეხედე. — და ნატომ ხელი გაიშვირა მეზობლის ერდოსკენ — იქ ყაზახელი ბარბარე გამოსულა. გვერდით თავისი გოგონა უდგას და ჩაის უსხამს. მათთან სტუმრად ერევნელის რძალია, ალბათ ჩაიზე გადმოიპატიჟეს. იმათ იქით, ერდოზე, მეხაშე საჰაკის ცოლი კატოა, ის საზიზღარი ჭორიკანა. ვინ იცის, ეხლა რა ჭორებსა თხზავს...

— ეჰ, მაგას კი მოვარდეს ენა ძირში, — თქვა ნინუციმ და ქოქოლა მიაყარა ჭორიკანა კატოს. — ნატო-ჯან სულ მუდამ მოწყენილი რადა ხარ? — ჰკითხა და სახეში ჩააშტერდა.

— მეც არ ვიცი... — უფრო მოიწყინა და ისე უპასუხა ნატომ.

— გინდა გაგაბარო? — ღიმილით შეეკითხა ნინუცი.

— რით?

ნინუციმ ნატოს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

— მართლა? ხომ არ მატყუებ, ნინუცი? — მოუთმენლად შეეკითხა ნატო. და მეგობარი გულში ჩაიკრა.

ნატოს სახეზე ღიმილმა, სიხარულმა და აღფრთოვანებამ დაისადგურა.

— მართალს იძახი, ნინუცი-ჯან? — კვლავ შეეკითხა და ყელზე მოეხვია.

— შენმა მზემ, მართალს გეუბნები, — უპასუხა ნინუციმ, — აბა წავიდეთ.

და ხელი-ხელ ჩაკიდებულმა ქალიშვილებმა მხიარულად მიაშურეს ნინუციანთ სახლს.

ნინუციმ ნატო პატარა ოთახში შეიყვანა, ოთახში მარტოდმარტო იჯდა ერთი ყმაწვილი კაცი. მას ეცვა მიხაკისფერი მაუდის კაბა,

ლურჯი ატლასის ახალუხი. წელზე ეკრა შეეერცხლილი ქამარი და კისერზე ეხვია ბაღდადის. ხელსახოცი. მაყვალივით შავი თვალები, კამარასავით გადაჭიმული წარბები, ხავერდოვანი ლოყები, შავი ხუჭუჭა თმა ჭაბუკის სახეს სასიამოვნო ელფერს სდებდა. იგი მაგიდასთან იჯდა. რომელზეც ფერად-ფერადი ყვავილების თაიგული იდო.

— ეგ რა ლამაზი თაიგულია, გიგოლიჯან, — უთხრა ნატომ, ღიმილით მიუახლოვდა ჭაბუკს და თაიგული აიღო.

— მოგწონს, ნატო-ჯან? — ღიმილითვე შეეკითხა ახალგაზრდა.

— ძალიან ლამაზია, — ჩაილაპარაკა ნატომ, ხელი მხარზე დააადო გიგოლის და ალერსიანად ჩახედა თვალებში. — ეს ვისთვის მოგიტანია?

ყმაწვილი კაცი აწითლდა. მის მაგივრად ნინუცამ უპასუხა:

— აბა ვისთვის მოიტანდა, თუ არა შენთვის?

ნატოს გაეცინა.

— ნატო, შენ უფრო კარგი ხარ, თუ ეს? — შეეკითხა ჭაბუკი და ხელით თაიგულზე ანიშნა.

ქალიშვილმა არაფერი უპასუხა და თაიგულში ამოყელყელავებული ვარდივით აუწითლდა ლოყები.

— რატომ ხმას არ იღებ? — შეეკითხა გიგოლი და ხელი წაავლო ქალიშვილს.

— კარგი შენა ხარ. შენა, — მიუგო მორცხვად ნატომ და ყვავილები ნაზად აუსვა სახეზე ჭაბუკს.

— არა, შენა ხარ კარგი, შენა ხარ ლამაზი, ნატო-ჯან, — გაიმეორა გიგოლიმ და მის მოსახვევად გაიწია, მაგრამ ქალიშვილმა უკან დაიხია.

— ნუ დაობთ, ორივე კარგები ხართ, — ჩაერია ნინუცი, — მაგრამ, გიგოლი, არც მამაშენი ითხოვს შენთვის ნატოს და არც ნატოს დედას აქვს ფული, რომ შენ მოგცეს.

— გაგიჟებულხარ, ნინუცი, რაებს ლაპარაკობ? — აღშფოთდა ჭაბუკი.

— მე მართალს ვამბობ, — განაგრძო ნინუცამ და ყარაბაღელი სასიძოს შესახებ რაც იცოდა, ყველაფერს მოუყვა.

— მართალს ამბობს? — მიუბრუნდა ვაჟი ნატოს.

— ჰო, გიგოლი, იმაზე მათხოვებენ, — სევდიანად მიუგო ნატომ.

— მე თავს დავიღუპავ და არ დავანებებ, რომ ეგ საქმე მოხდეს, — აღელვებით ჩაილაპარაკა ჭაბუკმა.

ისინი მარტო დარჩნენ.

ნატო გულჩათხრობილი იჯდა გიგოლის გვერდით, ჭაბუკი მიუბრუნდა და ალერსით უთხრა:

— ნუ დარდობ, ჩემო ძვირფასო, შენ ჩემი ხარ, მე კი— შენი. არავითარ ძალას არ ძალუძს ჩვენი დაცილება!.. — ამის თქმაზე ისინი ერთმანეთს ჩაეკვრნენ გულში და მათი ტუჩებიც შეერთდნენ...

3

გაიარა რამდენიმე კვირამ, შემდეგ რამდენიმე თვემ.

დადგა შემოდგომა. ფრინველები გუნდ-გუნდად მიფრინავდნენ თბილი ქვეყნებისაკენ. მერცხლებმაც მიატოვეს ბუდეები, გაიკრიფნენ.

თანდათან სიყვითლე შეეპარათ ხეებზე ფოთლებს, ლამაზი ნატოს ვარდისფერ ლოყებს კი — სიფერმკრთალე. ქალი ნელ-ნელა ჭკნებოდა, უმანკო, სათუთ სინაზეს ჰკარგავდა.

ბნელი ღამე იყო. ცივი ქარი დამტვრეული მინებიდან სისინით შედიოდა შუშანის სახლში. ოთახში ციოდა. ნატო ჭრაქს მისჯდომოდა და ხელსაქმობდა. შუშანი სამზარეულოში ვახშამს ამზადებდა. ოსტატი გრიქორი სარდაფში ფუსფუსებდა, თავის საქმეს განაგრძობდა.

ამ დროს ჩაბნელებულ ქუჩაში ერთი კაცი მიდიოდა. იგი შუშანიანთ სახლს მიუახლოვდა, ვეფხვივით ისკუპა, ღობეს გადაეცლო და ოთახის კარებთან მისული, უეცრად შეჩერდა — იქიდან სევდიანი სიმღერის ხმა შემოესმა.

მოდი, ბიკო, ნუ მომკალი,
ჩემს დარდს რამე უწამლე,
მოდი ჩქარა, გენაცვალე,
ტრფობის ალმა დამწვა მე...

„მე მას ვუყვარვარ“,—თავისთვის ჩაილაპარაკა მომსვლელმა. და კართან ახლოს მივიდა. ტკბილი, მომაჯადოებელი სიმღერა კი კვლავ გრძელდებოდა.

თუ ოდესმე დაგივიწყო,
მიწამ პირი მიყოს მე,
ტუსაღი ვარ შენი ეშხის
გულზედ მომეკონე მე...

„მე მას ვუყვარვარ“... — გაიმეორა ყმაწვილმა კაცმა და აღფრთოვანებული შევარდა ოთახში.

— ნატო-ჯან, ჩემო ძვირფასო, — წამოიძახა მან და ქალიშვილი მაგრად ჩაიკრა გულში.

ეს ყმაწვილი კაცი ჯუმშედ-ბეგი გახლდათ. ქალიშვილი გულცი-

ვად შეხვდა. ჭაბუკი შეკრთა, როცა მისი თვალები გულმოსულ ნატოს თვალებს შეეფეთა.

— ნატო-ჯან, — ჭაბუკმა ხელი გაუშვა ქალიშვილს, — ნუ იდარდებ, დღეიდან შენ ბედნიერი ხარ. მე უკვე მდიდარი კაცი ვარ, ამიერიდან სულ ოქრო-ვერცხლში, ბრილიანტებში, ატლასში და აბრეშუმში ჩაგსვამ.

ქალიშვილმა თავი დახარა, არაფერი უპასუხა, სახე უფრო სევდიანი გაუხდა.

— ნატო-ჯან, რატომ ხმას არ იღებ, მითხარი რამე, შენი სულის ჭირიმე, — მალი-მალ იმეორებდა ჭაბუკი.

— შენი ბრილიანტები მე არ მჭირდება... — მიუგო ქალიშვილმა და ცრემლები ღაპა-ღუპით წამოუვიდა.

როცა შუშანი შემოვიდა, ჭაბუკმა თავი გაანება ნატოს და დედამისს მიუბრუნდა.

— დედი-ჯან, მე ახლა ბედნიერი ვარ, დღეს წერილი მივიღე, მამაჩემი გარდაცვლილა და იმდენი ქონება, დოვლათი, ფული დაუტოვებია ჩემთვის, იმდენი, რომ ის ქონება ამ ოთახს გაავსებს.

— ეგ კარგი ამბავია,—მხიარულად წამოიძახა შუშანმა.

— მაშ, კაი ამბავია, — აღფრთოვანებით წამოიძახა ჭაბუკმა. — მამაჩემი თუ თავის სიმდიდრეს ზედ აჯდა, ახლა იმ სიმდიდრის კარი ჩემთვის გაიხსნა.

— დიდება ღმერთს, დიდება იმის სიმძლავრეს!—მხურვალედ წამოიძახა შუშანმა. — ეხლა ჩემი ნატოს ბედიც გაიხსნა.

შუშანი ტახტზე დაჯდა. იმის გვერდით კი ჯუმშედ-ბეგმა მოიკალათა.

— იცით რა, დედი-ჯან? მე მალე უნდა წავიდე, — განაგრძო ახალგაზრდამ.

— სად? — შეშინებული შეეკითხა შუშანი.

— ყარაბაღში. უნდა წავიდე, რომ მამიჩემის დატოვებულ ქონებას მივხედო.

ჯუმშედ-ბეგის ეს სიტყვები შუშანს არ მოეწონა,—ვაი, დამიბრმავდეს თვალები,—შეძრწუნდა იგი,—გაგონილა რომ ჯვარდაუწერელი წახვიდე?

— ახლა აბა როგორ დავიწერ ჯვარს, ფული არა მაქვს.

შუშანი ღრმა ეჭვებში ჩავარდა, ვაი, თუ სამშობლოში წავიდეს და აღარ დაბრუნდესო, ამიტომ გამწარებით ფიქრობდა, როგორ მოეგვარებინა საქმე, რომ სასწრაფოდ დაექორწინებინა ჭაბუკი თავის ქალიშვილზე.

— შვილო, — მტკიცედ მიმართა შუშანმა, — ჩემს ნატოს რო-

დემდის უნდა ეჭიროს თვალი შენი გზისაკენ? არა, ეგრე არ იქნენება, ჯვარი დაიწერე, მერე კი ღმერთმა კეთილი მგზავრობა მოგცეს, საცა გინდა, წადი.

— ეხლა ხელში ფული არა მაქვს, ქორწილი რომ გადავიხადო, ხომ იცით რამდენი ხარჯები სჭირდება?—თქვა ჭაბუკმა.

— ამბობ, ხელში ფული არა მაქვსო? არა უშავს, რამდენიმე თუმანს ვისესხებ, დავხარჯავ და შესაფერის ქორწილს გადაგიხდი.

ჯუმშედ-ბეგსაც სწორედ ეს უნდოდა. იგი ოინბაზობდა, არსად წამსვლელი არ იყო, ცდილობდა მალე დაქორწინებულიყო და ლამაზი უმანკო გოგო ხელში ჩაეგდო.

— კარგი, დედი-ჯან, მე შენს სიტყვას არ გავტეხავ, როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი, მხოლოდ გთხოვ, ცოტა დაუჩქარო, რომ დიდხანს არ დამაბანდო.

შუშანს გაეხარდა, სიძეს მოეხვია.

— ჯუმშედ-ჯან, მე ხვალიდანვე შეეუდგები ქორწილის თადარიგს.

ნატომ ბოლომდე მოისმინა ეს ლაპარაკი და დაღონებული და გულმოსული გავიდა ოთახიდან. იგი ეზოში სკამზე ჩამოჯდა, ხელები მიიფარა სახეზე და მწარედ აქვითინდა. ამ დროს სახელოსნოდან ჭრაქით ხელში გამოვიდა ოსტატი. მან ქალიშვილს დაწვრილებით გამოკითხა ყველაფერი, მერე ხელი მოკიდა: — წავიდეთ, შვილო, აქ ნუ ზიხარ, გაცივდები, — და სახლში შეიყვანა თავისი გოგონა.

ზ

მთელმა კვირამ გაიარა ჯუმშედ-ბეგის მამის „სიკვდილის“ შემდეგ.

ერთ საღამოს შუშანის დის — სოფიოს სახლი უჩვეულოდ იყო გაჩახჩახებული და ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი ირეოდა. ყველას მხიარული სახე ჰქონდა. მოისმოდა სიმღერისა და ზურნა-ნაღარის დაკვრის ხმა.

ნატოს ქორწილს უხდიდნენ. შუშანის სახლი პატარა იყო და ქორწილი ამ დიდ სახლში გადმოეტანათ, ყოველ კუთხეში ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ სტუმრები და მხიარულად მასლაათობდნენ. ერთ კუთხეში მღვდელს გარსშემოხვეოდა ხელოსანი ხალხი. მღვდელი თავმომწონედ უამბობდა წმინდანების სასწაულთმოქმედებაზე და თავი მოჰქონდა თავისი ცოდნით. ქალებს ცალკე მოეყარათ თავი და ჩურჩულ-კურკურებდნენ, ჭორაობდნენ. ახალგაზრდა ქალიშვილები ნატოს ირგვლივ შეკრებილიყვნენ, დაირას უკრავდნენ და ცეკვა-თამაშით ართობდნენ პატარძალს. შუშანი კი აქეთ-იქით დარბოდა,

განკარგულებებს იძლეოდა, სტუმრებს ესაუბრებოდა, ენატკბილობდა.

— საბედ, — თავის გვერდით მჯდომ ქალს გადაუჩურჩულა თათუხაანთ ნატალიამ, — ხედავ შუშანის რა ბედი ეწია? უმზითვოდ და უფულოდ ზედსიძე იშოვა!

— იღბალია და ღვთის მოწყალება, ნატალია-ჯან, — უპასუხა ჭონ-ოჰანეზას ცოლმა საბედამ.

— აგრეა, აბა რა! უღვთოდ ხიდან ფოთოლიც არ ჩამოვარდება, ეტყობა, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული პატარძალი.

— არა, ეგ ლტოლვილები ფულს მნიშვნელობას არ აძლევენ, — ჩაერია კალატოზ სიმონას მეუღლე მაშო. — ოღონდ ქალი კარგი იყოს და არაფერს დაიშურებენ...

— თვალი დაუდგა, მაგ ყარაბაღელსაც კაი უმანკო ყვავილი უპოვია!... — ჩაერია ხარაზ დარჩოს ცოლი ბარბარე.

— არა, ბარბარე, მაგას რად ამბობ, ცოდვაა. ნატო, ღმერთსა ვფიცავ, ალალ-მართალი, ლამაზი გოგონაა, — უპასუხა დაბაღიანთ მაკამ.

— შენც კარგი ალალ-მართალი გიპოვია... მეწვრილმანე გიგოლისთან იმის ჩადენილ ოინებზე რაღას იტყვი...

— ეჰ, ეხლა მაგას ვიღა უყურებს, — ჩაერია ბაზაზ წყალობას ცოლი სალომე: — ჩვენ დროში ქალის ალალ-მართლობას ვინ ეძებს! უფულოდ არც ქალის სილამაზე, არც მისი სწავლა-განათლება, არც ჭკუა-გონება ჩალის ფასად არა ღირს... თუ ფული აქვს, გინდ ბრმა იყოს, გინდ ქაჩალი, უნამუსო, ორივ ფეხით კოჭლი, სასიძო ხელად გამოჩნდება, ღმერთი-რჯული... ისეთი მუშტარი კი, როგორც შუშანის შეხვდა, ათასში ერთი გამოჩნდება. გაგონილა, უფულოდ და უმზითვოდ ვისმეს ქალი დაენიშნოს?..

სალომეს სიტყვები მოეწონათ და ყველამ ერთ პირად შესძახა,—აი ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ადათი... ღმერთმა დააქციოს ამ ადათის მომგონის სახლ-კარი.

მამაკაცები სულ სხვა საკითხზე ლაპარაკით იქცევდნენ თავს. ისინი მეტწილად ეკონომიურ მდგომარეობაზე ბაასობდნენ, პურისა და სხვა სურსათ-სანოვაგის სიძვირეს უჩიოდნენ.

— ეგ ყველაფერი ხალხის ცოდვების ბრალია, — თქვა მღვდელმა, — როცა ხალხის ცოდვები მრავლდება, ღმერთსაც გული მოსდის და სხვადასხვა სასჯელს უგზავნის ზეციდან. ჩვენი ხალხი თანდათან ივიწყებს ღმერთს, აღარც ეკლესია სწამთ, აღარც წირვა-ლოცვა, მარხვას ეგენი არ ინახავენ, წმინდანებს თაყვანს აღარ სცე-

ვენ, ზიარებაზე უკლეს სიარულს. ერთი სიტყვით, ყველაფერი დაივიწყეს და ეშმაკის გზით მიდიან.

მღვდლის სიტყვებმა ზოგიერთი შიშით დაზაფრა, პირჯვარი გამოისახეს, თავისთვის ჩაილაპარაკეს:—ცოდვილი ვართ შენს წინაშე, უფალო, გვაპატიეო.

— როცა ხალხი ეშმაკის გზიდან უკან დაბრუნდება, — განაგრძო მღვდელმა, — და ქრისტეს გზით წავა, ესე იგი, როცა ისევ სამღვთოს დაკლავენ, წმინდანების სალოცავებზე ივლიან, ღარიბ-ღატაკს ხელს გაუწვდიან, მღვდელს პატივისცემას არ მოაკლებენ, მაშინ ღმერთიც კეთილი თვალით გადმოხედავს ქვეყანას, პურ-ღვინით და ბარაქით აავსებს.

— მღვდელო, თუ შენი ქრისტე გიყვარს, მაგ ქაროზებს[1] მოეშვი, — მღვდელს სიტყვა მოუჭრა ლოყებღაჟღაჟა სირაჯმა კონიმ, — შე დალოცვილო, ქორწილში ვართ თუ ეკლესიაში. რა დროს სახარების კითხვაა, დაგვაცადე, ცოტა ღვინო შევსვათ, ვიქეიფოთ, გული გავიხაროთ.

— მოდი ერთი ტუჩები დაგიკოცნო, კონი-ჯან, — კვერი დაუკრა მეთევზე მიხაკამ და სირაჯს მოეხვია, — კაცო, რა ჩვენი ჭკუის საქმეა წმინდა წიგნებში კირკიტი. სმა-ჭამა, დროს ტარება და ღვთის სამადლობელი — აი ჩვენი საქმე.

— ბარაქალა, ბარაქალა, მიხაკ-ჯან, შენი სულის ჭირიმე, — შესძახეს აქეთ-იქიდან, — ღმერთმანი, მართალი სიტყვა თქვი.

— იცოცხლე, შენი სადღეგრძელო იყოს!—ყოველი კუთხიდან შესძახეს და სასმისები მიუჯახუნეს მიხაკას ჭიქას.

ამ დროს უსინათლო აშუღმა ბეჟანმა ჭიანური ააკვნესა და საიათ-ნოვადან დაამღერა:

„ქვეყანაზე არ ვიდარდებ,
სანამ ცოცხალი ხარ ჩემთვისა“...

— აჰ, ნეტა მაცოდინა. ეს ღვინო ვისი მოგონილია! — თქვა ერთ-ერთმა მოქეიფეთაგანმა და სიამოვნებით გახედა წითელი ღვინით სავსე ჭიქას, — ყოველ წელს სამღვთოს დავუკლავდი.

— განა ეგეც არ იცი, ოსტატო პეტროს? — შესძახა მღვდელმა.

— აბა მე საიდან უნდა ვიცოდე, შენი სულის ჭირიმე, ტერტერჯან, — უპასუხა ოსტატმა პეტროსამ. — წიგნის თეთრი და შავი თქვენ იცით, უფლის სიტყვები თქვენთან არის, ჩვენ რა გვისწავლია, რომ ეგ ვიცოდეთ?

— ღვინო პირველად ნოე მამამთავარმა დაიყენა, — თქვა ტერ-

[1] ქაროზი — ქადაგება.

ტერამ ისეთი ტონით, თითქოს ხაზი გაუსვა თავის ღრმა ცოდნას და მერე რამდენიმე სიტყვა დაუმატა ქამის[1] შესახებ.

ყველა გაკვირვებით უსმენდა.

— დღეგრძელობა ნოეს წმინდა სახელს და დიდება! — წარმოთქვა ოსტატმა პეტროსამ და პირჯვარი გადაიწერა.

— ვენაცვალე ნოეს სულს! — წამოიძახა ერთმა ახალგაზრდამ, სასმისი ასწია და ნოეს სადღეგრძელო ასე დაამთავრა: — ვაჰ, ის რომ არა ყოფილიყო, ამ გემრიელ ღვინოს ვინ მოიგონებდა!

ყველა დაეთანხმა ახალგაზრდას და ნოეს სადღეგრძელო ისე შესვეს, თითქოს მათ გვერდით მჯდარიყოს სუფრაზე.

ამ საერთო ღრეობაში ერთი კაცი არ იღებდა მონაწილეობას, ის მოწყენილი იჯდა, დაღვრემილი. ეს კაცი პატარძლის მამა, ოსტატი გრიქორი გახლდათ. პირველად მღვდელმა შეამჩნია, რომ გრიქორი მოუსვენრად იყო, ხშირად შედი-გამოდიოდა, რაღაცა აწუხებდა და მიმართა:

— რა ცხვირი ჩამოგიშვია, ოსტატო გრიქორ? შე მამაცხონებულო, ეს ქეიფი შენია, სადარდებელი რა გაქვს?

ოსტატმა გრიქორმა მხოლოდ თავი გაიქნია, თითქოს უთხრა. — საქმეებით ვარო დატვირთული, და უსიტყვოდ გავიდა გარეთ.

თ

შუაღამე იყო. ქუჩაში დასადგურებულ სიჩუმეს ხანდახან თუ არღვევდა ღამის დარაჯის ხრინწიანი ხმა, მოხეტიალე ძაღლების უმიზნო წკმუტუნი ან დაგვიანებული მიჯნურის ეტლის გრიალი.

ბაზარში ჩამწკრივებული სავაჭროებიდან მხოლოდ ერთ დუქანში ბჟუტავდა მკრთალი სინათლე. ამ დუქანში ჩაფიქრებული იჯდა ყმაწვილი კაცი.

— აღა, ეს ღამე ასე გინდა გაატარო, ძილს არ აპირებ? — ჰკითხა ახალგაზრდას ხოელმა ღამის დარაჯმა და თავი შეყო კარებში.

— არ მეძინება, კარო, — მიუგო ჭაბუკმა.

ეს ყმაწვილი კაცი ნატოს შეყვარებული გიგოლი გახლდათ. მას გაეგო, როგორც ყარაბაღელი სასიძოს ამბავი, ისე ნატოს მშობლების აზრი და გუნებაამღვრეული იყო; აშკარად ხედავდა, ხელიდან ეცლებოდა სატრფო. გიგოლი დიდად პატივს სცემდა მშობლებს, ეხათრებოდა მათი, მაგრამ როცა მოთმინების ფიალა აევსო, ერთ დღეს მაინც გამოუტყდა, რომ შუშანის ქალიშვილი ნატო უყვარდა.

[1] ქამი — ნოეს ერთ-ერთი შვილის სახელი.

 მშობლებმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს და გამოუცხადეს, თუ ვინიცობაა ჩვენს სიტყვას არ დაიჯერებ და ნუშანის ქალიშვილს შეირთავ, მემკვიდრეობაზე უფლებას ჩამოგართმევთო. იმ დღიდან გიგოლი მშობლებს გაურბოდა და დუქანში ათევდა ღამეს. ყარაულმა გიგოლის მოწყენილობა შეამჩნია, იქვე დუქნის კარებში ჩამოჯდა და შეეცადა საუბრით გაერთო იგი.

— შენ ალბათ რაღაც დარდი გაქვს, რომ არ გეძინება, — დაიწყო ყარაულმა.

— ჰო, კარო, დარდი მაქვს... — უპასუხა გიგოლიმ იდუმალი ხმით და მოკლედ უამბო ნატოს ამბავი.

— ეჰ, აღა-ჯან, მეც რომ შენსავით ჯეელი ვიყავი. არც მე მეკარებოდა ძილი, — მიუგო ყარაულმა და თავისი დარდები გაიხსენა, — ჩვენს სოფელში ერთი ლამაზი, ჯეირანივით კოხტა ბოგო ცხოვრობდა. შემიყვარდა, იმასაც შეუყვარდი. მაგრამ ამ ქალს თვალი დაადგა მელიქის ბიჭმა და ბოლოს შეირთო კიდეც. ქალმა ქმარი ვერ შეიყვარა, ბევრი იდარდა. ვეღარ გადაიტანა მწუხარება და წუთისოფელს გამოესალმა... იმის მერე მეც ვეღარ გავჩერდი სოფელში, აქეთ და აქეთ გადმოვიხვეწე...

ირანელი ყარაული ისე საცოდავად მოჰყვა თავის თავგადასავალს, რომ თვითონაც ვეღარ შეიკავა ცრემლები და უკანასკნელი სიტყვების თქმაზე ხმაც ჩაეხლიჩა ყელში მომდგარი ჯავრისაგან.

გიგოლიმ თანაგრძნობით გადახედა მას და ერთხელ კიდევ დარწმუნდა სიყვარულის მომჯადოებელ ძალაში, სიყვარულის, რომელმაც კაროსთანა უბრალო და მიამიტი კაციც კი აატირა.

— ასეა, კარო, და როცა სატრფოს ჰკარგავს, უკეთესია კაცმა თავი შეაკლას, ვიდრე იგი სხვას დაუთმოს... შენ მაინც ბედნიერი ხარ, კარო, შორსა ხარ მიჯნურის საფლავიდან...

კარომ დაინახა, რომ მისი მოსაუბრე უფრო დაღონდა და უთხრა:

— აღა, თქვენს უბანში ამაღამ ქორწილია, კარგს იზამ, დუქანი დაკეტო, წახვიდე, ცოტა გული გადააყოლო.

— ქორწილი?.. — გაიმეორა გიგოლიმ და ტანში საშინლად გასცრა.

— დიახ, აღა-ჯან, აქეთ წამოსვლისას თქვენს უბანში გამოვიარე. ზურნა-ნაღარის დაკვრის ხმა გავიგონე შუშანის დის სოფიოს სახლიდან.

გიგოლი დაიბნა, კაროს დახმარებით დუქანი ფაციფუცით დაკეტა და შინისაკენ გასწია.

ნახევარ საათში იგი სოფიოს სახლთან გაჩნდა. სიმღერა რომ გაიგონა, სისხლი აუვარდა თავში; შეჩერდა, მიაყურა საქორწილო

ზარზეიმს და ღრიანცელს, რომელიც სახლიდან მოისმოდა. თანდა-თან სიშმაგემ აიტანა. უეცრად სახლიდან ქალიშვილი გამოვიდა ხელში ჭრაქით.

— ნინუცი! შენა ხარ? — შეჰყვირა ჭაბუკმა.

— მე ვარ, გიგოლი-ჯან, — შეჩერდა ქალიშვილი.

— სად მიხვალ?

— სახლში. წამოსასახამი უნდა ავიღო, ძალიან ცივა, მალე ჯვა-რის დასაწერად. უნდა წავიდეთ.

— ვის უნდა დაწეროთ ჯვარი? — აღშფოთებით შეეკითხა გი-გოლი.

— არ იცი? ამაღამ ნატოს ქორწილია.

ჭაბუკი ერთიანად მოეშვა.

— ნატოს ეხლაც შენ უყვარხარ, გიგოლ-ჯან, — უთხრა ნინუ-ცამ, — სულ გულშეღონებულია, ძლივს მოვასულიერე... მითხრა, ნინუცი, ეკლესიაში არ წავყვები და არც თავს ვიცოცხლებო.

— ო, ღმერთო ჩემო... — სასოწარკვეთილებით წამოიძახა გიგო-ლიმ.

— ნატო უბრალოა, გიგოლი-ჯან, დანაშაული არ მიუძღვის, — განაგრძო ქალიშვილმა, — ამბობს, მისი დავიწყება არ შეიძლია, სიკვდილამდის მეყვარებაო... მაგრამ თქვენს მშობლებს დაუბრმავ-დეთ თვალები, ერთმანეთს დაგაშორათ...

გიგოლიმ აღარაფერი თქვა და როგორც კი ნინუცი თავის გზას დაადგა, აცახცახებულმა მტკვრისაკენ გასწია. მაგრამ გიგოლის დუ-მილმა დააეჭვა ქალიშვილი, გაიფიქრა, სასოწარკვეთილების ბუ-რუსში გახვეულმა ბიჭმა არაფერი აუტეხოსო თავის თავს, ამიტომ შუაგზიდან დაბრუნდა, შევიდა სოფიოს სახლში, თავისი ძმა გამოი-ძახა და ჩასჩურჩულა:

— სტეპკო, ჩვენი გიგოლი ამ წუთას რიყისაკენ წავიდა, ძალიან დარდიანი იყო, გაიქეცი, დაეწიე, არაფერი დამართოს თავის თავს საწყალმა ბიჭმა.

ამის გაგონებაზე სტეპკო მაშინვე გარეთ გავარდა. გზაში სულ-იმას გაიძახოდა: „საწყალი ბიჭი, მტკვრისაკენ ნეტა რა უნდოდაო“.

ცაზე აქა-იქ მოჩანდა შავი ღრუბლები. მთვარის სხივებზე მტკვრის ტალღებს მკრთალი ნათელი მოჰფენოდა. რამდენიმე წუთ-ში გიგოლი მტკვრის ნაპირას გაჩნდა. „ამიერიდან სიცოცხლე ჩემთ-ვის ზედმეტია“, — თქვა და ის იყო მდინარეში გადასავარდნად გაი-წია, რომ სტეპკოს რკინისებურმა ხელებმა დააკავეს.

— აჰ, სტეპკო, თუ ძმა ხარ, გამიშვი. — შეეევედრა ახალგაზრდა.

— რას სჩადიხარ, ბიჭო, გაგიჟდი? — გაჰკიცხა სტეპკომ და გიგოლი მდინარის ნაპირს მოაშორა.

— ოჰ, რად მომისწარი, რად!..

0

სწორედ ამ დროს მოხუცებულ სოფიოს სახლში მღვდელი ფეხზე წამოდგა, სტუმრებმა თავიანთი ფარნები აანთეს და ჯვრისწერის წესის ჩასატარებლად ეკლესიაში წასასვლელად მოემზადნენ.

ჯუმშედ-ბეგი საგანგებოდ შეკერილ სანეფო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ნატოსაც საპატარძლო ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ ისეთი ფერმკრთალი სახე და სევდიანი თვალები ჰქონდა, რომ ეტყობოდა საშინლად აღელვებული და სასოწარკვეთილი იყო.

უეცრად სახლში შემოვიდა ვიღაც უცნობი სტუმარი, ხანდაზმული და ჯანგატეხილი. გრძელი თეთრი წვერი ჰქონდა, შავი შალის ჩოხა და ქალამნები ეცვა, თავზე დიდი ფაფახი ეხურა და ხელში მოზრდილი კომბალი ეჭირა. ეტყობოდა, შორიდან იყო ჩამოსული. მოხუცის აღელვებულმა სახემ ყველას ყურადღება მიიპყრო.

მოხუცის მოულოდნელმა გამოჩენამ თავზარი დასცა სასიძოს, გაფითრდა. ცარცის ფერი დაედო სახეზე.

მოხუცმა არავის ყურადღება არ მიაქცია, დინჯად მიუახლოვდა სიძეს, სიბრაზით წამოწითლებული თვალებით მრისხანედ შეხედა და უთხრა:

— ჰეი. ძაღლიშვილო, სადა ხარ ამდენ ხანს დაკარგული? დღენიადაგ დაგეძებ. შენს ძებნაში მთელი ქვეყნიერება შემოვიარე, რუსეთი გინდა, თურქეთი, სპარსეთი, რა ვიცი, სადღა არ ვიყავი, მაგრამ ვერსად ვერ გიპოვე. შე უსინდისო, შე არამზადა, სახლში წვრილშვილი, მეუღლე მიატოვე და შენს ნებაზე დაეხეტები! შე ქოფაკის შვილო, რატომ ერთხელ მაინც არ მოგაგონდა ცოლ-შვილი, მშობლები! შენი ბავშვები მაინც როგორ დაივიწყე, რომლებიც მშიერ-მწყურვალნი იხოცებიან, შენს მეუღლეს კი ბევრი ტირილისაგან თვალები დაეესო...

ჯუმშედ-ბეგი შიშისაგან აცახცახდა, გაშრა, გაოგნებული მიაშტერდა მოხუცს, ხმის ამოღება ვერ გაებედა.

მექორწილეები დაიბნენ, ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მოხუცს. ბოლოს მოხუცმა ხელი წაავლო შვილს და ძალით გათრევა დაუპირა, მაგრამ საქმეში შუშანი ჩაერია, მიუახლოვდა მოხუცს და უთხრა:

— ბიძა, ბიძა, ვინა ხარ, რა გინდა, რა სადავო გაქვს მაგასთან?

გამხეცებული მოხუცი შუშანისკენ შემობრუნდა, გლეხური სიტ-ლანქე ოდნავ შეარბილა და მიუგო:

—მე ვინა ვარ.. მეკითხები?—მე ამ არამზადას უბედური მამა ვარ (მიუთითა ჯუმშედ-ბეგზე), ეგ კი ჩემი გათახსირებული შვილია...

— მე შენ არ გიცნობ! — შესძახა ჯუმშედ-ბეგმა.

— არ მიცნობ?.. ამ კომბალს ხომ იცნობ? — ხმა აღიმაღლა მო-ხუცმა და უზარმაზარი კომბალი ჰაერში შემართა.

შუშანი ბოლოს და ბოლოს მიხვდა ვინც იყო ეს მოხუცი და შეჰ-კივლა:

— რა მამა, რის მამა! სიძეს მამა არა ჰყავს, მამა რა ხანია მოუკ-ვდა.

გლეხს მოღუშული სახე აუთრთოლდა, დამცინავი ღიმილით შე-ხედა შუშანს და ირონიით უთხრა:

— ჰა, მაშ მაგის მამა მოკვდა?.. მე მკვდრეთით აღმდგარი ვარ!..

— შენ ამის მამა არა ხარ, ეს მელიქ-თოროსის შვილი ჯუმშედ-ბეგია, ამის მამა დიდი კაცი იყო, შენსავით დათვი კი არ იყო... — შესძახა გაკაპასებულმა შუშანმა.

შეურაცხყოფილმა გლეხმა მშვიდად, გასაოცარი გულგრილო-ბით მიუგო:

— მელიქ-თოროსის ბიჭიაო? ჯუმშედ-ბეგიო, ჰო... მელიქ-თო-როსის შვილი მართლაც ძალიან დიდი კაცია, მაგრამ ეს თაღლითი (მიუთითა სიძეზე) იმისი შვილი კი არა, ჩემსავით დათვის შვილია — გიუქია, გიუქი...

— რა გიუქი, რის გიუქი, დღეს ეგ ჩემი სიძეა...

ამ სიტყვების გაგონებაზე მოხუცი შეძრწუნდა, შუშანს მიუბ-რუნდა და შეეკითხა:

— შენი სიძეა, ჰა?

ჰო, ჩემი სიძეა, ამაღამ ჯვარი უნდა დავწეროთ, ხომ ხედავ, ქორწილია, — მიუგო შუშანმა და ხელით ანიშნა მექორწინეებზე.

მოხუცი გაფითრდა. შვილს მიუბრუნდა და დასწყევლა:

— აი, მიწაში ჩაგდე, ღვთის რისხვა შენ... აქაც მოატყუე? აქაც ვინდა ცოლის შერთვა?.. მერე შუშანს მიუბრუნდა და მუდარის ხმით უთხრა:—ჩემო დაო, გირჩევ შეაჩვენო, დასწყევლო! ოთხი წელია მა-გის გზაზე დავდივარ, ქალაქი აღარ დარჩა, რომ მაგას ცოლი არ შეერ-თო, ადგილი არ დარჩენილა ისეთი, რომ მაგას ცოლი არ მიეტოვები-ნა... ქვეყნიერება მოფენილია მაგისი ბავშვებით, მაგისი ცოლებით, ისინი უპატრონოდ არიან მიტოვებული და მოწყალებას თხოულო-ბენ...

— რაო, ცოლებს იცვლიდაო? — შიშით ჰკითხა შუშანმა.

— ჰო, ჰო, შვიდჯერ არის ჯვარდაწერილი ეგ არამზადა, ევა... ერთი ცოლიც სახლში ჰყავს...

მექორწინეები გაქვავებულნი იდგნენ და გაოცებულნი უყურებდნენ ამ სურათს.

— ვაი ჩემს თავს... — შეჰყვირა შუშანმა და ორივე ხელი თავში შემოირტყა.

— ვაი ჩემს ნამუსს... — წამოიყვირა ნატომ და გული შეუწუხდა.

— გამიშვით, გამიშვით ჩავაძაღლო ეგ არამზადა!.. — გარედან დაიბღავლა ოსტატმა გრიქორმა და სახლში შემოიჭრა ცულმომარჯვებული, მაგრამ ზედსიძე იქ აღარ დაუხვდა, გაქცეულიყო...

გულშეღონებულ პატარძალს უეცრად ერთი ჭაბუკი შიუახლოვდა:

— მე ვარ შენი ნეფე, მე... — წამოიძახა მან და იატაკზე უგონოდ ჩაკეცილი ნატო ფეხზე წამოაყენა.

ეს გიგოლი იყო.

ალთქმული მონაზონი

I

გამოფიტულ ქარაფს მიჰკროდა მეტად თავისებური ნაგებობა. დაკბილული გალავანი და ნახევრად დანგრეული კოშკები ჰას ძველი სასახლის იერს აძლევდნენ. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, თითქოს იქაურობის პატრონს დიდი ხანია დაეკარგა თავისი დიდება და ერთ დროს სვიანი ადგილი, რომლის ჭერქვეშ ერთთავად ჭიქების ჭახაჭუხის ხმა იდგა, აქაფებული ღვინო ისმებოდა—მხიარული სტუმრები სიმღერით და ცეკვა-თამაშით იქცევდნენ თავს, ახლა გადაქცეულიყო ჭოტებისა და ღამურების თავშესაფარად.

მაგრამ თუ უფრო ყურადღებით დააკვირდებოდით — პირველი შთაბეჭდილება თანდათან ქრებოდა და თქვენს თვალწინ აღიმართე-

ბოდა ჯვრებით დამშვენებული გუმბათები, ხოლო ყურთასმენას მიიპყრობდა ყრუ, მელანქოლიური მოთქმა ზარისა, რომლის მთრთოლვარე ყღერადობა შორს, შორს, მთების მიღმა სწვდებოდა.

აქ მონაზონთა უწმინდესი ადგილი იყო.

ღამის წყვდიადი გამეფებულიყო ქვეყანაზე.

პატარა სენაკში მკრთალად ბჟუტავდა ჭრაქი, რომელიც უბრალო ხის მაგიდაზე იდგა. მის პირდაპირ შავსამოსიანი მოხუცი ქალი იჯდა, ეს დედათა მონასტრის იღუმენი იყო, იგი ლოცვების წიგნს კითხულობდა.

კარების ჭრიალზე იღუმენმა შეწყვიტა კითხვა. შემოვიდა ახლგაზრდა მონაზონი.

— როგორ გრძნობს თავს ახლად ნაკურთხი მონაზონი? — შეეკითხა მოხუცი შემოსულს.

— სიცხემ უფრო აუწია, — უპასუხა მან, — ვერ ისვენებს, სულ ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებს...

იღუმენი წამოდგა და ავადმყოფის სენაკისაკენ წავიდა.

საწოლზე იწვა ახალგაზრდა ქალი, რომელიც სიცხისაგან გათანგული ბოდავდა. მომაკვდავის სიყვითლე გადაკროდა მის ნაზ სახეს და შავი თვალებიდან სიცოცხლის უკანასკნელი სხივი უკრთოდა.

„ოსეფ-ჯან, ოსეფ-ჯან, შენს სულს დავუნაცვლე... გამანთავისუფლე... სადაც გინდა წამიყვანე... წამოგყვები...“ მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდნენ ხანდახან ავადმყოფის ბაგენი.

იღუმენი საწოლთან მიუჯდა. უღრმესი მწუხარებით უსმენდა მის შეურვებულ და ჩაფერფლილ გულის სიღრმიდან ამომხდარ სიტყვებს.

შემოვიდა ტანდაბალი სათვალიანი კაცი. ეტყობოდა ექიმი იყო. მან გასინჯა ავადმყოფი, შემდეგ იღუმენს მიუბრუნდა და ავადმყოფობის მიმდინარეობის გამოკითხვა დაუწყო.

— დილას გამოკეთდა, გონს მოვიდა. — მიუგო იღუმენმა, — ყველა გვიცნო და გასაგებად გველაპარაკა, მაგრამ უეცრად გონება ისევ დაკარგა, როცა ჩვენ გვიყურებდა. ირგვლივ ყველაფერი საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე და ისე აღელვებს, რომ ვეღარაფერი გაგვიგია...

— როგორ ხასიათზე იყო ავადმყოფობის წინ? — შეეკითხა ექიმი.

— იმ დღიდან, რაც აქ მოიყვანეს, მუდამ დალვრემილი იყო და სდუმდა. გაცინებული ან გაღიმებული ერთხელაც არ გვინახავს. ყოფილა შემთხვევა, სადილზე ლუკმა არ ჩაუდვია პირში, ხშირად მთელი საათობით დაგვეკარგებოდა თვალიდან და თავის სენაკში

კანცალკევებულს ვპოულობდით — ან ტიროდა ან დასევდიანებული იჯდა, იტანჯებოდა, ცოცხლად დნებოდა. მიზეზი ვერ გავიგეთ. მეგონა, ალბათ, სინდისი ქენჯნის, ცოდვებს გულის ტკივილით ინანიებს და ასე იმიტომ იტანჯება და დნება-მეთქი.

— ავადმყოფს სულიერი ტკივილი აწუხებს, — უპასუხა ექიმმა და ფეხზე წამოდგა, — ეტყობა, იგი ნებით არ არის მოყვანილი აქ. თუ მშობლები საჩქაროდ არ წაიყვანენ, ხელიდან გამოეცლებათ.

ექიმმა მოკლე რჩევა-დარიგება მისცა და წავიდა.

8

თომას ხორენიანი — ასე ეძახდნენ უფროს ექიმს — საწყალი ბლეგის შვილი იყო. თორმეტი წლის თომასი ქალაქ თ...ში ჩამოიყვანეს და ეროვნულ სკოლაში მიაბარეს, როგორც სტიპენდიანტი. შემდეგ აქედან სამეფო სკოლაში გადავიდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და სახელმწიფო ხარჯზე უმაღლეს სასწავლებელში გაიგზავნა. ხუთი წელი დაჰყო უმაღლესში და იქიდან დოქტორის წოდებით გამოვიდა. მშობლიურ ქალაქში, ამ პატარა უბრალო ალაგას, დოქტორი ხორენიანი დიდხანს არ დარჩენილა, მალე გადასახლდა დიდ ქალაქ თ...ში ორი მიზნით: ჯერ ერთი, ვრცელ ასპარეზზე სამოღვაწეოდ და მეორეც, მდიდარ ქალზე ჯვარის დასაწერად. ეს მიზნები ბატონ ექიმს ოდნავადაც ხელს არ უშლიდა, თავისუფალი დროიდან რამდენიმე საათი დაეთმო საზოგადო საქმეებისათვის. ასეც მოიქცა და, სხვათა შორის, სრულიად უფასოდ იკისრა დედათა მონასტერში მუშაობა. ამ ქალაქში იგი ახლად იყო ჩამოსული, იმ საღამოს ნახული ქალის ვინაობისა არაფერი იცოდა. მაგრამ ავადმყოფის ცხოვრებასა და წარსულში იგი სკვრეტდა რაღაც საიდუმლოს, რომლის ამოცნობისაკენ ძალუმად ეწეოდა ცნობისმოყვარეობა.

ამ საფიქრალს მისცემოდა ექიმი, როცა ეტლისაკენ მიდიოდა, და ის იყო ჩაჯდომა დააპირა, რომ ვიღაცის ხმამ შეაჩერა:

— ბატონო ექიმო, მაპატიეთ რომ ეკითხებით, მაგრამ რა მდგომარეობაშია ქალიშვილი, რომელიც ახლა ინახულეთ?

დედათა მონასტრის ჭიშკართან ანთებული ფარნის შუქზე ექიმმა თვალი შეავლო სევდით მოცულ სიმპათიურ ახალგაზრდას.

— ავადმყოფის მდგომარეობა სრულიად უიმედოა, — უპასუხა ხორენიანმა უცნობ ჭაბუკს, — თუ საჩქარო ზომები არ მიიღეს, დაიღუპება...

ახალგაზრდა ადგილზე გაქვავდა, გაფიფრდა, კანკალი დაიწყო.

ექიმი მიხვდა — მისმა სიტყვებმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, შეებრალა და აღელვების მიზეზი ჰკითხა:

— თქვენ ალბათ ავადმყოფის ნათესავი ხართ, არა?

— არა, მხოლოდ მისი ნაცნობი... — სევდიანად მიუგო ახალგაზრდამ.

— თუ ასეა, ალბათ იმის ცხოვრებასაც იცნობთ და წარსულსაც, არა?

— ძალიან კარგად.

— მაშ, მაპატიეთ, მინდა ზოგი რამ გკითხოთ ავადმყოფის შესახებ, რისი ცოდნაც ჩემთვის, როგორც ექიმისათვის, აუცილებელია.

— მე მზადა ვარ დავკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა, თუ ეგ რამე სარგებლობას მოუტანს ავადმყოფს.

ექიმმა მადლობის ნიშნად ახალგაზრდას ხელი მაგრად ჩამოართვა და სთხოვა მასთან ერთად ჩამჯდარიყო ეტლში.

— წავიდეთ ჩემთან, მე აქვე ვცხოვრობ.

ისინი ეტლში ჩასხდნენ. ახალგაზრდა წარამარა ეკითხებოდა ექიმს:

— მაშასადამე, არავითარი იმედი არ არის?..

ექიმმა შეამჩნია, რომ მისი მოსაუბრე ძალიან ღელავდა და უთხრა:

— ზოგჯერ შეიძლება ერთი ბეწვისოდენა მიზეზით დაუბრუნდეს ავადმყოფს უწინდელი მხნეობა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეტლი ერთი პატარა სახლის წინ გაჩერდა, და ისინი შევიდნენ უბრალოდ მოწყობილ ოთახში.

— დამდეთ პატივი და მიპასუხეთ, ვინა ხართ თქვენ? — ეს იყო ექიმის პირველი კითხვა.

— მე ოსეფ არესიანი გახლავართ, — მიუგო ახალგაზრდამ, — დანარჩენი თქვენ თვითონ გეცოდინებათ.

ორივენი ტახტზე ჩამოსხდნენ.

ექიმმა დაწვრილებით უამბო, თუ რა მდგომარეობაში ნახა ავადმყოფი, აუწერა მისი სულიერი მღელვარება და გაიმეორა ის სიტყვებიც, რომლებიც ილუმენს მოესმინა. ბოლოს ლაპარაკი დაამთავრა იმით, რომ ქალიშვილის ავადმყოფობის მიზეზად მიაჩნდა მორალური შეურაცხყოფა. საუბრის დროს ჭაბუკის სახე ვერ ფარავდა მის ულრმეს ტანჯვას, იმის თვალებში აშკარად მოჩანდა იმედგაცრუებულის მწარე სევდის კვალი.

— ახლა, ბატონო არესიან, — დაუმატა ექიმმა, — მიამბეთ, რაც იცით, მიამბეთ როგორც აღსარების დროს მოძღვარს უამბობენ ხოლმე, გახსოვდეთ, თქვენი ყოველი ცნობა ძალზე დიდი შემწეობა იქნება ავადმყოფის გამოკეთებისათვის.

ახალგაზრდა რამდენიმე წუთს გარინდებული იჯდა — დღეს იძუ-

ლებული იყო პირველად ამოებუსრა ის სეედა-ნაღველი, რაც გულში დაგროვებოდა.

— ნუ ღელავთ, გთხოვთ მიამბოთ, — ეუბნებოდა ექიმი.

8

ახალგაზრდა არესიანმა თავისი თავგადასავლის მოყოლა ასე დაიწყო:

„ბატონო ექიმო, სანამ ქალიშვილის ამბავს მოგითხრობთ, საჭიროდ მიმაჩნია გაგაცნოთ მისი მშობლები. მაშინ თქვენ უფრო ვაგიადვილდებათ სწორი დასკვნების გამოტანა თვით ქალიშვილის მდგომარეობაზე. იმისი მამა პოლიციის უბრალო მოხელე იყო. ქალაქის ერთ უღარიბეს მიყრუებულ უბანში უფროსის თანამდებობას ასრულებდა. მაშინ პოლიცია ორგანიზაციულად ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი იყო. ქალიშვილის მამამ, ამ გაიძვერა პოლიციელმა, თავისი თანამდებობის მონა-მორჩილმა, ათეული წლების მანძილზე საწყალ მოსახლეობას უკანასკნელი წვეთი სისხლი გამოსწოვა და ჯიბის ბარაქა გამოულია: თუ ქურდობა ხდებოდა, იმისი ხელიც ერია, თუ — არევ-დარევა — შიგ იყო გარეული, თუ ქალებს აუპატიურებდნენ—საძაგელ მოძალადეთა მხარე ეჭირა — ერთი სიტყვით, ყველა ბოროტმოქმედებაში იღებდა მონაწილეობას. სანამ ეს ყველაფერი მზის სინათლეზე გამოვიდოდა, ვიდრე გატანჯული ობლების და ქვრივ-ოხრების გულგამგმირავ ქვითინს და პროტესტს ყურადღებას მიაქცევდნენ, ამ ბატონმა, როგორც უბრალო ხალხი ამბობს, „ხიდი გადაიარა“. მართალია, პოლიციის მოხელეობაზე ბოლოს ხელი ააღებინეს, მაგრამ არაფერი დაკლებია—იმდენი ოქროები ჰქონდა დაგროვილი,—საწყალი ხალხის სისხლისა და ოფლის ნაყოფი, —სხვადასხვა ბანკებში დიდი პროცენტით დაგირავებული.

პოლიციის ფორმა რომ პატიოსანი სამოქალაქო ტანსაცმელით შეიცვალა, დიდი ფოდრათების აღება და ათასებში და ათიათასებში ცურვა დაიწყო... ქალაქის მთავარ უბანში საუკეთესო სახლ-კარი აიშენა, ცხენები, ეტლი შეიძინა და ფუფუნებაში ატარებდა თავის ცხოვრებას...

ისეთი ცოლი ჰყავდა, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მეუღლეს. ზოგჯერ ღმერთი საგულდაგულოდ შეახვედრებს ხოლმე ორ ადამიანს, რომლებიც ყველაფერში ერთიმეორეს ჰგვანან. ეს დედაკაცი ისეთი გავლენიანი იყო, რომ დიდ როლს თამაშობდა ადამიანების ბედისწერაზე. ასეთი ქალები, რომლებსაც ხელთ უპყრიათ გამოჩე-

ნილი თანამდებობის პირთა აღვირი, ყოველთვის ყოფილან და არიან ამა თუ იმ დიდი ცვლილებების მიზეზნი, და თითქოს საგანგებოდ ჩასაფრებულნი უდარაჯებენ ადამიანების ბედნიერებას თუ უბედურებას. ასეთი იყო ქალიშვილის დედაც. იგი ასრულებდა განსაცარი იდუმალი შუამავლის როლს არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ გამოჩენილი ოჯახების საქმეებშიც: ვისი ქალი თხოვდებოდა, რომელი ჭაბუკი აპირებდა ცოლის შერთვას, ყველა ამ საქმეებში ის აფათურებდა ხელს და ბარაქიანად იმკიდა სარგებელს.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ცოლ-ქმარი გულმხურვალე ქრისტიანებად ითვლებოდნენ, ხალხში მათ საპატიო სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი თავიანთი კეთილმორწმუნეობის გამო. ისინი არც კვირის მარხვას გასტეხდნენ და არც ოთხშაბათ-პარასკევისას. შვილები რომ ავად გაუხდებოდათ, „ხატისაგან არისო", — იტყოდნენ და მაშინვე სალოცავად მიჰყავდათ. საეკლესიო ყველა უქმე დღეს დიდი სიწმინდით ასრულებდნენ. ყოველ კვირა ეკლესიაში დადიოდნენ, რომ წირვა-ლოცვა მოესმინათ, მღვდელ-დიაკვნებს პატივსა სცემდნენ და უხვად ასაჩუქრებდნენ. ერთი სიტყვით, ამათ კეთილი ქრისტიანების ყველა გარეგნული თვისებები ჰქონდათ... სარწმუნოებისადმი მათი მხურვალე თაყვანისცემა იმით დაგვირგვინდა, რომ მათ თავიანთი ქალიშვილი მონოზნად აღკვეცეს.

სონა, ასეთია ავადმყოფის სახელი, ჯერ დაბადებულიც არ იყო. როცა მშობლებმა შეუთქვეს — თუ ვაჟიშვილი გვეყოლა, ბერად აღვკვეცავთო, ხოლო თუ ქალიშვილი დაიბადა—მონოზნად, დაე წმინდა ღვთისმშობელს ემსახუროსო.

ამ ზვარაკად შეწირვამ იქამდის გაუთქვა სახელი „მონაზონის" მშობლებს, რომ კაცი არ მოიძებნებოდა, მათზე მოწიწებით არ ელაპარაკა.

აი ასეთი ქრისტიანული ოჯახიდანაა გამოსული ის ქალიშვილი, რომლის თავგადასავალი იძულებული ვარ გიამბოთ თქვენ, პატივცემულო ექიმო. სონას ბავშვობა გაუტარებია მშობლების უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მას ბავშვობიდანვე მონოზნად ზრდიდნენ თურმე. ვიწრო ოჯახური, კარჩაკეტილი გარემო მისთვის ნამდვილ საპყრობილედ ქცეულა. თოთხმეტ წლამდე სასწავლებლის კარი არ ენახა, არც სახლში უსწავლებიათ. შემდეგ ოჯახში მასწავლებლად მოუწვევიათ ერთი ღარიბი სტუდენტი. იგი დათანხმებულა უმნიშვნელო ხელფასზე იმ მოსაზრებით, რომ იქნება ქალიშვილის მშობლების დახმარებით სამოქმედო ასპარეზი გამეხსნასო... ამ იმედით მოუხიბლავთ იგი... ეს წადი-

ლი მასწავლებელს არ აუსრულდა, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილი იყო თავისი თანამდებობით, რადგან იპოვა ისეთი გოგონა, რომელსაც ნიკოთან ერთად შეუდარებელი სილამაზე და ანგელოზისებური ხასიათი ჰქონდა.

მასწავლებელი ჩამოსული იყო ამ ქალაქში და მათ ოჯახში ცხოვრობდა. მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობდა. სულ მოკლე დროში ქალიშვილმა თავი ისახელა. მასწავლებელი ბუნებისმეტყველი იყო. იგი ცდილობდა თავისი მოწაფისათვის შთაენერგა ბუნების მოვლენების მეცნიერული ახსნა-განმარტება. ქალიშვილი მშობლიურ ენასაც კარგად ეუფლებოდა, ისე კარგად, რომ თავისუფლად წერდა, კითხულობდა, ნაფიქრ-ნააზრევს წესიერად გადმოსცემდა.

ასეთ კარჩაკეტილ ოჯახურ პირობებში გაველურებული გოგონა ნელ-ნელა თავისუფლების მოტრფიალე და გაბედული ქალიშვილი იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, მშობლები მას როგორც მონოზანს ისე ეპყრობოდნენ. მაგალითად, უშლიდნენ უდედოთ გარეთ სიარულს, ან სტუმრად მისვლას, უშლიდნენ აგრეთვე სასეირნოდ გასვლას, თავიანთ სტუმრებთანაც კი უშლიდნენ შეხვედრას, მეტადრე თუ სტუმრები ჭაბუკები იყვნენ ხოლმე. ასეთი მკაცრი მოპყრობა ისე აბოროტებდა ქალიშვილს, იმდენად აღიზიანებდა მის თავმოყვარეობას, რომ მუდამ დაღონებული იყო. ერთი სიტყვით. სონა მშობლიურ ოჯახში პატიმარი იყო. რის გამო დოენიადაგ სდუმდა სევდით გასავათებული. ხანდახან იმის შავ თვალებში ცრემლები გაელვებდა. ეს ცრემლები, ჩემი რწმენით, მკაცრი პროტესტი იყო ჩაგვრის წინააღმდეგ მშობლების მარწუხებში მოქცეული ქალიშვილისა".

დ

უკანასკნელ სიტყვებზე ახალგაზრდა არესიანი აღელდა, რის გამოც რამდენიმე წუთით შეწყვიტა თავისი მოთხრობა. ექიმმა მის თვალებში ცრემლი შენიშნა, ჭაბუკს ხმაც უკანკალებდა.

— პაპიროსი მოსწიეთ, გთხოვთ, — უთხრა ხორენიანმა და სიგარეტი მიაწოდა,—ალბათ დაიღალეთ.

არესიანმა ხმის ამოუღებლივ მოუკიდა სიგარეტს, რამდენჯერმე მოქაჩა და შემდეგ განაგრძო:

„წლები შეუმჩნეველად გარბოდნენ. ქალიშვილი დღითი დღე მოწიფული ხდებოდა... უფრო ლამაზდებოდა, სახე უმშვენიერდებოდა...

ცხრამეტი წლის სონა დედამ აგარაკზე წაიყვანა მასწავლებლის თანხლებით. მამა კი საქმეების გამო ქალაქში დარჩა.

აგარაკი ქალაქიდან ნახევარი დღის სავალზე იყო, მთებში, ტყით გარშემორტყმული. სონას მშობლებს მშვენიერი მდიდრული აგარაკი ჰქონდათ. სულ მოკლე ხანში ტყის სუფთა, გრილმა ჰაერმა გამოაცოცხლა ქალაქელები. სონას ფერმკრთალი ლოყები ვარდისფერი გაუხდა, დედის დამჭკნარ სახესაც სიცოცხლის ელფერი დაედო. დედა-შვილი ხშირად სეირნობდნენ ტყეში, ბაღში. ზოგჯერ დილით გამოსულნი საღამომდის რჩებოდნენ იქ. ამ წალკოტში ყოფნისას დედა წამით თვალიდან არ იშორებდა ქალიშვილს.

ერთ საღამოს, ის იყო მზემ ჩასვლა დაიწყო, რომ ქალიშვილის დედა ერთ ნაცნობთან მიიწვიეს ლოტოს სათამაშოდ. სონას წაყვანაც უნდოდა, მაგრამ მან უარი განუცხადა, თავის ტკივილი მოიმიზეზა. დედამ სახლში დატოვა ქალიშვილი და უბრძანა — დაწექი და დაიძინეო.

მათი სახლის ბაღში მცენარეების ცოცხალი ტოტებით გადმოხურული ფანჩატური იყო. ფანჩატურს გარშემო ფერად-ფერადი ყვავილების ბუჩქები ერტყა. ქალიშვილი მასწავლებლის თანხლებით ფანჩატურში ჩავიდა და მოახლეს უბრძანა ჩაი იქ მიერთმიათ.

მზე ნელ-ნელა იკრეფდა კალთებს, უკანასკნელ სხივებს აფრქვევდა ფანჩატურს და სონას სახეზე ათინათები თამაშობდნენ. ქალიშვილს შავი თვალები აღტაცებით უბრწყინავდა...

მასწავლებელი როგორც კი შეხედავდა ქალიშვილს, ეს უკანასკნელი თვალებს დახრიდა და ლაპარაკის დროს ხმაც აუთრთოლდებოდა ხოლმე. ეტყობოდა, გოგონას გულში შინაგანი ქარიშხალი ბორგავდა...

მალე საიდუმლოებას ფარდა აეხადა.

ხელსაყრელი პირობებით მასწავლებელს ერთ-ერთ სამაზრო სკოლაში შესთავაზეს მუშაობა. ამ ამბისათვის ყური მოეკრა ქალიშვილს და ახლა, დედის არყოფნის დროს, შესაფერი მომენტი იგდო ხელთ იმაზე მოსალაპარაკებლად, რაც აგრერიგად აღელვებდა მას.

— მართალია, რომ აგარაკიდან დაბრუნების შემდეგ წასვლას აპირებთ ჩვენგან? — ჰკითხა მან.

— დიახ, — გაუბედავი კილოთი უპასუხა მასწავლებელმა...

ქალიშვილს სახეზე აუხსნელმა კაშანმა გადაურბინა.

— და დიდხანს აღარ დაბრუნდებით? — გაიმეორა მან.

— არ ვიცი... შეიძლება არასოდეს აღარ დავბრუნდე, — უპასუხა სევდით მონისლულმა მასწავლებელმა.

ქალიშვილს თვალები ცეცხლივით წამოენთო.

— არა, ეგ შეუძლებელია, — შეჰყვირა მან, — მე ნებას არ მოგცემთ, რომ მოგვშორდეთ.

ეს სიტყვები ქალიშვილს ისე აღმოხდა, თითქოს გულის მთელი სითბო თან ამოაყოლაო.

— თქვენ მე საარსებო პურს დამიკარგავთ, სონა, — დასძინა მასწავლებელმა წამიერი ფიქრის შემდეგ, — ნუ გაიწყდებათ, რომ მე ღარიბი ვარ და დღევანდლამდე ჩემს მოწოდებაზე არ მიზრუნია.

ქალიშვილი მივიდა მასწავლებელთან, ხელი მოჰკიდა ხელზე.

— გთხოვთ, გემუდარებით, ნუ წახვალთ, — უთხრა მან და თვალთაგან მდუღარე ცრემლები ჩამოსცვივდა...

ორივენი დუმილმა მოიცვა...

ეს იყო ის იდუმალი წუთები, როცა ენა უძლურია სულიერ გრძნობათა გადმოცემაში და მხოლოდ გულებს შორის გაიბმება ხოლმე საუბრის უჩინარი ძაფი.

მზე რახანია ჩაფერფლილიყო, ფანჩატურში უკვე ბნელოდა, მაგრამ ამას ისინი ვერ ამჩნევდნენ.

უეცრად, თითქოს ელექტროდენმა დაჰკრაო, მასწავლებელი საბუკვარი ოცნებიდან გამოერკვა და იგრძნო, რომ ქალიშვილის ბაგენი მის ტუჩებს დასწებებოდა...

ე

ექიმი დაძაბული ყურადღებით უსმენდა ახალგაზრდას. უეცრად შეაწყვეტინა სიტყვა და უთხრა:

— მე არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეგ მასწავლებელი თქვენა ხართ. ასე არ არის, ბატონო?

ახალგაზრდა არესიანმა არაფერი უპასუხა, მაგრამ იმისი დუმილი ადასტურებდა, რომ ექიმის ვარაუდი სიმართლეს არ იყო მოკლებული.

— გთხოვთ, განაგრძოთ, — უთხრა ექიმმა და შეეცადა მეტად აღარ აეღელვებინა იგი.

ახალგაზრდამ განაგრძო:

— როცა გამოვეხიზლდი, ბატონო ექიმო, მაშინვე ვიგრძენი, რომ იმ ქალიშვილზე მე უხილავი ჯაჭვით გადაბმული ვიყავი, — სიყვარულის უხილავი ჯაჭვით, რომლის ყოველი რგოლი წლების მანძილზე გამოკვერილიყო მგზნებარე ცეცხლოვანი გულის ქურაში... რაკი სონას ვუყვარდი, სიხარულმა დამრია ხელი, ბედნიერად ვიგრძენი თავი.... მაზრაში წასვლის განზრახვაზე ხელი ავიღე, გადავწყვიტე სამუდამოდ დავრჩენილიყავი სონასთან და საზიარო ბედნიერე-

ბით დავმტკბარიყავი... მაგრამ რა ვიცოდი, ანდა წინასწარ რას მოვიფიქრებდი, თუ ჩვენს ზურგს უკან ეშმაკი იქნებოდა ჩასაფრებული, რომელიც ხაფანგს გვიგებდა და მალე ორივეს შიგ გაგვაბა-და...

აქ არესიანი კვლავ გაჩუმდა და პირქუში ღრუბელივით მოექუფრა სახე.

— ოჰ, სიყვარულო, სიყვარულო. უგუნურო სიყვარულო... — წამოიძახა მან, — რატომ გჩვევია სიტულელეებით თავშექცევა, როცა გამოუცდელი ადამიანის გულში აგიზგიზდები!..

— ფანჩატურში მომხდარი შემთხვევის შემდეგ, — განაგრძო არესიანმა, — მე რაღაც ბურუსში ვიმყოფებოდი. ძილი აღარ ეკარებოდა ჩემს თვალებს, მთელი დღე მოსვენება არა მქონდა.

ქალბატონი მუდამ გულცივად მეპყრობოდა. საერთოდ ბევრი ლაპარაკი უყვარდა, მაგრამ ახლა, თითქოს ენა ჩაუვარდაო, დამუნჯებული, დაღვრემილი და მუდამ მოწყენილი იყო. მაგრამ ამ დუმილში, მე ვგრძნობდი — რაღაც საშინელი საიდუმლოება იმალებოდა.

ქალიშვილის დედა ისეთი ქალბატონი გახლდათ, რომ იმისი რისხვისა შეუძლებელი იყო არ გშინებოდათ. რამდენიმე შემთხვევაჰ დამარწმუნა, საბაბი თუ მიეცემოდა, წარბშეუხრელად დასჯიდა უმოწყალოდ ყველას, ვინც იმის ნება-სურვილს წინ აღუდგებოდა...

მაგრამ ახალგაზრდობა, თავქარიანი ახალგაზრდობა მუდამ შორს დგას კეთილგონიერებისაგან... მეც აღარ მეყო მოთმინება და...

ქალიშვილს ძალიან უყვარდა მთვარიან ღამეში ტყის გულზე ხეტიალი. ერთ საღამოს მთხოვა ერთად გავსულიყავით სასეირნოდ აფორიაქებული ნერვების დასამშვიდებლად. მე სიამოვნებით მივიღე თხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გასეირნება უნდა მომხდარიყო დედამისისგან ფარულად.

წყნარი, მშვიდი, ნანატრი ღამე იყო. ვერცხლისფერი მთვარე ნაზად მისრიალებდა ცის თაღზე და თავის საამო სხივებს ისე აფრქვევდა მთვლემარე ტყეს, თითქოს საუკუნოვანი ხეების ბუმბერაზ ძილს მეტი სიტკბოება უნდა მიანიჭოსო.

სეირნობისას ქალიშვილი ხელგაყრილი მომდევდა, გამუდმებით ტიკტიკებდა, ენად იყო გაკრეფილი. იმისი ნაზი ჩურჩული ანგელოზის სუნთქვას მაგონებდა... ამასობაში ჩვენ კარგა მანძილი გაგვევლო, უღრან ტყეში შევსულიყავით. ქალიშვილი დაიღალა, ჯირკზე ჩამოჯდა, მეც ჩუმად გვერდით მივუჯექი.

მთვარის სხივთა ნაკადი ხეების ტოტებში იღვრებოდა, მიწამდე

ატანდა და იმის რძისფერ სინათლეზე ამ უწმინდეს იდუმალებაში ქალიშვილი ნამდვილ ტყის ფერიას ჰგავდა.

— რა ლამაზია აქაურობა, ოსეფ? — თქვა მან პოეტური აღგზნებით, — ნეტავი ამ ტყის წყვილი ირემი ვიყოთ და მუდამ ვცხოვრობდეთ ამ მთებში, ამ ქარაფებში, ამ ხეების მარადიულ დუმილში... ალბათ ისინი უფრო ბედნიერნი არიან აქ, ვიდრე ჩვენ მდიდრულად მორთულ სასახლეში... აქ, ამ ხეების უწმინდეს იდუმალებაში ალბათ დედები თავიანთ ბარტყებს არც სიყვარულს უშლიან, არც სიცილ-კისკისს, არც ცრემლს. ეს არის წმინდათა წმინდა ადგილი, ოსეფ, სადაც ღირს მუხლმოდრეკილმა გააღმერთო სიყვარული...

მე გაოგნებული ვიყავი, უფრო სწორად, იმდენად დაბნეული, — ერთი სიტყვაც კი ვერ ვიპოვე, რომ რაიმე მეპასუხა ჩემი შეყვარებულისათვის. თავი ჩარგული მქონდა იმის მკერდში და ხელებს ვუკოცნიდი.

ღამემ შეუმჩნევლად გაიარა. იმ ჯადოსნურ იდუმალებაში ჩვენ რამდენიმე საათი გავატარეთ, — სანუკვარი დრო, რომლის თვითეულ წამს სიცოცხლეს ვანაცვალებდი...

უეცრად ბუჩქებში ტანაცმლის მსუბუქი შარიშური გავიგონე.

— აქ რას აკეთებთ? — იკითხა ვიღაცამ.

ეს სონას დედის ხმა იყო... მეხი რომ ჩამოვარდნილიყო, ალბათ ისეთი შემზარავი არ იქნებოდა, როგორც იმ დედაკაცის ხმა.

ჩანდა ქალბატონი დიდხანს გვიგდებდა ყურს.

მე ადგილზე გავქვავდი. მაგრამ ქალიშვილმა მაინც იმარჯვა, ძალ-ღონე მოიკრიბა და დედას ფეხებში ჩაუვარდა, თან ცრემლმორეული ქვითინით ემუდარებოდა — დედი, ნუ გაგვიწყრები, მე ოსეფი მიყვარსო...

ქალბატონი ისე იყო ალეწილი და განრისხებული, რომ მხეცს ჰგავდა. მაგრამ მაინც თავი შეიკავა და გვიბრძანა სახლში წავსულიყავით.

ცისკიდური ახლად იყო შეწითლებული... ღამე იქ, ტყეში დაგვთენებოდა...

ქალიშვილი თავჩალუნული მიდიოდა სახლისკენ. მე მკლავში ხელის გაყრა ვეღარ გავბედე, თუმცა ვხედავდი, რომ საბრალოს უჭირდა სიარული, ძალიან მოქანცული იყო...

3

სექტემბრის უკანასკნელი კვირა ახლოვდებოდა. თანდათან აცივდა, ცა მოჭედილი იყო პირქუში ღრუბლებით, სცრიდა წვიმა.

ოგარაკზე ცხოვრებამ დაკარგა თავისი მიმზიდველობა.

ჩვენ ქალაქში დავბრუნდით.

მე დღენიადაგ ველოდებოდი, რომ ქალბატონი იმ შემთხვევის გამო ახსნა-განმარტებას მომთხოვდა, მაგრამ მუდამ სდუმდა და იმ იდუმალ სიჩუმეში შემაძრწუნებელი გაიძვერობა იმალებოდა თურმე. ვერაგობაში გამოქექილი დედაკაცი ამასობაში თურმე იარაღდებოდა ისეთი იარაღით, რომლითაც ერთბაშად დალუპავდა და მოსპობდა ჩვენს — მე და სონას — ბედნიერებას...

ქალბატონი იმდენად მომთმენი აღმოჩნდა, რომ თავის მეუღლესაც კი არაფერი უთხრა ჩემს და სონას ტრფიალზე. არც ჩვენ შეგვწევდა იმდენი გამბედაობა, რომ სონას მამისთვის ჩვენ შაინც გაგვენდო გულისნადები. აღარ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით! ამ ოჯახში ჩემი ცხოვრება დღითი-დღე აუტანელი ხდებოდა. მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი მასწავლებლობაზე უარის თქმა იყო. ამ ამბავმა ძალიან მძიმედ იმოქმედა სონაზე, მაგრამ რას ვიზამდით, როცა სხვა გამოსავალი არ არსებობდა! მე უნდა განვშორებოდი მას, უთუოდ უნდა განვშორებოდი, რომ დედამისის დაგებულ ხაფანგში არ გამეყო თავი...

რასაკვირველია, მე სონას არც დავიწყება შემეძლო და არც საბოლოოდ მიტოვება — ჩვენი სიცოცხლე თანაზიარი სიყვარულით იყო ერთმანეთზე გადაჯაჭვული, ოღონდ ყველაზე დიდი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ იმ დღიდან ვეღარ ვხვდებოდი ქალიშვილს, იმ ღამის შემდეგ მე ის თვალით აღარ მინახავს.

ერთმა კვირამ ისე გაიარა, სონასი არაფერი გამიგია. საშინლად ვღელავდი. ყოველ დღე ჩავუვლიდი ხოლმე იმ ფანჯარას, საიდანაც ქალიშვილს უყვარდა გადმოხედვა, მაგრამ ამაოდ, ის არა ჩანდა...

ჩემს გულში მწუხარება თანდათან მატულობდა, ერთ დღეს ამეკვიატა ფიქრი — სონა უთუოდ ავად არის-მეთქი, და ამაში ბოლოს ჩემი თავიც დავარწმუნე, მაგრამ მადლობა ღმერთს, ტყუილი აღმოჩნდა ნაფიქრი და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა იმისმა მოახლე გოგომ მომაკითხა. ჩემი პირველი შეკითხვა სონას ჯანმრთელობას ეხებოდა. მოახლე გოგომ პასუხის ნაცვლად წერილი გამომიწოდა. წერილის დანახვამ ისე გამახარა, რომ კინაღამ ტირილი დავიწყე. მოახლე გაშტერებული შემომცქეროდა.

მოუთმენლად გადავავლე თვალი წერილს სტრიქონებს. და შიშით ტანში გამცრა — სიხარულის ადგილი მწუხარებამ დაიკავა.

მე თან არა მაქვს ის სამწუხარო ამბის მაცნე წერილი, მაგრამ ყოველი სტრიქონი დღეგანდლამდე ზეპირად მახსოვს და არც არასოდეს დამავიწყდება...

ქალიშვილი ნაღველში ამოვლებული სიტყვებით მაცნობებდა იმ მწარე ხვედრს, რაც წილად ერგო ჩემთან დაშორების დღიდან. იგი მწერდა, რომ ჩემს გარდა ქვეყნად სხვა ნუგეში არ გააჩნია, უღრმესი გრძნობით მეფიცებოდა ერთგულებას და ბოლოს დასძენდა, ჩვენ საშინელი უბედურება მოგველის, რაც სამუდამოდ დაგვაშორებსო ერთმანეთს...

მე გული ჩამწყდა, მეგონა, ნაცარივით ჩავიფერფლე. უკანასკნელი სტრიქონების წაკითხვის დროს ხელები მომეკვეთა და წერილი ხელიდან გამივარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა, ცოტა არ იყოს, გონს მოვედი, კვლავ ავიღე წერილი, ხელმეორედ გადავიკითხე, გავიფიქრე, თვალები ხომ არ მატყუებენ, ანდა წასაკითხი სტრიქონები ხომ არ დამრჩა-მეთქი. მართლაც, წერილში რამდენიმე სტრიქონი გამომრჩენოდა. იმ სტრიქონების შინაარსს სიტყვა-სიტყვით გაგაცნობთ თქვენ, ბატონო ექიმო: „ამაღამ, — წერდა იგი, — თორმეტ საათზე გელოდები ჩემს ოთახში. მოდი და დამიხსენი. მსახური ქალი გაგიწევს მეგზურობას. ცოტა თუ დააგვიანე, ამაღამ თუ არ ვინახულეთ ერთმანეთი, იცოდე, სამუდამოდ დამკარგავ...“

შიშმა ცოტათი გამიარა იმ იმედით, რომ კვლავ უნდა შევხვედროდი სონას. მსახურს მოველაპარაკე, პირობა დავდეთ, დავთქვით ადგილი, საიდაც შევხვდებოდი და იგი წავიდა. მე მოუთმენლად ველოდი დანიშნულ დროს.

ზ

თორმეტს 15 წუთი უკლდა. სონას მსახური თავიანთ სახლის კუთხეში მელოდებოდა. ის გადაცმული იყო. კარების გასაღებებთან მოეტანა. ფეხაკრეფით წამიძღვა წინ. ამ კარ-მიდამოს ყველა კუნჭულს კარგად ვიცნობდი, სიბნელეში შეუცდომლად მივდიოდი. სონას საწოლ ოთახთან რომ მივედი, სრულიად მოულოდნელად მისი ნაზი მკლავების ტყვეობაში მოვექეცი, იგი კისერზე მომეხვია და გულში ჩამეკონა. თურმე კარებთან მელოდებოდა.

შიგნით შევედით. სონას საწოლი ოთახი მკრთალად იყო განათებული.

ენით ვერ გამოვთქვამ, ბატონო ექიმო, სიტყვებით ვერ აგიწერთ იმ უბედნიერეს წუთებს, როცა ერთხელ კიდევ ჩემს გულში ჩახუტებული ვიხილე ჩემი სატრფო. ხან ვტიროდით, ხან ვიცინოდით, მერე ისევ ცრემლებს ვღვრიდით, და ერთმანეთს ვკოცნიდით...

მთელი თვე არ მენახა სონა, ავად ყოფილიყო თურმე. იგი ისე, გამხდარიყო, რომ ლოგინიდან ახალწამომდგარს ჰგავდა.

— რა გულცივი ხარ, ოსეფ, — მისაყვედურა მან, — შენ სამუდამოდ დამკარგავდი, მე რომ არ მომეხმე.

ეს სიტყვები ისეთი მწუხარებით წარმოთქვა, რომ ცეცხლივით წამეკიდა გულზე და სული კინაღამ ამომხდა. ვუმზერდი მას, სახე მარმარილოსავით გაფითრებოდა, ხოლო ცრემლით სავსე თვალებში თითქოს სევდის ოკეანე ჩასდგომოდა...

მე საზიარო სიტყვებს ვერა ვპოულობდი, გაოგნებული ვუყურებდი და ნაზ ხელებს ჩემი თვალების ნაკურს ვაწვიმებდი.

— დრო ძვირფასია ჩვენთვის, ოსეფ. — იდუმალი სიჩუმე დაარღვია ქალიშვილმა, — სათქმელი ბევრი მაქვს, ჩვენს მდგომარეობაზე უნდა მოველაპარაკო.

ყურები დავცქვიტე, მოსასმენად მოვემზადე, ახლაც თვალწინ მიდგას სევდით დაბინდული იმისი სახე. სონამ გულის მომკვლელი ხმით მიამბო აგარაკიდან დაბრუნების მომდევნო ამბები:

— შენი წასვლის შემდეგ, — დაიწყო მან, — მამაჩემი და დედაჩემი ხშირად კამათობდნენ ერთმანეთში, ზოგჯერ კამათს მღელვარე ხასიათი ჰქონდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. ბოლოს მივხვდი, რომ ისინი უკვე შერიგდნენ. ეტყობოდა გამარჯვება მამაჩემისკენ იყო, რადგან იმ დღიდან შედარებით ეფრო ხალისრულ გუნებაზე ვხედავდი. მათი პაექრობის ამ საიდუმლოებას ფარდა აეხადა, როცა ერთხელ მამაჩემმა თავისთან მიმიხმო. დედაჩემიც ესწრებოდა. — სონა, — მომმართა მან მკაცრი კილოთი. — შენ იცი, რომ მიყვარხარ, როგორც საკუთარ მამას შეუძლია თავისი ღვიძლი შვილის სიყვარული, მაგრამ ამ სიყვარულზე უფრო მაღალია სიყვარული ღვთისადმი, რომელიც ჩემი, შენი და საერთოდ ყველას შემოქმედია. ამიტომ ღვთის წინაშე დაღებული დაპირების აღსრულება სხვა ყველა ადამიანურ მოვალეობაზე უწმინდესია. კარგად მომისმინე, სონა, მე იძულებული ვარ დღეს გაგანდო ერთი ოჯახური საიდუმლოება, რომელსაც აქამდე ვფარავდით. დედაშენი, როცა შენზედ იყო ფეხმძიმედ, მშობიარობის წინ ცუდად შეიქნა. ქალაქის ყველა ექიმები დავახვევ — ვერაფერი უშველეს. დედაშენი განწირული იყო. მხოლოდ უფლის იმედით ცოცხლობდა და დღენიადაგ ემუდარებოდა, შემწეობა გამიწიეო. ბოლოს აღთქმაც მისცა. თუ ვაჟიშვილი ეყოლებოდა, რომელიმე მონასტერში მიეყვანა და ბერად აღეკვეცა, ხოლო თუ ქალიშვილი — მონაზნად მიერთმია უფლისათვის, რომ იქ, ზეცაში ღვთისმშობლის მონა-მსახური გამხდარიყო. ეს აღთქმა მიიღო უფალმა და დედაშენმა მშვიდობიანად მოიმშობიარა. ახლა, ჩემო ძვირფასო შვილო, შეასრულე შენი შვილური მოვალეობა და დედაშენის სული იხსენი ამ მძიმე და დიდი პასუხისმგებლობისაგან.

— უკანასკნელი სიტყვების მოსმენის ძალა აღარ შემწევდა, — განავრძო ქალიშვილმა, — მაშინვე მამაჩემის წინაშე დავემხე, მუხლებზე შემოვეხვიე და ცრემლად ვიფრქვეოდი. ბევრს ეცადა მოვეშორებინე, ნუგეშის ცემაც დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. „მე შეყვარებული ვარ მამა, — ვუთხარი მას, — ეს გული მე არ მეკუთვნის, მე ოსეფი მიყვარს“-მეთქი.

— დედაჩემი, — განავრძო ქალიშვილმა, — ქვის ძეგლივით გარინდებული უყურებდა ამ სურათს, დედაშვილური სიყვარული თითქოს ჩამკვდარიყო მის გულში. აღარც მამაჩემმა შიაქცია ყურადღება ჩემს მუდარას, გოდებას და ცრემლებს, მასშიც, როგორც ეტყობა, განელდა მშობლიური გულის სითბო, ასევე — სინდისი, და როცა დარწმუნდა, რჩევა-დარიგება ამასთან არ გასჭრისო, პირდაპირ მიბრძანა: — დროა, შენ უნდა მონაზნად აღიკვეცო.

მე შეძრწუნებული ვუსმენდი სონას სიტყვებს და ვერ წარმომედგინა ასეთი ბარბაროსობა.

— ახლა რა გზას დავადგეთ, ძვირფასო, — შევეკითხე მას, როცა, ცოტა არ იყოს, გაუნელდა ის ტკივილები, რაც ამ ამბავს გამოეწვია მის გულში და დამშვიდდა.

— არ ვიცი, არაფერი მესმის, ოსეფ, გონზედ ვერ მოვსულვარ, თავს არ ვიცოცხლებ თუ მონაზვნად აღმკვეცეს. დამიხსენ, შენი ჭირიმე, — მემუდარებოდა ქალიშვილი და ცხარე ცრემლებს აფრქვევდა.

არც მე ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, იმის მამასთან რომ მივსულიყავი, ჩვენი სიყვარულის ამბავი გამენდო, მეთხოვა, მემუდარა ამ ბარბაროსულ გადაწყვეტილებაზე ხელი აეღო — შეუძლებელი იყო; ვიცოდი იმ კაცის სიმკაცრე. სონას დედასთან დამეწყო მოლაპარაკება, მისი გული როგორმე მომეგო, მეთხოვა, ასეთ საქმეს ნუ ჩაიდენთ-მეთქი — ესეც საეჭვო იყო. დიდიხნის ფიქრის შემდეგ სონას შევეკითხე:

— რა წინადადებასაც შემოგთავაზებ, მიიღებ?

— მივიღებ, მივიღებ, — მიპასუხა ღრმა რწმენით, მთელი არსებით — ოღონდ რაც შეიძლება მალე მითხარი, რასაც ფიქრობ, მალე მოიყვანე სისრულეში და როგორმე გადამარჩინე, თორემ ორშაბათს მონასტერში წამიყვანენ.

ორშაბათამდის ძალზე ცოტა დრო იყო დარჩენილი, ამიტომ ქალიშვილს მყის გავუზიარე განთავისუფლების უკანასკნელი და საბოლოო გზა: — ჩვენ უნდა გავიქცეთ, სხვა გამოსავალი არ დაგვრჩენია-მეთქი.

— გავიქცეთ. — გაიმეორა მან, — სადაც წახვალ, წამოგყვები, თუგინდ ქვეყნის კიდემდე...

უკანასკნელი სიტყვები ისე მგზნებარეთ წარმოთქვა, რომ იმის თვალებში შურისძიების ნაპერწკლები გამოკრთა. წარმოდგენაც არ შემეძლო, თუ სონა ისეთი გაბედული იქნებოდა, როგორც იმ წუთებში ჩანდა. ქალური სისუსტე და უნიათობა თითქოს დაჰკარგოდა, ის უღონო არსება როდი იყო, — არამედ დიადი გმირობით ფრთაშესხმული ქალი, რომელიც მზად იყო დაემსხვრია, დაეგლეჯა ის ბორკილები, რითაც შებოჭილი იყო ოჯახური თავისუფლება და უფლებები.

ასე დამთავრდა ჩვენ შორის მოლაპარაკება. დავთქვით დღე, საათი, როცა სისრულეში უნდა მოგვეყვანა განზრახვა და გათენებისას დავშორდით ერთმანეთს.

მაგრამ ჩვენ ძალიან გულუბრყვილონი აღმოვჩნდით, გაქცევა ვერ მოვახერხეთ — იმავე ღამეს ვილაცეებმა გაგვთქვეს, ჩვენი საიდუმლოება სონას მშობლებს გააგებინეს და დანიშნულ დღეს ქალიშვილი მონაზვნად აღკვეცეს. რაც შემდგომ მოხდა, ის თქვენც იცით, ბატონო ექიმო...

თ

ახალგაზრდამ დაამთავრა მოყოლა. ექიმმა, რომელიც აქამდე გულდასმით უსმენდა, ხელი ჩაავლო არესიანს მკლავში და უთხრა: — უღრმესი მადლობა, ბატონო, თქვენი ნაამბობისათვის. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მომხდარა. მაგრამ ჩემთვის მაინც გაუგებარია მთავარი მიზეზი მშობლების მიერ თავიანთი ქალიშვილის მონაზვნად აღკვეცისა. ნუთუ მიზეზი მხოლოდ ის აღთქმაა, რომელიც ღვთისთვის მიუცია დედამისს? თუ სხვა რაიმე რწმენითაც ხელმძღვანელობდნენ?

— დიახ, აღთქმა, სონა მაგ აღთქმის მსხვერპლია. იცით, ბატონო ექიმო, როგორ ბრმად ერწმუნებიან რელიგიურ აღთქმას ისეთი ფანატიკოსები, როგორიც სონას მშობლები არიან! თქვენ უკვე წარმოდგენა გაქვთ მათ ბინძურ წარსულზე, იცოდეთ, აწმყოც ამ სიბინძურით არის გაჟღენთილი. ასეა თუ ისე, მათ ხალხი, საზოგადოება კეთილმორწმუნე ქრისტიანებად თვლის, კეთილსინდისიერი ადამიანები ჰგონიათ და არაფრად დაგიდევენ, თუ ეკენი ძარცვავენ, იტაცებენ, თუ მათი თვითეული ვერცხლი ობლების და ღარიბი ხალხის სისხლით და ცრემლით არის სავსე. ეს დანაშაულებანი არა ჩანს, მათ კეთილმორწმუნეობის ყალბი პირბადე აფარიათ. ისინი უკანასკნელ კაპიკს ჰგლეჯენ საწყალ ადამიანს და ამით სანთლებს უნთებენ წმინდანებს, ლუკმაპურს სტაცებენ ხელიდან მშივრებს და იმით ფლვდელ-დიაკვნებს ასუქებენ. ისინი ტყუილ ფიცს სდებენ, მლიქვ-

ნელობენ, ჭორაობენ, ილანძღებიან, წყევლა-კრულვით იკლებენ ქვეყანას და იმავე ბაგეებით ღვთის წინაშე ისე უტიფრად ლოცულობენ, რომ გულში იოტის ოდენა სინანულს არა გრძნობენ. ეს იმიტომ, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მათთვის ჩვეულებრივი ამბავია, მათ შორის თითქოს განსხვავებას არა ხედავენ, თითქოს ორივე ერთი იყოს.

— მაგრამ ნუთუ ისინი ასეთი უსულგულო აღმოჩნდნენ თავიანთი ქალიშვილის მიმართაც? მხეცები რომ მხეცებია, იმათაც უყვართ თავიანთი შვილები, — სიტყვა შეაწყვეტინა არესიანს ექიმმა.

— ექიმო, სომხის ოჯახში ქალიშვილს საკუთარი ნებისყოფა, გრძნობები და უფლებები არა აქვს, — საკუთარი „მეობა“ არ გააჩნია, — ის მთელი არსებით მშობლებს ეკუთვნის. უფრო უარესი სურათია იმ შემთხვევაში, როცა საკითხი რელიგიურ ფანატიზმს ეხება.

ქალიშვილების მონაზნად აღკვეცა — ეს ისეთივე ძალმომრეობაა, ისეთივე ძალადობა, როგორც პირუტყვის მსხვერპლად შეწირვა ამა თუ იმ წმინდანის სახელზე. კარგად მოგეხსენებათ, რომ საცოდავი პირუტყვის ამაზრზენი ბღავილი პატრონს ხელს ვერ ააღებინებს თავის ჩანაფიქრზე, — სიბრალულის გრძნობას ვერ უღვიძებს გულში, მეტადრე მაშინ, როცა ასეთ საქციელს მთელი ბრბო თანაგრძნობით ტაშს უკრავს...

— ყველაფერს მივხვდი, — უპასუხა ექიმმა თავის კანტურით, — მაშასადამე, ეგ ქალიშვილი შემაძრწუნებელი მსხვერპლია, რომელიც გულქვა მამას თავისი ცრუმორწმუნეობისათვის საჩუქრად გაუღია...

— დიახ, სწორედ ასე გახლავთ, ყველაფერს მიხვდით, ბატონო ექიმო, — გაიმეორა არესიანმა, — მაგრამ მთელ ქვეყანაზე უბედურთა შორის ყველაზე დაწყევლილი მე ვიქნები, თუ ქალიშვილს რაიმე დაემართა.

— ახლა მაგაზე უნდა ვიფიქროთ სერიოზულად, — ჩაილაპარაკა ექიმმა, საათს დახედა და ფეხზე წამოდგა, — ჯერ თორმეტი არ არის, შეგიძლიათ ავადმყოფის მამის სახლამდის მიმაცილოთ? — მიმართა არესიანს.

— სიამოვნებით.— მიუგო ახალგაზრდამ.

— მაშ. წავიდეთ.

მალე ეტლი ერთი დიდი სახლის წინ გაჩერდა. ექიმმა ჭაბუკი ეტლში დატოვა, თვითონ მივიდა კარებთან და ზარი ჩამორეკა. კარი გაიღო, ექიმი სახლში მიიწვიეს. ლამაზად, მდიდრულად მორთული

დარბაზები გაიარა, სანამ სახლის პატრონის კაბინეტამდე მიაღწევ-და. ქალიშვილის მამა მაგიდას უჯდა და საანგარიშო დავთრებს ათვალიერებდა. სტუმრის დანახვაზე ველური სახე ყალბმა ღიმილ-მა გაუნათა. იგი წამოდგა და სტუმარს ზრდილობიანად შეესთავაზა სკამი.

ამ ველური კაცის გარეგნობა ასეთი იყო: ძალზე მსუქანი, გულ-მოდგინებით გაპარსული გამობერილი ლოყები ჰქონდა, დიდრონ-ნაკეცებად ლაშვით ჩამოკიდებული გამოწეულ ყვრიმალებზე. უზარმაზარი ცხვირი, როგორიც ჩვეულებრივ აქვთ სომხებს, თავის საპატიო ალაგზე აღმართულიყო, გაჭაღარავებულ ულვაშებს თალ-ვით ადგა და ლურჯ-ნაცრისფერ ტუჩებს უფარავდა. შავ თვალებში მბეცური ცეცხლი უგიზგიზებდა. საერთოდ, მთელი პირისახე შავ-ყვითლად ჰქონდა ალანძული, რაც მის გამომეტყველებას უფრო-საშიშ იერს აძლევდა, ხოლო შუბლი ვერაგობის ბეჭდით იყო დაღდასმული.

ექიმმა გააცნო თავის თავი. უამბო როდის და რა მდგომარეო-ბაში ნახა დედათა მონასტერში მათი ქალიშვილი, დაწვრილებით აუწერა ავადმყოფის ჯანმრთელობის ავ-კარგი და უთხრა, თუ საჭიროდ დახმარებას არ აღმოუჩენთ, თქვენს შვილს დაღუპვა მოელისო. ბოლოს მოუყვა იმ ისტორიას, რომელიც არესიანმა-უამბო.

ავადმყოფის მამა გულგრილად უსმენდა, ხშირად ხელებს იფ-შვნეტდა. ზოგჯერ სახე რაღაც უსიამოვნოდ მოექუფრებოდა, რაც. შინაგან ნერვიულობას ამჟღავნებდა...

ექიმმა თავისი სათქმელი ასე დააბოლოვა:

— მე, როგორც ექიმს, ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია გა-მოგიცხადოთ, პატივცემულო ბატონო, რომ დაუყოვნებლივ გამოი-ყვანოთ თქვენი ქალიშვილი მონასტრიდან, მოიყვანოთ სახლში, სა-დაც, ვიმედოვნებ, გამოჯანმრთელდება, და შემდეგ მიათხოვოთ თა-ვის შეყვარებულ ვაჟს.

ავადმყოფის მამა რამდენიმე წუთს გარინდებული იჯდა, მაგრამ მისი სახე არაფერს ამბობდა... მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა გულშიჩამწვდომი ამაღელვებელი სიტყვებით დაუსურათა ქალი-შვილის მდგომარეობა, — მამის თვალებს ერთი ცრემლიც კი არ გადმოუღვრია, სიბრალულის ნიშანწყალიც არ გაჭკარებია ცივ, გაყინულ სახეზე.

— ეს შეუძლებელია, — წარმოთქვა ბოლოს მამამ მოგუდული ხმით, — განგების ნების წინააღმდეგ ვინ წავა? უფალს თუ გადა-წყვეტილი აქვს ჩემი ქალიშვილის სიკვდილი, წინ ვინ აღუდგება!

იმისი დღეები თუ დათვლილი არ არის, ჩვენი მზრუნველობის გარეშეც იცოცხლებს.

საკვირველი საქმეა. ასეთი მხეცი, რომელსაც ღვთაებასა და ცაურ სასუფეველზე არასოდეს არ უფიქრია ცხოვრებაში, უცბად ფატალისტად გადაიქცა. ავადმყოფის მამამ ისეთი გულმოდგინებით წარმოთქვა თავისი სიტყვები, რომ გზადაგზა რამდენჯერმე თავაზდაუნებურად პირჯვარიც კი გამოისახა. დესპოტების ნიშანთვისებაა — თავიანთი ბარბაროსობა რელიგიური პირბადით შენიღბონ და სინდისის ქენჯნა კი უფლისადმი, ანდა ბედისწერისადმი ბრმა მორჩილებით დაიმშვიდონ.

ამისი მსგავსნი, ჩვენდა სავალალოდ, ძალზე ბევრნი იყვნენ ჩვენში, მათ კარგად იცნობდა ექიმი, ამიტომ თავი ვეღარ შეიკავა და პირდაპირ მიახალა:

— მაშასადამე, გინდათ თქვენი ქალიშვილის სიკვდილი?

— იმისი სიკვდილ-სიცოცხლე ღვთის ხელშია, — იყო პასუხი უფრო გულგრილად.

— მხეცო, — წამოიყვირა ექიმმა და ფეხზე წამოდგა, — შენში ჩამკვდარია ადამიანური შებრალების გრძნობაც და მამაშვილური სიყვარულიც. მე კი, როგორც ექიმი, უფლებამოსილი ვარ დავიხსნა იგი იმ სასაკლაოდან და ასეც მოვიქცევი.

ექიმი წავიდა. ავადმყოფის მამამ კი სავსებით დამშვიდებული სინდისით განაგრძო საანგარიშო წიგნების დათვალიერება...

ი

ექიმი რომ დაბრუნდა ეტლში, არესიანი მოუთმენლად შეეკითხა:

— გაიმარჯვეთ თუ არა?..

მაგრამ ხორენიანს შეატყო სულიერი მღელვარება და ყველაფერს მიხვდა. ექიმმა მეეტლეს უბრძანა ცხენები გაერეკა.

რამდენიმე წუთში ისინი უკვე მონასტრის ჭიშკართან იდგნენ. დაუკითხავად შევიდნენ შიგნით და პირდაპირ ავადმყოფის სენაკისაკენ გაწიეს. სენაკში ოდნავ ბეუტავდა ჭრაქი. ავადმყოფის სარეცელთან ერთი ძალზე მობუცი მონაზონი თვლემდა.

ექიმი ქალიშვილთან მივიდა. სიცხეს დაეწია. ავადმყოფი მარმარილოსავით ცივი იყო. ოდნავ სუნთქავდა. გამხდარი გულმკერდი შეუმჩნევლად აუდ-ჩაუდიოდა.

ახალგაზრდა არესიანმა რომ ოდესღაც კეკლუცი, ამჟამად კი ასე ჩაფერფლილი და გამხდარი სატრფო დაინახა, შეკრთა, თვალთ დაუბნელდა, მუხლები აუცახცახდა. — ღმერთო ჩემო, — წამოიძა-

ხა მან, და შეუვარებულის მკერდზე უხმოდ დაემხო. ექიმი შეეცადა - როგორმე მოეშორებინა, რომ ქალიშვილი არ შეწუხებულიყო, მაგრამ ამაოდ, ვერ შესძლო.

ავადმყოფმა მისუსტებული თვალები გაახილა და იცნო იგი.

„ოჰ, ოსეფ-ჯან“, — წამოიძახა მან, და დასუსტებული მკლავებით მოეხვია კისერზე. არესიანს დიდხანს ედო თავი ქალიშვილის მკერდზე და ფიქრები ჯარასავით უტრიალებდა. „ოჰ, ოსეფ-ჯან, — გაიმეორა ქალიშვილმა, — გამათავისუფლე, წამიყვანე აქედან...“

ქალიშვილი დადუმდა, იდუმალმა სიჩუმემ დაისადგურა... ჭრაქმა უკანასკნელად გაიელვა და ჩაქრა...

ექიმმა ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა და სევდიანი ხმით თქვა:

— მორჩა, გათავდა...

და გაუბედურებული ჭაბუკი ძლივს ააწყვიტა ქალიშვილის უსულო სხეულს.

ექიმმა არესიანი ეტლში ჩაისვა. ეტლი დაიძრა.

— ოჰ, სონა-ჯან, სონა-ჯან, მელოდე, მე გაგათავისუფლებ... — - წარამარა იმეორებდა არესიანი გზადაგზა.

საცოდავი ჭაბუკი ბოდავდა...

.უბედური რიფსიმე

ა

გაზაფხულის გრილი და მშვენიერი დილა იყო.

ახლად ამოსული მზე მარგალიტივით გაფანტულ დილის ცვარს დაჰქათქათებდა. სოფელ ტ...ს ერდოებიდან კვამლი გველივით მიიკლაკნებოდა ლურჯი ცის დასალიერში.

მართა, ხელმარჯვე დიასახლისი, ახლად ანთებულ თონეს შორიახლო მისჯდომოდა, ხელში ციცხვი ეჭირა და კერძების ხარშვას თვალყურს ადევნებდა. რძალი — ჯავაჰირი — პეპელასავით მსუბუქად დასტრიალებდა დედამთილს და იმის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა, ხოლო ლამაზი რიფსიმე, დიასახლისის ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი ტახტს ასუფთავებდა.

უეცრად მართას მეუღლე მაჰტესი ჰაკო შემოვიდა. რიფსიმემ და ჯავაჰირმა დაამთავრეს თავიანთი საქმე, პირველი წალოს უკან კუთხეში მიჯდა და ხელსაქმე დაიწყო, მეორე კი გავიდა რომ ქათმებისათვის საკენკი დაეყარა.

მაჰტესი ჰაკოს სახე გულში ჩაბუდებულ სიხარულს ვერ მალავდა.

— გაიხარე, მართა, — უთხრა ცოლს და ახლოს მივიდა, — გინდა ხეირი-ხაბარი გითხრა?

— რა საბარი? — შეეკითხა მართა ღიმილით.

— მელიქს გულში ჰქონია ჩვენს რიფსიმეზე ჯვარის დაწერა. მართას სახეზე გაოცება დაეტყო და უთხრა:

— არა მგონია, რომ აქლემი ჩვენს ვიწრო კარებში შემოეტიოს, ანდა მელიქისთანა დიდი კაცი ჩვენ დაგვესიძოს.

მაჰტესი ჰაკო თავისი ნათქვამის დასაბუთებას მოჰყვა.

— ჩვენი ტერ-კირაკოსასი გჯერა? — შეეკითხა იგი.

— მჯერა, ის წმინდა კაცია, ყოველ ღამე შვიდ თავ სახარებასა კითხულობს, — უპასუხა მეუღლემ.

— აი სწორედ იმან მითხრა.

მართას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— ახლა მიდი და იქეიფე, მართა-ჯან, მელიქისთანა სიძე გყავს... იცი რა დიდი კაცია, მართა... იმდენი ფული აქვს, რომ კაცი დათვლას ვერ აუვა... — მიუგო აღფრთოვანებულმა მაჰტესი ჰაკომ.

— მაგრამ ჩვენ რომ ღარიბები ვართ, —სიტყვა მოუჭრა მართამ.

— მართალია, ჩვენ ღარიბები ვართ, მაგრამ ღმერთს ჩვენთვის ლამაზი რიფსიმე მოუცია, რომელიც მდიდარ სიძეს შეგვძენს... და ალბათ ჩვენც გავმდიდრდებით...

ბ

სწორედ ამ დროს მაჰტესი ჰაკოს შვილმა — სტეფანემ — შემოუსწრო. მშობლებმა მასაც მიახარეს. სტეფანემ დედ-მამის სიხარული არ გაიზიარა და ცივად მიუგო:

— მე ვიცი, ეგ არ მოხერხდება, რიფსიმე მელიქს არ შეიყვარებს, იმას სხვა უყვარს...

— ვინ? — გაბრაზებით შეეკითხა მამა.

— ეღოს შვილი ალექსანი.

— ვაი ჩემს დასამიწებელ თავს!.. — აღმოხდა მართას.

მაჰტესი ჰაკომ თვალები ცეცხლივით დააკვესა და რამდენადაც შეეძლო ძალუმად დაიღრიალა:

— ეღოს ბიჭიო!.. ვინ? ის ლოთი ბიჭი?.. სახლში საჭმელი პური არ გააჩნიათ... თუ რიფსიმეს მართლა ეგ აქვს გულში, ცოცხალს არ გავუშვებ...

მამის სიტყვებმა სტეფანეზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა — მას დაც უყვარდა და ალექსანიც და ისიც კარგად იცოდა, თუ რა გატაცებით ეტრფოდა ქალ-ვაჟი ერთმანეთს. ამიტომ დინჯად მიუგო:

— რათა ბრაზობ, მამაჩემო? „გოვულ სავან გორჩაკ ოლურ“,[1] —

[1] გულით შეყვარებული მუდამ ლამაზია.

ამბობს თურქული ანდაზა. ალექსანი ლოთი არ არის, პირიქით, ძალ-ზე მხნე, შრომისმოყვარე და მხიარული ბიჭია. მართალია, იმდენი ფული არა აქვს, რამდენიც მელიქს, მაგრამ ახალგაზრდაა, დღე და ღამეს გაასწორებს, ცოლს კი კარგად შეინახავს.

— ის მელიქის სახლ-კარის ერდოს ძაღლადაც არ გამოდგება, — სიტყვა მოუჭრა გულმოსულმა მაჰტესი ჰაკომ შვილს.

— მელიქ აღა როგორ უნდა გავცვალოთ ერთ გიადაზე?[2] —-ჩაეერია მართა.

— ვინ არის ეგ მელიქი? — ოდნავ ხმა აიმაღლა სტეფანემ. — რა ვუყოთ, რომ ბევრი ფული აქვს! იცით, რომ იგი სამოცი წლის გადაღრძუებული ქოფაკია?.. რიფსიმეს იმ ოჯახში იმისი ობლების დედობა მოუწევს...

— ბიჭო, ჭკუა რად გამოგლეკია? — განაგრძო მაჰტესი ჰაკომ, — რა სისულელეებსა როშავ: მელიქის ვინაობა რაში გვეკითხება, ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ იმისთანა კაცი სიძედ გვეყოლება... ბევრ ბაშლიღს ავიღებთ, სოფლის საქმეებში დაგვეხმარება, ზურგს გაგვიმაგრებს, სოფლელებს ჩვენი შეეშინდებათ, ვეღარ გაბედავენ ჩვენი ნათესებიდან წყლის გადაგდებას, ხანიც ბევრ ხარკს არ მოგვთხოვს, ერთი სიტყვით, ჩვენი მფარველი ანგელოზი იქნება...

სტეფანემ არაფერი უთხრა, ხელი ჩაიქნია და გარეთ გავიდა ბუტბუტით: — „მე ვიცი რითაც დაბოლოვდება ეს საქმე“...

8

ამ ლაპარაკის დროს რიფსიმე წალოს უკან იყო დამალული, ყველაფერი ესმოდა. მამა რომ სახლიდან გავიდა, რიფსიმეც გამოვიდა.

— ეგ რა დაგმართვია, გოგო? თვალები დაგწითლებია, — შეეკითხა დედა.

— არაფერია, დედა, ცოტა თავი მტკივა,— მიუგო ქალიშვილმა საბრალო ხმით.

— სახეზე ცრემლები ჯერაც არ შეგშრობია. ალბათ, იტირე, შვილო, არა?

— არა, დედი, თავი მტკივა..

ქალიშვილს მეტი აღარაფერი უთქვამს, კოკა შეიდგა მხარზე და წყლის მოსატანად წავიდა.

დედა მარტო დარჩა.

— ქალო, ჯავაჰირ, — გასძახა რძალს.

რძალი მაშინვე ეახლა დედამთილს, სახეზე წითელი ლეჩაქი ჰქონდა ჩამოფარებული, რომლის ბოლო წელამდე სცემდა.

---

[2] გიადა — ხეპრე.

დედამთილმა უთხრა:

— რძალო, მელიქს ფიქრად ჰქონია ჩვენი რიფსიმეს ცოლად შერთვა. დღეს გოგო სხვანაირად მეჩვენა, გულში რაღაც უნდა ჰქონდეს დამალული, მაგრამ შერცხვა, არ გამიმხილა. შენ კი, არა მგონია დაგიმალოს. ალაპარაკე, გამოსტეხე, ყველაფერი გაიგე და შემატყობინე.

რძალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— სადაც არის წყაროდან დაბრუნდება, — განაგრძო მართამ, — მე ნათლიაანთა გადავალ, შენ ალაპარაკე.

მართამ თითისტარი აიღო და ძაფის რთვით გარეთ გავიდა.

გზაზე ნათლიდედა შუშანი შემოეყარა.

— მომილოცნია, — უთხრა სიცილით, — ამბობენ, რიფსიმეს ბედი გაესსნაო, მართალია? წმინდა კარაპეტს, მართა, მაღალ ღმერთს დიდი მოწყალება მოუღიათ თქვენზე...

— ღმერთმა შენს მარიამსაც აღირსოს ეგ ბედნიერება, — მიუგო მართამ.

— ეხლა ხომ გკერა, მართა-ჯან, როგორ ახდა ჩემი სიზმარი. ამ რამდენიმე დღის წინათ არ იყო, რომ გეუბნებოდი, სიზმარში ვნახე, თქვენ სახლს წითელი და მწვანე ფერის კაშკაშა სარტყელი შემოვლებოდა-მეთქი. ეგ კაშკაშა სარტყელი მელიქი იყო...

— დიდება იმის მადლს, — მიუგო მართამ და პირჯვარი გადისახა, — ყოვლისშემძლე უფალმა შეიცოდა ჩვენი ღარიბი ოჯახი...

ასე სარწმუნოებამორეული გრძნობებით მათ განაგრძეს თავიანთი საუბარი და გეზი აიღეს ნათლიაანთ სახლისაკენ, ვიდრე რიფსიმე წყაროდან დაბრუნდებოდა.

დ

— გაიგე, რიფსიმე? — უთხრა ჯავაჰირმა, — ჩვენს მელიქს შენზე უნდა დაიწეროს ჯვარი.

— არა, ჯავაჰირ, წყალში გადავვარდები თავს ჩამოვისრჩობ, იმას არასოდეს არ გავყვები, — აცრემლებული თვალებით მიუგო რიფსიმემ.

— გოგო, ხომ არ გაგიჟდი! მელიქისთანა კაცმა გიკადრა, შენზე ჯვარი უნდა დაიწეროს, და შენ უარზე ხარ? ეგ სადაური ჭკუაა?

ქალიშვილი უფრო გაფითრდა, დაღონდა და ასე უპასუხა:

— არა, ჯავაჰირ, არა და არა, მე იმას არ გავყვები...

— აი მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე, შე სულელო შენა, — ქოქოლა დააყარა ჯავაჰირმა და სიტყვა შეაწყვეტინა, — იცი რა ტანისამოსს გიყიდის, როგორ მოგრთავს, როგორ გაცხოვრებს?

— ოქროსა და ვერცხლში რომ ჩამსვას, მაინც ვერ შევიყვარებ იმას.

— ერთი ამ სულელს დამიხედეთ, რაებსა როშავს! — ისევ გული მოუვიდა ჯავაჰირს. — ალბათ გულში რაღაც დარდი გაქვს, თორემ...

ქალიშვილი გაწითლდა.

— არაფერი დარდი არა მაქვს, — ხმამაღლა მიუგო რიფსიმემ.

— არა კი არა და გაქვს. მაშ... შენ ალექსანი გიყვარს, — სიტყვა მოუჭრა რძალმა.

ქალიშვილი უფრო აღელდა.

— აბა თქვი თუ ეგრე არ არის? თქვი რაღა! — გაუმეორა ჯავაჰირმა.

— მე გათხოვებას არა ვფიქრობ, — თავაზიანად უპასუხა რიფსიმემ.

— ალბათ მონაზნად გინდა აღიკვეცო?

— მე ვიცი...

— აი, მეხი კი დაგაყარე მაგ სულელ თავზე!.. მამა და დედა მელიქს რომ მიგათხოვებენ, მაშინ რაღას იზამ?..

ქალიშვილის თვალებში სიბრაზის ნაპერწკლებმა გაიელვა. მან წამოიძახა:

— თავს ჩამოვიხრჩობ...

— წავიდე დედაშენს ვუთხრა, — მუქარის კილოზე მიახალა რძალმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალიშვილი, ცოტა არ იყოს, მოლბა, ხელი დაუჭირა ჯავაჰირს და შეევედრა:

— ჩემო ჯავაჰირ, შენი ჭირიმე, გემუდარები არაფერი უთხრა დედას, თორემ მამაჩემმა თუ გაიგო, ცოცხალს არ გამიშვებს... დედას კი, ისე, საუბარში ჩაუკარი, რომ რიფსიმეს დაფიცებული აქვს ოც წლამდე არ გათხოვდეს-თქო... უთხრი დედას, მოიცადონ... მელიქს ჯერ ნუ მიმცემენ...

ქალიშვილის თვალებში ცრემლები რომ დაინახა, ჯავაჰირს შეებრალა მული, იგრძნო იმისი გულის დარდები, გულში ჩაიკრა და უთხრა:

— ჩემო რიფსიმე, გავიგე შენი გულის წადილი... დამშვიდდი, დედაშენს არაფერს არ ვეტყვი...

10

გაიარა ერთმა კვირამ.

უკვე კარგა დაღამებული იყო. ერთი ყმაწვილკაცი, მხარზე ბარგადებული, მინდვრიდან ბრუნდებოდა. გვარიანად მოქანცული ჩანდა. მაგრამ სახე მაინც სიხარულით უბრწყინავდა.

იგი ორღობეში მოდიოდა, რომელიც ბაღ-ვენახებშუა მიიკლაკნებოდა. სოფელში გრილი საღამო წვებოდა. ჭაბუკი გუნებაგახსნილი ჩანდა და ტკბილ სიმღერას ღიღინებდა:

ჩემი ოცნება ის არის —
მქონდეს ლამაზი ბაღია,
შიგ ბულბულები გალობდნენ,
შიგ ყვავილები მღეროდნენ.
იქ ჩემი გულის მურაზი
შველივით დანავარდობდეს —
იმის სიტურფის შემყურეს
ნეტავი რა დამაღონებს!...

ჭაბუკმა დაამთავრა თავისი სიმღერა. ბაღის ღობესთან გაჩერდა, ბარი მიაყუდა, ვეფხვივით ისკუპა, ღობეს გადაეცლო და ბაღში ამოყო თავი.

„ყოველ საღამოს აქ ვხვდებოდით მე და ჩემი ანგელოზი“... — თავისთვის ჩაილაპარაკა და ბაღის სიღრმეს გაუყვა. დიდხანს იხეტიალა, მაგრამ თავისი შეყვარებული ვერსად ნახა — გულდაწყვეტილი გამობრუნდა უკან.

სოფელში შესულმა ჭაბუკმა მაჰტესი ჰაკოს სახლს წინ ჩაუარა და გაკვირვებამ მოიცვა, როცა იქიდან სიმღერისა და მხიარული შეძახილების ხმა შემოესმა.

— რა ამბავია? — შეეკითხა იგი მაჰტესი ჰაკოს შვილს — სტეფანეს, რომელიც სწორედ ამ დროს საიდანღაც გაჩნდა.

— გაიგე, ალექსან? ჩვენს რიფსიმეს ნიშნავენ — დარდიანად მიუგო სტეფანემ.

თითქოს მეხი დაეცაო, ისე იმოქმედა ამ ამბავმა ჭაბუკზე.

— ვისზე? — შეეკითხა იგი.

— მელიქ აღაზე.

ჭაბუკი აენთო.

— ქვეყანას დავანგრევ, ყველა მელიქების სახლ-კარს გავანადგურებ, ვის შეუძლია ჩემი რიფსიმე წამართვას?..

— ცდები, ალექსან, სადგისზე ხელის დაკვრა არ შეიძლება... — თავის ქნევით უპასუხა სტეფანემ. — შენ არხეინად იყავი — სანამ ცოცხალი ვარ, ეგ საქმე არ მოხდება.

მაგრამ ალექსანმა არ დაუჯერა სტეფანეს, გაშმაგებული ლომივით მიიჭრა სახლში, იარაღი აისხა და სწორედ იმ დროს გაჩნდა შუა სოფელში, როცა მელიქს ნიშნობა დაემთავრებინა და თავის მხლებლებთან ერთად ჩირაღდნებით მაჰტესი ჰაკოს სახლიდან თავის სახლში ბრუნდებოდა.

— ჰეი, ჭოფაკო, შენ მართმევ შეყვარებულს?.. უეცრად დაიღრიალა ალექსანმა.

— ვინ არის ეგ ოხერი?.. ახლავე შეიპყარით, ეგ ძაღლის ლეკვი... — დაიყვირა აღელვებულმა მელიქმა.

ჰაერში მახვილმა გაიელვა და მელიქმა თავში მაგარი დარტყმა იგრძნო.

მხლებლები მისცვივდნენ აღას, ჩირაღდნები ჩაქრა.. და ყველაფერი შთაინთქა დენთის კვამლში...

3

გაიარა რამდენიმე თვემ.

ბნელი ციხის დილეგში ჭაბუკი იჯდა. იქ გატარებულ დღეებს თავის კვალი დაეჩნიათ ყმაწვილ კაცზე, საწყალი დამდხარიყო, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო. სახეზე მკვდრის ფერი გადაჰკრვოდა, გამოლამებულ თვალებში სევდის ზღვა ჩასდგომოდა, ეტყობოდა, ერთიანად გაეთანგა გულის იარებს..

„ციხევ, — ბუტბუტებდა ჭაბუკი, — მოგიკვდა ამშენებელი, რა საზარელი რამა ხარ... ცოცხლად ჩაგიკეტივარ სამარეში... დღენიადაგ მტანჯავ, მაგრამ მაინც გულიდან არ მაშორებ ფიქრს რიფსიმეზე... ოჰ, ნეტავი სიკვდილს რაღად დავავიწყდი, რომ ერთხელ მოვრჩე და დავისვენო...“

ტყვემ თავი მიდო ნამჯაზე, გაირინდა.

უეცრად სინათლემ გაიელვა დილეგის კართან.

ვიღაცა, შავ პალტოში შეფუთნული, ჭრაქით ხელში, ციხის კიბეებზე ჩამოდიოდა.

მან შეაღო დილეგის კარი, მიუახლოვდა მიწაზე ჩაძინებულ ჭაბუკს, სევდიანად დახედა სახეზე და წარმოთქვა:

— ჯერ კიდევ ცოცხალია...

და მოეხვია.

ჭაბუკი გამოფხიზლდა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა გაოგნებულ პატიმარს, — ამას რას ვხედავ?.. ნუთუ სიზმარია...

— ალექსან, ჩემო სულის დგმავ, — ხმა გაიღო მოსულმა.

— სტეფანე, ჩემო ანგელოზო, — უპასუხა ჭაბუკმა და ერთმანეთს მოეხვივნენ.

წამით მდუმარებამ დაისადგურა დილეგში, გაოცებისაგან პატიმარი კრინტს ვერა სძრავდა.

— როგორ, როგორ მოახერხე აქ შემოსვლა, ჩემო მეგობარო, — ცოტა გონს მოსვლის შემდეგ შეეკითხა ალექსანი.

— დარაჯი მოვისყიდე, იმის დახმარებით მოვაღწიე შენამდე, — აუხსნა სტეფანემ და გვერდით მოუჯდა პატიმარს.

— მოხვედი ჩემი უბედურების სანახავად?..

— არა, ალექსან, მე მოვედი შენს გასანთავისუფლებლად, შენი უბედურების მიზეზი ხომ ჩემი და — რიფსიმეა.

— არა, სტეფანე, ჩემო ძვირფასო, ნუ გაკიცხავ მას, რიფსიმეს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, იგი უმანკო, ციური არსებაა. იგი ერთგულია... თავისი სიტყვის ბატონ-პატრონი... მას უანგაროდ ვუყვარდი მე... მეც მიყვარდა იგი... მაგრამ შენი მშობლების ძალადობამ დაგვაშორა ერთმანეთს.

— შენ ჩემი დარიგება ყურად არ იღე.

— სიყვარულს, ჩემო მეგობარო, ადამიანი გაცოფებამდე მიჰყავს... მინდოდა იარაღით მომესპო ის საზიზღარი, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიე...

— ეგ ყველაფერი წასული ამბავია, ალექსან, ახლა ყურადღებით მომისმინე, მე ერთ-ერთი დარაჯი მოვისყიდე, შემპირდა. რომ ხვალ ღამით გაგანთავისუფლებს. მე და რიფსიმე დიდ კოშკთან მოგელოდებით. დარაჯი მოგიყვანს ჩვენთან. მერე კი უცხო ქვეყანაში გავიქცევით.

ალექსანს დაღვრემილი სახე გაუბრწყინდა, იგი მოეხვია სტეფანეს და წამოიძახა:

— ჩემო ანგელოზო, ჩემო მხსნელო.

— კმარა, მაგვიანდება, ხვალ ღამით ერთმანეთს კვლავ შევხვდებით. — ისინი ერთმანეთს გაშორდნენ.

ზ

დილეგში რომ ასე საუბრობდნენ, ამ დროს კიბეზე გაჩერებული ერთი კაცი ეშმაკივით აკრულიყო კედელზე და ყველაფერს ისმენდა. დილეგიდან სტეფანეს გამოსვლისას იგი ჩრდილივით გასრიალდა და ღამის წყვდიადში გაუჩინარდა. რამდენიმე საათის შემდეგ იგი მელიქთან გამოცხადდა და ყველაფერი აცნობა.

მელიქ აღას მხეცური სახე აელეწა, გაშმაგებისაგან დორბლები ჰყარა და უბრძანა საჩქაროდ მოერთმიათ საწერ-კალამი და ქაღალდი.

— მე შენ გაჩვენებ როგორ უნდა გაქცევა, — წარმოთქვა მან და წერილის წერას შეუდგა:

„დიდად პატივცემულო ხანო!

წერილთან ერთად გიგზავნით თქვენს კუთვნილ ას ოქროს ეშ-

რეფს. მხოლოდ იმ პირობით, რომ ამაღამვე სიცოცხლე მოუსპოთ იმ სომეხ ჭაბუკს, თქვენს ციხეში რომ იმყოფება“. წერილი დაბეჭდა, ასი ოქრო მსახურს გადასცა და უბრძანა დაუყოვნებლივ მიეტანა ხანისათვის.

ამ წუთებში ექიდნური ღიმილი უთამაშებდა მელიქს გაბრტყელებულ საშინელ სახეზე.

„არა, ნეტა ერთი მაცოდინა ვის ეთამაშებიან ეგენი?.. — ფიქრობდა უზომოდ კმაყოფილი, — მთელი მაზრის სომხები ჩემს წინაშე შიშით ცახცახებენ... ხანის ძალაუფლება ჩემს ხელშია... რასაც მინდა, იმას ჩაიდენ... ჩემთან ხუმრობას ძვირად დავუსვამ...“

შემდეგ ფიქრები რიფსიმეზე გადაიტანა.

„აჰ, რიფსიმე, რატომ არ გიყვარვარ?.. სულ მალე შენს ვიგინდარას იმ ქვეყნად გავამგზავრებ... მაშინ ხომ ძალაუნებურად შემიყვარებ!.. დიახ, შემიყვარებ და ახალგაზრდული სიცოცხლით ამავსებ“.

უკანასკნელმა ფიქრმა მოხუცი მიჯნურის გულში ჩაფერფლილი ვნებანი გამოაცოცხლა. მან ტაში შემოჰკრა და თავის მოურავს მოუხმო.

თვალის დახამხამებაზე მის წინაშე გაჩნდა დაბალი კაცი, რომელსაც სევდიანი სახე ჰქონდა.

— მარტო, — უბრძანა მას, — ხვალ დილიდანვე ქორწილის სამზადისს შეუდექით.

— ჯერ ბევრი რამ გვაკლია, ჩემო ბატონო, — მიუგო ხელქვეითმა.

— არა უშავს. გააკეთე ის, რასაც გეუბნები.

— ბატონი ბრძანდებით, აღა, — მიუგო მოურავმა, თავი დაუკრა და გავიდა.

მოურავის წასვლის შემდეგ მელიქი ისევ თავის საფიქრალს მიეცა. „ახლა თავს კარგადა ვგრძნობ, მთელი სამი თვე ჩამაწვინა იმ საზიზღარმა მახვილმა. მაგრამ ჩანს უფალმა შემიწყნარა, გადავრჩი. ის კი არ გადამირჩება, არა... ამაღამ მას ჯალათი ხარივით გამოსჭრის ყელს...“

თ

გათენდა.

სოფელს დილიდანვე მოეფინა ზურნა-დოლის ხმა. სოფლელები მხიარულ გუნებაზე იყვნენ. შვიდი დღე და ღამე ქორწილი უნდა ყოფილიყო.

— რა ბედნიერება ეწია მაჰტესი ჰაკოს, — ჩურჩულებდნენ გლეხები ერთმანეთში. — მელიქისთანა სიძე იშოვა, ამბობენ ორმოცდაათი თუმანი ბაშლიკი, ერთი ულელი ხარი, წყვილი კამეჩი

მიუცია მაგ გოგოში აღას. მალე ჰაკოს საკუთარი გუთნეული ეყოლება, მოხნავს, დათესავს, მომკის და იცხოვრებს....

— ეგეც ღვთის კურთხევაა, ძმაო მარტიროს, — სიტყვა მოუჭრა მეორემ, — კაცს რომ ბედი ეწევა, ყველაფერი მოვა, თუ ბედმა უმტყუნა — ყველაფერი წავა...

— მაგრამ განა ეგეც კარგია, რომ ერთი გოგოს გულისთვის ამდენი სისხლი დაიღვარა? — ჩაერია მესამე.

— შე მამაცხონებულო, მერე ჩვენ რა? — უპასუხა ერთმა ჯუჯა კაცმა, — ეგ ქორწილი რომ არა, აბა შვიდი დღე და ღამე ვინ გვაპმევდა და გვასმევდა მაძღრისად.

— ეგ მართალია, — მიუგო ახალგაზრდა გლეხმა, — მაკრამ, იცით რა ბიჭი იყო ალექსანი?.. მთელი სოფლის თვალი და ლაზათი. ყოჩაღი, გამბედავი, მშვენიერი მომღერალი, კარგი მუშა, ყველასათვის თავდადებული, ახლა კი, ის საცოდავი, ციხეში ლპება...

— კაცს რაც შუბლზე აწერია, ის უნდა გადახდეს, — ჭაბუკს სიტყვა მოუჭრა ხანდაზმულმა გლეხმა. — ღვთის საქმეების გარჩევა ჩვენ არ გვეკითხება. სად ჩვენ და სად მაგეებზე ბჭობა!..

გლეხები გაჩუმდნენ, რადგან მეზურნეები და აუარება ხალხი ცეკვა-თამაშით და მხიარული შეძახილებით მიუახლოვდა მაჰტესი ჰაკოს სახლს.

მოსაუბრენიც შეუერთდნენ ამ ჯგუფს და ამათაც მელიქის ხალხთან ერთად მაჰტესი ჰაკოს სახლისაკენ გაესწიეს.

ი

იმავე ღამეს მაჰტესი ჰაკოს სახლი ხალხით იყო სავსე. აქ თავი მოეყარა ყველა ნათესავ-მოკეთეებს, მეგობრებს, ჭამდნენ, სვამდნენ, ღრეობდნენ. მხოლოდ ერთი ადამიანი იჯდა დაღონებული. ეს რიფსიმე იყო. იგი მარტოდმარტო ჩამომჯდარიყო ტახტზე ერთ პატარა ოთახში და ცხარე ცრემლები ნიაღვარივით ჩამოსდიოდა ფერმკრთალ ლოყებზე.

ოთახში ჯავაჰირი შევიდა, ხელში ინის ჭურჭელი ეჭირა. რძლის დანახვაზე ქალიშვილმა მყის შეიმშრალა ცრემლები.

— გოგო, რიფსიმე, წარბები რას დაგიშვია? რა მოგივიდა? — შეეკითხა ივი.

— არაფერია, ჯავაჰირ, არა ვარ გუნებაზე, თავბრუ მეხვევა... — სევდიანად მიუგო ქალიშვილმა.

— თვალიც გამოგეყლეტია, შე სულელო, მთელი სოფელი შენი ქორწილით ხარობს და შენ კი იძახი — გუნებაზე არა ვარო.

— მე რა ექნა, თუ გულს არ ემსიჯრულება!..

ჯავაჰირმა აინუნში არ ჩააგდო მისი სიტყვები, ქალიშვილს ხელი ჩასჭიდა და ხმამაღლა შესძახა:

— რაო, კიდევ გესტუმრენ ეშმაკები!.. აბა, ბევრს ნუ როშავ, ადექ, ინა მოვიტანე, ხელებზე და თმებზე უნდა წაგცხო.

ქალიშვილმა უარი განაცხადა.

— არა, ჯავაჰირ, ამაღამ არ მინდა, გეხვეწები, ამაღამ არ მინდა — ისევ ისე სევდიანი ხმით მიუგო რიფსიმემ.

— გოგო, გაგიჟებულხარ, რაებს ამბობ? მძახლიანთგან მოტანილი ინაა.

— საიდანაც გინდა იყოს, სულ ერთია, არ შემიძლია...

— წავიდე დედაშენს ვუთხრა? — დაემუქრა ჯავაჰირი.

— არა, ჯავაჰირ, ნუ ეტყვი, გევედრები, ამაღამ არ მინდა.

ჯავაჰირმა შეატყო, ქალიშვილი ძალიან უგუნებოდ იყო და შეეცოდა.

— საცოდავი გოგო, — ვიცი შენი დარდი... — ჩაილაპარაკა და გავიდა.

Კ

შუაღამეს რა ხანია გადაცილებული იყო, როცა მაჰტესი ჰაკოს ოჯახიდან მოქეიფე ხალხი გამოიშალა და თავთავის სახლებისაკენ გასწია. ჭრაქები ჩააქრეს, შინ დარჩენილებმა ძილს მისცეს თავი.

რიფსიმეს თვალს ძილი არ ეკარებოდა. იგი მოუთმენლად ელოდა ვიღაცას. უცბად მასთან ოთახში იმისი ძმა სტეფანე შევიდა.

—აბა მალე, რიფსიმე, დროს ნუ ვკარგავთ, წავიდეთ, — უთხრა მან და დას ხელი მოკიდა.

რიფსიმემ უკანასკნელად მოავლო თვალი მშობლიურ კერას, ყრუდ აქვითინდა და ძმასთან ერთად სახლიდან გამოვიდა.

ეს ის დათქმული იდუმალი ღამე იყო, როცა ციხის დარაჯს უნდა გაეთავისუფლებინა ალექსანი..

ისინი მივიდნენ იმ კოშკთან, რომლის ქვესკნელში იჯდა რიფსიმეს საყვარელი ჭაბუკი.

მოუთმენლად ელოდებოდნენ დარაჯისა და ალექსანის გამოცხადებას, მაგრამ უეცრად ბინდბუნდში მარტო დარაჯი გამოჩნდა.

— სად არის ალექსანი? — შეეკითხნენ ისინი.

— აგერ, მიაქვთ, — და დარაჯმა ხელი გაიშვირა წყვდიადში. შორიახლო ორ კაცს რაღაც მიჰქონდა.

ახლოს მივიღნენ, მაგრამ ვაი იმ მისვლას — მთლად სისხლში მოსვრილი მიცვალებული დაინახეს...

ქალიშვილმა შეჰკივლა და ძირს დაეცა...

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ, ტანისამოსშემოფლეთილი, ნახევრად შიშველი, თმებგაწეწილი ერთი გოგონა მინდორ-მინდორ დარბოდა. სტეფანე ცდილობდა დაეჭირა იგი, მაგრამ ვერ ახერხებდა. გოგონამ ირბინა, ირბინა და ბოლოს ახლად მიწადაყრილ საფლავზე დაემხო იქ იმისი უბედური ალექსანი იყო ჩამარხული.

ეს გოგონა უბედური რიფსიმე გახლდათ. საცოდავი, ჭკუაზე შეშლილიყო.

ერთი ქცევა მიწა

სოფლებით მოფენილ უკიდეგანო ველზე, თვალწარმტაცი მწვანე ტყის მახლობლად ცაში ამაყად აზიდულიყო უზარმაზარი ციხე-კოშკი, რომლის მინარეთები და გალავნის წვერწამახული ქონგურები მისი მფლობელის რაინდულ სიდიადეზე მეტყველებდნენ.

ეს ციხე-კოშკი, თავისი მარმარილოს შადრევნებით, ფერადფერადი შუშით შემინული ოთახებით, მარადმწვანე მცენარეულობით და ყვავილნარებით შემოკავებული სკვერებით, აშკარად ღაღადებდა, რომ იგი სპარსული გემოვნებით იყო მორთულ-მოკაზმული.

კოშკი რიზა-ბეგს ეკუთვნოდა.

კოშკის შორიახლო სოფელი მდებარეობდა. ამ სოფლის სომეხი ქალები და გოგონები აქ დილაადრიან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ხოლმე ბაღების გასასუფთავებლად სარეველა ბალახებისაგან. კოშკის მფლობელი ჭაბუკი თავადი ხშირად ოხუნჯობის ხასიათზე იყო და ამხიარულებდა ხოლმე გოგონებს.

ერთ დილას ქალები ჩვეულებრივ მუშაობდნენ. უეცრად გამოჩნდა რიზა-ბეგი. მან შემოიარა ბაღის მიდამოები და ბოლოს იმ კვალს მიუახლოვდა, სადაც მარტო ერთი ახალგაზრდა ქალი მუშაობდა.

— ვისი ცოლი ხარ? — ტკბილად შეეკითხა ბეგი.

— თქვენი მსახურის, მარტიროსის მეუღლე გახლავართ, — უპასუხა ქალმა და სახე წამოუწითლდა.

— ასე ცუდად რად გაცვია?

— ღარიბის სამოსი ასეთია, ბატონო ჩემო.

— აჰა, გამომართვი, შენთვის ტანსაცმელი იყიდე, — უთხრა ბეგმა და რამდენიმე ოქროს ფული გაუწოდა.

სონა — ასე ერქვა ქალს — შეცბა.

— აიღე ეს ოქროები, — გაუმეორა ბეგმა.

— ახალი ტანისამოსი რად მინდა, ბატონო ჩემო, როცა დღენიადაგ მუშაობაში სული მძვრება, — უპასუხა სონამ და ოქროებს თვალი აარიდა.

— ვუბრძანებ სამუშაოზე აღარ გამოგიყვანონ, შეგიქმნი პიროებებს, ქალბატონივით იცხოვრებ.

— მე არ შემიძლია ჩემ კაცს არ დავეხმარო.

— მაგ საქმიდანაც გაგანთავისუფლებ.

ქალმა არაფერი უპასუხა.

— ოქროებს არა ღებულობ?

— არ შემიძლია.

— რატომ?

— ისე, არ შემიძლია.

* * *

სონა და მისი მეუღლე მარტიროსი უღარიბეს გლეხებად ითვლებოდნენ. მათი მთელი სიმდიდრე იყო ორიოდე თხა, რომელთა რძით იკვებებოდნენ, ერთი ჯარა, რაზედაც სონა ბამბას ართავდა გასაყიდად და ერთი ბარი, რომელსაც მარტიროსი მხარზე გაიდებდა ხოლმე, ყოველ დილა სოფელში გავიდოდა, და კისერგადაგდებული მანამდე ყურყუტობდა, ვიდრე ვინმე რამდენიმე აბაზად მინდორში წაიყვანდა მთელი დღე სამუშაოდ.

მიუხედავად ასეთი მწარე ხვედრისა და აუტანელი შრომისა, ისინი მაინც თავს ბედნიერად თვლიდნენ, როცა საშუალება ჰქონდათ თავიანთ ქოხში დაძინებისა.

ასეთი ბედნიერება კი იშვიათი იყო ხოლმე.

ერთ დღეს რიზა-ბეგმა, მამის სიკვდილის დღიდან ციხე-კოშკის მფლობელმა და მთელი ქონების ბატონ-პატრონმა, მარტიროსი თავისთან დაიბარა.

საწყალ გლეხს შიშისაგან სული ეხუთებოდა, ვიდრე რიზა-ბეგთან მივიდოდა, მაგრამ როცა ბეგის სახეზე ღიმილი შენიშნა, ცოტა

არ იყოს, გული მიეცა, დამშვიდდა, შორიახლო გაჩერდა და მდაბლად დაუკრა თავი.

— რა საქმიანობას ეწევი, მარტიროს? — შეეკითხა რიზა-ბეგი.

— ეჰ, აღა-ჯან, ღარიბი კაცის საქმე აბა რა იქნება, შენი მუხლების ჭირიმე! დილიდან საღამომდე ვჩალიჩობ და აღებული კაპიკებით გამაქვს თავი, — უპასუხა გლეხმა და ისევ თავი დაუკრა.

— მარტიროს, შენ ჯანღონით სავსე კაცი ხარ, უნდა გქონდეს საკუთარი კავი და დღიური მიწა, რომ იმის დამუშავებით იცხოვრო.

მარტიროსმა მოკრძალებით დახარა თავი და მიუგო:

— მე ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი ვარ, აღა, შენი კვნესამე.

— ტუტუცო, — გლეხს ამაყად მოუჭრა სიტყვა რიზა-ბეგმა, — ჩემს ხელქვეით სომხებიდან ვინ არის მდიდარი? მაგრამ მე ვაძლევ მათ მიწას, თესლს, ხვნა-თესვისათვის საჭირო იარაღს და ამით იოლად მიდიან.

— თქვენ მუდამ მოწყალე ხართ თქვენი მონების მიმართ, ბატონო ჩემო.

— შენც ამ მიზნით დაგიბარე. ვიცი, ხელგამრჯე კაცი ხარ, არ მინდა, ხელმოკლედ იცხოვრო, წადი მოურავთან, ნაბრძანები მაქვს, მოგცენ ყველაფერი, რაც საჭიროა ხვნა-თესვისათვის.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, აღა-ჯან! დაე, მე მომაკლოს დღე და თქვენ დაგიმატოს, — მიუგო გლეხმა და მადლიერებით აღსავსე გამოვიდა ბეგის კოშკიდან.

* * *

გაზაფხულის პირი იყო. მინდვრიდან კი უკვე მოისმოდა მარტიროსის სიმღერა. გლეხი თავის ერთდღიურს ხნავდა.

რამდენიმე კვირამ გაიარა. ნათესი აღმოცენდა, ამწვანდა, ზრდაში წავიდა. მაგრამ მასთან ერთად შეუმჩნევლად იზრდებოდა აგრეთვე პროცენტები, ხანის შვილისთვის მიცემულ ვალის ხელწერილზე.

ზაფხული მიიწურა, დადგა შემოდგომა. მარტიროსმა ყანა მომკა, გალეწა, სუფთა ხორბლის ხვავი დადგა კალოზე. გლეხი თვალებგაბრწყინებული შეჰყურებდა თავის დოვლათ-ბარაქას და ფიქრადაც არ გაუტარებია, რომ ეს ხორბალი მას არ ეკუთვნოდა.

გამოცხადდა მემამულის აგენტი, ხორბალი აწყო. მეათედი მიწის საფასურში აიღო, ნაწილი სამდივნოს გადასახადში, ნაწილი — თესლის ნაცვლად, ნაწილი — ვალის პროცენტებში და კალოზე დარჩა იმდენი ხორბალი, რაც გაზაფხულამდე არ გასწვდებოდა ოჯახს. საცოდავი გლეხი გულგატეხილი დაბრუნდა სახლში.

— ასე დაღონებული რათა ხარ? — შეეკითხა მეუღლე.

— ისე, რაღაც უქეიფოდა ვარ... — უპასუხა მარტიროსმა.

— სთქვი, რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ?

— ეჰ, მეტი რაღა უნდა დამემართოს, მთელი წელიწადი წელში გავწყდი, გავტყავდი, მაგრამ ბოლოს ისევ ცარიელ-ტარიელზე დავრჩით.

და მარტიროსმა უამბო ცოლს, თუ როგორ გაძარცვეს იგი.

— ვალი კი გადაიხადე? — შეეკითხა ცოლი.

— ვალი ისევ ისე დარჩა, როგორც იყო, — მიუგო მარტიროსმა და ღრმად ამოიოხრა.

— ახლა რას ფიქრობ?

—ვნახოთ, იქნება მერმის მომიმართოს ღმერთმა ხელი, ვიმუშავებ და გადავიხდი.

გაიარა რამდენიმე გაზაფხულმა, რამდენიმე შემოდგომამ.

სოფლის პირას იდგა სონა, პატარა ბავშვით ხელში, და თვალცრემლიანი, ქმარს აცილებდა უცხო მხარეს.

— წავალ სონა, ქვეყნებს შემოვივლი, მშიერ-მწყურვალი ვივალი, ფულს შევაგროვებ, მოვალ, შენც და ბავშვსაც გაგანთავისუფლებთ მოვალისაგან, — უთხრა საბრალო გლეხმა, შვილს ლოყაზე აკოცა და გასწია უცხო ქვეყნებში ფულის საშოვნელად.

* * *

ბნელი ღამე იყო.

მარტოდმარტო იჯდა დაღონებული სონა თავის ქოხში და ძმას — ყაზარს ელოდებოდა; რომელიც ყოველ ღამე მოდიოდა დასაძინებლად, რომ და მარტო არ ყოფილიყო.

— ოჰ, ნეტა რა დაემართა, რად იგვიანებს? ასე არასოდეს არ დაუგვიანია... — მოუთმენლად თქვა ქალმა.

ამ დროს რამდენიმე შავი ლანდი მოჩვენებასავით ტრიალებდა სონას ქოხის ირგვლივ.

— ჰეი, ჯაფარ, — ხმადაბლა მიმართა ერთმა ლანდმა მეორეს, — შენ სომსური იცი, მიდი დაუკაკუნე, უთხარი — ყაზარა ვარ-თქო, იმ სულძაღლის ხმას მიბაძე, ხრამში რომ გადავაგდეთ.

ჯაფარი ქოხისკენ წავიდა.

— თქვენ კი, აპპას, ნასირ, — უთხრა იგივე ხმამ, — კარებში ჩადექით, უდარაჯეთ, თუ ვინმე მოვიდეს, ხანჯლებით გაუმასპინძლდით.

სონას კარების კაკუნი მოესმა. ქალს ტანში გასცრა.

— ვინა ხართ? —გასძახა სონამ.

— გააღე, — ყაზარის ხმის მიმგვანებით იყო პასუხი.

სონამ სიხარულით გააღო კარი, მაგრამ ადგილზე გაქვავდა, როცა ქოხში თავით-ფეხებამდის შავ ნაბადში გახვეული უცნობი შეამოვიდა. მან ნაბადი გვერდზე მოისროლა და ქალმა იცნო რიზა-ბეგი.

— სონა, მე იმედი მაქვს, რომ წინდახედულობას ეამოიჩენ და კეთილ მასპინძლობას გაუწევ შენს ღამის სტუმარს, — უთხრა ქალს.

შიშისაგან სონა მთელი სხეულით ცახცახებდა, მაგრამ მაინც არ დაიბნა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და უპასუხა:

— თქვენ რა გესაქმებათ ასე გვიან მარტოდ დარჩენილ უპატრონო ქალთან?

რიზა-ბეგი ახლოს მივიდა სონასთან.

— სიყვარულმა, სონა, სიყვარულმა მომიყვანა, იცი რა არის სიყვარული? მან არ იცის დრო და მანძილი...

— სიყვარულმა... — გაიმეორე ქალმა მრისხანედ, — სიყვარულმა მოგიყვანა იმ ქალთან, რომელსაც მთელი არსებით სძულხარ?

— მე... შენ... გძულვარ?.. რა საბაბი გაქვს ამ სიძულვილისა?

— საბაბი ბევრია... შენ მოატყუე ჩემი ქმარი და ვალებში გახვიე, შენ აიძულე საცოდავი, რომ უპატრონოდ მიეტოვებინა მშიერ-ძწყურვალი ცოლ-შვილი და უცხო ქვეყანაში გახიზნულიყო სამუშაოდ.

— ეგ ყველაფერი შენი სიყვარულისთვის ჩავიდინე... ჩავიდინე იმიტომ, რომ ის შენგან მომეშორებინა...

—მომაშორე ის, ვისაც არასოდეს არ დავივიწყებ?..

რიზა-ბეგმა აღარ აცალა ლაპარაკი, მივარდა და ქალი მკერდზე მიიკრა, მაგრამ სონამ დრო იხელთა, მარჯვედ ამოაძრო ხანჯალი ქარქაშიდან, რომელიც ღამის სტუმარს ეკიდა ქამარზე და შიგ გულში გაუყარა.

ბეგი მიწაზე გაიშხლართა. სონა არ დაიბნა, აკვანთან მიიჭრა, სწრაფად ამოიყვანა აკვნიდან ჩვილი ბავშვი, შალში შეფუთნა, ქოხის უკანა კარიდან გავიდა და ღამის წყვდიადში გაუჩინარდა.

* * *

ვიწრო ხეობაში გაწოლილ წყვდიადს მარტოდმარტო ქალი ჩიარღვევდა და მეზობელი სოფლისაკენ გარბოდა.

პატარა ბავშვი, რომელიც გულზე ჰყავდა მიხუტებული, გულამოსკვნით ტიროდა.

ხევის ბოლოს მთის ფერდობზე სინათლე ციმციმებდა. ქალმა პირდაპირ იქით აიღო გეზი.

— მადლობა ღმერთს, მოვედი, — თქვა მან, მიუახლოვდა ქოხს და დააკაკუნა.

კარები მოხუცმა კაცმა გაუღო.

ჭრაქის სინათლეზე მოულოდნელი სტუმარი რომ იცნო, შეშფოთებულმა ჰკითხა:

— სონა, შენა ხარ?..

— მე ვარ, — მიუგო ქალმა და ქოხში შევიდა.

მოხუცი სონას მამა იყო. ორიოდე წუთში მთელმა ოჯახმა გაიღვიძა და სონას გარშემოერტყნენ იმის გასაგებად, თუ რამ მოიყვანა ასე გვიან.

— სიახლი... — წამოიძახა შეძრწუნებულმა მამამ.

— დიახ, მე კაცი მოვკალი, — მიუგო სონამ.

ამ დროს ქოხში შემოცვივდნენ რიზა-ბეგის დამქაშები და ყველანი დაატყვევეს.

— დავიღუპეთ!.. — ერთხმად აღმოხდა ყველას.

ბიბი-შარაბანი

თეირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქალაქიდან ორი ფარსახის მოშორებით, მიმოსვლით არც თუ ძალიან დატკეპნილ გზას მგზავრი შეჰყავს ერთ კარგა მოზრდილ უდაბნოში, რომელიც კედლებით არის შემოფარგლული. აზიური ქალაქების მზერას მიჩვეულ თვალს პირველ დანახვაზე ჰგონია, რომ იგი მაღალი გალავნის კედლებში ჩაჭედილ ჯადოსნურ ქალაქს უახლოვდება, რომლის მინარეთების, კოშკების და სხვა შენობათა არავითარი ნიშანი არ მოჩანს გარედან. მხოლოდ გალავანია, მაგრამ საიდან არის შესასვლელი?

ამ ჯადოსნურ ქალაქს კარი არ გააჩნია.

სპარსელი ბერიკაცების თქმულებანი ზემოთ ხსენებულ ნაგებობაზე ფრიად ზღაპრულია. მათი სიტყვით ამ მდუმარე, დღისით მიყუჩებულ გალავნის შიგნიდან ღამ-ღამობით საშინელი შემაძრწუნებელი ხმები ისმის, ხოლო კედლების ირგვლივ უთვალავი ლანდების ჯოჯები დაცრწიან თურმე. ისინი შორს არ მიდიან, მხოლოდ გალავნის ირგვლივ ირევიან, მღერიან, ჯოჯოხეთურ ღრეობას მართავენ... როგორც კი ინათებს, ხმაური წყდება, ყველაფერი მუნჯდება და ეს

გალავანშემორკალული უდაბნო ისევ ჩვეულებრივ იერს ღებულობ-
ს...

ცრუმორწმუნე, ყალბ წინაგრძნობას აყოლილი სპარსელი არა-
სოდეს ახლოს არ ეკარება ამ არემარეს, კაცი არ გაჭაჭანდება ამ მი-
დამოებში. მხოლოდ ერთი ვეებერთელა ქორი დაფრინავს გალავნის
კედლებზე, ისე, თითქოს ლანდების ერთ-ერთი წარმომადგენელიაო...

მაგრამ აი, იქვე, იმ ნანგრევების შორიახლო, კვამლი მოჩანს.

კვამლი ადამიანის არსებობის ნიშანია, და ამ მომხიბვლელი თვა-
სების გამო მარტოხელა მგზავრს თავისკენ იზიდავს.

კვამლი ამოდის ქოხიდან, რომელიც მიწის ზედაპირზე არ
მოჩანს. ამ მიწურს კარის ნაცვლად ერთი ბნელი შესასვლელი აქვს.
მხოლოდ აქედან შეიძლება ქოხში მოხვედრა. იგი ბნელი სამარის
მსგავსი ნესტიანი ჯურღმულია. ერთ კუთხეში ბუხარში ცეცხლი
ბუუტავს. შეშის მუგუზლებზე პატარა ალი კიაფობს, თითქოს იმი-
სათვის, რომ ცეცხლი არ ჩაქრეს...

ბუხართან ჭილობზე ერთი ნახევრად შიშველი მოხუცი ზის და
წიგნს კითხულობს გატაცებით. იმისი გარეგნობა სიბრალულსა და
პატივისცემას აღუძრავს მნახველს. გეგონებათ, თქვენს თვალწინ
ხორცშესხმული სიბრალული დგას ამ ადამიანის სახით, ისეთი, რო-
მელსაც ქვეყანაზე სხვა ნუგეში არა დარჩენია რა ღმერთის
გარდაო...

ეს მოგვია.

იგი წმინდა წიგნს კითხულობს — ღვთაებრივ ზენდ-ავესტას.

— მშვიდობა შენ, უწმინდესო მამაო, — მივესალმე.

ამ საბრალო სასულიერო პირს, ყველგან დევნილსა და შეუ-
რაცხყოფილს, ნახევარი საუკუნე მარტოდმარტო გაუტარებია ამ
პირქუშ, სევდის აღმძვრელ ჯურღმულში.

ადამიანის ხმის გაგონებაზე გაყვითლებულმა მოხუცმა თავი აი-
ღო, საოცრად გაშტერებული მომაჩერდა მე, — ვინც უშიშრად გავ-
ბედე იმის კარის ზღურბლის გადაბიჯება და მშვიდობიანი მისალმე-
ბა...

მან მოწიწებით დახურა წიგნი, გვერდით გადადო, წამოდგა და
მე, — მის მოულოდნელ სტუმარს შემომეგება.

ზოროასტრას სარწმუნოების ქურუმი-ფილოსოფოსი ძალზე
დინჯი და ღრმამოაზროვნე მოსაუბრეა, იგი სიამოვნებით უყვება
ყველაფერს იმას, ვინც მას კაცთმოყვარე თვალით უყურებს. ეტ-
ყობა, არაფერი ისე არ ანუგეშებს, როგორც ადამიანების კეთილი
განწყობილება მისდამი, რადგან ამ საცოდავს თავის სიცოცხლეში
ძე ხორციელისაგან ოდნავი შებრალებაც არ უგემია...

მე ძალიან მინდოდა გამეგო, თუ რამ აიძულა ეს კაცი საცხოვრებელ ბინად აერჩია ისეთი. მოსაწყენი უკაცური უდაბნო, სადაც მხოლოდ ქორები და ჭოტები ბუდობდნენ და ჯოჯოხეთური ლანდები დაძრწოდნენ...

როცა ამის შესახებ შევეკითხე, მოგვმა ცეცხლოვანი თვალები აღაპყრო და ჩემთვის გაუგებარი რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, საიდანაც მხოლოდ ორი სიტყვა დაიჭირა ჩემმა ყურთასმენამ — ბიბი-შარაბანი[1].

— რას ნიშნავს ეგ?

— გამომყევი, კეთილო ჭაბუკო, — მითხრა მან და თავის ქოხიდან გამოვიდა.

მე დავყევი მოხუცის ბრძანებას. გალავანი, საითკენაც წამიყვანა მოგვმა, უკვე ნანახი მქონდა. იგი ერთ წაქცეულ კიბესთან მივიდა და მთხოვა კიბის აწევაში მივშველებოდი.

მოხუცის თხოვნა მყის შევასრულე — მივუხვდი რასაც აპირებდა. მოგვს უნდოდა კიბე კედელზე მიედგა, რომ მე გალავანზე ავსულიყავი, ჩემი სურვილიც ეგ იყო, მენატრებოდა იმის ნახვა, თუ რას წარმოადგენდა კედლებში ჩაკეტილი დახურული ქალაქი.

— შეხედე, — თქვა მოგვმა, — როცა ჩვენ ავედით გალავანზე.

არასოდეს არ გაქრება ჩემში ის უსიამო შთაბეჭდილება, რაც დამრჩა იმ სურათის ხილვისას, რომელიც თვალწინ გადამეშალა. გალავანშემორტყმული უზარმაზარი ველი წარმოადგენდა ადამიანთა სხეულების ტყეს, სადაც უძრავად იდგნენ ათასობით ჩონჩხები, ჯერ გაუხრწნელი მიცვალებულთა გვამები, შიშველ-ტიტველნი, ვითარცა ჭეშმარიტების ქანდაკებანი.

მომეჩვენა, რომ ეს იყო ჯადოქრული ქვეყანა, რომელიც თვალწინ ჯადოსანმა მოგვმა გადამიშალა. აქ ცხადლივ ვხედავდი იმ აჩრდილ-

---

[1] ბიბი-შარაბანი — თეირანის მახლობლად ოთხივე მხრივ მაღალი გალავნით გარშემორტყმული სასაფლაოა, ქალაქ რეის ნანგრევებში. ბიბი-შარაბანი იყო ქალიშვილი (ეზდგარდ ანუ ჰასკერტი) მეფისა, რომელსაც სპარსელები ხოსროვს უძახიან. იგი ცხოვრობდა მაჰმადიანობის სპარსეთში შემოვრის პირველ საუკუნეში. სპარსელების საეკლესიო ისტორიის გადმოცემით მუჰამედს ხოსროვისათვის წერილი მიუწერია. ხოსროვს წინასწარმეტყველის წერილი აბუჩად აუგდია, დაუხევია და იმავე წამს კერპთაყვანისმცემელ მეფეს მუცელი გახეთქია. შემდეგ, ომარის დროს, ალის შვილი ჰუსეინი შეიჭრა სპარსეთში, დაიპყრო ხოსროვის ქვეყანა, მისი ქლიშვილი ბიბი-შარაბანი დაატყვევა და თავის ძმას ჰუსეინს მიჰგვარა ცოლად. ეს ისტორია სწორი არ არის, უფრო საფიქრებელია, რომ ბიბი-შარაბანი და ხოსროვის ოჯახის დანარჩენი წევრები აწამეს მაჰმადიანობის მიუღებლობის გამო. ალბათ ქალიშვილის ცხედარი დატოვეს ქალაქ რეიში, რომელიც შემდეგ გაბრებმა სასაფლაოდ აქციეს და თავიანთი მართლმორწმუნე მეფის ქალიშვილის სახსოვრად ბიბი-შარაბანი შეარქვეს, რადგან იმისი სამარეც იქ იყო.

თა გუნდებს, რომელთა შესახებ მრავალი საოცარი ამბავი მსმენოდა.

მაგრამ თვალწინ გადაშლილი სურათი მოჩვენება არ იყო. აშკარად ვხედავდი ერთიმეორეზე მიწყობილ ჩონჩხებს, ისინი ჩემგან დიდი მანძილით არ იყვნენ დაშორებული. მათ მაღლა გულისწამღები ჩხავილით დაფრინავდნენ მტაცებელი ფრინველები. კამარას შეჰკრავდნენ ხოლმე მიცვალებულთა გვამებზე, მაგარი ნისკარტით აგლეჯდნენ ხორცის დიდ ნაჭრებს და ნადავლით აფრინდებოდნენ მაღლა...

მოგვი გადმოკარკლული თვალებით შესცქეროდა ამ უსიამო სურათს, ბაგეები უთრთოდა, ეტყობოდა, ლოცულობდა.

მე ყურადღებით მოვავლე თვალი ჩონჩხებს, ჯერ გაეხრწნელ გვამებს და დავინახე, რომ ყველას სახეები აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიბრუნებული, სახტად დავრჩი. გამიკვირდა — ამ მკვდარ სხეულებს ასეთ მდგომარეობაში რა ინახავს, როცა ისინი თითქოს ჰაერში არიან-მეთქი ჩამოკიდებული. მაგრამ ეს საიდუმლოება მალე გასაგები გახდა. დავინახე, რომ თვითეულ ჩონჩხს თუ მიცვალებულს მხრებში ხის საბრჯენები ჰქონდა შედგმული. ეს საბრჯენები ისე იყო მოწყობილი, რომ მიცვალებულები ჰაერში ეკავათ, მიწაზე ფეხს არ აკარებდნენ.

— რა არის ეს? — მივუბრუნდი მოგვს, რომელსაც ჯერ კიდევ ლოცვა არ დაემთავრებინა.

— ბიბი-შარაბანი, — მიპასუხა, — ბიბი-შარაბანი, — გაიმეორა და კვლავ გაუგებარ მდგომარეობაში დამტოვა.

მე ვუთხარი, არაფერი მესმის-მეთქი. მაშინ მან ამიხსნა ზენდური სიტყვის მნიშვნელობა, და დაუმატა:

— „უბრალო სადგურია“.

— ესე იგი, მკვდრეთი ანუ სასაფლაო?

— დიახ, ასეა.

— ნუთუ თქვენ წესად არა გაქვთ მიცვალებულების დაკრძალვა?

მოგვმა ისე გაკვირვებით შემომხედა, თითქოს ამბობდა, რა სისულელეს მეკითხებიო, და ასე მიპასუხა:

— როგორ დავმარხოთ? კეთილო ჭაბუკო, როგორ შევებილწოთ წმინდა მიწა მკვდრების მძორით?

— მაგრამ ასე ხომ ჰაერსა სწამლავთ, რაც უფრო სახიფათოა. სიბინძურისაგან შეიძლება ადამიანებს გადაედოთ სენი.

ჩემი პასუხი ეწყინა და გულმოსულმა მომიგო:

— ხომ ხედავ წმინდა მიჰრს, — და მზისკენ გაიშვირა ხელი, — იმისი ღვთაებრივი სხივების ქვეშ ყოველგვარი სიბინძურე სუფთავ-

დება, ნაკურთხი ხდება და მკვდარ სხეულს სულს უდგამს. მზე მა-
წიდან აღმოაცენებს დამპალ, ბინძურ თესლს, ჯეჯილად აქცევს, ააყ-
ვავილებს და ნაყოფის მოცემის ძალას ანიჭებს. მზე იმ ათასობით
ჩონჩხებს, რომელნიც იმის უწმინდესობის ტრაპეზზე დგანან, გან-
ბანს, სულს შთაბერავს და სხეულად აქცევს. იგი არის სიკეთის, სი-
ნათლის და სიცოცხლის წყარო.

— და თქვენ ეგ მიცვალებულები იმიტომ დაგიყენებიათ იმის
სხივების ქვეშ?

— ამას გვიბრძანებს ჩვენ ორმიზდის[1] წმინდა კანონი. შორს შენ-
გან, ჭაბუკო, არიმანის[2] ვერაგობა, იცოდე. ცდუნებამ შეცდომაში არ
შეგიყვანოს ამ წმინდა სიტყვის ჭეშმარიტებაში არ დაგაეჭვოს.

მაზდეიზმის მიმდევარ სასულიერო პირთან კამათი, მისი ცრუ რწმე-
ნის წინააღმდეგ გალაშქრება, უსარგებლო იყო, მოხუცი აღარაფერს
მეტყოდა, მე კი მსურდა უფრო დაწვრილებითი ცნობები მიმეღო ამ
სასაფლაოს და მათი სასულიერო წესების შესახებ, ამიტომ დუმი-
ლი ვარჩიე და სმენად გადავიქეცი. მან ბევრი რამ მიამბო. იმისი
სიტყვით მიცვალებულები ბიჯგზე იმდენ ხანს იდგებიან, ვიდრე
მათ ხორცს მტაცებელი ფრინველები წიწკნიან, ხოლო ძვლები კი —
სანამ გაიხრწნება და მათ ქვეშ— ორმოში არ ჩაიყრებაო: ამ მიცვა-
ლებულებზე, მათი ძვლების გახრწნის პროცესზე მოგვი დაკვირვე-
ბას ახდენს, ვარაუდობს მომავალში ვის ეღირსება ორმიზდის სასუ-
ფეველში ადგილის დაკავება. ამის შემდეგ მოხუცმა თავის დაკვირ-
ვებებიდან რამდენიმე საინტერესო ამბავი გადმომცა:

— აბა შეხედე იმ მიცვალებულს, რომელიც ათი ნაბიჯით არის
დაშორებული ჩვენგან, — წინ წამიყვანა, — ხედავ, ტურა მისდგო-
მია, უკანა ფეხებზე შემდგარა, თავი მაღლა აუწევია და მადიანად
შეექცევა მიცვალებულის მარჯვენა მკლავს. ეგ კაცი ჩვენი სასაფ-
ლაოს ახალი სტუმარია. ის ხელი, რომელსაც ეხლა ტურა მიირთ-
მევს, ერთი უცოდველი ადამიანის სისხლითაა გასვრილი... აბა ახლა
იქით გაიხედე, აი იმ მკვდარს ხომ ხედავ, მხარზე ყვავი რომ აზის.
ყვავი თავისი მაგარი ნისკარტით თვალებსა სჩიჩქნის მიცვალებულს.
იმიტომ, რომ იმ თვალებს მხოლოდ ავკაცობისა და ბოროტების
მზერა სიამოვნებდა. თვალებს იგი დაჰყავდა არიმანის გზაზე, ესე
იგი ავკაცობისა და უკეთურობის გზაზე... აი იმ ჩონჩხის ტვინში.
რომლის პრიალა თავის ქალაზე ჭოტი წამომჯდარა და ნისკარტით

---

[1] ორმიზდი — ზერვანის შვილი, სიკეთის, სინათლის ღმერთია, შემქმნელი
ყველა იმისი, რაც სუფთა და წმინდაა.

[2] არიმანი — ისიც ზერვანის შვილია, ბნელეთის და ბოროტების ღმერთია,
შემქმნელი ყველა იმისა, რაც ბილწი და უწმინდურია.

ცდილობს ჩახვრიტოს, არასოდეს სამართლიანი სიტყვა არ დაბადებულა... იქვე მეზობლად წინ ხედავ ალბათ ერთი მიცვალებულის სხეულს, რომლის ფეხებქვეშ გარეული კატა დაძრწის. ის განთქმული ავაზაკის გვამია და ეხლა ავაზაკს ავაზაკი კატა უჭამს იმ ფეხებს, რომლებიც უკეთესართ გზებზე ატარებდა თავის პატრონს...

მოგვმა მრავალი წინასწარმეტყველური ამბები მიამბო მიცვალებულებზე. იგი ამა თუ იმ ადამიანის აწმყოთი განსაზღვრავდა მის წარსულს და დასკვნები გამოჰქონდა თუ რა მოელოდა მომავალში. მან ილაპარაკა აგრეთვე რამდენიმე უცოდველი მიცვალებულის შესახებაც, თუ რა ნიშნებით გებულობდა იმათ ალალ-მართლობას. ამას რომ მიხსნიდა, იმისი თვალები უმზერდნენ ერთ ჩონჩხს, რომლის სადაფივით თეთრ ძვლებზე მზის სხივების ნაკადი ისე ლამაზად იღვრებოდა, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდით. იგი დადუმდა, აღარაფერს ამბობდა. მე შევნიშნე. რომ მოხუცს ჩამქრალი თვალები ცრემლით ავსებოდა. ერთხანს გარინდებული იდგა, შემდეგ თავი გააქნია და მანიშნა ძირს ჩავიდეთო.

გულში ხინჯად ჩამყვა, ასე მწარედ რამ აუფორიაქა სული საბრალო მოხუცს? ანდა რატომ არაფერი მითხრა იმ ჩონჩხზე. ესოდენ რომ ააცრემლა იგი და გული დასწყვიტა-მეთქი.

გალავნიდან ჩამოვედით და მიწურის კარებთან დავჯექით. მზე ის იყო ჩადიოდა, უდაბნოა თაკარა სიცხე ცოტა განელებულიყო. მე კვლავ ცნობისმოყვარეობა მტანჯავდა და მოხუცის დაღონებულ და ელანქოლიურ პირისახის შემყურეს, მოსვენებას არ მაძლევდა.

ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მოხუცმა უარი ველარ მითხრა და იძულებული გახდა ეამბნა იმ ჩონჩხის თავგადასავალი, რომლის შეხედვამ მოხუცს გული დასწყვიტა.

მე პაპიროსის მოწევა ნებართვა ვთხოვე და სმენად ვიქეცი.

— ორი ათეული ზამთრის თოვლი ჩაიჩუმქრა. — ასე დაიწყო თავისი თხრობა მოხუცმა, — ორმა ათეულმა გაზაფხულმა გაინავარდა ზაბის[1] უდაბნოში. სანამ ამისრულდა ნატვრა. მეცნიერთა მეცნიერის — იბნ-ფერჰატთან შეხვედრისა. იმას „ცოდნის წყაროს“ ეძახდნენ. თაფლივით გადმოსდიოდა ბაგეთაგან იმ ღვთის კაცს წმინდა სიტყვები. მისთვის ცნობილი იყო ყველა ფარული სიბრძნე წმინდა ასოებისა და კეთილად უწყოდა ღრმა საიდუმლო. რაც ეწერა ადამის შვილთ შუბლზე.

მაგრამ უფრო ნაზი იყო, ვიდრე შირაზის შროშანი და უფრო

---

[1] ზაბი — სპარსეთის უზარმაზარი უდაბნო. რომელიც იწყება ქალაქების — ლენინა და ჭიშანის — მახლობლად და აღწევს ბელეჯისტანამდე.

ლამაზი, ვიდრე რეშთის[1] ვარდი, კეთილი და კეკლუცი ღამარი[2] — უმანკო ქალიშვილი, ახლად აკოკრებული ძუძუებით მკერდდამშვენებული. ეგ ჩემი ოსტატის ქალიშვილი იყო.

ჩემი ოსტატის სახლი თავისებურ სამოთხეს წარმოადგენდა, სადაც ღვთის კურთხევასთან ერთად სიმშვიდე და სიამტკბილობა მეფობდა. მაგრამ განა არის ისეთი ვარდი, რომ უეკლო იყოს! ანდა განა ბევრჯერ მშვენიერ, ბრწყინვალე დარიან დღეებში პირქუში, ქარიშხლიანი ამინდი არ გამოერევა ხოლმე...

ასევე მოხდა ჩემი ოსტატის ოჯახშიც.

იმ დიდ უქმე დღეს, როცა წმინდა ქალაქის[3] მართლმადიდებელნი ყვავილებით ეგებებიან ნავროზს,[4] ახალგაზრდა ქალწულების ერთი ჯგუფი გორაკზე შეგროვილიყო სადღესასწაულო გართობა-თამაშობისათვის.. ამ დროს გორაკის მახლობლად ამ ქალაქის სარდარს ჩამოევლო, რომელიც ნადირობიდან ბრუნდებოდა თურმე, თვალი შეევლო გაბრების[5] ქალიშვილებისათვის და იმათ შორის ერთი გოგონა ძალიან მოსწონებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სარდარის სასახლიდან შათირი მოვიდა ჩემს ოსტატთან და განუცხადა, მისი უბრწყინვალესობა ღამარის სილამაზემ მოხიბლა და უნდა ცოლად შეირთოსო.

მეხის დაცემა ისეთი საზარელი არ იქნებოდა, რითაც ორმიზდი დევნის ხოლმე არიმანის დევებს, ვიდრე ის სიტყვა, რაც ოსტატმა მოისმინა სარდარის შიკრიკის პირიდან. პირველად იგი ძალზე შეშფოთდა, მაგრამ გონიერი ადამიანი იყო, ღვთის მოწყალებით ცოტა სული მოითქვა და უპასუხა: ქალიშვილს ცოლად როგორ გავატან იმ კაცს, რომელიც ორმიზდის სარწმუნოებას თაყვანს არა სცემსო. ეს პასუხი შიკრიკს სარდარისათვის მიეტანა, მას შხამით და გესლით ავსებოდა გული და შურისძიება განეზრახა.

შურისძიებამ არ დაიგვიანა. რამდენიმე დღის შემდეგ წმინდა ქალაქი სისხლითა და ცრემლით მოირწყო...

---

[1] თუ სპარსეთი ვარდის სამშობლოა, მაშინ რეშთი ის კუთხეა, სადაც იგი ხარობს.

[2] ღამარი — მთვარეს ნიშნავს. ამ სახელს ხშირად არქმევდნენ გაბრები თავიანთ ქალიშვილებს.

[3] წმინდა ქალაქს გაბრები ეძახიან ქალაქ ეზდს. უფრო სწორად — ეზდხასთს, ესე იგი ღვთაებრივს, ან ღვთის მოსაწონს.

[4] ნავროზი — ნიშნავს ახალ დღეს; დღესასწაული, რომელიც იმართებოდა გაზაფხულის დამდეგს. ეს ჩვეულება ყველა აზიურ ტომებს ჰქონდათ. ახალმა რელიგიებმაც კი ვერ შესცვალეს ეს წესი.

[5] „გაბრებს“ ეძახდნენ სპარსეთში მზის თაყვანისმცემლებს, სიტყვა „ქაფრი“, ან ოსმალური „გოვურ“ ურჯულოს ნიშნავს.

მაჰმადიანებისათვის მუდამ ადვილი იყო საწყალი გაბრების დევნა, თავიანთი ხალხის ამხედრებაში მათ ტოლი არა ჰყავთ. საკმარისია ორიოდე ჭორი გაავრცელონ, რომ ხალხის რელიგიურმა გრძნობამ იფეთქოს და შურისძიებად გადმოიღვაროს.

ასე მოხდა მაშინაც.

ქალაქში დაირხა შემზარავი ამბავი — გაბრებმა მტრობით წაჰბილწესო მაჰმადიანების კუთვნილი მატური, უწმინდესი ადგილიო. მთელი ქალაქი აყაყანდა, ჭორი პირიდან პირზე გადადიოდა, გაბრებს ცილს სწამებდნენ მატურში მკვდარი ძაღლი ჩაგიგდიათო.

ტყუილი იყო ეს ჭორი, მაგრამ მაჰმადიანების გასაღიზიანებლად საკმარისი აღმოჩნდა. მათ ირწმუნეს იგი და სიმართლეს აღარავინ ეძიებდა, მით უფრო, რომ ამ ჭორების სულისჩამდგმელი სარდარი გახლდათ, რომელიც მთავარ მოლებთან ერთად ქსოვდა შურისძიების ბადეს...

ღამე იყო, ერთი ისეთი ბნელი ღამე, არიმანი რომ თავის მსახურთ მუხანათურ საქმეზე აგზავნის ხოლმე... უეცრად გაბრების უბნებს შეესია მაჰმადიანების გაშმაგებული ბრბო. ცეცხლით და მახვილით შემოჭრილმა ურდომ უმოწყალოდ დაუწყო ხოცვა-ჟლეტა „წმინდა ხალხის“ შვილებს...

ამ შემაძრწუნებელ დროს ღამარი გამახსენდა და თავგზაარეულმა მივაშურე ჩემი ოსტატის სახლს. მიუხედავად ღამის წყვდიადისა, ქალაქი დღესავით იყო განათებული ხანძრისაგან. არ ვიცი, რა ღვთის ძალა იყო, მაგრამ მე უვნებლად მივედი ოსტატის სახლში. იქაც ცეცხლი ბობოქრობდა. მისვლისთანავე თვალებში მომხვდა ჩემი ოსტატის გვამი, რომელიც სისხლით იყო გათხუპნული და ცეცხლის ალში გახვეული სახლის წინ ეგდო. მე მას გვერდი ავუარე და ღამარს დავუწყე ძებნა...

ყოველი მხრიდან მესმოდა გატაცებული გოგონების და ქალწულების უნუგეშო მოთქმა-ქვითინი, მაგრამ იმ ხმებში ღამარის ხმა არ ისმოდა...

ბოლოს თვალი მოვკარი, ერთი ფერაში გონდაკარგულ ქალიშვილს სარდარის სასახლისაკენ მიათრევდა. მივვარდი, ხანჯლის წვერი გავუყარე ფერაშს გულში. სისხლში მოსვრილი დაეცა ძირს, მე ქალიშვილი ავიტაცე და ძვირფასი ნადავლით სახლისაკენ გავწიე...

ახლაც გონს ვერ მოვსულვარ, როგორ მოვახერხე მაშინ ქალიშვილის გათავისუფლება ისე მარჯვედ. როცა ქალაქს რამდენიმე ფარსახით დავშორდი და ტრიალ მინდორზე გავედი, სადაც ის იყო მზეს თავისი პირველი სხივები მოეფინა, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ

ჭრილობა მაწუხებდა. როდის, ან ვისთან შერკინების დროს დავიჭერი, ვერ მოვიგონე. მოვინდომე ჭრილობის შეხვევა, მაგრამ დავინახე, რომ ღამარი უგონოდ იყო. ჩემი თავი დამავიწყდა და იმას დავუწყე მოსულიერება.

ვრცელი, ძალიან ვრცელია, კეთილო ჭაბუკო, ჩემი მოთხრობა. თანაც მიძნელდება გადმოცემა, თუმცა ჩემს ჭაღარა თავს ყველაფერი შემონახული აქვს გონებაში, არაფერი არ წაშლილა მეხსიერებიდან... წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში იქნებოდა საცოდავი ლტოლვილი ჭაბუკი, რომელსაც შიმშილისაგან ძალგამოლეულს ახალგაზრდა ქალიშვილთან ერთად ფარულად უნდა გაეელო მთელი უდაბნო...

ბილწად შერისხული გაბრი ყველგან დევნილია, ყველა მაპმადიანი ერიდება მას. ამიტომ ჩვენ უდაბნოს მწყემსების მასპინძლობასაც კი გვერდს ვუვლიდით, რომელთა მაგიდა ყველა მგზავრისათვის არის გაშლილი. დღის სინათლეზე ვიმალებოდით ჩირგვებში. მხოლოდ ღამე განვაგრძობდით გზას. ვიკვებებოდით უდაბნოს მანანით[1], ხან კი თავშესაფარს და მოწყალებას ვპოულობდით კეთილ არმენინებსა და დავუდინებთან[2], ისინი გაბრებს არ სდევნიან...

ამნაირად ჩვენ გავიარეთ ქალაქები ისპაჰანი, ღუმი და ქაშანი. გზაში სახედარი არა გვყავდა. არც გვინდოდა, იგი ჩვენთვის ზედმეტი ბარგი იქნებოდა, რადგან მალულად ვმგზავრობდით, ქურდულად. პირველად ქალიშვილი მხნედ გრძნობდა თავს, თამამად მომყვებოდა, მაგრამ შემდეგ თანდათან დასუსტდა, მე იძულებული გავხდი ძვირფასი ნადავლი აკიდებული მეტარებინა... არც ეს იყო მისთვის სასიამოვნო და ხშირად მესმოდა ხოლმე ქალიშვილის სიტყვები: „ახ, ღმერთმა ნეტა როდის უნდა მიიბაროს ჩემი სული, რომ ამ ტანჯვიდან გაგანთავისუფლო...“

ჩვენ პირდაპირ თეირანისკენ მივდიოდით, რომ შაჰი გვენახა. გვინდოდა მისი ფეხთა მტვერი აგველოკა და სარდარის ძალმომრეობისაგან განთავისუფლება გვეთხოვა. მაგრამ ბედკრული ქალიშვილის ჯანმრთელობა თანდათან გაუარესდა, ბოლოს საშინელი სიცხეც მისცა. მე ყოველგვარი სამკურნალო საშუალება ვიხმარე, რაც კი წიგნებში მქონდა წაკითხული, მაგრამ მის გამოკეთებას პირი

---

[1] სპარსეთში ორნაირი მანანაა, ერთს ჰქვია სერხიშტი, მეორეს — გაზი ან გაზან-გარი.

[2] დავუდის ერთი ტომი, რომელთა სარწმუნოება ძალიან ჰგავს ებრაელების რელიგიას, რომელიც ალბათ სპარსეთში ძველი ებრაელი ტყვეების მიერ იქნა შემოტანილი.

არ უჩანდა. საბრალო ქალიშვილი ნელ-ნელა ჰკარგავდა სიცოცხლის ნიშანწყალს...

თეირანამდე რამდენიმე დღის სავალი იყო დარჩენილი. ჩვენ რომელიღაც სოფლის პურის ყანაში დავისვენეთ. ღამე იყო. მთვარე ნაზად მიცურავდა ცის თაღზე. მთელი სამყარო ღრმა ძილს მისცემოდა. ქალიშვილს თავი ედო ჩემს მუხლებზე, მწარედ იტანჯებოდა. მე დაღონებულ-დაღვრემილი ვუმზერდი მას. უცბად მადლობის ნიშნად თვალი მომაპყრო და შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „მე ვკვდები, ჰაზკერტ. ილოცე ჩემთვის“...

ეს იყო იმისი უკანასკნელი სიტყვები...

მე წმინდად შევასრულე იმის სათხოვარი. კეთილი ჭაბუკო, აგერ ნახევარი საუკუნე სრულდება იმ დღიდან. მაგრამ დღე არ გამიშვია, რომ არ ვილოცო იმის საფლავთან, დღე და ღამ ვლოცულობ, თუმცა იგი უცოდველი იყო ვითარცა სხივნი მზისა და უბიწო — ვითარცა მზის ნათელი. მაგრამ მე მას ვეუბნებარდი...

ქალწულთა აღრჩევა[1]

ა

ეს ამბავი ნახევარი თუ მეოთხედი საუკუნის წინათ მოხდა.

სექტემბერი იწურებოდა.

სპარსეთის ერთ-ერთი მაზრის სომხებით დასახლებული სოფელი ს... შემოდგომას თუმცა გაეშიშვლებინა, სილამაზე წაერთმია, მაგრამ მაინც მშვენიერ სურათს წარმოადგენდა — საშემოდგომო ნათესებში ახლად ამოსულ ჭანგას თავისი მწვანე ნოხი გაეშალა. ბაღ-ვენახებში ხეებს მწვანე სამოსი გახუნებოდათ და წითელ-ყვითელი ფერი დაჰკრავდა. ვაზები კი მხნედ გამოიყურებოდნენ, მწვა-

[1] სპარსეთში ახტა-შაჰის (აღა-მაჰმად ხანი) და მის შთამომავალთა ბატონობის დროს კარგა ხანს ასეთი ჩვეულება იყო: შაჰის სანახავად მისვლისას გუბერნიის მაზრპეტებმა სხვადასხვა საჩუქრებთან ერთად, ლამაზი გოგონების მირთმევაც იცოდნენ. ამ გოგონებს ისინი არჩევდნენ დამონებულ ქვეყნებში განურჩეველად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. მარზპეტის გაგზავნილი საჩურისები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და სადაც ლამაზ გოგონებს ნახავდნენ იტაცებდნენ.

ნადირ-შაჰის დროს ეს წესი საბედნიეროდ მოისპო, განსაკუთრებით იმ ერების მიმართ, რომლებიც ისლამის სარწმუნოებას არ ეკუთვნოდნენ.

ნე ფოთლებში მწიფე მტევნები იქყიტებოდნენ. საღამოს მზის სხივები ხეების წვეროებს ეთამაშებოდნენ. აი სწორედ ამ დროს, პატარა კარავში მარტოდმარტო ერთი გოგონა ფუსფუსებდა. იგი ძალიან ლამაზი იყო, ტყის ფერია გეგონებოდათ, მისი მშვენიერებით თვითონ აპოლონიც კი მოიხიბლებოდა.

გოგონა მზრუნველი ხელით პატარა პარკებში ალაგებდა ჭერმის, ატმის, მსხლის და ტყემლის ჩირებს, რომლებიც თავის კარვის წინ გაეხმო. თან უმანკო გული ავსებოდა მრავალნაირი ტკბილი გრძნობით, „აქედან ნაწილს იმას გავუგზავნიო“, ფიქრობდა იგი.

მზემ თავისი სხივები აიკრიფა და მთების უკან ჩაიმალა. ნელ-ნელა ღამდებოდა — ქალიშვილი ძმას ელოდებოდა, რომ ერთად წასულიყვნენ სახლში. უეცრად ბუჩქებმა გაიშრიალა, შრიალი თანდათან ახლოვდებოდა.

— მელქან? — შეეხმიანა გოგონა.

— მე ვარ, — გამოეპასუხა სხვა ხმა, და ყმაწვილი კაცის სილუეტი გამოჩნდა.

ამ ხმის გაგონებაზე ქალიშვილს გული აუჩქროლდა; მომსვლელი იმისი ძმა კი არა — სხვა ახალგაზრდა იყო. იგი ღამის წყვდიადში გოლიათივით წამოიმართა, ტანზე იარაღი უპრიალებდა.

— შენ ხარ თომას, რა მოხდა რომ აგრე შეიარაღებულხარ? — შეეკითხა ქალიშვილი.

— დაუჩქარე, ნაზანი, ლაპარაკის დრო არ არის, უნდა გავიქცეთ, საფრთხე მოგელის.

ქალიშვილს გული შეუქანდა. აკანკალდა.

— რა საფრთხე? — შეეკითხა შეშინებული.

— ხვალ ხანის საჭურისები გოგონების დასაზვერად მოდიან ჩვენს სოფელში, ლამაზ გოგონებს ამოარჩევენ და გაიტაცებენ. შენ თუ გნახეს, თვალში ჩაუვარდები, წაგიყვანენ და ჩემთვის სამუდამოდ დაიკარგები.

— ვაი ჩემს თავს! — გულს შემოეყარა ვოგონას და თომასს მოეხვია.

— დაუჩქარე, ნაზანი, დრო ძვირფასია, ყოველი წუთი ძვირად გვიღირს, გავიქცეთ, ცენახის კარებთან ორი შეკაზმული ცხენი გველოდება, შევსხდეთ და გავშორდეთ ამ არემარეს.

ქალიშვილი ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

— სად გავიქცეთ? — შეეკითხა იგი.

— შორს, ჩვენს მთებში ბიძაჩემის მწყემსებს კარვები აქვთ. ღამის წყვდიადში ვერავინ დაგვინახავს. გათენებამდის მიგიყვან, საფრთხეს გადაურჩები.

მთვარემ თავისი ლამის ფარანი აანთო. ვენახში ხეებს ჯადოსნური ნათელი მოეფინა. ქალიშვილმა შენიშნა. ჰაბუკს სახე გაფითრებოდა და ცრემლები ჩამოსდიოდა.

ქალიშვილი გულმხურვალედ ემუდარებოდა:

— მოდიან ენე, თომას. აქისათვის ჩემს მშობლებს გაჰკიცხავენ. ჩვენი სოფლის გოგოები დაჰცინებენ, იტყვიან: „ნაზანი თავის მიჯნურთან ერთად გაიქცაო“...

ამ დროს ქალიშვილის ძმის—მელქანის ფეხის ხმა მოისმა. თომასი ბუჩქებში გაუჩინარდა. არ უნდოდა მელქანს დაენახა, რომ მის დასთან იყო მოსული.

ყმაწვილი კაცი ქალიშვილის საქმრო გახლდათ.

ბ

მეორე დღეს. თვალცრემლიანი ეღისაბეთი. ქალიშვილის დედა. თავის გოგონაა ამზადებდა აღმწერლების წინაშე წარსადგენად. უჩვეულოდ რთავდა დედამისი უბედურ ნაზანის. ლამაზი ჩითის და აბრეშუმის ტანსაცმლის ნაცვლად მათხოვრის ძონძებს აცმევდა. უმოწყალოდ ბირში აკრიდა მშვენიერ ნაწნავებს, რომლებიც მხარბეჭზე ჰქონდა გადაფენილი. ხუჭუჭ კულულებს, ფაფუკ და ვარდისფერ ლოყებს შავი კუპრით უთხუპნიდა. თანდათან ლამაზ პირისახეს მუქი ბრინჯაოს ფერი ედებოდა. ნელ-ნელა ქალიშვილი ულამაზო და მახინჯი ხდებოდა...

როცა ეღისაბეთი შორჩა ამ საქმეს, დაჟინებით მიაჩერდა თავის ქალიშვილს და ღრმად ამოიოხრა:

— ღმერთმა ასე ლამაზი რად გაგაჩინა! აკვანში ჩაკრული რომ მყავდი, რატომ მაშინ არ მოგკლა?..

ცრემლები მოერია, ისევ დაეცქერდა უბედურ გოგონას და კვლავ ამოიოხრა:

— აჰ, შე საცოდავო. ასე გათხუპნულიც ლამაზი ხარ!..

მავრამ ქალიშვილს, თითქოს გაქვავებულაო. არც ერთი წვეთი ცრემლი არ სდიოდა ცეცხლივით წამონთებული თვალებიდან. მხოლოდ უმანკო გული სჩხვლეტდა, საშინელ აღელვებას გრძნობდა. იგი დაღვრემილი მიუბრუნდა დედას:

— დედი. მაშ შენ ამბობ, რომ უკეთესი იქნებოდა აკვანში ჩაკრულს გაჰძრომოდა სული, არა?..

— ჰო, შვილო, — სევდიანად უპასუხა ეღისაბეთმა. — იმ ურჯულოების მსხვერპლი აღარ გახდებოდი...

— მაშინ რამდენიმე წუთით მარტოდ დამტოვე, დედი...

— რადა?

— მაგ შენ სურვილს ახლავე აღვასრულებ. მაგას მეც რასანი ვნატრობ...

— რას ამბობ, გოგო?

— აი ჩემი უკანასკნელი იმედი. — თქვა ქალიშვილმა. თვალები გაუფართოვდა და უბეში დამალული პატარა ხანჯალი ამოიღო.

დედა მივარდა შვილს და ხანჯალი წაართვა.

უეცრად კარები ყურთამდე ხმაურით გაიღო და ოთახში შემოცვივდნენ სოფლის გზირი და ფერაშები.

— აბა, წამოიყვანეთ ეს გოგოც, ნულარ მაგვიანებთ, იქ. მოედანზე უკვე შეიკრიბნენ სოფლის ქალიშვილები. — დაუყვირა გზირმა ფერაშებს.

ფერაშები ეცნენ გოგონას და ფაციფუცით წაიყვანეს. ამის დანახვაზე აქვითინებული ელისაბეთი მუხლებზე დაეცა და ღმერთს ვედრება დაუწყო.

8

სოფლის ფართო მოედანზე ჩაჭკრავებული იდგნენ კოგონები. ამათში იყვნენ სომხებიც, აისორებიც, ებრაელებიც. ყველას პირისახე ჩამოსტიროდა, ყველა თავის ძწარე ბედს დასტიროდა.

ქალიშვილების შორიახლო აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. დედები ტიროდნენ და წმინდა ღვთისმშობელს ევედრებოდნენ. მამები კბილებს აკრაჭუნებდნენ და თავიანთი გაჩენის დღეს იწყევლიდნენ.

— შავ-უკუღმად იქცეს ეს დღე. — ამბობდა ერთი.

— ესეც ვითომ სიცოცხლეა! — ლაპარაკობდა მეორე. — ჩვენი სახლი, კარი, ქონება და ოჯახიც კი ხანს ეკუთვნის...

— ნეტავი სული მაინც აღმოგვხდეს! — გაისმა ვიღაცის ხმა.

— მონის ხვედრი ასეთია, — დაუმატა ერთმა.

მოპირდაპირე ქუჩიდან გამოჩნდა ხანის ხოჯაბაში (საპურისების უფროსი) თავისი ფერაშებით. ყველა დამუნჯდა.

ხოჯაბაშს გვერდით მოსდევდა ერთი მაღალი, წარმოსადეგი გრძელწვერა კაცი. ეს სომხების მელიქი იყო.

— ტყუილად ირჯებით. აღა, — ეუბნებოდა იგი ხოჯაბაშს, — სომხებში შაჰის შესაფერის ლამაზ ქალს რა უნდა...

— პირიქით, ამ სოფლის გიოზალები ყველგან ნაქებია. — მიუგო ხოჯაბაშმა.

— თქვენს პატიოსან სახელს გეფიცებით, რომ ტყუილია.

— ვნახოთ...

მელიქი დარწმუნდა, რომ ხოჯაბაშის დაყოლიება ძნელი იყო, ახლოს მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— არავითარ შემთხვევაში, ჩემი ბატონის ბრძანებას ვერ ვუღალატებ, — თავისას არ იშლიდა ხოჯაბაში.

საწყალი მელიქი იმედგაცრუებული დარჩა.

ამასობაში ისინი მიუახლოვდნენ გოგონების ჯგუფს. ხოჯაბაშმა სათითაოდ შეათვალიერა ქალიშვილები.

ბოლოს ქალთა ჯგუფიდან გამოჰყო მხოლოდ ორი ქალიშვილი, ერთი ებრაელი, მეორე — სომეხი. სომეხი ქალიშვილი ნაზანი გახლდათ.

ხალხში ვიღაც დედაკაცს გული შეუწუხდა და მიწაზე ჩაიკეცა. ეს ნაზანის დედა ელისაბეთი იყო.

უეცრად რაშებზე ამხედრებულმა ოთხმა შეიარაღებულმა ვაჟკაცმა არწივებივით შემოიქროლა მოედანზე. მათ ქურთუოლად ეცვათ და სახეები ცხვირსახოცებით ჰქონდათ აკრული. ისინი გარს შემოეხვივნენ ხოჯაბაშის კაცებს. ამის დანახვაზე ფერაშებმა ხმლები იშიშვლეს. გაიმართა შეტაკება, რამდენიმე სპარსელი განგმირული დაეცა. თავდამსხვლელებმა ნაზანი ხელიდან გამოგლიჯეს მტარვალთ, გაიტაცეს და მახლობელ გორაკებს იქით მიიმალნენ.

ამის საპასუხოდ ფერაშებმა ცეცხლს მისცეს სოფელი. უმოწყალოდ იწვოდა საწყალი გლეხების დოვლათი და ბარაქა...

ბოროტმა ხანმა ასე სასტიკად დასაჯა სოფელი...

ერთი თვის შემდეგ, თურქეთში, მოკთა ქვეყნის ერთ-ერთი სოფლის პატარა ეკლესიაში, წმინდა ტრაპეზის წინ სახეგაბადრული იდგნენ ნეფე და პატარძალი. სოფლის მღვდელი ჯვრისწერის წესს ასრულებდა. ნეფე—თომასი იყო, დედოფალი—ნაზანი, ხოლო მეჯვარე კი ნეფის ერთგული ამხანაგი — სარგისი.

ამ მხიარულ ზეიმს ესწრებოდა პატარძლის გულადი ძმა — მელქანი...

ხაზ-ფუში

(ერთი ხურათი სპარსეთის ბედუკულმართი ადამიანების ცხოვრებიდან)

ა

ციოდა.

იმ დილით მზემ ცახცახით ამოაღწია ჰორიზონტიდან და ისევ გაუჩინარდა. ისეთი ფერწასული იყო, ამღვრეული და ბეჩავი, რომ მის დანახვაზე ადამიანს გული უკვდებოდა სიბრალულისაგან.

მზესაც სციოდა.

ცა პირქუშ ღრუბლებს დაეფარა. თოვლი არ იყო, მაგრამ ჰაერში სუსხიანი ყინვის -ვერცხლისფერი მტვერი დაცურავდა და ისე ბრწყინავდა, გეგონებოდათ მილიონობით პაწაწინა ვარსკვლავებია.ო. ეს ვარსკვლავები, ყინულის წვრილი კრისტალები, ადამიანს თვალებსა და პირისახეს უწვავდა, ხელებს და სხეულის შიშველ ადგილებს უსერავდა. სუნთქვა ჭირდა, ყინვის სუსხი სულს უგუბავდა ადამიანს, თვალის გაღებაც კი ძნელდებოდა, ჰქროდა ცივი ქარი და ყველაფერს თოშავდა.

თეირანს ასეთი სულშემხუთავი გათოშილი დილა არ ახსოვდა:

ქუჩებში მიწა ოკეანეებივით გამაგრებულიყო. გაყინულიყო და დამაკდარიყო. მიწაში ჩამარხულ მილებშიც გაყინულიყო წყალი. სქელი ყინული გადაჰკვროდა გუბურებს, არხებს, გათოშილი იდგნენ ხეები თრთვილმოდებული ტოტებით, — მთელი ქალაქი ერთ მთლიან გაყინულ მასას წარმოადგენდა.

თუმცა რა ხანია გათენდა, უკვე შუადღე მოახლოებულიყო, მაგრამ ქუჩებში ადამიანის შვილი არ ჭაპანებდა. ყველა კარჩაკეტილი იჯდა შინ. ფრინველებიც კი არა ჩანდნენ. მხოლოდ ერთი ყვავი დაფრინავდა, ალბათ ისიც შიმშილს შეეწუხებინა და თავშესაფარიდან საჭმლის საშოვნელად გამოსულიყო. ყვავმა გადაუარა დათრთვილულ სახურავებს, ცალი თვალით შეიჭყიტა გათოშილი ფანჯრების შიგნით, გადაუქროლა ცარიელ ქუჩებს. ნაცნობი ნაგვის გროვას დააშტერდა. რაღაც შენიშნა, ყვაა-ყვაა-ს ჩხავილით რამდენიმეჯერ წრე შემოსაზა ჰაერში. მერე ელვის სისწრაფით დააფრინდა ნაგავს და გაფაციცებით დაუწყო ქექვა. მაგრამ ნაგვის გროვა ქვასავით იყო ყინულისაგან გამაგრებული. გუშინ ჯორების ქარავანმა რომ გაიარა, ეს გროვა ჯერ ახალი იყო. მაგრამ დღეს მშიერმა ფრინველმა ქერის ერთ მარცვალსაც კი ვერ უყო ძვრა. ყვავმა უკმაყოფილოდ მიატოვა გროვა და გათოშილ სივრცეში აიჭრა.

იმავე მიზნით თავის თავშესაფარიდან ამ დილას შიმშილისაგან შეწუხებული ერთი სულიერიც გამოსულიყო. მაგრამ ეს ყვავზე უფრო ბედნიერი გამოდგა.

მარტოდმარტო მიაბიჯებდა უკაცრიელ ქუჩებში. ფეხს ხან აუჩქარებდა, ხან შეჩერდებოდა, რაღაცას ფიქრობდა, მერე კვლავ განაგრძობდა სიარულს დინჯი, არათანაბარი ნაბიჯებით. თითქოს სიცივეს არა ჯრძნობსო. თუმცა მთლად შიშველი იყო. მისი ტანსაცმელი ორი ნაჭრისაგან შედგებოდა, — ტილოს ორი ძონძისაგან. ერთი წელზე ჰქონდა შემოკრული, და მუხლებამდის სცემდა, მეორე კი უბრალოდ მარცხენა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული და გულმკერდს და ზურგის ერთ ნაწილს უფარავდა. სხეულის დანარჩენი ნაწილები მთლად შიშველი ჰქონდა. თავშიშველი იყო, ნაბადივით სქელი თმა აბურძნოდა, ტიტველი ფეხების ქუსლები დახეთქოდა. დილის სუსხიან ყინვას თითქოს ეშინოდა ამ საცოდავის სიტიტვლეს მიჰკარებოდა — ეს მოღუშული, უკმეხი კაცი რაღაც საზარელ მახინჯ არსებას წარმოადგენდა. გამურული სახე, თითის სისქეზე დადებული ჭუჭყი, ნაცარში ამოგანგლულ ამ არაჩვეულებრივად გონჯ კაცს საშინელ შესახედავს ხდიდა.

ირგვლივ ისეთი სიჩუმე სუფევდა, როგორც უდაბნოში. ქუჩებში ადამიანის ჭაპანება არ იყო. მიუხედავად ამისა, ეს კაცი მაინც

მხიარულად გრძნობდა თავს. მხნედ მიაბიჯებდა, უსტვენდა, დროგამოშვებით ცხვირში წაიღიღინებდა ხოლმე. მისი ხმა ქალაქის დაცარიელებულ ქუჩებში დაკოდილი, ქანცგამოლეული გულიდან ამოხეთქილი საშინელი სიღატაკის მწარე ამონაკვნესად გაისმოდა...

ეს კაცი „ხაზ-ფუში“ იყო.

„ხაზ-ფუში“[1] ხალხმა შეარქვა, რომ მისი სიტიტვლისათვის დაეცინა, ის კი ხალხის კოპწიაობას დასცინოდა და შიშველ-ტიტველი დაეხეტებოდა.

„ხაზ-ფუშმა“ გადაჭრა ბაზრის დიდი მოედანი და ერთ დახურულ შუკაში შევიდა. დუქნები ჯერ არ გაეღოთ. ღამის ყარაულებს თავზე წამოეხურათ ქურქები, მოკუნტული ისხდნენ და გაყინული ხელები გავარვარებულ მაყალისთვის მიეფიცხებინათ. მაგრამ ცეცხლსაც სციოდა თითქოს, სითბოს არ უშვებდა.

შუკაში შესული ხაზ-ფუში წინ წავიდა. შესასვლელთან დილაადრიან დაეწყო ვაჭრობა იმას. ვისაც ეძებდა. ცარიელ მიწაზე იჯდა ერთი ჭუჭყიანი კაცი, წინ ედგა თიხის ქვაბი, დახურული უფრო ჭუჭყიანი ტილოს ნაგლეჯით. ქვაბიდან ოხშივარი ამოდიოდა და ირგვლივ საამო სუნს აფრქვევდა.

შაქარზე ტკბილია,
თაფლზე გემრიელი,
დაუჩქარეთ, ღარიბნო,
თორემ თავდება.

ასე აქებდა ჭუჭყიანი კაცი გასაყიდ საქონელს და ხმამაღლა ეპატიჟებოდა მყიდველებს.

ჩვენი მოხეტიალე მიუახლოვდა მას და ამაყად მიმართა:

— „ხაზ-ფუშის“ ულუფა ამოიღე!..

გამყიდველმა მოკრძალებით ახედა, მერე აკანკალებული ხელებით ქვაბს ტილო გადახადა, ხელი ჩაყო და იქიდან ამოიღო რამდენიმე, მაგრად შემწვარი მუქი-მოწითალო ჭარხალი. ეს იყო საწყალი ხალხის ერთადერთი საუზმე ზამთრის ამ სუსხიან ამინდში.

„ხაზ-ფუშმა“ მხრიდან ტილო ჩამოიხსნა, მიღებული საჩუქარი გააბვია და სწრაფად გაშორდა ისე, რომ მადლობაც არ გადაუხდია.

გზაში მას შემოხვდა მეორე „ხაზ-ფუში“. ეს უფრო მოხუცი

---

[1] „ხაზ-ფუში“ — სპარსულად ნიშნავს „ხაზს“, ესე იგი სამეირენის ჩამცმელს. ამ ძვირფას ტყავს იცვამენ სპარსელი იშხანები, ან ძალიან მდიდრები. „ხაზ-ფუშებს“ დაცინვით ეძახიან ღარიბ-ღატაკებს, რომლებსაც ჩასაცმელი არაფერი გააჩნიათ, გარდა ძონძებისა. „ხაზ-ფუშის“ შერქმევა მწარე დაცინვაა იმათ უკიდურეს სიღატაკეზე. თვითონ „ხაზ-ფუშები“ განსაკუთრებული სიამაყით უწოდებენ ამ სახელს თავიანთ ტიტველ საზოგადოებას.

იყო და შედარებით კარგად ჩაცმული. ტილოს გრძელ პერანგზე ქამრად თოკი ერტყა, ხოლო მხრებზე წამოხურული ჰქონდა გრძელი პალტო, რომელიც კოჭებამდის დასთრევდა. ამ სქელ პალტოზე კაცი იპოვნიდა ყოველგვარ ნაჭრებს, რაც კი ქვეყანაზე მოიძებნებოდა. იგი ძონძების მდიდარ კოლექციას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამოსს, მაგრამ ამ კაცის ტანზე პალტოს როლს ასრულებდა. აშკარად ჩანდა, რომ იგი მრავალი წლის მანძილზე იკერებოდა და მისი მკერავი თვითონ დრო-ჟამი იყო.

ბედის ანაბარად ქუჩა-ქუჩა მოხეტიალეს, სადაც დიდი თუ პატარა ნაკუწი ეპოვნა, ყველა ზედ დაეკერებინა. ამ პალტოზე ნახავდით ძველი წინდებისა და ძველი ქუდების ნაგლეჯებს, ფეხსაცმელების ტყავების ნაფლეთებს, ხოლო მათ შორის საუკეთესო ქიშმირის მშვენიერ ნაჭერს. საკმარისი იყო ერთი ძაფი გამოგეძროთ, რომ ნაჭრების მთელი ეს ხუხულა დარღვეულიყო. თავისი პალტოთი ეს კაცი თითქოს ჰკიცხავდა საზოგადოებას. იგი ერთბაშად დაათრევდა ყველაფერ იმას, რასაც ხალხი ცალ-ცალკე ატარებდა.

ყურადღებას იქცევდნენ იმისი ფოსტლებიც, რომლებიც შიშველ ფეხებზე წამოეცვა. ფოსტლები არაფრით არ განსხვავდებოდა პალტოსაგან: თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფორმას და იმას, რომ ფოსტლებზე აუარებელი ლურსმნები და რკინის ნაჭრები იყო ასხმული, რასაც, რასაკვირველია, პალტოზე ვერ იპოვნიდით. ამ დაბეჩავებულ კაცს თავის სიცოცხლეში ქუჩებში ან გზებზე რაც ლურსმნები ეპოვა, თავის ფოსტლებზე დაეკრა. ბოლო ხანს სადღაც შემთხვევით ვირის ნალიც იპოვა, აიღო და ისიც მიაკრა, მაგრამ მოხუც „ხაზ-ფუშს“ მაინც ეჭვი ეპარებოდა — ფოსტლები სიკვდილამდე არ გამიძლებსო, და ამ ეჭვს ოდნავ მაშინ იქარვებდა, როცა ახალ-ახალ მასალას აკრავდა ფოსტლებს. საშინელი სიმძიმისა იყო ეს ფოსტლები, მათი თრევა აღემატებოდა „ხაზ-ფუშის“ ძალ-ღონეს, მაგრამ ისე იყო მათი პატრონი ამ ფეხსაცმელების ტარებას მიჩვეული, თითქმის ვეღარცა გრძნობდა სიმძიმეს. თუმცა ძალიანაც რომ ეგრძნო, რას გახდებოდა, როცა სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, ამიტომ იძულებული იყო ეტარებინა, როგორც კატორღამისჯილნი ატარებენ ბორკილებს...

როცა ეს ორი „ხაზ-ფუში“ ერთმანეთს შეხვდა, პირველმა სალამი მისცა და შეეკითხა:

— დილა მშვიდობისა, მამა აჰმედ, რა ამბავია, რომ ასე ადრე გამოსულხარ?

— ცივა, ამ დილით, ძალიან ცივა, — უკმაყოფილოდ უპასუხა მოხუცმა.

— რამეს თუ მიაგენი?

— არაფერს... როგორც ქვეყანაა გაცეებული და ყინვად ქცეული, ისე ხალხის გულია გაყინული...

ახალგაზრდა „ხაზ-ფუშმა“ ტილოში შეფუთული ჭარხლის ნაკრები გამოიღო და მოხუც „ხაზ-ფუშს“ ძმურად გაუყო.

— წაიღე, დღეს გეყოფა, ხვალ კი — ღმერთია მოწყალე.

მოხუცმა ჩამოართვა ჭარხალი, დალოცა და ორივე თავთავის გზას გაუდგა.

ბ

მეჩეთის შემდეგ აბანო მაჰმადიანების ქვეყანაში ერთ-ერთი აუცილებელი დაწესებულებაა, კეთილმორწმუნე მუსულმანს პირველი მათგანი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სჭირდება, მეორე კი — ხორციელისა. აქ სრულდება განბანვის წესები, აქ იღებავენ სულიერი მამები წმინდა წვერებს, ხელების და ფეხების ფრჩხილებს — უწმინდესი ინით.

როგორც მეჩეთი უწევს მფარველობას და თავშესაფარს აძლევს უსახლკარო, ღარიბ-ღატაკ მწირ-ყარიბებს, ასეთივე როლს ასრულებს აბანოც.

მოდით დავათვალიეროთ თეირანის ურიცხვი აბანოებიდან ერთი.

ჩვენთვის საინტერესოა ის ნაწილი, საიდანაც ახურებენ აბანოს. ამიტომ უნდა გავიდეთ უკან, დიდ ეზოში. იქ არის მოთავსებული მთელი საწვავი მასალა.შეშის ნაკლებობის დროს აქ საწვავად უმეტესად ხმარობენ დაღერღილ ბზეს და საქონლის ნაკელს. დანტეს და სხვა კლასიკოსი პოეტების მიერ აღწერილი ჯოჯოხეთი არაფრით აღემატება სპარსული ქვესკნელის ცეცხლამბარს, რომელსაც შესაფერი სახელი — „ჯაჰნამი“ ჰქვია, რაც ნიშნავს, „გენიას“ ან „ჯოჯოხეთს“. ერთ ბნელ, კვამლისაგან გამჭვარტლულ ჩასასვლელს მივყევართ ამ ჯოჯოხეთისაკენ, იქ ჩაუქრობელი ცეცხლი გიზგიზებს, ის ცეცხლი მაღალ თაღებზე დამდგარ უზარმაზარ ქვაბში წყალს აცხელებს, „ჯოჯოხეთიდან“ მარტო გამურული ქვაბების ძირი მოჩანს. ამ ქვაბების ზედაპირი ზემო სართულში გადის, სადაც ნამდვილი აბანოა — საბანაო ადგილი.

ამ „ჯოჯოხეთსაც“ ჰყავს თავისი მრევლი, — მსჯავრდადებულნი. ისინი აქ ცეცხლისაგან კი არ იტანჯებიან, არამედ კვამლისა და ნაცრისაგან, ცეცხლი რომ სტოვებს.

გამუდმებული ცეცხლისაგან აქ აუარებელი ნაცარი გროვდება. ამ ნაცარს დროდადრო ეზოში ყრიან და პატარა ბორცვები წარმოიქმნება. ამ ბორცვებს „ქულამბარეს“ ეძახიან. აი სწორედ ამ ქუ-

ლამბარებში გორაობენ საცოდავი „ხაზ-ფუშები“. ამ თბილი ნაცარის გროვაში ისე მოჩანან მამაკაცების, ქალების, ბავშვების გამურული. დაბეჩავებული პირისახე და თავები, იფიქრებთ. ესენი სისხლისდამნაშავენი არიან, რომლებიც ცოცხლად დაუმარხიათო[1].

ვინ არიან იქ?

პატარები, — უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები, რომლებსაც მშობლები არა ჰყავთ. ისინი მთელი დღე ქუჩაში დაეხეტებიან, მოწყალებას თხოულობენ, საღამოთი კი აქ, ამ თბილ ნაცარში იძინებენ. აქ არიან ის ქალები და მამაკაცები, რომლებიც უმუშევრები ანდა დახეიბრებულნი, თავს მათხოვრობით ირჩენენ. ცხოვრების ეს ზედკრული შვილნი ზაფხულობით თავს უფრო ბედნიერადა გრძნობენ. მაშინ ღია ცის ქვეშეთია მათი საწოლიც და განსასვენებელიც. სადაც დაუღამდებათ, იქვე გაუთენდებათ, სულ ერთია, სად იქნებიან — ქუჩაში, ქალაქგარეთ თუ უკაცურ უდაბნოში. სულ სხვაა ზამთარი. სად უნდა შეიხიზნონ ყინვაში? და აი ზამთრის დღეებში მათი ერთადერთი თავშესაფარია აბანოს „ჯოჯოხეთი“. თბილი ნაცარი მათ რბილი ლოგინის მაგივრობას უწევს, ტიტველ-შიშველი შიგ ჩაიმარხება ხოლმე და ისე სძინავს.

სპარსეთის დედაქალაქი სავსეა ისეთი ადამიანებით, რომელთაც ღამის გასათევი ადგილი არ გააჩნიათ. მათ შორის არიან, როგორცა ვთქვით,—„ხაზ-ფუშები“ და აგრეთვე ქალაქის უპატრონო ძაღლები.

ძაღლების საზოგადოება და „ხაზ-ფუშების“ საზოგადოება ბევრი არაფრით განსხვავდებიან, პირიქით, ძალიან წააგავან ერთიმეორეს.

ამათში ძაღლები უფრო ბედნიერები არიან — მათ ბუნებრივი ქურქი მაინც აქვთ, რომელიც თავისთავად ახლდება, „ხაზ-ფუშებმა“ კი თავიანთი სიტიტვლის დასაფარავად ძონძები უნდა ეძიონ.

ძაღლებიც „ხაზ-ფუშებივით“ ცისმარე დღე თავისუფლად დაეხეტებიან ქუჩებში, სასაკლაოებზე, ხორცის გამყიდველებთან. იქ ხან ძვალს პოულობენ, ხან ხორცის ნაჭერს. ზოგჯერ ასეც მოხდება ხოლმე — კეთილმორწმუნე ჰაჯი რამდენიმე სანგაკს[2] იყიდის და თავისი ხელით დაუფშვნის.

უპატრონო ძაღლები სხვა უბედურებთან შედარებით უფრო თა-

---

[1] სპარსეთში სხვადასხვა საშინელ სასჯელთან ერთად ჩვეულებრივია ადამიანის ცოცხლად დამარხვაც. მსჯავრდადებულის სიმაღლის პირობაზე მიწას თხრიან, დამნაშავეს ცოცხლად ჩააყენებენ შიგ და გარშემო კირს ჩაასხამენ ისე, რომ მარტო თავი უჩანს.

[2] სანგაკი — ერთგვარი პურია, რომლის ცომის გუნდებს ერთ არშინზე აბრტყელებენ, შემდეგ გახურებული თუჯის ბრტყელ ზედაპირზე გადააკრავენ და ისე

ვისუფლები არიან იმითაც, რომ მათ პოლიცია არ სდევნის, არც პასპორტსა სთხოვს. სპარსეთში ძაღლი ერთადერთი არსებაა, რომელიც თუმცა რელიგიური კანონით ბილწია, მაგრამ მისი მოკვლა დიდ ცოდვად არის მიჩნეული. „ხაზ-ფუშების“ მოკვლისათვის კი მცირე სასჯელიც არ ეძლევათ.

ძაღლებიც აგრეთვე წლის თბილ დროს თავშესაფარზე არა ფიქრობენ, ქუჩებში, სანაგვე ყუთებში, უფრო ხშირად შუკების სხვენებში სძინავთ და ერთგვარ დახმარებას უწევენ ღამის „ჰასასებს“ დუქნების ყარაულობაში. მაგრამ ზამთრის სიცივე ამათაც ერეკება ხოლმე ქალაქის ამ „ჯოჯოხეთისაკენ“. აქ ესენი თბილი ნაცრის ბორცვებში არ იკავებენ ადგილს, არამედ იქ, სადაც საწვავი ყრია, ესე იგი საქონლის ახალ ნაკელზე. ეს ნაკელი ჩახურდება ხოლმე და ზამთარში უცეცხლოდ სიმხურვალეს უშვებს. აი სწორედ ამ სიმხურვალეს ეტანებიან ძაღლები, ნახევრად ჩაეფლობიან და სძინავთ. მათ არავითარი მტრობა არ აქვთ თავიანთსავით უბედურ მეზობლებთან — დასაწვავ ნაკელზე თვითონ სძინავთ, ხოლო როცა ეს ნაკელი ნაცრად იქცევა, მასში „ხაზ-ფუშები“ ითბობენ გვერდებს.

დილას რომ ჭაბუკი „ხაზ-ფუში“ შეგვხვდა, იმას სახელად ჯაფარი ჰქვია. „ხაზ-ფუშებში“ იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თუ რითი მოიპოვა ეს ავტორიტეტი, ძნელი ასახსნელია; იქნებ იმითი, რომ იმ დროს, როცა სხვა „ხაზ-ფუშები“ თავიანთ ძონძებში გახვეული, სიცივისაგან აცახცახებულნი, უკმაყოფილოდ ბურტყუნებდნენ, ეს მხარზე ტილოგადაკიდებული, არასოდეს პროტესტს არ აცხადებდა!..

ჯაფარს, გარდა ამისა, სხვა დადებითი მხარეებიც ჰქონდა.

მან თავმომწონედ გადაჭრა ნაცრის ბორცვებით დაფარული კარ-მიდამო, თვალი გადაავლო შიგ მოფუთფუთე ღატაკებს და ერთ ბნელ ხვრელთან მივიდა, რომელიც გრძელ მიწურს წაგავდა. „ჯოჯოხეთს“ ასეთი ხვრელები ბევრი ჰქონდა. მათი კედლები ხურდებოდა აბანოს ცეცხლით და ღრუბლიან ამინდში აბანოს თეთრეულს აქ აშრობდნენ. ერთ ხვრელს კედელი კარგა ხანია ჩამოენგრა, ამიტომ უმოქმედოდ იყო მიტოვებული. სწორედ ამ ნანგრევში

აცხობენ. ასე გამომცხვარი პური გემრიელია და სრულიად განსხვავდება „ლავაშისაგან“.

სანგაკს აცხობენ სახლებშიც და ბაზარშიც.

სანგაკი სპარსეთის ქალაქებში ყველაზე გავრცელებული პურია. მეტ ნაწილად ღარიბი ხალხი ეტანება, რომელსაც საშუალება არა აქვს სახლში გამოაცხოს პური. სიძვირის დროს ფქვილში ნახერხს ურევენ.

ცხოვრობდა ჯაფარი. აბანოს მეპატრონესთან კარგი განწყობილების გამო მიიღო მან ეს ადგილი საცხოვრებლად. ჯაფარმა ხვრელი შეაკეთა, დანგრეული კედელი ქვებით და აგურებით ამოუშენა, მაგრამ არ შეულესია, რის გამო ქარი თავისუფლად ნავარდობდა შიგ. ჯაფარი მარტო თავისთვის ალბათ ამდენ მზრუნველობას არ გასწევდა, მაგრამ იყო ერთი მიზეზი, რამაც იძულებული გახადა მეაბანოვესათვის ეთხოვა ხვრელი დამითმეო. ეს მიზეზი იყო ერთი ბავშვი, რომელიც მისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. „ხაზ-ფუშს“ ძალიან უყვარდა ეს ბავშვი, მზად იყო სიცოცხლეც კი შეეწირა მისთვის. ბავშვს ეძინა, როცა იგი შიგნით შევიდა. ფრთხილი ნაბიჯით გაიარა, რომ არ გაეღვიძებინა და გვერდით მიუჯდა. ეს ტლანქი კაცი ბავშვს ნაზ ადამიანად გადაექცია. დიდხანს სიბრალულით აღსავსე თვალებით დასცქეროდა „ხაზ-ფუში“ მძინარეს, რომელიც ყელამდე იყო ჩაფლული ბზისაგან გაკეთებულ ლოგინში, თავი კი დაგლეჯილ ჭილობზე ედო, რაც ბალიშის მოვალეობას ასრულებდა. მოსიყვარულე დედის მიერ გაშლილ ფუმფულა ლოგინში ისე ტკბილად არ დაეძინებოდა, როგორც ამ ბზეში ჩასძინებოდა ყმაწვილს. ხანდახან ლამაზ ნორჩ პირისახეზე ღიმილი გადაურბენდა, ხან პაწაწინა ტუჩებით რაღაცას ამბობდა, რის გაგებაც ძნელი იყო. ეტყობოდა ტკბილ სიზმრებში დაბორიალობდა. მურიან მტვერს, რითაც მოწამლული იყო „ჯოჯოხეთის“ ჰაერი, ბავშვის სახეზე თავისი კვალი დაეტოვებინა და ყმაწვილი სულ გაეშავებინა. იგი გაოფლიანებული იყო, მურიანი, შავი წვეთები შუბლიდან სახეზე ჩამოსდიოდა და „ბალიშზე“ ეწვეთებოდა. ჯაფარმა ხელი გაიწმინდა და ბავშვს შუბლზე ოფლი ნაზად მოსწმინდა.

მაგრამ სიფრთხილემ მაინც არ უშველა. მისი ხაოიანი ხელი ისე ტლანქად შეეხო ნორჩ პირისახეს, რომ ბავშვმა მაშინვე გაიღვიძა. ნამძინარევი თვალები გაახილა და თავისი მზრუნველი რომ დაინახა, ბავშვური ხმით შეეკითხა:

— მამალი... რა იქნა მამალი?.. სად წავიდა, მამილო?..

— გაფრინდა, შვილიკო, — დამამშვიდებელი კილოთი უპასუხა ჯაფარმა. — ახლავე დავიჭერ.

— დაიჭირე მამიკო... ჩქარა დაიჭირე...

იმის მაგიერ, რომ მამლის დასაჭერად წასულიყო, რომელიც სიზმარში ენახა ბავშვს, ჯაფარმა ტილო გაუშალა წინ და ჭარხლის ნაჭრები გადმოუწყო. ბავშვს ჭარხლის წითელი ნაჭრების დანახვაზე მამალი დააავიწყდა და ხარბად დაიწყო ჭამა. რამდენიმე წუთს ხმაამოუღებლივ ჭამდა. როცა ცოტათი დანაყრდა, თქვა:

— რა კარგია!..

ეს ბავშვი სამი წლის წინათ იპოვნა ჯაფარმა მეჩეთთან, ჩვრებში შეხვეული, და იშვილა იგი[1]. ამ სამი წლის მანძილზე ჯაფარი მას ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას უწევდა.

3

უთოვლო, სუსხიან ზამთარს უწვიმო გაზაფხული მოკყვა, მერე — გვალვიანი ზაფხული. ზამთარში ნათესები ყინვამ დააზრო, ზაფხულში კი სიცხემ ამობუგა. ხალხი შიშით უყურებდა გვალვას, მით უფრო, რომ საარსებო პროდუქტები დღითი-დღე ძვირდებოდა.

შიმშილი გარდუვალი იყო.

რამდენიმე დღეს ბაზარში პური არ იშოვებოდა. ადამიანები ფულით ხელში დახეტიალობდნენ, მაგრამ პურის ნასახი არ ჩანდა. მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ აღედგინა პურის უწინდელი სიუხვე. დღე არ გაივლიდა, ხან ერთი მეპურე, ხან მეორე ყურით არ მიელურსმათ თავიანთი სათონის ბოძზე[2], ანდა ფქვილით მოვაკრე ცხვირში ყალბუის აქლემივით თოკგაყრილი ქუჩა-ქუჩა არ ეტარებინათ ხალხის დასანახავად[3], მაგრამ პური შაინც არ იყო და არ იყო.

დამშეული ხალხი უკვე ბალახ-ბულახითა და მცენარეთა ფესვებით საზრდოობდა. აქა-იქ ქუჩებში შიმშილისაგან მკვდარი ადამიანები ეყარა.

შაპის შეკითხვაზე თუ რა მდგომარეობა სუფევდა სახელმწიფოში, როგორ იყო პურის საქმე, დიდი ვეზირი ჩვეულებრივ ჭშვიდად უპასუხებდა: „მადლობა ალლაჰს, ახლა ყველაფერი ბევრია, ცოტა რაღაც სიძვირე ჩამოვარდა. მაგრამ გაარა უკვე“.

ლაპარაკობდნენ, ისეთი ნაკლებობა არ არის საარსებო პროდუქტებისა, რომ ასე გამწვავებულიყო მდგომარეობაო. იმასაც ამბობდნენ, მდიდარ ჰაჯიებს თავსაყრელად აქვთო ჯერ კიდევ შარშანდელი ხორბლისა და ფქვილის მარაგი, იმდენი, რომ სავსებით ეყოფა ხალხის დაპურებას. მაგრამ ჰაჯიები მალავენ, ელოდებიან ფასებმა უფრო აიწიოს, უნდათ ძვირად გაყიდონო. ასეთი მითქმა-მოთქმა განსაკუთრებით ჰაჯი რაჰიმის ბეღლებს ეხებოდა.

---

[1] სპარსელებს ჩვეულებად ჰქონდათ: მეჩეთთან ბუშს მიატოვებდნენ იმ იმედით, რომ კეთილი გულის ადამიანები აიყვანდნენ და გაზრდიდნენ.

[2] მეპურეს ჩვეულებრივ ასე სჯიდნენ, როცა რაიმე უნესობას ჩაიდენდა—ყურით მიალურსმავდნენ ხოლმე ბოძზე და მშიერს ინახავდნენ თავის სავაჭროსთან, რომ ეგრძნო თუ რა იყო შიმშილი.

[3] ასე სჯიან წვრილ ქურდებსაც, ცხვირში წმინდა თოკს გაუყრიან, ჯალათს თოკის წვერი უკირავს და ქუჩა-ქუჩა დაპყავს ქურდბაცაცა.

ხალხის უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა. ასეთი აზრიც ტრიალებდა, რომ მოხელეები თვითონ მფარველობდნენ ჰაჯიებს მარცვლეულისა და ფქვილის გადამალვაში და იმის ნაცვლად, რომ ებრძანებინათ გადამალული ხორბალი გამოიტანეთ და გაყიდეთო, ეს მოხელეები საწყალ მეპურეებს სჯიდნენ, რომლებსაც ჰაჯიების გარდა ფქვილის შესყიდვა არავისგან შეეძლოთ.

მოხელეებს შორის ეს ბრალდება მეტწილად ღარუღაებს ედებოდათ, რომელთა ზედამხედველობის ქვეშ იყო ბაზრებისა და შუკების კეთილმოწყობისა და მომარაგების საქმე.

ერთ საღამოს, აზანის კარგა ხნის შემდეგ, ღვთისმოსავ მუსულმანებს ნამაზი მოეთავებინათ და დასაძინებლად ემზადებოდნენ. ქუჩები დაცარიელებულიყო და წყვდიადით მოცულ ქალაქში ისეთი იდუმალი სიჩუმე სუფევდა, როგორიც ჩვეულებრივ სჩვევია სპარსეთის ქალაქებს მზის ჩასვლის შემდეგ. ამ დროს ცხოვრება და ყოველგვარი საქმიანობა წყდება, ადამიანები თავიანთ სახლებში არიან ჩაკეტილი, გარეთ არ გამოდიან, ეშინიათ „ყარაულებმა“ არ დააპატიმრონ. ასეთი შემთხვევები კი ხშირი იყო. ყარაულები აპატიმრებდნენ ყველას, ვინც ღამის პაროლი არ იცოდა. ღამის პაროლი კი იცოდნენ მხოლოდ იმათ, ვინც პოლიციასთან იყვნენ დაახლოვებულნი.

უეცრად ღამის სამარისებური სიჩუმე დაარღვია ბუკის ხმამ, რომელიც ქალაქის რომელიღაც კუთხიდან მოისმა. მას გამოეხმაურნენ ბუკები ქალაქის სხვადასხვა მხარეებიდან. მათმა ავისმომასწავებელმა ძახილმა შიშით შეძრა ქალაქი. ეს შემაძრწუნებელი ხმა გაისმა თითქმის ყველა აბანოს სახურავიდან. ხალხმა უკვე იცოდა თუ რას მოასწავებდა[1] ღამით, უდროო დროს, ბუკების ღრიანცელი.

„ხაზ-ფუშები“ წამოიშალნენ. საგანგებო ჩურჩულმა ფეხზე დააყენა ისინი, — ერთიმეორეზე გამოძვრნენ ნაცრის გროვიდან ,,შიერ-ტიტველნი და ქუჩებს მოეფინენ.

აბანოების „ჯოჯოხეთში“ გამურული, ნაცარში ამოგანგლული ბრბო, როგორც საშინელი პროტესტის განსახიერება, თანდათან იზრდებოდა, ივსებოდა და წინ მიიწევდა შავ, აბობოქრებულ ტალღასავით. ამ ტალღაში ერივნენ ქვებით შეიარაღებული ნახევრად

[1] სპარსეთის ყველა ქალაქში ყოველ დილით, მზის ამოსვლამდე, აბანოების სახურავებიდან ბუკს უკრავენ. ეს იმის ნიშანია, რომ აბანოები მზადაა კლიენტების მისაღებად. განბანვის წესი უნდა დილაადრიან შესრულდეს, რომ მზის ამოსვლას გასუფთავებულნი შეეგებონ. მაგრამ თუ ბუკი შუაღამისას დაუკრეს, მაშინ იგი უბედურების ნიშანია, როგორც ქრისტიანულ ქვეყნებში ეკლესიის ზარის უდროო რეკვა.

ტიტველი დედაკაცები, რომლებიც გაწეწილი თმებით ალქაჯებს ჰგავდნენ—თითქოს ხორცშესხმულ გაშმაგებას აუდგამსო ფეხი; მოხუცები, რომლებსაც თავიანთი განუყრელი ყავარჯნები შურისმაძიებელი კეტებივით აღემართათ; ჭაბუკური ცეცხლით ანთებული ახალგაზრდები; ბავშვები — სიღატაკისა და სიმწარის საბრალო შვილები, რომლებიც ღრიალებდნენ: „პური გვინდა...“ ეს ღრიანცელი ყველა იარაღის ყღერაზე უფრო ძლიერი და შემზარავი იყო.

ამ ბრბოს სათავეში ედგა ჩვენი ნაცნობი „ხაზ-ფუში“, — მოხუცი აჰმედი, თავისი განუყრელი პალტოთი და მძიმე ფოსტლებით. ამ ღამეს იგი თითქოს გაახალგაზრდავებულიყო. მძიმე პალტო მკლავზე გადაეკიდა და ფარის მაგივრობას უწევდა, მარჯვენა ხელში კი ორ ყუმბარასავით ეჭირა თავისი მძიმე ფოსტლები. მის გვერდით მიდიოდა ახალგაზრდა ჯაფარი, რომელსაც ერთ ხელში „ხაზ-ფუშების“ ბაირაღი უკავა, ხოლო მეორეში — თავისი პატარა ბავშვი. ბაირაღზე გამოხატული იყო „ხაზ-ფუშების“ ემბლემა — გამხდარი, ნახევრად ტიტველი, წელში მოღუნული მათხოვარი, რომელსაც თითი ზეციისკენ ჰქონდა აშვერილი და თითქოს ამბობდა — „იქ არის მართლმსაჯულება...“

გრძელ კეტებზე აგიზგიზებული ჩირაღდნების მოლურჯო ალი ანათებდა გაშმაგებულ ბრბოს, რომელიც განუწყვეტლივ ღრიალებდა, და ამ ღრიანცელში მხოლოდ სამი სიტყვა გაისმოდა — „ია ჰუ... ჰაკკ“[1].

ხალხის ტალღა სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა. გზადაგზა მათ უერთდებოდნენ ქალაქის ნაძირალები, შეიარაღებული ბანდიტები, ქურდბაცაცები. ამ ნაძირალებს არაფერი ჰქონდათ დასაკარგი, ცარიელ-ტარიელი იყვნენ, ამიტომ უშიშრად ეჭირათ თავი და არც სიკვდილს შეუშინდებოდნენ.

რამდენჯერმე პოლიციამ გზა გადაუღობა მათ. წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბრბომ ქვებითა და კეტებით შეუტია და უკუაქცია. აქა-იქ, ქუჩებში, ყარაულხანების[2] ჯარისკაცებიც შეეცადნენ ბრბოს შეჩერებას. გაშმაგებულმა შავმა ტალღამ თვალის დახამხამებაში მიანგრ-მოანგრია ყარაულხანები.

„ია ჰუ... ჰაკკ...“

---

[1] ეს დერვიშების ჩვეულებრივი ძახილია, რაც ნიშნავს „ვინ არის პატრონი?“ სად არის სამართალი?“ ან — „ვინ არის პატრონი? ვის ხელშია უფლებები?“

[2] სპარსეთში ღამის ყარაულში განწესებული ჯარისკაცები ქუჩაში არ დადიან, არამედ დგანან საგუშაგო ჯიხურებში, რომლებიც ყოველი ქუჩის ბოლოში, ან მთავარ შესასვლელთან არის მოწყობილი. ისეთ საგუშაგოს „ყარაულხანა“ ჰქვია.

გაისმოდა თავაწყვეტილ ღრიანცელში და ხალხის გუგუნისაგან ყველაფერი ზანზარებდა ირგვლივ.

მშვიდად ჩაძინებული მოქალაქეების ყურამდისაც მიაღწია ამ ღრიანცელმა, მაგრამ მათ აინუნში არ ჩააგდეს, სასულიერო პროცესია ეგონათ, რადგან არაერთხელ ყოფილან იმის მოწამე, რომ შავი ჭირის თუ სხვა უბედურების დროს ხალხი ქუჩებში გამოფენილა, მკერდში მუშტების ცემით და ზეციური მეუფისადმი ხვეწნა-მუდარით მთელი ღამე უვლია.

მაგრამ ამ ღამით ხალხს სურდა ზეციური შურისძიების იარაღი თვითონ ყოფილიყო.

პროცესიამ გადაჭრა ბაზრის მოედანი, განიერ ქუჩაში გაუხვია და გეზი აიღო ერთი მაღალი სახლისაკენ. ღრიანცელმა უფრო იმატა. გზა-გზა გაცოფებული ბრბო ანგრევდა ჰაჯიების და დიდრონი მოხელეების კარ-მიდამოს ჭიშკრების და კარების ყველა მორთულობას[1].

ბრბომ მიაღწია იმ მაღალ სახლთან, წამით შეჩერდა და მერე დაიწყო ჩაქუჩებით, ცულებით, წალდებით კარების მტვრევა. მალე ბრბოს ერთი ნაწილი შიგ შევარდა. სულ მოკლე ხანში ქვაფენილზე თრევა-თრევით გამოიყვანეს ერთი კაცი და კარის წინ დააგდეს. ამ კაცს თავზე დაადგა მოხუცი აჰმედი და განაჩენი წაუკითხა: „აი ეს არის ჩვენი სიღატაკის და უბედურების მთავარი მიზეზი. ეს ყველაზე მდიდარი ჰაჯი რომ ისე ხარბი არა ყოფილიყო, ჩვენ მშივრები არ ვიქნებოდით. მან გამოგვგლიჯა ხელიდან პური და თავისთვის სასახლე აიშენა. დაანგრიეთ ეგ სასახლე, რომელიც აგებულია უკანონობისა და უსულგულობის შედეგად. დაანგრიეთ, და მისი საკუთარი სასახლის აგურებით, რომლებიც ჩვენს სისხლშია აზელილი, ჩააქვავეთ ეგ კაცი!“.

ჩირაღდნების ლურჯ სინათლეზე მოხუცის მოღუშულ სახეს საშინელი იერი დაჰკრავდა. მან პირველმა მოიმარჯვა ხელში თავისი მძიმე ფეხსაცმელი და დამნაშავეს თავში ჩასცხო. იმის მაგალითს მიბაძეს ქალებმაც და უბეში დამალული ქვები სეტყვასავით დაუშინეს დამნაშავეს. შემდეგ ათასობით ხელმა აიტაცა დანგრეული კედლის აგურები და რამდენიმე წუთში იმის ადგილზე აგურების მთელი ბორცვი გაჩნდა.

---

[1] სპარსეთში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახლის მთავარი კარის მორთვას. რამდენადაც დიდია და მაღალია კარი, იმდენად მაღალია მისი პატრონის წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობა. კარი—პატრონის სიდიადის და უფლებიანობის მაჩვენებელია. „მაღალი კარიო“ როცა ვამბობთ, ვგულისხმობთ სახელმწიფო ორგანიზაციის ყველაზე დიდ წარმომადგენელს.

ეს კაცი ჰაჯი რაჰიმი იყო — ქალაქის ყველაზე უსულგულო მძარცველი, მეკახეზე.

ჰაჯის მდიდარი ბეღლები რომ გაძარცვეს, ბრბო ძლევამოსილი ყიჟინით გაემართა მეორე სახლისკენ.

მეორე სახლი ქალაქის დარუღს ეკუთვნოდა, რომელიც ხორბლის მეპატრონეებისაგან ქრთამს იღებდა და საგანგებოდ ხელს უწყობდა შიმშილის გაძლიერებას.

ამისი გვამიც საკუთარი სახლის ნანგრევებში და-მარხა..

დ

იმღამინდელი არეულობის ამბავმა მეორე დღეს მთელი ქალაქი აალაპარაკა... შიშისაგან ზოგიერთებმა სავაჭროები არ გახსნეს. მთელ ქალაქში დაქსაქსული „ხაზ-ფუშები“ ჯერ ისევ დახეტიალობდნენ ქუჩებში. ხორბლით მოვაჭრენი გაცოფებული იყვნენ, ხოლო შიმშილისაგან დატანჯული ხალხი ქება-დიდებას ასხამდა „ხაზ-ფუშებს“, იწონებდა მათ საქციელს.

ასეთი დიდი ამბავიც კი ხშირად შაჰის ყურამდე არ აღწევდა. ან თუ მიაღწევდა, ისე გადააკეთებდნენ და შეარბილებდნენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო. ასე შელამაზებულსაც მაშინ მოახსენებდნენ ხოლმე, როცა შაჰი კარგ გუნებაზე იყო.

პარასკევი დღე გათენდა. შაჰს ჩვეულებად ჰქონდა, ამ დღეს ქალაქგარეთ მიდიოდა წმინდა ადგილებში სალოცავად. როგორც ყოველთვის, დღესაც პროცესია დილაადრიან დაიძრა: წინ რამდენიმე საათის სავალი გზა ედოთ.

პირველ რიგში მიდიოდნენ კარვებით და ყოველგვარი სანოვაგით დატვირთული ჯორები, მიჰქონდათ სამეფო საუზმე-სამზადისი, მეფეს ლოცვის შემდეგ იქ უნდა ესაუზმა.

მერე მიდიოდა ქალთა პროცესია.

გზა სავსე იყო უთვალავი დახურული ეტლებით, ჯალამბრებით. ყოველ ეტლში თითო დედოფალი იჯდა. მათ უკან მისდევდნენ ხასები, პირისფარეშები, სასახლის მსახურნი ტახტრევანდებით, ჯალამბრებით. პროცესია მიდიოდა ჩუმად, უხმაუროდ. თვითეული ეტლი გარშემორტყმული იყო შეიარაღებული საჭურისებით, რომლებიც განუწყვეტლივ ყვიროდნენ — „ქურ შოვ... ქურ შოვ...“ რაც ნიშნავდა — „დაბრმავდი.. დაბრმავდი...“

ყველას თვალები უნდა დაეხუჭა, — დაბრმავებულიყო, არავის უფლება არა ჰქონდა ემზირა შაჰის ქალებისათვის, რომლებიც დახურული ეტლებით მიემგზავრებოდნენ.

საჭურისების ყელრღლზე ქუჩის მხარეს ფანჯრები უნდა დაეე-

ტან, სახლების ერდოებზე[1] მოსეირნენი მაშინვე უნდა დამალულიყვნენ. ის ხალხი კი, რომელიც ირეოდა, ან უნდა გაქცეულიყო, ან არა და. თუ ვერ მოასწრებდა გაქცევას, მიწაზე პირქვე დამხობილიყო, თვალებზე ხელები აეფარებინა და ამ მდგომარეობაში ყოფილიყო, სანამ პროცესია გაივლიდა.

სულ მცირე უყურადღებობისათვის სასტიკად ისჯებოდა დამნაშავე შავკანიანი საჭურისების სისხლიანი ხანჯლით.

ქალთა პროცესიის უკან მოჰქონდათ სამეფო საჭურველი.

შემაძრწუნებელი იყო ეს პროცესია. წინ მიუძღოდა ნედლი წკეპლების კონებით და „ფალახკებით"[2] დატვირთული ქარავანი ეს იმისათვის, თუ ვინმეს გასალახად დასჭირდებოდათ. ქარავანს მარჯვნივ და მარცხნივ მისდევდნენ ჯალათები, მძიმე ცულებით ხელში. ამ ცულების ჩაქუჩისებური უუით დამნაშავეს თავს უპეპყავდნენ, ხოლო ალესილი პირით თავსა ჰკვეთდნენ. ჯალათების შემდეგ იმავე წესით, მარჯვნივ და მარცხნივ, ჯაჭვის რგოლებივით ერთიმეორის მიყოლებით მისდევდნენ „ფერაშები"[3], რომელთაც ხელში ეჭირათ კრძელი ბაბილოები, ქამარში კი გარჭობილი ჰქონდათ გრძელი ორლესულები. ფერაშები განუწყვეტლივ ღრიალებდნენ: „ბრო... ბრი..." რაც ნიშნავდა — გასწი, მოშორდი!.. ამის გაგონებაზე ყველა ელდანაკრავივით გარბოდა, გზას უთმობდა. ჯალათები და ფარეშები ქვეითად მიდიოდნენ.

ბოლოს გამოჩნდა მზის დარი მეფეც.

მზის სხივებზე ისე ბრწყინავდა თავისი ძვირფასი სამკაულით, რომ ყველას თვალს უბრმავებდა.

იგი მარტო მოდიოდა. რაში, რომელზედაც იჯდა, პატიოსანი ქვებით, ალმას-ბრილიანტებით იყო მორთული.

მეფის წინ. კარგა მანძილზე მიდიოდნენ შეიარაღებული მხედრები, რჩეული ახალგაზრდა თავადები, ხოლო უკან, ასევე მოშორებით, მოდიოდნენ სასახლის მაღალი თანამდებობის მოხელენი, შემდეგ — სასახლის სხვა დიდებულნი. ყველანი ლამაზად მორთულ ცხენებზე ისხდნენ.

ამათ შუა მიმავალი მეფე ყოველი მხრიდან მოჩანდა.

---

[1] სპარსელების ერდოები ისე იყო მოწყობილი, რომ იქ კიდეც სეირნობდნენ და დროსაც ატარებდნენ, თან ქუჩაში გამვლელ-გამოვლელს უყურებდნენ. ერდოები ისეთ როლს ასრულებდნენ, რასაც ჩვენში აივნები.

[2] ფალახკა—საცემად ხმარობენ, პატარა ფალახკებს ჩვენი პედაგოგები იყენებდნენ ძველ სკოლებში.

[3] ფერაში — სიტყვა „ფრუშტიდან" წარმოდგება, რაც ნიშნავს ჰრეშტაკს (ანგელოზს).

მეორე ქუჩაში, რომელიც ამ ქუჩას ჯვარედინად სჭრიდა, უეცრად გამოჩნდა მოღუშული, დაბეჩავებული, ძონძებში გახვეული ადამიანების ერთი ჯგუფი.

ფერაშების მკაცრმა გაფრთხილებამ, „ბრო-ბრის“ ძახილმა ისინი ვერ შეაშინა. ეს ხალხი გაბედულად გამოიჭრა გზაჯვარედინზე და შეჩერდა. ბრბოს გამოეყო ერთი მათგანი, მიწას ემთხვია და მეფეს მიუახლოვდა.

— „ხაზ-ფუშებს[1]“ მარადკურთხეულ შაჰინშაჰთან საოხოვარი აქვთ, — თქვა მან.

მეფემ სადავე მოსწია.

არც ერთ სულიერს გამბედაობა არ შესწევდა გზაში მეფეს მიახლოვებოდა, მაგრამ ეს ნახევრად შიშველ-ტიტველი შეუპოვარი ბრბო არაერთხელ გზას უკრიდა ხოლმე, და გულკეთილი მეფეც განსაკუთრებული სიამოვნებით შეაჩერებდა ხოლმე ცხენს. მათგან რაიმე საოხუნჯო სიტყვას მოისმენდა, მერე ერთი მუჭა ოქროთი გაახარებდა მათ და გზას განაგრძობდა. ამჯერადაც მეფე თავის სახლთუხუცესს მიუბრუნდა და ანიშნა დაეკმაყოფილებინა ღარიბ-ღატაკნი.

— „ხაზ-ფუშები“ ფულისთვის არ აწუხებენ თავიანთ საყვარელ შაჰინშაჰს, — მიუგო მან. — დიდო შაჰო, „ხაზ-ფუშები“ თვითონ მოვიდნენ შენთან, იმიტომ, რომ გითხრან მათ მიერ ჩადენილი წუხანდელი უმძიმესი დანაშაულის ამბავი, რათა სამყაროს მართლმსაჯულმა ღირსეული სასჯელი მიუზღოს.

მეფის წინაშე ამ სიტყვების მთქმელი ახალგაზრდა ჯაფარი იყო, რომელსაც ხელში აყვანილი ჰყავდა თავისი პატარა შვილობილი.

„ხაზ-ფუშის“ უკანასკნელმა სიტყვებმა მეფის ყურადღება მიიპყრო. ჯაფარი კიდევ უფრო მიუახლოვდა მეფეს და განაგრძო:

— ეს განიერი ქუჩა, — მან ხელი გაიშვირა ქუჩისაკენ, — რომელიც ახლა ასე კარგად არის დასუფთავებული, დღეს დილაადრიან შიმშილისაგან დახოცილი ადამიანების გვამებით იყო მოფენილი.

---

[1] „ხაზ-ფუშები“ მახვილ-გონიერნი და გამჭირდავნი არიან. ცხოვრების დეხჭირ პირობებს ისინი ფილოსოფოსებად უქცევია, ხოლო უდარდელ და თავისუფალ ცხოვრებას — პოეტებად. მათ სწავლულნიც ერევიან. დერვიშებისაგან „ხაზ-ფუშები“ იმით განირჩევიან, რომ დერვიშები ამა თუ იმ რელიგიური ან ფილოსოფიური მიმდევრობის ფანატიკოსები არიან, ხოლო „ხაზ-ფუშები“ უფრო თავისუფლად მოაზროვნე ხალხია. გარდა ამისა, „ხაზ-ფუშები“ ერთიან მეგობრულ საზოგადოებას შეადგენენ, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ, დერვიშები კი ცალ-ცალკე ცხოვრობენ და სხვადასხვა სექტებად არიან დაყოფილი. „ხაზ-ფუშების“ საზოგადოება წარმოადგენს იმ ჭეშმარიტ ადამიანების ბანაკს, სადაც უშიშრად იცხოვრებენ, განურჩევლად პიროვნებისა, სიტყვიერი გამათრახება; წარმოიდგინეთ, მეფესაც კი გაბედულად ეტყვიან თავის ნაკლს, ამის გამო ყველა ერიდება

ეს დადუმებული სახლები, საიდანაც არაფერი ისმის, მთელი ღამე შიმშილისაგან დატანჯულ ადამიანებსა გლოვობენ. ღარიბ-ღატაკი ხალხი ჰაჯიების ხორბლით სავსე ბეღლების კედლებთან იხოცება შიმშილისაგან, ჯერ ისევ ცოცხლებს კი ნებას არ აძლევენ, მათი ტირილი, გოდება, გულგამგმირავი ამოძახილი შაჰის მოწყალე ყურამდე მივიდეს. ტყუილის მოლაპარაკენი, მლიქვნელი-პირმოთნეები, მატყუარები მუდამ მხოლოდ იმას ცდილობენ, როგორ დაგიტკბონ ყურთა-სმენა, ყველაფერს შელამაზებულად გადმოგცემენ, სიმართლეს ფარავენ და მართალ სიტყვას ტყუილის თქმას ამჯობინებენ. ძველად მეფე, თავის ირგვლივ შემოკრებილ მატყუარებს რომ შეცდომაში არ შეეყვანა, ხან დერვიშივით, ხან კიდევ „ხაზ-ფუშივით“ გადაცმული გამოდიოდა თავის ქვეყანაში, პირადად ეცნობოდა ხალხის ჭირ-ვარამს და საჭირო ზომებს იღებდა. ეხლა ეს გონივრული ჩვეულება აღარ არის. მეფემ რომ უკეთ გაიგოს ხალხის ტკივილები, ან უნდა თვითონ მივიდეს ხალხთან, ან ხალხს შეეძლოს მასთან მისვლა. და სანამ მასთან მისვლა შეუძლებელი იქნება, მუდამ ასეთ შეცდომებს ექნება ადგილი. ჩემი სიტყვები რომ ჭეშმარიტად მართალია, რომ ყველა სინამდვილე მეფის ყურამდის არ აღწევს, წუხანდელ ამბავს მოგახსენებთ. „ხაზ-ფუშებმა“ წუხელ მოკლეს ქალაქის ყველაზე მდიდარი ჰაჯი, გაძარცვეს იმისი ბეღლები, რომელშიც ჰაჯის დამალული ჰქონდა უამრავი ხორბალი იმ მიზნით, რომ უფრო ძვირად გაეყიდა, მოკლეს აგრეთვე ქალაქის „დარუღაც“, იგი მფარველობას უწევდა ჰაჯისნაირ ავაზაკებს, „ხაზ-ფუშებმა“ ორივეს გვამი ჩამარხეს თავიანთ სასახლეების ნანგრევებში. მეამბოხე წინამძღოლთაგანი ერთი მე ვარ, სხვები კი — საბრალო

მათ მწარე ენას. „ხაზ-ფუშებს“ დასაკარგი არაფერი გააჩნიათ. ხდება ხოლმე, რომ „ხაზ-ფუში“ ამა თუ იმ მდიდარი კაცის კართან გაჩნდება და ფულსა სთხოვს. მდიდარს ეშინია, უარს ვერ ეუბნება, იცის, რომ „ხაზ-ფუში“ მას კარგ დღეს არ დააყრის. ფულის მიღებისთანავე იგი, სანამ თავის სანაცრეში მივიდოდეს, გზაში ყველა ღარიბ-ღატაკს უნაწილებს. უარის შემთხვევაში, რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩის ბავშვები ამ მდიდრის ოჯახზე და პირადად მის შესახებაც საშინელ გამაწბილებელ სიმღერებს მღერიან. აბანოს სანაცრეში ცხოვრებამ „ხაზ-ფუშები“ დააახლოვა ყველასთან, განსაკუთრებით იმ მოკლეებთან, რომლებმაც ქალაქის ყველა კუხეულები იციან და ყველას კარგად იცნობენ. ცხოვრებასთან ეს სიახლოვე „ხაზ-ფუშების“ მეზას დიდ საზრდოს აძლევს. ერთი რომელიმე გამოიგონებს რაიმე სიმღერას, სანაცრედან ეს სიმღერა რომელიმე ბიჭის საშუალებით ქუჩაში გამოდის და სულ მალე ყველა მღერის. სპარსელის ნაკლის და ბიწიერების კრიტიკოსი ქუჩის სიმღერაა, რასაც თითქმის ყოველდღე მოისმენ, სულ ახალახალი პანგებით, ხოლო სიმღერების ავტორია — გაბოროტებული, პროტესტანტი სიღარიბე.

ადამიანებია, რომლებიც თქვენს წინაშე დგანან. ახლა, დაე მართლ-მსაჯულმა შაჰმა ინებოს ჩვენთვის ღირსეული სასჯელის დადება.

— თქვენ არავითარი სასჯელი არ მოგელით, — ჭმუნვარედ მიუგო მეფემ, — დამნაშავე საკადრის სასჯელს მიიღებს, როცა დაებრუნდები ლოცვიდან.

დიდ ვეზირს სახე გაუფითრდა.

მეფემ გზა განაგრძო.

სარჩევი

რაფი (წინასიტყვაობა ა. დავითიანისა)	5
ოქროს მამალი	15
თათოსები	141
ვინ არის დამნაშავე	157
სასაკლაო	189
ზედსიძე	196
აღთქმული მონაზონი	218
უბედური რიფსიმე	238
ერთი ქცევა მიწა	250
ბიბი-შარაბინი	256
ქალწულთა აღრჩევა	266
ხაზ-ფუში	271

რედაქტორი ლ. ელიოზიშვილი
მხატვარი გ. ჩირინაშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ნ. მიქელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/X-64 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 18. სააღრ-საგამომცემლო თაბახი 15,32.
ტირაჟი 10. 000. შეკვ. № 3415.
ფასი 07 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწველობის
გ. ტაბიძის სახ. ქუთაისის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, სოხუმის ქ., 11

Кутаисская типография № 5 им. Г. Табидзе
Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати
г. Кутаиси, ул. Сухумская, 11.